ვალერი სილოგავა, კახა შენგელია



საქართველოს ისტორია

45

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალერი სილოგავა, კახა შენგელია

საქართველოს ისტორია

უძველესი დროიდან თანამედროვეობის ჩათვლით

კონსპექტური სალექციო კურსი

კავკასიის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი – 2008

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიგნში გადმოცემულია საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან თანამედროვეობის ჩათვლით. იგი კონსპექტური სალექციო კურსია, რომელიც ითვალისწინებს ქართული ისტორიოგრაფიის მიღწევებს ბოლო ორი საუკუნის მანძილზე. ნაშრომი ისეა აგებული, რომ იგი სამსახურს გაუწევს, როგორც უმაღლესი სკოლის სტუდენტებს, ისე აბიტურიენტებს და, აგრეთვე, საქართველოს, როგორც შორეული, ისე ახლო და უახლესი წარსულით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო საზოგადოებას.

წიგნი უხვადაა ილუსტრირებული. საილუსტრაციო მასალა ისეა შერჩეული, რომ იგი ავსებს თხრობით ნაწილს.

მესამე, განახლებული და შევსებული ქართული გამოცემა.

რედაქტორი — პროფ. დიმიტრი შველიძე.

გარეკანზე: სამთავისი (კასპის რ-ნი), ფრთოსანი ფასკუნჯის (გრიფონი) რელიეფი ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე. 1030 წ.

© ვ. სილოგავა, კ. შენგელია, 2008

© კავკასიის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2008

ISBN - 978-9941-404-18-4

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინასიტყვაობა

საქართველოს ისტორია მრავალტომიანი ნაშრომის საგანია. მაგრამ, არის შემთხვევები, როდესაც იგი კომპაქტურად უნდა გადმოიცეს. წინამდებარე წიგნი ერთ-ერთი ასეთი შემთხვევაა – მასში საქართველოს ისტორიის ხანგრძლივი პერიოდი (ძველი ქვის ხანიდან, 35.000 წლის წინა დრო) ჩვენს დრომდე მოკლედაა გადმოცემული. სიმოკლე განპირობებულია წიგნის დანიშნულებით – იგი ლექციების კურსია, თანაც კონსპექტური კურსი. კონსპექტურობა კომპენსირებულია წიგნის აგებულებით და დანართებით - შესავალში განხილულია ზოგადი საკითხები: ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივი გარემო, მოსახლეობა, ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა, ქართველების ეთნოგენეზი და ქართული ენის ადგილი მსოფლიოს ხალხთა ენებს შორის. ამის შემდეგ, წიგნის ძირითად ნაწილში გადმოცემულია ქართველი ხალხის (ზოგჯერ, მისი მეზობელი, ან მის წარსულთან დაკავშირებული სხვა ხალხების) პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული წარსულის ძირითადი, უმთავრესი ფაქტები. საქართველოს ისტორიის სხვა სახელმძღვანელოებსა და სალექციო კურსებში მიღებულ ამ ტრადიციულ სქემას აქ ერთვის: ქვეყნის ისტორიის ძირითადი თარიღების სია მოკლე ანოტაციებით, ხოლო საილუსტრაციო ნაწილი წარმოდგენილია შედარებით ვრცელი განმარტებებით. ცხადია, კომპენსირების ეს ელემენტები სასწავლო-სალექციო კურსს რამდენადმე სამეცნიერო ნაშრომის სახეს აძლევს, მაგრამ, ვფიქრობთ, თანამედროვე ახალგაზრდობის გაზრდილი ინტელექტუალური მონაცემებისა და შესაძლებლობების პირობებში, ეს არათუ ზედმეტი, არამედ აუცილებელიცაა.

როგორც ყოველი სახელმძღვანელო, ან ლექციების კურსი, არც წინამდებარეა მთლიანად ორიგინალური – მეცნიერების ნებისმიერი დარგის მეტად განტოტვილი დიფერენციაციის თანამედროვე პირობებში შეუძლებელია ერთი ადამიანი თანაბარი სიღრმით ფლობდეს დარგის ყველა მიმართულების ცოდნას. შეიძლება დაკვირვებულმა მკითხველმა აქ სხვა ანალოგიური დანიშნულების ნაშრომებიდან ფრაზეოლოგიური გადმოძახილი, აზრობრივი დამთხვევა, ასოციაციები ან ალუზიებიც დაინახოს, მაგრამ, ძირითადად, ნაშრომი, ცხადია, მთლიანად ორიგინალურია.

განსაკუთრებით დიდადაა ეს წიგნი დავალებული *ნ. ასათიანის, ვ. გუჩუას, მ. ლორთქიფანიძის* და *შ. მესხიას* ავტორობით გამოცემული „საქართველოს

ისტორიის“ სახელმძღვანელოთი, რომელიც ჯერ კიდევ 1988 წელს დაბეჭდა კიცა საქართველოს განათლების სამინისტრომ. ამ წიგნის ბევრი დებულება, დასკვნა და ფორმულირება ავტორებისათვის ამოსავალი იყო წინამდებარე სახელმძრვანელოს შედგენისას. ასევე, გათვალისწინებულია *ი. ანთელავას, მ. გაფრინდაშვილის, მ. ვაჩნაძის, გ. მელიქიშვილის* და *რ. მეტრეველის* ავტორობით გამოცემული „საქართველოს ისტორიის“ (თბ., 1996) და ნ. ასათიანის მიერ არასპეციალური ფაკულტეტების სტუდენტებისათვის შედგენილი „საქართველოს ისტორიის“ სახელმძღვანელოების გამოცდილება. თავისთავად ცხადია, ავტორები მაქსიმალურად ცდილობდნენ გაეთვალისწინებინათ ცალკეული საკითხების კვლევის თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის მიღწევები; მათ შორის და განსაკუთრებით უნდა გამოიყოს პროფ. *ალ. ბენდიანიშვილის* წიგნი „საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.) (თბ., 2001).

აქ გადმოცემულია ავტორების დამოკიდებულება საქართველოს წარსულის (ფართო გაგებით) ამა თუ იმ ფაქტისა და მოვლენისადმი, რაც, ბუნებრივია, ხშირად სხვებისას ემთხვევა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ისტორია მაინც სუბიექტური მეცნიერებაა, მიუხედავად იმისა, რომ მას თავისი კანონები გააჩნია (ძირითადია, მოვლენათა საოცარი განმეორადობა, რომელსაც სხვადასხვა ეპოქებში აქვს ადგილი) – როგორც ძველი დროის, ისე თანამედროვე ისტორიკოსი გადმოსცემს იმ ფაქტებს, აღნიშვნის ღირსად თვლის იმ პირებს და აფიქსირებს იმ მოვლენებს, რომლებსაც თვითონ მიიჩნევს საჭიროდ, ცხადია, გარკვეული საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით. ეს სირთულეები იდგა ამ წიგნის ავტორთა წინაშეც, მაგრამ, პირველ რიგში, ავტორები ითვალისწინებდნენ იმას, რომ სახელმძღვანელოში უნდა გადმოიცეს და აღინიშნოს ის, რაც ყველასაგან აღიარებულია და მიღებული, თუმცა, ზოგჯერ აქცენტების ავტორისეული დასმით. ამასთანავე, ვეცადეთ თხრობა ყოფილიყო სადა, წინადადებები მოკლე და ერთი აზრით დატვირთული, სათქმელი ადვილად აღსაქმელი და მაქსიმალურად გასაგები.

ყველა ისტორიკოსის ოცნებაა დაწეროს იმ ქვეყნის გაბმული ისტორია უძველესი დროიდან მის თანამედროვეობამდე, ან იმ ქვეყნის არსებობის მთელ მანძილზე, რომელსაც იგი სწავლობს. როგორც წესი, ამ ოცნებას უმრავლესობა ვერ ისრულებს, თუმცა, სურვილი დიდია. თუ ეს წიგნი ერთ-ორ გამოცემას კიდევ გაუძლებს, ავტორები თავის ოცნებას და სურვილს მიღწეულად ჩათვლიან.

მადლობას მოვახსენებთ პროფ. *დიმიტრი შველიძეს*, რომელიც დიდად დაგვეხმარა საქართველოს თანამედროვე ისტორიის გადმოცემაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესავალი

1. გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივი გარემო, მოსახლეობა

საქართველო მდებარეობს კავკასიის დასავლეთ და სამხრეთ რეგიონებში, სადაც მას ჩრდილოეთიდან ესაზღვრება კავკასიონის ქედი, სამხრეთიდან მცირე კავკასიონის მთიანეთი, დასავლეთიდან შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო, ხოლო აღმოსავლეთიდან დაღესტანი და აზერბაიჯანი. იყო დრო, საქართველოს ძლიერების ხანაში (XII ს. – XIII ს. I მეოთხედი), როდესაც მისი პოლიტიკური გავლენა აღმოსავლეთით კასპიის ზღვამდე აღწევდა.

საერთოდ, ითვლება, რომ უძველეს გეოლოგიურ ხანაში კავკასიის ყელმა ამოიწია 25-30 მილიონი წლის წინათ, შავი ზღვა და კასპიის ზღვა გაიყო ხმელეთით, რომელზედაც დაახ. მილიონ 850 ათასი წლის წინათ დასახლდა ადამიანი. სწორედ ამ ტერიტორიაზე შეიქმნა კავკასიის ხალხები და ჩამოყალიბდა კავკასიური პოლიტიკური ერთეულები. ერთ-ერთი მათგანია საქართველო, რომელიც უძველესი დროიდან დასახლებული იყო ქართველური ტომებით (მათი დასახლება ცოტა სამხრეთითაც – ტიგროსისა და ევფრატის სათავეებამდეც აღწევდა), რომელთაგან ჩამოყალიბდა ქართველი ერი, ანუ ქართველი ხალხი.

საქართველოს ტერიტორია, ლიხის (სურამის) ქედით, ბუნებრივად იყოფა ორ ნაწილად - აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოდ. ეს ტერიტორია, საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებულ საზღვრებში, 69,7 ათას კვ. კმ-ს შეადგენს. საქართველოს ისტორიული ტერიტორიის დაახ. 18.000 კვ. კილომეტრი, რომელიც მისი თითქმის მესამედი ნაწილია და სამხრეთი საქართველოა, დღეს თურქეთის საზღვრებშია მოქცეული. ეს ის ტერიტორიაა, რომელიც ძველაღმოსავლური და მოგვიანო ხანის ანტიკური წერილობითი წყაროების ცნობით, უეჭველად ქართველური ტომებით იყო დასახლებული.

საქართველოს ბუნებრივი გარემო დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. აქ არის, როგორც მთები ძალზე მაღალი მწვერვალებით (უშბა, შხარა, ყაზბეგი...), ისე ქედები, მთები, დაბლობები. აქ არის ალპური და სუბალპური ზონები, ტროპიკული და სუბტროპიკული ადგილები, თვით უდაბნო ტერიტორიები.

საქართველოს ერთ-ერთი დიდი გეოგრაფიული არეალია კოლხეთის დაბლობი. ეს არის სამკუთხედის ფორმის ტერიტორია, რომლის ფუძე შავი

ზღვისკენაა მიმართული. კოლხეთის დაბლობზე ჭაობებიცაა ადგილ-ადგილ დღემდე შემორჩენილი.

მსგავსად კოლხეთის ბარის, ანუ დაბლობისა დასავლეთ საქართველოში, აღმოსავლეთ საქართველოს მეტად მნიშვნელოვანი გეოგრაფიული არეალია მისი ბარი. იგი შედგება სამი ნაწილისაგან – *შიდა ქართლის, ქვემო ქართლისა და კახეთის ბარისაგან.*

საქართველოში 25 ათასზე მეტი დიდი და პატარა მდინარეა: *მტკვარი, რიონი, ალაზანი, ჭოროხი, ლიახვი, არაგვი, იორი* და მრავალი სხვა. მათ შორის ყველაზე გრძელია და წყალუხვი – რიონი (327 კმ.). რაც შეეხება მტკვარს (სიგრძე 1304 კმ.), მართალია, იგი საქართველოს მთავარი მდინარეა, მაგრამ აქ მისი მხოლოდ შუა ნაწილია – სათავეს იღებს თურქეთში და საქართველოსა და აზერბაიჯანის გავლით ჩაედინება კასპიის ზღვაში.

საქართველოს წყლის რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილია მისი ტბები. აქ არსებობს პატარა, საშუალო და დიდი ზომის ტბები (მათი საერთო რაოდენობა დაახ. 860-ია): *ტაბაწყურის, ფარავნის, რიწის, ყელის, ჩილდირის* (ანუ *ჩრდილის*), *კარწახის, ჯანდარის, ლისის, კუს* (სამი უკანასკნელი ქვეყნის დედაქალაქის – თბილისის მიდამოებშია) და სხვ. ამათგან ზოგიერთი დიდი სიღრმისაა (მაგ. *რიწის ტბის* სიღრმე 150 მ-მდე აღწევს).

საქართველოს დედაქალაქი - *თბილისი* მდ. მტკვრის დინების შუა წელშია გაშლილი. მისი მოსახლეობა დაახლ. 1 მილიონ 300 ათას კაცს შეადგენს. ქვეყნის ისტორიის მანძილზე სხვადასხვა რეგიონშისახელმწიფოებრივი წარმონაქმნების დედაქალაქის ფუნქციას სხვა ქალაქებიც ასრულებდნენ: *მცხეთა*, რომელიც საქართველოს პირველი და უძველესი დედაქალაქია, *ქუთაისი, თიანეთი, თელავი, ახალციხე, ბათუმი, სოხუმი, ზუგდიდი, არტანუჯი* (ეს უკანასკნელი თურქეთის ტერიტორიაზეა).

2002 წლის 17 იანვრის მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობა 4 მილიონ 371 ათას 500 კაცს შეადგენს.

ცხადია, საქართველოს მოსახლეობის ძირითადი და წამყვანი ხალხი, როგორც რაოდენობრივად, ისე თვისობრივად, ქართველებია. ქართველთა ეთნოგრაფიული ჯგუფებია: ქართლელები, კახელები, მთიულები, ხევსურები და სხვ. – აღმოსავლეთ საქართველოში; იმერლები, მეგრელები, სვანები, გურულები, აჭარლები, ლეჩხუმელები და სხვ. – დასავლეთ საქართველოში. საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ რეგიონში ცხოვრობენ აფხაზები. უკანასკნელ დროს სეპარატისტებმა აქ ცალკე, დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულის შექმნა მოინდომეს. გარდა ამისა, საქართველოში მოსახლეობენ: სომხები, აზერბაიჯანელები, რუსები, ოსები, მცირე რაოდენობით ბერძნები, ებრაელები და სხვ.

ქართველთა სარწმუნოება მართლმადიდებლობაა, თუმცა, მცირე რაოდენობით არიან მაჰმადიანი (მუსლიმი) (აჭარაში) და კათოლიკე (სამხრ. საქართველოში - მესხეთში) ქართველებიც.

2. მოკლე ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა

საუკუნეების განმავლობაში, მისი, როგორც პოლიტიკური ორგანიზმის ხანგრძლივი არსებობის მანძილზე, საქართველოს ცალკეული რეგიონები, ეთნოგრაფიული და ადმინისტრაციული ერთეულები, ისევე, როგორც მთლიანად ქვეყანა, სახელებს იცვლიდნენ. ამ ცვლილებებს შეისწავლის სპეციალური საისტორიო დარგი – ისტორიული გეოგრაფია.

საქართველოს ცენტრალური მხარეა *ქართლი*. იგი შედგება შიდა, ქვემო და ზემო ქართლისაგან. შიდა ქართლს დასავლეთით ესაზღვრება ლიხის ქედი, რომელიც იმერეთთან საზღვარიცაა, ხოლო სამხრეთით – თრიალეთის ქედი. ქვემო ქართლს ჩრდილოეთით ესაზღვრება თრიალეთის ქედი, დასავლეთით – ჯავახეთი, სამხრეთით – ერევან-ბამბაკის ქედი, ხოლო აღმოსავლეთით – კახეთი. ქვემო ქართლი მოიცავს მდინარეების – ალგეთის და ხრამის ხეობებს. ზემო ქართლი იგივე მესხეთია. იგი მოიცავს საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას მდ. მტკვრის სათავიდან (მისი შენაკადებითურთ) ტაშისკარამდე, და მდ. ჭოროხის აუზის სათავიდან აჭარისწყლის ხეობამდე. ეს ის ტერიტორიაა, სადაც მდებარეობს ქართული ისტორიული მხარეები: სამცხე, ჯავახეთი, არტაანი, ერუშეთი, კოლა (ყველა მტკვრის ზემო წელზე), კლარჯეთი, შავშეთი, ტაო, ოლთისი, სპერი (ყველა ჭოროხის ზემო წელზე). ყველა მათგანი, სამცხის და ჯავახეთის გამოკლებით, ამჟამად თურქეთის საზღვრებშია. გარდა ამისა, ზემო ქართლს ესაზღვრება ბასიანის მხარე, რომელიც მდ. არაქსის ხეობის მიმდებარე ადგილებია.

ქართლს აღმოსავლეთით ესაზღვრება *კახეთ–ჰერეთი*. აქედან კახეთი მოიცავს მდ. ივრისა და ალაზნის ზემო წელს, ხოლო ჰერეთი – მდ. ივრისა და ალაზნის შუა და ქვემო წელს. XI ს-დან უკვე ისინი ცალკე პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულებს არ წარმოადგენენ და კახეთ-ჰერეთს ერთიანად კახეთი ეწოდება.

აღმოსავლეთ საქართველოს შემადგენლობაში შემოდიოდა მისგან ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე *კახი, ბელაქანი* და *ზაქათალა*. ისინი საქართველოს ჩამოსცილდა XVII-XVIII სს-ში. ამჟამად ეს მხარეები მოქცეულია აზერბაიჯანის რესპუბლიკის შემადგენლობაში.

დასავლეთ საქართველოს უდიდესი რეგიონია *იმერეთი*. საერთოდ, მთელ დასავლეთ საქართველოს უძველეს დროს ეგრისი ეწოდებოდა, ხოლო ეგრისს XI-XII საუკუნეებიდან იმერეთი ჩაენაცვლა. დღეს იმერეთის საზღვრებია: ჩრდილოეთით – რაჭის ქედი, აღმოსავლეთით – ლიხის ქედი (თუმცა, ისტორიულად ქართლის საზღვარი ლიხის დასავლეთით გადადიოდა შორაპან-სკანდის ხაზამდე), სამხრეთით – მესხეთის ქედი, ხოლო დასავლეთით – მდ. ცხენისწყალი.

მდ. ცხენისწყლის დასავლეთით, ანაკოფიამდე ანუ დღევანდელ ახალ

ათონამდე, მდებარეობდა *სამეგრელო*, ანუ ოდიშის ვრცელი სამთავრო, რომლის პოლიტიკური საზღვრები დასავლეთით, განსაკუთრებით გვიან შუა საუკუნეებში, ძალზე მერყეევი და ცვალებადი იყო. ამ საზღვარმა XVIII ს-ის დასაწყისში, სამხრეთ-აღმოსავლეთით მდ. ენგურამდე გადმოიწია, რომლის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს აფხაზეთი.

აფხაზეთი საქართველოს ძირძველი ისტორიული რეგიონია. იგი დღეს დასახლებულია ადიღეურ-ჩერქეზული წარმოშობის აფსუებით. უძველეს დროს და მთელს შუა საუკუნეებში აფხაზეთი დასახლებული იყო ისეთივე ქართველური ტომებით, როგორც საქართველოს სხვა რეგიონები. გვიან შუა საუკუნეებში აქ, კავკასიონის მთიანეთიდან მოსახლეობის ჩამოსახლების შედეგად, ეთნიკური ტრანსფორმაცია მოხდა. თუმცა, 1993 წლამდე, გარეშე ძალების დახმარებით აფსუების მიერ მეოთხედი მილიონი ქართველი მოსახლეობის გამოდევნამდე და აფხაზეთის ტერიტორიაზე ეთნიკური წმენდის ჩატარებამდე, აქ ქართული მოსახლეობა რიცხობრივადაც და თვისობრივადაც წამყვანი და უპირატესი იყო.

დასავლეთ საქართველოს კიდევ ერთი ისტორიული რეგიონია *გურია*. იგი მდებარეობს მდ. რიონსა, მესხეთის ქედსა და შავ ზღვას შორის. თანამედროვე გურიის შავ ზღვაზე გასასვლელის უმნიშვნელოვანესი პუნქტია სუფსა და მისი ნავთობის შთამბეჭდავი ტერმინალი, რომელიც საერთაშორისო მნიშვნელობისაა.

საქართველოს უკიდურესი სამხრეთ-დასავლეთი მხარეებია სამხრეთ-აღმოსავლეთით შავიზღვისპირეთზე შეფენილი *აჭარა* და *ლაზეთი*, ანუ ჭანეთი. ლაზეთ-ჭანეთი ამჟამად თურქეთის საზღვრებშია. ლაზებმა დღემდე შემოინახეს საკუთარი სასაუბრო ენა – მეგრულის მონათესავე კილო-კავი.

აქ დასახლებული მხარეები საქართველოს ტერიტორიის სხვებთან შედარებით ბარის მხარეებია. ეს სხვებია, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს მთიანეთი თავიანთი ეთნოგრაფიული კუთხეებით. ამის შესაბამისად აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მდებარეობს – დვალეთი, მთიულეთი და ხევი – შიდა ქართლის მთიანეთში, *თუშეთი*, *ფშავი* და *ხევსურეთი* – კახეთის მთიანეთში. საინტერესო სახელია – *ფხოვი*, რომელიც ძველად ფშავ-ხევსურეთს ეწოდებოდა. დასავლეთ საქართველოსაც გააჩნია თავისი მთიანეთი – *სვანეთი, ლეჩხუმი, რაჭა*. აქაც, მსგავსად აღმოსავლეთ საქართველოს ფშავ-ხევსურეთისა, ორ მხარეს – ლეჩხუმსა და რაჭას ძველად *თაკვერი* ეწოდებოდა.

თითოეულ აქ დასახლებულ მხარეს თავისებური მატერიალური და სულიერი კულტურა, ეთნოგრაფიული ყოფა გააჩნია, რომელიც მთლიანობაში ერთიან, ქართულ კულტურასა და ყოფას ქმნის. წარსულში ისინი უფრო მკვეთრად იყო გამოხატული, ინდივიდუალური ნიშნებით აღბეჭდილი, ხოლო ამჟამად მათი ნიველირების შეუქცევადი პროცესი მიმდინარეობს. ბევრი დამახასიათებელი და მნიშვნელოვანი ნიშანი უკვალოდ ქრება და იკარგება

ისე, რომ ზოგჯერ დაფიქსირებულიც არ არის. ეს ქართული, ადგილობრივი გლობალიზაციის ერთ-ერთი გამოვლენაა, რომელიც საერთო გლობალიზაციის პროცესის განუყოფელი ნაწილია.

3. ძირითადი საისტორიო წყაროები

ნებისმიერი ქვეყნის და მათ შორის საქართველოს ისტორია გარკვეულ მასალას ეყრდნობა, რომელსაც საისტორიო წყარო ეწოდება. არსებობს საისტორიო წყაროს ზოგადი კლასიფიკაცია, რომლის თანახმად ისინი იყოფა ორ ჯგუფად – მატერიალური კულტურის და სულიერი კულტურის ძეგლები. მატერიალური კულტურის ძეგლები, თავის მხრივ, იყოფა ორ ჯგუფად – მიწის ზემოთ არსებული ძეგლები და მიწისქვეშა ძეგლები, ანუ არქეოლოგიური მასალა. მიწის ზემოთ არსებული ძეგლები, თავის მხრივ, იყოფა ორ ნაწილად – ხუროთმოძღვრული ძეგლები, როგორც საერო, ისე საეკლესიო – საკულტო და ეთნოგრაფიული ყოფის საგნები. არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალა ხშირად მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული, რადგან ზოგჯერ პირველის ცალკეული ძეგლის დანიშნულების ახსნა და მნიშვნელობის გარკვევა მეორის დახმარებით და ანალოგიითაა შესაძლებელი.

სულიერი კულტურის ძეგლები, თავის მხრივ, იყოფა ორ ჯგუფად – წერილობითი ძეგლები და ზეპირსიტყვიერების ნიმუშები. აქვე შემოდის ენათმეცნიერული, ანუ ლინგვისტური მასალა. წერილობითი ძეგლები, ასევე, თავის მხრივ, იყოფა ორ ჯგუფად – დოკუმენტური მასალა და ნარატიული ანუ თხრობითი ძეგლები. დოკუმენტური მასალა იყოფა ცალკეულ ჯგუფებად: ისტორიული საბუთები, ეპიგრაფიკული ძეგლები ანუ ძველი წარწერები, რომლის ცალკეული ნიმუშები შინაარსობრივად ასევე შეიძლება ისტორიული საბუთები იყოს და სხვ. აქვე შემოდის მონეტები და მათი წარწერები, ანუ ნუმიზმატიკური ძეგლები, თუმცა, ისინი შეიძლება მატერიალური კულტურის ძეგლების ჯგუფშიც იქნეს განხილული. ნარატიული, ანუ თხრობითი წერილობითი ძეგლები თავის მხრივ იყოფა სხვადასხვა ჯგუფებად: საისტორიო თხზულებები, მხატვრული ლიტერატურის ძეგლები, უცხოენოვანი წერილობითი ძეგლები.

ზეპირსიტყვიერების ნიმუშების უმთავრესი ძეგლებია: თქმულებები, ბალადები, ხალხური გადმოცემები და სხვ. ისინიც, ჩვეულებრივ, ლიტერატურული ძეგლების სახითაა დაფიქსირებული (მაგ., თქმულება არგონავტებზე, რომლის რამდენიმე წერილობით ფიქსირებული ვარიანტია ცნობილი და სხვ.).

საისტორიო წყაროების მთელი ეს მრავალფეროვნება, და სხვაც, მოეპოვება საქართველოს ისტორიასაც.

არქეოლოგიური ძეგლები არის უმნიშვნელოვანესი მასალა საქართველოს უძველესი (ე.წ. პრეისტორიული ხანის) და ძველი ისტორიის შესასწავლად.

საერთოდ, არქეოლოგიური სამუშაოები სიძველეთა მეცნიერული შესწავლის მიზნით კავკასიაში, და კერძოდ, საქართველოში, ისევე, როგორც დედამიწის სხვა რეგიონებში, XIX ს-ში დაიწყო. მაგრამ, ასეთი სამუშაოები ერთეული იყო და მას სისტემატური ხასიათი არ ჰქონია. მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანი იყო რუსეთის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების V ყრილობის თბილისში ჩატარება 1881 წელს, რომელმაც ბიძგი მისცა საქართველოს, და მთლიანად, კავკასიის სიძველეთა შესწავლას. ისიც უნდა ითქვას, რომ არქეოლოგიას მაშინ განსხვავებული მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე დღეს აქვს. მაგ., V არქეოლოგიურ ყრილობაზე წარმოდგენილი იყო მოხსენებები ქვის ხანის ძეგლების შესწავლით დაწყებული და ქართული დამწერლობის წარმოშობისა და ქართული პალეოგრაფიის საკითხებით დამთავრებული.

სისტემატური ხასიათის მეცნიერული არქეოლოგიური გათხრები საქართველოში XX ს-ის 30-იანი წლებიდან დაიწყო, როდესაც ამ საქმეს აწარმოებდნენ პროფესიონალი არქეოლოგები (გ. ნიორაძე, ალ. კალანდაძე...). განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო და დიდად გაუთქვა სახელი იმდროინდელ ქართულ არქეოლოგიას მცხეთის (სამთავრო, ბაგინეთი, არმაზისხევი...) არქეოლოგიურმა გათხრებმა, რომლის საერთო ხელმძღვანელი ი. ჯავახიშვილი იყო.

მატერიალური კულტურის მიწისქვეშა ძეგლები ძირითადი წყაროა საქართველოს ტერიტორიაზე ე.წ. წინაკლასობრივი და კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბებისა და მათთვის დამახასიათებელი ნიშნების შესასწავლად. მეტად დიდია მათი მნიშვნელობა ანტიკური ხანის საქართველოს ქალაქების (მცხეთა, ვანი, საირხე, ურბნისი, ქუთაისი...) ყოფისა და კულტურის, განსაკუთრებით იმდროინდელი ოქრომჭედლობის, სამონეტო სისტემის, სხვა ქვეყნებთან, გარე სამყაროსთან სავაჭრო და კულტურული ურთიერთობების შესასწავლად.

უკანასკნელ წლებში, საერთაშორისო მნიშვნელობა მოიპოვა პრეისტორიული ადამიანისა და მისი გარემოს ნაშთების აღმოჩენამ დმანისის ნაქალაქარზე. ეს ძეგლები სპეციალისტთა მიერ დაახ. 1 მილიონ 800 ათასი წლითაა დათარიღებული და მათ პირველ ევროპელებად მიიჩნევენ.

შუა საუკუნეების ანუ მედიევისტური არქეოლოგიის ძეგლები – ნაქალაქარები (დმანისი, ნოქალაქევი), ნაციხარები (უჯარმა), ნაეკლესიარ-ნამონასტრალები (გუდარეხი, ურბნისი...). ისევე, როგორც მიწის ზემოთ არსებული ანალოგიური ძეგლები უმნიშვნელოვანესი მატერიალური წყაროა შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის შესასწავლად.

მატერიალური კულტურის ძეგლების, როგორც საისტორიო წყაროს ყველა უპირატესობის მიუხედავად, რაც პირველ რიგში გამოიხატება იმაში, რომ ისინი ხელშესახებია და თვალით დაინახება, მაინც განუზომლად დიდი მნიშვნელობა აქვს წერილობით ძეგლებს, თვითმხილველთა ან ძველ ისტორიკოსთა მონათხრობს, სიტყვიერად დაფიქსირებულ მასალას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც დამწერლობის მქონე და ძველი ისტორიის ყველა კულტურული ერი, ქართველობაც ადრევე დაინტერესებულა თავისი წარსულით. საუკუნეთა განმავლობაში შეიქმნა მეტად მდიდარი ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, რომელიც უმნიშვნელოვანესი ღირებულების პირველწყაროა საქართველოს ისტორიის შესასწავლად. ისინი ადრეშუასაუკუნეებში, თანამედროვე ქართული დამწერლობის წარმოშობის თითქმის პირველ ხანებში იღებენ სათავეს.

ძველი ქართული ორიგინალური საისტორიო მწერლობის უმნიშვნელოვანესი ძეგლებია „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და „ქართლის ცხოვრება“. პირველის შექმნა ივარაუდება დაახ. VII ს-ში, თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ მასში უფრო ადრეული ხანის – V ს-ის პლასტებიც იყოს. ეს ძეგლი მოგვითხრობს ქართველთა მოქცევის, გაქრისტიანების ამბავს. მეორე ძეგლის ბირთვი შეიქმნა XI ს-ში; ამ ბირთვის შექმნა მიეწერება ისტორიკოსსა და მღდელმთავარს – რუისის ეპისკოპოსს, *ლეონტი მროველს*; იგი საუკუნეთა განმავლობაში შეივსებოდა ახალ-ახალი საისტორიო თხზულებებით და მოგვითხრობს საქართველოს ისტორიას უძველესი დროიდან XIV ს-ის ჩათვლით – ეს ძველი ქართლის ცხოვრება, ან XVII ს-ის ჩათვლით – ეს ახალი ქართლის ცხოვრება. „ქართლის ცხოვრება“ შედგება ერთმანეთზე გაბმულ თხრობად გადაბმული ცალკეული თხზულებებისაგან, რომელთა ავტორები ზოგჯერ ცნობილია (ლეონტი მროველი, ჯუანშერ ჯუანშერიანი, სუმბატ დავითისძე), ხოლო უმეტეს შემთხვევაში უცნობი და მოიხსენიება მკვლევართა მიერ შერქმეული სახელებით (დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ბასილი ეზოსმოძღვარი, ჟამთააღმწერელი, ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე...). ცნობილია „ქართლის ცხოვრებასთან“ დაკავშირებული XVIII ს-ის კიდევ ერთი სწავლული ისტორიკოსის – *ბერი ეგნატაშვილის* სახელი, რომელიც მეფე ვახტანგ VI-ის მიერ ჩამოყალიბებულ „სწავლულ კაცთა კომისიის“ ხელმძღვანელი ყოფილა და მისი მეთაურობით ამ კომისიას „ახალი ქართლის ცხოვრება“ - XVI-XVII სს. ისტორია შეუქმნია სხვადასხვა საისტორიო წყაროების, მათ შორის, ისტორიული საბუთების გამოყენებით.

XVIII ს-ში მოღვაწეობდა ისტორიკოსი და გეოგრაფი *ვახუშტი ბატონიშვილი*, უკანონო შვილი მეფე ვახტანგ VI-ისა, რომლის მონუმენტური ნაწარმოებია „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. იგი საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირველწყაროა, შეიცავს წმინდა თეორიული თვალსაზრისით მრავალ სიახლეს (მაგ., გარემოს როლი საზოგადოების ცხოვრებაში, ქვეყნის გეოგრაფიულ ზონებად დაყოფის პრინციპი, ფსიქოლოგიური ფაქტორის როლი...)და უსწრებს თავისი ეპოქის, როგორც რუსულ (ვახუშტიმ ცხოვრების უმეტესი და მეცნიერული შემოქმედების მიხედვით უმნიშვნელოვანესი ნაწილი რუსეთში, მოსკოვში გაატარა), ისე ევროპულ მეცნიერებას. აღსანიშნავია ისიც, რომ ვახუშტი ბატონიშვილი ქართული მეცნიერული კარტოგრაფიის ფუძემდებელია და მისი კარტოგრაფიული ნაშრომები იმდროინდელი მსოფლიო კარტოგრაფიის დონისაა.

XVIII ს-ის II ნახ-ში მოღვაწეობდნენ ქართველი ისტორიკოსები *პაპუნა ორ-ბელიანი, სეხნია ჩხეიძე, ომან ხერხეულიძე*... რაც შეიქმნა XIX ს-ში, ეს უკვე ქართული ისტორიოგრაფიის სფეროს განეკუთვნება და მას ქვემოთ ცალკე განვიხილავთ.

საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი წერილობითი წყაროებია დოკუმენტური ძეგლები: ისტორიული საბუთები, წარწერები, ხელნაწერთა ანდერძ-მოსახსენიებლები, სააღაპე ჩანაწერები ან წიგნები... ცხადია, მათ შესწავლასაც თავისი ისტორია მოეპოვება, მაგრამ უნდა აღინიშნოს ამ ისტორიის მხოლოდ ბოლო, ფინალური ეტაპის შესახებ – XX ს-ის 80-იან წლებში დაიწყო ორი სამეცნიერო სერიის - „ქართული ისტორიული საბუთების კორპუსის“ და „ქართული წარწერების კორპუსის“ გამოცემა. „კორპუსის“, როგორც გამოცემის თავისებური სახეობიდან გამომდინარე, მათში სრულად უნდა იყოს წარმოდგენილი შესაბამისი ტიპის საისტორიო წყარო. რამდენიმე ტომად განზრახული ამ სერიების გამოცემა, სხვადასხვა მიზეზთა გამო, ჯერჯერობით შეჩერებულია (გამოიცა „ქართული ისტორიული საბუთების კორპუსის“ 1 ტომი და „ქართული წარწერების კორპუსის“ 3 ტომი).

როგორც საისტორიო წყარო დიდი მნიშვნელობისაა ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები: „წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი, დედოფლისაჲ“ (V ს.), „აბო ტფილელის წამება“ (VIII ს.), „კონსტანტი-კახის მარტვილობა“ (IX ს.), „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ (954), „მიქაელ-გობრონის წამება“ (912-918) და მრავალი სხვ., ხოლო გვიანი შუასაუკუნეების ქართული ლიტერატურის ძეგლებიდან - „თეიმურაზიანი“, „არჩილიანი“, „დავითიანი“ და სხვ. მათში ზოგჯერ ისეთი რეალია ან თუნდაც ისტორიული ფაქტია გადმოცემული, რომელიც სხვა სახის წყაროში არ მოიპოვება.

საქართველოს ისტორიის შესასწავლად მნიშვნელოვანია უცხოენოვანი საისტორიო წერილობითი წყაროების ცნობები. ქრონოლოგიურად პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ძველაღმოსავლური – ასურულ-ბაბილონური და ურარტული ლურსმული დამწერლობების ძეგლები – პირველი და უძველესი ცნობები ქართველი ტომების ან მათი წინაპრების განსახლების ადგილებისა და წინასახელმწიფოებრივი თუ სახელმწიფოებრივი წყობის შესახებ სწორედ ამ წყაროებში მოიპოვება. მათი და მათი მონაცემების შესწავლისა და საისტორიო წყაროდ გამოყენების კარგი ტრადიცია არსებობს საქართველოში (გ. წერეთელი, გ. მელიქიშვილი). ამ საქმეში ქართული ისტორიოგრაფია მსოფლიო დონეს გაუთანაბრდა.

ქრონოლოგიურად მომდევნოა ბერძნული – როგორც ანტიკური ხანის (ჰეროდოტე, ქსენოფონტე, ტაციტუსი, სტრაბონი...), ისე რომაული და ბიზანტიური წყაროები. მნიშვნელოვანია, რომ ცნობები ქართველების შესახებ მოიპოვება უკვე „ისტორიის მამის“, დიდი ბერძენი ისტორიკოსის, ჰეროდოტეს (ძვ. წ. V ს.) „ისტორიაში“, ხოლო ძველი საბერძნეთის სარდალმა და ფილოსო-

ფოსმა ქსენოფონტემ (ძვ.წ.V ს.) თავისი ჯარის ნაწილებთან ერთად პირადად გაიარა სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მცხოვრები ქართველი ტომების განსახლების ადგილებში და დაგვიტოვა მეტად მნიშვნელოვანი ჩანაწერები თავისსავე „ანაბაზისში“ („უკუსვლა ზღვისკენ“) მათი სამეურნეო ყოფისა და საყოფაცხოვრებო კულტურის შესახებ (მაგ., სახლების აშენება ხმინჯებზე) საცხოვრებელი ოთახების ნესტისაგან დაცვის მიზნით, რასაც დღესაც მიმართავენ დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით გურია-სამეგრელოში...).

მდიდარ სომხურ საისტორიო მწერლობაში, დაწყებული V ს-იდან (ეღიშე, ლაზარ ფარპეცი) თვით XVIII ს-ის ჩათვლით, მრავალი ძვირფასი ცნობა მოიპოვება საქართველოს შესახებ, ისევე, როგოც ქართულ საისტორიო მწერლობაში სომხეთის და, საერთოდ, კავკასიის ხალხების შესახებ. მაგ., მხოლოდ სომხურმა საისტორიო მწერლობამ და კერძოდ, XIII ს-ის ქართული წარმოშობის ისტორიკოსმა სტეფანოზ ორბელიანმა შემოგვინახა შედარებით დაწვრილებითი და დეტალური ცნობები XII ს-ის საქართველოს ისეთი მრავალმხრივ მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენის შესახებ, როგორიცაა დიდებულთა გამოსვლა 1177 წელს მეფე გიორგი III-ის წინააღმდეგ, რომელმაც შეძრა იმდროინდელი არა მარტო საქართველო, არამედ მთელი კავკასია; ანდა ფეოდალური ქართული მონარქიის ფაქტიურად საფუძვლის ჩამყრელის, იმდროინდელი კავკასიის ლიდერის, მეფე დავით კურაპალატის ცხოვრების აღსასრულის შესახებ, რომელიც XI-XII სს-ის სომეხი ისტორიკოსების – არისტარკეს ლასტივერტცისა და მათეოს ურჰაეცის ცნობით ძალადობით აღსრულებულა – მძინარე მოხუცი მეფე ბალიშით გაუგუდავთ ბიზანტიის იმპერატორის წაქეზებით და მრავალი სხვ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ XII ს-ში სომხურად უთარგმნიათ „ქართლის ცხოვრება“, რამაც, ცხადია, გაამდიდრა სომხური საისტორიო მწერლობა.

საერთოდ, მთელი სერია არსებობს თანამედროვე ქართულ საისტორიო წყაროთმცოდნეობაში სახელწოდებით „საქართველოს ისტორიის წყაროები“, რომელშიც გამოქვეყნებულია, როგორც უცხოელი ავტორების, ისე ქართული საისტორიო წყაროები სათანადო გამოკვლევებითა და კომენტარებით. ყოველ ახალ გამოცემას დართული აქვს მანამდე განხორციელებული გამოცემების სია (პირველი წიგნი გამოიცა 1976 წელს - „შაჰ თამაზის საუბარი ოსმალეთის ელჩებთან“), რომლის მეშვეობით ადვილია მთელი სერიის გაცნობა. მაგ., ამ სერიის ბოლო გამოცემის მიხედვით (ანდერძი დავით აღმაშენებლისა შიომღვიმისადმი, თბ., 2003) 83 პუბლიკაცია განხორციელებულა, რომელშიც წარმოდგენილია საქართველოს ისტორიის წყაროები სპარსულ, სომხურ, თურქულ, ბერძნულ, იტალიურ, ფრანგულ, არაბულ, ინგლისურ, ესპანურ და ქართულ ენებზე (ბუნებრივია, ეს უკანასკნელი სხვებს ბევრად ჭარბობს).

ისევე, როგორც მეცნიერების ბევრი დარგი XIX ს-ში ჩამოყალიბდა ან შეიქმნა, საქართველოს ისტორიის მეცნიერული შესწავლაც ამ დროიდან იწყება. ამ საუკუნის 70-იან წლებში პეტერბურგში გადასახლებულ ქართველ ბატონიშვილს, მეფე ერეკლე II-ის ძეს *თეიმურაზ ბაგრატიონს*, რუსეთის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის პირველ საპატიო ქართველ წევრს, შეუქმნია ნაშრომი „ახალი ისტორია", ხოლო მის ძმას, იოანე ბაგრატიონს, ავტორს სახელგანთქმული „კალმასობისა" - „ქართლ-კახეთის აღწერა". მართალია, ამ ნაშრომებს ამჟამად საისტორიო წყაროს მნიშვნელობა და ღირებულება აქვთ, მაგრამ ახალი ქართული ისტორიოგრაფიის, ასე ვთქვათ, პირველ მერცხლებად სწორედ ისინი უნდა მივიჩნიოთ.

რადგან რუსეთის იმპერიის საგარეო პოლიტიკისთვის XIX ს-ის დასაწყისიდან აქტუალური და პრიორიტეტული გახდა აღმოსავლეთის საკითხი, გამოიყო დიდძალი თანხა აღმოსავლეთის ქვეყნების და ხალხების შესასწავლად. პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთის ფაკულტეტზე, მეცნიერებათა აკადემიაში, საგარეო უწყების აზიურ დეპარტამენტში მოწვეულ იქნა აღმოსავლეთმცოდნე სპეციალისტები და მომზადდა ადგილობრივად კადრები ამ ქვეყნების კომპლექსური შესწავლისათვის. 1830 წელს მიწვეულ მეცნიერებს შორის იყო *მარი ქსავიე ფელისიტე ბროსე* (1802-1881), ანუ მარტივად მარი ბროსე (რუსეთში კოლეგები მას მარი ივანიჩს ეძახდნენ), რომელმაც დიდი როლი შეასრულა საქართველოს წარსულის შესწავლაში და, რაც მთავარია, თავისი მრავალმხრივი მეცნიერული მოღვაწეობით იგი შეიქნა ევროპული ქართველოლოგიის ფუძემდებელი. მარი ბროსემ ფრანგულად თარგმნა „ქართლის ცხოვრება", დაურთო მას შენიშვნები და დამატებები და ქართულ ტექსტთან ერთად 8 მონუმენტურ ტომად გამოსცა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობაში. ესაა პირველი და დღემდე ერთადერთი სრული თარგმანი „ქართლის ცხოვრებისა" უცხო ენაზე (არსებობს ცალკეული ნაწილების გამოცემული თარგმანები რუსულ, ინგლისურ, გერმანულ ენებზე), რომელსაც მიუხედავად მისი გამოცემიდან საუკუნენახევარზე მეტი დროის გასვლისა, დღემდე არ დაუკარგავს მეცნიერული მნიშვნელობა. საქართველოს ისტორიის წყაროების საფუძვლიანი შესწავლის, ადგილებზე გაცნობის და გამოცემის შემდეგ, მ. ბროსემ თვითონაც გამოსცა „საქართველოს ისტორია" ფრანგულ ენაზე, რომლის თარგმანი XIX ს-ის ბოლოს, მაშინდელი მოწინავე ქართველი საზოგადოების წარმომადგენლების თაოსნობით, თბილისში გამოიცა ქართულ ენაზე (არსებობს მისი ახალი გამოცემაც 1998 წ.-სა).

XIX ს-შივე დიდი ღვაწლი დასდეს საქართველოს ისტორიის შესწავლას *პლატონ იოსელიანმა* (1809-1875) და *დიმიტრი ბაქრაძემ* (1827-1890). პირველმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწერა „ცხოვრება გიორგი XIII-ისა“, რომელიც XVIII ს-ის II ნახევრისა და XIX ს-ის დასაწყისის საქართველოს ისტორიის ფართო პანორამაა, ხოლო მეორე ავტორია წიგნისა „ისტორია საქართველოსი უძველესი დროიდან X ს-ის დასასრულამდე“. გარდა ამისა, დიმიტრი ბაქრაძეს ეკუთვნის რუსულ ენაზე გამოცემული მრავალი შესანიშნავი გამოკვლევა, რომელთა შორის ნაშრომს **“Археологическое путешествие по Гурии и Адчаре”** (СПб., 1878) დღემდე არ დაუკარგავს თავისი მეცნიერული ღირებულება. აღსანიშნავია, რომ ეს ნაშრომი დიმიტრი ბაქრაძემ მიუძღვნა აკად. მარი ბროსეს, რომლის შესახებ მიძღვნაში წერს, რომ მან „მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ქართული ლიტერატურის უცნობი და ნაკლებად ცნობილი წყაროების შესწავლას“. დიმიტრი ბაქრაძის ეს ნაშრომი 1987 წელს ქართულადაც გამოიცა. დიმიტრი ბაქრაძე ავტორია აგრეთვე ნაშრომისა **“Грузинская палеография”**, რომელშიც პირველადაა დასმული ქართული დამწერლობათმცოდნეობის ის საკითხები, რომლებიც შემდეგში გააღრმავა და განავრცო ივ. ჯავახიშვილმა და რომლებიც დღესაც აქტუალურია სამეცნიერო თვალსაზრისით (ქართული დამწერლობის წარმოშობა, თეორიები ამის გარშემო, ქართული დამწერლობის სახეობები, მათი განვითარების საფეხურები, თითოეული სახეობის ძირითადი, უმთავრესად – თარიღიანი ნიმუშები, დამწერლობის განვითარების ერთიანი ტაბულის შედგენა თარიღიანი წერილობითი ძეგლების მიხედვით და მრავალი სხვა). მანვე შეადგინა გამოჩენილ რუს ხელოვნებათმცოდნე და ბიზანტინისტ აკად. ნიკოდიმე კონდაკოვთან ერთად ქართულ ეკლესია-მონასტრებში დაცული ხატ-ჯვრებისა და საეკლესიო სიწმინდეების პირველი მეცნიერული აღწერილობა, რომლის მნიშვნელობა დღესაც დიდია, განსაკუთრებით ჩვენამდე არმოღწეული ძეგლების შესწავლისათვის. დიმიტრი ბაქრაძე იყო რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (ნამდვილი წევრი ვერ გახდა იმის გამო, რომ აკადემიის წესდების თანახმად, ნამდვილ წევრს უნდა ეცხოვრა და ემოღვაწა ან პეტერბურგში, ან მოსკოვში).

მართალია, საქართველოს ისტორიაზე განმაზოგადებელი ნაშრომი არ შეუქმნია, მაგრამ საქართველოს ისტორიის, როგორც ნარატიული, ისე დოკუმენტური წერილობითი წყაროების შესწავლით და მეცნიერული გამოცემით ამ დარგის შესწავლას მკვიდრი საფუძველი შეუქმნა *ექვთიმე თაყაიშვილმა* (1863-1953). თავისი ხანგრძლივი სამეცნიერო მუშაობის მანძილზე, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ (საფრანგეთში) მან ასეულობით ქართული წერილობითი წყარო გამოაქვეყნა მის მიერვე დაარსებულ სერიებსა – „არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი“ (2 წიგნი), „საქართველოს სიძველენი“ (4 წიგნი), „ძველი საქართველო“ (4 წიგნი) და ცალკეულ მონოგრაფიებში („არქეოლოგიური ექსპედიცია 1902 წელს კოლა-ოლთისსა და ჩანგლში“, „არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს“, „1917

წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში“ - ქართულ და რუსულ ენებზე და სხვ.). ექვთიმე თაყაიშვილის დამსახურება ქართველი ერისა და ქართული კულტურის წინაშე განსაკუთრებით დაუვიწყარია იმ ღვაწლის გამო, რომელიც მან დასდო 1921 წელს საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ, ბოლშევიკური საფრთხისაგან დაცვის მიზნით, საზღვარგარეთ გატანილი ქართული ეროვნული განძის შენახვის, დაცვის და 1945 წელს კვლავ საქართველოში დაბრუნების საქმეს. ე. თაყაიშვილი ქართულმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა (2001 წ.) და მას ექვთიმე ღვთისკაცი უწოდა.

XIX ს-ის ბოლოს გამოვიდა სამეცნიერო ასპარეზზე და XX ს-ის 40-იან წლებამდე აქტიურად მოღვაწეობდა *ივანე ჯავახიშვილი* (1871-1940). მან პეტერბურგის უნივერსიტეტში ჰუმანიტარული კვლევა-ძიების საფუძვლიანი აკადემიური სკოლა გაიარა და დიდ სწავლულთან ნიკო მართან მოპოვებული გამოცდილება და სამეცნიერო კვლევის უნარ-ჩვევები მთლიანად მოახმარა ქართული მეცნიერების აღორძინებას. იგი არამარტო დიდი მეცნიერი იყო, არამედ დიდი საზოგადო მოღვაწეც. 1918 წელს მისი თაოსნობით დაარსდა თბილისის უნივერსიტეტი, რომელიც მალევე სახელმწიფო დაწესებულებად გადაიქცა და ქართული მეცნიერების მრავალმხრივი აღორძინების კერა გახდა, მოამზადა საფუძველი სამეცნიერო სასწავლებლების დაარსებისა და თვით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჩამოყალიბებისათვის. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ამჟამად სამართლიანად ატარებს მის სახელს (ერთ დროს იგი სტალინის სახელობისა იყო). ივ. ჯავახიშვილის, როგორც მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის დიდი დამსახურების აღიარებაა ისიც, რომ იგი ერთადერთია ქართველ მეცნიერებს შორის, რომელიც ახალი ქართული სახელმწიფოს ფულის ერთ-ერთ (5 ლარიან) კუპიურაზეა გამოსახული.

მაგრამ განსაკუთრებულია ივ. ჯავახიშვილის ღვაწლი საქართველოს ისტორიის, როგორც მეცნიერების განვითარების საქმეში. ივ. ჯავახიშვილი პირველ რიგში ცნობილია და წარმოგვიდგება, როგორც მეცნიერი-ისტორიკოსი. გარდა იმისა, რომ მის კალამს ეკუთვნის ხუთტომიანი განმაზოგადებელი ნაშრომი „ქართველი ერის ისტორია“ (I ტომის პირველი გამოცემა გამოვიდა 1913 წელს (სულ გამოცემულია ხუთჯერ), V ტომი, მასალები გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისათვის – 1953 წელს), მან საფუძველი ჩაუყარა მთელ რიგ საისტორიო დისციპლინებს – ქართულ დიპლომატიკას (საბუთებისმცოდნეობა), ქართულ ნუმიზმატიკას და მეტროლოგიას, ქართულ პალეოგრაფიას, ქართული მუსიკის ისტორიას, ქართული სამშენებლო საქმის ისტორიას, ძველი ქართული საისტორიო მწერლობის ისტორიას და სხვ. აქტუალურია და გარდა მეცნიერული ღირებულებისა, პოლიტიკური დატვირთვის მატარებელია მისი ვრცელი მონოგრაფია „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“ (1938), რომელშიც გატარებულია აზრი კავკასიური ენების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი საერთო წარმოშობის შესახებ. ამით დასაბუთებულია XI ს-ის ქართველი ისტორიკოსის ლეონტი მროველის თეორია კავკასიელი ხალხების საერთო წარმოშობაზე, რომელიც შუა საუკუნეებში კავკასიის ქვეყნების საქართველოს გარშემო გაერთიანების იდეოლოგიური საფუძველი იყო, რაც, პრაქტიკულად განხორციელდა კიდეც XII ს-ში.

ივ. ჯავახიშვილი თვალსაჩინო ფილოლოგიც იყო (ცალკე წიგნადაა გამოცემული მისი ფილოლოგიური შრომების კრებული). მისი გამოკვლევები კათალიკოს ნიკოლოზ გულაბერისძის, როგორც მწერლის შესახებ, შოთა რუსთველზე, რომელსაც მან რამდენიმე წერილი უძღვნა, ილია ჭავჭავაძეზე, როგორც ისტორიკოსზე (ი. ჭავჭავაძის კალამს ეკუთვნის XIX ს-ის საქართველოს ისტორია და ივ. ჯავახიშვილი ცალკე ნაშრომის სახით თვითონაც ავტორია XIX ს-ის საქართველოს ისტორიისა რუსულ ენაზე) ყოველთვის იქნება ქართული ისტორიული და ფილოლოგიური კვლევის სინთეზის ნიმუში. 1973-2002 წლებში გამოიცა ივ. ჯავახიშვილის თხზულებათა თორმეტტომეული, რომელშიც შევიდა ყველა მისი ძირითადი ნაშრომი და რომელიც სამართლიანადაა მიჩნეული კავკასიის ხალხთა ენციკლოპედიად. ივ. ჯავახიშვილი პირველია და დღემდე ერთადერთი, რომლის ცხოვრებას, საზოგადო მოღვაწეობასა და სამეცნიერო შემოქმედებას, ცალკე, პერსონალური ენციკლოპედიური ლექსიკონი მიეძღვნა (2002). ამით საფუძველი ჩაეყარა პერსონალური ენციკლოპედიების შედგენას და გამოცემას საქართველოში.

ივ. ჯავახიშვილმა შექმნა ისტორიკოსთა სამეცნიერო სკოლა. მისი მოწაფეები და მოწაფეთა მოწაფეები ბოლო რამდენიმე ათეული წელია წარმატებით მოღვაწეობენ საქართველოს ისტორიის ფრონტზე. მათ შორის პირველ რიგში უნდა დასახელდნენ მისი უშუალო მოწაფეები *სიმონ ჯანაშია* და *ნიკო ბერძენიშვილი*. პირველმა მან მარქსისტული კლასობრივი ბრძოლის კონცეფციის საფუძველზე დაყრდნობით გაიაზრა ფეოდალური პერიოდის საქართველოს ისტორიის საკითხები და შექმნა ფუძემდებლური ნაშრომები - „ფეოდალური რევოლუცია საქართველოში“ და „საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე“, რომლებიც მეცნიერული ანალიზის სიღრმისა და განმაზოგადებელი სინთეზური კვლევის დონის გამო ყოველთვის დარჩება საქართველოს ისტორიის ოქროს ფონდში. ნ. ბერძენიშვილმა დატოვა მრავალრიცხოვანი ნაშრომები საქართველოს ისტორიის სულ სხვადასხვა საკითხებზე (გამოცემულია ცხრა წიგნად. პირველი წიგნი გამოიცა ორჯერ – მეორედ შევსებული სახით კონიუქტურული კუპიურების გარეშე). იგი ქართულ ისტორიოგრაფიაში ითვლება ისტორიული გეოგრაფიის, როგორც ცალკე სამეცნიერო დარგის შემქმნელად.

მომდევნო დროის ისტორიკოსებიდან აღსანიშნავია *გიორგი მელიქიშვილი* და შოთა მესხია. პირველი იყო აღმოსავლეთმცოდნე-ისტორიკოსი, რომელმაც ძველი აღმოსავლური წყაროები წარმატებით გამოიყენა და ჩართო საქართველოსა და კავკასიის უძველესი ისტორიის კვლევის საქმეში. გ. მელიქიშვილი

საქართველოს პარლამენტის

მეცნიერული კვლევის მასშტაბებით გასცდა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს და იგი მსოფლიო დონის მეცნიერ-ისტორიკოსია. პირველად მან შეადგინა მსოფლიოში ურარტული ლურსმული წარწერების კორპუსი (გამოიცა ორჯერ მოსკოვში, რუსულ ენაზე – სამეცნიერო ჟურნალში პუბლიკაციის სახით და ცალკე წიგნად). ამ ნაშრომისთვის მას პირველს საბჭოთა ისტორიკოსებს შორის მიენიჭა უმაღლესი ჯილდო - ლენინური პრემია, რაც მაშინ დიდი აღიარება იყო არა მარტო ავტორის პირადი დამსახურებისა და სამეცნიერო ღირსებებისა, არამედ ქართული ისტორიოგრაფიის მთელი განვლილი გზისა. გ. მელიქიშვილი ავტორია ვრცელი მონოგრაფიებისა ურარტუს ისტორიაში და საქართველოს უძველესი პერიოდის ისტორიაში. მას ეკუთვნის გამოკვლევები საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის შესახებ. იგია ავტორი მონოგრაფიისა ფეოდალური საქართველოს გაერთიანების წანამძღვრებისა და პირობების შესახებ. შეუნელებელი ინტერესით იკითხება მისი სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომი „როგორ ამეტყველდნენ ლურსმული წარწერები“ (გამოიცა ორჯერ – 1961 და 2004 წ.), რომელშიც ლურსმული დამწერლობის გაშიფვრის წარმტაც ისტორიასთან ერთად გადმოცემულია ურარტუს და ძველი აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებისა და ხალხების ისტორიისა და ყოფის სურათები.

შოთა მესხია ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის კვლევის ერთერთი ბურჯია. მან ჩაუყარა მეცნიერული საფუძველი ქართული ფეოდალური ქალაქების, როგორც სოციალური ორგანიზმის კვლევის ისტორიას. მისი მონოგრაფია ამ საკითხზე - „ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ფეოდალურ საქართველოში“, ქართული ისტორიოგრაფიის კლასიკური ნაშრომია, რომელიც ორჯერ გამოიცა ჯერ რუსულ და შემდეგ ქართულ ენებზე. შოთა მესხიას ნაშრომებს შორის (ისინი გამოცემულია სამ ტომად) ცალკე აღნიშვნის ღირსია ვრცელი მონოგრაფია XII ს-ის საქართველოს სახელმწიფო მმართველობის შესახებ. ნაშრომში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ერთი ფეოდალური საგვარეულოს – მხარგრძელების ისტორიას. ამ ისტორიის ფონზე გადმოცემულია იმდროინდელი საქართველოსა და კავკასიის პოლიტიკური ცხოვრების და სახელმწიფო წყობილების ვრცელი პანორამა. შოთა მესხიამ წვლილი შეიტანა საქართველოს ისტორიის წყაროების გამოცემის საქმეში. მას ეკუთვნის სანიმუშო პუბლიკაცია XIV ს-ის შესანიშნავი წერილობითი წყაროსი - „ძეგლი ერისთავთა“.

ბოლო ათეული წლების მიღწევები საქართველოს ისტორიის კვლევის საქმეში შეჯამებულია „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ რვატომეულში, რომლის I ტომი 1970 წ. გამოიცა. ესაა 80-ზე მეტი ავტორის კოლექტიური ნაშრომი, რომელშიც გადმოცემულია საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XX ს-ის 80-იან წლებამდე. გამოცემის მთავარი რედაქტორია აკად. გიორგი მელიქიშვილი. იგია რედაქტორი და ძირითადი ავტორი ნარკვევების I ტომისა, რომელშიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოდგენილია საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან ახ. წ. IV ს-მდე. აქ პირველადაა საქართველოს უძველესი ისტორია ასე დეტალურად გადმოცემული. წიგნი შეიცავს უამრავ სიახლეს უძველესი ქართველი ტომების განსახლების, მათი სოციალური წყობის და პოლიტიკური ისტორიის შესახებ.

1989 წელს გამოქვეყნდა „ნარკვევების" რუსული ვარიანტის (მისი გამოცემა განზრახულია 5 ტომად) I ტომი. გამოცემულია I, II, III და V ტომები. მათში გასწორებულია ქართული ვარიანტის ცალკეული ხარვეზები და მასალა გადმოცემულია უფრო შემოკლებით და კომპაქტურად.

ამჟამად საქართველოს ისტორიის სპეციალობა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში წარმოდგენილია მისი სამი წევრით: *დავით მუსხელიშვილი, მარიამ ლორთქიფანიძე* და *როინ მეტრეველი*. პირველს ეკუთვნის ფუძემდებლური გამოკვლევები საქართველოს ისტორიულ გეოგრაფიაში. 2003 წელს მანვე გამოსცა მონოგრაფია „საქართველო IV-VII საუკუნეებში", რომელშიც განხილულია და ხშირ შემთხვევაში ახლებურადაა შესწავლილი და გადაწყვეტილი ადრეფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის, როგორც სოციალური და პოლიტიკური, ისე ქრონოლოგიის საკითხები. მარიამ ლორთქიფანიძის ნაშრომებს შორის გამოიყოფა „ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება", რომელშიც მონოგრაფიულადაა შესწავლილი ეს საკითხი მარქსისტული ისტორიოგრაფიის პოზიციიდან. როინ მეტრეველმა ორი მონოგრაფიით - „დავით IV აღმაშენებელი" და „მეფე თამარი", წარმოადგინა XII ს-ის საქართველოს ვრცელი და დაწვრილებითი ისტორია. იგი ავტორია მთელი რიგი ისტორიოგრაფიული ნაშრომებისა. მას ეკუთვნის გამოკვლევები ძველი საქართველოს სოციალური ელემენტების შესახებ.

5. ქართველთა ეთნოგენეზი; ქართული ენა მსოფლიოს ენათა შორის

ეთნოგენეზი ბერძნული ტერმინია და ხალხის (ეთნოს) წარმომავლობას (გენეზის) ნიშნავს. წარმომავლობის გარკვევა ნებისმიერი ხალხის ისტორიის ერთ-ერთი მთავარი საკითხია. ამიტომ, ქართველთა, ან ქართველთა ცალკეული ტომების წარმომავლობით უძველეს დროსვე დაინტერესებულან, როგორც ქართველი, ისე უცხოელი ისტორიკოსები. მაგალითად, „ისტორიის მამად" წოდებული ცნობილი ძველი ბერძენი ისტორიკოსი *ჰეროდოტე* (ძვ.წ. დაახ. 484-425 წწ.) თვლიდა, რომ ერთ-ერთი დასავლურ-ქართული ტომი - კოლხები ეგვიპტური წარმოშობისა იყო, უფრო ზუსტად, ისინი ეგვიპტიდან იყვნენ გადმოსახლებულნი ერთ-ერთი ფარაონის სესოსტრისის დროს (ძვ.წ. XX-XIX სს.). იგი ამ მოსაზრების ცალკეული არგუმენტებით დასაბუთებასაც ცდილობდა – როგორც ეგვიპტელები, ისე კოლხები შავგვრემანნი არიანო, მხოლოდ ისინი

ამუშავებენ სელს ერთნაირადო, მთელი ცხოვრება და ენა, ერთმანეთის მსგავსი აქვთო, მხოლოდ ისინი და ეთიოპელები თვითონვე აწარმოებენ წინადაცვეთასო და სხვ. ცხადია, ჰეროდოტეს მოსაზრება კოლხთა ტომის წარმოშობის შესახებ მცდარია და ყველა მისი არგუმენტი, მხოლოდ საწინააღმდეგოზე მეტყველებს. მიუხედავად ამისა, მისი მოსაზრება ყველაზე ძველი თეორიაა ქართველთა ერთ-ერთი ტომის გენეზისის შესახებ.

თავიანთი წარმომავლობით ძველ საქართველოშიც დაინტერესებულან. XI ს-ის ქართველ ისტორიკოსს ლეონტი მროველს მთელი თეორია აქვს შემუშავებული ამ საკითხზე. უფრო მეტი, მისი თეორია ქართველ ტომთა სამყაროს სცილდება და მთელ კავკასიურ სივრცეს მოიცავს. ლეონტი მროველის მიხედვით, კავკასიის ყველა ხალხს ერთი საერთო წინაპარი – თარგამოსი ჰყავდა, ხოლო თვითონ თარგამოსი მსოფლიო წარღვნის შედეგად გადარჩენილი ბიბლიურ-ლეგენდარული ნოეს სამი შვილიდან (სემ, ქამ, იაფეტ), ერთ-ერთის – იაფეტის შთამომავალი, მისი ძის, თარშის შვილი იყო. თარგამოსს ჰყავდა რვა ძე (ჰაოს, ქართლოს, ბარდოს, მოვაკან, ლეკ, ჰეროს, კავკას, ეგროს), რომლებიც კავკასიის ცალკეული ხალხთა მამამთავრებად ითვლებოდნენ, ხოლო ერთი მათგანი, ქართლოსი – ქართველთა ლეგენდარული მამამთავარი იყო. ქართლოსს ჰყავდა ხუთი შვილი – მცხეთოს, გარდაბნოს, კახოს, კუხოს, გაჩიანოს; მცხეთოსს სამი შვილი – უფლოს, ოძრახოს, ჯავახეოს, ხოლო სხვებს კიდევ სხვები და ასე შეიქმნენ ისინი ეთნარქები ანუ მამამთავრები ცალკეული ქართველური ტომებისა, რომელთა შთამომავლებმა და მათმა შთამომავლებმა გაავსეს მთელი ქართული ტერიტორია და შექმნეს ქართული სახელმწიფო.

ლეონტი მროველის ეს მოსაზრება ორ ძირითად დებულებას შეიცავს: პირველი – ქართველთა წარმომავლობა დაკავშირებულია ბიბლიურ თეორიასთან, სქემაც ბიბლიაში ხალხთა წარმოშობის მიხედვითაა აგებული, და მეორე – კავკასიის ყველა ხალხი საერთო წარმომავლობისა და ნათესაობისაა. პირველი დებულებით ლეონტი მროველმა საქართველოს ისტორია დააკავშირა მსოფლიო ისტორიასთან, გადააბა იგი მას, უფრო ზუსტად, გამოიყვანა იგი მისგან, ხოლო მეორე დებულებით, ლეონტი მროველმა შექმნა იდეოლოგიური საფუძველი კავკასიის ხალხთა ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებისათვის, რომლისკენაც ასე მიისწრაფვოდა აღმავლობის გზაზე მდგარი საქართველო XI ს-ში, ე.ი. ლეონტი მროველის დროს და რომელსაც მან წარმატებით მიაღწია XII ს-ში დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის დროს.

რამდენიმე საუკუნით უსწრებს ლეონტი მროველის ეპოქას სხვა თეორია ქართველთა წარმოშობის შესახებ, რომელიც გამოთქმულია უძველეს ქართულ ორიგინალურ საისტორიო ნაწარმოებში „მოქცევაჲ ქართლისაჲ“. მისი მიხედვით ქართველები, უფრო ზუსტად, აღმოსავლეთ საქართველოს მკვიდრი ტომები, მოსულებია არიან-ქართლიდან. მკვლევართა მოსაზრებით, აქ იგულისხმება

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქემენიდური ირანის შემადგენლობაში არსებული სამხრეთ საქართველოს ტერიტორია – მდ. ჭოროხის ზემო წელი. ამ თეორიის რეალურ დადასტურებას – სამხრეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ ქართველურ ტომთა მოძრაობას, მკვლევარები ხედავენ ამ გზაზე არსებულ გეოგრაფიულ სახელწოდებებში: სამცხე (<სამესხე), მცხეთა (<მესხთა)...

მოკლედ, ნებისმიერი ხალხის და მათ შორის, ქართველების წარმოშობის საკითხი მეტად რთულია. ეთნოგენეზი იმდენად შორეულ წარსულში მიმდინარეობდა, რომ მის შესახებ რაიმენაირი წერილობითი წყაროების არსებობა გამორიცხულია. ამიტომ, ეთნოგენეზზე მხოლოდ ზეპირი, ხშირად ლეგენდარული გადმოცემები მოიპოვება და ისიც არაა ყოველთვის. ამასთანავე, რეალური ეთნოგენეზი მეტად რთული და ხანგრძლივი პროცესია. გენეტიკურად აბსოლუტურად სუფთა ხალხი არ არსებობს. რომელიმე ხალხის ჩამოყალიბებაში მრავალი ტომი იყო ჩართული. ხშირად ამ პროცესში განსხვავებული ეთნიკური ჯგუფები მონაწილეობდნენ. მართალია, ისინი ასიმილაციას (შთანთქმას) განიცდიდნენ წამყვანი ტომებისაგან, მაგრამ თვითონაც ახდენდნენ გავლენას მათ ეთნიკურ ფორმირებაზე. მიუხედავად ასეთი მრავალმხრივი პროცესისა და ჭრელი სურათისა, არქეოლოგიურ, ეთნოგრაფიულ, ენათმეცნიერულ და სხვ. მონაცემებზე დაყრდნობით, ასე თუ ისე, შესაძლებელია ამა თუ იმ ხალხის ეთნოგენეზის მეცნიერული თეორიის წარმოდგენა. ქართველი ხალხის ეთნოგენეზის შემთხვევაში ასეთი თეორიები ეკუთვნით აკად. ივანე ჯავახიშვილს, აკად. სიმონ ჯანაშიას და სხვ.

ივანე ჯავახიშვილის თვალსაზრისი ქართველი ხალხის ეთნოგენეზის შესახებ, ძირითადად, ეყრდნობა ენათმეცნიერულ (ლინგვისტურ) მონაცემებს. კერძოდ, მისი აზრით, ქართველური ენები – ქართული, მეგრულ-ზანური, სვანური ენათესავებიან სხვა კავკასიურ ენებს – აფხაზურ-ადიღეურს და დაღესტნურ-ვეინახურს. მართლაც, ფართოდ გავრცელებული მოსაზრებით, ქართველური და კავკასიური ენები შეადგენენ ენათა ერთ - იბერიულ-კავკასიურ ოჯახს. ამასთანავე, ივანე ჯავახიშვილის მიხედვით, ქართველი და სხვა კავკასიელი ხალხები მათი თანამედროვე საცხოვრისის ადგილას მოვიდნენ სამხრეთიდან რამდენიმე ეტაპად. მათი გადმოსახლება დაიწყო ძვ.წ. XIV ს-ში და დასრულდა ძვ.წ. VIII ს-ში. ივანე ჯავახიშვილის ამ თეორიას *მიგრაციის (გადმოსახლების) თეორია* ეწოდება.

განსხვავებული თვალსაზრისი ჰქონდა აკად. ს. ჯანაშიას. მისი მიხედვით, დაახ. 5-6 ათასი წლის წინ წინა აზიის დიდი ნაწილი, ჩრდილოეთ აფრიკა და სამხრეთ ევროპა დასახლებული იყო მონათესავე ხალხებით – პირენეი ბასკებით, აპენინი ეტრუსკებით, ბალკანეთი პელაზგებით, წინა აზია ხეთებით და სუბარებით. *სუბარები* ცხოვრობდნენ ჩრდილოეთ მესოპოტამიიდან (შუამდინარეთიდან, ტიგროსისა და ევფრატის ზემო წელიდან, ანუ თანამედროვე ჩრდ.

ერაყიდან) კავკასიონამდე. სწორედ ეს ხეთები და სუბარები იყვნენ ქართველთა წინაპრები. ძვ.წ. XIII ს-ში ეს მოსახლეობა დაიქსაქსა. მათში ყველაზე ძლიერები აღმოჩნდნენ მუშქები და თუბალები. ძვ.წ. XI-XII სს. მათ შექმნეს ურარტუს სახელმწიფო, რომლის განადგურების შემდეგ თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე შეიქმნა *კოლხეთი* და *იბერია*. ს. ჯანაშიას თვალსაზრისით, ადგილი ჰქონდა არა სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ ქართველურ ტომთა, თუნდაც ეტაპობრივ, გადმოსახლებას, არამედ კულტურულ-პოლიტიკური ცენტრის სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მონაცვლეობას ერთი წარმომავლობის ხალხით დასახლებულ ვრცელ ტერიტორიაზე. სიმონ ჯანაშიას ამ თეორიას *სახელმწიფოებრივ-კულტურულ ცენტრთა მონაცვლეობის თეორია* ეწოდება.

ერთი წარმომავლობის ხალხით დასახლებულ ამ ვრცელ ტერიტორიაზე, კერძოდ ევროპულ ნაწილში, შეიჭრნენ ინდოევროპელები, განსხვავებული ენისა და კულტურის ხალხები. მათ დაანაწევრეს ავტოქტონური, თავდაპირველი მოსახლეობა, განიცადეს მათი ძლიერი გავლენა, მაგრამ თვითონაც ძლიერი გავლენა მოახდინეს მათზე. თავდაპირველი და მოსული ინდოევროპული ხალხების შერევის შედეგია თანამედროვე ევროპის ხალხების დიდი უმრავლესობა, ხოლო ძველი ხალხებიდან დარჩენილებია ბასკები პირენეებზე და ქართველები კავკასიაში. ასე წარმოიშვა ქართველურ-ბასკური ნათესაობის ჰიპოთეზა, რომელსაც მომხრეებიც ბევრი ჰყავს და მოწინააღმდეგეებიც.

ამ ჰიპოთეზას მეტად ძველი ფესვები გააჩნია. როგორც ცნობილია, ბერძნები ქართულს უწოდებდნენ იბერიას. ისინი პირენეის ნახევარკუნძულსაც იბერიას უწოდებდნენ. მათი აზრით, კავკასიის იბერიაში, ესპანეთის იბერიიდან ხალხი გადმოასახლა ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორმა (ძვ.წ. 605-562 წწ.). ზოგი თვლის, რომ ეს მოსაზრება ემყარება ამ ორი გეოგრაფიული რეგიონის სახელის იგივეობას. ზოგიც მრავალ საერთოს პოულობს ქართველებისა და ბასკების ეთნოგრაფიულ ყოფაში, ენობრივ მონაცემებში და სხვ. ამასთანავე, ფაქტია, რომ ამ ორი ხალხის მონათესავეობის შესახებ ცოდნა გავრცელებული იყო ძველ საქართველოშიც. XI ს-ის დიდი ქართველი მწერალი და მეცნიერი *გიორგი მთაწმინდელი* (1009-1065) მოგვითხრობს, რომ მეორე ასევე დიდმა ქართველმა მოღვაწემ იოვანე მთაწმინდელმა განიზრახა თავის ძესთან ეფთვიმესთან და რამდენიმე მოწაფესთან ერთად ესპანეთში („სპანიად") გამგზავრება, „რამეთუ ასმიოდა, ვითარმედ ქართველნი არამცირედნი ნათესავნი და ერნი მკვიდრ არიან მუნ".

ბოლო ხანების ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრდა მოსაზრება *ქართველი ტომების ავტოქტონობის*, ე.ი. ადგილობრივი წარმომავლობის და მათი უძველესი დროიდან იმ ტერიტორიაზე მოსახლეობის შესახებ, სადაც ისინი ამჟამად ცხოვრობენ. ამ მოსაზრების საფუძველია მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური გათხრებით ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე გამოვლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნილი მასალა. ამ მასალის მიხედვით, კავკასიაში და მათ შორის საქართველოში, დასტურდება კულტურული და საზოგადოებრივი განვითარების უწყვეტი ჯაჭვი (*გიორგი მელიქიშვილი*). ამ თეორიას ქართველთა ავტოქტონობის თეორია ეწოდება. იგი განსაკუთრებით განამტკიცა დმანისის არქეოლოგიურმა გათხრებმა, სადაც უძველესი ადამიანის ნაშთები აღმოჩნდა.

როგორც ვხედავთ, ქართველი ხალხის ეთნოგენეზის შესახებ სხვადასხვა მოსაზრებები არსებობს, მაგრამ საყოველთაოდ გაზიარებული და ყველასგან მიღებული არც ერთი არაა.

ქართველთა თვითმყოფადობის და მათი ავტოქტონობის ერთ-ერთი საფუძველია ქართული, და საერთოდ ქართველური ენები. როგორც ცნობილია და მიღებულია, მსოფლიოს ხალხთა ენები, მათი ნათესაობის მიხედვით, რამდენიმე ოჯახად იყოფა: ინდოევროპული, სემიტური, ქამიტური, უნგრულ-ფინური, ალთაური (თურანულ-მონღოლური), მანჯურულ-ტუნგუსური, ჩინურ-ტიბეტური, დრავიდული და სხვ. სულ 15 ოჯახი, რომელთაგან თითოეული რამდენიმე შტოსა და ჯგუფს შეიცავს... ცალკეა იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახი. იგი ოთხი ჯგუფისაგან შედგება: ქართველური ანუ იბერიული ჯგუფი, აფხაზურ-ადიღეური ჯგუფი, ნახური ჯგუფი, დაღესტნური ჯგუფი. ქართველურ ანუ იბერიულ ჯგუფში შედის: ქართული, ზანური – საერთო სახელი მეგრული და ჭანური ანუ ლაზური კილოებისა და სვანური. ცხადია, ისინი წარმოქმნილია საერთო ქართველური ფუძე-ენიდან (წინარექართულიდან). მიღებულია, რომ ამ ფუძე-ენას ყველაზე ადრე გამოეყო სვანური ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისში. უფრო გვიან ერთმანეთს გაეთიშა და ცალკ-ცალკე განვითარდა ქართული და მეგრულ-ჭანური ენები. სქემატურად ასე წარმოიდგინება:



ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილი I

საქართველო უძველესი დროიდან ქრისტიანობის მიღებამდე

1. პირველყოფილი ადამიანი საქართველოს ტერიტორიაზე

ახალი გამოკვლევებით მეცნიერები მიიჩნევენ, რომ დედამიწაზე ადამიანი დაახლოებით 2 მილიონი წლის წინათ წარმოიშვა. პირველყოფილი ადამიანის შრომის იარაღები იყო ტლანქი ქვის ხელცულები, წაწვეტებული ჯოხები, ძვლის ნატეხები და სხვა. შემდეგში თანდათანობით, ხანგრძლივი გამოცდილების შედეგად ადამიანები აუმჯობესებდნენ შრომის იარაღებს, მაგრამ მაინც ძალიან დიდხანს შრომის იარაღებს ძირითადად ქვისაგან ამზადებდნენ. იმ ხანას, როდესაც ადამიანი ასეთი მარტივად დამუშავებული იარაღით სარგებლობდა *ძველი ქვის ხანა* ანუ *პალეოლითი* ეწოდება. მეცნიერები პალეოლითის ხანას ორ პერიოდად ჰყოფენ: ადრეულ, ანუ ქვედა პალეოლითად და გვიან, ანუ ზედა პალეოლითად.

ქვის იარაღების გაუმჯობესება თავდაპირველად ნელა ხდებოდა. ამიტომ ქვედა პალეოლითის ხანა ყველაზე ხანგრძლივი პერიოდია კაცობრიობის ისტორიაში. იგი იწყება ადამიანის წარმოქმნიდან და მთავრდება 35 ათასი წლის წინათ; ამ ხნის მანძილზე პირველყოფილი ადამიანები ჯგოგებად ცხოვრობდნენ. მარტივი შრომის იარაღების პირობებში ცალ-ცალკე ისინი ვერც საკვებს მოიპოვებდნენ და ვერც თავს დაიცავდნენ უზარმაზარი მტაცებელი ცხოველებისაგან. ჯგოგები 20-30 კაცისაგან შემდგარი არამტკიცე, შემთხვევითი გაერთიანებები იყო. ისინი ერთად ეწეოდნენ იმ დროისათვის არსებულ ძირითად საქმიანობას: მონადირეობასა და შემგროვებლობას. უკვე ქვედა პალეოლითის ხანაში ადამიანებმა ისწავლეს ცეცხლის გამოყენება.

ქვედა პალეოლითის ხანის ადამიანთა ცხოვრების ნაკვალევი საქართველოში აღმოჩენილია სოხუმის მახლობლად სოფ. იაშთხვასთან, სოფ. რუხთან (ზუგდიდის რ-ნი), კაცხში (საქორია, ჭიათურის რ-ნი), ლაშებალთაში (ზნაურის რ-ნი), აგრეთვე ჯავახეთის ზეგანზე, შიდა კახეთში და სხვაგან.

დაახლოებით 30 ათასი წლის წინათ დაიწყო და 12 ათასი წლის წინა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დრომდე გაგრძელდა ზედა პალეოლითის ხანა. ამ პერიოდში ადამიანებმა კიდევ უფრო სრულჰყვეს შრომის იარაღების დამზადება. ისწავლეს ქვისგან დანების, საფხეკების, საჭრისების, სახვრეტების დამზადება. ასევე უკეთესად ამუშავებდნენ ძვალსა და რქას. ქვისპირიანი შუბების დამზადებასთან ერთად ისწავლეს მშვილდ-ისრების დამზადება.



წონის მღვიმე. ქვედა პალეოლითური ქვის ხელცული.

შრომის იარაღების გაუმჯობესებამ ადამიანებს საშუალება მისცა უფრო მეტად დამკვიდრებულიყვნენ ერთ ადგილზე, ხოლო გამყინვარების შედეგად აცივებამ აიძულა ისინი გადასულიყვნენ გამოქვაბულებში ცხოვრებაზე, აეგოთ მიწური ნაგებობები. უფრო მეტად მკვიდრ ცხოვრებაზე გადასვლამ წარმოშვა სისხლით ნათესაობა და ზედა პალეოლითის ხანაში ჯგუფები უკვე იცვლება გვარებით. გვარი ადამიანთა სისხლით ნათესაური კავშირია. გვარის სათავეში გვარის უხუცესი იყო. გვარის უხუცესად მაშინ ქალები იყვნენ, ნათესაობაც ქალის ხაზით განისაზღვრებოდა. ასეთ გვარებს მატრიარქალური ანუ დედამთავრული გვარები ეწოდებოდა.

ზედა პალოლითის დროსვე წარმოიქმნენ ტომები. გამრავლებული გვარები იყოფოდნენ ახალ გვარებად. თუმცა ისინი ერთიმეორესთან კავშირს არ წყვეტდნენ. ასეთი მონათესავე გვარები ქმნიდნენ თემს. თემი, ჩვეულებრივ ერთ ხევში იყო ხოლმე განსახლებული. მეზობელი თემების გაერთიანება ქმნიდა ტომს. ტომის დამახასიათებელი ნიშანი იყო: საერთო ენა, საერთო ტერიტორია, საერთო ზნე-ჩვეულებები და ერთნაირი რელიგიური წარმოდგენები.

ზედა პალეოლითის ხანის პირველყოფილ ადამიანთა სადგომები მიკვლეულია მდ. ჩხერიმელას ხეობაში, გამოქვაბულში, რომელსაც მოსახლეობა



ოდიში. ნეოლითური ხანის ქვის იარაღები.



ხრამის დიდი გორა. ძვლისგან დამზადებული იარაღები.

„დევის ხვრელს“ უწოდებს (ხარაგაულის რ-ნი), საკაჟიას გამოქვაბულში (თერჯოლის რ-ნი), საგვარჯილეს მღვიმეში (ზესტაფონის რ-ნი) და სხვ.

პალეოლითის ხანაში გაჩნდა პირველყოფილ ადამიანთა რელიგია. პირველყოფილ ადამინებს წარმართული რელიგია ჰქონდათ. წარმართული რელიგია ბუნების ძალებისა და მოვლენების გაღმერთებაა. ღმერთები, ადამიანთა რწმენით, იყვნენ კეთილნი და ბოროტნი, რომელთა გულის მოგება შეიძლებოდა. აქედან ჩნდება რელიგიური დღესასწაულები, რელიგიური რიტუალები, მსხვერპლშეწირვები.

დაახლოებით 12 ათასი წლის წინათ დაიწყო და 7-6 ათასი წლის წინა პერიოდამდე გაგრძელდა *ახალი ქვის ხანა (ნეოლითი)*. ამ პერიოდის დადგომა გამოიწვია დიდმა გარდატეხამ ქვის დამუშავების ტექნიკაში - ისწავლეს ქვის იარაღების გაპრიალება, ხეხვა, გახვრეტა; ასეთი იარაღები გაცილებით უფრო მოსახერხებელი იყო სამუშაოდაც და სანადიროდაც.

შრომის იარაღების გაუმჯობესებასთან ერთად ვითარდებოდა პირველყოფილ ადამიანთა საქმიანობა. ახალი ქვის ხანის პერიოდში ადამიანები უკვე დაეუფლნენ მარტივ მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას. გაჩნდა მარტივი ხელოსნური წარმოებაც.

აღსანიშნავია, რომ ამიერკავკასია ითვლება მთელი რიგი კულტურული სამიწათმოქმედო მცენარეების მოშენების უძველეს კერად. მაგ., მეცნიერული გამოკვლევებით დადასტურებულია, რომ პურეული მცენარეების მოშენების და მიწათმოქმედების დაწყების უძველესი კერა საქართველოს და მის მეზობელ ტერიტორიებზე მდებარეობდა.

მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის გაჩენა და ამით მკვიდრ მწარმოებლად ადამიანის გადაქცევა იმდენად დიდი მნიშვნელობის მოვლენა იყო, რომ

მეცნიერები მას *„ნეოლითურ რევოლუციას“* უწოდებენ.

საქართველოს ტერიტორიაზე ნეოლითის პერიოდის დასახლებები აღმოჩენილია: ხუცუბანში, ქობულეთში (აჭარა), ანასეულში, გურიანთაში (გურია), თეთრამიწაში (ქუთაისის მახლობლად), ზემო ალვანში (ახმეტის რ-ნი).

7-6 ათასი წლის წინათ იწყება და IV ათასწლეულამდე გრძელდება *ენეოლითის* ანუ *სპილენძ-ქვის ხანა*. ესაა პერიოდი, როცა ადამიანები შრომის იარაღებს კვლავ ქვისგან ამზადებენ, მაგრამ მასთან ერთად უკვე იყენებენ სპილენძის იარაღებსაც. შეიმჩნევა ცვლილებები მეურნეობაშიც - ზოგან იწყებენ მორწყვას, აგრეთვე პრიმიტიულ სახნავ მიწათმოქმედებას.



თრიალეთი. კერამიკული ჭურჭელი. შუა ბრინჯაოს ხანა.

ენეოლითის ხანაში მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის მეტად განვითარებამ კიდევ უფრო გაზარდა მამაკაცის როლი და თანდათანობით დედამთავრულმა გვარმა ადგილი დაუთმო მამამთავრულ გვარს – პატრიარქატს.

ენეოლითის ხანაში შეიცვალა ადამიანთა საცხოვრებელიც. ისინი უკვე ტოვებენ გამოქვაბულებს და ალიზისაგან ნაკეთებ წრიული ან ოვალური ფორმის სახლებს აშენებენ. რამდენიმე ათეული ასეთი სახლი ერთ დასახლებას ჰქმნიდა, რომლებიც, ჩვეულებრივ, ამაღლებულ ადგილებზე, ბორცვებზე („გორებზე“) იყო განლაგებული. დასახლებებს უკვე თავდაცვისათვის გამიზნული თხრილი ან ქვის ყორე ჰქონდა შემოვლებული. გამრავლებული მოსახლეობა საცხოვრებლად გადადიოდა მეზობელ ადგილზე და ცალკე დასახლებას ჰქმნიდა. რამდენიმე ასეთი დასახლება, ფაქტიურად, გვაროვნულ-ენობრივ ერთიანობას წარმოადგენდა. მათი ცენტრი თავდაპირველი დასახლება იყო. აქ იკრიბებოდნენ თემების უხუცესები სათათბიროდ, აქვე იყო მათი სალოცავი და სხვა.

IV-II ათასწლეული კაცობრიობის ისტორიაში და საქართველოს ისტორიაშიც *ბრინჯაოს ხანაა*. ესაა პერიოდი, როცა შრომის და ბრძოლის ძირითად იარაღებს ბრინჯაოსაგან ამზადებდნენ. განვითარების დონის მიხედვით ბრინჯაოს ხანაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოყოფენ სამ ქვეპერიოდს: ადრე, შუა და გვიან ბრინჯაოს ხანას.

IV-III ათასწლეულის I ნახევარი საქართველოში ადრე *ბრინჯაოს ხანაა*. ამ პერიოდში საქართველოში ჩამოყალიბდა საკმაოდ მაღალი კულტურა, რომელიც ისტორიაში *მტკვარ-არაქსის კულტურის* სახელითაა ცნობილი. იგი არა მარტო ამიერკავკასიაში, არამედ მთელს წინააზიაში გავრცელდა.

III ათასწლეულის II ნახევარი – II ათასწლეულის I ნახევარი *შუა ბრინჯაოს ხანაა*. ამ პერიოდში უკვე ყალიბდება ტომთა დიდი კავშირები. ისინი იქმნებოდა ერთობლივი სამუშაოების შესასრულებლად, თავდაცვისათვის, ომის საწარმოებლად. გარდაცვლილ ტომთა კავშირების ბელადებს ოთხთვალაზე ასვენებდნენ, თან ატანდნენ იარაღს, ძვირფას ნივთებს, ჭურჭელს და ათავსებდნენ ქვის, ან ხის დარბაზულ ნაგებობაში, რომელზეც აღმართავდნენ უზარმაზარ ყორღანებს – სიმაღლით 10-15 მეტრის, ხოლო ფართობით – თითქმის 1 ჰექტარის მიწაყრილებს.

თრიალეთის კულტურა (თრიალეთის არქეოლოგიური გათხრების შედეგად შესწავლილი) ამისი დადასტურებაა. ერთ-ერთ ასეთ მდიდრულ ყორღანში აღმოჩენილია ძვირფასი ქვებით შემკული ოქროს თასი, ხოლო მეორე ყორღანში სხვადასხვა სცენებით მოხატული ვერცხლის სასმისი.

II ათასწლეულის მეორე ნახევარი საქართველოში უკვე *გვიანი ბრინჯაოს ხანაა*. ამ პერიოდში საქართველოში ორი დიდი კულტურული წრეა ჩამოყალიბებული: დასავლურ ქართული და აღმოსავლურ ქართული. ასეთი ერთგვაროვანი კულტურული წრეების შექმნა იმაზე მეტყველებს, რომ აქ მცხოვრებ ტომებს ერთმანეთთან მჭიდრო კავშირი ჰქონდათ.

ლითონის იარაღების წარმოშობამ გაზარდა შრომის ნაყოფიერება. გაჩნდა ნამატი პროდუქტი. ამით გაჩნდა შესაძლებლობა, რომ ეს ნამატი პროდუქტი ვიღაცას მიეთვისებინა. მას პირველ რიგში თემების უხუცესები, ტომების ბელადები მათი რაზმელები ითვისებდნენ.

გვიან ბრინჯაოს ხანაში უკვე ჩნდება მდიდარი და ღარიბი, ჩნდება ქონებრივი უთანასწორობა, ე. ი. იწყებს რღვევას პირველყოფილი თემური წყობილება.

2. უძველესი ქართული სახელმწიფოები – დიაოხი და კოლხა

დიაოხი. ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ და სამხრეთ რაიონებში უკვე თრიალეთის კულტურის მატარებელ მოსახლეობაში არსებობდა ტომთა დიდი კავშირები. მათი უშუალო მეზობლები სამხრეთით იყვნენ უძველესი ცივილიზაციის მქონე ხალხები: ხეთები, მითანელები, უფრო გვიან

სადუღა (კახეთი). ლომის სკულპტურული გამოსახულება; ოქრო; ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლო (სიგრძე – 4,1 სმ).

მანგლისი. ბრინჯაოს ბალთა. III-II ათასწლეული.









ეროვნული ბიბლიოთეკა

ასურელები, ურარტუელები. ცოტა უფრო გვიან განვითარება უფრო შორს წავიდა და II ათასწლეულის ბოლოს ჩამოყალიბდა სახელმწიფოები: *დიაოხი* (*დაიაენი*) და *კოლხა*. მათ შესახებ ცნობები დაცულია ძვ. XIII-VIII სს-ის ასურულ და ურარტულ ლურსმულ წარწერებში.

დიაოხი მდებარეობდა საქართველოს ისტორიული ტერიტორიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. ასურელები მას ,,დაიაენს" უწოდებდნენ, ხოლო ურარტუელები – „დიაუხს". ძველი ბერძენი ისტორიკოსი და მხედართმთავარი ქსენოფონტე. რომელმაც ძვ. წ. 401 წელს გაიარა ეს ტერიტორია, ამ ადგილების მცხოვრებლებს „ტაოხების" სახელით იხსენიებს. ეს სახელი შემორჩა ერთ-ერთ აქაურ ძველ ქართულ პროვინციას – ტაო.

ძვ. წ. XII ს-ის ბოლოს დიაოხი სათავეში უდგას ასურეთის წინააღმდეგ მებრძოლ ტომთა დიდ კავშირს - „ნაირის ქვეყნებს". ძვ. წ. 1112 წელს ასურეთის მეფე ტიგლათფილესერ I-მა დაამარცხა ,,ნაირის ქვეყნები", ხოლო კოალიციის მეთაური, დიაოხის მეფე სიენი დაატყვევა და ასურეთში წაიყვანა. „ნაირის ქვეყნების" ეს კავშირი შემთხვევითი არ იყო და მტრის წინააღმდეგ მუდამ ერთად მოქმედებდა. სიენი არის ჩვენთვის ცნობილი პირველი მეფე ქართული სამყაროდან.

1112 წლის ბრძოლაში „ნაირის ქვეყნების" საშველად გამოვიდა ზემო, ანუ დიდი ზღვის (შავი ზღვა) პირას მცხოვრებ ტომთა გაერთიანება, რომელსაც ასურეთის მეფე ტიგლათფილესერი თავის წარწერებში კოლხის (კოლხას) სახელით იხსენიებს.

დიაოხისა და კოლხას შესახებ ცნობები მოიპოვება აგრეთვე ურარტულ ლურსმულ წარწერებში.

ურარტუს სახელმწიფო წარმოიქმნა ძვ. წ. IX ს-ში ვანის ტბის რ-ნში (დღეს თურქეთშია). დედაქალაქი იყო ტუშფა (ვანის ტბის სანაპიროზე). მახლობლად ძლიერი ურარტუს გაჩენით დიაოხის მდგომარეობა ძალზე გართულდა. შეიძლება ამიტომაც იყო, რომ როდესაც ძვ. წ. 845 წელს, ურარტუს ტერიტორიის დარბევის შემდეგ, მის საზღვრებთან ასურეთის მეფის სალმანასარ III-ის ლაშქარი გამოჩნდა, დიაოხის მეფე *ასია* მის წინაშე ძღვენით გამოცხადდა და უბრძოლველად დაემორჩილა ასურელებს. ასეთი მოქმედება მხოლოდ და მხოლოდ ასურელების მიმართ კეთილგანწყობით არ იყო გამოწვეული. დიაოხის მეფე იმედოვნებდა ძლიერი ასურეთის მოკავშირედ გახდომას და მისი დახმარებით უფრო საშიში მტრების – ურარტუს და კოლხას მოგერიებას. მაგრამ ასურეთზე ორიენტაცია დიაოხისათვის უპერსპექტივო აღმოჩნდა. ძვ. წ. IX ს-ის ბოლოს და VIII ს-ის I ნახ.-ში გაძლიერებულმა ურარტუმ შეავიწროვა ასურეთი და დიაოხი მარტოდმარტო აღმოჩნდა ურარტუს პირისპირ. ურარტუს მეფეებმა

თრიალეთი. ოქროს თასი. ძვ. წ. II ათასწლეულის I ნახ. (სიმაღლე – 7 სმ).

თრიალეთი. ვერცხლის თასი რიტუალური სცენების გამოსახულებით. ძვ. წ. II ათასწლეული (სიმაღლე – 11,3 სმ).

მენუამ (810-786) და არგიშთი I-მა (786-764) რამდენჯერმე ილაშქრეს დიაოხის მეფე *უტუფურსის* წინააღმდეგ, წაართვეს მას სამხრეთის რაიონები, ხოლო ქვეყანას მძიმე ხარკი დააკისრეს. ამის შესახებ მოგვითხრობს არგიშთი I-ის მატიანე, რომელიც ვანის კლდეზეა ამოკვეთილი. წარწერა გვამცნობს რომ არგიშთიმ გადაწვა სამეფო ქალაქი ზუა და დაიმორჩილა დიაოხის მეფე, რომელიც ხარკის გადახდის პირობით გაათავისუფლა. ხარკის სახით დიაოხი ურარტუს



მეფეს უგზავნიდა ათასობით პირუტყვსა და ცხენებს, დიდძალ ოქროს, ვერცხლს და სპილენძს. მაგ., ნათქვამია, რომ უნდა მიეღო არგიშთის 41 მინა (1 მინა უდრიდა 505 გრ.) სუფთა ოქრო, ათი ათასი მინა სპილენძი და სხვ. წარწერაში მოტანილი ხარკის ოდენობა გვიჩვენებს, რომ დიაოხი დიდი და ძლიერი ქვეყანა იყო და იქ დიდად განვითარებული იყო მესაქონლეობა და მეტალურგია. დიაოხის სიძლიერეს ისიც მიუთითებს, რომ მეფე მენუა მას „ძლევამოსილ ქვეყანას“ უწოდებს. ეს ერთადერთი შემთხვევაა, როდესაც მტრული ქვეყანა ურარტულ წარწერებში ასეთი განმადიდებელი ეპითეტით არის მოხსენიებული.

დიაოხის დამორჩილება, როგორც ჩანს, არ იყო ადვილი. ძვ. წ. 768 წელს უტუფურსი აუჯანყდა არგიშთი I-ს.

ამით წყდება ცნობები დიაოხის შესახებ ურარტულ წყაროებში. დიაოხს უკანასკნელი ლახვარი ჩასცა ჩრდილოელმა მეზობელმა კოლხამ. დიაოხმა ვეღარ გაუძლო ორი მხრიდან შემოტევას და ძვ. წ. VIIIს-ის შუა ხანებში განადგურდა. მისი ტერიტორია ურარტუმ და კოლხამ გაინაწილეს.

კოლხა. მდებარეობდა შავიზღვისპირეთის სამხრეთ და აღმოსავლეთ ნაწილში. იგი არსებობდა ძვ. წ. XI-VIII სს-ში. დიაოხის განადგურების შემდეგ კოლხა და ურარტუ უშუალო მეზობლები გახდნენ. არგიშთი I-ის მომდევნო მეფის, სარდურ II-ის წარწერებში კოლხასთან ბრძოლას საკმაოდ დიდი ადგილი უკავია. ძვ. წ. 750-741 წწ-ში მან ორჯერ ილაშქრა კოლხაში. მეორე ლაშქრობის დროს აიღო სამეფო ქალაქი ილდამუსა, მისი მოსახლეობა გაყლიტა, ხოლო ილდამუსაში მჯდომი კოლხას მეფისნაცვალი თავისი მეფისნაცვალით შეცვალა. სარდურის წარწერის მიხედვით კოლხაში, ისევე როგორც დიაოხში, განვითარებული ყოფილა მესაქონლეობა და მეტალურგია. აქ ლაპარაკია დიდძალი პირუტყვის ხელში ჩაგდებაზე და სარდური II-ის მიერ „რკინის ბეჭდის“ გაკეთებაზე.

მცხეთა, სამთავრო. ბრინჯაოს გრავირებული სარტყელი; ძვ. წ. VIII-VII სს.

კოლხას ძლიერი და უძველესი სამეფოს არსებობის ხანაში გაეცნენ ბერძნები პირველად შავიზღვისპირეთის ამ კუთხეს. კოლხას ძლიერებამ და ბრწყინვალებამ ისეთი გავლენა მოახდინა მათზე, რომ თავის მითებსა და თქმულებებში ბერძნებმა კოლხეთს საპატიო ადგილი მიუჩინეს. ძველ საბერძნეთში ფართოდ იყო გავრცელებული მითი არგონავტებზე, რომელშიც აისახა ძველი ბერძნების წარმოდგენა კოლხეთის სამეფოზე.

კოლხეთში იმ დროს მეფობდა ღმერთი ჰელიოსის შვილი აიეტი რომელთანაც ინახებოდა ოქროს საწმისი – ვერძის ოქროსმატყლიანი ტყავი. ოქროს საწმისის მოსაპოვებლად საბერძნეთიდან კოლხეთში გაემგზავრა 50 ბერძენი გმირი იაზონის მეთაურობით. მათ ხომალდს „არგო“ ერქვა. ამიტომ ამ ექსპედიციის მონაწილეებს არგონავტები უწოდეს[1]. აიეტმა ისინი თავის ბრწყინვალე სასახლეში მიიღო. ძვ. წ. III ს-ის ბერძენი პოეტის აპოლონ როდოსელის „არგონავტიკის“ მიხედვით, არგონავტების მფარველმა ქალღმერთმა ჰერამ სქელ ნისლში გაახვია ბერძნები და მათ შეუმჩნეველად მოახერხეს აიეტის სასახლესთან მისვლა. ბერძნები გააოცა მეფის სასახლის ბრწყინვალებამ: გალავანმა, ფართო ჭიშკრებმა, სპილენძის ქონგურებით დამშვენებულმა ქვის მაღალმა სვეტებმა. ეზოში მწვანე ფოთლებით შემოსილი ვაზები გაშლილიყვნენ. ვაზებს ქვეშ ოთხი დაუშრეტელი შადრევანი ჩქეფდა: ერთი რძის იყო, მეორე ღვინის, მესამე სურნელოვანი ზეთის, ხოლო მეოთხე წყლის, რომელიც პლეიადების (შვიდი მნათობის თანავარსკვლავედი) ჩასვლის დროს (ე. ი. ზამთრის დაწყებისას) თბებოდა, ხოლო მათი ამოსვლის ჟამს (ე. ი. ზაფხულის დადგომისას) – ყინულივით ცივი და ანკარა ხდებოდა. ეს ღვთაებრივი საქმე კუტაიელ (ქუთაისელ) აიეტს ცეცხლსა და მჭედლობის ღმერთმა ჰეფესტომ გაუკეთა. სასახლის ეზოში უზარმაზარი შენობა იდგა, რომლის მარჯვნივ და მარცხნივ ორი, კიდევ უფრო მაღალი შენობა იდგა. ერთში აიეტი ცხოვრობდა თავის ცოლით, მეორეში მისი ვაჟი აფსირტე.



საგარეჯო. ბრინჯაოს გრავირებული სარტყელი; ძვ. წ. VIII-VII სს.

[1] 1984 წ. არგონავტების მარშრუტი გაიმეორა ცნობილმა ინგლისელმა მეცნიერმა ტიმ სევერინმა. ამით მან დაამტკიცა მაშინდელი ტექნიკური პირობებით ასეთი მოგზაურობის სრული შესაძლებლობა.



ბრინჯაოს კოლხური ცული. ძვ. წ. VII-VI სს.

სასახლის დანარჩენი ოთახები ეკავათ ვაჟიშვილებს – ქალკიოპეს და მედეას; მოახლე ქალებს. იმავე ჰეფესტომ აიეტს გამოუჭედა სპილენძისფეხებიანი და ცეცხლისმფრქვეველი ხარები; გაუკეთა გუთანი მაგარი ფოლადისაგან.

იაზონმა ამცნო მეფეს თავისი მოსვლის მიზანი და ოქროს საწმისის სანაცვლოდ მეზობლებთან ბრძოლაში დახმარება შესთავაზა. მეფემ აღუთქვა იაზონს ოქროს საწმისის მიცემა, თუ ის შეძლებდა აიეტის სპილენძისჩლიქებიანი ცეცხლისმფრქვეველი ხარების უღელში შებმას, შემდეგ ფოლადის გუთნით მინდვრის მოხვნას და ხნულში ურჩხულის კბილების დათესვას, და ბოლოს, ამ კბილებიდან აღმოცენებული სპილენძისჯავშნიანი მეომრების დახოცვას. ყოველივე ამას აიეტი ადვილად აკეთებდა, ხოლო იაზონი ვერ შეასრულებდა. მაგრამ მის დასახმარებლად აღსდგა ქალღმერთი აფროდიტე, რომლის ნებითაც აიეტის ქალიშვილს, ჯადოქარ და მზეთუნახავ მედეას შეუყვარდა იაზონი. მედეამ ასწავლა იაზონს თუ როგორ უნდა შეესრულებინა ეს მძიმე დავალება. მეორე დილით ძლევამოსილმა აიეტმა მკერდზე მაგარი აბჯარი შემოიკრა, თავზე ოქროს მუზარადი ჩამოიცვა, ხელში დაიჭირა ფარი და ისეთი უზარმაზარი შუბი რომელსაც ჰერაკლეს (ძველ ბერძენთა უდიდესი მითოლოგიური გმირი) გარდა ვერავინ გამოიყენებდა. ჩაჯდა ეტლში და გასწია არესის ველისკენ, რათა იაზონის მიერ დავალების შესრულებას დასწრებოდა. იაზონმა, მედეას დახმარებით, აიეტის ყველა დავალება შეასრულა. მიუხედავად ამისა, კოლხეთის მეფე მაინც არ აპირებდა ოქროს საწმისის მიცემას. მაშინ იაზონმა, ისევ მედეას დახმარებით, რომელმაც მიაძინა საწმისის მცველი ურჩხული, გაიტაცა ოქროს საწმისი და მედეაც თან წაიყვანა. გზაში არგონავტებს წამოეწივნენ აიეტის მერ დადევნებული მეომრები მედეას ძმის აფსირტეს მეთაურობით, მაგრამ ბერძნებმა დაამარცხეს მდევრები და თვით აფსირტეც მოკლეს.

ამ მითში, ლეგენდარულ ამბებთან ერთად, ისტორული სინამდვილეცაა ასახული. კოლხეთის სამეფოს აღწერისას მასში აირეკლა რეალურად არსებული დიდი კოლხური გაერთიანებების დიდება და ბრწყინვალება, ქვეყნის პოლიტიკური სიძლიერე, კოლხეთის მაღალი მეტალურგიული და სამოწათმოქმედო კულტურა. ფოლადის გუთანი აქ შემთხვევით არაა ნახსენები. ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოდან საქართველოში უკვე იციან რკინის დამუშავების ტექნიკა, რომლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანერგვასა და ათვისებაში ქართველ ტომებს, შავი ზღვის სამხრეთ მთიანეთში მცხოვრებ ხალიბებს გარკვეული დამსახურება მიუძღვით (ხალიბების სახელიდანაა ნაწარმოები ფოლადის ბერძნული სახელწოდება „ხალიფს“, რაც ხალიბურ ლითონს ნიშნავს).



ბრინჯაოს კოლხური ცულები ორნამენტებითა და ცხოველთა გრავირებული გამოსახულებით. ძვ. წ. VIII-VII სს.

ქართველი ტომების დიდ დამსახურებას მეტალურგიის დანერგვა-განვითარების საქმეში ასახავს მითი *პრომეთეს* შესახებ, რომელიც ძალიან ჰგავს უძველეს თქმულებას ამირანზე (შექმნილია დაახლოებით 3500 წლის წინათ). პრომეთემ ზევსს ცეცხლი მოსტაცა და მისცა ადამიანებს. ამ ცეცხლით ადამიანებმა ლითონის გამოდნობა შეძლეს. პრომეთეს თქმულების საქართველოსთან კავშირს ისიც ამტკიცებს, რომ იგი ზევსმა საბოლოოდ საქართველოში, კავკასიონის მთაზე მიაჯაჭვა.

ურარტუსთან ბრძოლებმა დიდად დაასუსტა კოლხეთი. ძვ. წ. VIII ს-ის უკანასკნელ მეოთხედში კოლხეთის სამეფო გაანადგურეს ჩრდ. კავკასიიდან შემოჭრილმა მომთაბარე ტომებმა - კიმერიელებმა. კიმერიელებმა 780 წელს სასტიკი დამარცხება აგემეს ურარტუელებს. ურარტუმდე რომ მიეღწიათ, კიმერიელებს, რომლებიც შავი ზღვის სანაპიროთი მოდიოდნენ, კოლხას მიწა-წყალზე უნდა გაევლოთ. ურარტუზე ადრე კიმერიელთა დარტყმა სწორედ კოლხამ იგემა. კოლხას სამეფოს წამყვანი მოსახლეობა ნაწილობრივ გაიყოლიტა, ნაწილი კი მეზობელ ოლქებში გაიხიზნა. კიმერიელებმა თავზარდამცემი შთაბეჭდილება მოახდინეს მთელ მაშინდელ წინა აზიაზე. ქართველი ხალხის მეტყველებაში მათი სახელი დაუმარცხებლის, გმირის მნიშვნელობისაა. სიტყვა „გმირი“ წარმოდგება კიმერიელთა სახელწოდებისაგან - „გიმირ“ < „კიმირ“.

ძვ. წ. VIII ს-ის ბოლოს აზოვის ზღვის სანაპიროს გამოვლით ამიერკავკასიაში და შემდეგ აზიაში შემოიჭრნენ სკვითები, რომლებმაც ასევე საშინელი ნგრევა და განადგურება დაატეხეს თავს აქაურ მოსახლეობას.

ძვ. წ. 590 წელს მიდიელებმა, სკვითებთან და ამიერკავკასიის ხალხებთან კავშირში, გაანადგურეს ურარტუს სამეფო. ურარტუს მოსახლეობის ნაწილმა ჩრდილოეთისაკენ გადმოინაცვლა, ქართველი ტომების ჰეგემონობის ქვეშ მო-

ექცა და მათში გაითქვიფა. ამაზე მიგვითითებს ენობრივი ფაქტები. ქართული შემოინახა მთელი რიგი გამოთქმებისა, რომლებიც ქართული ენით ვერ აიხსნება, სამაგიეროდ დამაჯერებელ ახსნას პოულობს ურარტული ენის მასალით. მაგ.: ყირამალა - თავდაყირა, ყირაზე გადასვლა. „ყირა“ ქართულად არაფერს ნიშნავს, ხოლო ურარტულში მიწას აღნიშნავდა. ურარტულებმა ქართველთა ყოფასა და მეტყველებაში შემოიტანეს მათი მოსავლიანობის ღვთაების - „არალეს“ კულტი და სახელი. ძველი ქართული სიმღერები „ოროველა“ და „კალოსპირული“ არალესადმი მიმართვით იწყება: ივრი არალე, თარი არალე, არი არალე – რაც ასევე ურარტულით აიხსნება „მეუფეო არალე, ძლევამოსილო არალე, მოგვეც არალე“.

ურარტუს ტერიტორიის დიდი ნაწილი დაიკავეს ურარტუს დას. პერიფერიაზე მცხოვრებმა სომეხმა ტომებმა. ამ რაიონში მცხოვრები ურარტუელების დიდი ნაწილი სომხებში გაითქვიფა. ამის შემდეგ ქართველების უშუალო მეზობლები სამხრეთით სომხები გახდნენ.

3. ეგრისის (კოლხეთის) სამეფოს წარმოქმნა

კიმერიელთა გამანადგურებელმა შემოსევამ დიდი ზიანი მიაყენა დასავლეთ საქართველოს ბარის მოსახლეობას. მცხოვრებთა ნაწილი ამოწყდა, ნაწილი აიყარა და გადასახლდა. ამით ისარგებლეს მთიელმა ტომებმა და იწყეს კოლხეთის ბარში მასობრივად ჩამოსახლება. ეს ტომები ჯერ კიდევ პირველყოფილი-თემური წყობილების საფეხურზე იდგნენ. მოიშალა მეურნეობა. ყოველივე ამის გამო, დაეცა ძველი კოლხას სამეფო. მაგრამ, ასეთი ხელისშემშლელი პირობების მიუხედავად საზოგადოების წინსვლა მაინც არ შეჩერებულა. ძველი კოლხას სამეფოს ნანგრევებზე, თანამედროვე დასავლეთ საქართველოს ტერიოტრიაზე, ძვ. წ. VII-VI სს-ში წარმოიქმნა *კოლხეთის*, ანუ *ეგრისის* სამეფო. ეგრისს ამ ქვეყანას აღმოსავლეთქართული ტომები (ქართები) ეძახდნენ, მოსახლეობის ეთნიკური სახელწოდების მიხედვით (ეგრი-მეგრი-მეგრელი).

ეგრისის (კოლხეთის) სამეფო საკმაოდ ძლიერი იყო. მისი უშუალოდ დაპყრობა ვერ შესძლო ძლიერმა აქემენიდურმა ირანმა (სპარსეთში სამეფო დინასტიის სახით აქემენიდების საგვარეულო დაწინაურდა. ამიტომ, ძვ. წ. VI–IV სს-ის სპარსეთს ხშირად აქემენიდურ ირანსაც უწოდებენ). კოლხები, ჰეროდოტეს თქმით, აქემენიდებს „ნებაყოფლობით“ ძღვენს უხდიდნენ - ხუთ წელიწადში ერთხელ გზავნიდნენ 100 გოგოსა და 100 ბიჭს. გარდა ამისა, კოლხებს სამხედრო ვალდებულებაც ჰქონდათ ნაკისრი სპარსელების მიმართ.

ბერძენი ავტორების მიხედვით (ქსენოფონტე) კოლხეთის პოლიტიკური

საქართველო ძვ. წ. VI-III სს-ში.


პირობითი აღნიშვნები
დედაქალაქები
ქალაქები
ციხე
ეგრისის სამეფოს საზღვრები ძვ. წ. VI-V სს-ში
ქართლის სამეფოს საზღვრები ძვ. წ. VI-V სს-ში
ჰენიოხები
ეგრისის სამეფო
პიტიუნტი
დიოსკურია
გიენოსი
ციხეგოჯი
ფაზისი
ფაზისი
(დაბლა გომი)
კუტაია (ქუთაისი)
(ვანი)
სვანები
სამეფო
ოვსები
ლეკები
პონტოს ზღვა
(შავი ზღვა)
ურბნისი
უფლისციხე
მცხეთა
არმაზისციხე
ფლეშა
წუნდა
ხუნანი
სამხრეთ ქართლის
ტრაპეზუნტი
კოლხები
მაკრონები
ჭოროხი
მოსინიკები
ზალიბები
ქართლი
(სევანის ტბა)
არმენია



ეროვნული ბიბლიოთეკა

ცენტრი მდ. რიონზე (*ფაზისი*) იყო. ქართული საისტორიო ტრადიცია ეგრისის დედაქალაქად ასახელებს ციხე-გოჯს. იგი იმყოფება დღევანდელი ნოქალაქევის ადგილას, ქ. სენაკიდან 17 კმ-ის მანძილზე. ამ ადგილზე შემორჩენილია გრანდიოზული ციხე-ქალაქის ნანგრევები. დღეს აქ მიმდინარეობს არქეოლოგიური გათხრები.

ძვ. წ. IV ს-დან ძველმა ბერძნებმა შავი ზღვის აღმ. სანაპიროზე არაერთი ახალშენი დააარსეს. ასეთები იყო მაგ. ფაზისი (დღევ. ფოთი), გიენოსი (ოჩამჩირე), პიტიუნტი (ბიჭვინთა), დიოსკურია (სოხუმი) (დიოსკურიის ძირითად კვარტლებს ამჟამად ზღვა ფარავს). ბერძნებმა ასეთივე ახალშენები დააარსეს ჩრდ. შავიზღვისპირეთშიც (პანტიკაპეონი, ოლვია, ხერსონესი და სხვა). ბერძნული ახალშენების დაარსებამ ხელი შეუწყო შავიზღვისპირეთის მოსახლეობაში ვაჭრობისა და ეკონომიკის განვითარებას. ჩრდ. შავიზღვისპირეთში მათ ეკონომიკურთან ერთად, თავიდანვე, მნიშვნელოვანი როლის შესრულება დაიწყეს ამ მხარის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ჩრდ. შავიზღვისპირეთის ბერძნულმა ქალაქებმა შექმნეს პოლიტიკური კავშირი, რომელიც დიდ და ძლიერ სახელმწიფოში - ბოსფორის სამეფოში გადაიზარდა (ძვ. წ. V ს.). მისი დედაქალაქი იყო პანტიკაპეონი.

დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოცენებული ბერძნული ახალშენები განსხვავებულ გარემოში აღმოჩნდნენ. სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების დონით აქაური მოსახლეობა ბევრად წინ იდგა ჩრდ. შავიზღვისპირეთის მოსახლეობაზე. აღდგენილი კოლხეთის სამეფოც საკმაოდ ძლიერი იყო. ასეთ პირობებში ბერძნული ახალშენები არათუ ვერ გაბატონდნენ ადგილობრივ მოსახლეობაზე, არამედ თვითონ მოექცნენ კოლხეთის გავლენის ქვეშ და მის სავაჭრო ცენტრებად გადაიქცნენ.

ბერძნული ახალშენების გზით კოლხეთს საკმაოდ ინტენსიური სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა საბერძნეთთან. საბერძნეთიდან შემოჰქონდათ ძირითადად ხელოსნობის ნაწარმი: ქსოვილი, სამკაული, ჭურჭელი და ფუფუნების სხვადასხვა საგნები; აგრეთვე, კეების ზოგი პროდუქტი (ზეთი, ღვინო); ხოლო გაჰქონდათ: სელი და სელის ნაწარმი, ბეწვეული, ტყავი, ხე-ტყე გემთმშენებლობისათვის და ავეჯის დასამზადებლად, ოქრო, რკინა. გაჰყავდათ მონებიც.

ბერძენი ავტორების ცნობებით, კოლხეთი ამ დროს საკმაოდ დაწინაურებული ქვეყანა ყოფილა. განვითარებული იყო მარცვლეულის მეურნეობა, მევენახეობა, მეხილეობა, მესაქონლეობა. ტრადიციულად მაღალ დონეზე იდგა მეტალურგია.

დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, ბერძნული ახალშენების გარდა, არსებობდა ადგილობრივი ქალაქური ტიპის სავაჭრო-სახელოსნო ცენტრები (ვანი - ვანის რ-ნი, დაბლაგომი - სამტრედიის რ-ნი). ამ ნაქალაქრების

ვანი. ყელსაბამი კუს გამოსახულებებით და საყურეები ჩიტების გამოსახულებებით. ძვ. წ. V ს.

გათხრისას აღმოჩნდა ბრწყინვალე არქეოლოგიური მასალა. კოლხეთის ერთი უძველესი ქალაქი იყო ბერძნულ წყაროებში მითითებული კუტაია (ქუთაისი).

ძვ. წ. VI ს-დან დასავლეთ საქართველოში მიმოქცევაში იყო ადგილობრივ მოჭრილი ვერცხლის ფული – „კოლხური თეთრი“ (თეთრი ძველ ქართულად ვერცხლს ნიშნავდა). ესაა მცირე ზომის ვერცხლის მონეტა, რომლის ერთ მხარეს ადამიანის თავია გამოსახული, მეორეზე – ხარის, იშვიათად ლომის. ამ მონეტებს, როგორც წესი, წარწერები არ ახლავს. აღსანიშნავია, რომ არსებობდა კოლხური თეთრის სხვადასხვა ნომინალი – გარდა წვრილი ფულისა, დრაქმა, დიდრაქმა და თვით ტეტრადრაქმაც. ფულის მოჭრა კოლხეთში განვითარებული სახელმწიფოს არსებობას ადასტურებს.

ეგრისი ადრეკლასობრივი სახელმწიფო იყო, ჯერ კიდევ ძლიერი თემური წყობილების გადმონაშთებით. საზოგადოების ზედა ფენა, შედარებით მცირერიცხოვანი მონების გარდა, ექსპლუატაციას უწევდა რიგით მეთემეებს - თავისუფალ ან ნახევრადთავისუფალ მიწათმოქმედთა მასებს.

ეგრისის სამეფო შედარებით სუსტდება ელინისტური ხანის დასაწყისში. ალექსანდრე მაკედონელის მიერ აღმოსავლეთის ქვეყნების დაპყრობის (ძვ. წ. 334-323 წწ.) შემდეგ აქ ფართოდ გავრცელდა ბერძნული კულტურა, ძველ ბერძნებს ელინებსაც უწოდებდნენ და საზოგადოებრივი წყობილების ამ ხანას ელინისტური ხანა ეწოდება (ძვ. წ. IV-I სს.). ეგრისის სათავეში მეფის მაგივრად ერისთავი იდგა, რაც ადგილობრივი ხელისუფლების დაკნინებას მოწმობს.

4. ქართლის (იბერიის) სამეფოს წარმოქმნა. მეფე ფარნავაზის ეპოქა

ქართლის, ანუ *იბერიის* სამეფოს წარმოქმნა საკმაოდ რთულ ვითარებაში მიმდინარეობდა. ქართველ ტომთა უძველესი სახელმწიფოებრივი გაერთიანებების (დიაოხი) განადგურების შემდეგ, აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე სხვადასხვა ტომები ჩამოსახლდნენ, რომელთაგან ყველაზე უფრო აქტიურნი ძვ. წ. VI ს-ში მცირე აზიიდან შემოჭრილი მესხური გაერთიანებები იყვნენ. მათი სახელები აქაურმა ადგილებმა შემოინახა; მაგ., მესხეთი, სამცხე (სამესხე). ფიქრობენ, რომ მცხეთაც მესხთა ქალაქს ნიშნავს.

ალექსანდრე მაკედონელის სიკვდილის შემდეგ მისი იმპერია დაიშალა. ის დაინაწილეს მისმა სარდლებმა. წინა აზია შევიდა ე. წ. სელევკიდების სახელმწიფოში, რომელიც დააარსა ალექსანდრე მაკედონელის სარდალმა სელევკმა. სელევკიდების სახელმწიფოს ძვ. წ. III ს-ში გამოეყო პართია. საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ საზღვართან ჩამოყალიბდა პონტოს სამეფო. ეს სახელმწი-

ახალგორი. ოქროს ყელსაბამების ფრაგმენტები. ძვ. წ. IV ს.









ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოები ცდილობდნენ საქართველოზე თავიანთი გავლენის გავრცელებას.

ქართლის (იბერიის) სამეფოს წარმოქმნას ძველი ქართული ტრადიცია ფარნავაზის სახელს უკავშირებს. ქართული საისტორიო თხზულების, ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრების“ მიხედვით (ამით იწყება ძველი ქართული საისტორიო თხზულებების კრებული „ქართლის ცხოვრება“), ალექსანდრე მაკედონელმა ირანისა და წინა აზიის შემდეგ დაიპყრო საქართველოც და ქვეყნის მმართველად თავისი სარდალი აზო დატოვა (მართალია, ალექსანდრე მაკედონელს საქართველოში არ ულაშქრია, მაგრამ გამორიცხული არ არის, რომელიმე მისი სარდლის ლაშქრობა). აზოს ბრძანებით დაანგრიეს აქაური ციხეები, დამპყრობლები ხოცავდნენ ქართლის ყველა მცხოვრებს, ვისაც კი იარაღის ტარება შეეძლო. აზოს წინააღმდეგ ბრძოლის ინიციატივა ხელთ იგდო ფარნავაზმა – მცხეთის მკვიდრმა, მცხეთის მამასახლისის სამარას ძმისშვილმა. როგორც სამარა მამასახლისი, ისე მისი ძმა - ფარნავაზის მამა, დაიღუპნენ აზოსთან ბრძოლაში. ჭაბუკი ფარნავაზი დაბრუნდა მცხეთაში და დაუახლოვდა აზოს, რომლის ამალაშიც თავი გამოიჩინა, როგორც შესანიშნავმა მონადირემ და მოისარმა. ლეგენდა მოგვითხრობს, რომ ერთხელ ნადირობისას ფარნავაზს შემოაღამდა და გაუვადრდა. მან თავი შეაფარა ერთ გამოქვაბულს, სადაც მოულოდნელად დიდძალ სიმდიდრეს მიაგნო. ფარნავაზი და მისი ოჯახის წევრები ხუთი ღამის განმავლობაში ფარულად ეზიდებოდნენ ამ სიმდიდრეს. ფარნავაზი დაუკავშირდა ეგრისის მმართველ ქუჯის და შესთავაზა ერთობლივი ბრძოლა აზოს წინააღმდეგ. ამ სიმდიდრით შეიძინეს საომარი იარაღი, დაიბმარეს ოსები და ლეკები. ფარნავაზს მიემხრო აგრეთვე 1 000 რჩეული მეომარი აზოს ლაშქრიდან. სასტიკ ბრძოლაში დამპყრობლები დამარცხდნენ, თვითონ აზო მოკლეს.

სამშობლოს განთავისუფლების შემდეგ ფარნავაზმა თავი ქართლის მეფედ გამოაცხადა. მან თავისი და ცოლად მიათხოვა ქუჯის, რომელიც ეგრისის მმართველად დაამტკიცა. სამეფო ფარნავაზმა 8 საერისთავოდ დაჰყო, რომელთა სათავეშიც ერისთავები (ადგილობრივი მმართველები) დააყენა. მათ შორის, ცენტრალური ოლქის (შიდა ქართლის) მმართველობა სპასპეტს (მთავარსარდალს) ჩააბარა.

ფარნავაზის სახელს უკავშირდება მცხეთის გადაქცევა სამეფოს დედაქალაქად, მცხეთის ზღუდის აშენება, არმაზციხის უძველესი თავდაცვითი ნაგებობის და მტერთაგან მოოხრებული სხვა ციხე-ქალაქების მშენებლობა.

ქრისტიანობის შემოღებამდე ქართველთა რელიგია წარმართული იყო. ქვეყნის ცენტრალიზაციის მიზნით ამ მრავალ წარმართულ ღმერთებს ფარნავაზმა სათავეში ჩაუყენა და მთავარ ღვთაებად აქცია *არმაზი* (მთვარის ღვთაება), რომლის კერპიც აღმართა არმაზის მხარეს.

ვანი. ოქროს სამაჯურები. ძვ. წ. V-IV სს.
ვანი. სასაფეთქლეები. ძვ. წ. IV ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფარნავაზი იყო ქართველთა ლეგენდარული წინაპრის, ქართლოსის შთამომავალთაგან პირველი მეფე ქართლისა. იგი გამეფდა ოცდაშვიდი წლის ასაკში და მეფობდა სამოცდახუთი წელი.

„მეფეთა ცხოვრების“ ცნობით, ფარნავაზამდე ქართლში ექვს ენაზე ლაპარაკობდნენ, ხოლო ფარნავაზმა განავრცო ქართული ენა და ამიერიდან ქართლის სამეფოში აღარ იხმარებოდა სხვა ენა, გარდა ქართულისა. ფარნავაზსავე მიაწერს „მეფეთა ცხოვრება“ ქართული მწიგნობრობის (დამწერლობის) შექმნას.

ამ ლეგენდაში ბევრია ზღაპრული, მაგრამ იგი მაინც სინამდვილის გარკვეულ ანარეკლს წარმოადგენს. სხვა მონაცემებითაც მტკიცდება, რომ ქართლის სამეფო, მართლაც, ძვ. წ. IV–III სს-ის მიჯნაზე წარმოიქმნა და მის სათავეში იდგა ფარნავაზიანთა დინასტია. ასევე, სავსებით რეალური უნდა იყოს ფარნავაზის მიერ გატარებული ღონისძიებანი: ქვეყნის ადმინისტრაციული მოწყობა (7 საერისთავოდ და ერთ სასპასპეტოდ დაყოფა), ერთიანი სახელმწიფო რელიგიის შექმნა, დამწერლობის შემოღება (ცალკე საკითხია, თუ რომელის) და სხვა.

ქართლის, ანუ როგორც მას ძველი ბერძნები უწოდებდნენ, *იბერიის სამეფომ* ძვ. წ. III ს-ში ძლიერებას მიაღწია. ამ დროს საზღვრები სამხრეთით მდ. არაქსამდე აღწევდა, ხოლო ჩრდილოეთით კავკასიონის ქედს მიყვებოდა. ფარნავაზის ძალაუფლება ვრცელდებოდა თითქმის მთელ აღმოსავლეთ, დასავლეთ და სამხრეთ საქართველოზე. ამან საქართველოს მოსახლეობა კიდევ უფრო დაუახლოვა ერთმანეთს და დააჩქარა მათი ერთ ხალხად ჩამოყალიბების პროცესი. ქართლის სამეფოს გავლენა კავკასიის მთიელებზეც (ოსებზე და ლეკებზე) ვრცელდებოდა.

ქართლის სამეფოს შესახებ ცნობებს გვაწვდის ძველი ბერძენი ისტორიკოსი და გეოგრაფი *სტრაბონი* (ძვ. წ. 64-ახ. წ. 20 წწ.). მისი აღწერით იბერიაში ბევრი იყო ქალაქები და დაბები, სახლები კრამიტით იყო გადახურული, იყო ბაზრები და სხვა საზოგადოებრივი დანიშნულებანი. აქ გამავალი სავაჭრო გზის (რიონი, მტკვარი, კასპიის ზღვა) წყალობით, რომელიც საბერძნეთს ინდოეთთან აკავშირებდა, ქვეყანა აქტიურ სავაჭრო ურთიერთობაში იყო ჩაბმული გარე სამყაროსთან.

ქართლის სამეფოს მოსახლეობას სტრაბონი ოთხ გვარად (სოციალურ კატეგორიად) ჰყოფდა: პირველი გვარიდან სვამდნენ მეფეს, წინა მეფესთან ნათესაობრივი სიახლოვისა და ასაკის მიხედვით უხუცესს; მეორე გვარი იყო ქურუმებისა (წარმართული სარწმუნოების მსახურების); მესამე გვარი იყო მხედრებისა და მიწისმოქმედთა; ხოლო მეოთხე გვარის წევრები წარმოადგენდნენ სამეფო მონებს, რომლებიც აკეთებდნენ ყველაფერს (სამეფო გვარისათვის), რაც ცხოვრებისათვის იყო საჭირო.

საქართველო ძვ. წ. II – ახ. წ. II სს-ში.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული
მუზეუმი



ეროვნული ბიბლიოთეკა

მკვლევართა აზრით, ეს ცნობები ასახავენ ადრემონათფლობლურ, ან ადრეკლასობრივ საზოგადოებას. მესამე გვარის სოციალური კატეგორია მიჩნეულია თავისუფალ მწარმოებლად და მეომრებად, რომელსაც გვიანდელი წყაროებში „ერი“ ეწოდება, ხოლო მეოთხე კატეგორია (სამეფო მონები) – მეფის ყმა-გლეხებად, ე. ი. ფეოდალური ურთიერთობის ჩანასახ სოციალურ ფენად.

5. პომპეუსის ლაშქრობა საქართველოში

ძვ. წ. II ს-ის დასაწყისიდან აღმოსავლეთისაკენ შემოტევა დაიწყო რომის ძლიერმა სახელმწიფომ. რომაელებმა ძვ. წ. 190 წელს ქ. *მაგნეზიასთან* (მცირე აზიაში) დაამარცხეს სელევკიდები. ამით ისარგებლეს სომხეთის მმართველებმა, გაითავისუფლეს თავი სელევკიდების ბატონობისაგან და სომხეთის ტერიტორიაზე შექმნეს ორი სომხური სახელმწიფო – დიდი და მცირე არმენია. მათგან განსაკუთრებით ძლიერი იყო არტაშეს I-ის მიერ დაარსებული „დიდი არმენია“, რომელმაც საქართველოს სამხრეთი ტერიტორიის ნაწილი მიიტაცა.

საქართველოს დასავლეთიდან გაუმეზობლდა *პონტოს სამეფო*, რომელიც შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე ჩამოყალიბდა. მისი მოსახლეობის დიდ ნაწილს დასავლურ ქართული ტომები (ლაზები, ჭანები, კოლხები, ხალიბები, მოსინიკები და სხვ.) შეადგენდნენ. პონტოს სამეფო განსაკუთრებით გაძლიერდა მითრიდატე VI-ის მეფობის (ძვ. წ. 111-63 წწ.) დროს. მითრიდატე პონტოელმა დაიპყრო შავი ზღვის ჩრდილოეთ და აღმოსავლეთი სანაპირო, კერძოდ, ბოსფორის სამეფო, კოლხეთი და მცირე არმენია. მითრიდატეს დამორჩილდა სამხრეთ და დასავლეთ შავიზღვისპირეთის ქალაქების დიდი ნაწილიც. ამის შემდეგ მითრიდატემ ბრძოლა გააჩაღა მთელი მცირე აზიის დაუფლებისათვის. ამ საქმეში მისი მოკავშირე გახდა სომხეთის მეფე ტიგრან II.

პონტოსა და სომხეთის გაძლიერებას წინ აღუდგა რომი, რომელიც მცირე აზიას საკუთარი ინტერესების სფეროდ თვლიდა. მითრიდატემ მოხერხებულად გამოიყენა ანტირომაული განწყობილება მცირე აზიის მოსახლეობაში. ამ ბრძოლას პონტოს მეფემ დასაწყისში რომის წინააღმდეგ აზიელთა საღვთო ომის ხასიათი მისცა და მნიშვნელოვან წარმატებებსაც მიაღწია. მაგრამ მითრიდატეს დესპოტია რომის ბატონობაზე უკეთესი არ გამოდგა და მითრიდატეს აუმხედრდნენ დაპყრობილი მხარეები. ამასობაში რომაელებმაც თავისი ძალების კონცენტრაცია მოახდინეს და რამდენჯერმე გაიმარჯვეს მითრიდატეს ჯარებზე.

ქართლის სამეფო ისევე, როგორც აღბანეთი, ამ დროს პონტოსა და სომხეთის მოკავშირე იყო. ძველი ბერძენი ისტორიკოსი პლუტარქე სომხეთის დედაქალაქ არტაშატის დამცველთა შორის (ბრძოლა მოხდა ძვ. წ. 68 წ.) ასახ-

არმაზისხევი (მცხეთა). ოქროს ყელსაბამი. ძვ. წ.II ს.



რომაელი სარდალი გნეუს მაგნუს პომპეუსი. ძვ. წ. I ს.

ელებს იბერიელ შუბოსნებს, რომელთა იმედიც, მათი ვაჟკაცობის გამო, ტიგრანს სხვებზე მეტი ჰქონდა.

ძვ. წ. 66 წ. მითრიდატესა და ტიგრანის წინააღმდეგ ომის წარმოება რომის სენატმა ცნობილ სარდალს გნეუს მაგნუს *პომპეუსს* დაავალა. პომპეუსმა სასტიკად დაამარცხა მითრიდატე და იმავე 66 წელს სომხეთში შეიჭრა. მითრიდატემ, რომელსაც ამის შემდეგ ჯერ ერთი შვილი აუჯანყდა, ხოლო შემდეგ მეორე, 63 წ. თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. სომხეთი მალე დამარცხდა. ძვ. წ. 66 წელს რომსა და სომხეთს შორის დაიდო ზავი, რომლის ძალითაც სომხეთმა დაკარგა მის მიერ შემოერთებული ბევრი ოლქი და 6 ათასი ტალანტის კონტრიბუციის გადახდა იკისრა. ტიგრან II-მ რომის „მეგობრისა და მოკავშირის“ წოდება მიიღო, რაც რომისადმი პოლიტიკური დაქვემდებარების აღიარებას ნიშნავდა. ამის შემდეგ ძვ. წ. 65 წ. რომაელთა არმია საქართველოსკენ დაიძრა.

ქართლში ამ დროს მეფობდა არტაგი. პომპეუსის ლაშქრობა იბერიაში დაწვრილებით აღწერა რომაელმა ისტორიკოსმა დიონ კასიუსმა (II-III სს.). არტაგმა დესპანი გაგზავნა პომპეუსთან მეგობრობის აღთქმით, მაგრამ მალულად თავდასხმისათვის ემზადებოდა. პომპეუსმა ეს შეიტყო, არ აცალა და თვითონ შეიჭრა მოულოდნელად. არტაგმა მხოლოდ მაშინ გაიგო პომპეუსის შემოსევის შესახებ, როცა იგი აკროპოლისს (არმაზციხეს) მიადგა. არტაგმა ვეღარ შეძლო ციხის დაცვა, სასწრაფოდ მიატოვა იგი, გადავიდა მტკვრის მეორე მხარეზე და ხიდი დაწვა (ეს ის ხიდია, რომელიც დღევანდელი მცხეთის სადგურთან, ყველაზე ვიწრო ადგილას იყო აგებული. დღეს შემორჩენილია მხოლოდ ბურჯები. ხიდს ეძახიან „პომპეუსის ხიდს“). არმაზციხის გარნიზონი დამარცხდა ბრძოლაში და დანებდა მტერს. პომპეუსმა დაიმორჩილა მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მდებარე მთელი მხარე. არტაგმა დესპანები გაუგზავნა ზავის თხოვნით და პირობას იძლეოდა თვითონ აეგო ხიდი და სურსათიც მიეწოდებინა რომაელთა ლაშქრისათვის. ეს ორივე პირობა შეასრულა კიდეც, მაგრამ პომპეუსი მაინც გადავიდა მტკვარზე. მაშინ არტაგი გაიქცა მდ. პელორისკენ (არაგვი), სადაც იყო მცხეთის მეორე მთავარი ციხე - სევსამორა, ანუ ზადენციხე (სევსამორა<წინამური). პომპეუსი დაეწია მას და დაამარცხა. არაგვზე გადასვლა არტაგმა მაინც მოახერხა და დაწვა ხიდი. მდინარის აქეთა მხარეს დარჩენილი არტაგის მეომრები ტყეში გაიფანტნენ და რამდენიმე დღე თავს იცავდნენ. ხეებიდან ესროდენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისრებს, მაგრამ შემდეგ, როდესაც რომაელებმა ხეები გაკაფეს, ისინი დაილუპნენ. მამაკაცებთან ერთად იბრძოდნენ ქალებიც. ტყვეებს შორის მრავალი ქალი აღმოჩნდა. ბრძოლის ველზე 9000 ქართველი დაეცა. 10 000-ზე მეტი ტყვედ იქნა ჩაგდებული.

პომპეუსსა და არტაგს შორის კვლავ მოლაპარაკება გაიმართა. პომპეუსი მძევლად არტაგის შვილებს ითხოვდა. არტაგი ამაზე არ თანხმდებოდა, მაგრამ როდესაც ზაფხულის სიცხეების გამო, არაგვი ადვილად გადასალახავი გახდა და პომპეუსიც გადავიდა მასზე, არტაგმა მძევალი მისცა და ზავიც შეიკრა. ძღვენის სახით პომპეუსმა არტაგისაგან მიიღო ოქროს საწოლი, ტახტი და მაგიდა. ქართლში მეფობა რომაელებმა ხელუხლებლად დატოვეს. ოღონდ, არტაგიც პომპეუსმა „რომაელთა მეგობრად და მოკავშირედ“, ე.ი. რომისადმი დაქვემდებარებულ მმართველად გამოაცხადა.



რომის იმპერატორი ვესპასიანე (69-79 წწ).

იბერიიდან პომპეუსი კოლხეთში გადავიდა. აქ მას ფაზისთან საზღვაო ფლოტი უცდიდა. რომაელებმა კოლხეთიც ბრძოლით დაიკავეს. კოლხეთის მმართველად პომპეუსმა დააყენა ვინმე არისტარქე. ჩვენამდე მოაღწია მისი სახელით მოჭრილმა მონეტამ. მონეტის ერთ მხარეზე გამოსახულია კაცის თავი, ხოლო მეორეზე – ტახტზე მჯდომი ქალღმერთი. მონეტაზე არის წარწერა: „არისტარქე კოლხიდიდან“. ქვეყნის სახელის ქვეშ არის ნიშანი, რაც არისტარქეს მეფობის მეთორმეტე წელს - დაახლ. ძვ. წ. 52 წ. აღნიშნავს. ამგვარი მონეტების თითო ეგზემპლარი დაცულია ლენინგრად-პეტერბურგში (ერმიტაჟში), პარიზსა და იზმირში (ერმიტაჟში დაცული მონეტა ნაპოვნია სოხუმთან).

6. ქართლის სამეფო I–II სს-ში

ახ. წ. I–II სს-ში ქართლის სამეფო მნიშვნელოვნად განმტკიცდა და გაძლიერდა. იგი ფაქტიურად განთავისუფლდა რომზე დამოკიდებულებისაგან. ამას ხელს უწყობდა ხელსაყრელი საგარეო პოლიტიკური ვითარება. კერძოდ, სომხეთის დასუსტება, რომსა და პართიას შორის ბრძოლა და სხვა. პართიის სახელმწიფო ძვ. წ. 247 წელს გამოეყო სელევკიდების სამეფოს. მდებარეობდა კასპიის ზღვის სამხრეთ–აღმოსავლეთ ნაწილში. დაპყრობითი ომების შედეგად მისი ტერიტორია მდ. ამუდარიიდან ევფრატამდე გადაიჭიმა. მის სათავეში იდგა არშაკიდების დინასტია. პართიის მეფემ არტაბან III-მ 34 წელს სომხეთში

თავისი ვაჟი არშაკი გაამეფა. 35 წელს პართიაში მეფის წინააღმდეგ აჯანყება მოხდა. ამით ისარგებლა რომის იმპერიამ და პართიის ტახტზე თავის ორიენტაციის კაცი აიყვანა. მისი გამეფება მოხდა იბერთა დახმარებით; ამის სანაცვლოდ იბერიის მეფეს მითრიდატეს მისი ერთ-ერთი ვაჟიშვილისათვის დაპირდნენ სომხეთის სამეფოს. იბერები მეფის ძის ფარსმანის მეთაურობით შეიჭრნენ სომხეთში. პართიის მეფემ დიდი ლაშქარი გამოაგზავნა თავისი ძის ოროდის მეთაურობით. ქართველებმა ალბანელები და ალან-ოსები დაიხმარეს. ბრძოლაში ერთმანეთს პირისპირ შეხვდნენ სარდლები - ფარსმანი და ოროდი. ფარსმანმა ხმლის მძლავრი დარტყმით ოროდს მუზარადი გაუპო და თავი გაუჩეხა. პართელი უფლისწულის სიკვდილმა მტრის ჯარში არეულობა გამოიწვია. გამარჯვება ქართველებს დარჩათ. ამრიგად, სომხეთში გამეფდა ქართლის მეფის მითრიდატეს ძე და მისი მომდევნო მეფის ფარსმან I-ის ძმა მითრიდატე. სომხეთის ტახტის დაკავების შემდეგ მითრიდატე არავითარ სურვილს არ იჩენდა დამორჩილებოდა თავის ძმას – ქართლის მეფე ფარსმანს. ამიტომ ფარსმანი აშკარა ბრძოლას იწყებს თავისი ძმის წინააღმდეგ. მან თავისი შვილი რადამისტი გაგზავნა დიდი ლაშქრით სომხეთის დასაპყრობად. მართალია, რადამისტმა შესძლო სომხეთის ტახტზე ასვლა, მაგრამ მისი მმართველობა მცირე ხანს გაგრძელდა.

ისეთ ძლიერ სახელმწიფოებთან ჭიდილში, როგორებიც იყვნენ რომის იმპერია და პართია, ქართლის სამეფომ ვერ შესძლო სომხეთის შენარჩუნება. ბოლოს, 63 წ. რომსა და პართიას შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც სომხეთი ორმაგი დამოკიდებულების ქვეშ მოექცა: ერთის მხრივ, იგი იყო პართიის სამეფო სახლის უმცროსი ხაზის წარმომადგენელთა სამფლობელო, ხოლო, მეორეს მხრივ რომის ვასალი და რომაელთაგან უნდა მიეღო სამეფო გვირგვინი. სომხეთი ამ ხელშეკრულებით ფაქტიურად პართიის ხელში გადავიდა. ამის შემდეგ ქართლის სამეფოს აღარ შეეძლო სომხეთზე რაიმე უფლება განეცხადებინა. პართელებმა თავის მხარეზე გადაიყვანეს ალბანეთის სამეფოც. ალბანეთი აქამდე მუდამ ქართლის სამეფოს მოკავშირე იყო, მაგრამ ახლა ქართლი საფრთხეს უქმნიდა ალბანეთის დამოუკიდებლობას. ამან ალბანეთის მმართველთა პართიული ორიენტაციისაკენ გადახრა გამოიწვია. როგორც ვხედავთ, იბერია მთელ ამიერკავკასიაში გაბატონებისკენ ისწრაფოდა.

ფარსმანის ძის მითრიდატეს მეფობის დროსაც ქართლი ძლიერი სახელმწიფო იყო და აქტიურ მონაწილეობას იღებდა წინა აზიის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მითრიდატეს წარმატებულმა ლაშქრობებმა დიდად განამტკიცა ქართლის სამეფოს ავტორიტეტი. რომის იმპერია თვითონ ისწრაფვოდა მასთან ურთიერთობის გასაუმჯობესებლად. ამას მოწმობს მცხეთაში ნაპოვნი 75 წლით დათარიღებული ნარწერა, შედგენილი რომის იმპერატორ ვესპასიანეს (69-79 წწ.) სახელით, რომელშიც საუბარია არმაზის ციხის გალავნის გამაგრებაზე

რომაელთა მიერ იბერთა მეფე მითრიდატესთვის – „კეისრისა და რომაელთა მეგობრისათვის“.

II ს-ის II ნახევარში ქართლი კიდევ უფრო ძლიერდება. ეს იყო ანტიკური ხანის ქართლის სამეფოს ყველაზე დიდი ძლიერების ხანა. ამ დროს ქართლში მეფობს ფარსმან მეორე, „ქველად“ წოდებული. მისი მეფობის ხანაში ქართლის სამეფოს საზღვრებმა მეტად შორს გაიწია და სამხრეთ-დასავლეთით, შავი ზღვის სანაპიროზე გავიდა. ქართლის სამეფოს საზღვრების ასეთ გაფართოებას წინ აღუდგა რომის იმპერია. აშკარა გახდა, რომ ფარსმან II ყოველგვარი შენიღბვის გარეშე იბრძოდა მის წინააღმდეგ.



მცხეთა, არმაზი. ვესპასიანეს წარწერა. 75 წ.; ტექსტი: „თვითმპყრობელმა კეისარმა ვესპასიანე სევასტოსმა, დიდმა ქურუმთმთავარმა, შვიდჯერ ტრიბუნის ხელისუფლებით აღჭურვილმა, ოთხმეტჯერ თვითმპყრობელად (არჩეულმა), ექვსჯერ ვიპატოსმა, მეშვიდედ გამოცხადებულმა, სამშობლოს მამამ და ცენზორმა, და თვითმპყრობელმა ტიტე კეისარმა, სევასტოსის ძემ, ხუთჯერ ტრიბუნის ხელისუფლებით აღჭურვილმა, ოთხჯერ ვიპატოსმა, მეხუთედ გამოცხადებულმა, ცენზორმა, და დომიციანე კეისარმა, სევასტოსის ძემ, სამჯერ ვიპატოსმა, მეოთხედ გამოცხადებულმა, იბერთა მეფეს მითრიდატეს, მეფე ფარსმანისა და იამაზასპუჰის ძეს, კეისრის მეგობარსა და რომაელთა მოყვარულს, და ხალხს ეს კედლები გაუმაგრეს“ (აკად. თ. ყაუხჩიშვილის თარგმანი).

128 წ. რომის იმპერატორმა *ადრიანემ* ფარსმანს ძვირფასი საჩუქრები გამოუგზავნა (საომარი სპილო, 500 კაციანი რაზმი და სხვ.) და თავისთან მიიწვია. ქართლის მეფემ იმპერატორს სამაგიერო საჩუქრები გაუგზავნა: დიდძალი ძვირფასეულობა და ოქროს ქსოვილის მოსასხამები, მაგრამ მასთან გამოცხადებაზე ქედმაღლურად უარი განაცხადა. განრისხებულმა ადრიანემ ამ მოსასხამებით გლადიატორები გამოაშვებინა ცირკის არენაზე. მისი საჩუქრების ასე აბუჩად აგდებით განაწყენებულმა ფარსმან II-მ გახსნა დარიალის კარი და ალან-ოსები შეუსია რომის იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებს.

მომდევნო იმპერატორის *ანტონიუს პიუსის* დროს ურთიერთობა ქართლსა და რომს შორის შედარებით გაუმჯობესდა. რომის იმპერია გარკვეულ დათმობებზე წავიდა და სცნო ქართლის სამეფოს საზღვრების გაფართოება. ფარსმანმა მიიღო ანტონიუს პიუსის მიწვევა და დიდი ამალით ჩავიდა რომში,



რომის იმპერატორი ადრიანე (117-138 წწ.).

სადაც მას საზეიმო შეხვედრა მოუწყეს. მოლაპარაკების შემდეგ საპატიო სტუმარს ნება დართეს მსხვერპლი შეეწირა კაპიტოლიუმში. იმპერატორი დაესწრო ფარსმანის, მისი ძმის და სხვა ქართველი დიდებულების სამხედრო ვარჯიშს, ხოლო დედაქალაქის ერთ-ერთ ტაძარში (ბელონი) ცხენზე ამხედრებული ფარსმანის ქანდაკება დაიდგა. ქართველთა ამ სტუმრობის აღსანიშნავად სპეციალური წარწერა გააკეთეს მარმარილოს დაფაზე, რომელიც რომის ფორუმის მოედანზე იყო გამოფენილი.

ამავე ხანებში გართულებული იყო მდგომარეობა იბერიასა და პართიას შორის. „მეფეთა ცხოვრებაში“ გადმოცემული მოთხრობა ფარსმან ქველზე თითქმის მთლიანად ეძღვნება პართიას მიერ წარმოებულ ბრძოლას. ძალით რომ ვერაფერს გახდნენ, პართიელებმა მუხანათობას მიმართეს – მათ მოისყიდეს ფარსმანის მზარეული, რომელმაც მეფე მოწამლა.

ფარსმანის შემდეგ ქართლის სამეფოს ტახტი ხსეფარნუგმა დაიკავა. მცხეთაში, არმაზისხევის ნეკროპოლში აღმოჩნდა არამეულ-ბერძნული ორენოვანი წარწერა: – „არმაზის ბილინგვა“ (არამეული, იმ პერიოდში, მთელ წინა აზიაში გავრცელებული ენა და დამწერლობა იყო). ქვის ეს სტელა აღმართული იყო ხსეფარნუგ მეფის ეზოსმოძღვარ იოდმანგანის უდროოდ გარდაცვლილი (21 წლის) მეუღლის სერაფიტის საფლავზე. წარწერაში ნათქვამია, რომ სერაფიტის მამა ზევახი ფარსმან მეფის პიტიახში იყო, ხოლო იოდმანგანის მამა აგრიპა – ფარსმანის ეზოსმოძღვარი. ამით ასკვნიან, რომ ხსეფარნუგის წინამორბედი მეფე ფარსმან II უნდა ყოფილიყო.

ქართლის სამეფო ხსეფარუნგის დროსაც წარმატებულ საგარეო ომებს აწარმოებდა. სერაფიტის წარწერაში იოდმანგანი „ხსეფარუნგ მეფის მრავალი გამარჯვების მომპოვებელ ეზოსმოძღვრად“ იწოდება.

7. რომის ბატონობა დასავლეთ საქართველოში. ანიკეტის აჯანყება

რომაელთა მიერ დაპყრობილი კოლხეთი მცირე ხანს, არისტარქეს დროს (ძვ. წ. 65-47) ცალკე ადმინისტრაციული ერთეული იყო, ხოლო ამის შემდეგ დიდი ხნით დაუკავშირდა რომაელთა ვასალს პონტოს სამეფოს – კოლხეთი

პონტოს მეფეებს დაექვემდებარა. ჩვ. წ. 68 წელს, რომის იმპერატორმა ნერონმა პონტოს სამეფო გააუქმა. კოლხეთი, პონტოსთან ერთად, რომის პროვინციად გამოცხადდა, როგორც პონტოს პროვინციის შემადგენელი ნაწილი. ეგრისში რომაელებმა საკუთარი მმართველები დააყენეს, ხოლო ქვეყნის მთავარ ქალაქებში რომაელთა ჯარი იდგა. ადგილობრივი სახელმწიფოებრიობის დაცემამ და ჯერ პონტოს, ხოლო შემდეგ რომის საკმაოდ სუსტი ადმინისტრაციის დაფუძნებამ, გააძლიერა მთაში მცხოვრები სხვადასხვა, შედარებით ჩამორჩენილი ტომების თავდასხმები და მათი მასობრივი ჩამოსახლება დაიწყეს. ამან ძლიერი გავლენა იქონია კოლხეთის ზღვისპირა ქალაქებზე – მათ დაკარგეს დიდი სავაჭრო ცენტრების მნიშვნელობა და დაცარიელდნენ. პირველ რიგში ეს ეხება პიტიუნტს და დიოსკურიას. ასეთ განუკითხაობას და შევიწროებას შავი ზღვის სამხრეთ და აღმოსავლეთ სანაპიროს (კოლხეთი, პონტო) მოსახლეობამ აჯანყებით უპასუხა.

ეს აჯანყება, რომელიც 69 წელს მოხდა, აღწერილი აქვს რომაელ ისტორიკოსს *ტაციტუსს* (I–II სს.).

აჯანყებას სათავეში ჩაუდგა პონტოს მეფის პოლემონის მონაყოფილი, შემდეგ პონტოს სამეფოს ფლოტის უფროსი *ანიკეტი* (ანიკეტი ქართულად „უძლეველს“ ნიშნავს). მან ნადავლი აღუთქვა შავი ზღვის ნაპირზე მცხოვრებ ტომებს და დიდი ურდოთი შეიჭრა ტრაპეზუნტში. აჯანყებულებმა ამოხოცეს აქ მდგომი რომაული კოჰორტა, ხელთ იგდეს ქალაქი და ხომალდები. ვესპასიანემ ანიკეტის წინააღმდეგ სამხედრო რაზმი გამოგზავნა, რომლის სარდლადაც დანიშნა გამოცდილი მხედართმთავარი ვირდი გემინი. დამარცხებული ანიკეტი გაიქცა და თავი შეაფარა მდ. ხობის შესართავთან მცხოვრებ ლაზურ ტომს – სედოხეზებს. რომაელები სედოხეზებს ანიკეტის გაცემისათვის საჩუქრებს დაპირდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ომით დაემუქრნენ. სედოხეზების ბელადმა გასცა ანიკეტი და ამრიგად, აჯანყება ჩახშობილი იქნა.



რომის იმპერატორი ანტონიუს პიუსი (138-161 წწ.).

ანიკეტის აჯანყებამ, მიუხედავად დამარცხებისა, რომს დაანახა, რომ კოლხეთის სრულ დამორჩილებას იგი ვერ შესძლებდა. ამავე დროს, იბერიის გაძლიერებული სამეფო კვლავ ცდილობდა დასავლეთ საქართველოს შემოერთებას. ამიტომ, რომის იმპერია იძულებული შეიქნა დათმობაზე წასულიყო და ეცნო

ადგილობრივი მმართველობა. დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ოთხი სამთავრო ჩამოყალიბდა: ლაზების, აფშილების, აბაზგების და სანიგების, რომელთა მთავრები რომის ვასალებად ითვლებოდნენ.

8. ქართული წარმართული პანთეონი

ადრეკლასობრივი ხანის საქართველოში (ძვ. წ. XII–ახ. წ. IV სს.), ისევე როგორც პირველყოფილი თემური წყობილების დროს, გაბატონებული იყო *წარმართული სარწმუნოება*. ეს არის მრავალღმერთიანი რელიგია, როდესაც ცალკეულ ტომებსა და თემებს თავიანთი მფარველი ღვთაებები ჰყავდათ, აკეთებდნენ მათ გამოსახულებებს – კერპებს და მათ თაყვანს სცემდნენ, მსხვერპლს სწირავდნენ. გაღმერთებული იყო ბუნების ძალები და საგნები (მზე, მთვარე, ჭექა-ქუხილი, ღრუბლები, დღე, ღამე და სხვ.). მაშინდელი ადამიანების წარმოდგენით, ეს ღვთაებები აღჭურვილნი იყვნენ ზებუნებრივი ძალით და ამყარებდნენ წესრიგს ბუნებასა და საზოგადოებაში: მათ საპატივცემულოდ იმართებოდა რელიგიური რიტუალები და ცერემონიები. ერთ-ერთი ასეთი რიტუალური სცენა გამოსახულია თრიალეთის შუა ბრინჯაოს ხანის ყორღანში აღმოჩენილ ვერცხლის თასზე. რიტუალები (ე. ი. რელიგიური ცერემონიები) გამოსახულია აგრეთვე არქეოლოგების მიერ აღმოჩენილ სხვა ნივთებზეც. რელიგიური რიტუალებისა და წეს-ჩვეულებების ნაწილი დღემდე შემორჩენილია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ესაა სახალხო დღესასწაულები – ბერიკაობა, ყეენობა, ხატობა და სხვ.

ძველი რელიგიური წარმოდგენები ასახულია აგრეთვე ქართულ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში, მითებში და ზღაპრებში. ამ ზღაპრების გმირები ხშირად ჩადიან ქვესკნელში, ადიან ზეცაში, სადაც ხვდებიან და ელაპარაკებიან მზეს, მთვარეს, ვარსკვლავებს, რომლებსაც ადამიანთა თვისებები და გარეგნობა გააჩნიათ. მზე ქალის სახით ჰყავთ წარმოდგენილი, მთვარე – მამაკაცის, ამინდისა და ღრუბლების ღმერთი – ტაროსი, ასევე მამაკაცია და სხვ.

ქართული სახელმწიფოების წარმოქმნა ხელს უწყობდა რელიგიური წარმოდგენების გაერთიანებას და შერწყმას, ერთგვარ რელიგიურ ცენტრალიზაციას, ცალკეულ ღვთაებებს შორის იერარქიის (უფროს-უმცროსობის) დამყარებას. ქართლის სამეფოში უმაღლეს ღვთაებად იქცა მთვარის ღვთაება – *არმაზი*, რომელიც მეომარი მამაკაცის სახით ჰყავდათ წარმოდგენილი და კერპად ლითონისაგან იყო ჩამოსხმული. არმაზის წმინდა ცხოველად ითვლებოდა ხარი, ამიტომ არმაზს ხშირად სწირავდნენ ხოლმე ხარს. ხარის რქები ნახევარმთვარის ფორმისაა და ამიტომ ის ასოცირებული იყო ხართან. ძველ საკულტო შენობებში (წარმართულ ტაძრებში და შემდეგ – ქრისტიანულ ეკლესიებშიც), ასევე

ეროვნული ბიბლიოთეკა



მცხეთა. სერაფიტის ეპიტაფია, ე.წ. არმაზის ბილინგვა. II ს. I ნახ.

ბერძნული ტექსტი: „სერაპიტი, მცირე პიტიახშის, ზევახის ასული, პიტიახშ პუბლიკიოს აგრიპას ძის, იბერთა დიდი მეფის ქსეფარნუგის მრავალი გამარჯვების მომპოვებელი ეზოსმოძღვრის იოდმანგანის მეუღლე. გარდაიცვალა ახალგაზრდა, 21 წლის, რომელსაც ჰქონდა უბადლო სილამაზე“ (აკად. თ. ყაუხჩიშვილის თარგმანი).

არამეული ტექსტი: „მე (ვარ) სერაფიტი, ასული ზევახ მცირისა, ფარსმან მეფის პიტიახშისა, მეუღლე იოდმანგანისა, (რომელიც) იმარჯვებდა და ამრავლებდა (ადრე) გაკეთებულ საგმირო საქმეებს, (და არის) ეზოსმოძღვარი ქსეფარნუგ მეფისა, ძე აგრიპასი, ეზოსმოძღვარი ფარსმან მეფისა, (რომელმაც) ძლია მძლეველნი, რაც ფარნავაზმა ვერ დაასრულა. და, ასე, (სერაფიტი) იყო კეთილი და ლამაზი, რომლის მსგავსი არავინ იყო სილამაზით. და გარდაიცვალა 21 წლისა“ (აკად. კ. წერეთლის თარგმანი).

საცხოვრებელ სახლებში ხშირად ათავსებდნენ ხარის რქის ან ხარის თავის გამოსახულებებს. ხარის კულტის ასეთი გავრცელება საქართველოში შედეგი იყო სახნავი მიწათმოქმედების განვითარებისა და დაწინაურებისა.

ძველ ქართულ კულტს – მთვარის ღვთაებას, ფარნავაზის დროს ეწოდა არმაზი. ეს იყო ძველი მთვარის ღვთაება, რომლის სახელი ქართლში, ისევე როგორც ბევრი სხვა კულტურული ელემენტი, შემოიტანეს მცირე აზიიდან გადმოსახლებულმა მესხებმა. არმაზის კერპი აღმართულ იქნა მცხეთის პირდაპირ მაღალ მთაზე, რომელსაც არმაზის მთა ეწოდა. ეს იყო სპილენძისაგან ჩამოსხმული მეომარი, ოქროს აბჯრით და მუზარადით, რომელსაც თვალების ადგილას ძვირფასი ქვები ჰქონდა ჩასმული და ხელთ ეპყრა მახვილი. მისი დღეობა ბარდებოდა ზაფხულის ბოლოს. ამ დღეს მცხეთის ქუჩებს მორთავდნენ ხოლმე ფერადი ქსოვილებითა და ყვავილებით; იმართებოდა ხალხმრავალი მსვლელობა. მასში მონაწილეობდა სამეფო ოჯახიც. არმაზს, გარდა ხარისა, მსხვერპლად სწირავდნენ ბავშვებსაც. არმაზის გვერდით იდგა ორი სხვა კერპი: *გაცი* და *გაიმი*, ხოლო მოპირდაპირე მთაზე – *ზადენის* კერპი. ამ კერპებსაც მიიჩნევდნენ ბუნების სხვადასხვა ძალთა განსახიერებად.

ქართველ ტომებს და შემდეგ მათ სახელმწიფოებრივ გაერთიანებებს (დიაოხი, კოლხა, ქართლი) ჰქონდათ თავიანთი თვითმყოფადი მაღალგანვითარებული ყოფითი კულტურა. ამავე დროს მათ მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული კავშირი ჰქონდათ როგორც აღმოსავლეთის ქვეყნებთან (წინა აზია), ისე ანტიკურ სამყაროსთან (საბერძნეთი, რომი). ამდენად, ქართული კულტურა კარჩაკეტილი და გარე სამყაროსგან მოწყვეტილი კი არ იყო, არამედ ითვისებდა მსოფლიო კულტურის მონაპოვარს. ქართული კულტურა ახდენდა ერთგვარ სინთეზს (შერწყმას) აღმოსავლური და დასავლური კულტურისას.

ანტიკური პერიოდის საქართველოში მრავლად იყო დიდი ქალაქები, განვითარებული საქალაქო ცხოვრებით, ვაჭარ-ხელოსანთა უბნებით, ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლებით, ციხე-გალავნებით, დიდებულთა და მეფეთა სასახლეებით, ტაძრებით. ასეთები იყო აღმოსავლეთ საქართველოში: მცხეთა, ურბნისი, უფლისციხე, კასპი, ოძრხე (დღევანდელი აბასთუმნის ახლოს); დასავლეთ საქართველოში – კუტაია (ქუთაისი), ვანი (იმ დროს რა ერქვა არ ჩანს), დაბლაგომი (ძველი სახელწოდება უცნობია), ციხე-გოჯი (რომელსაც ბერძნები არქეოპოლისს, ე. ი. ძველ ქალაქს უწოდებდნენ, მისი ნაშთი დღეს გამოვლენილია ნოქალაქევში, სენაკიდან 17 კმ მანძილზე). ამ ქალაქებზე ცნობებს გვაწვდიან ძველი ბერძენი და რომაელი ავტორები (მათ შორის სტრაბონი), ხოლო არქეოლოგიური გათხრების შედეგად (მცხეთაში, ვანში, დაბლაგომში, ნოქალაქევში, ურბნისში და სხვ.) გამოვლენილია მათი ნაშთები.

უფლისციხე წარმოადგენდა ანტიკური ხანის კლდეში ნაკვეთ ქალაქს, სადაც სხვადასხვა დანიშნულების ნაკვეთ ნაგებობებს შორის შემორჩენილია თეატრის შენობაც.

მცხეთის სხვადასხვა უბნებზე (ბაგინეთი – არმაზციხე, არმაზისხევი, სამთავრო) წლების მანძილზე ჩატარებულმა გათხრებმა გამოავლინა ქალაქის აკროპოლისი (ცენტრი, ციტადელი – სამეფო ციხე-დარბაზი – არმაზციხე), სასახლისა და ტაძრის ნაშთები. აგრეთვე ქართლის პატიახშების რეზიდენცია (არმაზისხევი), კეთილმოწყობილი აბანოთი (ცივი და ცხელი წყლის აუზებით, წყლისა და ჰაერის გასაცხელებელი იატაკქვეშა მოწყობილობით, მოზაიკური იატაკით, თიხის მილებით). ასეთივე აბანოები აღმოჩნდა, გარდა არმაზისხევისა, ძალისასთან (მცხეთის რ-ნი), აგრეთვე დასავლეთ საქართველოში (ნოქალაქევი). მცხეთასთანვე აღმოჩნდა სამეფო აკლდამა – სამშენებლო ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუში.

ვანის ნაქალაქარი ანტიკური პერიოდის დასავლეთ საქართველოს კეთილმოწყობილი, განვითარებული ქალაქის ნიმუშია. აქ ჩატარებული გათხრების

უფლისციხე. ანტიკური კლდეში ნაკვეთი ნაქალაქარი; ზემოთ – ადრეფეოდალური ხანის ბაზილიკური ტაძარი.





ეროვნული ბიბლიოთეკა

შედეგად აღმოჩენილია საკულტო და საერო ნაგებობების ნაშთები: მრგვალი ტაძრის ნანგრევები შვიდსაფეხურიანი საკურთხევლით, ქვით მოკირწყლული ქუჩები, კოშკები. აქვე მრავალრიცხოვან ნივთებს შორის აღმოჩნდა გამარჯვების ქალღმერთ ნიკეს ბრინჯაოს ფიგურა.

ციხე-გოჯი (არქეოპოლისი) აგრეთვე წარმოადგენდა ანტიკური ხანის დას. საქართველოს ქალაქს, ლაზიკის (ეგრისის) ცენტრს. ნოქალაქევში ჩატარებულმა გათხრებმა გამოვლინა ამ ქალაქის ნაშთები (ტაძრები, საცხოვრებელი ნაგებობები, ციხე-გალავანი და სხვ.).

არქეოლოგიურმა გათხრებმა გამოავლინა ანტიკური (ე. ი. ადრეკლასობრივი) ხანის საქართველოს ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშები: რკინისა და ბრინჯაოს ნაკეთობები, საომარი და სამეურნეო იარაღი, მაღალმხატვრული გემოვნებით დამზადებული სამკაულები, საოჯახო ნივთები და ოქრომჭედლობის ნიმუშები.

10. ფეოდალური ურთიერთობის განვითარება საქართველოში

პირველ საუკუნეებში საქართველოში ინტენსიურად მიმდინარეობდა საზოგადოების ფეოდალიზაციის პროცესი. IV საუკუნისათვის ფეოდალური წარმოების წესი გაბატონებული გახდა, ქართველი ხალხის ისტორიაში ფეოდალური წყობილების ხანგრძლივი ეპოქა დაიწყო.

ფეოდალური წყობილება პირველყოფილ-თემურ და ადრეკლასობრივ წყობილებასთან შედარებით წინგადადგმული ნაბიჯი იყო საზოგადოებრივ განვითარებაში, მოასწავებდა პროგრესს საქართველოს ისტორიაში. ამ პროგრესს ხელი შეუწყო წარმოების საშუალებათა შემდგომმა განვითარებამ, საქართველოს პოლიტიკურმა გაძლიერებამ და საერთაშორისო ასპარეზზე გამოსვლამ, მსოფლიო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის ორბიტაში ჩაბმამ.

წარმოების საშუალებათა განვითარება გამოიხატა პირველ რიგში სასოფლო-სამეურნეო რკინის იარაღების გაუმჯობესებაში და საყოველთაო გავრცელებაში, რაც ხელს უწყობდა მიწის დიდი მასივების ათვისებას. დასამუშავებელი მიწის მასივების გაზრდას დიდად შეუწყო ხელი სარწყავი სისტემების შექმნამ საქართველოს ყველა კუთხეში. ფართო მასშტაბით გაიშალა საირიგაციო მშენებლობა, რამაც ხელი შეუწყო ინტენსიური მეურნეობის, ე. ი. სახნავი მიწათმოქმედებისა და მევენახეობის განვითარებას. ინტენსიურ მეურნეობაზე გადასვლა მოითხოვდა შრომის შედეგით დაინტერესებულ მუშახელს. ასეთ მუშახელს არ წარმოადგენდნენ მონები და მეთემეები. მონას მოსავლიდან აძლევდნენ მხოლოდ იმდენს, რაც მისი სიცოცხლისა და სამუშაო ძალის შესან-

არმაზისხევი (მცხეთა). ყელსაბამი სანელსაცხებლით. ძვ. წ. II ს.

არჩუნებლად იყო საჭირო, ხოლო მეთემეს სათემო მიწაზე მოჰყავდა მხოლოდ თავისი და თავისი ოჯახის გამოსაკვებად საკმარისი მოსავალი.

მეორე მხრივ, მიწის დიდი მასივების ათვისება ხელს უწყობდა მსხვილი მიწათმფლობელობის წარმოქმნას, რაც საფუძველია ფეოდალური ურთიერთობისა. მსხვილი მიწათმფლობელები, ცხადია, თავიანთ მეურნეობაში ამუშავებდნენ და ექსპლუატაციას უწევდნენ გაღატაკებული მიწის მუშებს, რომლებიც თემს გამოეყვნენ, უმიწოდ დარჩნენ და იძულებულნი გახდნენ სხვის მიწაზე ემუშავათ თავისი და თავისი ოჯახის გამოსაკვებად. მიწათმფლობელი მას აძლევდა მიწის ნაკვეთს და სამაგიეროდ ართმევდა მოსავლის ნაწილს – აკისრებდა ბეგარას. დაბეგრილი და მიწათმფლობელისადმი უფლებრივად დაქვემდებარებული მიწის მუშა, რომელსაც ჰქონდა თავის სარგებლობაში (და არა საკუთრებაში) წარმოების საშუალებებიც (მიწის ნაკვეთი და შრომის იარაღები) წარმოადგენდა ფეოდალური საზოგადოების ექსპლოატირებულ კლასს, რომელსაც საქართველოში ადრეფეოდალ ხანაში გლეხი ეწოდებოდა, ხოლო განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში ყმა-გლეხი. გლეხი საერთო ძირისაა ტერმინებთან: გლახა, გლახაკი, რაც ღატაკს და მათხოვარს აღნიშნავს.

ფეოდალური საზოგადოების გაბატონებულ კლასს – მსხვილი და საშუალო მიწათმფლობელებს, ადრეფეოდალურ საქართველოში ეწოდებოდა *აზნაურები*, ხოლო აზნაურთა ზედა ფენას *დიდი აზნაურები* და *წარჩინებულნი*. აზნაურის ძირია „აზნა“, რაც ძველ სპარსულში აღნიშნავს დაწინაურებულს, წარჩინებულს, თავისუფალს, ხოლო –ური - ქართული კუთვნილებითი სუფიქსია. წარჩინებული იგივე გამოჩინებულს, დაწინაურებულს აღნიშნავს.

დაბეგრილ გლეხთა რიგებს, გარდა გაღატაკებული, თემიდან გამოყოფილი მწარმოებლისა ავსებდნენ, აგრეთვე, ყოფილი მონები, რომლებსაც მიწის მფლობელები აძლევდნენ მიწის ნაკვეთს, საწარმოო იარაღს და ადებდნენ ბეგარას.

ფეოდალ-აზნაურებად იქცეოდა ყოფილ მეთემე-მოლაშქრეთა ის მცირე ნაწილი, რომელიც ახერხებდა მიწის დიდი ნაკვეთების დაპატრონებას, თავისი მეურნეობის გაზრდასა და გამდიდრებას, ნაწილობრივ ბრძოლებში მოპოვებული ნადავლით, ნაწილობრივ მოლაშქრეობის შედეგად სამხედრო და სახელმწიფო სამსახურში აღზევებით, პოლიტიკური ძალაუფლების დაპატრონებით. სწორედ ამიტომ, ადრეფეოდალურ ხანაში მოლაშქრეობა, როგორც პრივილეგია მხოლოდ გაბატონებული კლასის ხელთ იყო. ლაშქარში წასვლა მოითხოვდა ძვირად ღირებული რკინის ჯავშნის, აბჯრის, ხმალ-ხანჯლის, საომარი ცხენის და მისი აღკაზმულობის შეძენას, რაც მხოლოდ ქონებრივად შეძლებულს შეეძლო. მხედრები და მოლაშქრეები აზნაურებისაგან შედგებოდნენ.

ამრიგად, საქართველოს ფეოდალიზაციის პროცესი პირველ საუკუნეებში მოასწავებდა საზოგადოების გათიშვას ფეოდალ-აზნაურებად და მებეგრე

გლეხებად. ეს პროცესი, ძირითადად, დასრულდა IV ს-ში, თუმცა კიდევ დიდხანს დარჩა პირველყოფილი თემური წყობილების ნაშთები, ამის გამო ამ ეპოქას ადრეფეოდალური ხანა ეწოდება (IV–X სს.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილი II

საქართველო ქრისტიანობის მიღებიდან ქვეყნის გაერთიანებამდე

1. ქრისტიანობა და საქართველოში მისი სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება

III ს-დან ქართლის სამეფოს საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. ეს პირველი რიგში გამოწვეული იყო იმით, რომ პართიის სუსტი სამეფოს ნანგრევებზე ძლიერი და აგრესიული ირანის სახელმწიფო ჩამოყალიბდა სასანიანთა დინასტიით სათავეში. უკვე პირველმა სასანიანმა შაჰებმა ქვეყანა ცენტრალიზებულად მოაწყვეს. დიდად გაიზარდა ირანის სამხედრო ძლიერება. აღდგენილ იქნა ძველი ირანული რელიგია - მაზდეანობა, ანუ ცეცხლთაყვანისმცემლობა. სასანიდური ირანი შეტევაზე გადავიდა თავის ძველისძველი მტრის, რომის იმპერიის წინააღმდეგ და დიდ წარმატებებსაც მიაღწია (ეს ბრძოლები, პირველ რიგში, მიმართული იყო ამიერკავკასიის ქვეყნების დასაპყრობად). განსაკუთრებით დიდი წარმატებები მოიპოვეს ირანელებმა შაბურ I-ის (242–272) მმართველობის ხანაში. 260 წელს მათ თვით რომის იმპერატორი ვალერიანე დაატყვევეს. ირანელთა შემოტევა რომაელებმა მხოლოდ 80-იან წლებში შეაჩერეს. 296 წელს რომაელებმა სასტიკად დაამარცხეს ირანელები სომხეთში. 298 წელს რომაელებთან მორიგი წარუმატებელი შეტაკების შემდეგ, სპარსელები იძულებული გახდნენ რომთან 40 წლის ვადით ქ. *ნისიბინში* დაედოთ ზავი, რომლის თანახმადაც ირანმა სცნო რომის უპირატესობა სომხეთსა და იბერიაზე. ზავის პირობების თანახმად, ქართლის მეფეს სამეფო ნიშნები რომაელებისაგან უნდა მიეღო. მიუხედავად იმისა, რომ ქართლი რომის ვასალად ითვლებოდა, ფაქტიურად, ისიცა და სომხეთიც დამოუკიდებელი სახელმწიფოები იყვნენ, რადგან რომაელებს არ ჰქონდათ საშუალება მათზე ზეგავლენისა. ასეთი დამოკიდებულების შედეგი იყო, რომ ქართლის მმართველ წრეებს რომთან სიახლოვე ერჩივნათ ირანთან სიახლოვეს. ამის ერთ-ერთი გამოხატულება იყო ისიც, რომ ქართლში ქრისტიანობა სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრისტიანული რელიგია წარმოიქმნა რომის იმპერიის აღმ. პროვინციებში ახ. წ. აღ-ის I ს-ში. პირველ ხანებში ქრისტიანობა გამოდიოდა ღარიბ-ღატაკთა და შევიწროებულთა მფარველ რელიგიად და მას მომხრეები შედარებით უფრო დაბალ ფენებში ჰყავდა. რომის მმართველი წრეები სდევნიდნენ ქრისტიანებს, ხოლო რომის მეტოქე ირანი, თავისი სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, მფარველობას უწევდა მათ. თანდათან ქრისტიანებმა რომის იმპერიაში მტკიცე ორგანიზაცია შექმნეს, რომელიც მასებზე ახდენდა გავლენას. ამას გარდა, ქრისტიანობა მრავალმხრივ სასურველი ჩანდა რომის იმპერატორებისათვის: ქველმოქმედებისა და საიქიოში განცხრომის იმედი იზიდავდა ღატაკთა მასებს, ხოლო მორჩილებისა და ქედის მოდრეკის ქადაგება მას მმართველი წრეებისათვის მისაღებს ხდიდა. ამიტომ რომის ხელისუფლებამ ქრისტიანული რელიგიისადმი დამოკიდებულება მკვეთრად შეცვალა. იმპერატორმა კონსტატინემ *მილანის ედიქტით* (უმაღლესი ხელისუფლების განსაკუთრებული ბრძანებულება) 313 წ. ქრისტიანული სარწმუნოების თავისუფლება გამოაცხადა და ქრისტიანობის მფარველობის გზას დაადგა. 325 წ. ნიკეის პირველი მსოფლიო საეკლესიო კრებიდან, რომელსაც თვით იმპერატორი კონსტანტინე ესწრებოდა, ქრისტიანობა რომის იმპერიაში ფაქტიურად სახელმწიფო რელიგიად გადაიქცა.



ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე I დიდი (306-337 წწ.).

მას შემდეგ, რაც რომის ხელისუფლება ქრისტიანობის დევნიდან მის მფარველობაზე გადავიდა, მისმა მეტოქე ირანმა მკვეთრად შეცვალა ქრისტიანებისადმი დამოკიდებულება – მფარველობის ნაცვლად მათი სასტიკი დევნა-შევიწროება დაიწყო. ამიერიდან იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც ირანისა და რომის მეტოქეობის ობიექტს წარმოადგენდნენ, ქრისტიანობისადმი დამოკიდებულება, პირველყოვლისა, პოლიტიკური ორიენტაციის საგანი გახდა. IV ს-ის I ნახ.-ში შაბურ II-ის მეფობის ხანაში, სასანიანთა ირანმა ახალი ენერგიული შეტევა დაიწყო ამიერკავკასიის ქვეყნებზე. ქართლმა და სომხეთმა სწორად შეაფასეს შექმნილი მდგომარეობა. აშკარა იყო, რომ სასანიანთა ირანი მათთვის ბევრად უფრო საშიშ საფრთხეს წარმოადგენდა, ვიდრე რომი. ამიტომაც ქართველმა პოლიტიკოსებმა გადაწყვიტეს ქრისტიანობა მიეღოთ და ამით სასანიდების წინააღმდეგ რომთან კავშირი განემტკიცებინათ. ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა 337 წელს (ზოგიერთი მოსაზრებით, რომელსაც იზიარებს ქართული მართლმადიდებელი ეკლესია, 326 წელს).

ქართლის გაქრისტიანების ამბავი ზღაპრულ-ლეგენდარული სახით შემოგვინახა ძველმა ქართულმა საისტორიო ტრადიციამ („მოქცევაჲ ქართლი-

საა“, ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრება“):

სახელგანთქმულ კაპადოკიელ სარდალს, ქრისტიანობის გამავრცელებელ ზაბილონსა და მის მეუღლეს სუსანას, ჰყავდათ ასული *ნინო*. როდესაც ნინო 12 წლის შეიქნა, მისმა მშობლებმა საერო ცხოვრება მიატოვეს და ღმერთის სამსახურს მისცეს თავი. მარტოდ დარჩენილი ნინო ორ წელიწადს იყო იერუსალიმში ერთ დვინელ სომეხ ქალთან, რომელიც ქრისტეს რჯულის საუკეთესო მცოდნე ყოფილა. შემდეგ ნინო მოხვდა სამეფო წარმომავლობის ქალ რიფსიმესთან. მასთან და 50 სხვა ქალწულთან ერთად ნინო იძულებული გახდა გაქცეულიყო სომხეთში. სომხეთის მეფე თრდატმა, რომელიც ჯერ კიდევ წარმართი იყო, ისინი აწამა. ნინო ცოცხალი გადარჩა და ღვთის ჩაგონებით ჩრდილოეთისაკენ წავიდა, ჯავახეთში გადავიდა, ხოლო იქიდან დიდი გაჭირვებით ურბნისს მიაღწია. ურბნისიდან ნინო მცხეთისაკენ სალოცავად და სავაჭროდ მიმავლებს გაჰყვა და ქართლის დედაქალაქში ჩავიდა. მცხეთაში ნინომ ნახა, როგორ ემსახურებოდა ხალხი ადგილობრივ კერპებს: არმაზს, გაცსა და გაიმს. ნინოს ვედრების შედეგად, ღმერთმა საშინელი ავდარი მოაწია და სეტყვით მთლად დაამსხვრია კერპები. ამის შემდეგ ნინომ ცხრა თვე იცხოვრა მეფის ბაღის მცველთან (ბაღი იყო დღევანდელი სვეტიცხოვლის ტაძრის ადგილზე). შემდეგ ნინომ ვაზის ნასხლევისაგან გააკეთა ჯვარი, ერთ მაყალის ბუჩქში დადგა და თვითონაც იქ დასახლდა (დღევანდელი სამთავროს ტაძრის არემარეზე). 6 წლის განმავლობაში ცხოვრობდა იქ ნინო და ჯერ ფარულად, ხოლო შემდეგ აშკარად ქადაგებდა ქრისტეს რჯულს და მრავალ სასწაულსაც ახდენდა. მან უკურნებელი სენისაგან განკურნა დედოფალი ნანა და მოგვთა (წარმართული სარწმუნოების მსახურთა) მეთაური.

ერთხელ, 20 ივლისს, შაბათ დღეს, ქართლის მეფე მირიანი მუხრანისკენ წავიდა სანადიროდ. ნადირობისას მეფემ გადაწყვიტა ქრისტიანთა ამოწყვეტა. უცბად, თხოთის მთაზე ასულს, მზე დაუბნელდა და გზა ვეღარ გაიგნო. მირიანმა თავის ღმერთებს მიმართა; შველა რომ არ მიიღო, ნინოს ღმერთს შეევედრა ხსნას. მართლაც, მაშინვე განათდა და მეფემ იწამა ქრისტეს ძალა. მეორე დღესვე მირიანმა და დედოფალმა ნანამ თხოვნა შეუთვალეს კეისარს მღვდლები გამოეგზავნა მოსანათლად, ხოლო თვითონ ეკლესიის შენებას შეუდგნენ მეფის ბაღში (დღევანდელი სვეტიცხოვლის ადგილას).

კეისრისაგან გამოგზავნილმა მღვდლებმა მონათლეს მეფე, მისი ოჯახის წევრები, დიდებულები და ხალხი. ღვთის მითითებით სამი ჯვარი იქნა აღმართული: ერთი იმ ბორცვზე, სადაც ახლა ჯვრის ტაძარია; მეორე – თხოთის მთაზე, სადაც მირიანმა პირველად იწამა ქრისტე და მესამე – ქალაქ უჯარმაში.

ქართლის ბარის მოსახლეობას წინააღმდეგობა არ გაუწევია ახალი რელიგიის მიღებისას. ქრისტიანობა აქ, ისევე როგორც მის მეზობელ ქვეყნებში, ამ დროისათვის ხალხში უკვე საკმაოდ ფეხმოკიდებული იყო.

წმ. მეფე მირიანი და წმ. დედოფალი ნანა (თანამედროვე ხატი).

ეროვნული
ბიბლიოთეკა





სამაგიეროდ, სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია ქრისტიანობის დანერგვას მთიანეთის მოსახლეობამ. ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრების“ თანახმად, მირიან მეფემ მთიანეთში ქრისტიანობის საქადაგებლად წასულ ნინოს და იოვანე ეპისკოპოსს ერისთავი გააყოლა. სამხედრო რაზმის ერისთავს იარაღის ხმარება დასჭირდა, რომ „დაერწმუნებინა“ მთიელები (ჭართალელნი, ფხოველნი, წილკნელნი, ერნო-თიანელნი, გუდამაყრელნი, ყვარლელნი) ქრისტიანობის უპირატესობაში. მთიელთა დიდი ნაწილის გაქრისტიანება მაინც ვერ მოხერხდა. ბევრი მათგანი გაიხიზნა კავკასიონის გადაღმა. დარჩენილებს მირიან მეფემ ხარკი გაუდიდა. შემდეგში ქართლის მეფეები და ქრისტიანული ეკლესია საუკუნეთა განმავლობაში ცდილობდნენ გაექრისტიანებინათ მთიელთა ის ნაწილი, რომელიც ჯერ კიდევ წარმართულ სარწმუნოებას მისდევდა.

დასავლეთ საქართველოში, რომთან უფრო მჭიდრო კავშირისა და გეოგრაფიული სიახლოვის გამო, ქრისტიანობა ადრევე გავრცელდა. 325 წ. ქ. ნიკეაში გამართულ I მსოფლიო საეკლესიო კრებას ესწრებოდა პიტიუნტის (ბიჭვინთის) ეპისკოპოსი *სტრატოფილე*. როგორც ჩანს, ეგრისის გაქრისტიანება, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება მოხდა IV ს-ში, დაახლოებით იმავე ხანებში, როცა ამას ადგილი ჰქონდა იბერიაში.

ქრისტიანობის მიღებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. იგი ხელს უწყობდა და აჩქარებდა ქვეყნის ფეოდალიზაციას, აძლიერებდა ქვეყნის ცენტრალიზაციასა და კონსოლიდაციას, ხელს უწყობდა ერთიანი ქართველი ხალხის ჩამოყალიბებას. ქრისტიანობა წიგნიერი რელიგია იყო, იგი ხელს უწყობდა ქართული კულტურის, ენისა და ლიტერატურის განვითარებას. გარდა ამისა, მან განამტკიცა კულტურული კავშირები ევროპის ქვეყნებთან. ქრისტიანობამ გააერთიანა საქართველოს ყველა კუთხის მოსახლეობა და ნიადაგი მოუმზადა ისტორიულად ჩამოყალიბებული მყარი ერთობის – ერთიანი ქართველი ხალხის შექმნას. ამის შემდეგ, საქართველოს ისტორიის მთელ მანძილზე, ქვეყნის პოლიტიკური დაშლის პირობებშიც, საქართველოს ეკლესია იყო ის ძალა, რომლის გარშემო გაერთიანებული რჩებოდა ქვეყნის ყველა კუთხე და რეგიონი.

2. ქართლი და სასანური ირანი

338 წელს, როდესაც ნისიბინის ზავის ვადა ჯერ კიდევ არ იყო ბოლომდე გასული (იგი იმ წელს მთავრდებოდა), ირანის შაჰმა შაბურ II-მ დაიწყო საომარი მოქმედება რომაელთა წინააღმდეგ. ქართლი ამ პერიოდში რომაელთა მხარეზე იყო, თუმცა მისი აქტიური მონაწილეობა ბრძოლაში არა ჩანს. 350 წელს რო-

თბილისი. სიონის ტაძარი. წმ. ნინოს ჯვარი.

მაელებმა ელჩები გაგზავნეს თავის მოკავშირეებთან უხვი საჩუქრებით. ყველაზე მეტად მოქრთამული იყვნენ მირიანი და არშაკი – ქართლისა და სომხეთის მეფეები. მირიანი გარდაიცვალა ქრისტიანობის მიღებიდან 25-ე წელს.

353 წელს, რომსა და ირანს შორის დაიდო ზავი. ზავის პირობებში იბერიაზე არაფერია ნათქვამი. ჩანს, მისი პოლიტიკური სტატუსი უცვლელი რჩებოდა. ამავე ზავით, რომაელები პირობას დებდნენ არ ჩარეულიყვნენ სომხეთის საქმეებში.

ირანელებმა არ დააყოვნეს ესარგებლათ შექმნილი ვითარებით და უკვე მომდევნო, 354 წელს შეიჭრნენ სომხეთში. სომხეთის მეფეს არშაკ II-ს ამ ბრძოლაში დახმარებას უწევდა ქართლის სამეფო. მაგრამ სომხეთ-ირანის ომში ძალები მეტად არათანაბარი იყო და სომხეთმა მარცხი განიცადა. შემდეგ ირანელები ქართლსაც მიადგნენ. 358 წელს მათ ტახტიდან ჩამოაგდეს ქართლის მეფე საურმაგი და მეფედ მისი ნათესავი ვარაზ-ბაკური დასვეს. ბრძოლა ირანელთა წინააღმდეგ ამით არ შეწყვეტილა. ამჯერად რომაელები ჩაერივნენ ამიერკავკასიის საქმეებში, რადგან აშკარა იყო, რომ ჩაურევლობას მათთვის მეტისმეტი ზიანის მოტანა შეეძლო. რომაელებმა ჯარი მიაშველეს ქართლიდან განდევნილ საურმაგს, ამჯერად ძალთა შეფარდება თანაბარი აღმოჩნდა და საურმაგმა და ვარაზბაკურმა ქართლი ორად გაიყვეს. მაგრამ მალე ეს ორმეფობა მოისპო და ქართლი მთლიანად ირანს დამორჩილდა.

ამრიგად, IV ს-ის 70-იან წწ.-ში ირანელებმა ქართლის სამეფო მთლიანად დაიმორჩილეს. ციხე-ქალაქ თბილისში იჯდა მათი მოხელე – პიტიახში, რომელიც აქედან აკონტროლებდა ქართლის მეფის მოქმედებას და განაგებდა ხარკის აკრეფის საქმეს.

ირანის გაბატონების შემდეგ, ქართლის მეფეები იბრძოდნენ ქართლის კულტურული თვითმყოფადობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის. ზოგიერთი მათგანი შეეწირა კიდეც ამ ბრძოლას (მაგ., მირდატი, V ს-ის 20-იანი წწ.), მაგრამ ქართლის ბრძოლას ირანელთაგან გასათავისუფლებლად ამ პერიოდში ხელშესახები შედეგი არ მოჰყოლია.

ირანელთა მიზანი იყო სავსებით მოესპოთ ის შინაგანი დამოუკიდებლობა, რომელიც შერჩენოდათ მათ ქვეშევრდომ ამიერკავკასიის ქვეყნებს (ქართლი, სომხეთი, ალბანეთი) და გადაექციათ ისინი ირანის რიგით პროვინციებად. ამ მიზნის მისაღწევად მათ შემოიღეს მეტად მძიმე სამხედრო ბეგარა, რომელსაც მოჰყვა ახალი საგადასახადო სისტემა. ქართული ცხენოსანი ჯარი იგზავნებოდა შორეულ ლაშქრობებში (შუა აზიაში, ინდოეთში). დიდი ნაწილი იქიდან სამშობლოში ვეღარ ბრუნდებოდა, ეს კი ასუსტებდა ქართველი ხალხის ძალას და წინააღმდეგობის უნარს.

შაჰის ბრძანებით, ამიერკავკასიის ქვეყნებში ჩატარდა აღწერა და შეღებულ იქნა ახალი საგადასახდო სისტემა, რომელმაც უაღრესად დაამძიმა გადასახადები. გადამხდელთა კატეგორიაში ირანელებმა ახალი ქრისტიანული

ეკლესია შეიყვანეს. ირანელებმა გადამწყვეტი ბრძოლა გამოუცხადეს ქრისტიანულ ეკლესიას. მათი მიზანი იყო ქრისტიანული რელიგიის მაზდეანურით შეცვლა.

თავისი მიზნების მისაღწევად ირანელები მოხერხებულად იყენებდნენ არსებულ ვითარებას დაპყრობილ ქვეყნებში. ამ პერიოდში ქართლში და ამიერკავკასიის სხვა ქვეყნებში მიმდინარეობს ფეოდალიზაციის პროცესი, რაც გულისხმობს ბრძოლას ცენტრალურ ხელისუფლებას (მეფე) და ცენტრიდანულ ძალებს (ფეოდალები) შორის. ფეოდალთა მიზანი იყო მემკვიდრეობით დაეუფლებინათ ის მიწები და თანამდებობები, რომლებიც მათ ეჭირათ. მეფე კი იმისათვის იბრძოდა, რომ სრული ძალაუფლება შეენარჩუნებინა სამეფოს მიწა-წყალზე და ყოველ თანამდებობაზე დანიშვნა მხოლოდ მისი ნებით მომხდარიყო. ირანელები იყენებდნენ ამ წინააღმდეგობას და ახერხებდნენ ფეოდალთა ნაწილის გადაბირებას. ამ პოლიტიკამ პირველი დიდი წარმატება ირანელებს სომხეთში მოუტანა, სადაც 428 წელს, ადგილობრივი ფეოდალების შემწეობით მეფობა გააუქმეს. 463 წელს მეფობა გაუქმებული იქნა ალბანეთშიც. ქართლის მდგომარეობა სულ უფრო და უფრო მძიმე და კრიტიკული ხდებოდა.

3. ეგრისი და ბიზანტიის იმპერია

IV–V სს-ში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა დას. საქართველოში. მის განვითარებაში დიდ როლს ასრულებდა ურთიერთობა რომის იმპერიასთან. IV ს-ის დასაწყისში რომის იმპერიის ცენტრი თანდათან აღმოსავლეთისაკენ ინაცვლებდა. დასავლეთ რომი მონათა აჯანყებების, თუ გერმანელი ტომების მოძალეობის გამო სულს ღაფავდა. აღმოსავლეთში, მისი პოზიციები უფრო მტკიცე ჩანდა. რომის მმართველმა წრეებმა იმპერიის დედაქალაქიც შეცვალეს – რომიდან სამეფო რეზიდენცია ბალკანეთის ბოსფორზე, ახალშენ ბიზანტიონში გადაიტანეს. ეს მოხდა 330 წელს, იმპერატორ კონსტანტინეს დროს, რომლის სახელის მიხედვითაც ამ ქალაქს კონსტანტინოპოლი ეწოდა (დღევანდელი სტამბოლი). 395 წელს რომის იმპერია 2 ნაწილად გაიყო. ასე მიეცა საწყისი „აღმოსავლეთ რომის იმპერიას“, ანუ როგორც მას შემდეგ უწოდებდნენ დედაქალაქის – ძველი ბიზანტიონის სახელის მიხედვით – ბიზანტიის იმპერიას. აღმოსავლეთ რომის, ანუ ბიზანტიის იმპერია ძირითადად საბერძნეთს და მისგან აღმოსავლეთით მდებარე პროვინციებს მოიცავდა.

ბიზანტიის საიმპერატორო კარი ცდილობდა მტკიცედ მოეკიდებინა ფეხი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობა შეუნელებლად ებრძოდა დამპყრობლებს.

I–II სს-ში დას. საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ სამთავროებს შორის

ყველაზე მეტად დაწინაურდა ლაზების სამთავრო. II ს-ში მათ თავიანთი კონტროლი დაამყარეს კოლხეთის ბარის რაიონებზე და ნელ-ნელა ჩრდილოეთისაკენ უკუაგდეს აფშილებისა და აბაზგების მთიელი ტომები. ლაზების შემდგომი გაძლიერებისათვის ხელსაყრელ ვითარებას ქმნიდა რომისა და მეზობელი იბერიის დასუსტება. ლაზეთის სამთავრომ თანდათან დაიმორჩილა მთლიანად დას. საქართველო, მოახერხა იქ იბერიის მფლობელობის ლიკვიდაცია და IV ს-ის ბოლოსათვის ერთიან სამეფოდ ჩამოყალიბდა. ამ სახელმწიფოს ბიზანტიელები *ლაზიკას* უწოდებდნენ, ხოლო ქართველები ტრადიციულად *ეგრისს*. ქვეყნის მთავარი პოლიტიკური და ეკონომიკური ცენტრები შიდა რაიონებში იყო. დედაქალაქი, რომელსაც ბიზანტიელები *არქეოპოლისს* (ძველ ქალაქს) ეძახდნენ, იმყოფებოდა დღევანდელი *ნოქალაქევის* ადგილას, ქ. სენაკიდან 17 კმ-ის მანძილზე. ძველი ქართული წყაროები მას *ციხე-გოჯს* უწოდებდნენ და ლეგენდარული ქუჯის (ფარნავაზის თანამედროვე ეგრისის მმართველის) დაარსებულად მიიჩნევენ. არქეოლოგიურმა გათხრებმა წარმოაჩინა ამ უძველესი ქალაქის დიდებული ნაგებობანი და თავდაპირველი სახე.

ეგრისის მოსახლეობამ ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ გააძევა სანაპირო ციხეებში ჩაყენებული ბიზანტიელთა გარნიზონები და ფაქტობრივ დამოუკიდებლობას მიაღწია. ბიზანტიელებმა V ს-ში რამოდენიმეჯერ გაგზავნეს ჯარები, მაგრამ ეგრისელებმა ისინი დაამარცხეს და უკუაქციეს.

ლაზების და მათი სახელმწიფოს შესახებ ცნობები შემორჩენილია ბიზანტიელ ისტორიკოსებთან. VI ს-ის ბიზანტიელი ავტორი აგათია სქოლასტიკოსი ლაზებს ახასიათებს როგორც ძლიერ და მამაც ხალხს, რომლებიც სხვა ტომებზე მბრძანებლობენ. ისინი ამაყობენ კოლხთა ძველი სახელით. აგათიას ცნობით, ლაზები არიან მდიდრები, ჰყავთ მრავალი ქვეშევრდომი, აქვთ განვითარებული მაღალმოსავლიანი მეურნეობა, არიან ლამაზები და ცქვიტი ხასიათისა. ლაზებში განვითარებულია ზღვაოსნობა და ვაჭრობა. აქვთ განვითარებული სახელმწიფო, მოწესრიგებული სათანადო კანონებით.

4. მეფე ვახტანგ გორგასალი. მისი სახელმწიფო-საეკლესიო პოლიტიკა

V ს-ის II ნახ.-ში ქართლის მეფის ბრძოლა ფეოდალურ ძალებთან ემთხვევა ქართველი ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლას ირანელი დამპყრობლების წინააღმდეგ. ამ დროს, ქართლის სამეფო ტახტზე ზის *ვახტანგ გორგასალი*, გამოჩენილი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე. მირდატ მეფის (ვახტანგის მამის) გარდაცვალებისას ვახტანგი 7 წლის იყო. იგი გამეფდა V ს-ის 40-იანი წწ.-ის დასასრულს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგის მეფობა დაემთხვა ქართლის ისტორიის მეტად მძიმე ხანას. 463 წელს ირანელებმა მეფობა გააუქმეს ალბანეთში. სომხეთში მეფობის გაუქმების (428 წ.) შემდეგ ეს იყო ირანის მეორე დიდი გამარჯვება ამიერკავკასიაში.

შაჰ პეროზის დროს (459-484) ირანს ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი ბრძოლები ჰქონდა შუა აზიაში. ერთ-ერთ ბრძოლაში (468 წ.) ირანელები დამარცხდნენ. ხოლო თვით პეროზი ტყვედ ჩავარდა. განთავისუფლება მან შესძლო მხოლოდ უზარმაზარი გამოსასყიდის გადახდით და თავისი ვაჟის კავადის მძევლად დატოვებით. კავადს ორი წელი მოუხდა ჰეფთალებთან ყოფნა, სანამ პეროზმა მთლიანად არ გადაიხადა გამოსასყიდი. ცხადია, ეს მძიმე ტვირთად დააწვა ირანელების მიერ დამორჩილებულ ქვეყნებს და მათ შორის ქართლსაც.



ლამაზიგორა (ბოლნისის რ-ნი). რელიეფი დიდებულის (სავარაუდოდ – ვარსქენ პიტიახშის) გამოსახულებით. V ს.

ამ პერიოდში ქართლის მდგომარეობა უაღრესად გართულებულია ჩრდილოეთის საზღვრებთანაც. შუა აზიაში ომების დროს ირანელებმა შეასუსტეს კონტროლი კავკასიონის გადასასვლელებზე. ამით ისარგებლეს ჯერ ოსებმა, ხოლო შემდეგ ჰუნებმა, გადმოლახეს კავკასიონის ქედი და დაარბიეს ქართლისა და სომხეთის სოფლები.

ვახტანგს მდგომარეობა გართულებული ჰქონდა ქვეყნის შიგნითაც. ირანელთა გამთიშველი პოლიტიკის წყალობით, დიდი აზნაურების ნაწილი არ ეპუებოდა მეფეს. ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია „შუშანიკის წამებაში“ აღწერილი ვითარება: ქართლის პატიახში, ქვემო ქართლის დიდი აზნაური, ვარსქენი 466 წელს გაემგზავრა სპარსეთის შაჰის პეროზის კარზე და ყოველგვარი ძალდატანების გარეშე მიიღო მაზდეანობა. სარწმუნოებრივ ნიადაგზე მას გაემიჯნა ცოლი, სომხეთის ერთ-ერთი ყველაზე უფრო გამოჩენილი გვარის შვილი, ცნობილი მხედართმთავრის ვარდან მამიკონიანის ასული - შუშანიკი. შუშანიკმა ხანგრძლივი წამებითა და სიმტკიცით სახელი გაითქვა მთელ ქართლში. სიკვდილის წინ მის სანახავად მივიდა უმაღლესი საზოგადოება. ამრიგად, ვარსქენისა და შუშანიკის დამოკიდებულება შორს გასცილდა ოჯახური დრამის ფარგლებს და დიდი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობა მიიღო. მიუხედავად ამისა, ვარსქენი არავის ერიდება. იგი თავის სამფლობელოში სრულ ბატონ-პატრონად თვლის თავს. ვარსქენის რისხვისაგან შუშანიკი ვერ დაიფარა ვერც ქართლის აზნაურობამ და ვერც ქართლის ეკლესიამ. ვარსქენის ეს შეუზღუდავი ძალაუფლება მნიშვნელოვანწილად ეყრდნობოდა ირანელთა



თბილისი. ვახტანგ გორგასლის ძეგლი.
მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელი.

ძალას. ირანელები ქართლის მეფეს უპირისპირებდნენ ვარსქენსა და მის მსგავს ქართლის ფეოდალთა კლასის უძლიერეს წარმომადგენლებს. ვარსქენი მეფის ოპოზიციაში მდგომი ფეოდალების ერთ-ერთი ბელადი იყო. ნიშანდობლივია, რომ „შუშანიკის წამებაში“ ერთხელაც არ იხსენიება ქართლის მეფე. თვით თარიღის აღნიშვნის დროსაც ირანის მეფეა მოხსენიებული. ასეთივე ვითარებაა ბოლნისის სიონის წარწერაშიც: „... ოც წლისა პეროზ მეფეთა მეფისა ზე, [დახიდვა საძირკველი წმიდისა] ამის ეკლესიისაჲ და ათხუთმეტ წლისა შემდგომად განხესრულა. ვინ აქა შინა თაჳყანისხცეს, ღმერთმან შეიწყალენ. და ვინ ამის მაშენებელსა დავით ეპისკოპოსსა ხულოცოს, იგიცა ღმერთმან შეიწყალენ“. როგორც ვხედავთ, წარწერაში დასახელებულია პეროზი და არ იხსენიება ქართლის მეფე. ეს წარწერა შესრულებულია 493 წელს. როგორც ვხედავთ, თვით 90-იან წლებშიც ქვემო ქართლში ქართლის მეფეს შესაფერის ანგარიშს არ უწევდნენ.

50-იან-60-იან წწ.-ში ვახტანგი ირანელთა ჯართან ერთად, რამდენიმე ომში მონაწილეობდა შუა აზიაში და ინდოეთში. ამავე დროს ვახტანგმა დიდი ლაშქრობა მოაწყო ბიზანტიის სამფლობელოებზე, რის შედეგადაც ქართლის სამეფოს შემოუერთა თითქმის მთელი დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთი საქართველო, რომელსაც ბიზანტია თავის საკუთრებად თვლიდა.

60-იანი წლების ბოლოს ჰეფთალებისაგან დამარცხებული პეროზი იძულებული იყო დაზავებოდა მათ და ვახტანგიც ქართლში დაბრუნდა. ამ დროიდან იწყება მისი ძირითადი საქმიანობა, რომლის მთავარი მიზანი იყო ბრძოლა სახელმწიფოს ცენტრალიზაციისა და ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის. ეს ორი მიზანი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ერთმანეთთან, რადგან ცენტრიდანული ძალები თავის ბრძოლაში მნიშვნელოვანწილად ეყრდნობოდნენ ირანელებს. ვახტანგმა დაიწყო ბრძოლა მეფის ხელისუფლების გასამტკიცებლად. პირველ რიგში მან ეკლესიის რეორგანიზაცია მოახდინა.

საერო დიდებულებთან ერთად ეკლესიაც დაუპირისპირდა ვახტანგს. ქართლის ეკლესიას სათავეში მთავარეპისკოპოსი ედგა. უმაღლესი საეკლესიო

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამდებობანი ძირითადად დიდაზნაურთა საგვარეულოს წარმომადგენლებს ეკავათ. მეფემ გადააყენა არაერთი ეპისკოპოსი, რომელიც შეუფერებლად მიაჩნდა და მათ მაგივრად თავისი მომხრე და უფრო ღირსეული პირები დანიშნა. ამით აღშფოთებულმა *მთავარეპისკოპოსმა მიქაელმა* ფიზიკური შეურაცყოფა მიაყენა ვახტანგს და დაწყევლა იგი და მისი ლაშქარი. განრისხებულმა ვახტანგმა მთავარეპისკოპოსი მიქაელი გააძევა საქართველოდან. ამავე დროს (V ს. 70-იანი წლები) ვახტანგმა ბიზანტიისაგან მიიღო ნებართვა, რომ ქართული ეკლესიის სათავეში ჩაეყენებინა კათალიკოსი, რომელიც თვითმწყსობის, ე. ი. ავტოკეფალიის უფლებით იქნებოდა აღჭურვილი და მხოლოდ საქართველოს მეფესა და მსოფლიო საეკლესიო კრებას დაექვემდებარებოდა. კათალიკოსობის შემოღება ქართლის ეკლესიის განმტკიცებასაც მოასწავებდა. კათალიკოსად მეფემ თავისი სასურველი პირი – პეტრე დააყენა.

ირანელებთან ბრძოლაში წარმატებისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კავკასიონის გადასასვლელების ხელში ჩაგდებას. ეს საშუალებას მისცემდა ვახტანგს ზურგი გაემაგრებინა, არ გადმოეშვა ჩრდილოეთიდან მოთარეშეები და თვითონ გამოეყენებინა ისინი, როგორც დამხმარე ძალა. ვახტანგმა ილაშქრა ჩრდილო კავკასიაში, დაამარცხა ალან-ოსები, დაიკავა კავკასიონის ერთ-ერთი მთავარი გადმოსასვლელი კარი – დარიალი და ჩრდილო კავკასიის მეომარ მოსახლეობაზე ქართლის სამეფოს გავლენა განამტკიცა. შემდეგ მოლაპარაკება გამართა ჰუნებთან და პირობა მიიღო მათგან, რომ საჭიროების შემთხვევაში ჯარს მოაშველებდნენ.

ირანის წინააღმდეგ აჯანყების დაწყების წინ ვახტანგმა იერიში მიიტანა თავის მოწინააღმდეგე ქართლის დიდებულებზე. პირველ ყოვლისა მან მთავარი მოწინააღმდეგე *ვარსქენ პატიახში* ჩამოიშორა – 482 წელს მოაკვლევინა იგი. ქრისტიანობის უარმყოფელი, გამაზდიანებული ვარსქენის მოკვლით ვახტანგმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ბრძოლა ირანელებთან წარმოებდა არა მარტო პოლიტიკური თავისუფლებისათვის, არამედ სარწმუნოებისთვისაც.

ვარსქენის მოკვლით დაიწყო აჯანყება. აჯანყებისთვის დრო კარგად იყო შერჩეული. ირანს ძალიან გართულებული ჰქონდა მდგომარეობა შუა აზიაში, სადაც გაყვანილი ყავდა თავისი ჯარები და ამიტომ ამიერკავკასიაში ცოტა ჯარი იყო დატოვებული. ვახტანგი შეუკავშირდა მეზობელ სომხებსა და ალბანელებს. ამრიგად, ვახტანგის მეთაურობით ამიერკავკასიის ხალხთა დიდი კოალიცია ჩამოყალიბდა.

აჯანყების პირველ წელს ვახტანგმა მოახერხა ირანელების ქართლიდან განდევნა. მაგრამ მდგომარეობა მაინც მძიმე იყო. ჰუნებისაგან შეპირებული ჯარის ნაცვლად მხოლოდ 300-კაციანი რაზმი მოვიდა. არავითარი დახმარების იმედი არ იყო აგრეთვე ბიზანტიელებისაგან. გარდა ამისა, სომეხი მსხვილი ფეოდალები - ნახარარები, ისევე როგორც ქართველი დიდაზნაურები,

სპარსელებთან შეთანხმებას არჩევდნენ და გადამწყვეტ მომენტში საერთო საქმეს ღალატობდნენ.

483 წელს გაზაფხულზე ირანელებმა გამოგზავნეს ორი დიდი ლაშქარი *მიჰრანისა* და *ატრნესეჰის* მეთაურობით. ვახტანგს მარტო თავის ძალებით მათთან შებმა არ შეეძლო. ამიტომ სომხეთის მთებისაკენ დაიხია და იქ გამაგრდა. აქ ვახტანგის დასახმარებლად მოვიდა სომეხთა ჯარი ვაჰან მამიკონიანის სარდლობით. ქართველ-სომეხთა შეერთებული ლაშქარი გარდაბნის ველზე, მტკვრის მარცხენა ნაპირზე დაბანაკდა. რამდენიმე დღის შემდეგ იქვე, ოღონდ მტკვრის გაღმა დაბანაკდა ირანელთა ლაშქარიც. ქართველ-სომეხთა ლაშქარს თავიდან უპირატესობა ჰქონდა ბრძოლაში. მათ მტრის ერთი ფრთა უკუაქციეს კიდეც, მაგრამ ამ დროს ღალატმა იჩინა თავი. დიდაზნაურთა და ნახარართა ნაწილმა მიატოვა ბრძოლის ველი და მტრის მხარზე გადავიდა. ამან ირანელებს გაუადვილა გამარჯვება. ვახტანგ მეფე იძულებული იყო უკან დაეხია და ახალი ბრძოლისათვის მომზადებულიყო.

484 წელს ქართლში და სომხეთში ირანელთა დიდი ჯარი შემოიჭრა ჰაზარავუხტის სარდლობით. მას დავალებული ჰქონდა ვახტანგი ან შეეპყრო ან მოეკლა. ძალები აშკარად უთანაბრო იყო და ქართლის მეფე იძულებული შეიქნა დასავლეთ საქართველოში გადასულიყო. ამ დროს ირანიდან მოვიდა ცნობა პეროზისა და ირანელთა ჯარის დაღუპვის შესახებ ჰეფთალებთან ბრძოლის დროს. შეშინებულმა ჰაზარავუხტმა ქართლში დარჩენა ვეღარ გაბედა და სასწრაფოდ ირანში გაბრუნდა. ირანელები უაღრესად მძიმე ვითარებაში აღმოჩნდნენ. ამან აიძულა ისინი მთელ რიგ მნიშვნელოვან დათმობებზე წასულიყვნენ. მათ პირობა დადეს შეეწყვიტათ ქრისტიანების დევნა, არ დაერღვიათ ადგილობრივი ტრადიციები და მნიშვნელოვანი საქმეები თვითონ შაჰს გაერჩია. მათ გამოაცხადეს, რომ არაფერში ადანაშაულებდნენ აჯანყებულებს, რადგან აჯანყება თვით პეროზის ძალმომრეობამ გამოიწვიაო. აჯანყებულ სომეხთა სარდალი ვაჰან მამიკონიანი სომხეთის მარზპანად დანიშნეს, ხოლო ალბანეთში მეფობა აღადგინეს.

ვახტანგი ამის შემდეგაც იბრძოდა ირანელების წინააღმდეგ და ბოლოს-დაბოლოს შეეწირა კიდეც თავისუფლებისათვის ბრძოლას.

უკანასკნელი ბრძოლა ვახტანგმა სპარსელებს *სამგორის ველზე* გაუმართა 502 წელს. განთიადისას იგი მოულოდნელად დაესხა თავს იორის პირას დაბანაკებულ მტრის ბანაკს, მოკლა შაჰის ძე, მაგრამ თვითონაც სასიკვდილოდ იქნა დაჭრილი თავისივე ყოფილი მონის მიერ. დიდგვარიანებისაგან მოსყიდულ მონაყოფილს სცოდნია, რომ ვახტანგს იღლიის ქვეშ ჯაჭვის პერანგი წესისამებრ ჩახსნილი ჰქონდა და როდესაც მეფემ შემართა ხმლიანი ხელი, მან ისარი სტყორცნა და სასიკვდილოდ დაჭრა. დაჭრილი ვახტანგი უჯარმის ციხეში გადაასვენეს და იქ გარდაიცვალა 502 წელს. დაკრძალეს სვეტიცხოველში.

ვახტანგ გორგასალი იყო მეტად ჭკვიანი, წინდახედული, გამჭრიახი პოლიტიკოსი, სახელმწიფო მოღვაწე და გულადი მეომარი – სარდალი. *თავგანწირულმა ბრძოლამ უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ ხალხის* თვალში ის დიდების შარავანდით შემოსა, ნახევრად ლეგენდარულ, ეროვნულ გმირად აქცია. თვით ვახტანგი შიშის ზარს სცემდა მტრის ლაშქარს. სადაც კი გამოჩნდებოდა სპარსელები ატეხდნენ ყვირილს „ერიდეთ გორგასალსო“. მეტსახელი „გორგასარი“ (გორგასალი) – სპარსულად „მგელთავა“ იმიტომ შეარქვეს, რომ მუზარადზე წინ მგლის თავი ჰქონდა გამოსახული. ვახტანგზე ცალკე საისტორიო თხზულებაა დაწერილი (XI ს.). მისი ავტორი, ჯუანშერი, უდიდესი ქება-დიდებით მოიხსენიებს ვახტანგს. შემდგომში საქართველოს სახელმწიფო დროშას „გორგასლიანს“ უწოდებდნენ. არაერთი გადმოცემაა შემონახული ვახტანგ გორგასალზე ხალხშიც.

ძველ ქართულ გადმოცემებში დაცულია ცნობა, სადაც ჩამოთვლილია ვახტანგის მოღვაწეობის მთავარი მომენტები: მის მიერ თბილისისა და მცხეთის აშენება, ოსებისა და სხვა ჩრდილო კავკასიელების დამორჩილება, დარიალზე სამეთვალყურეო კოშკების აგება, რომელთა მცველადაც მთიელები დააყენა. მის გოლიათურ აღნაგობაზე (თორმეტი მტკაველის სიმაღლის ყოფილა), მის ბრძოლაზე სპარსელების წინააღმდეგ და მოღალატურ მოკვლაზე. ამავე ცნობაში ნათქვამია, რომ ვახტანგი დაკრძალულ იქნა მცხეთის სვეტიცხოველის ტაძარში და მის საფლავზე ამოკვეთილია მისი გამოსახულება – მისი სიმაღლის შესაბამისი.

ვახტანგ გორგასალი ცნობილია დიდი აღმშენებლობითი მოღვაწეობითაც. მისი გაშენებულია ციხე-ქალაქი *უჯარმა* მდ. ივრის ხეობაში, *ჭერემი* და *ხორნაბუჯი* – ჰერეთში, *არტანუჯი* საქართველოს სამხ.-დას. ნაწილში (კლარჯეთში) და სხვ. მის სახელთან არის დაკავშირებული *თბილისში* ქალაქის მშენებლობის დაწყება.

თბილისი, არქეოლოგიური მონაცემებით, დასახლებული ჩანს უკვე ენეოლითის ხანიდან. V ს-დან იხსენიება როგორც ციხე-ქალაქი. აქ იჯდა სპარსელთა მოხელე – პიტიახში. სპარსელების განდევნის შემდეგ ვახტანგმა ყურადღება მიაქცია თბილისს მისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის გამო და აქ სამეფო სასახლისა და ციხის მშენებლობა დაიწყო. ვახტანგს განზრახული ჰქონდა სატახტო ქალაქი მცხეთიდან თბილისს გადმოეტანა, ეს კი ახალ ნაგებობათა აშენებას მოითხოვდა. ძირითადად ქალაქი ვახტანგმა გააშენა და ამიტომაცაა იგი მიჩნეული ქალაქის დამაარსებლად. მაგრამ ვახტანგმა ვერ მოასწრო ამ საქმის დასრულება და მისმა ძემ, დაჩიმ, მისი ანდერძისამებრ, რეზიდენცია თბილისში გადმოიტანა, მცხეთა კათალიკოსს დარჩა სარეზიდენციოდ. ამ დროიდან იწყება თბილისის, როგორც დედაქალაქის ისტორია.

ქართველმა ხალხმა შესანიშნავი ლეგენდა შექმნა თბილისის დაარსების შესახებ. ერთხელ ვახტანგ მეფე თბილისის მიდამოებში ნადირობდა, იქ მაშინ ჯერ

კიდევ ტყე იყო. უცებ ბუჩქიდან ხოხობი ამოფრინდა, რომელსაც მეფემ თავისი სანადიროდ გაწვრთნილი ქორი დაადევნა. ჰაერში გაიმართა ბრძოლა ხოხობსა და ქორს შორის. ბოლოს ორივე სადღაც გაუჩინარდა. დიდი ძებნის შემდეგ ნახეს, რომ ქორიცა და ხოხობიც ცხელ წყალში ჩავარდნილიყო და შიგ ჩაფუფქულიყო. ცხელი წყალი მიწიდან ამოდიოდა. მეფეს მოეწონა ეს ადგილი, ბუნებრივი ცხელი წყალი და ბრძანა აქ ქალაქის გაშენება. თბილი წყლების გამო ქალაქს თბილისი (ტფილისი) ეწოდა. ამ ლეგენდაში ასახულია ვახტანგის დამსახურება თბილისის გაშენებისა და შემდეგ დედაქალაქის აქ გადმოტანის საქმეში.

ვახტანგ გორგასალს ხალხმა განმადიდებელი ლექსიც უძღვნა:

„ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა,
ციდან ჩამოესმა რეკა;
იალბუზზე ფეხი შედგა,
დიდმა მთებმა იწყეს დრეკა“.

5. მეფობის გაუქმება ქართლში. ქართლი ირანელთა ბატონობის ქვეშ

ვახტანგ გორგასლის დაღუპვის შემდეგ, ქართლის სამეფოს მძიმე დღეები დაუდგა. ამიერკავკასიის ქვეყნებიდან მხოლოდ ქართლსა და ეგრისში იყო დარჩენილი სამეფო ხელისუფლება. 428 წელს ირანელებმა მეფობა გააუქმეს სომხეთში. 510 წელს სპარსეთის შაჰმა კავად I-მა (488-531) საბოლოოდ გააუქმა მეფობა ალბანეთში (ალბანეთში მეფობა პირველად გაუქმებული იქნა 463 წელს, 485 წელს ალბანეთში გამეფდა ვაჩაკანი). ჯერი ქართლის სამეფოზე მიდგა.

VI ს-ის ბიზანტიელი ისტორიკოსის პროკოპი კესარიელის ცნობით, ქართლში ირანელები საქმეს თავიანთი ძველი სარწმუნოებრივი პოლიტიკის გატარებით შეუდგნენ. შაჰმა კავადმა გადაწყვიტა იბერები ძალით მოექცია მაზდეანურ წესებზე. ამის საპასუხოდ ქართლის მეფემ *გურგენმა* საიდუმლო მოლაპარაკება გამართა იუსტინე კეისართან (518-527) და აუჯანყდა ირანელებს. მართალია, კეისარი დახმარებას დაპირდა მეფეს, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში, როცა ირანელთა დიდი ლაშქარი ქართლს შემოესია, ბიზანტიელთა დამხარე რაზმი იმდენად მცირე აღმოჩნდა, რომ გურგენმა ბრძოლა ვეღარ გაუმართა ირანელებს და იძულებული იყო მთელი ოჯახითა და აჯანყებაში მონაწილე სხვა დიდებულებითურთ ეგრისისთვის შეეფარებინა თავი. ირანელებმა ვიწროებსა და ძნელგასავლელ ადგილებში გაქცეულებს ვერაფერი დააკლეს. ეს იყო 523

არტანუჯი. ციხე-ქალაქი. V, IX სს.



ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

წელს. 532 წელს ირანსა და ბიზანტიას შორის დადებულმა ე. წ. „უვადო ზავმა“ ფაქტიური მდგომარეობა განამტკიცა. ბიზანტიამ სცნო ირანელთა ბატონობა აღმოსავლეთ საქართველოზე. გურგენმა ქართლში დაბრუნება ვეღარ შეძლო. ირანელებმა არც სხვა ვინმეს მისცეს გამეფების ნება და ამით ქართლში მეფობა გააუქმეს. გურგენი თავისი ოჯახით ბიზანტიაში დარჩა. მისი შვილები პერანი და ბაკური, აგრეთვე შვილიშვილი ფაზა სამხედრო სამსახურში შევიდნენ და ბიზანტიის ცნობილი სარდლები გახდნენ.

მეფობის მოსპობის შემდეგ ქართლში ირანელთა მმართველობა დამყარდა. ამავე ხანებში კავადმა ირანის სახელმწიფოს სამხედრო-ადმინისტრაციული რეორგანიზაცია მოახდინა: ირანი ოთხ მხარედ, ანუ კუსტაკად დაჰყო. კუსტაკი, თავის მხრივ, უფრო მცირე ადმინისტრაციულ ერთეულებს – შაჰრებს აერთიანებდა. ქართლი, სომხეთი, ალბანეთი და ადარბადაგანი შაჰრების სახით კავკასიის კუსტაკში იყვნენ გაერთიანებულნი. შაჰრებს მარზპანები (ოლქის მმართველები) მართავდნენ, რომლებიც კუსტაკის უფროსს - სპასპეტს ემორჩილებოდნენ.

ქართლის მნიშვნელოვან ციხე-ქალაქებში ირანელებმა ჯარები ჩააყენეს. ამას გარდა, დამპყრობლებმა დაიჭირეს კავკასიონის გადმოსასვლელები. ამით მათ ქართველებს ჩრდილო კავკასიის ველებში მომთაბარე ტომების დახმარების იმედი მოუსპეს და თავიანთი სახელმწიფოც ამ მხრიდან შემოსევებისაგან უზრუნველყვეს.

ქვეყნის მართვა-გამგეობაში ირანელებმა ფართოდ მოიზიდეს ადგილობრივი წარჩინებულებიც. შაჰები ცდას არ აკლებდნენ, რომ დასაყრდენი გაეჩინათ დიდ აზნაურებში. მათ ერისთავებს მემკვიდრეობით დაუმტკიცეს ქართლის მეფეებისგან ოდესღაც სამოხელეოდ და დროებით მიცემული ქვეყნები. ქართლის სათავეში მდგომი მარზპანის რეზიდენცია თბილისში იყო. მარზპანი ქართლის უზენაესი სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფალი იყო. მაგალითად, ქართლის ყოველი მცხოვრების სიკვდილ-სიცოცხლის საკითხს ის წყვეტდა. ამ პერიოდის შესახებ ბევრი საინტერესო ცნობაა დაცული VI ს-ის ქართული მწერლობის შესანიშნავ ძეგლში, უცნობი ავტორის ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში „ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“: მცხეთის ციხისთავს უსტამს არა აქვს ევსტათის დასჯის უფლება და ის ქართლის მარზპანთან მიჰყავთ, მარზპანის გარშემო არიან შემოკრებილნი ქართლის კათალიკოსი, ქართლის მამასახლისი და ქართლის პიტიახში.

მცხეთა. ჯვრის ტაძარი. 595-605 წწ. ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან.

ნ. დიდი ომიანობა ეგრისში

ქართლში გაბატონების შემდეგ ირანელებმა დასავლეთ საქართველოშიც სცადეს ფეხის მოკიდება. ქართლსა და ეგრისს შორის ძველთაგანვე მჭიდრო კავშირი არსებობდა და ირანელთა წინააღმდეგ ბრძოლაში ეგრისის ქართლს ზურგს უმაგრებდა. ეგრისში დამკვიდრებით ირანი ქართლს ამ ზურგს მოუშლიდა, ამასთანავე ზღვაზე გავიდოდა, საიდანაც უკეთ შეუტევდა თავის ისტორიულ მეტოქეს - ბიზანტიას. ქართლიდან გაქცეულ გურგენ მეფეს სპარსთა ლაშქარმა ეგრისის საზღვრებში შესდია და ეგრისის სანაპირო ციხე-ქალაქები შორაპანი და სკანდა დაიკავა. მაგრამ სპარსელები აქ დიდხანს არ დარჩენილან. ბიზანტიასა და სპარსეთს შორის 532 წელს დადებული „უვადო ზავით“ სპარსელები იძულებული იყვნენ ეგრისის ციხე-სიმაგრეები დაეცალათ, მიუხედავად ამისა, ბიზანტიელებმა კარგად იცოდნენ სპარსელთა ზრახვები და ომისთვის ემზადებოდნენ.

ამ მიზნით, ბიზანტიის კეისარ იუსტინიანეს (527-565) ბრძანებით, ეგრისის სამხრეთ ნაწილში ააშენეს ციხე-ქალაქი პეტრა (დღვანდელი ციხისძირი), სადაც ჩადგა ბიზანტიელთა მთავარი სამხედრო ნაწილება და მათი სარდალი (სტრატეგოსი), რომელსაც ეგრისში მდგარი ბიზანტიელთა მთელი ჯარები ემორჩილებოდნენ. ბიზანტიელებმა ჯარები ჩააყენეს შავი ზღვის სანაპირო ციხე-ქალაქებში: ფაზისში, პიტიუნტში, სებასტოპოლში (სოხუმი). გაამაგრეს, აგრეთვე, ეგრისის დედაქალაქი ციხე-გოჯი და, ფაქტიურად, მთელი ქვეყანა თავიანთ კონტროლს დაუქვემდებარეს. პროკოპი კესარიელის ცნობით, „ჯარების შეყვანამ ეგრისში მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვია“. ამას თან დაერთო ბიზანტიელი მხოლეების თვითნებობა, ხალხის ყვლეფა. საგარეო ვაჭრობა მთლიანად ბიზანტიელებმა ჩაიგდეს ხელში. ქვეყანას ფაქტიურად სტრატეგოსი განაგებდა, მეფეს მხოლოდ გარეგნულად დაუტოვეს მეფობის ნიშნები.

ბიზანტიის იმდროინდელი მოხელეები ცნობილი იყვნენ სიხარბით, ანგარებითა და თვითნებობით, მაგრამ იოანე-ციბემ (ბიზანტიელთა სტრატეგოსი ეგრისში) ყველას გადააჭარბა. მისი ასეთი თვითნებობა ეგრისის მეფე გუბაზმა და მისმა დიდებულებმა ვერ აიტანეს და ბიზანტიელებისაგან თავის დასაღწევად ირანელებს დაუკავშირდნენ. ბიზანტიელებისაგან ფარულად გუბაზმა ელჩები გაუგზავნა ირანის შაჰს ხოსრო I-ს (532-579). ხოსრომ სიამოვნებით მიიღო ეს წინადადება და ომისათვის საიდუმლო სამზადისს შეუდგა. როდესაც ხოსრომ დიდძალი ლაშქარი შეჰყარა, ხმა დააგდო, რომ იბერიაში სალაშქროდ მიდიოდა - ვითომც იქ ჰუნების ტომები თავს დასხმოდეს ირანელებს. 543 წელს ირანელთა ლაშქარმა სწრაფად გაიარა მთელი იბერია და ლიხის უღელტეხილით მოულოდნელად ეგრისში გადავიდა. ასე დაიწყო ეგრისში 20 წლიანი ომი ბიზანტიელებსა და სპარსელებს შორის. ირანელთა და ეგრისელთა შეერთებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხედრობა პირველად პეტრას ეკვეთა და ხანმოკლე, მაგრამ სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ ქალაქი აიღო. იოანეციბე ჭრილობებისაგან გარდაიცვალა. ამის შემდეგ ხოსრო ეგრისში დიდხანს არ დარჩენილა. მას ამბავი მოუტანეს, რომ ცნობილი ბიზანტიელი სარდალი ველისარიოსი ირანში შეიჭრა და შაჰმაც სასწრაფოდ თავის ქვეყანას მიაშურა.



სტეფანოზ ქართლის ერისმთავრის მონეტა მისი გამოსახულებით და ასომთავრული წარწერით – „სტეფანოს“. VI-VII სს. მიჯნა.

მალე კეისარმა იუსტინიანემ ხოსროს ზავის დადება შესთავაზა ლაზიკის დაბრუნების პირობით. ბიზანტიასა და ირანს შორის 545-49 წწ-ში დაიდო დროებითი, ხუთწლიანი ზავი.

ეს დრო ირანის შაჰს თავისი ვერაგული გადაწყვეტილების სისრულეში მოსაყვანად სჭირდებოდა. ხოსრომ გადაწყვეტილება მიიღო გუბაზი მოეკლა, ხოლო ეგრისელები სამშობლო მიწა-წყლიდან აეყარა და მათ ქვეყანაში ირანელები დაესახლებინა. ხალხის უკმაყოფილება რომ აჯანყებაში არ გადაზრდილიყო ხოსრომ დასწრება ამჯობინა. მან შეარჩია 300 მამაცი ირანელი ფაბრიზის მეთაურობით, გაგზავნა ეგრისში და გუბაზის მოკვლა დაავალა. ფაბრიზი, თავის მხრივ, დაუკავშირდა ეგრისელ წარჩინებულს ფარსანს, რომელსაც დიდი ხნის მტრობა ჰქონდა გუბაზთან და ამიტომ ირანელთა თვალში სრულიად საიმედო ჩანდა. ფარსანმა ასეთი მუხანათური საქმე არ იკადრა. როდესაც სამშობლოს დიდი განსაცდელი ელოდა მან დაივიწყა პირადი მტრობა და ყველაფერი მეფე გუბაზს აცნობა. აღშფოთებულმა გუბაზმა ირანს ზურგი შეაქცია და კვლავ ბიზანტიას დაუკავშირდა.

549 წ. ეგრისელებისა და ბიზანტიელების ლაშქარმა პეტრას შეუტია. პეტრას დასაცავად ხოსრომ დიდი ლაშქარი გამოაგზავნა მერმეროეს სარდლობით. ბიზანტიელთა სარდალმა დაგისთემ არ ისმინა გუბაზის სიტყვა და გადმოსასვლელი ვიწროების ჩასაკეტად მხოლოდ ასკაციანი რაზმი გაგზავნა. მერმეროემ, მართალია დიდი ზარალის ფასად, მაგრამ მაინც მოახერხა ამ რაზმის ამოწყვეტა და უშველა პეტრას დამცველებს. ქალაქში მეციხოვნეები ჩააყენა და მათ ქალაქის გამაგრება უბრძანა. მან ეგრისში დატოვა აგრეთვე 5000 ჯარისკაცი, ხოლო თვითონ სომხეთში გადავიდა. დაგისთეს დაუდევრობამ აღაშფოთა გუბაზი და იუსტინიანე კეისრისაგან მისი გადაყენება მოითხოვა. კეისარმა დაგისთე ციხეში ჩააგდო.

ეგრისელთა და ბიზანტიელთა შეერთებულმა მხედრობამ რამდენიმე დიდი ბრძოლა მოიგო: 550 წელს მდ. ცხენისწყლის ნაპირას, 552 წელს ჯერ პეტრას ციხე გაასწორეს მიწასთან, ხოლო შემდეგ ციხე-გოჯთან (არქეოპოლისი) დაამარცხეს ირანელები, მაგრამ შემდეგ 553 წ. მერმეროემ სამარცხვინოდ გააქ-

ცია ტელეფისის (დღევ. სოფ. ტოლები სამტრედიის რ-ში) ბიზანტიელი მეციხოვნეები. უკმაყოფილო გუბაზმა ამის შესახებ იუსტინიანე კეისარს აცნობა. იგი ბრალს სარდლებს სდებდა და ყველაფერს მათ უგუნურებას მიაწერდა. თავის გადარჩენის მიზნით ბიზანტიელმა სარდლებმა, ვითომც სპარსეთთან კავშირის გამო, 554 წელს მდ. ხობისწყლის ნაპირას გუბაზი ღალატით მოკლეს.

გუბაზის მკვლელობით აღშფოთებულმა ეგრისელებმა გაწყვიტეს ბიზანტიელებთან კავშირი და ისინი მარცხს განიცდიდნენ ირანელებისაგან. სამშობლოს ბედის გადასაწყვეტად ეგრისელ წარჩინებულთა თაოსნობით გაიმართა სახალხო ყრილობა. ყრილობაზე ბრწყინვალე სიტყვები წარმოთქვეს ლაზმა მჭევრმეტყველებმა აიეტმა და ფარტაძემ. აიეტი სპარსელების დახმარებით ბიზანტიელთა განდევნას მოითხოვდა. ფარტაძემ ეგრისელებს გონიერი მოქმედებისაკენ მოუწოდა: ბიზანტიელთაგან განდგომა ომის ვითარებაში, როდესაც ეგრისი სავსე იყო მათი მეომრებით, საშიში იქნებოდა. ამასთანავე, ლაზები თავისი ცხოვრების წესით ბიზანტიელებთან უფრო ახლოს იდგნენ, ვიდრე ირანელებთან, ბიზანტიელებთან სარწმუნოებაც საერთო ჰქონდათ, ხოლო სპარსელები ვერ ურიგდებოდნენ მათ ქრისტიანობას. ფარტაძე ბიზანტიელებთან კავშირის შენარჩუნებას უჭერდა მხარს, მხოლოდ იმ პირობით, რომ კეისრისაგან გუბაზის მკვლელთა დასჯა მოეთხოვათ. სახალხო კრებამ ფარტაძეს წინადადება მიიღო და თან მოითხოვა გუბაზის ძმის – წათეს მეფედ დამტკიცება. ეგრისელების გადამტერება კარგს არას უქადდა ბიზანტიელებს, ამიტომ მათ ლაზების მოთხოვნა დაუყონებლივ შეასრულეს. ეგრისის მეფედ წათე დანიშნეს, ხოლო გუბაზის მკვლელების გასასამართლებლად რომიდან სენატორი გამოაგზავნეს, მაგრამ სასამართლო გადაიდო, რადგან ირანელთა დიდი ჯარი ნახორაგანის მეთაურობით შეიჭრა ეგრისში. საბოლოოდ, ირანელებს ეგრისში საქმე ცუდად წაუვიდათ. 555 წელს მოკავშირეებმა ორჯერ დაამარცხეს ნახორაგანი (ციხე-გოჯთან და ფაზისთან). ნახორაგანი ხოსრომ ირანში გაიწვია და ეგრისში დამარცხებისათვის საშინელი სასჯელი გადაუწყვიტა: ცოცხლად გაატყავებინა კეფიდან ტერფებამდე.

საომარი მოქმედების შეწყვეტისთანავე ჩატარდა სასამართლო. გუბაზის მკვლელი ბიზანტიელი სარდლები გაასამართლეს და სიკვდილით დასაჯეს.

იმპერიის ხელისუფლება ამის შემდეგ იძულებული შეიქნა ანგარიში გაეწია ეგრისისათვის და მის საშინაო საქმეებში არ ჩარეულიყო. ამრიგად, ხალხის მიერ გაღებულ დიდ მსხვერპლს უშედეგოდ არ ჩაუვლია.

ომის მსვლელობაში ეგრისის ჩრდილოეთით, მთიან კუთხეებში, ბიზანტიელების წინააღმდეგ რამდენიმე აჯანყება მოხდა. 550 წელს აჯანყდნენ აბაზგები, ხოლო 555 წ. მისიმიელები. ორივე ეს აჯანყება სასტიკად იქნა ჩახშობილი.

ხოსრო I დარწმუნდა, რომ ეგრისში ირანელებს საქმე წაგებული ჰქონდათ და ამიტომ, 562 წ. ქ. დარაში ორმოცდაათწლიანი ზავი შეკრა ბიზანტიელებთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირანელები ეგრისზე ხელს იღებდნენ, მაგრამ სვანეთის დაცლას არ აპირებდნენ. სვანეთის დაკარგვას ვერც ბიზანტიელები ურიგდებოდნენ: საბოლოო ზავი ისე შეიკრა, რომ სვანეთის საკითხზე შეთანხმება არ იქნა მიღწეული. ეს დავა ისევ იარაღის ძალით გადაწყდა - 575 წელს ბიზანტიელები სვანეთში შეიჭრნენ და ირანის მომხრე მთავარი ტყვედ წაიყვანეს. ამის შემდეგ ირანელებს დასავლეთ საქართველოს არც ერთი კუთხეში აღარ ედგათ ფეხი.

ამრიგად, მიუხედავად ლაზების თავდადებული ოცწლიანი ბრძოლისა, ეგრისმა სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობა მაინც ვერ აღიდგინა.

7. ირანელთა განდევნა ქართლიდან. ერისმთავრობის დაწესება

ირანელთა ეგრისში დამარცხების შემდეგ ქართლში მათ წინააღმდეგ ბრძოლა გააქტიურდა. 562 წელს ირანსა და ბიზანტიას შორის დადებული ორმოცდაათწლიანი ზავი ვადაზე ბევრად ადრე დაირღვა. ამის მიზეზი 571 წ. დაწყებული ქართლისა და სომხეთის აჯანყება იყო. ქართლში აჯანყებას მეთაურობდა *გურგენი*. აჯანყებულებმა დახმარება თხოვეს ბიზანტიის კეისარ იუსტინე II-ს (565-578). კეისარმა მათ დახმარება აღუთქვა და აგრეთვე შეპირდა, რომ დამარცხების შემთხვევაში შეიფარებდა აჯანყების მოთავეებსა და მათ ნათესავებს.

აჯანყებულებმა თავიდან წარმატებას მიაღწიეს, მაგრამ ირანი ქართლს და სომხეთს არ ეხსნებოდა და ბიზანტიელებმა ისევ საზავო მოლაპარაკება ამჯობინეს მათთან. ბიზანტია უარს ამბობდა ქართლსა და სომხეთზე, მაგრამ ხოსრო I დაჟინებით მოითხოვდა აჯანყების მეთაურების გაცემას.

ამასობაში 579 წ. ხოსრო I გარდაიცვალა. ტახტზე ავიდა მისი შვილი ჰორმიზდი. მას აუჯანყდა სარდალი ბაჰრამ ჩუბინი. ამით ისარგებლეს ჰორმიზდის მმართველობით უკმაყოფილო დიდებულებმა და იგი დაამხეს, მაგრამ ტახტზე მაინც მისი შვილი – ხოსრო II აიყვანეს (591-628). ახალგაზრდა შაჰი ვერ გაუმკლავდა აჯანყებულ სარდალს და ბიზანტიაში გაიქცა. ბიზანტიის ჯარის დახმარებით ხოსრო II-მ 591 წ. აჯანყება ჩააქრო, რის სანაცვლოდაც იმავე წელს ბიზანტიას დაუთმო ქართლი და სომხეთი.

აჯანყებული ქართლის სათავეში მდგომ გურგენს ქართული წყაროები გუარამს უწოდებენ. დიდგვარიანთა მოთხოვნით, ბიზანტიის კეისარმა მას კურაპალატის ტიტული მიანიჭა და ქართლის უმაღლეს ხელისუფლად სცნო. ასეთ მმართველს „ერისთავთ-მთავარი“ ანუ „ერისმთავარი“ ან „დიდი ერისთავი“ ეწოდებოდა. ერისმთავრების უფლებები ქვეყნის შიგნითაც საკმაოდ შეზღუდული იყო. მაგ., ერისთავები საერისთავო ქვეყანას მემკვიდრეობით გადასცემდნენ და ერისმთავარს მისი წართმევის უფლება არ ჰქონდა. მიუხედავად ამისა, ერისმთავრობის დაწესება ქართლში, მართვა-გამგეობის

ორგანიზაციის თვალსაზრისით, ადრეფეოდალური ქართული სახელმწიფოს აღდგენას ნიშნავდა.

591 წლიდან, ირანელთა ბატონობიდან განთავისუფლების შემდეგ, ქართლი შედარებით მშვიდობიან ცხოვრებას შეუდგა. ამ დროს ქართლის ერისმთავარია სტეფანოზ I. იგი ძლიერი და ენერგიული მმართველი იყო, „მეფობისკენ“ მიისწრაფოდა, მაგრამ სპარსელთა და ბერძენთა შიშით მათი ფორმალური ქვეშევრდომობიდან გამოსვლა ვერ მოახერხა.

სტეფანოზ I-ისა და მისი სახლის აღმშენებლობითი მოღვაწეობის უკვდავი ძეგლია *მცხეთის ჯვრის* დიდებული საყდარი. ტაძარი აშენებულია არაგვისა და მტკვრის შესართავთან, მცხეთის პირდაპირ აღმართულ მაღალ კლდეზე. მანამდე აქ, ღია ცის ქვეშ, წმ. ნინოს მიერ აღმართული ჯვარი - ორნახევარი საუკუნის მანძილზე ქართველი ხალხის უდიდესი თაყვანისცემის საგანი იდგა. არქიტექტორის ჩანაფიქრი, ჯვრის ტიპის ნაგებობა, შთაგონებულია ამ ჯვრით. აქედან გამომდინარეობს ტაძრის სახელი - „ჯვარი“, იგივე „მცხეთის ჯვარი“.

ბიზანტიის კეისარმა სტეფანოზ I-ს პატრიკიოსის ბიზანტიური საკარის-კაცო ტიტული უბოძა, მის ძმას დემეტრეს და შვილს ადარნასეს - ვიპატოსის, ხოლო შვილიშვილს, ქობულ-სტეფანოსს - სტრატილატის. ასე მოიხსენებიან ისინი მცხეთის ჯვრის წარწერებში.

სტეფანოზ I 602/03-წწ.-ში შეცვალა ადარნასე ერისმთავარმა.

8. ჰერაკლე კეისრის და ხაზართა ლაშქრობები საქართველოში

VII ს-ის დასაწყისში, ირანის შაჰმა ხასრომ II-მ განაახლა ბრძოლა ბიზანტიელებთან და ქართლი კვლავ ირანის ხელში გადავიდა.

ამავე პერიოდში წარმოებს ბრძოლები ქრისტიანული რელიგიის სხვადასხვა მიმდინარეობებს შორის. ძირითადი მაში იყო დიოფიზიტობა და მონოფიზიტობა. ქართლის მოსახლეობის დიდი ნაწილი დიოფიზიტურ ქრისტიანობას იცავდა, სომხეთში კი მონოფიზიტობა უფრო ძლიერი იყო. 505 წელს ცურტავის სომეხმა ეპისკოპოსმა მოსემ, სომხეთის ეკლესიის დავალებით დაიწყო დიოფიზიტების მხილება, მაგრამ მისი ქადაგება ქართლში სრული მარცხით დამთავრდა და იგი იძულებული გახდა სომხეთში გაქცეულიყო. ქართლის კათალიკოსმა კირიონმა მოსეს ნაცვლად ცურტავის ეპისკოპოსად სხვა დაადგინა და ცურტავის სომხურენოვან თემშიც მღვდელმსახურების აღსრულება ქართულ ენაზე სავალდებულო გახდა. სომხეთის ეკლესიის მესვეურებმა მოსე ეპისკოპოსის მონოფიზიტური სარწმუნოების დასაცავად თავი გამოიდეს. ამას

მცხეთა. ჯვრის ტაძარი. 586-605 წწ.
ჯვრის ამაღლების რელიეფი ტაძრის სამხრეთ შესასვლელზე.





საბოლოოდ მოყვა ქართლისა და სომხეთის საეკლესიო განხეთქილება 608 წელს.

ბიზანტიის საწინააღმდეგოდ ირანი მონოფიზიტებს მფარველობდა, მაგრამ ხოსრო II-ეს იმხანად ქართლისათვის არ ეცალა. მან წყალობით და პატივით აავსო კირიონ კათალიკოსი და ადარნასე ერისმთავარი. ქართლსაც სიტყვიერად სარწმუნოებრივი შემწყნარებლობა მიანიჭა. ირანის შაჰის სარწმუნოებრივი ლმობიერება დიდხანს არ გაგრძელებულა. იერუსალიმის აღების შემდეგ (614 წ.) მან ქრისტიანთა საეკლესიო კრება მოიწვია, რომელმაც დაადგინა, რომ შაჰის მორჩილ ყველა ქრისტიანს მონოფიზიტობა უნდა მიეღო.



მცხეთა. ჯვრის ტაძარი. 586-605 წწ. ტაძრის გეგმა.

ასეთ ვითარებაში ადარნასე ერისმთავარი და კირიონ კათალიკოსი იძულებულნი იყვნენ ქართლს გასცლოდნენ. ქართლის ერისმთავრობა ვარსამუსემ მიიღო, ხოლო ადარნასე კახეთში გადავიდა და იქ დამკვიდრდა. კირიონი დასავლეთ საქართველოში გადავიდა.

მალე საგარეო პოლიტიკური ვითარება კვლავ შეიცვალა: ბიზანტიის კეისარმა *ჰერაკლემ* (610-641) დაიწყო ბრძოლა ირანელთა განსადევნად ამიერკავკასიიდან. ჰერაკლემ თავის მოკავშირედ გაიხადა ხაზართა სახაკანო და ადარბადაგანის, სომხეთისა და ალბანეთის აოხრების შემდეგ ბიზანტიელ-ხაზართა შეერთებული მხედრობა 627 წლის შემოდგომაზე თბილისს მოადგა.

მოკავშირეებმა თბილისის აღება ვერ მოახერხეს, მიუხედავად იმისა, რომ ლოდსატყორცნი მანქანები გამოიყენეს, მტკვარიც კი დააგუბეს და წყალი ქალაქზე მიუშვეს. ირანელებმა მოასწრეს ცნობილი სარდლის შარაპაგის მეთაურობით ქალაქში 1000 რჩეული მოლაშქრის შეყვანა. თბილისის მეციხოვნე ქართველებს *ვარსამუსე* ედგა სათავეში. მოკავშირეებმა თბილისთან დიდი ზარალი ნახეს და იძულებული იყვნენ ქალაქს გასცლოდნენ. თბილისის დამცველებმა დიდ გოგრაზე ჯიბლეუ ხაკანის დამახინჯებული სახე გამოსახეს, ციხის გალავანზე შემოდეს და შუბებით ჩხვლეტდნენ, თან მოალყეებს გასძახოდნენ მოდით,

მცხეთა. ჯვრის ტაძარი. 586-605 წწ. ბარელიეფი მაცხოვრის და სტეფანოს ქართლის პატრიკიოსის გამოსახულებით აღმოსავლეთ ფასადის ცენტრალურ ნახნაგზე. ასომთავრული წარწერა: „[ხა]ტო მაცხოვრისაო, სტეფანოს ქართლისა პატრიკიოსი შეიწყალე“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენს ხაკანს თაყვანი ეცითო. ასევე მასხრად აიგდეს კეისარი.

მიუხედავად თბილისთან განცდილი მარცხისა, ჰერაკლემ გეზი პირდაპირ ირანზე აიღო. 627 წელს მან სასტიკად დაამარცხა ირანელები გადამწყვეტ ბრძოლაში. მალე ირანის სამეფო კარზე გადატრიალება მოხდა – ხოსრო II მოკლულ იქნა და ტახტზე მისი შვილი კავადი ავიდა, რომელიც დაუყონებლივ შეუდგა საზავო მოლაპარაკებას. ზავი დაიდო 628 წელს, რომელმაც გაითვალისწინა ბიზანტიელთა უკანასკნელი ხნის დიდი სამხედრო წარმატებები.

ამის შემდეგ ხაზარები თბილისს მოადგნენ. VII ს-ის სომეხი ისტორიკოსი მოსე კალანკატუაცი აღწერს ხაზარების მიერ თბილისის აღებას და აოხრებას. მიუხედავად იმისა, რომ ძველი ქალაქის დამცველები იქ არ იყვნენ (628 წლის ზავის შემდეგ ირანს აღარ ჰქონდა თბილისის დახმარების საშუალება), ქალაქის მაცხოვრებლები ორი თვის განმავლობაში იცავდნენ თავს, მაგრამ ხაზართა რიცხობრივმა უპირატესობამ ბოლოს თავისი გაიტანა. გამძინვარებულმა ხაზარებმა ველური სისატიკით გაჟლიტეს ყველა, განურჩევლად სქესისა და ასაკისა, ხოლო შემდეგ ძარცვა-რბევას მიჰყვეს ხელი. მოჰქონდათ განძით სავსე ყუთები და თავიანთი მბრძანებლის წინ ახვავებდნენ. ოქროსა და ვერცხლის ფულებისა და თვალმარგალიტით შემკული ნივთების ისეთი გროვა ყოფილა, რომ თვალსაც კი მოსწყინდა მათი ცქერა.

ჰერაკლე კეისრის ლაშქრობათა შემდეგ ამიერკავკასიაში ბიზანტიის გავლენა დამყარდა. ქართლის ერისმთავრობა კვლავ ადარნასემ მიიღო. ქართლის ერისმთავარისაგან ბიზანტიელები მხოლოდ ერთგულებას და სამხედრო სამსახურს მოითხოვდნენ და ქვეყნის საქმეებში არ ერეოდნენ. ეგრისში ბიზანტიელთა გავლენა ბევრად უფრო დიდი იყო. მათ VII ს-ის II ნახ.-ში აქ მეფობა გააუქმეს.

ქართლისა და ეგრისის ერთმორწმუნე ბიზანტიის გავლენის ქვეშ მოქცევა ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა ამ ორი ქართული მხარის შემდგომი დაახლოება-შერწყმისათვის.

9. არაბთა გამოჩენა საქართველოში

ბიზანტიამ თავისი გამარჯვების ნაყოფით დიდხანს ვერ ისარგებლა. ირანის სახელმწიფოს განადგურებამ ხელი შეუწყო მცირე აზიისა და ამიერკავკასიის ქვეყნებში ისეთი დიდი და მრისხანე დამპყრობლების წარმატებას, როგორიც იყვნენ არაბები.

მცხეთა. ჯვრის ტაძარი. 595-605 წწ. ბარელიეფი გაბრიელ მთავარანგელოზის, ადრნერსე ვიპატოსის და ქობულ-სტეფანოზის გამოსახულებით აღმოსავლეთ ფასადის ჩრდ. ნახნაგზე. წარწერა ცენტრალურ ნაწილში: „წმიდაო გაბრიელ მთავარანგელოზო, ადრნერსეს ჯუპატოსსა მეოხ ეყავ"; წარწერა ჩარჩოს მარცხენა ნაწილზე: „ქობულ-სტეფანოსი ადრნერსეს ძე"; წარწერა ზედა ჩარჩოზე: „წმიდაო გაბრიელ".





VII ს-ის დასაწყისში არაბეთის ნახევარკუნძულზე ჩამოყალიბდა არაბთა სახელმწიფო, რომლის დამაარსებელი იყო მუჰამედი, ანუ მაჰმადი. მის სახელს უკავშირდება არაბებში ახალი სარწმუნოების გავრცელებაც, რომელსაც ისლამი (არაბულად „ღვთისადმი ნდობა“) ეწოდა, ხოლო მის მიმდევრებს - მუსლიმები (მუსლიმი ნიშნავს „მინდობილს“). მაჰმადის სახელის მიხედვით მოძღვრებას მაჰმადიანობას, ხოლო მის მიმდევრებს მაჰმადიანებსაც უწოდებენ. მუჰამედის გარდაცვალების (632 წ.) შემდეგ არაბთა სახელმწიფოსა და რელიგიის მეთაურებს მუჰამედის მოადგილეები, ანუ არაბულად ხალიფები ერქვათ და მათ სახელმწიფოსაც ხალიფატი, ანუ სახალიფო ეწოდებოდა.

ხალიფატი არაჩვეულებრივად სწრაფად გაიზარდა და გაძლიერდა. პირველი დაპყრობითი ომები არაბებმა *ხალიფა ომარის* დროს (634-644) გადაიხადეს. ჰერაკლეს მმართველობის უკანასკნელ წლებში ბიზანტიამ არაბებთან ბრძოლაში არაერთი მარცხი განიცადა, რასაც მოჰყვა სირიის, პალესტინის და ეგვიპტის დაკარგვა. 40-იანი წლების დამდეგს დაეცა ირანი, რის შემდეგაც არაბებს ამიერკავკასიისაკენ გზა ხსნილი ჰქონდათ.

არაბების ასეთი დიდი და სწრაფი წარმატება აიხსნება არა მარტო მათი ლაშქრის ჩინებული ორგანიზაციით და მაღალი საბრძოლო თვისებებით, არამედ მათი შემწყნარებლური სარწმუნოებრივი პოლიტიკითა და მარტივი, შედარებით მსუბუქი, საგადასახადო სისტემით. ყოველივე ამან დიდად შეუწყო ხელი არაბების გამარჯვებას ბიზანტიის იმპერიის ცენტრალური რაიონებისაგან ეთნიკურად და სარწმუნოებრივად განსხვავებულ აღმოსავლეთის პროვინციებში. სირია-პალესტინის ფანატიკოსი მონოფიზიტი ბერებიც მასობრივად ტოვებდნენ მონასტრებს და არაბულ ლაშქარს უერთდებოდნენ. ამის შემდეგ რა გასაკვირია, რომ ამ ქვეყნების ბევრი ქალაქის კარი უბრძოლველად იხსნებოდა არაბების წინაშე.

640 წელს არაბები სომხეთში გამოჩნდნენ და დედაქალაქი დვინი აიღეს. შემდეგ არაბები ქართლსაც მოადგნენ, მაგრამ ეს მარბიელი ლაშქრის თარეში უფრო იყო და ქართველებმა ისინი ადვილად გარეკეს. VII ს-ის 50-იანი წწ.-ის დასაწყისში არაბებმა სომხეთი დაიპყრეს. აქედან მათმა სარდალმა მუქარის სავსე წერილი გამოუგზავნა ქართლის ერისმთავარს და დამორჩილება მოსთხოვა. ქართლში დაიწყეს მზადება მტრის დასახვედრად, მაგრამ მკაცრმა ზამთარმა არაბები აიძულა უკან გაბრუნებულიყვნენ.

654 წელს, არაბებმა სომხეთში სასტიკად დაამარცხეს ბიზანტიელები, რომელთა სარდალმაც ქართლში გაქცევით უშველა თავს. არაბთა ლაშქარი ქართლის საზღვარს მოადგა.

ქართლის ერისმთავარმა *სტეფანოზ II*-მ არაბებს თავისი ელჩი მიაგება

მოწამეთა. სამონასტრო კომპლექსი; XI-XII სს. აქ განისვენებს ნეშტი მურვან ყრუს მიერ წამებულ (VIII ს.) არგვეთის მთავართა დავითის და კონსტანტინესი.

საჩუქრებით და მათგან ზავი და მშვიდობა ითხოვა. ერისმთავრის ეს დიპლომატიური ნაბიჯი მოსულ-დამხვდურთა ძალის საღი შეფასების შედეგი იყო. არაბთა აღმავალი და უზარმაზარი სახელმწიფოს წინააღმდეგ ომი პატარა ქვეყნებს იმხანად განადგურების მეტს არაფერს მოუტანდა.

არაბთა სარდალი *ჰაბიბ იბნ-მასლამა* კმაყოფილი დარჩა ერისმთავრის ამ საქციელით. მირთმეული საჩუქრები მომავალი ხარკის ანგარიშში ჩათვალა და ქართველთა მოციქულს თბილისში თავისი კაცი გააყოლა, რომელსაც წერილი და შეუვალობის წიგნი გაატანა. შემდეგ ჰაბიბ იბნ-მასლამა თვითონაც შემოვიდა თბილისში და პირადად დაუმტკიცა მოსახლეობას ზავისა და შეუვალობის ის ცნობილი დოკუმენტი, რომელიც „დაცვის სიგელის“ სახელითაა ცნობილი.

ამ დოკუმენტით, რომლის შინაარსიც IX ს-ის ცნობილი არაბი ისტორიკოსების ტაბარისა და ბალაძორის თხზულებებმა შემოგვინახა, დამპყრობელ-დაპყრობილთა უფლებები და ურთიერთვალდებულებანი იყო განსაზღვრული:

1. ქართველები აღიარებენ მორჩილებას და იხდიან ჯიზიას (ფულადი გადასახადი) - თითო დინარი კომლზე. ამასთან, ეკრძალებათ კომლების გაერთიანება ჯიზიის შესამცირებლად, თავის მხრივ, არც არაბებს აქვთ კომლების დანაწილების უფლება ჯიზიის გასადიდებლად.

2. მოსახლეობა ვალდებულია არაბებს მტრის წინააღმდეგ რჩევითა და საქმით დაეხმაროს, ე. ი. სამხედრო ბეგარა იკისროს. შეიფაროს და დახმარება აღმოუჩინოს თანამემამულეებს ჩამორჩენილ მუსლიმებს ბინითა და მათთვის დასაშვები საჭმელ-სასმელით და შემდეგ მიიყვანოს ის არაბთა უახლოეს რაზმამდე.

3. ისლამის მიმღები არაბთა თანამოძმე ხდება, თავისუფლდება ჯიზიისაგან და სარგებლობს მუსლიმთა საერთო უფლებებით, ხოლო ხელახლა გაქრისტიანების შემთხვევაში ისჯება.

4. არაბები ვალდებულებას კისრულობენ დახმარება გაუწიონ ქართველებს საერთო მტრის წინააღმდეგ, მაგრამ, თუ ვინიცობაა, მათი მოუცლელობის გამო, ქართველები მტერს დაემორჩილებიან, ეს მათ დანაშაულში არ ჩაეთვლება.

ამ პირობების მიღებისა და შესრულების ვითარებაში, არაბები მოსახლეობას უშიშროებას, ქონებისა და სარწმუნოების ხელშეუხებლობის გარანტიას აძლევდნენ, თუ არა და ომს უცხადებდნენ ალაჰისა და მისი მოციქულის – მუჰამედის სახელით.

იმ დროს არაბები ქართლს მალე გაეცალნენ. სახალიფოში სისხლისმღვრელი ომი ატყდა, რომელმაც თითქმის ხუთ წელიწადს გასტანა, სანამ მაჰმადიანთა ერთადერთ მბრძანებლად ხალიფა მოავია I (661-666) არ დაჯდა. ქართველები, სომხები და ალბანელები არაბებს განუდგნენ და ხარკის მიცემაზე უარი გაანცხადეს. ამ ვითარებაში ბიზანტიამაც წამოყო თავი. 680 წელს კეისარსა და ხალიფას შორის შეიკრა ზავი, რომლის მიხედვითაც ქართლიდან შემოსული ხარკი შუაზე უნდა გაეყოთ. ხაზარები ასევე შემთხვევას არ უშვებდნენ ხელი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დან, რომ ამიერკავკასიის ქვეყნებს დასცემოდნენ თავს. სამი მხრით ხმლის ქნევამ დაასუსტა ქვეყანა, რითაც ყველაზე უფრო კარგად არაბებმა ისარგებლეს და VII ს-ის მიწურულს ქართლში შედარებით უფრო მკვიდრად მოიკიდეს ფეხი. ამავე დროს არაბები დასავლეთ საქართველოშიც გადავიდნენ. ბიზანტიელთა ბატონობით შეწუხებულმა ეგრისის მმართველმა *სერგი ბარნუკის ძემ* ძველ ხერხს მიმართა - ბიზანტიელთა წინააღმდეგ არაბთა გამოყენება სცადა. 697 წელს იგი ბიზანტიელებს აუჯანყდა და ქვეყანა არაბებს გადასცა, ისე რომ VIII ს-ის დასაწყისისათვის არაბებს, ზღვისპირა ზოლის გარდა, თითქმის მთელი დასავლეთ საქართველო ეკავათ. ციხე-გოჯში და კოდორის ხეობის ციხეებში მათი სამხედრო ნაწილები ჩადგა.

10. მურვან ყრუს შემოსევა

VII ს-ის მიწურულიდან არაბებმა უფრო მკვიდრად მოიკიდეს ქართლის სამეფოში ფეხი. 724 წელს ქართლში მოვიდა არაბი სარდალი ჯარაჰი, რომელმაც ჰაბიბ იბნ-მასლამას დაცვის სიგელი განაახლა და ზოგიერთი ახალი პირობაც შეიტანა მასში. კერძოდ, კომლობრივი გადასახადის მაგივრად ქართლის მოსახლეობას დაეკისრა სულადობრივი გადასახადი („გადიდებული ჯიზია“) და შემოღებული იქნა ახალი გადასახადი „ბარაჟა“ 100 დირჰემის რაოდენობით. ხარაჯა იყო საგდილმამულო გადასახადი, რომელსაც აწერდნენ მხოლოდ მამულის სივრცის შესაბამისად და ანგარიშს არ უწევდნენ მის ავკარგიანობას და ნაყოფიერებას. ორივე გადასახადს არაბები ქართველებს ფულადი სახით ახდევინებდნენ.

არაბთა ბატონობას და ხარკის დამძიმებას მოსახლეობამ ახალი აჯანყებებით უპასუხა და არაბები იძულებულნი იყვნენ ქართველთა ურჩობის გასატეხად სულ ახალ-ახალი ჯარები გამოეგზავნათ საქართველოში.

VIII ს-ის 30-იან წლებში კავკასიის მმართველად ხალიფას ბიძაშვილი *მურვან იბნ-მუჰამედი* იქნა დანიშნული. იგი ენერგიულად შეუდგა ამიერკავკასიის დამორჩილებასა და შემდეგ ხაზარებზე ლაშქრობის სამზადისს. საამისოდ მან ხალიფასაგან 120 ათასიანი ლაშქარი გამოითხოვა, რომელიც 735 წელს საქართველოს შემოესია. სისასტიკისა და გულქვაობის გამო მას ქართველებმა „ყრუ“ („მურვან ყრუ“) შეარქვეს. მართლაც, იშვიათად დასტყდომია საქართველოს ასეთი უბედურება. მურვან ყრუმ მთელი ამიერკავკასია დაიპყრო დარუბან-დიდან აფხაზეთამდე. ქართლში მან დაანგრია ძველი დედაქალაქის, მცხეთის შიდაციხე არმაზი. ქართლიდან ის დასავლეთ საქართველოში გადავიდა. მის წინააღმდეგ ბრძოლაში თავი გამოიჩინეს არგვეთის მთავრებმა დავითმა და კონსტანტინემ, მაგრამ არაბებმა ისინი ტყვედ ჩაიგდეს და წამებით დახოცეს.

მურვან ყრუმ აიღო და დაანგრია ეგრისის დედაქალაქი, სამგალავნიანი *ციხე-*

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოჯი, გადალახა კლისურის კედელი და დაანგრია ქალაქი ცხუმი. ბოლოს მიადგა ანაკოფიის ციხეს (აფხაზეთში), სადაც ქართლის ერისმთავარი მირი და მისი უმცროსი ძმა არჩილი იყვნენ გამაგრებულნი (740 წ.). მათ მოახერხეს არაბების დამარცხება და უკუქცევა, თუმცა, მირი ბრძოლაში სასიკვდილოდ დაიჭრა. უკან გაბრუნებულ არაბებში თავი იჩინა მოარულმა სენმა (ეპიდემიამ). გარდა ამისა, „ქართლის ცხოვრების“ ცნობით, მდინარეების პირას დაბანაკებულ არაბთა ლაშქარს თავს დაატყდა წყალდიდობა. ერთმა მდინარემ წალეკა არაბთა ჯარში მყოფი 2 300 აბაში (აბისინიელი), ხოლო მეორემ – 35 000 ცხენი. ამის შემდეგ, თითქოს პირველ მდინარეს ეწოდა აბაშისწყალი, ხოლო მეორეს - ცხენისწყალი.

მურვან ყრუს დამანგრეველი ლაშქრობა საქართველოში 5 წელიწადს გაგრძელდა.

„ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი ავტორი, XI ს-ის ანონიმი ქართველი ისტორიკოსი მოგვითხრობს მურვან ყრუს ლაშქრობის შესახებ. მემატიანე აღნიშნავს, რომ მურვანმა დალაშქრა მთელი კავკასია. დაიპყრო დარუბანდი და დარიალი, აიღო და დაარბია ქალაქები და ციხეები ქართლში და ეგრისში, მათ შორის ეგრისის დედაქალაქი, სამგალავნიანი ციხეგოჯი, გაიარა მდ. კლისურა, აიღო აფშილეთის ქალაქი ცხუმი და მიადგა ანაკოფიის ციხეს, სადაც შეფარებული იყვნენ ქართლის მეფენი მირი და არჩილი. აფხაზთა ერისთავი ლეონი გამაგრებული იყო სობლის ციხეში, ოსეთში გადასასვლელ გზაზე. მიუხედავად მტრის მრავალრიცხოვნებისა ქართველებმა ის უკუაქციეს ანაკოფიის ციხიდან. მურვან ყრუმ უკან დაიხია და გურიის გავლით დაბრუნდა აღმოსავლეთ საქართველოში. ისე აოხრდა ქართლი, სომხეთი და რანი (ალბანეთი), რომ აღარც შენობა დარჩა სადმე და არც საკვები ადამიანთა და პირუტყვთა.

დასავლეთ საქართველოში არაბები მაინც ვერ გამაგრდნენ, ხოლო ქართლში მტკიცედ დამკვიდრდნენ. აქედან დაიწყო არაბთა ბატონობის მეორე, უფრო მძიმე ხანა. აღმოსავლეთ საქართველოს მთელ რიგ ციხე-ქალაქებში (თბილისი, რუსთავი, დმანისი და სხვ.) დამპყრობელთა ჯარი იდგა. გაიზარდა ხარკი.

ქართლის საბოლოოდ დაპყრობის შემდეგ არაბებმა ქვეყნის სათავეში თავისი მოხელე ჩააყენეს, რომელიც ამირად იწოდებოდა. ქართლის ამირა თბილისში იჯდა. ამიტომაც თბილისსა და ქართლის იმ ნაწილს, რომელიც ამირას ემორჩილებოდა, *თბილისის საამიროს* უწოდებდნენ. ამირა სარდალიც იყო, ქვეყნის მმართველიც და უზენაესი მსაჯულიც. არაბებმა თბილისის ამირას დაუმორჩილეს ქართლის ერისმთავარი. მას ევალებოდა საარაბო ხარკის აკრეფა და ადგილობრივი ჯარის გამოყვანა.

არაბებმა ვერ მოახერხეს საქართველოს მთლიანად დაპყრობა. ფეოდალიზმის გზით აღმავალი ქვეყანა მედგარ წინააღმდეგობას უწევდა დამპყრობლებს. მათ ქართველ საზოგადოებაში დასაყრდენი ვერ გაიჩინეს და თავისი ბატონობის და-


პირობითი აღნიშვნები
დედაქალაქები
ქალაქები
ციხე
კლისურის კედელი
მურვან ყრუს ლაშქრობა
735-737 წწ.
ხაზარეთი
ოვსეთი
აფხაზეთი
ბიჭვინთა
ანაკოფია
ცხუმი
ეგრისი
პონტოს ზღვა
(შავი ზღვა)
ციხეგოჯი
ქუთაისი
ფოთი
შორაპანი
ურბნისი
დარიალი
დურძუკეთი
ხუნძეთი
ნოჰპატო
ლაკვასტი
ქაქეთი
ჯარკასრი
ოძრხე
უფლისციხე
უჯარმა
მცხეთა
თბილისი
რუსთავი
ხორნაბუჯი
ივგიში
სამშვილდე
წუნდა
დმანისი
ხუნანი
შამქორი
მტკვარი
(სევანის ტბა)
ბარდავი
ტრაპიზონი
ჭანეთი
არტანუჯი
ქ
ა
რ
თუხარისი
ჭოროხი
სპერი
ბაიბერდი
ანისი
სომხეთი
თეოდოსიოპოლი
ბიზანტია
არაგთა სახალიფო
დვინი


პირობითი აღნიშვნები
დედაქალაქები
ქალაქები
ციხეები
ეკლესიები
ბრძოლების ადგილები
ბულა თურქის ლაშქრობა 853 წ.
აბულ-კასიმის ლაშქრობა 914 წ.
ნიკოფსია
აფხაზეთის სამეფო
აფხაზეთი
ბიჭვინთა
ანაკოფია
აფშილეთი
ცხუმი
სვანეთი
თაკვერი
გუდაყვა
ეგრისი
პონტოს ზღვა
(შავი ზღვა)
ქუთაისი
არგვეთი
ჩიხა
ფოთი
გურია
ფერსათი
უბე
ქართლი
დარიალი
დურძუკეთი
თუშეთი
ხუნძეთი
უჯარმა
გავაზი
ხევძი
ატენი
მცხეთა
თბილისი
თელავი
ყველი
თმოგვი
ორიულეთი
სამშვილდე
რუსთავი
ვეჯინი
ხოფა
ხანძთა
ოპიზა
არტანუჯი
ტრაპიზონი
ჭანეთი
კალმახი
ქლარჯეთი
ჭოროხი
იშხანი
ტაო
ოლთისი
ქაჯის ციხე
ბაიბერდი
ბიზანტია
კარი
ანისი
კაპოეტი
თეოდოსიოპოლი
ჯავახეთი
თბილისის საამირო
დმანისი
ტაშირი
სომხითის საამირო
ბარდაანი
კახეთის სამეფო
ხორნაბუჯი
შაქი
ხუნანი
შარვანი
შამქორი
განძა
ბარდავი
მტკვარი
გელაქუნის ტბა
დვინი
სომხეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მყარება შიშველი ძალით უხდებოდათ. არაბები მხოლოდ ქართლის ცენტრალურ თემებში – ქვემო და შიდა ქართლში გრძნობდნენ თავს მტკიცედ. რაც შეეხება განაპირა ოლქებს, აქ არაბები დროდადრო მარბიელებად მოდიოდნენ, მაგრამ საკადრის პასუხსაც ღებულობდნენ. კახეთში, თიანეთში, დასავლეთ და სამხრეთ საქართველოში არაბები ხანგრძლივად ვერ ჩერდებოდნენ. ამ განაპირა ოლქებში სწრაფად იყრიდა თავს ქართველთა ძალა, რომელმაც შემდეგში დამპყრობთაგან სამშობლოს განთავისუფლების დიდი საქმე წამოიწყო.

არაბებს მძიმე მდგომარეობას უქმნიდნენ ხაზარებიც, რომელთა წინააღმდეგ მათ ვერაფერი მოახერხეს. მათი ლაშქრობები ხაზარეთში დიდი მსხვერპლითა და მარცხით მთავრდებოდა.

11. ნერსე ერისმთავარი და აბო ტფილელი

VIII ს-ის II ნახ-ში ამიერკავკასიაში ახალი ძალით ჩაღდებოდა ბრძოლა არაბთა წინააღმდეგ. 70-იან წლებში აჯანყება მოხდა სომხეთში. დამარცხებული სომხები საქართველოში პოულობენ თავშესაფარს. ამის გამო, ქართლის ერისმთავარი *ნერსე* ხალიფა მანსურმა ბაღდადში დაიბარა 772-773 წლებში და საპყრობილეში ჩააგდო. სამი წლის შემდეგ ახალმა ხალიფა მაჰდიმ გაანთავისუფლა ნერსე და კვლავ ქართლში დააბრუნა. მაგრამ ნერსემ ვერც ახალი ხალიფას ნდობა მოიპოვა. ნერსეს ამჯერად თავის მართლების იმედი აღარ ჰქონდა. მან თავისი ოჯახი დასავლეთ საქართველოში, აფხაზთა მთავარ ლეონთან გაგზავნა, თვითონ კი 300-კაციანი ამალით დარიალის გზით ხაზარეთში გადავიდა. ნერსეს არჩევანი შემთხვევითი არ ყოფილა. მას არაბთა მოსისხლე მტრების ხაზარებისაგან სამხედრო დახმარების იმედი ჰქონდა. ხაზართა ხაკანმა ნერსე პატივისცემით მიიღო, მაგრამ სამხედრო დახმარებაზე უარი უთხრა. იმედგაცრუებული ნერსე აფხაზეთში ჩავიდა, სადაც შეიტყო რომ არაბებმა ქართლის ერისმთავრის თანამდებობაზე მისი დისწული სტეფანოზი დანიშნეს. ნერსემ არაბებს მოციქულები გაუგზავნა და მისთვის და მისი ხალხისთვის ქართლში დაბრუნების ნებართვა და უშიშროების გარანტია ითხოვა. ხაზარებისაგან მიტოვებული ნერსე არაბებისთვის საშიში აღარ იყო და მას ქართლში დაბრუნების ნება მისცეს.

ნერსეს ბიოგრაფიის ამ უმთავრეს მომენტებს უკავშირდება მისი არაბი მსახურის, 18 წლის ჭაბუკი მენელსაცხებლის აბოს ტრაგიკული თავგადასავალი. აბო ნერსეს ბაღდადში დაუახლოვდა და შემდეგ ქართლში გამოჰყვა. თბილისში ის გაეცნო ქრისტიანულ სარწმუნოებას და ქრისტიანებსაც დაუახლოვდა. აბო თან ახლდა ნერსეს ხაზარეთში, სადაც მიიღო კიდეც ქრისტიანობა. ნერსესთან ერთად თბილისში დაბრუნებული აბო მისმა თანამემამულეებმა ამირასთან

საქართველოს სამეფო-სამთავროები IX-X სს-ში.

დააბეზღეს, რომ მან „მამული სჯული მიატოვა“ და ქრიატიანობაში გადავიდა. აბო შეიპყრეს. არაბები ბევრს ეცადნენ, რომ იგი კვლავ მაჰმადიანობაში დაებრუნებინათ, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. მაშინ აბო საპყრობილედან გამოიყვანეს და თავი მოკვეთეს (786 წ.).

აბოს მოწამეობრივმა სიკვდილმა წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა თანამედროვეებზე. ქართლის კათალიკოსმა სამოელმა თხოვნით მიმართა იმ დროის გამოჩენილ მწერალს *იოვანე საბანისძეს*, რომ აღეწერა აბოს მოწამეობრივი სიკვდილი. იოვანე საბანისძემ ჩინებულად გაართვა თავი ამ მოთხოვნას და შექმნა ძველი ქართული მწერლობის შედევრი - „აბო ტფილელის წამება“, რომელიც უცხოელი დამპყრობთა წინააღმდეგ მებრძოლი ქართველი ხალხის მრავალი თაობისათვის ეროვნული იდეისა და თვითშეგნების სახელმძღვანელოდ იქცა. მწერლის მიზანი ქართულ საზოგადოებრივ შეგნებამდე აბოს მოწამეობრივი სიკვდილის მნიშვნელობის მიტანა იყო: აი, როგორია ჩვენი სჯული და ჩვენი ქვეყანა, თვით გაბატონებული ხალხის შვილი ჩვენსკენ გადმოდის და თავსაც სწირავს ახალი სარწმუნოებისა და სამშობლოსთვისო.

იოვანე საბანისძის და მისი მსგავსი მქადაგებლების მოწოდება ამტკიცებდა ხალხში თვითშეგნებას, აღვიძებდა პატრიოტულ სულისკვეთებას და რაზმავდა მათ ეროვნული თავისუფლებისათვის საბრძოველად.

ასეთივე მოწოდების დანიშნულება ჰქონდა მოგვიანებით არგვეთის მთავრების დავითის და კონსტანტინეს წამების, ერისმთავარ არჩილის მოღვაწეობისა და მოწამეობრივი სიკვდილის აღწერას.

ბრძოლა დამპყრობთა წინააღმდეგ განსაკუთრებით გამწვავდა VIII ს-ის დასასრულსა და IX ს-ის დასაწყისში. ყველაზე დაუნდობელი ეს ბრძოლა ქართლის მხარის ცენტრალურ თემებში იყო. არაბებმა გააუქმეს ქართლის ერისმთავრის ხელისუფლება და ქართლის ფეოდალური არისტოკრატიის მნიშვნელოვანი ნაწილი გაჟლიტეს. დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლამ საერთო სახალხო ხასიათი მიიღო.

12. ახალი ქართული სამეფო-სამთავროების წარმოქმნა

VIII-IX სს-ის მიჯნაზე საქართველოს ტერიტორიაზე რამდენიმე ფეოდალური სამეფო და სამთავრო შეიქმნა. ეს განპირობებული იყო, როგორც ფეოდალიზმის განვითარებით (ნატურალური მეურნეობა), ისე არაბთა ბატონობით. არაბები აბრკოლებდნენ ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნას; ამის შედეგად ქართლის ერისმთავრის ხელისუფლება დასუსტდა და IX ს-ის დასაწყისში გაუქმდა. არაბთა მფლობელობა ქართველ ხალხს მშვიდობიანად არასოდეს არ მიუღია. მურვან ყრუს ექსპედიციის შემდეგ ქვეყანამ ნელ-ნელა იწყო აღორძინება. აღ-

მოსავლეთ საქართველოში ქართლის ერისმთავრის ხელისუფლების სისუსტის ვითარებაში, არაბთა წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურება პერიფერიებზე დაიწყო, რასაც ხელი შეუწყო VIII-IX სს-ში არაბთა სახალიფოს დაშლამ ცალკეულ საამიროებად ფეოდალიზაციის პროცესის შედეგად.

VIII ს-ის ბოლოდან ქართლის ერისმთავრების სახელმწიფოს (რომელიც ქართლის სამეფოს მემკვიდრე იყო) გამოეყო კახეთის სამთავრო (საქორეპისკოპოსო), ჰერეთის სამეფო და ტაო-კლარჯეთის სამთავრო, ხოლო დასავლეთ საქართველოში წარმოიქმნა ეგრის-აფხაზეთის სამეფო.

ქართლის საერისმთავროს ყველაზე ადრე გამოეყო კახეთის სამთავრო. ის ჩამოყალიბდა VIII ს-ის 80-იან წლებში მდ. არაგვისა და ივრის ხეობების ზემო წელში. სამთავროს ცენტრი *თიანეთი* იყო (ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, კახეთის სამთავრო წარმოიქმნა 787 წელს და მისი პირველი მთავარი იყო გრიგოლი, რომელიც კახეთის ქორეპისკოპოსის ტიტულს ატარებდა). კახეთის სამთავრო მოიცავდა სამ ისტორიულ თემს: კახეთს, კუხეთსა და გარდაბანს. ამ სამთავროს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჰერეთის სამეფო ესაზღვრებოდა, ხოლო დასავლეთიდან – მდ. არაგვი და თბილისის საამირო. კახეთ-კუხეთ-გარდაბნის გაერთიანება კახეთის მოთავეობით მოხდა და ამიტომ, ამ ახალ პოლიტიკურ ერთეულს „კახეთი“ ეწოდა.

კახეთის აღმოსავლეთით ჩამოყალიბდა *ჰერეთის სამეფო*. ჰერები ქართლის სამეფოს მოსაზღვრე ძველი ალბანეთის მიწა-წყალზე განსახლებული ერთ-ერთი ტომი იყო, რომლის შერწყმა ქართულ ტომებთან ჩვენს წელთაღრიცხვამდე დაიწყო. სამეფოს დედაქალაქი იყო შაქი.

დასავლეთ საქართველოში VIII ს-ში გაძლიერდა *აფხაზთა ერისთავი*. მან ისარგებლა ეგრისის სამეფოს დასუსტებით და შემოიერთა აფშილეთი. VII ს-ის 80-იანი წლებისათვის ბიზანტიის ვასალი აფხაზთა მთავარი ლეონ II ბიზანტიის იმპერიის მხარდაჭერით აერთიანებს ეგრის-აფხაზეთს. ეგრისის სამეფოს დასუსტებასთან ერთად, აფხაზეთის საერისთავოს ასეთ გაძლიერებას იმ გარემოებამაც შეუწყო ხელი, რომ ბიზანტია თავდაპირველად მას ზურგს უმაგრებდა, როგორც თავის დასაყრდენს დასავლეთ საქართველოში (VIII ს-ის 40-იან წწ.-ში აფხაზთა მთავარი ლეონ I ხელმძღვანელობდა ანტიარაბულ ძალებს დასავლეთ საქართველოში).

XI ს-ის ქართული საისტორიო თხზულების „მატიანე ქართლისაჲ“-ს ცნობით, *ლეონ II*-მ (აფხაზთა ერისთავის ლეონ I-ის ძმისშვილმა) ისარგებლა ბიზანტიაში ამტყდარი შინაბრძოლებით. ლაშქრით დახმარება მიიღო ხაზართა მეფისაგან (რომლის ასულის შვილიც იყო), განდევნა ბიზანტიელები, გააერთიანა ეგრისი და აფხაზეთი ლიხის მთამდე და თავის აფხაზთა მეფედ გამოაცხადა.

ლეონმა, ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, სახელმწიფო რვა საერისთავოდ დაყო: აფხაზეთის, ცხუმის, ეგრისის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმის, სვანეთის,

არგვეთის და იმერეთის. ამგვარად, ეგრის-აფხაზეთის სამეფოს ტერიტორიის უდიდეს ნაწილს ქართული მიწები შეადგენდნენ, ხოლო მოსახლეობის უმრავლესობას – ქართველი ტომები (ქართები, მეგრელები, სვანები, ზოგიერთი მოსაზრებით, აფხაზებიც, გვიან შუა საუკუნეებში აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოწოლილი აფსუებისაგან განსხვავებით, რომლებმაც დამხვდურთა სახელი მიიღეს, ისეთივე ერთ-ერთი დასავლურ-ქართული ტომი იყო, როგორიც მეგრელები, სვანები და სხვ.). ამ სახელმწიფოს ქართულმა შინაარსმა განსაზღვრა ისიც, რომ გაერთიანებისთანავე ეგრის-აფხაზეთის დედაქალაქად იქცა ქუთაისი, ძველი ქართული ქალაქი, ქართული კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცენტრი. ქუთაისის გადედაქალაქებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ ის მნიშვნელოვან სამიმოსვლო-სავაჭრო გზასაყარზე მდებარეობდა.

ცნება „აფხაზეთი“, საკუთრივ აფხაზთა საერისთავოდან, მისი პოლიტიკური გავლენის გავრცელებასთან ერთად, თანდათან გავრცელდა დასავლეთ საქართველოს ტომებზე, ხოლო ეგრის-აფხაზეთის გაერთიანების შემდეგ „აფხაზეთის“ ცნების მნიშვნელობა კიდევ უფრო გაფართოვდა და ის ეგრისზედაც გავრცელდა.

IX ს-ის დამდეგს, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა სამთავრო, რომელსაც ძირითადი პროვინციების მიხედვით ტაო-კლარჯეთის სამთავრო ეწოდება. ამ სამთავროს ჩამოყალიბებას საფუძველი ჩაუყარა უკანასკნელმა ქართლის ერისმთავარმა *აშოტ ბაგრატიონმა*. აშოტ ერისმთავრის და არაბების ხელისუფლება ქართლში აშკარად დაუპირისპირდა ერთმანეთს და აშოტი IX ს-ის დასაწყისში დიდი ამალით საგვარეულო მამულში - კლარჯეთში გადასახლდა, სადაც დააარსა ახალი სამთავრო, რომლის დედაქალაქად ჯერ კიდევ ვახტანგ გორგასლის (V ს.) აგებული ციხე-ქალაქი არტანუჯი აქცია. არაბების მოწინააღმდეგე აშოტს ბიზანტიაც უმაგრებდა ზურგს. ბიზანტიის ხელისუფლებამ აშოტს კურაპალატის მაღალი ტიტული უბოძა (ბაგრატიონთა კურაპალატობის გამო ამ სახელმწიფოს „ქართველთა საკურაპალატოც“ ეწოდება). აშოტმა თანდათანობით დაიმორჩილა და დაიქვემდებარა მეზობელი თემები და საკმაოდ ვრცელი სახელმწიფო შექმნა.

ტაო-კლარჯეთის სამთავრო ფორმალურად ბიზანტიის იმპერიის ვასალი იყო, მაგრამ ეს ვასალობა მხოლოდ საზღვართა დაცვასა და სამხედრო კავშირში გამოიხატებოდა.

IX ს-ის ბოლოს (888 წ.) აშოტის შთამომავალმა (შვილისშვილმა) ადარნასე ბაგრატიონმა „ქართველთა მეფის“ ტიტული მიიღო და ამიერიდან ამ სახელმწიფოს „ქართველთა სამეფო“ ეწოდება. ბაგრატიონთა საგვარეულო წარმოშობით ძველისძველი ქართული პროვინციიდან – *სპერიდან* (დღევანდელი ისპირი, თურქეთში) იყო.

ქართული ადრეფეოდალური სამთავროებისაგან განსხვავებული განვითა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რების გზა განვლო *თბილისის საამირომ*. თბილისის საამირო არაბთა მიერ შექმნილი ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ერთეული იყო. იგი არაბთა სახელმწიფოს დიდი პროვინციის, ამიერკავკასიის ერთ-ერთი ოლქი იყო და თბილისის ამირა ამ პროვინციის გამგებელ არაბ მოხელეს - ვალის ემორჩილებოდა. თბილისის ამირას უშუალოდ ხალიფა ნიშნავდა. თავდაპირველად თბილისის ამირას მთელი აღმოსავლეთ საქართველო ემორჩილებოდა, მაგრამ VIII–IX სს-ის მიჯნიდან, საქართველოში დამოუკიდებელი სამთავროების შექმნასთან ერთად, საამიროს ტერიტორია თანდათანობით შეიზღუდა. ყველაზე მტკიცედ ამირებს ქვემო ქართლი და შიდა ქართლის ნაწილი ეპყრათ. მაგრამ, IX ს-ში შიდა ქართლი ამირებმა დაიკავეს და ის ქართველ მეფე-მთავართა შორის ბრძოლის ობიექტად იქცა. IX ს-ის დამდეგიდან თბილისის საამიროს ფარგლები თბილისით და მისი შემოგარენით შემოისაზღვრა. ამავე პერიოდიდან ამირამ დაიწყო ბრძოლა სახალიფოდან გამოყოფისა და თბილისის საამიროს დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად ჩამოყალიბებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ თბილისი მაჰმადიანთა მფლობელობაში იყო, ის არ იყო მოწყვეტილი საერთო ქართულ სხეულს. საამიროს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა საქართველოს სხვა კუთხეებთან. თბილისი მსოფლიო მნიშვნელობის სავაჭრო გზაზე მდებარეობდა, საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილეობდა, რაც ბევრ ქართველსა და არაქართველს იზიდავდა. საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან აქ მრავლად ჩამოდიოდნენ გლეხები და ხელოსნები და თავისი ნაწარმი ჩამოჰქონდათ. თბილისი მახლობელი აღმოსავლეთის ერთ-ერთ დიდ ქალაქად იქცა, ხოლო თბილისის საამირო – ფაქტობრივად, ქართულ ფეოდალურ სამთავროდ.

13. არაბთა ბატონობის გადავარდნა

არაბთა მიერ შექმნილი უზარმაზარი სახელმწიფო სხვადასხვა ხალხთა ნარევ, ნაძალადევ, სამხედრო ძალაზე დამყარებულ გაერთიანებას წარმოადგენდა. მას არ ჰქონდა ერთიანობის მტკიცე საფუძველი. დაპყრობილ ხალხთა მძლავრმა განმათავისუფლებელმა მოძრაობამ და სახალიფოში მიმდინარე პროცესებმა (ფეოდალიზაცია, სოციალური და კლასობრივი ბრძოლები) თანდათან დაასუსტა არაბთა სახელმწიფო და IX ს-დან დაიწყო მისი დაშლა.

სხვა ხალხებთან ერთად, დამპყრობთა წინააღმდეგ ამიერკავკასიის ხალხებიც იბრძოდნენ. 816-837 წლებში აზერბაიჯანში მოხდა დიდი აჯანყება არაბთა წინააღმდეგ, სახალხო გმირის *ბაბეკის* მეთაურობით. აზერბაიჯანელებს ქართველები და სომხებიც ეხმარებოდნენ. სოფ. გავაზთან (ყვარლის რ-ნი) აზერბაიჯანელთა და ქართველთა შეერთებულმა მხედრებმა სასტიკად დაამარცხეს არაბები.

სახალიფოსგან დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად დაიწყეს ბრძოლა დაპყრობილი ქვეყნების არაბმა მმართველებმაც. ერთ-ერთი ასეთი მმართველი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ატენის სიონი. ოქროსფერი სალებავით შესრულებული ასომთავრული წარწერა ტაძრის შიგნით, სამხრეთ აფსიდის ჩრდილოეთ კედელზე; 853 წ.; წარწერის ტექსტი:
„†თუესა აგუსტოსსა ე-სა, დღესა შაბათსა,
ქრონიკონსა ოგ-სა, ზედა წელსა სლთ-სა,
ქალაქი ტფილისი დაწუა ბუღა და შეიპყრა
ამირაჲ საჰაკ და მოკლა. და მასვე თუესა
აგუსტოსსა კვ-სა, დღესა შაბათსავე, ზარაქ
შეიპყრა კახაჲ და ძჳ მისი თარჯუჯი“.

იყო თბილისის ამირა, რომელიც IX ს-ის დასაწყისიდან იწყებს ბრძოლას დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. მის დასასჯელად და, საერთოდ, ამიერკავკასიის ურჩი მოსახლეობის დასამორჩილებლად ხალიფები აგზავნიან დამსჯელ ექსპედიციებს, რომელთა შორისაც ლაშქრის სიმრავლითა და გადგომილთა მიმართ სისატიკით გამოირჩეოდა ბუღა თურქის სარდლობით მოწყობილი ლაშქრობა. ბუღას 200 ათასიანი ლაშქარი აზერბაიჯანისა და სომხეთის დალაშქვრის შემდეგ, 853 ნლის ზაფხულში საქართველოს შემოესია. ბუღამ დამორჩილება მოსთხოვა თბილისის ამირა საჰაკს. არაბებს შეუკავშირდნენ ტაო-კლარჯეთის მთავარი ბაგრატ I კურაპალატი (აშოტ ბაგრატიონის შვილი) და კახეთ-ჰერეთის სამთავრო. აფხაზთა სამეფო კი საჰაკს მიემხრო. ბუღა თურქი ისანში დაბანაკდა და საჰაკის წინააღმდეგ სარდალი ზარაქი გაგზავნა, რომელმაც 5 აგვისტოს აიღო და გადაწვა თბილისი. ამირა საჰაკი დატყვევებული იქნა. ბუღას ბრძანებით მას თავი მოჰკვეთეს. საჰაკის მოკვეთილი თავი ხალიფას გაუგზავნეს, თვითი გატენილი ტანი, ურჩთა დასაშინებლად, ქალაქის კედელზე გადმოკიდეს. ხალიფასთან გაგზავნილ ტყვეთა შორის იყო ქართველი ერისთავი კონსტანტი-კახა. ხალიფას მოთხოვნის მიუხედავად მან არ უარყო ქრისტიანობა და არ მიიღო მაჰმადიანობა, რისთვისაც თავი მოჰკვეთეს. კონსტანტი-კახის წამება აღწერილია IX ს-ის ლიტერატურულ ძეგლში „კონსტანტი კახის მარტვილობა“.

შემდეგ ზარაქმა და ბაგრატ I-მა აფხაზთა მეფეც დაამარცხეს. ბუღას ლაშქარი მთიანეთში შეიჭრა. მთიელებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს მტერს. ამასობაში

დიდი თოვლი მოვიდა და ბუღა-თურქი იძულებული იყო საქართველოს გასცლოდა, მაგრამ 854 წელს ისევ შემოიჭრა და გარდაბანი აოხრა.

ბუღას ლაშქრობამ დიდი ზიანი მიაყენა ქვეყანას. არაბი ისტორიკოსის ტაბარის ცნობით, მარტო თბილისში 853 წელს 50 ათასი კაცი დაიღუპა, ქალაქი თითქმის მთლიანად გადაიწვა. მაგრამ ბუღას ლაშქრობათა მიზანი მაინც მიუღწეველი დარჩა – არაბთა ბატონობის განმტკიცება არ მოხერხდა.

ბუღა თურქის ამ ლაშქრობის შესახებ მოგვითხრობს აგრეთვე ქართველი მემატიანე („მატიანე ქართლისაჲ“) და ატენის სიონის კედლის წარწერა, შესრულებული საღებავით. წარწერაში აღნიშნულია ბუღა თურქის მიერ თბილისის აღების ზუსტი თარიღი (ქრონიკონით), ეს არის 853 წლის 5 აგვისტო. აქვე ნათქვამია, რომ ბუღამ თბილისი დაწვა, ხოლო ამირა საჰაკი შეიპყრო და სიკვდილით დასაჯა. წარწერა გვამცნობს, აგრეთვე, რომ ბუღას სარდალმა ზირაქმა შეიპყრო ქართველი ფეოდალი კახა და მისი ძე თარხუჯი.

უკანასკნელად საქართველოს დამორჩილება ხალიფებმა სცადეს X-ს-ის დამდეგს. 914 წელს საქართველოში შემოიჭრა არაბთა დიდი ჯარი სამხრეთ აზერბაიჯანის ამირას - აბულ-კასიმის მეთაურობით. ლაშქრობის მიზანი იყო არაბთა შერყეული ხელისუფლების განმტკიცება. აბულ-კასიმმა აიღო კახეთის ციხეები უჯარმა და ბოჭორმა. კახეთიდან იგი ქართლში გადავიდა და მოაოხრა. ქართველებმა თვითონვე მოარღვიეს უფლისციხის გალავანი, რათა მტერი იქ ვერ გამაგრებულიყო. არაბებმა დაარბიეს სამცხე-ჯავახეთიც. კარგად გამაგრებული თმოგვის ციხის აღება არაბებმა ვერ შეძლეს და შემდეგ ყველის ციხეს შემოარტყეს ალყა. ორასიოდე ქართველი მეციხოვნე ციხისთავ გობრონის მეთაურობით 28-დღიანი უთანასწორო ბრძოლის შემდეგ დანებდა მტერს. აბულ-კასიმმა გობრონს გამაჰმადიანება მოსთხოვა. გობრონმა უარყო არაბი სარდლის წინადადება, რისთვისაც სიკვდილით იქნა დასჯილი. გობრონის გმირობა ასახულია ქართულ ჰაგიოგრაფიულ მწერლობაში (სტეფანე მტბევარის „მიქელ-გობრონის მარტვილობა“).

სამხედრო წარმატებების მიუხედავად, აბულ-კასიმმა დასახულ მიზანს ვერ მიაღწია. ხალხის შეუპოვარმა ბრძოლამ აიძულა იგი საქართველოს გასცლოდა.

14. ფეოდალური ურთიერთობის განმტკიცება VIII–X სს-ში

VIII–X სს-ში გაღრმავდა ფეოდალური ურთიერთობა საქართველოში. აზნაურები სულ უფრო და უფრო აფართოებდნენ თავიანთ უფლებებსა და სამფლობელოებს თავისუფალ მეთემეთა ხარჯზე. თავისუფალ მეთემეთა რიცხვი მკვეთრად მცირდებოდა. მათი დიდი ნაწილი ყმა-გლეხებად იქცეოდა, ხოლო მცირე ნაწილი – აზნაურდებოდა. ამ პროცესს, რა თქმა უნდა, უმტკივნეულოდ არ ჩაუვლია. მიმდინარეობდა მძაფრი ბრძოლა მიწების დაუფლები-

სათვის, რომელშიც უკეთ შეიარაღებული და ორგანიზებული აზნაურები იმარჯვებდნენ.

ფეოდალურ ხანაში სიმდიდრისა და ძალაუფლების მთავარი წყარო მიწა იყო. მიწას ფლობდნენ მეფე, აზნაურები და ეკლესია. ცალკეული კუთხეების გამგებლობა და უმაღლესი სამოხელეო თანამდებობები დიდაზნაურთა ხელთ იყო. მეფესა და დიდაზნაურებს შორის მიმდინარეობდა სამამულე ბრძოლა. ირანელებმა გამოიყენეს ეს კონფლიქტი და მოსპეს მეფობა ქართლში. ირანელებმა და შემდეგ ბიზანტიელებმა ქართლის დიდაზნაურებს მემკვიდრეობით მფლობელობაში დაუმტკიცეს მათ ხელთ მყოფი საგამგებლო ტერიტორიები (საერისთავოები). ამით დიდაზნაურებმა მიაღწიეს თავიანთ მამულებში შეუვალობას, ე.ი. გახდნენ იქ სრულუფლებიანი ბატონ-პატრონები.

ძლიერი ფეოდალები იქვემდებარებდნენ და თავიანთ ვასალებად აქცევდნენ წვრილ ფეოდალებს. ასე იქმნებოდა ბატონყმური ურთიერთობა, მსგავსი დასავლეთ ევროპის ვასალიტეტისა. მსხვილი საფეოდალოები ემსგავსებოდნენ დასავლეთ ევროპის სენიორიებს.

ქართული ფეოდალური საზოგადოების ნორმალურ განვითარებას აფერხებდა არაბთა ბატონობა. მაგრამ არაბთა სახალიფოშიც მიმდინარეობდა ფეოდალიზაციის პროცესი, რის შედეგადაც ის იშლებოდა ცალკეულ საამიროებად.

ამას გარდა, არაბთა ბატონობა ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოს ცენტრალურ რაიონებზე ვრცელდებოდა. განაპირა მხარეებში (ტაო-კლარჯეთი, კახეთი, ჰერეთი, ეგრის-აფხაზეთი) აღმოცენდნენ ახალი სამეფო-სამთავროები, სადაც ინტენსიურად მიმდინარეობდა ფეოდალიზაცია.

არაბთა ბატონობის შესუსტებამ და გადავარდნამ დააჩქარა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება. IX–X საუკუნეები ადრეული ფეოდალიზმიდან განვითარებულ ფეოდალიზმზე გარდამავალი ხანაა.

სოფლის მეურნეობა ამ პერიოდში აღმავლობას განიცდის, ვითარდება მემინდვრეობა, მევენახეობა-მებაღეობა, მესაქონლეობა. გამრავლდა მოსახლეობა, მოშენდა ადრე გაუკაცრიელებული ნასახლარები. გაუმჯობესდა სასოფლო-სამეურნეო იარაღი, სრულყოფილი სახე მიიღო გუთანმა, აღადგინეს ძველი არხები, გაიყვანეს ახალი. ააგეს ხიდები, გზები, წყალსადენები. გამოცოცხლდა საქალაქო ცხოვრება. IX–X საუკუნეები ახალქალაქობის ხანაა. დაარსდა ქალაქები: დმანისი, ახალქალაქი (ჯავახეთში, თრიალეთში და სხვაგან), ახალციხე, თმოგვი, ოლთისი. განახლდა და გაძლიერდა ძველი ქალაქებიც: რუსთავი, სამშვილდე, ხუნანი, არტანუჯი, თბილისი, ქუთაისი.

ოშკის ტაძრის (მდებარეობს ტაოში) X ს-ის საეპვით შესრულებული წარწერა გვამცნობს, თუ რა სამუშაო სრულდებოდა და რამდენი იხარჯებოდა ტაძრის აშენებაზე ყოველწლიურად, რა რაოდენობის ხელოსანი, მუშა, მზიდავი, მეტვირთე საქონელი გამოიყენებოდა, რა სურსათი და რა საშენი

მასალა იხარჯებოდა. მარტო ხელფასის სახით აქ გაიცემოდა წელიწადში 20.000 დრამა (1 დრამა უდრის დაახლოებით შემდეგდროინდელ აბაზს, ე. ი. 1/5 მანეთს ვერცხლით). ეს წარწერა მოწმობს, თუ რა ძლიერი იყო ამ დროს ეკონომიკურად ქვეყანა.

X ს-ის არაბი გეოგრაფი და მოგზაური იბნ-ჰაუქალი იმდროინდელ თბილისს ახასიათებს, როგორც დიდ, კარგად გამაგრებულ, კეთილმოწყობილ, მდიდარ ქალაქს, სადაც სიუხვე და იაფი ცხოვრებაა. ის გვამცნობს, რომ თბილისს ამ დროს შემოვლებული ჰქონდა ალიზის (გამოუმწვარი აგურის) ორი კედელი, სადაც დატანებული იყო სამი კარი. ცხოვრება აქ იყო იაფი იმდენად, რომ თავისი კეთილდღეობით ის აღემატებოდა სხვა მდიდარ სახელმწიფოებსა და ნაყოფიერ ქვეყნებს. 1 დირჰემად (დირჰემი დრამის შესატყვისი ფულის ერთეული) იყიდებოდა 20 ლიტრი თაფლი. აქ ყოფილა აბანოები, ბუნებრივად ცხელი წყლით (იგულისხმება გოგირდიანი წყლის აბანოები), მდინარე მტკვარზე გამართული ყოფილა მცურავი წისქვილები. მოსახლეობა მეგობრულად იყო განწყობილი უცხოელებისადმი და პატივს სცემდნენ ცოდნას და მეცნიერებას. იბნ-ჰაუქალის ცნობით, ამიერკავკასიაში ყველაზე დიდი ქალაქები ყოფილა თბილისი, ბარდა (ბარდავი) და ბაბი (დარუბანდი).

თბილისზე ცნობას გვაწვდის, აგრეთვე, IX ს-ის არაბი ისტორიკოსი ბალაძორი. მისი ცნობით, თბილისს ამ დროს ჰქონია 5 კარი: მოედნის, ყარსის, მცირე, რაბადის და სოღდებილის. ბუღა თურქის მიერ ქალაქის აღების დროს (853 წ.) ქალაქში დაღუპულა 50 000 მცხოვრები. ეს მოწმობს, რომ თბილისი იმდროისთვის ხალხმრავალი ქალაქი ყოფილა.

ქვეყნის ეკონომიკურმა წინსვლამ დღის წესრიგში დააყენა ცალკეული სამეფო-სამთავროების გაერთიანება. ეს საჭირო იყო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის შემდგომი განვითარებისათვის და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის. გაერთიანებით დაინტერესებულნი იყვნენ მოქალაქეები, ვაჭარ-ხელოსანთა ფენა და ფეოდალთა კლასის მნიშვნელოვანი ნაწილიც. ესენი იყვნენ წვრილი და საშუალო აზნაურები, რომლებიც ძლიერი მთავრებისგან მიმძლავრებას განიცდიდნენ და ამიტომ ისინი მომხრე იყვნენ საქართველოს ერთიანი ხელისუფლებისა. ძლიერი ცენტრალური ხელისუფლება მათ, ერთი მხრივ, დაიცავდა დიდი მთავრების მიმძლავრებისაგან, ხოლო მეორე მხრივ, უზრუნველყოფდა მათ ბატონობას ყმა გლეხებზე.

IX-X სს-ისათვის თითქმის დასრულებული იყო თავისუფალი მეთემეების ყმა-გლეხებად გადაქცევა. მცირე რაოდენობით დარჩა თემებიც, მაგრამ ისინიც ექვემდებარებოდნენ მეფე-მთავრებს ან აზნაურებს, რომლებიც მათ „უფლებად“ ითვლებოდნენ.

ფეოდალური კლასის შიგნით ჩამოყალიბებული იყო იერარქია – პატრონყმობა: მეფე-მთავრებს ყმებად (ვასალებად) ჰყავდათ საშუალო და წვრილი აზნაურები.

ამრიგად, ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების ინტერესები, ფეოდალთა ფართო ფენების (წვრილი და საშუალო აზნაურებს), ვაჭარ-ხელოსანთა სოციალური ინტერესები საქართველოში ერთიანი ძლიერი ფეოდალური მონარქიის წარმოქმნის საფუძველს ჰქმნიდა.

15. ქართული კულტურა IV–X სს-ში

ფეოდალური ურთიერთობის გამარჯვება საქართველოში დაემთხვა ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას. ამდენად, ქრისტიანული სარწმუნოებამ ფეხი მოიკიდა ქართული ფეოდალური კულტურის ყველა სფეროში.

ადრეფეოდალური ქართული კულტურა ემყარებოდა ანტიკური ხანის მდიდარ კულტურულ მემკვიდრეობას. ამავე დროს, მას მჭიდრო კავშირი ჰქონდა მეზობელი ქვეყნების (ბიზანტია, ირანი, სომხეთი, არაბეთი) კულტურასთან. ითვისებდა მათ მონაპოვარს და თვითონაც ამდიდრებდა მათ.

ქრისტიანობის დამკვიდრებით განადგურდა წარმართული კულტურის ძეგლები (ტაძრები, მატერიალური კულტურა, შესაძლოა დამწერლობის ძეგლებიც). მაგრამ, ამავე დროს, ქრისტიანობამ შექმნა კულტურის შესანიშნავი ძეგლები. ქრისტიანობა წიგნიერი რელიგია იყო და დამწერლობის ფართო გამოყენებას მოითხოვდა. ქრისტიანობამ გაავრცელა ანბანური დამწერლობა სლავებში. ქართული ანბანური დამწერლობის შექმნაც, ან, ყოველ შემთხვევაში, რეფორმა და სრულყოფა ქრისტიანობის ხანაში მოხდა. ქრისტიანული მღვდელთმსახურებისათვის საჭირო იყო საეკლესიო წიგნები – ბიბლია, სახარება. მათ ქართულად თარგმნიდნენ ბერძნულიდან, სირიულიდან, ებრაულიდან.

ქართული ქრისტიანული დამწერლობის უძველესი ძეგლები V საუკუნისაა. წინაქრისტიანული ქართული დამწერლობის ძეგლები არ გაგვაჩნია, რაც ეჭვის ქვეშ აყენებს „ქართლის ცხოვრების“ ცნობას, რომ ქართული დამწერლობა ქართლის მეფე ფარნავაზმა შექმნა (ძვ. წ. III ს.). უძველესი ქართული თარიღიანი წარწერა - ბოლნისის სიონის საამშენებლო წარწერა 493 წლით თარიღდება. V ს-ის 30-იანი წლებით ათარიღებენ პალესტინის ქართული მონასტრის იატაკის მოზაიკურ წარწერას. 595-604 წლებითაა დათარიღებული მცხეთის ჯვრის წარწერები. ესენია უძველესი ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები.

უძველესი ქართული დამწერლობა იყო მრგვლოვანი, ანუ ასომთავრული, IX ს-დან ჩნდება მეორე სახე – ნუსხა-ხუცური, ხოლო X–XI სს-დან – მხედრული.

ასომთავრული დამწერლობით შესრულებულია, როგორც ეპიგრაფიული ძეგლები, ისე რბილ საწერ მასალაზე (ეტრატი-ტყავი) დაწერილი ტექსტები.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბოლნისი, სიონი; ტაძრის საამშენებლო წარწერა; 493 წ.

ტყავის ფურცლებისგან აკინძული წიგნი ძვირი ღირდა, ამიტომ ხშირად ფურცელს გადაფხეკდნენ და ახალ ტექსტს წერდნენ. ასეთ ხელნაწერს პალიმფსესტი ეწოდებოდა. თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით ხერხდება ქვედა, გადაფხეკილი ტექსტების ამოკითხვა და V–VI საუკუნეების ტექტების აღდგენა. ამავე პერიოდში შეიქმნა ქართული წელთაღრიცხვის სისტემაც. თავდაპირველად დათარიღება ხდებოდა მეფეთა ზეობის წლების მიხედვით. თუ საქართველოში სპარსელები ბატონობდნენ, თარიღიც სპარსთა მეფის (შაჰის) გამეფებიდან იანგარიშებოდა, თუ ბიზანტიელები ბატონობდნენ – ბიზანტიის იმპერატორის ზეობით. შემდეგში საქართველოში დამკვიდრდა წელთაღრიცხვის სამი ძირითადი წესი: 1. *დასაბამითგან*, ე. ი. სამყაროს გაჩენიდან. ქრისტიანულ ქვეყნებში, ჩვეულებრივ, წელთაღრიცხვას იწყებდნენ „სამყაროს გაჩენიდან“. საქართველოში მიღებული იყო, რომ სამყარო ღმერთმა შექმნა 5604 წელს ქრისტეს დაბადებამდე. აქედან იწყებდნენ წელთაღრიცხვას; 2. *ქრონიკონით*. სამყაროს გაჩენიდან გასული წლები დაყოფილი იყო 532 წლიან ციკლებად. თითოეულ ამ ციკლს ეწოდებოდა „მოქცევა“. სამყაროს გაჩენიდან ჩვენი წელთაღრიცხვის 780 წელს დასრულდა 12 მოქცევა და დაიწყო მე-13, რომელიც, თავის მხრივ, დასრულდა 1312 წელს (780+532). როდესაც ძეგლში დასახელებულია, მაგალითად, თარიღი „ქრონიკონსა 324“, იმისათვის რომ გავიგოთ რას უდრის ეს ქრისტეს დაბადებიდან, ანუ დღეს მიღებული წელთაღრიცხვით, 324 უნდა დავუმატოთ ან 780, ან 1312 (იმის მიხედვით, თუ რომელ მოქცევაშია სავარაუდო ეს თარიღი), მივიღებთ ან 1104 (780 + 324) წელს, ან 1636 წელს; 3. *ქრისტეს აქეთ*. ეს არის წელთაღრიცხვა ქრისტეს დაბადებიდან, ანუ ის, რაც დღესაა დამკვიდრებული. ეს წელთაღრიცხვა გვხვდება ძველ ქართულ ძეგლებშიც, თუმცა, შედარებით იშვიათად (ჭარბობს ქრონიკონით წელთაღრიცხვა). ქრისტეს აქეთ წელთაღრიცხვა პირველად დასტურდება 897 წელს გადაწერილ ადიშის სახარებაში, როგორც მისი გადაწერის ერთ-ერთი თარიღი („ქრისტეს აქეთ **ჩა**“), თუმცა, აქაც დღეს მიღებულისაგან განსხვავებული მნიშვნელობა აქვს.

ბიბლიისა და სახარების თარგმანთა შემდეგ გაჩნდა ორიგინალური *ჰაგიოგრაფიული თხზულებანი* (წმინდათა ცხოვრებები და წამებანი). V ს-ში



ბოლნისი, სიონი; 478-493 წწ. დავით ეპისკოპოსის წარწერა ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე: „ქრისტე, დავით ეპისკოპოსი კრებულითურთ, და ამას ეკლესიასა შინა შენდა მიმართ თავყანისმცემელნი, შეიწყალენ; და მშრომელთა ამას ეკლესია შინა შეხვნივ; იყავნ, იყავნ“.

დაიწერა იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამება“ – უძველესი ქართული ლიტერატურული ნაწარმოები, VI ს-ის ძეგლია უცნობი ავტორის „ევსტათე მცხეთელის წამება“, VIII ს.-ს ეკუთვნის იოვანე საბანისძის „აბო ტფილელის წამება“ და სხვ. ამ ძეგლებში აისახა ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ (ირანელების, არაბების), აგრეთვე, ქვეყნის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრება.

IV–V საუკუნეების საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული ანტიკური ფილოსოფია და რიტორიკული ხელოვნება. IV ს-ში ეგრისელებს არაერთხელ უსახელებიათ თავი მჭევრმეტყველებით ბერძნების სადღესასწაულო კრებებზე. IV ს-ის II ნახევარში აღმოსავლეთ რომის იმპერიაში ცნობილი ყოფილა თავისი ჭკუით, განათლებითა და ფილოსოფიის სიყვარულით ქართველი მეფისწული ბაკური. ქართლში და კოლხეთში გავრცელებული იყო ბერძნული განათლება, ფილოსოფია და პოეზია. IV ს-ის ეგრისში, ქ. ფაზისის (ფოთის) ახლოს არსებობდა ფილოსოფიურ-რიტორიკული სკოლა, სადაც განათლება მიუღიათ ცნობილ ბერძენ რიტორებს ევგენიოსს და მის შვილს თემისტიოსს. ჩვენ შემოგვრჩა ცნობა სადაც თემისტიოსი თავის საუბარში აღნიშნავს, რომ მან ფილოსოფიური განათლება მიიღო



ბოლნისი, კედელში ჩასმული ხარის თავის სკულპტურა. V ს.

პარხლის მრავალთავი; X ს. ხელნაწერის გვერდი, რომელზეც იწყება „წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი, დედოფლისაჲ“.





ფაზისის მახლობლად, სადაც დაისადგურა ხომალდმა „არგომ“ (იგულისხმება არგონავტების ლაშქრობა კოლხეთში იაზონის მეთაურობით ოქროს საწმისის მოსაპოვებლად). ის გაუგზავნია აქ სასწავლებლად მამას, რომელსაც თავისი განთქმული ფილოსოფიური ცოდნა სწორედ აქ სკოლაში შეუძენია.

V ს-ის პირველ ნახევარში მოღვაწეობდა ქართველი მეფისწული მურვანოსი, რომელიც მძევლად იყო წაყვანილი და იზრდებოდა კონსტანტინოპოლში. იგი სახელგანთქმული ფილოსოფოსი გახდა და ცნობილია *პეტრე იბერის* სახელით. მან დააარსა ქართული მონასტერი პალესტინაში.

ადრეფეოდალურ ხანაში ქართული ხელოვნების განვითარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქრისტიანული რელიგია.

უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო ეკლესიების აგება (ეკლესია ბერძნულია სიტყვაა და აღნიშნავს „კრებულს“, აგრეთვე, „შესაკრებელ ადგილს“). IV–V საუკუნეებში შენდება ბაზილიკური ტიპის, ანუ უგუმბათო ეკლესიები: ნეკრესი, მატანის ცხრაკარა, ბოლნისის სიონი, ურბნისის სიონი, ხაშმის სამება, თბილისის ანჩისხატის ტაძარი.

ბოლნისის სიონი (V ს.) სამნავიანი ბაზილიკაა; თითოეული ნავი (განყოფილება) ერთმანეთისგან გამოყოფილია ორი რიგი ქვის ბურჯებით. ბურჯებზე ეყრდნობა ნახევარწრიული თაღები. ეკლესიის ფასადები მოპირკეთებულია ტუფის ქვით. ფასადების ზედა ნაწილი დამშვენებულია ორნამენტული ქვის ფილებით. ეკლესიის ინტერიერი მოხატული იყო ფრესკებით.



ოშკი. სტელა ღმრთისმშობლის და დავით კურაპალატის გამოსახულებით. 966 წ.

ბოლნისი, სიონი; 478-493 წწ.

ნეთისგან გამოყოფილია 5-5 სვეტის ორი რიგით. ძეგლს ახასიათებს პრო-პორციულობა და სისადავე. ტაძარი შიგნით მორთულია ქვის სკულპტურებით – ცხოველებისა და ჯვრის გამოსახულებანი სვეტისთავებზე, ბევრგან გამოსახულია ე. წ. „ბოლნური ჯვარი“ – მედალიონში ჩასმული ტოლმკლავა ჯვარი. აღსანიშნავია ხარის თავის სკულპტურა რქებს შორის ჯვრით.

VI ს-ში შემუშავდა საეკლესიო ხუროთმოძღვრების ახალი სახე – ჯვრის ტიპის ეკლესიები. ამ ტიპის ბრწყინვალე ნიმუშია მცხეთის ჯვრის ტაძარი (VI ს-ის ბოლო). ეს არის ჯვრის გეგმის გუმბათიანი ნაგებობა. გუმბათი ეყრდნობა აფსიდების (ჯვრის ოთხი მკლავის) კედლების შესაყარს. ტაძრის ფასადზე გამოსახულია მისი დამფუძნებლის (კტიტორის) სტეფანოს ერისმთავრისა და მისი სახლის წევრების: ძმის - დემეტრეს და შვილის - ადარნესეს, აგრეთვე, შვილიშვილის (ადარნესეს ძის) - ქობულ-სტეფანოსის ბარელიეფები ასომთავრული წარწერებით.

ჯვრის ტიპის ტაძრები ფართოდ გავრცელდა ამიერკავკასიაში. ასეთებია: ატენის სიონი (ქ. გორის ახლოს, შიდა ქართლში), მარტვილის ტაძარი (სამეგრელოში), ძველი შუამთის ეკლესია (კახეთში) და რიგი ძეგლებისა სომხეთში.

ჯვრის ტიპის ტაძრების შემდგომი განვითარებაა წრომის ტაძარი (VII ს.) (ქარელის რ-ნი, ქართლში), სადაც გუმბათის ყელი უკვე სვეტებზეა დაყრდნობილი.

საერო ხუროთმოძღვრების ძეგლებიდან აღსანიშნავია ამ პერიოდის ნაქალაქრებში შემორჩენილი ნაგებობები. ესენია: ციხე-ქალაქი უჯარმა და ჭერემი (კახეთი), ნოქალაქევი (ციხეგოჯი, სამეგრელოში) და სხვ.

ბოლნისი, სიონი; სვეტისთავი. 493 წ.





ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილი III

ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქია

1. მეფე დავით კურაპალატი

ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისთვის ხანგრძლივი იყო. VIII-IX სს-ში საქართველოს ტერიტორიაზე ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ძლიერი პოლიტიკური ერთეულების შექმნა ხელს უშლიდა ქვეყნის გაერთიანებას. ბიზანტიის იმპერია და არაბთა სახალიფო ასევე ყოველნაირად ცდილობდნენ ხელი შეეშალათ საქართველოს გაერთიანებისა და გაძლიერებისათვის.

საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლის ერთ-ერთი ყველაზე უმნიშვნელოვანესი ობიექტი შიდა ქართლი იყო. შიდა ქართლისათვის ბრძოლაში უპირატესობა ჯერ კახელებმა იგდეს ხელთ, შემდეგ - დასავლეთ საქართველომ. შიდა ქართლს აფხაზთა მეფის ერისთავი განაგებდა, მაგრამ X ს-ის 70-იან წლებისათვის მდგომარეობა შეიცვალა. აფხაზთა სამეფო შედარებით დასუსტდა. ამით კარგად ისარგებლა ტაო-კლარჯეთის სამეფომ, რომელიც განსაკუთრებით გაძლიერდა X ს-ის II ნახევარში *დავით III* ბაგრატიონის დროს. დავითს ბიზანტიის იმპერატორისაგან მინიჭებული ჰქონდა „ყოვლისა აღმოსავლეთისა კურაპალატის“ ტიტული (კურაპალატი ბიზანტიის იმპერატორის კარზე ერთ-ერთი უმაღლესი საკარისკაცო ტიტული იყო, რომელსაც IX საუკუნიდან აძლევდნენ ტაო-კლარჯეთის მთავრებს. ამით ბიზანტიის იმპერატორები ხაზს უსვამდნენ თავიანთ უზენაესობას საქართველოს ამ ნაწილის მთავრებზე). დავით III-ს დიდი სახელი ჰქონდა მოპოვებული არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მეზობელ სომხეთში და ბიზანტიაში.

976-979 წწ.-ში მცირე აზია სამოქალაქო ომის ასპარეზად იქცა - ბიზანტიის საიმპერატორო კარს აუჯანყდა მცირე აზიის სამხედრო არისტოკრატიის ერთ-ერთი წარმომადგენელი ბარდა *სკლიაროსი*. ბიზანტიის ლაშქრის სარდლის, ბარდა ფოკას რჩევით, იმპერატორ ბასილის II-ის დედამ თეოფანამ დახმარებისათვის დავით კურაპალატს მიმართა. დავითთან შუამდგომლობა თხოვეს

წრომის ტაძარი; VII ს-ის I მესამედი.

ათონის მონასტერში ბერად შემდგარ იოვანეს – *ყოფილ თორნიკე ერისთავს*, დავითს დახმარებისათვის იმპერია პირდებოდა დიდ ტერიტორიებს: არზრუმის ოლქს, ბასიანის ოლქს და რამდენიმე სომხურ თემს. ამ პროვინციების ბიზანტია დავითს აძლევდა მხოლოდ მის სიცოცხლეში ფლობის უფლებით.

დავითმა ბასილს 12000-იანი ცხენოსანი ლაშქარი მიაშველა თორნიკე ერისთავისა და მეორე ქართველი სარდლის *ჯოჯიკ ერისთავის* მეთაურობით. მათ გაანადგურეს სკლიაროსის ჯარი და გადაარჩინეს ბასილი II ტახტის დაკარგვას.

დავით კურაპალატს დანაპირები აღუსრულეს. სათანადოდ დაფასდა, აგრეთვე, თორნიკე ერისთავის დამსახურებაც და ათონის ქართველთა მონასტერმა მიიღო „ადგილნი და სოფელნი“ ქართველთა დიდი დახმარების საფასურად.

ეს ამბავი აღწერილია აკაკი წერეთლის პოემაში „თორნიკე ერისთავი“.

987 წელს ბარდა სკლიაროსი ხელმეორედ აჯანყდა. მის წინააღმდეგ ბრძოლა ბასილი II-მ ისევ ბარდა ფოკას დაავალა. იმავე წელს ფოკა და სკლიაროსი შეთანხმდნენ საერთო მოქმედებაზე იმპერატორის წინააღმდეგ, მაგრამ ბარდა ფოკამ მოატყუა მისდამი მინდობილი სკლიაროსი, დაატყვევა ის, დაიმორჩილა მთელი მცირე აზია და თვითონ დაუპირისპირდა იმპერატორს.

დავით კურაპალატმა ბარდა ფოკას მხარე დაიჭირა, როგორც ჩანს, ფოკა დავითს დაპირდა გამარჯვების შემთხვევაში სამემკვიდრო მფლობელობაში გადაეცა მისთვის იმპერატორის მიერ ადრე დროებით ბოძებული ქვეყნები. მაგრამ 989 წელს ბარდა ფოკას აჯანყება მარცხით დამთავრდა. დავით კურაპალატი იძულებული იყო პატიება ეთხოვა ბასილი II-სათვის. დავითმა დაწერა ანდერძი, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ ტაო-კლარჯეთის სამეფო ბიზანტიის ხელში უნდა გადასულიყო.

ბიზანტიასთან განცდილი მარცხის მიუხედავად, დავით III განაგრძობდა ენერგიული ბრძოლას თავის სამეფოს გასაფართოებლად. ახლა მან თავის მეზობელ მაჰმადიან მფლობელებს შეუტია.

არაბთა მფლობელობის ხანაში სამხრეთ სომხეთში დიდი რაოდენობით ჩამოსახლდა თურქული მოდგმის ხალხი. ჩამოსახლებული და გაბატონებული მაჰმადიანების ზეგავლენით ამ სომხურ თემებში თანდათან მაჰმადიანობა გავრცელდა და ეს ძველი სომხური პროვინციები მაჰმადიანთა დასაყრდენ პუნქტებად იქცა სომხეთისა და საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაში.

დავით კურაპალატი მიზნად ისახავდა ქართველთა სამეფოს მოსაზღვრე პროვინციებიდან მაჰმადიანი მფლობელების განდევნას, მაჰმადიანი მოსახლეობის აყრას და ამ მხარეების ქრისტიანი ქართველებითა და სომხებით დასახლებას. 80-იანი წლებში წარმოებული ბრძოლების შედეგად ტაო-კლარჯეთს ყოფილი სამეფოს მნიშვნელოვანი ნაწილი შეუერთდა. დავითის სამფლობელოს სამხრეთი საზღვარი ვანის ტბამდე აღწევდა.

უბისა. ეკლესია (IX ს.) და კოშკი („სვეტი“, 1141 წ.).





X-ს–ის დასასრული ის ხანაა საქართველოს ქვეყნის ისტორიაში, როდესაც ქართული მიწების ერთ სამეფოდ გაერთიანება ყოველმხრივ მომზადებული იყო წინარე ხანის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარებით. საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების გეგმა X-ს-ის 70-იან წლებში შემუშავდა ქართლის მოწინავე აზნაურთა წრეში. მათი იდეური წინამძღოლი *იოანე მარუშისძე* იყო.

იოანე მარუშისძემ ამ დიდი საქმის მოთავეობა იმდროინდელ ქართველ მეფე-მთავართა შორის ყველაზე ძლიერს, დავით კურაპალატს შესთავაზა. ბადანყდა ხელი შეეწყოთ დავითის შვილობილი – *ბაგრატის* გამეფებისათვის. ბაგრატი ჯერ კიდევ არასრულწლოვანი იყო, მაგრამ იგი სამი ტახტის მემკვიდრედ ითვლებოდა: იგი იყო წარმომადგენელი აშოტ კურაპალატის შუათანა შტოს იმ ოჯახისა, რომელმაც დაიმკვიდრა „ქართველთა მეფობა“ (გურგენ ქართველთა მეფის ძე), იყო უშვილო და უსინათლო თეოდოსი აფხაზთა მეფის დის შვილი და მემკვიდრე და თვითონ დავით კურაპალატის შვილობილი და მემკვიდრე.

975 წელს დავითი ჯარით შევიდა შიდა ქართლში, სადაც ამ დროს უფლისციხეს კახელები მოსდგომოდნენ. კახელებმა თავი მოარიდეს დავით კურაპალატის და იოანე მარუშისძის შეერთებულ ძალას და წავიდნენ. დავითმა *უფლისციხეში* ბაგრატი დატოვა და ადგილობრივ დიდგვარიან აზნაურებს მისი მორჩილება უბრძანა.

978 წელს, იმავე იოანე მარუშისძის ინიციატივით, ქართლისა და ეგრის-აფხაზეთის აზნაურთა ერთი ნაწილის მხარდაჭერითა და დავით კურაპალატის დასტურით, ბაგრატი ქუთაისში აფხაზთა (ე.ი. დასავლეთ საქართველოს) მეფედ აკურთხეს. ბაგრატმა თავისი უსინათლო ბიძა – აფხაზთა მეფე თეოდოსი ტაოში გაგზავნა დავით კურაპალატთან.

ბაგრატის უმთავრესი მიზანი შიდა ქართლში პოზიციების განმტკიცება იყო. ნომინალურად შიდა ქართლს ამ დროს დედამისი გურანდუხტი განაგებდა, რომელიც უფლისციხეში იჯდა, ხოლო რეალურად, ქართლის მიწა-წყალი დიდგვარიან აზნაურებს ჰქონდათ ერომანეთში დანაწილებული. 980 წელს მოლრისთან ბრძოლაში ბაგრატმა დაამარცხა ქართლის აზნაურები ქავთარ ტბელის მეთაურობით და განამტკიცა თავისი ხელისუფლება შიდა ქართლში.

დასავლეთ საქართველოში და შიდა ქართლში მდგომარეობის განმტკიცების შემდეგ ბაგრატ III-ის მთავარი საზრუნავი კლდეკარის ერისთავის რატი ბაღვაშის დამორჩილება იყო. ბაღვაშებთან ბრძოლა ძნელი იყო და ბაგრატი წინდახედულად ემზადებოდა ამისთვის. მეფე დასავლეთ საქართველოში გადავიდა, რათა რატის ყურადღება მოედუნებინა და 989 წლის ზამთარს მოულოდნელად მიადგა კლდეკარის ციხეს, რატი დაიმორჩილა, ხოლო მისი მამული თვითონ შემოიმტკიცა.

დავით-გარეჯი. წმ. დავითის დაარსებული მონასტერი ლავრა. VI ს., გვიანი შუა საუკუნეები.

1001 წელს გარდაიცვალა დავით დიდი კურაპალატი. ბასილი კეისარმა არსებული შეთანხმების თანახმად, ტაო-კლარჯეთის სამეფოს ნაწილი დაიჭირა. ბაგრატ III და მისი მამა გურგენი კეისართან გამოცხადნენ იმ იმედით, რომ დავით კურაპალატის სამფლობელოს მიიღებდნენ, მაგრამ იმპერატორმა მათ მხოლოდ ტიტულები უწყალობა: ბაგრატს კურაპალატის, ხოლო გურგენს მაგისტროსის. დავით კურაპალატის მემკვიდრეობა ბიზანტიის ხელში დარჩა, რის გამოც XI-ს-ში მძიმე და სისხლისმღვრელი ომი ატყდა საქართველოსა და ბიზანტიას შორის.

1001 წელს, დავით კურაპალატის გარდაცვალების შემდეგ, ბაგრატმა მემკვიდრეობით მიიღო ქართველთა მეფის და კურაპალატის ტიტული, იგი იწოდებოდა „აფხაზთა და ქართველთა“ მეფედ.

1003 წ. ბაგრატმა ლაშქრობა მოაწყო კახეთის შემოსაერთებლად. საბოლოოდ, მხოლოდ 1008-1010 წლებში შემოიერთა ბაგრატმა კახეთი და ჰერეთი.

1010 წელს ბაგრატმა შეიპყრო მამამისის დისწულნი, „კლარჯი ხელმწიფენი“ სუმბატ და გურგენ, ხოლო მათი სამფლობელო თვითონ შემოიმტკიცა.

ამრიგად, ბაგრატ III-ის ხელისუფლების ქვეშ გაერთიანდა თითქმის მთელი საქართველო. მხოლოდ თბილისი და ქვემო ქართლი ჯერ კიდევ მაჰმადიანი ამირების ხელთ რჩებოდა. ბაგრატ III იწოდებოდა „მეფედ აფხაზთა, ქართველთა, რანთა (ე. ი. ჰერეთის) და კახთა“. ერთიანი საქართველოს დედაქალაქი იყო ქუთაისი.

საქართველოს გაერთიანების პროცესს გააფთრებით ეწინააღმდეგებოდნენ დიდგვაროვანი აზნაურები, რადგან ერთიანი საქართველოს მეფის ხელისუფლების განმტკიცება მათი დამოუკიდებლობის აღკვეთას ნიშნავდა. ბაგრატს არაერთი ბრძოლის გადახდა დასჭირდა ძლიერი ფეოდალების დასამორჩილებლად. ქვეყნის გაერთიანებას ბიზანტიაც ეწინააღმდეგებოდა. ისე რომ წინ კიდევ დიდი ბრძოლები იყო მოსალოდნელი, ვიდრე საქართველოს საბოლოოდ ერთიან, ცენტრალიზებულ სახელმწიფოდ გადაიქცეოდა.

XI ს-ის საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი კარდინალური საკითხი ბიზანტიის იმპერიასთან ურთიერთობა იყო.

სანამ ბიზანტიის იმპერიას ამიერკავკასიის ქრისტიანული ქვეყნები არაბთა სახალიფოსათვის დასაპირისპირებლად ესაჭიროებოდა, ის საქართველოს და სომხეთს ზურგს უმაგრებდა და ხელს უწყობდა მათ გაძლიერებას. მაგრამ XI ს-ისათვის ძალთა თანაფარდობა მახლობელი აღმოსავლეთში შეიცვალა. არაბთა სახალიფო და მის ნანგრევებზე აღმოცენებული მაჰმადიანური საამიროები სერიოზულ მეტოქეს აღარ წარმოადგენდნენ ბიზანტიის იმპერიისათვის. ახლა

წილკანი. კათედრალური ტაძარი; VI, XI სს.







ეროვნული ბიბლიოთეკა

უკვე თვით საქართველოსა და სომხეთის ერთიანობა უქმნიდა საფრთხეს ბიზანტიის ოდინდელ ჰეგემონობას ამიერკავკასიაში. XI ს-ის 60-იან წლებამდე ბიზანტიის აგრესია საქართველოს მიმართ ორი ძირითადი მიმართულებით ხორციელდებოდა. ერთი მხრივ, ბიზანტია ცდილობდა საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევას, რისთვისაც მას იმპერიის მორჩილი და მისი ნება-სურვილის ამსრულებელი მეფე ესაჭიროებოდა ტახტზე. ამ მიზნის მისაღწევად ბიზანტიის იმპერიის ხელისუფლება მხარს უჭერდა მეფის წინააღმდეგ მებრძოლ დიდგვაროვან ფეოდალებს და თავის კარზე თავშესაფარს აძლევდა ბაგრატიონთა გვარის უფლისწულებს, რომელთაც შემდეგ, როგორც ტახტის მაძიებლებს უპირისპირებდა კანონიერ მეფეებს. ამ ღონისძიებისათვის იმპერია მიმართავდა დაპირება-მოქრთამვის ყოველგვარ საშუალებას. მეორე მხრივ, ბიზანტიის იმპერია იპყრობდა საკუთრივ ქართულ მიწა-წყალს. 1001 წელს, როდესაც გარდაიცვალა დავით III კურაპალატი, ბიზანტიის იმპერატორი ბასილი II დიდი ლაშქრით მოვიდა და დავითის სამფლობელო დაიკავა. ბაგრატ III იძულებული იყო ამ ამბავს შერიგებოდა.

ბაგრატ III გარდაიცვალა 1014 წელს. იგი დაკრძალულია მის მიერვე აგებულ ბედიის ტაძარში.

ბაგრატ III ნიჭიერი სახელმწიფო მოღვაწე იყო. XI ს-ის ქართველი ისტორიკოსი., ე. წ. „მატიანე ქართლისაჲ“-ს ავტორი მას მაღალ შეფასებას აძლევს. ის გვამცნობს, რომ ბაგრატმა ააგო ბედიის საყდარი და აქცია ის საეპისკოპოსოდ. მემატიანის აზრით, ბაგრატის მსგავსი მეფე ჯერ არ ყოფილა ქართლში (ე. ი. აღმოსავლეთ საქართველოში) და აფხაზეთში (ე. ი. დასავლეთ საქართველოში). მისი „მოაჯენი და შემპოვნენი“ (ე. ი. მორჩილნი და მავედრებელნი) იყვნენ საქართველოს ხელმწიფენი (ე. ი. მთავარნი) და მთთაულნი (ე. ი. წარჩინებულები), მისი ერთგულნი და მოლაშქრენი, როგორც მოწინააღმდეგენი, ისე ნათესავნი. ღმერთმა მას დაუმორჩილა ყველა მტერი და ქვეყანაში დამყარდა მშვიდობა.

ბიზანტიის მიერ დაკავებული მიწების დაბრუნება სცადა ბაგრატ III-ის მემკვიდრემ *გიორგი I* (1014-1027 წწ.). მან ისარგებლა იმით, რომ ბასილი II ბულგარელებს ეომებოდა, ტაოში შეიჭრა და ბიზანტიელების მიტაცებული მიწები დაიბრუნა.

ბულგარელებთან ომის წარმატებით დასრულების შემდეგ ბასილი კეისარმა გიორგი I-ს დაკავებული მიწა-წყლის დაცლა მოსთხოვა და რადგან უარი მიიღო 1021 წელს ურიცხვი ლაშქრით საქართველოში შემოიჭრა. გიორგიმ ბრძოლას თავი აარიდა. ბასილი კვალდაკვალ გამოჰყვა მას და სოფ. შირიმნთან ბიზანტიელთა ავანგარდი და ქართველთა არიეგარდი დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ქართველები დამარცხდნენ და უკან დაიხიეს. ამ ბრძოლაში დაიღუპა

ჯვარისა (რაჭა). ცხოველმყოფელი ჯვარი. წარწერა ჯვრის ბუდეზე: „წმიდაო გრიგოლ საკვრველთმოქმედო, შენდა შევედრებული მჴევალი შენი – საჰაკდუხტ, დაიცევ ყოვლისაგან ბოროტისა“; VII-VIII სს.

კლდეკარის ერისთავი რატი ბაღვაში და ხურსი ერისთავი. საბოლოოდ ტაო საქართველოს დამარცხებით დამთავრდა. 1023 წელს დაიდო ზავი, რომლის ძალითაც ბიზანტიის იმპერიამ დაიბრუნა სადავო ტერიტორია. ზავის სიმტკიცის მიზნით, ბიზანტიაში წაიყვანეს მძევლები, მათ შორის, სამეფო ტახტის მემკვიდრე მცირეწლოვანი ბაგრატ უფლისწული.

კახეთ-ჰერეთის დიდებულებმა ისარგებლეს იმით, რომ გიორგი ტაოსთვის ომით იყო დაკავებული და უკვე მისი გამეფების პირველ წელს კახეთ-ჰერეთი ერთიან საქართველოს ჩამოაშორეს. იქ ადგილობრივი მეფის მმართველობა აღსდგა.

3. მეფე ბაგრატ IV. საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობები XI ს-ში

კიდევ უფრო გართულდა მდგომარეობა გიორგი I-ის მცირეწლოვანი მემკვიდრის *ბაგრატ IV*-ის (1027-72) მეფობის პირველ წლებში.

1028 წელს ბიზანტიელთა დიდი ჯარი შემოიჭრა საქართველოში და თრიალეთამდე მივიდა. ერისთავმა ლიპარიტ ბაღვაშმა შეძლო კლდეკარის დაცვა და ბიზანტიელთა ჯარი უკან გაბრუნდა (ერთგული სამსახურის გამო ჯერ კიდევ გიორგი I-მა ბაღვაშებს დაუბრუნა კლდეკარის ერისთავობა).

ტაოში გამაგრებული ბიზანტია კლარჯეთსა და შავშეთს უტევდა. აქ ადგილობრივ დიდგვარიანთა ერთი ნაწილი მტრის მხარეზე გადავიდა და მტერს გადასცა ტაო-კლარჯეთის რამდენიმე ციხე, სამაგიეროდ, მეორე ნაწილმა ბაგრატ IV-ს უერთგულა. განსაკუთრებით ისახელეს თავი საბა, მტბევარმა ეპისკოპოსმა (ტბეთი შავშეთშია), არტანუჯის მფლობელმა იოვანე ერისთავმა და სხვ. ამასთანავე, ბიზანტიის ხელისუფლებამ ბაგრატ IV-ს დაუპირისპირა, ჯერ კიდევ ბაგრატ III-ის მიერ შეპყრობილი კლარჯი ხელმწიფის, გურგენ ბაგრატიონის შვილი – *დემეტრე*. დემეტრე კლარჯის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოყვანით ბიზანტია ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ის საქართველოს დასაპყრობად კი არ მოდიოდა, არამედ ბაგრატ III-ის მიერ უკანონოდ დაჩაგრული უფლისწულის უფლებათა დასაცავად იბრძოდა. ბრძოლები დიდხანს გაგრძელდა.

ზავის ჩამოსაგდებად ბაგრატ IV-მ 1031 წელს კონსტანტინოპოლში დიდი ელჩობა გაგზავნა, რომელსაც მისი დედა, მარიამ დედოფალი ედგა სათავეში. ამავე ელჩობაში მონაწილეობდა მელქისედეკ ქართლის კათალიკოსი. ელჩობის მიზანი იყო ბიზანტიასა და საქართველოს შორის მშვიდობიანი ურთიერთობის დამყარება, ბაგრატისათვის კურაპალატობის პატივის მოპოვება და შესაფერისი სადედოფლოს შერჩევა. თვით ბიზანტიაც აღმოსავლეთში მტრების მოწოლის გამო საქართველოსთან ურთიერთობის გაუმჯობესებას ესწრაფოდა. მოლაპარაკება

შიომღვიმე. სამონასტრო კომპლექსი; VI, XII, XVII სს.



ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმატებით დამთავრდა. იმპერატორმა ბაგრატ IV-ს მიათხოვა თავისი ძმიშვილი ელენე და მიანიჭა კურაპალატის ტიტული. მართალია, ელენე დედოფალი მალე გარდაიცვალა და ნათესაური კავშირი ბიზანტიისა და საქართველოს სამეფო სახლებს შორის გაწყდა. თუმცა არსებული შეთანხმება ისედაც დაირღვეოდა, რადგან არც ერთი მხარის საბოლოო ინტერესებს არ პასუხობდა. მიუხედავად დაზავებისა, ბიზანტია აგრძელებდა საქართველოს მეფის მონინააღმდეგე დიდაზნაურების თავის მხარეზე გადაბირებას.

ფეოდალებმა ბაგრატ IV-ს დაუპირისპირეს მისი ნახევარძმა – დემეტრე უფლისწული, რომელიც ანაკოფიაში (აფხაზეთში) ცხოვრობდა. დემეტრეს გამეფების ცდა მარცხით დამთავრდა. 1032 წელს დემეტრემ ანაკოფია ბიზანტიელებს გადასცა, ხოლო თვითონ კონსტანტინოპოლში გაიქცა.

XI ს-ის 30-იან წლებში დაიწყო ბრძოლა *თბილისის საამიროს* შემოერთებისათვის. თბილისის საამიროსადმი დიდ ინტერესს იჩენდა აგრეთვე ქართლის ერთ-ერთი უძლიერესი ფეოდალი ლიპარიტ ბაღვაში. თბილისის საამირო უშუალოდ ეკვროდა კლდეკარის საერისთავოს და ძლიერ ერისთავს სურდა თავისი სამფლობელოების გაზრდა თბილისის საამიროს ხარჯზე. 1032 წელს მან და ქართლის ერისთავმა ივანე აბაზას ძემ დაატყვევეს თბილისის ამირა ჯაფარი, მაგრამ ლიპარიტის მოქიშპე სხვა დიდაზნაურების რჩევით ბაგრატ IV-მ გაათავისუფლა ამირა და ყმადნაფიცობის პირობით კვლავ თბილისში დააბრუნა. ხუთი წლის შემდეგ, 1037 წელს, ლიპარიტის რჩევით, ბაგრატ IV-მ კახთა მეფის ჯვართან ერთად, ალყა შემოარტყა თბილისს. თბილისის ალყა ორ წელიწადს გაგრძელდა. ქალაქში საშინელი შიმშილი მძვინვარებდა. ამირა ჯაფარი უკვე გასაქცევად ემზადებოდა, მაგრამ ასეთი ხანგრძლივი ალყით ქართველთა ლაშქარიც დაიღალა. ამავე დროს სომხეთსა და აზერბაიჯანში თურქ-სელჯუკთა ლაშქარი შემოიჭრა. ამის გამო, ბაგრატ IV-მ ლიპარიტის უკითხავად თბილისს ალყა მოხსნა. ამან მეფესა და ლიპარიტს შორის აშკარა კონფლიქტი წარმოქმნა, რაც მალე დაუნდობელ ბრძოლაში გადაიზარდა. ეს ბრძოლა დაახლოებით ოც წელინადს გაგრძელდა.

1045 წელს ბიზანტიელთა აგრესიით შეწუხებულმა ძველი სომხური ქალაქის ანისის თავკაცებმა ბაგრატს გადასცეს თავიანთი ქალაქი. ამავე დროს, თბილისის ამირა გარდაიცვალა და ქალაქის გამგებლების – „თბილელი ბერების" წინადადებით ბაგრატ IV-მ თბილისიც ჩაიბარა, მაგრამ ბიზანტიის ჯარითა და ფულით ზურგგამაგრებულმა ლიპარიტმა საქართველოს მეფეს ანისიც დააკარგვინა და თბილისიც. ლიპარიტი თითქმის მთელ აღმოსავლეთ საქართველოში გაბატონდა.

ბაგრატი ხედავდა, რომ მასთან ბრძოლით ვერაფერს გააწყობდა და ისევ ბიზანტიის იმპერატორს სთხოვა კლდეკარის ერისთავთან შერიგების შუამდგომლობა. ბაგრატმა მეფედ თავისი მცირეწლოვანი შვილი გიორგი აკურთხა

საქართველოს გაერთიანება X-XI სს. მიჯნაზე (ბაგრატ III-ის დროს).

და ქუთაისს დატოვა, თვითონ კი კონსტანტინოპოლში გაემგზავრა. იქ იგი ფაქტიურად საპატიო ტყვეში ჰყავდათ 3 წლის განმავლობაში. ამ ხნის მანძილზე ქვეყნის ფაქტიური გამგებელი ლიპარიტ ბაღვაში იყო. მან უფლისწული გიორგი იმერეთიდან ქართლში გადმოიყვანა, ხელმეორედ აკურთხა მეფედ რუისში და თავი მის აღმზრდელად გამოაცხადა. ბოლოს, იმპერატორის შუამდგომლობით, მოხდა შეთანხმება ბაგრატსა და ლიპარიტს შორის იმ პირობით, რომ ბაგრატი იქნებოდა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მეფე, ხოლო ლიპარიტი ერთი ნაწილის - მესხეთის მთავარი, ამასთან მას მეფედ ბაგრატი უნდა ეცნო. ეს ნიშნავდა ერთიანი ქართული სახელმწიფოს შიგნით ფაქტიურად დამოუკიდებელი სამთავროს არსებობას. მაგრამ ლიპარიტის ბატონობა მალე დაემხო. მისი თვითნებობით თავმობეზრებულმა მესხმა აზნაურებმა, სულა კალმახელის მეთაურობით, 1058 წელს იგი შეიპყრეს და მეფეს მიჰგვარეს. ბაგრტმა ლიპარიტი იძულებით ბერად აღკვეცა და საქართველოდან გააძევა. ეს იყო როგორც საქართველოს მეფის ხელისუფლების დიდი გამარჯვება, ისე ბიზანტიის პოლიტიკური მარცხიც. ამის შემდეგ საქართველოს გაერთიანების საქმე სწრაფად უნდა წასულიყო წინ. ბაგრატმა კახეთიც დაიკავა ჯარით, მაგრამ ქვეყანას ახლა ახალი განსაცდელი დაემუქრა. დაიწყო თურქ-სელჯუკთა ლაშქრობანი საქართველოში.

4. თურქ-სელჯუკთა შემოსევები

XI ს-ის 30-იანი წწ.-დან მახლობელი აღმოსავლეთის კულტურულ ქვეყნებს შუა აზიიდან შემოესივნენ თურქი ტომები, რომელთაც სათავეში სელჯუკთა საგვარეულო ედგა, ამიტომ ამ თურქებს თურქ-სელჯუკებს უწოდებდნენ. თურქ-სელჯუკები განვითარების დაბალ საფეხურზე იმყოფებოდნენ. X ს-ში მათ ადრეკლასობრივი წყობა ჰქონდათ. ამავე დროს მიიღეს მათ ახალი რელიგია – ისლამი, რომელმაც სელჯუკებში წარმართული რწმენა შეცვალა. სელჯუკებმა 50-იანი წლებისათვის დაიპყრეს ირანი, შუამდინარეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, აიღეს სახალიფოს დედაქალაქი ბაღდადი. ბიზანტიის იმპერია შეძლებისდაგვარად იგერიებდა ამიერკავკასიის მისადგომებზე თურქ-სელჯუკებს (მას ამ ბრძოლაში ლიპარიტ ბაღვაში ეხმარებოდა), მაგრამ 1071 წელს მანასკერტთან ბრძოლაში სელჯუკებმა გაანადგურეს ბიზანტიის არმია. ამ ბრძოლაში ტყვედ ჩავარდა ბიზანტიის იმპერატორი რომანოზ დიოგენი. 1074 წლის საზავო ხელშეკრულებით ბიზანტიის იმპერიამ თავისი აღმოსავლეთის პროვინციების დიდი ნაწილი სელჯუკებს დაუთმო. ამის შემდეგ, ქრისტიანული საქართველო მარტო აღმოჩნდა ძლიერი, მრავალრიცხოვანი, კარგად ორგანი-

გურჯაანი. ღმრთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარი „ყოველადწმინდა“. ერთადერთი ორგუმბათიანი ტაძარი საქართველოში; VIII ს. მინურული.





ზებული და შეიარაღებული მტრის წინააღმდეგ.

პირველად საქართველოს სელჯუკები 1064 წელს შემოესივნენ. საქართველოში ლაშქრობას სულთანი ალფ-არსლანი (1063-1072) უდგა სათავეში. მტერი ახალქალაქს მიადგა. სამ დღეს იცავდნენ მესხნი ახალქალაქს. შემდეგ, რადგან ქალაქის მტკიცე ზღუდის მშენებლობა მტრის შემოსევის დროისათვის დამთავრებული არ იყო და ამის გამო ქალაქში დარჩენა შეუძლებელი შეიქმნა, ახალქალაქის დამცველებმა ქალაქის კარები გააღეს და პირდაპირ ეკვეთნენ მტერს. ხელჩართულ ბრძოლაში ქართველებმა მტრის დიდი ნაწილი გაჟლიტეს, მაგრამ სულთანი თვითონ ჩაუდგა სათავეში ბრძოლას და იერიში მოიგერია. სელჯუკები ქალაქში შევიდნენ. უთანასწორო ბრძოლა მტრის გამარჯვებით დამთავრდა. მიუხედავად მიღწეული წარმატებისა სულთანმა არ განაგრძო საქართველოს დასაპყრობად ლაშქრობა. როგორც ჩანს, ახალქალაქელთა მიერ გაწეულმა დიდმა წინააღმდეგობამ დააფიქრა ის. ალფ-არსლანმა მოციქული გაუგზავნა ბაგრატს და დამოყვრება შესთავაზა – მისი დისწული ითხოვა ცოლად. 1066 წელს ბაგრატმა თავისი დისწული სულთანს მიგვარა ცოლად. ამაზე ცოტა ადრე თავისი ასული მარიამი მან ბიზანტის იმპერატორზე გაათხოვა. ბაგრატ IV წინდახედულად მოქმედებდა და ორივე მხრივ იმტკიცებდა მდგომარეობას.

მეორედ სელჯუკები საქართველოში 1068 წელს შემოიჭრნენ. ამ დროს ბაგრატ IV კახეთის შემოერთებისთვის იბრძოდა. მას აცნობეს ალფ-არსლანის ჰერეთში შემოსვლა და ბაგრატი იძულებული გახდა ქართლში დაბრუნებულიყო. ბაგრატის ყველა მტერი სულთანს ეახლა (აღსართან კახთა მეფე, თბილისის ამირა და სომხეთის მეფე კვირიკე). აღმოსავლეთ საქართველოს აოხრების შემდეგ მტერი დასავლეთ საქართველოში გადავიდა. ზემო იმერეთში, *სვერის ციხეში* თავმოყრილი იყო ქართველთა უმთავრესი ძალები. დიდი მსხვერპლის ფასად თურქებმა სვერის ციხე აიღეს. 6 კვირის განმავლობაში აოხრებდნენ სელჯუკები საქართველოს. ამასობაში საშინელი ზამთარი დადგა და თურქებს გაუჭირდათ. ამით ისარგებლა ბაგრატმა და თურქებს ზავი შესთავაზა. ალფ-არსლანმა ზავის ფასად ხარკი ითხოვა. მართალია, ბაგრატი ამაზე არ დათანხმდა, მაგრამ ზამთრის სიცივის გამო ალფ-არსლანი იძულებული იყო საქართველო დაეტოვებინა. სულთანს არ შესწევდა ძალა საქართველოში ახალი გამოლაშქრებისათვის. ის მოციქულებს და ძღვენს გზავნიდა საქართველოს მეფესთან და ხარკს ითხოვდა. მაგრამ ბაგრატიც დიპლომატიურად მოქმედებდა - ისიც ძღვენსა და მოციქულებს უგზავნიდა სულთანს, მაგრამ ხარკს არ კისრულობდა. 1072 წელს გარდაიცვალა ბაგრატ IV. იმავე წელს შეთქმულებმა მოკლეს ალფ-არსლანი.

ადიშის ოთხთავი. 897 წ.; წმ. ლუკა და წმ. იოვანე მახარებლების მინიატურა.

5. მეფე გიორგი II. „დიდი თურქობა“

მძიმე პირობებში მოუხდა მეფობა გიორგი II-ს (1072-1089). მისი მეფობის დასაწყისში ადგილი ჰქონდა დიდგვაროვანთა გამოსვლას მეფის წინააღმდეგ: *ივანე ბაღვაშმა* კახელები მიიმხრო და ქსნის პირი დაიკავა, *ვარდან სვანთა* ერისთავმა ეგრისი დაარბია, ხოლო *ნიანია ქუაბულის ძემ* ქუთაისი დაიკავა და სამეფო საჭურჭლე გაძარცვა. მეფემ დაამარცხა აჯანყებული ფეოდალები, მაგრამ არ დასჯა ისინი, პირიქით - დაასაჩუქრა. გიორგი II-ს ეგონა, რომ ამ გზით შემოირიგებდა დიდებულებს, მაგრამ იმედი არ გაუმართლდა. ივანე ლიპარიტის ძე ბაღვაშმა დაარღვია პირობა და ისევ განუდგა მეფეს. მალიქ-შაჰის შემოსევისას იგი სულთნის მხარეზე გადავიდა. სულთანმა ქართლი მოარბია და უკან გაბრუნდა. მან 48 ათასი მხედარი დაუტოვა განძის გამგებელს და ქართლის რბევა დაავალა. 1074 წელს გიორგი II-მ *ფარცხისთან ბრძოლაში* დაამარცხა განძის გამგებელი.

ამ გამარჯვებით გულგამაგრებულმა გიორგიმ გადაწყვიტა ესარგებლა ბიზანტიის იმპერიის დასუსტებით და დაებრუნებინა იმპერიის მიერ სამხრეთ და დასავლეთ საქართველოს მიტაცებული მიწა-წყალი. გიორგი II-მ გაილაშქრა და წაართვა ბერძნებს ანაკოფია (აფხაზეთში) და შავშეთ-კლარჯეთ-არტაანის მრავალი ციხე. ამავე ხანებში შემოუერთა გიორგი II-მ საქართველოს კარის ციხე და ვანანდის მხარის სიმაგრეები.

მაგრამ გიორგი II-მ მიღწეული წარმატების დიდი ხნით შენარჩუნება ვერ მოახერხა. მალიქ-შაჰმა დიდი ლაშქარი გამოგზავნა საქართველოში. ისინი მოულოდნელად დაესხნენ თავს *ყველის ციხეში* (ჯავახეთში) მდგომ მეფეს და დაამარცხეს. თურქ-სელჯუკები მთელ საქართველოს მოედვნენ და მოაოხრეს. ეს იყო 1080 წელს. აქედან იწყება „დიდი თურქობა“. სელჯუკებმა ამ დროიდან წესად შემოიღეს ყოველწლიური შემოსევა საქართველოში. ზაფხულიდან ზამთრის დადგომამდე თარეშობდნენ, არბევდნენ, რის წაღებასაც ახერხებდნენ მიჰქონდათ და ისე მიდიოდნენ. მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებდა და ამძიმებდა ის, რომ სელჯუკები მოდიოდნენ თავიანთი ოჯახებითა და ჯოგებით, სახლდებოდნენ დაპყრობილ მიწა-წყალზე და სამეურნეოდ ვარგის მთელ ფართობს საძოვრებად აქცევდნენ. ნადგურდებოდა საუკუნოვანი ტრადიციების მქონე ინტენსიური სოფლის მეურნეობა. დამარცხებული ბინადარი მოსახლეობა მთებსა და ხეობებში იხიზნებოდა. საფრთხე ემუქრებოდა ქართველი ხალხის ეთნიკურ სახესაც.

ამრიგად, 1080 წლიდან დაიწყო ე. წ. *„დიდი თურქობა“*. სელჯუკთა წინააღმდეგ ბრძოლა შეუძლებელი შეიქნა და გიორგი II-მ თავი დამარცხებულად სცნო. 1083 წელს იგი ეახლა მალიქ-შაჰს, მორჩილება გამოუცხადა და ყოველწლიური ხარკის საფასურად ზავი და მშვიდობა ითხოვა. ის მოთხოვნა სულთ-

---

ჭყონდიდი. მღვდელმთავრის გულსაკიდი ჯვარი. X ს.


ΜΡ ΘΥ
ΔΗΜΗΤ ΡΙΟΣ
ΝΙΚΟ ΛΑΟΣ
ΟΧΥΡΟ ΣΤΟΜΟΣ



ნისა, რომლის შესრულება ბაგრატ IV-ს შეუძლებლად მიაჩნდა, გიორგისთვის სათხოვნელი შეიქნა. გიორგი II-ის აზრით, შექმნილ ვითარებაში ხარკი შვებას მოუტანდა ხალხს: შეწყდებოდა გამუდმებული თავდასხმები, ყოველწლიური და ამასთან ერთხელ და სამუდამოდ განსაზღვრული ხარკი რაღაც წესრიგს მაინც დაამყარებდა. მაგრამ, ამ ზავმა ქვეყანას მშვიდობა ვერ მოუტანა. საქართველოში ჩამოსახლებული თურქ-სელჯუკები განაგრძობდნენ ქვეყნის განადგურებას. ყოველწლიურად მომთაბარეთა ახალ-ახალი ურდოები შემოდიოდნენ საქართველოში. ასე რომ მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. ამას ზედ დაერთო სტიქიური უბედურება – მიწისძვრა, რომელიც თითქმის მთელი წელინადი გრძელდებოდა (1089 წელს) და მრავალი ადამიანი იმსხვერპლა. ქვეყნის სრული გადაშენების საფრთხის წინაშე იდგა.

„ქართლის ცხოვრებაში“ შესული XI ს-ის ანონიმური ისტორია („მატიანე ქართლისაჲ“) აგვიწერს იმ მძიმე ვითარებას, რომელიც შეიქმნა საქართველოში „დიდი თურქობის“ პერიოდში. მემატიანის გადმოცემით, თურქები, როგორც კალია („მკალი“) ისე მოეფინენ საქართველოს. თურქებით აივსო საქართველოს მხარეები: კლარჯეთი, შავშეთი, აჭარა, სამცხე, ქართლი, არგვეთი, სამოქალაქო (ქუთაისის რაიონი), ჭყონდიდი, გაჟლიტეს და დაატყვევეს მოსახლეობა, დაწვეს ქუთაისი, არტანუჯი და კლარჯეთის მონასტრები. 1080 წლის ივნისიდან ზამთრამდე მოჭამეს და მოაოხრეს მთელი ქვეყანა. ეს იყო პირველი დიდი თურქობა. ის ვინც თურქებს გადაურჩა, მას სიცივემ და შიმშილმა მოუღო ბოლო. ამის შემდეგ, თურქები ყოველ გაზაფხულზე ჩამოდიოდნენ. ამის გამო შენყდა თესვა და მკა, გაუდაბურდა ქვეყანა და ადამიანთა ნაცვლად მხეცნი და ნადირნი დაემკვიდრენ. თურქებმა ეკლესიები თავლებად აქციეს, არ შეიწყალეს მოხუცებულები და ბავშვები, შეურაცყვეს ქალწულნი, წყლის ნაცვლად სისხლის ნაკადულები დიოდა ქვეყანაში.

ასე ხატოვნად აგვიწერს თანადამსწრე ისტორიკოსი „დიდი თურქობის“ საშინელებას.

ასეთი ვითარების შედეგად პატრიოტულმა ძალებმა, საჭიროდ მიიჩნიეს ტახტზე აეყვანათ ახალგაზრდა მეფე, რომელიც, მათი აზრით, თავს გაართმევდა შექმნილ მძიმე ვითარებას. 1089 წელს გიორგი II გადადგა და გამეფდა მისი ძე, 16 წლის *დავით IV*, შემდეგში *აღმაშენებლად* წოდებული.

ტბეთი. კათედრალური ტაძრის ნანგრევები; 918 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. ქართული კულტურა IX–XI საუკუნეებში.

IX–XI საუკუნეებში საქართველოს ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო ქვეყნის გაერთიანების პროცესი, რაც თავის გავლენას ახდენდა კულტურაზე. ამ პერიოდში დასრულდა ქართველი ხალხის ეთნიკური კონსოლიდაცია. ქართველი ხალხი, რომელიც ჯერ კიდევ უძველეს, პირველ ქართულ სახელმწიფოებში წარმოიქმნა, ახლა უფრო ერთიანი და შეკავშირებული გახდა. ქართულმა ენამ გავრცელება ჰპოვა არა მარტო მთელ საქართველოში, არამედ ჩრდილო კავკასიაშიც (ჩერქეზეთსა და ალან-ოსებში), სადაც საქართველოდან შედიოდა ქრისტიანობა და რელიგიასთან ერთად, ქართული ენა და დამწერლობაც.

საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებას ქართული სამყაროს საეკლესიო კულტურული გაერთიანება უსწრებდა წინ.

ყოველივე ამან განაპირობა მშობლიური ენის დიდი მნიშვნელობის შეგნების წარმოქმნა. ამან ასახვა ჰპოვა ლიტერატურაშიც. X საუკუნეში დაიწერა იოვანე ზოსიმეს „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“, რომელშიც ავტორი ქართულ ენას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მსოფლიო ენათა შორის.

IX–X სს-ში შეიქმნა ქართული ჰაგიოგრაფიული მწერლობის (წმინდათა ცხოვრებები და მარტვილობები) შესანიშნავი ძეგლები: *ბასილი ზარზმელის* „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“, *გიორგი მერჩულის* „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“. აქ აღწერილია სამხრეთ საქართველოში (სამცხეში და კლარჯეთში) სამონასტრო მოძრაობა, მონასტრების დამაარსებელთა ცხოვრება და მოღვაწეობა. არაბთა წინააღმდეგ მებრძოლთა და წამებულთა შესახებ მოგვითხრობენ ჰაგიოგრაფიული თხზულებები: უცნობი ავტორის „კონსტანტი-კახის მარტვილობა“ (ასახავს 853 წელს ბუღა-თურქის ლაშქრობის დროს შეპყრობილი და წამებული ქართველი დიდებულის ამბავს), აგრეთვე, სტეფანე მტბევარის „მიქელ-გობრონის მარტვილობა“ (ასახავს 914 წელს აბულ-კასიმის ლაშქრობის დროს ყველის ციხის უფროსის შეპყრობასა და წამებას).

ვითარდებოდა ქართული *ჰიმნოგრაფია*. ეს არის სასულიერო პოეზია - ლექსად დაწერილი ჰიმნები, რომლებსაც ეკლესიებში გალობდნენ. იმდროინდელი ქართული ჰიმნოგრაფიის წარმომადგენლებია: *მიქაელ მოდრეკილი, იოვანე მინჩხი, იოვანე მტბევარი, იოვანე-ზოსიმე* და სხვები.

X ს-ის ჰიმნოგრაფმა მიქაელ მოდრეკილმა შეადგინა ჰიმნოგრაფიული კრებული *იადიგარი* (973-976), რომელშიც შეიტანა თავისი და სხვა ქართველი, აგრეთვე ბიზანტიელი ჰიმნოგრაფების თხზულებები. ამ ჰიმნებს საგანგებო სამუსიკო ნიშნები აქვთ, რომლებიც მიუთითებენ საგალობლის შესრულებისას ხმის აწევასა და დაწევაზე, შესრულების რიტმზე. მათ ნევმები ეწოდებათ.

ხანძთა. ტაძრის ნანგრევები; X ს. ბოლო.



ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ პოემიდან შეიქმნა ქართული ფილოსოფიური აზროვნების შესანიშნავი ნიმუში, ქართველი მწერლის მიერ დამუშავებული აღმოსავლური თქმულება ბუდას შესახებ (ბუდა იყო ძველი ინდოელების ღვთაება, რომელიც, თქმულების მიხედვით ჯერ ჩვეულებრივი ადამიანი იყო და შემდეგ გაღმერთდა) – „სიბრძნე ბალავარისა“, რომელიც XI ს-ს დასაწყისში გამოჩენილმა ქართველმა მწერალმა და მეცნიერმა *ეფთვიმე მთაწმინდელმა* ქართულიდან თარგმნა ბერძნულად, ხოლო ბერძნულიდან ითარგმნა ლათინურად და მთელს ევროპაში გავრცელდა.

IX–XI საუკუნეებში განსაკუთრებით დაწინაურდა ქართული საისტორიო მწერლობა. IX ს-ში რედაქცია გაუკეთდა და შეიცვსო საისტორიო თხზულება „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, სადაც გადმოცემულია საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან IX ს-მდე. ამ თხზულებას დართული აქვს წმ. ნინოს მიერ ქართლის გაქრისტიანების ისტორია.

XI ს-ში დაიწერა ისეთი შესანიშნავი საისტორიო თხზულებები, როგორიცაა ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრება“ (გადმოგვცემს საქართველოს ისტორიას უძველესი დროიდან V ს-მდე), ჯუანშერის „ვახტანგ გორგასლის ცხოვრება“ (V ს-ის მეორე ნახევრიდან – VIII ს-მდე), უცნობი ავტორის „მატიანე ქართლისა“ (VIII–XI. სს.), სუმბატ დავითისძის „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა “. ყველა ეს თხზულება შევიდა ერთ კრებულში, რომელსაც ეწოდა „ქართლის ცხოვრება“ (ანუ „საქართველოს ისტორია“). ამ თხზულებებში ქვეყნის პოლიტიკურ ისტორიასთან ერთად გადმოცემულია მათი ავტორების თვალსაზრისი ქართველთა წარმომავლობის, კავკასიის ხალხთა ნათესაობა-ურთიერთობის, ქართული დამწერლობის წარმოშობის, კულტურის ისტორიის სხვადასხვა საკითხებზე.

ამავე პერიოდში ცვლილება განიცადა ქართულმა დამწერლობამ. წიგნებზე გაზრდილმა მოთხოვნილებამ და სწრაფი წერის პრაქტიკამ გამოიწვია ქართული მრგვლოვანი ანბანის შეცვლა ნუსხურით (შესაძლოა ეს მოხდა რეფორმის გზითაც). საბოლოოდ იგი მკვიდრდება IX ს-დან. ეს არის გაკუთხოვნებული და რამდენადმე მოხაზულობაშეცვლილი ნაირსახეობა მრგვლოვანი (ანუ ასომთავრული) დამწერლობისა. ნუსხურის საფუძველზე შეიქმნა (შესაძლოა ისევ რეფორმის გზით) უფრო სწრაფი წერისთვის მოხერხებული მხედრული დამწერლობა. მისი ასოები ჩამოყალიბდა ნუსხური ასოების კუთხეთა მომრგვალებით და გადაბმული წერისთვის მოხერხებული ფორმებით.

ნუსხური და მრგლოვანი ტრადიციულად იხმარებოდა საეკლესიო წიგნებში. *მრგვლოვანს*, ნუსხურის შემოსვლის დროს იყენებდნენ სათაურებისათვის და წინადადების დასაწყისი ასოებისთვის (აქედანაა მისი მეორე სახელი – *ასომთავრული*). მრგვლოვან-ასომთავრულს და ნუსხურს *ხუცურიც* ეწოდებოდა,

კუმურდო. ღმრთაების ტაძარი. 964 წ.

ხოლო მესამე სახის ანბანს, რომელსაც საერო ლიტერატურაში და სამოქალაქო დოკუმენტების დასაწერად იყენებდნენ – *მხედრული* ეწოდა.

როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ არსებობდა განათლებისა და მწიგნობრობის ცენტრები ქართული ეკლესია-მონასტრების სახით. ეკლესია-მონასტრებთან არსებობდა სკოლები, სადაც მოზარდებს ასწავლიდნენ წერა-კითხვას, ისტორიას და მეცნიერების სხვადასხვა დარგებს. აქვე ხდებოდა წიგნების თარგმნა სირიულიდან, არაბულიდან, ბერძნულიდან. ითარგმნებოდა საღვთისმეტყველო, ფილოსოფიური, საბუნებისმეტყველო თხზულებანი. იწერებოდა ორიგინალური თხზულებებიც.

საქართველოში მწიგნობრის ასეთ კერებს წარმოადგენდნენ დავით-გარეჯის, შიომღვიმის, ოშკის, ხახულის, შატბერდის და სხვა მონასტრები.

უცხოეთის ქართულ სავანეებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო *ათონის მონასტერი* (მდებარეობს საბერძნეთში, ქალკედონის ნახევარკუნძულზე). ეს მონასტერი X ს-ის დასასრულს დააარსა იოვანე მთაწმინდელმა. მონასტრის დასაარსებლად დიდი თანხა გაიღო თორნიკე ერისთავმა (რომელმაც ეს თანხა მიიღო ბიზანტიის საიმპერატორო კარისგან იმ დახმარებისთვის, რომელიც ქართველებმა აღმოუჩინეს მას ბარდა სკლიაროსის აჯანყების ჩაქრობაში). ამ მონასტერში მოღვაწეობდა იოვანეს შვილი – ეფთვიმე, რომელმაც არაერთი მნიშვნელოვანი წიგნი თარგმნა ბერძნულიდან ქართულად, ასევე ქართულიდან ბერძნულად. აქ მოღვაწე გიორგი მთაწმინდელმა აღწერა იოვანესა და ეფთვიმეს ცხოვრება. თვით გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება კი აღწერა მისმა მოწაფემ – გიორგი ხუცესმონაზონმა. ამ თხზულებებში შემონახულია მნიშვნელოვანი ცნობები ათონის მონასტერში მიმდინარე საქმიანობაზე და საქართველოს ისტორიის სხვადასხვა საკითხებზე.

მეფე ბაგრატ IV-ის დროს, 1040-იან წლებში, შავშელმა მოღვაწემ *გიორგი-პროხორემ* იერუსლიმში დააარსა *წმ. ჯვრის ქართველთა მონასტერი*. გადმოცემით, იგი იმ ადგილას დგას, სადაც იზრდებოდა ხე, რომლისგანაც გვიან გამოთალეს ჯვარი მაცხოვრის ჯვარცმისათვის (ამ ხის ფესვები ტანის გადანაჭრით ამჟამადაც ტაძრის ტრაპეზის ქვის ქვემოთაა მოქცეული).

XI ს-ის ბოლოს (1083 წ.) ბულგარეთში (რომელიც მაშინ ბიზანტიის შემადგენლობაში შედიოდა) სოფ. *პეტრიწონთან* ბიზანტიის დიდმოხელემ, ქართველმა დიდებულმა *გრიგოლ ბაკურიანისძემ* დააარსა ქართული მონასტერი და შეუდგინა მას წესდება (ტიპიკონი). აქვე არსებობდა სემინარია ქართველი ახალგაზრდებისათვის.

ახალგაზრდებს სკოლებში, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ასწავლიდნენ ქრისტიანულ სარწმუნოების მოძღვრებას, მაგრამ, ამის გარდა, ასწავლიდნენ მათემატიკას, ისტორიას, მუსიკას (გალობას) და სხვა საგნებს. X ს-ის ხელ-

საქართველო XI ს-ში (ბაგრატ IV-ის დროს).


პირობითი აღნიშვნები
დედაქალაქები
ეკლესიები
ქალაქები
ციხეები
საქართველოს საზღვრები ბაგრატ IV დროს
თბილისის საამირო
თურქ-სელჩუკთა ლაშქრობები
1064 წ.
1068 წ.
1080 წ.
ნიკოფსია
ანაკოფია
ცხუმი
ბედია
ჭყონდიდი
ნიკორწმინდა
სავანე
ფოთი
ბაში
ციხისჯვარი
არყისციხე
ხუფათი
ტრაპიზონი
ნეფთი
ტბეთი
თმოგვი
არტანუჯი
კოლა
ფანასკერტი
ბანა
კალმახი
ოლთისი
ჭოროხი
კარნუქალაქი
ბასიანი
ვალაშკერტი
მანასკერტი
არჭეში
ხლათი
ვანი
ვანის ტბა
ვასპურაკანი
ვანანდი
ვანისი
შირაკი
გელაქუნის ტბა
დვინი
არარატი
ნახჭევანი
კაფანი
სევანის ტბა
დარიალი
ბოდვჯი
პანკისი
ალავერდი
ჯვარისციხე
ბოქორმა
თელავი
მაჭი
კატეხი
რუსთავი
ვეჯინი
ბირთვისი
გიში
ხორნაბუჯი
ხუნანი
შამქორი
განძა
ბარდავი
მტკვარი
შარვანი
დმანისი
ლოქი
გაგი
ლორე
სამშვილდე
ამძა
ტაშირ-ძორაგეტის სამეფო
ქართლის სამეფო
კახეთ-ჰერეთის სამეფო
ქართველები
ხუნძეთი
ლეკიანეთი
ალბანეთი
ჰერეთი
ხაზარეთი
ოვსეთი
ალანეთი
ჭანეთი
აფხაზეთი
სვანეთი
არგვეთი
ქართველი ერის ისტორია



ნაწერი, ე. წ. „შატბერდის კრებული“ (გადაწერილი კლარჯეთში, შატბერდის მონასტერში) უნდა იყოს მოსწავლეთა სახელმძღვანელო წიგნი. აქ თავმოყრილია ის ძირითადი ლიტერატურა, რაც იმდროინდელ განათლებულ კაცს უნდა სცოდნოდა: საღვთისმეტყველო, საბუნებისმეტყველო, ფილოსოფიური. აქვე შეტანილია მსოფლიო ისტორია, აგრეთვე – საქართველოს ისტორია („მოქცევაჲ ქართლისაჲ“).

IX–XI საუკუნეები ქართული ხელოვნების უდიდესი აღმავლობის ხანაა ყველა დარგში. განსაკუთრებით დაწინაურდა ხუროთმოძღვრება, კედლის მხატვრობა, ოქრომჭედლობა, წიგნების შემკულობა და სხვ.

X ს-ის ბოლოს და XI ს-ის პირველ მესამედშია აგებული საქართველოს უდიდესი კათედრალები (ე.ი. საეპისკოპოსო საყდრები): *ბაგრატის ტაძარი* (ქუთაისში), *სვეტიცხოველი* (მცხეთაში), *ალავერდი* (კახეთში). სამივე ეს ძეგლი თავისი დახვეწილი პროპორციებით და მდიდრული, მრავალფეროვანი ჩუქურთმებით ხუროთმოძღვრული ხელოვნების შედევრებია. ისინი გაერთიანებული საქართველოს ძლიერების სიმბოლური გამოხატულებაა.

XI ს-შია, აგრეთვე, აგებული *სამთავროს* (მცხეთაში), *სამთავისის* (კასპის რ-ნი), *მანგლისის* კათედრალები, *ნიკორწმინდის* დიდებული მონასტერი (რაჭაში) და სხვ.

ამ დროს შეიქმნა აგრეთვე მონუმენტური მხატვრობისა და ოქრომჭდლობის ბრწყინვალე ნიმუშები, ქვის კანკელები, ოქრო-ვერცხლისგან ნაჭედი საეკლესიო ნივთები (ხატების ჩარჩოები, ჯვრები, თასები და სხვ.).

შემოგვრჩა, აგრეთვე, მინიატურები ხელნაწერ წიგნებში (მაგ., ადიშის ოთხთავი 897 წლისა, ჯრუჭის I ოთხთავი 936 წლისა და სხვ.).

ბედია. ოქროს ბარძიმი; დაახ. 999 წ.; ბარძიმს პირზე დაუყვება ასომთავრული წარწერა: „† წმიდაო ღმრთისმშობელო, მეოხ ეყავ წინაშე ძისა შენისა ბაგრატ აფხაზთა მეფესა და დედასა მათსა გურანდუხტ დედოფალსა – ამის ბარძიმისა შემწირველთა, ამის საკურთხევლისა შემამკობელთა და ამის წმიდისა საყდრისა აღმშ©ნებელთა, ამენ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილი IV

ქართული მონარქიის აღმავლობის პერიოდი

1. მეფე დავით აღმაშენებლის სახელმწიფო რეფორმები

ახლადგაერთიანებული საქართველო სელჯუკების შემოსევების შედეგად კატასტროფის პირამდე მივიდა. ქვეყანა თურქთა წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლის ორგანიზატორს საჭიროებდა. გიორგი II საამისო ღირსებებს მოკლებული ჩანდა. 1089 წელს საქართველოს მეფის კარზე პოლიტიკური გადატრიალება მოხდა. ქვეყნის მომავლით დაინტერესებულმა დიდაზნაურთა წრემ აიძულა გიორგი II გადამდგარიყო და მეფობა თავისი 16 წლის ვაჟის, დავითისათვის დაეთმო. დავით IV-მ შეძლო ქვეყანა ამ მძიმე მდგომარეობიდან გამოეყვანა და მთელ წინა აზიაში უძლიერეს სახელმწიფოდ ექცია. მადლიერმა შთამომავლობამ მას აღმაშენებელი უწოდა.

დავითმა თავის გარშემო შემოიკრიბა ერთგული, საქვეყნო საქმისათვის თავდადებული მოღვაწენი, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი აღმზრდელი მწიგნობართუხუცესი *გიორგი ჭყონდიდელი* და ბერი *არსენი*, სამეფო კარის დიდად გავლენიანი პირი, რომელსაც მეფე შიომღვიმის მონასტრისადმი 1124 წელს დაწერილ ანდერძში თავის „სასოს“, ე. ი. იმედს უწოდებს. ასევე, დიდად გავლენიანი იქნებოდა იქვე დასახელებული მეფის მოძღვარი ბერი *იოვანე*. იგივე ბერი არსენია დავით აღმაშენებლის „შესხმის“ ანუ ქების ავტორი, რომელიც დართული აქვს რუის-ურბნისის 1105 წლის ძეგლისწერის ტექსტს.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი („ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი თხზულების, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“ ავტორი, რომლის სახელი უცნობია) ხატოვნად გვისურათებს იმ მძიმე ვითარებას, რომელშიც იყო საქართველო დავითის გამეფების დროს. მისი სიტყვებით „მოოხრებულ იყო ქართლი“ და დაცლილი იყო მოსახლეობისგან, მხოლოდ ციხეებში თუ იპოვებოდა ვინმე. მემატიანე ასახელებს დიდი ფეოდალებს, ლიპარიტ ბაღვაშს, რომელსაც ეპყრა

კვეტერა. კარის ეკლესია ციხის ტერიტორიაზე. X ს.





ეროვნული ბიბლიოთეკა

თრიალეთი და იქ მდებარე კლდეკარის ციხე, აგრეთვე ნიანია კახაბერისძეს (რაჭის ფეოდალს) და სხვა აზნაურებს, რომლებიც მოჩვენებით ერთგულნი იყვნენ მეფისა. დავითმა თანდათანობით შემოკრიბა მოსახლეობა და დაასახლა სოფლები. ისტორიკოსის თქმით, მეფის ხელისუფლება ამ დროს აღარ სცილდებოდა ლიხის მთას, ე.ი. ვრცელდებოდა მხოლოდ დასავლეთ საქართველოში.

ქვეყნის წინაშე გადაუდებელ ამოცანად იდგა უძლიერეს ფეოდალთა თვითნებობის დათრგუნვა და თურქი დამპყრობლების განდევნა. მეფე პირველ რიგში *ლაშქრის ორგანიზაციას* შეუდგა. მრავალრიცხოვან დამარცხებათა შედეგად ლაშქარი დეზორგანიზებული და მორალურად გატეხილი იყო. დავითმა წვრილი და საშუალო აზნაურებისაგან ჩამოაყალიბა მცირერიცხოვანი, მაგრამ კარგად გაწვრთნილი სამხედრო რაზმები. ამ ერთგულთა რაზმებით ის თავს ესხმოდა ქართლში ჩამოსახლებულ თურქებს, ერეკებოდა მათ და გაქცეულ და აყრილ მოსახლეობას დაბრუნებისა და მეურნეების აღდგენის საშუალებას აძლევდა.

მთელი ქართული ლაშქარი დავითმა სამ ნაწილად გაყო: ერთი იყო მეფის პირადი 5000 კაციანი გვარდია – „მონა-სპა“, რომელიც მეფეს დაიცავდა, მუდამ მასთან იქნებოდა და უზრუნველყოფდა გადაუდებელი სამხედრო ღონისძიებების ოპერატიულად განხორციელებას. მეორე ნაწილს მეციხოვნენი შეადგენდნენ, რომელთა მოვალეობას ციხე-ქალაქებში დგომა და მათი გამაგრება შეადგენდა. ხოლო მესამეს – 20 000-იანი მუდმივი ლაშქარი, რომელიც მუდამჟამ საომარ მზადყოფნაში უნდა ყოფილიყო. ჩატარებულ ღონისძიებათა შედეგად უზრუნველყოფილ იქნა ქვეყნის სამხედრო შესაძლებლობების მობილიზება და მთელი ფეოდალური ლაშქრის ფეხზე დაყენება.

სამხედრო რეფორმა დავითმა დაასრულა 1118 წელს, როდესაც ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოასახლა ყივჩაღთა 40 000 ოჯახი. გადმოსახლებულ ყივჩაღებს მისცეს მიწის ნაკვეთები და მიუჩინეს ცხენებისთვის საძოვრები, რის მაგივრადაც ყოველ ოჯახს ერთი შეიარაღებული მხედრის გამოყვანა დაევალა. შეიქმნა 40.000-იანი მთლიანად მეფეზე დამოკიდებული მუდმივი ცხენოსანი ლაშქარი, რაც მეფის ხელში დიდ ძალას წარმოადგენდა.

დავითის არჩევანი ყივჩაღებზე იმიტომ შეჩერდა, რომ მათ საქართველოში იცნობდნენ როგორც კარგ მეომრებს. ამავე დროს დავითს ცოლად ჰყავდა ყივჩაღთა მთავრის ათრაქა შარაღანის ძის ასული (როგორც ჩანს, ამ ქორწინებასაც პოლიტიკური მიზანი ჰქონდა), რაც ხელს უწყობდა სიძე-სიმამრს შორის შეთანხმებას. საქართველოში გადმოსახლება ყივჩაღებისთვისაც ხელსაყრელი უნდა ყოფილიყო. ისინი ამ დროს დიდად იყვნენ შევიწროებულნი კიევის სამთავროს მიერ. 40 ათასი ყივჩაღის გარდა დავითს 20 ათასი ქართველი მუდმივი მოლაშქრეც ჰყავდა. ამასთან დავითის ჯარში საჭიროების შემთხვევაში

ბესლეთი. სოხუმის მიდამოები. ხიდი, XI ს.; ასომთავრული წარწერა ხიდზე: „ქრისტე, მეუფეო ყოველთა, ადიდე ორთავე შინა სუფევათა უძლეველი [ბაგრატ, აფხაზთა და ქართველთა მეფე და კურაპალატი]“(ტექსტის ნაკლული დასასრულის აღდგენა სავარაუდოა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაქირავებული ოსი, ლეკი, ქურთი და სხვა მოლაშქრეებიც იყვნენ.

სამხედრო რეფორმის გატარების შემდეგ საქართველოს ლაშქარი შედგებოდა მეფის პირადი 5000 კაციანი გვარდიისაგან („შონა-სპა“), 60-ათასიანი მუდმივი ჯარის, ფეოდალური ლაშქრისა და, საჭიროების შემთხვევაში, დაქირავებული „როქის სპისაგან“.

თურქთა წინააღმდეგ შეტევაზე გადასვლისათვის აუცილებელი იყო ქვეყნის შიგნით მდგომარეობის განმტკიცება და დიდგვარიანი აზნაურების ურჩობის ალაგმვა. ასეთ ურჩ ფეოდალთაგან ყველაზე ძლიერი კლდეკარის ერისთავი, ლიპარიტ ბაღვაში იყო (ბაგრატ IV-ის დროინდელი ლიპარიტის შვილიშვილი). 1093 წელს დავითმა შეიპყრო ლიპარიტი, მაგრამ მან მოინანია ცოდვები და მეფემ იგი გაათავისუფლა. 1095 წელს დავითმა კვლავ შეიპყრო ლიპარიტი და ორი წლის პატიმრობის შემდეგ ბიზანტიაში გააძევა, ხოლო მისი სამფლობელო სახელმწიფო საკუთრებად აქცია. ასევე დაუნდობლად გაუსწორდა ის მეამბოხე კახეთის დიდგვარიან ფეოდალს - ძაგანს. ლიპარიტის და ძაგანის ბედი სამაგალითო იყო დიდგვარიანებისთვის. მათთვის აშკარა გახდა, რომ დავითი არ იმეორებდა თავისი მამის მეთოდებს და მეამბოხე ფეოდალებს კი არ ასაჩუქრებდა, პირიქით, სათანადოდ უსწორდებოდა.

ხელისუფლების ცენტრალიზაციისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ეკლესიის პოზიციას. X–XI სს-ში ქართულ ეკლესიაში გაძლიერდა ფეოდალური არისტოკრატიის გავლენა, რასაც განსაკუთრებით შეუწყო ხელი ამ დროისათვის აქ საბოლოოდ ფესვგამდგარმა მემკვიდრეობის წესმა, რომლის ძალითაც უმაღლეს საეკლესიო თანამდებობათა დაკავება მხოლოდ მაღალი წოდების წარმომადგენლებს შეეძლოთ. მეფის მოწინააღმდეგეებს ეკლესიაში საკმაოდ მაღალი საეკლესიო თანამდებობები ეკავათ. მათ გადასაყენებლად საჭირო გახდა სპეციალური საეკლესიო კრების მოწვევა.

1105 წელს დავით აღმაშენებელმა საგანგებოდ ჩატარებული დიდი სამზადისის შემდეგ მოიწვია საეკლესიო კრება. კრება შიდა ქართლის საეპისკოპოსოების – რუისისა და ურბნისის მიდამოებში გაიმართა. *რუის-ურბნისის* კრების დადგენილებით, ეკლესიიდან განდევნილ იქნენ მეფის მოწინააღმდეგე მღვდელთმსახურები და მათ მაგივრად სამეფო ხელისუფლების მომხრე პირები დაინიშნენ. რუის-ურბნისის საეკლესიო კრებით, დავით აღმაშენებლის პოლიტიკური მიზანი მიღწეულ იქნა: მან დიდგვარიანთა რეაქციულ ოპოზიციას ჩამოაშორა დიდი ზნეობრივი და ნივთიერი ძალის მქონე მოკავშირე. მას შემდეგ საქართველოს ეკლესია მთელი თავისი შეძლებით მხარში ამოუდგა მეფეს გარეშე თუ შინაურ მტრებთან ბრძოლაში. რუის-ურბნისის საეკლესიო კრების დადგენილებები ჩამოყალიბებულია კრების მიერ მიღებულ დოკუმენტში - „ძეგლისწერაჲ რუის-ურბნისის კრებისაჲ“.

ოპიზა. რელიეფი მაცხოვრის, აშოტის და დავითის გამოსახულებით; 923-937 წწ.





მართალია, დავით აღმაშენებელმა მიაღწია იმას, რომ ეკლესია მეფეს დამორჩილდა, მაგრამ ამ მიღწევას განმტკიცება ესაჭიროებოდა. სწორედ ამას ისახავდა მიზნად *მწიგნობართუხუცესისა* და *ჭყონდიდელის თანამდებობათა გაერთიანება*. მწიგნობართუხუცესი სამეფოს უმაღლესი მოხელე და მეფის შემდეგ პირველი პირი იყო სახელმწიფოში, ხოლო ეკლესიაში კათალიკოსის შემდეგ ყველაზე დიდი გავლენით ჭყონდიდელი (ჭყონდიდის ეპისკოპოსი) სარგებლობდა. ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის მეშვეობით მეფე უშუალოდ ერეოდა ეკლესიის საქმეებში და კარნახობდა მას თავის ნებას.

მმართველობის ცენტრალიზაციის მიზნით დავით აღმაშენებელმა ძირითადი უწყებები (საშინაო, სამხედრო და ფინანსათა) გამოყო სხვა დარგებისაგან და ისინი უშუალოდ მეფის ვაზირს, მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს დაუქვემდებარა. მათი მეთაურები კი (მანდარტუხუცესი, ამირსპასალარი, მეჭურჭლეთუხუცესი) წინ წამოსწია სხვა „უხუცესებთან“ შედარებით (საქართველოს სამეფო კარზე იყო, აგრეთვე, მსახურთუხუცესის, მონადირეთუხუცესის, მელვინეთუხუცესის და სხვა თანამდებობები).

ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესს დაუქვემდებარა მეფემ აგრეთვე უმაღლესი სასამართლო დაწესებულება – „სააჯო კარი“, რომელსაც უნდა გაერჩია იმ პირთა „აჯა“ (მოხსენება, თხოვნა, საჩივარი), რომელთაც დაბალ სასამართლო ორგანოებში სამართალი ვერ ეპოვათ. მეფე პირადად ადევნებდა თვალ-ყურს სააჯო კარის საქმიანობას და ეს უმაღლესი სასამართლო დაწესებულება მისი ხელისუფლების განმტკიცებას ემსახურებოდა.

დავითმა შექმნა მტკიცე საპოლიციო აპარატი - „მსტოვართა“ ინსტიტუტი. დავითის ისტორიკოსი მოგვითხრობს, თუ როგორ იყო მეფე ყოველივე იმის კურსში, რაც მის ქვეყანაში ხდებოდა: ლაშქარში, მონასტრებში თუ დიდ ფეოდალთა სახლებში. ასე კარგად აწყობილი სამეთვალყურეო აპარატი საგრძნობლად ზღუდავდა მეფისა და სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ შეთქმულებათა შესაძლებლობას. მეფე დროზე ახერხებდა მის საწინააღმდეგო ღონისძიებათა ლიკვიდაციას. სამეთვალყურეო აპარატი ქვეყნის გარეთაც მოქმედებდა და ხელს უწყობდა დავითის ინფორმირებას მისი მეზობლებისა და მტრების საქმიანობის და მდგომარეობის შესახებ. ეს სამეთვალყურეო აპარატი შინაგან საქმეთა უწყებაში შედიოდა, როემლსაც სათავეში მანდარტუხუცესი ედგა.

დავით აღმაშენებლის რეფორმები ფეოდალური სახელმწიფოს გაძლიერებას, მეფის ერთპიროვნული ხელისუფლების განმტკიცებას, გარეშე მტრებისაგან ქვეყნის გაწმენდას და შიგნით კლასობრივი წინააღმდეგობის დათრგუნვას ისახავდა მიზნად.

ოთხთა ეკლესია; X ს-ის 60-70-იანი წლები.

2. თურქ-სელჯუკთა განდევნა საქართველოდან

XI ს-ის 90-იანი წლების დასაწყისისათვის მახლობელ აღმოსავლეთში საერთაშორისო მდგომარეობა საქართველოს სასარგებლოდ შეიცვალა. დაიწყო თურქ-სელჯუკთა სახელმწიფოს დასუსტებისა და დაშლის პროცესი. ამავე დროს, 1095 წელს, *კლერმონში* (საფრანგეთი) შეკრებილ საეკლესიო კრებაზე, რომის პაპმა - ურბან II-მ საზეიმოდ გამოაცხადა ჯვაროსნული ომის დაწყება თურქ-მაჰმადიანთა წინააღმდეგ. საქართველოს სამეფო კარი კარგად იყო ინფორმირებული საერთაშორისო მოვლენების შესახებ. მეფე დავითმა სათანადოდ შეაფასა შექმნილი ხელსაყრელი ვითარება და 1097 წელს სულთანს ხარაჯა შეუწყვიტა. ეს ფაქტიურად ომის გამოცხადებას ნიშნავდა, მაგრამ სულთანმა დავითის გამოწვევა უპასუხოდ დატოვა. ამრიგად, ქვეყანა განთავისუფლდა იმ მძიმე და სამარცხვინო ხარკისაგან, რომელიც 80-იან წლებში ქვეყნისათვის ხსნად მიაჩნდა დავითის მამას – გიორგი II-ს.

დავით აღმაშენებლის მიერ გატარებულ სამხედრო ღონისძიებათა შედეგად თურქ-სელჯუკებს შიდა ქართლში დაზამთრების საშუალება მოესპოთ. ამის შემდეგ დავითი იწყებს ბრძოლას სამეფოს ფარგლებს გარეთ დარჩენილი ქართული მიწა-წყლის შემოსაერთებლად. ასეთი მიწა-წყალი იყო ქვემო ქართლი თბილისითურთ, სამხრეთ-დასავლეთი საქართველო და კახეთ-ჰერეთი.

დავითმა *კახეთ-ჰერეთით* დაიწყო. კახეთის მეფეს, კვირიკეს მან 1101 წელს ზედაზენის ციხე წაართვა. ერთი წლის შემდეგ კვირიკე გარდაიცვალა და კახეთ-ჰერეთის ტახტი მისმა ძმისწულმა, აღსართანმა დაიკავა. აღსართანის მეფობით უკმაყოფილო ჰერმა დიდებულებმა შეიპყრეს იგი და დავით მეფეს მიჰგვარეს, რის შემდეგაც მას აღარ გასჭირვებია კახეთ-ჰერეთის დაკავება. მაგრამ კახეთ-ჰერეთისათვის ბრძოლა ამით არ დამთავრებულა. 1105 წელს თურქთა ურიცხვი ლაშქარი განძის ათაბაგის მეთაურობით საქართველოში შემოიჭრა. ბრძოლა მოხდა ერწუხში (დღევან. საინგილოში), რომელიც ქართველთა გამარჯვებით დასრულდა. როგორც ქართველი მემატიანეები მოგვითხრობენ, მეფე ზურგიდან კი არ ხელმძღვანელობდა ბრძოლას, არამედ წინა ხაზზე იმყოფებოდა და მუსრს ავლებდა მტერს. ბრძოლის შემდეგ დავითმა აბჯარი შეიხსნა და მიწაზე უამრავი სისხლი დაიღვარა. შეშფოთებულ ლაშქარს მეფე დაჭრილი ეგონა, მაგრამ სინამდვილეში ეს მტრის სისხლი იყო. თვით დავითს ომში სამი ცხენი მოუკლეს. ბრძოლა მან მეოთხე ცხენით დაამთავრა.

კახეთ-ჰერეთის შემოერთების შემდეგ ჯერი *ქვემო ქართლზე* მიდგა. თურქ-სელჯუკთა ურდოები წლიდან წლამდე, სისტემატურად ჩამოდიოდნენ ქვემო ქართლში. ნაწილი აქ სახლდებოდა, ხოლო ვინც უკან ბრუნდებოდა, თან უამრავი ალაფი მიჰქონდა და დიდძალი ტყვე მიჰყავდა. აქ იყო თავმოყრილი სელჯუკთა

ოშკი; 963-976 წწ.





მთავარი ძალა საქართველოში. დავითმა კარგად იცოდა, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი პუნქტი თბილისი იყო, მაგრამ ისიც კარგად უწყოდა, რომ თბილისი ყველაზე უკეთ იყო გამაგრებული და დაცული მტრის ჯარის მიერ. ამიტომ, მისი გეგმის თანახმად, ქართულმა ლაშქარმა სამხრეთიდან შემოუარა ქალაქს და მთელი რიგი მნიშვნელოვანი პუნქტების დაკავების შემდეგ თბილისი ფაქტიურად ალყაში მოაქცია.



ოშკი. იოვანე ნათლისმცემლის ტაძარი; 963-976 წწ. ვედრების (მაცხოვარი, ღმრთისმშობელი, იოვანე ნათლისმცემელი) რელიეფური გამოსახულება რვაწახნაგა სვეტზე (ამჟამად მოჭრილია და დაკარგული).

1110 წელს აღებულ იქნა თურქთა ერთ-ერთი მთავარი დასაყრდენი პუნქტი ქვემო ქართლში ციხე-ქალაქი სამშვილდე. მტრის სიფხიზლის მოსადუნებლად დავითი თვითონ ლიხთ-იმერეთში გადავიდა, ხოლო სამშვილდის აღება გიორგი მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს დაავალა. მოულოდნელი თავდასხმით საქართველოს ჯარმა მტერს ხელიდან გამოსტაცა ეს უაღრესად დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე სიმაგრე. სამშვილდის დაკარგვამ იმდენად შეაშინა თურქები, რომ მათ უბრძოლველად დატოვეს სამშვილდის მიმდებარე ციხეები და სოფლები და ღამით ჩუმად გაიპარნენ.

1115 წელს ქართველთა ლაშქარმა რუსთავი გაათავისუფლა.

ქვემო ქართლის პარალელურად დავითი საქართველოს უკიდურესი სამხრეთ-დასავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი კუთხეეებისთვისაც იბრძოდა. 1116 წლის თებერვალში თურქები ტაოდან იქნენ განდევნილნი. ეს პერიოდი სპეციალურად იქნა შერჩეული. მკაცრი ზამთრისა და დიდთოვლობის გამო თურქები არ ელოდნენ ქართველთა თავდასხმას. ამასთანავე, მეფემ იგივე ხერხი იხმარა, რაც სამშვილდის აღების დროს – დასავლეთ საქართველოში გადავიდა, რითაც მტრის ყურადღება მოადუნა, ხოლო შემდეგ მოულოდნელად დაესხა თავს ტაოში დაბანაკებულ თურქებს. სელჯუკებმა სასტიკი დამარცხება განიცადეს. მთელი მათი აკლა-დიდება ქართველებს ჩაუვარდა ხელში. ამ გამარჯვებით საქართველოს სამეფოს საზღვარმა ბასიანამდე (დღევ. თურქეთში) გადაიწია.

ერთი წლის შემდეგ, 1117 წელს, დავითმა აიღო *გიშის ციხე*. ამით დამ-

ოშკი; 963-976 წწ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავრდა ჰერეთის შემოერთება. 1118 წელს აღებულ იქნა ქვემო ქართლის უკიდურესი პუნქტი, საქართველოს და სომხეთის საზღვარზე მდებარე *ლორეს ციხე* და ციხე-ქალაქი *აგარანი*. ამით დასრულდა ქვემო ქართლის შემოერთება. ამ ბრძოლებით დავით IV აღმაშენებელმა საქართველოს მიწა-წყალი თითქმის მთლიანად გაანთავისუფლა თურქ-სელჯუკებისაგან. მტრის ხელში მხოლოდ თბილისი და დმანისი რჩებოდა.

3. დიდგორის ომი

დავითის უაღრესად ენერგიულმა და თანმიმდევრულმა მოქმედებამ თურქ-სელჯუკთა ბატონობა რეალური საფრთხის ქვეშ დააყენა არა მარტო საქართველოში, არამედ მთლიანად ამიეკავკასიაში. ამავე დროს, სულთანთან მოთხოვნით მივიდნენ თბილელ-დმანელ-განძელ ვაჭართა წარმომადგენლები. მათ ასევე რეალური საფრთხე ემუქრებოდა მოსწყვეტოდნენ მაჰმადიანურ სავაჭრო სამყაროს და დაეკარგათ საკუთარი მფლობელობა ამ ქალაქებში. სულთნის განკარგულებით შეიკრიბა მახლობელი აღმოსავლეთის მაჰმადიანური ქვეყნების ერთობლივი ლაშქარი. მას სათავეში ჩაუდგა ჯვაროსნებთან ბრძოლებში სახელმოხვეჭილი სარდალი, ბაღდადის გამგებელი ილ-ღაზი. 1121 წ. აგვისტოს პირველ რიცხვებში მტრის დაახლოებით 300 ათასიანი ლაშქარი მანგლისსა და დიდგორში დაბანაკდა. ქართველთა ჯარი მხოლოდ 56 ათასს აღწევდა. XII ს-ის სომეხი ისტორიკოსის მათე ურჰაეცის ცნობით, დავითმა ბრძოლის ველზე გამოიყვანა 40 ათასი ქართველი მოლაშქრე, 15 ათასი ყივჩაღი, დაქირავებულ ოსთა 500-კაციანი რაზმი და 100 ფრანგი (ჯვაროსანი). როგორც ვხედავთ, მთავარი იმედი დავით აღმაშენებელმა საკუთრივ ქართულ ლაშქარზე დაამყარა. ჯვაროსანთა მონაწილეობას ამ ბრძოლაში, გარდა წმინდა სამხედრო მნიშვნელობისა (ჯვაროსნებს სელჯუკებთან ბრძოლის დიდი გამოცდილება ჰქონდათ), გარკვეული სიმბოლური და პოლიტიკური მნიშვნელობაც ჰქონდა - მიანიშნებდა იმაზე, რომ ევროპა და საქართველო ერთად იბრძოდნენ აღმოსავლეთში ქრისიტანობის დასაცავად.

ქართველთა ლაშქარი *ნიჩბისის* ხევში დაბანაკდა. დავითმა უკან დასახევი გზა ჩახერგა. ლაშქრის ძირითად ნაწილს, რომელსაც ბრძოლა უნდა მიეღო, თვითონ მეფე სარდლობდა, ხოლო დანარჩენი ნაწილი დავითის ძის, დემეტრეს მეთაურობით დიდგორის მთის უკან იყო ჩასაფრებული და მოულოდნელად უნდა დასხმოდა მტერს. ბრძოლის დაწყების წინ დავითმა სიტყვით მიმართა ლაშქარს, მან სამშობლოს დასაცავად მოუწოდა და უკან დახევის შეუძლებლობაც შეახსენა.

ჭყონდიდი. ღმრთისმშობლის ხატი, ჩარჩოზე – მინანქრის მედალიონები. X-XI სს. მიჯნა (ორნამენტი ჩარჩოზე – XVII ს.).



ეროვნული
ბიბლიოთეკა



დავითმა ხერხს მიმართა – ბრძოლის დაწყებამდე ქართველთა ლაშქარს 200 ყივჩაღი მხედარი გამოეყო და მტრის ბანაკისაკენ გაემართა. სელჯუკებს ისინი ქართველთა მოღალატეები ეგონათ და დაუბრკოლებლად შეუშვეს თავიანთ განლაგებაში. აქ მათ ერთბაშად ბრძოლის ყიჟინა დასცეს და მტრის ხოცვა დაიწყეს. ამან თურქთა რიგებში არეულობა გამოიწვია. ამ დროს საქართველოს ლაშქარმა ორი მხრიდან შეუტია მტერს და სამსაათიანი სასხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ აიძულა გაქცევით ეშველა თავისათვის. ქართველებმა ფეხდაფეხ მისდიეს მტერს და საქართველოს საზღვრებიდან გარეკეს. დაჭრილი ილღაზი ძლივს გადაურჩა დატყვევებას. ქართულ ლაშქარს უდიდესი ნადავლი ჩაუვარდა ხელში, მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ქ. ჰილას (მდ. ევფრატზე) მბრძანებლის დურბეზ სადაყას ძის ძვირფასი ქვებით მოჭედილი და მისი ხელმწიფობისა და სიძლიერის სიმბოლური გამომხატველი ყელსაბამი, „ოქროს მანიაკი“, რომელიც დავითმა გამარჯვების ნიშნად გელათის მონატერს შესწირა.

ამრიგად, 1121 წლის 12 აგვისტოს, ქართულმა ლაშქარმა დავით აღმაშენებლის მეთაურობით, შედარებით მცირე მსხვერპლით, ერთ-ერთი ყველაზე უფრო ბრწყინვალე და ღირსშესანიშნავი გამარჯვება მოიპოვა. ამ ბრძოლაში მთელი ბრწყინვალებით წარმოჩინდა დავით აღმაშენებლის სამხედრო ტალანტი.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი დაწვრილებით აგვიწერს დიდგორის ბრძოლას. ის გადმოგვცემს, რომ თურქების სულთანმა მოუწოდა არაბეთის მეფეს დურბეზ სადაყის ძეს, მისცა თავისი ძე მელიქი და მთელი თავისი ლაშქარი, ხოლო სარდლად განაჩინა ილღაზ არდუხის-ძე, უბრძანა მთლიანად თურქმანობას დამასკოდან და ალეპოდან მოყოლებული, აგრეთვე განძის ათაბაგს და სომხეთის ამირებს საქართველოზე გალაშქრება. მტრის ლაშქარი ისეთი მრავალრიცხოვანი იყო, როგორც ზღვის ქვიშა. 1121 წლის 12 აგვისტოს ეს ურიცხვი ლაშქარი მოვიდა თრიალეთს და მანგლისის დიდგორსო. დავითმა, „უშიშმან და უძრავმან გულითა“ ბრძნულად წარმართა ომი და პირველივე ბრძოლაში გააქცია მტრის ბანაკი. მათი მძორებით (გვამებით) აღივსო ველნი, მთანი და ღელენიო.

დიდგორის ომში გამარჯვებას უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. ამ ბრძოლამ პრაქტიკულად გადაწყვიტა თბილისის ბედი, რომელიც ჯერ კიდევ მაჰმადიანთა მფლობელობაში იყო, და ფაქტიურად დაასრულა საქართველოს გაერთიანება. ამ გამარჯვებამ რეალური გახადა ამიერკავკასიის ქრისტიანი მოსახლეობის იმედი განთავისუფლებულიყვნენ თურქ-სელჯუკთა უღლისაგან. დიდგორის ბრძოლამ ცხადი გახადა, რომ ახლო აღმოსავლეთში არ მოიძებნებოდა ისეთი ძალა, რომელიც შეძლებდა წინ აღდგომოდა საქართველოს. ამიტომაც, ამ გამარჯვებას უდიდესი საერთაშორისო რეზონანსი ჰქონდა. სწორედ დიდგორის ბრძოლის შემდეგ

შემოქმედი. მღვდელმთავრის კვერთხის მორთულობის ნაწილი. X ს. ბერძნული წარწერა: „აჰა, ძე შენი; აჰა, დედაჲ შენი“; ქართული ასომთავრული წარწერა: „ქრისტე, ადიდე გიორგი აფხაზთა მეფე“.

ევროპის მიერ საქართველო აღიარებულ იქნა ქრისტიანობის ბურჯად აღმოსავლეთში. ამ დიდი გამარჯვების ორგანიზატორ დავით მეფეზე ლეგენდები შეიქმნა და გავრცელდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებში.

4. საქართველო – ჰეგემონი სახელმწიფო კავკასიაში

დიდგორის ბრძოლის შემდეგ დავითმა გეზი *თბილისისკენ* აიღო. ქალაქის ბედი ფაქტიურად გადაწყვეტილი იყო, მაგრამ ქალაქის მოსახლეობა უბრძოლველად არ თმობდა თავის დამოუკიდებლობას. ქალაქის სამხედრო გარნიზონისა და მაჰმადიანური მოსახლეობის დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, 1122 წელს დავითმა პირველივე იერიშით აიღო ქალაქი და გაანთავისუფლა ის მაჰმადიანთა 400-წლიანი ბატონობისაგან. დავითმა გააუქმა თბილისის თვითმმართველობა, ქალაქის გამგებლობა თავის მოხელეებს ჩააბარა და საქართველოს სამეფოს დედაქალაქი ქუთაისიდან თბილისში გადმოიტანა.

მეფემ თბილისელ მაჰმადიანებს, ებრაელებს, სომხებს ქალაქში უვნებლად ცხოვრების, მათი სარწმუნოების ხელუხლებლობის პირობა და მთელი რიგი შეღავათები მისცა, რათა მათ თავისუფლად განეგრძოთ ქალაქში მშვიდობიანი სავაჭრო საქმიანობა.

ერთი წლის შემდეგ, 1123 წელს, დავითმა თითქმის უბრძოლველად აიღო ქ. *დმანისი* – მაჰმადიანთა უკანასკნელი საყრდენი პუნქტი საქართველოში.

ამით დასრულდა ქართველი ხალხის ხანგრძლივი და დიდმსხვერპლიანი ბრძოლა ქართული მიწების საბოლოო გაერთიანებისათვის. ამის შემდეგ შესაძლებელი გახდა სამარი ოპერაციების საქართველოს ფარგლებს გარეთ გადატანა. სანამ ამიერკავკასიის მისადგომები სელჯუკთა ხელთ იყო, საქართველო დაცული ვერ იქნებოდა მათი შემოტევებისაგან.

დავით აღმაშენებლის მიერ თბილისის აღებას სელჯუკებმა ახალი ლაშქრობით უპასუხეს. 1123 წელს სულთანი შეიჭრა შარვანში და იქიდან შეურაცხმყოფელი წერილი გამოუგზავნა დავითს. დავითმა გაილაშქრა შარვანში დაბანაკებული სულთნის წინააღმდეგ, დაამარცხა სელჯუკთა ჯარი, ხოლო თვითონ შეშინებული სულთანი ციხიდან ჩუმად გაიპარა სასდუნით (საკანალიზაციო მილი). ამ დროს, ქართულ ლაშქარში უთანხმოება ჩამოვარდა ქართველებსა და ყივჩაღებს შორის, ამის გამოც დავითმა ვერც სულთნის დადევნება მოახერხა და ვერც შარვანის დაპყრობა მიიყვანა ბოლომდე. ერთი თვის შემდეგ მან ხელმეორედ ილაშქრა *შარვანში* და ეს მხარე საქართველოს ყმადნაფიცად აქცია. შარვანისათვის წარმოებული ბრძოლების დროს მოსახლეობის ქრისტიანული ნაწილი საქართველოს უჭერდა მხარს, ხოლო მაჰმადიანური – სელჯუკებს. ასეთი მოწინააღმდეგე

ათონის წმ. მთა. ქართველთა მონასტერი. 980-983 წწ.





ეროვნული ბიბლიოთეკა

დაჯგუფების არსებობის პირობებში, შარვანის ყმადნაფიცობა არ იყო დავითისათვის მისაღები ფორმა. ამიტომ, მან 1124 წელსაც გააგრძელა ბრძოლები შარვანისათვის, რის შემდეგაც შარვანის ციხეებში თავისი მეციხოვნენი ჩააყენა, ხოლო ქვეყნის გამგებლობა სვიმონ მწიგნობართუხუცესს ჩააბარა. შარვანი უშუალოდ შემოუერთდა საქართველოს.

შარვანისათვის წარმოებული ბრძოლების პარალელურად მიმდინარეობდა ბრძოლა სომხეთისთვისაც. 1124 წ. დავითმა ზედიზედ აიღო სომხეთის ციხეები. ამის შედეგად მასთან მივიდნენ *ანისის თავკაცები* და ქალაქის თურქთაგან განთავისუფლება თხოვეს. იმავე 1124 წელს დავითმა გაილაშქრა ანისზე და სამდღიანი ბრძოლის შემდეგ აიღო ის. საქართველოს მეფემ შეიპყრო ანისის მაჰმადიანი ამირა და მმართველობა თავის მოხელეს ჩააბარა. ანისი და მისი შემოგარენი უშუალოდ შემოუერთდა საქართველოს.

ანისის შემდეგ განთავისუფლებულ იქნა ვანანდისა და არარატის პროვინციები და საქართველოს შემოუერთდა სელჯუკთა მიერ დაპყრობილი სომხეთის დიდი ნანილი.

სომხური მოსახლეობა ქართული ლაშქრის მხარდამხარ იბრძოდა თავისი მიწა-წყლის თურქთაგან განსათავისუფლებლად. მისი თანამედროვე სომეხი ისტორიკოსები დიდად უმადლიან დავითს სომხეთის თურქ-სელჯუკთაგან განთავისუფლებას. XII ს-ის სომეხი ისტორიკოსი მათე ურჰაეცი აღტაცებითა და პატივისცემით იხსენიებს დავით აღმაშენებელს და მიიჩნევს მას სომეხი ხალხის განმათავისუფლებლად. ის აღნიშნავს, რომ დავითი იყო მამაცი, ძლიერი და გაანთავისუფლა სპარსთაგან (იგულისხმება თურქ-სელჯუკები) თბილისი, დმანისი, შარვანი, შაქი, შამქორი და სხვა მრავალი მხარე. ის ახასიათებს დავითს როგორც წმინდანს, სათნოს, კეთილს და სამართლიანს, სომეხთა ტომის მოყვარულს. აღნიშნავს დავითის დამსახურებას ანისის განთავისუფლებაში, რომელიც 60 წელი უცხოელთა ტყვეობაში იმყოფებოდა. დავითმა დიდი ზეიმით კვლავ აკურთხებინა ანისის ტაძარი, რომელიც მაჰმადიანთა მიერ მეჩეთად იყო გადაქცეული. მათე ურჰაეცის სიტყვებით, დავითმა ააშენა ქალაქი გორი და განამტკიცა ეკლესიები და მონასტრები.

დავით აღმაშენებლის სახელმწიფოებრივი ღონისძიებების დღის წესრიგში იმთავითვე იდგა საქართველოს ჩრდილო მისადგომების საკითხი. ჩრდილოეთის გზების და განსაკუთრებით დარიალისათვის ბრძოლა გაერთიანებული საქართველოს პირველმა მეფეებმა დაიწყეს და ეს საქმეც დავითმა დაასრულა. სელჯუკთაგან განთავისუფლებული სომხეთისა და შარვანისაგან განსხვავებით, ჩრდილოკავკასიელი ტომებს (ოსები, ლეკები) საქართველოს მეფე ყმადნაფიცობის პირობით დაუკავშირდა.

ბრილი. სანინამძღვრე ჯვარი. 979-1001 წწ.; ქვედა მკლავზე, წინა მხარეს, მოთავსებულია წარწერა: „ქრისტე, აღიდე დღეგრძელებით დავით კურაპალატი“. ჯვრის ზურგზე მოთავსებულია წარწერა: „ასათ მოქმედი“.

დავით IV დიდი და ძლიერი სახელმწიფოს მეფე გახდა, რომლის საზღვრები გადაჭიმული იყო „ნიკოფსიიდან (თანამედროვე ტუაფსე) დარუბანდამდე (დერბენტი) და ოვსეთიდან (იგულისხმება ჩრდილო ოსეთი) სპერად (თურქეთში) და არაგაწამდე (სომხეთში)“.

დავით აღმაშენებლის სახელს უკავშირდება ქართული ეროვნული თვითშეგნების აღორძინების ერთ-ერთი ეტაპი. ამის ნათელი დადასტურებაა ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულების უარყოფა. დავითის წინამორბედი ქართველი მეფე-მთავრები ეძიებდნენ და დიდ პატივად მიიჩნევდნენ ამ ტიტულებს, დავითი მათ თავიდან იცილებს, როგორც შეურაცხმყოფელს საქართველოს სამეფო სახლისათვის. დავითის მეფობაში ჩამოყალიბდა ერთიანი საქართველოს მეფეების ტიტულატურის საბოლოო სახე: „მეფე აფხაზთა (ე. ი. დასავლეთ საქართველოს), ქართველთა (ქართლ-მესხეთის), რანთა (ჰერეთის) და კახთა, სომეხთა, შარვანშა (შარვანის სიუზერენი) და შაჰანშა (ანისის მფლობელი)“.

დავითი ფრიად განათლებული პიროვნება იყო და დიდად ზრუნავდა კულტურასა და განათლებაზე. განათლების მისაღებად მან ბიზანტიაში 40 ახალგაზრდა გაგზავნა. მის მრავალ ღონისძიებათა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გელათის აკადემიის დაფუძნება, სადაც მან სამოღვაწეოდ მოიწვია ბიზანტიაში სახელგანთქმული მეცნიერები არსენ იყალთოელი და იოანე პეტრიწი. ეს უკანასკნელი გელათის აკადემიის პირველი რექტორი იყო, ხოლო არსენის სახელთან დაკავშირებულია იყალთოს აკადემიის დაარსება.

დავითის კალამს ეკუთვნის ლიტერატურული თხზულება „გალობანი სინანულისანი“, რომელშიც ის ღმერთს შეცოდებათა პატიებას სთხოვს. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი საგანგებოდ უთითებს, რომ მეფე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ისტორიის აღდგენას, რათა გაეთვალისწინებინა წინაპართა დამსახურებანი და არ გაემეორებინა მათი შეცდომები.

დავითის დროშა და ტახტი ფეოდალური საქართველოს დამოუკიდებლობისა და სიძლიერის სიმბოლოდ იქცა.

დავით IV-ს არ დასცალდა თავისი გეგმების სრული განხორციელება – 1125 წლის 24 იანვარს ის გარდაიცვალა. ერის და ქვეყნის წინაშე დიდი დამსახურებისათვის ეკლესიამ ის წმინდანად შერაცხა, მისი ხსენების დღედ 25 იანვარი (ახ. სტილით 8 თებერვალი) დაანწესა, ხოლო მადლიერმა ქართველმა ხალხმა მას *აღმაშენებელი* უწოდა.

ქუთაისი. ბაგრატის ტაძარი. 1003 წ.





5. დემეტრე I-ის და გიორგი III-ის მეფობა

დავით აღმაშენებლის გარდაცვალების შემდეგ საქართველოს სამეფო ტახტზე ავიდა მისი მემკვიდრე *დემეტრე I* (1125-1155). დემეტრე მამის სიცოცხლეშივე აქტიურად მონაწილეობდა სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში (დავითმა ის თავის თანამოსაყდრედ აკურთხა). დიდგორისა და შარვანის ბრძოლებში დემეტრე ქართველთა ლაშქრის გამარჯვების ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო.

დავითის გარდაცვალება ხელსაყრელ დროდ მიიჩნევს საქართველოს საგარეო თუ საშინაო მტრებმა. თუ დავით აღმაშენებელი დაპყრობილ ქვეყნებს უშუალოდ საქართველოს სახელმწიფოს უერთებდა, მისი მემკვიდრეების დროს ეს კურსი ნაწილობრივ დაირღვა, რადგან ძალიან ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდა მაჰმადიან მფლობელთა მხრიდან. თავისი მეფობის ბოლო წლებში დავითმა სელჯუკებს გამოსტაცა ისეთი მნიშვნელოვანი პუნქტები ამიერკავკასიაში, როგორიც იყო დმანისი, ანისი და შარვანი. დმანისი სელჯუკებმა მალე დაიბრუნეს უკან და თავისი მეფობის პირველ წლებში დემეტრეს ორჯერ მოუწია მისი დალაშქრვა, რის შემდეგაც დმანისი მყარად შემოვიდა ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში.

დავითის გარდაცვალებისთანავე თურქებმა ენერგიულად შეუტიეს ანისს და დემეტრე იძულებული შეიქნა 1126 წელს ანისი მაჰმადიანებისთვის დაებრუნებინა ყმადნაფიცობის პირობით, ამასთან, დემეტრემ ქრისტიანთა უფლებების დაცვა მოითხოვა. კერძოდ, ანისის ტაძარი სამუდამოდ სომხების ხელში უნდა ყოფილიყო და არ შეეშვათ იქ მუსლიმები.

1138 წელს დემეტრემ განძა (იგივე განჯა) აიღო. გამარჯვების ნიშნად ქალაქის რკინის კარი ჩამოხსნა, საქართველოში ჩამოიტანა და გელათის მონასტერს შესწირა (ეს კარი დღესაც ინახება გელათში). მაგრამ დემეტრე I-მა ვერ შეძლო განძის შენარჩუნება და ქალაქი დიდხანს დარჩა მაჰმადაინთა საყრდენ პუნქტად საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაში.

როგორც მოსალოდნელი იყო, დემეტრეს მეფობაში დიდგვარიანმა ფეოდალებმა სცადეს თავისი შეკვეცილი უფლებების გაფართოება. ამ მიზნით მათ დემეტრეს ჯერ ძმა - ვახტანგი, ხოლო შემდეგ ვვილი - დავითი დაუპირისპირეს. 1155 წელს დავითმა ბერად აღკვეცა მამამისი და ჩაიგდო ხელთ ტახტი. მაგრამ დავითის V-ის მეფობა მხოლოდ 6 თვეს გაგრძელდა. მისი გარდაცვალების შემდეგ ტახტი კვლავ დემეტრე I-მა დაიბრუნა და თავისი სიცოცხლეშივე მეფედ აკურთხა უმცროსი ვაჟი გიორგი.

გიორგი III-მ (1156-1184) დემეტრესდროინდელი თავდაცვითი პოლიტიკა ისევ აქტიური შეტევის პოლიტიკით შეცვალა.

ალავერდი. 1010-იანი წლები.

1161 წელს გიორგი III-მ ანისზე გაილაშქრა, ქალაქი აიღო და მისი მარ-თვა-გამგეობა ამირსპასალარ *ივანე ორბელს* ჩააბარა. მაგრამ მაჰმადიანები ანისს არ ეხსნებოდნენ. ანისისათვის ბრძოლა ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა. ანისი და მისი ოლქი საბოლოოდ შემოუერთდა საქართველოს თამარის მეფობაში, 1199 წელს.

გიორგი III ენერგიულად იბრძოდა ქვეყნის შიგნით მეფის ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებისათვის. მეფის მტკიცე პოლიტიკით უკმაყოფილო დიდგვაროვანმა აზნაურებმა 1177 წელს დიდი აჯანყება მოაწყვეს გიორგი III-ის წინააღმდეგ. ამბოხებულები თითქოსდა დავით V-ის შვილის *დემნა* (დემეტრე) უფლისწულის ინტერესებს იცავდნენ, სინამდვილეში სამეფო ხელისუფლების შეზღუდვისა და საკუთარი უფლებების გაფართოებისათვის იბრძოდნენ. აჯანყებას სათავეში ედგა დემნას სიმამრი, ამირსპასალარი ივანე ორბელი. შეთქმულთა ლაშქარი 30 ათასს აღწევდა. მათ სურდათ გიორგის შეპყრობა და დემნას გამეფება. აჯანყებულებმა დემნა მეფედ აკურთხეს აგარის ციხეში. აჯანყებულებს სურდათ მეფე მოულოდნელად შეეპყროთ, მაგრამ ეს გეგმა ჩაეშალათ. გიორგიმ მოასწრო თბილისში გამაგრება. ამან მეამბოხეებში ყოყმანი გამოიწვია და მათ იწყეს მეფის მხრეზე გადასვლა. თავდაპირველად მეფემ ამბოხებულებთან მოლაპარაკება მოინდომა, მაგრამ ივანე ორბელმა ეს არ ისურვა. მდგომარეობის შეცვლის შემდეგ ივანე ორბელი სამეფოს გაყოფას მოითხოვდა დემნასა და გიორგის შორის. მეფემ აჯანყებულებს წაართვა ციხესიმაგრეები და ლორეს ციხეებში მოიმწყვდია ისინი. აჯანყებულებმა გარეშე ძალის მოწვევით სცადეს თავიანთი პოზიციების გამაგრება. მიუხედავად იმისა, რომ ლორეს ციხის ალყა რამდენიმე თვეს გაგრძელდა, აჯანყებულებმა გარედან დახმარება ვერ მიიღეს. აჯანყება დამარცხდა. დემნა უფლისწული ალყაშემორტყმული ციხიდან თოკით გადმოეშვა და პატიების სათხოვნელად მეფე-ბიძასთან გამოცხადდა. გიორგიმ აჯანყებულები გაასამართლა და მკაცრად დასაჯა. დემნას თვალები დასთხარეს და დაასაჭურისეს. ის სასჯელს გადაყვა. ივანე ორბელს თვალები დასთხარეს, სიკვდილით დასაჯეს მისი ძმა ქავთარი და შვილი სუმბატი. დამნაშავეთა ნაწილი საქართველოდან განდევნეს. მოღალატეთა თანამდებობანი და მამულები გიორგიმ დაუნაწილა თავის ერთგულებს შედარებით დაბალი ფენებიდან – საშუალო და მცირე აზნაურობიდან. ამ დროს მიიღო ნაყივჩაღარმა ყუბასარმა ამირსპასალარობა, ხოლო აზნაურის ნაყმევმა აფრიდონმა მსახურთუხუცესობა და ერისთავთა ერისთავობა.

აჯანყების ჩახშობისთანავე 1178 წელს გიორგი III-მ თავის თანამოსაყდრედ აკურთხა თავისი ასული *თამარი*. მამა-შვილის თანამეფობა გიორგის გარდაცვალებამდე (1184 წ.) გაგრძელდა.

მცხეთა. სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარი თორმეტი მოციქულის სახელობისა; 1010-1029 წწ., ხედი სამხრეთიდან.







6. მეფე თამარის ეპოქა

გიორგი III-ს ვაჟი არ ჰყავდა და ტახტის მემკვიდრე მისი ასული თამარი იყო. ქალის გამეფების ტრადიცია საქართველოში არ არსებობდა. გიორგიმ 1178 წელს თვითონვე დაადგა გვირგვინი თამარს. 1184 წელს გიორგი III გარდაიცვალა და თამარი ერთპიროვნული მმართველი გახდა.



ხატალა. ღმრთისმშობლის მიძინების ტაძარი. წმ.ეფთვიმე მთაწმინდლის ფრესკული გამოსახულება. XIII ს.

გიორგი III-ის გარდაცვალებისთანავე საქართველოში კვლავ დაიწყო დიდგვარიან აზნაურთა გამოსვლა. ვითარებაც თითქოს შესაფერისი იყო. ძლიერი მეფე გიორგი ცოცხალი აღარ იყო და ქვეყნის სათავეში გამოუცდელი ახალგაზრდა მეფე-ქალი იდგა. ასეთ პირობებში დიდგვარიანთა ნაწილმა, გიორგის დროს მოჩვენებითი ერთგულებით რომ ინიღბებოდა, ენერგიულად დაიწყო ბრძოლა დაკარგული პოლიტიკური პრივილეგიების აღსადგენად. უპირველეს ყოვლისა, მათ თამარი ხელახლა აკურთხეს მეფედ, რომლის დროსაც ხაზი გაუსვეს თავიანთ უფლებებს.

ოპოზიციამ ერთსულოვნად შეუტია გიორგი III-ის მიერ აღზევებულ ერთგულ მოხელეებს. პოლიტიკური მდგომარეობა ისე დაძაბა, რომ თამარი იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო: თანამდებობიდან გადააყენა *მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი ანტონი, ამირსპასალარი ყუბასარი* და *მსახურთუხუცესი აფრიდონი.*

7. ყუთლუ-არსლანი. ხელისუფლების დაყოფის თეორიის ჩანასახები

თამარის წინააღმდეგ დიდგვარიანთა ოპოზიციის წარმატებული პირველი გამოსვლის შემდეგ, სამეფოს მეჭურჭლეთუხუცესმა და მისმა პოლიტიკურმა დასმა მეფის უფლებების შეზღუდვა და საკანონმდებლო უფლებებით აღჭურვილი საგანგებო საკრებულოს - „კარავის“ დაარსება მოითხოვა.

თამარის პირველი ისტორიკოსის („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორი) ცნობით, *ყუთლუ-არსლანი* „კარავის“ დადგმას მოითხოვდა ისნის

მცხეთა. რელიეფი „მაცხოვრის განდიდება“ სვეტიცხოველის ტაძრის დასავლეთ ფასადზე; 1010-1029 წწ.
მცხეთა. სვეტიცხოველის ტაძრის დასავლეთი ფასადის მორთულობა; 1010-1029 წწ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ახტალა. ღმრთისმშობლის მიძინების ტაძარი. წმ. გიორგი მთაწმინდლის ფრესკული გამოსახულება. XIII ს.

(დღევანდელი ავლაბარი) ერთ-ერთ უბან სოლოლაკის დებილში (დღევანდელ მეტეხის მიდამოებში). „კარავის“ წევრები უნდა ყოფილიყვნენ „განმგებელნი მიცემისა და მოღებისა, წყალობისა და შერისხვისანი“ (იგულისხმება სხვადასხვა თანამდებობათა წყალობა და ჩამორთმევა, დამნაშავე თანამდებობის პირთა დასჯა, ე. ი. უზენაესი მართლმსაჯულების უფლება). თამარს „კარავის“ მუშაობაში მონაწილეობა არ უნდა მიეღო. მას მხოლოდ „კარავში“ გადაწყვეტილი („განგებული“) საკითხი სისრულეში უნდა მოეყვანა („სრულქმნა“). ისტორიკოსის აზრით, თამარმა სწორად შეაფასა წამოყენებული მოთხოვნა, რომ ეს მისი ხელმწიფობის დასასრულს მოასწავებდა და თავის ერთგულ პირებთან მოთათბირებისა და მათი დასტურის შემდეგ ყუთლუ-არსლანი შეიპყრო.

ყუთლუ-არსლანის მომხრეებმა მეთაურის უვნებლად განთავისუფლება მოითხოვეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, სამეფო სასახლეზე იერიშით იმუქრებოდნენ. თამარმა გაითვალისწინა ყუთლუ-არსლანის დასის სიძლიერე და მშვიდობიანი მოლაპარაკება არჩია. აჯანყებულებთან მოსალაპარაკებლად მან გაგზავნა ორი საპატიო მანდილოსანი: ქართლის ერისთავის, რატი სურამელის დედა *ხვაშაქ ცოქალი* და დიდგვაროვანი ფეოდალების – სამძივართა დედა *კრავაი ჯაყელი*. მოლაპარაკება დადებითი შედეგით დამთავრდა. მეფემ, მართალია, საკანონმდებლო უფლებებზე ხელი არ აიღო, მაგრამ გაფართოვდა დარბაზის – სამეფოს საბჭოს უფლებები – მეფე დიდებულთა „ერთნებობით და თანადგომით“ (ე. ი., მათი თანხმობითა და მხარდაჭერით) განაგებდა ქვეყანას.

საქართველოს სახელმწიფო წყობილებაში მომხდარი ეს დიდად მნიშვნელოვანი ცვლილება ქვეყნის პროგრესული განვითარების შედეგი იყო. ეს იმ ცვლილებების წინამორბედსა და მსგავს მოვლენას წარმოადგენდა, რომელიც XIII ს-ის დამდეგს ინგლისში მოხდა, როცა „თავისუფლების დიდი ქარტიით“ შეიზღუდა ინგლისის მეფის ხელისუფლება.

ყუთლუ-არსლანის მოძრაობის დამთავრების შემდეგ თამარმა გააგრძელა ენერგიული და თანმიმდევრული ბრძოლა ცენტრალიზაციური პოლიტიკის მოწინააღმდეგეების წინააღმდეგ. მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის თანამდებობაზე აღდგენილ იქნა ანტონი, ასევე სხვა მაღალ თანამდებობაზეც უმთავრესად მეფის ერთგული პირები დაინიშნენ.

გელათი. მრგვალი ჭედური ხატი (ტონდო) წმ. მამას გამოსახულებით; XI ს. I მეოთხედი.





მიუხედავად ამისა, ცენტრალიზაციის მოწინააღმდეგე პოლიტიკურმა ჯგუფმა ფარ-ხმალი მაინც არ დაყარა და მთელი თავისი იმედები ახალგაზრდა მეფე-ქალის მომავალი სახლობის საკითხს დაუკავშირა. თამარის სურვილის საწინააღმდეგოდ, 1185 წელს ის დააქორწინეს ვლადიმერ-სუზდალის მთავრის ანდრია ბოგოლიუბსკის ძეზე – *იური*ზე, რომელიც ჯერ კიდევ მცირეწლოვანებისას ნოვგოროდის მთავარი იყო. მამის სიკვდილის შემდეგ იგი ბიძის, ვსევოლოდის მიერ დევნილი, კიევჩაღებთან იყო შეხიზნული. გიორგი რუსს (ასე უწოდებდნენ იურის საქართველოში) ბევრი პიროვნული ნაკლი აღმოაჩნდა და ორი წლის შემდეგ, როდესაც ტახტზე მდგომარეობა განიმტკიცა, თამარი მას გაშორდა და საქართველოდან გააძევა.

მალე თამარი დაქორწინდა ოვსთა უფლისწულზე, ბაგრატიონთა ნათესავზე *დავით სოსლანზე*. დავითი საქართველოს სამეფო კარზე იყო აღზრდილი თამარის მამიდის რუსუდანის მიერ. თამარს დავითთან ორი შვილი შეეძინა: გიორგი-ლაშა და რუსუდანი.

მეფის პოლიტიკით უკმაყოფილო დიდგვაროვნებმა ფეოდალებმა 1191 წელს აჯანყება მოაწყვეს და ბიზანტიაში მყოფი თამარის ქმარყოფილი გიორგი რუსი საქართველოში დააბრუნეს გასამეფებლად. თამარმა ჯერ მოლაპარაკებით სცადა საქმის მოგვარება, შემდეგ მათ წინააღმდეგ ლაშქარი გაგზავნა და აჯანყებულები დაამარცხა. გიორგი რუსი ისევ ბიზანტიაში გაიქცა.

1193 წელს, გიორგი რუსმა რანის ათაბაგის დახმარებით მეორედ სცადა ბედის შემობრუნება, მაგრამ უშედეგოდ. ამჯერად ქართველ ფეოდალთაგან მას მხარი არავინ დაუჭირა და ის ადვილად იქნა დამარცხებული.

ამრიგად, თამარმა დაამარცხა მეფის პოლიტიკით უკმაყოფილო ფეოდალები. ოპოზიცია იძულებული გახდა დამორჩილებულიყო.

8. შამქორის და ბასიანის ბრძოლები

XII ს-ის ბოლოსა და XIII ს-ის დასაწყისში საქართველო მთელ ახლო აღმოსავლეთში უძლიერესი სახელმწიფო იყო. იგი აქტიურად მონაწილეობდა საერთაშორისო ცხოვრებაში და საკუთარ პოლიტიკას ატარებდა.

თამარის გამეფების პირველსავე წლებში ქვეყნის შიგნით მიმდინარე მწვავე ბრძოლებით ისარგებლეს მაჰმადიანმა მმართველებმა და დაიწყეს

ჭყონდიდი. საწინამძღვრე ჯვარი. XI ს-ის 40-იანი წლები. ჯვრის ზურგზე მოთავსებულია ასომთავრული წარწერა: „† სახელითა ღმრთისაჲთა. მე, გლახაკმან არსენი, ძემან ვაჩე მმარხუელისამან, შევქმენ ჯუარი ესე სადიდებელად და სალოცველად, ადიდენ ღმერთმან, ძრიელისა ბაგრატ მეფისა და კურაპალატისა და შვილთა მათთა, ერთობით ადიდენ ღმერთმან, და სალხინებელად ცოდვილისა სულისა ჩემისათჳს; ამენ. შეიქმნა ჴელითა ივანე დიაკონისაჲთა; ქრისტე, შეიწყალე“.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქართული ანბანის განვითარების ეტაპები (ასომთავრული, ნუსხა-ხუცური, გარდამავალი მხედრული, მხედრული) და ასოთა რიცხვითი მნიშვნელობები.

განუწყვეტელი თავდასხმები საქართველოს მოსაზღვრე რაიონებზე. მაგრამ XII ს-ის 90-იანი წლებისათვის შინაგანი პოლიტკური ბრძოლა მეფის ცენტრალური ხელისუფლების გამარჯვებით დამთავრდა და საქართველოს სამეფო კარმა მთავარი ყურადღება საგარეო საქმეებზე გადაიტანა. 90-იანი წლების დასაწყისში ქართულმა ლაშქარმა ორჯერ ილაშქრა მაჰმადიანურ საამიროებზე – ჯერ დავით სოსლანის, ხოლო შემდეგ ამირსპასალარ ზაქარია მხარგრძელის და მისი ძმის ივანე მსახურთუხუცესის მეთაურობით. საქართველო წარმატებით უტევდა თურქებს შარვანიდან და რანიდან მოყოლებული ბასიანსა და სპერამდე. შევიწროებულმა თურქებმა საერთო ძალით გამოლაშქრება გადაწყვიტეს.

XIII ს-ის ქართველი ისტორიკოსი - „ცხოვრება მეფეთა მეფისა თამარისი“-ს ავტორი ბასილი ეზოსმოძღვარი შემდეგნაირად გადმოგვცემს ომისათვის სამზადისს: მაჰმადიანური სახელმწიფოები („სპარსნი“) დიდად შევიწროებულნი იყვნენ საქართველოს ძლიერი სახელმწიფოს მიერ. მათ დარჩენოდათ მხოლოდ ერთი: ან დახოცილიყვნენ, ან ეხსნათ თავი. „სპარსმა“ (ე.ი. მაჰმადიანებმა) შეიღებეს სამოსელი და სახე და მივიდნენ ხალიფასთან, თხოვნით, რომ მოეწყო ერთიანი ლაშქრობა საქართველოს წინააღმდეგ. ხალიფამ მთელი თავისი საგანძურნი გახსნა და გასცა ბრძანება ლაშქრის შესაკრებად. ყველა მაჰმადიანი უნდა გამოსულიყო სალაშქროდ და ვინც არ გამოვიდოდა – დაერბიათ („იავარ-

სამთავისი. ღმრთაების ტაძარი; 1030 წ.; ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან.





ეროვნული ბიბლიოთეკა

ეყოთ“). შეიკრიბა ურიცხვი ლაშქარი.

თამარს როდესაც ეს მოახსენეს, მოუწოდა თავის ვაზირებს და გამართა სამხედრო თათბირი („შეიქმნა გამორჩევა“). შემდეგ მან ჭყონდიდელს უბრძანა, რათა დაეწყო ჯარის წვევა. ათ დღეში შეიკრიბა მთელი სამეფო ლაშქარი: „ვითარცა გროი შავარდენთა მოფრინდა ყოველი მხედარი, ყოვლით-კერძო...“.

მაჰმადიანთა კოალიციური ლაშქარი ადარბადაგანში (ირანის აზერბაიჯანი) შეიკრიბა და ათაბაგ აბუბექრის სარდლობით საქართველოსკენ დაიძრა. აბუბექრმა ჯერ საქართველოს ყმადნაფიც შარვანშაჰ აღსართანს შეუტია, რომელმაც ვერ გაუწია წინააღმდეგობა და დახმარებისთვის საქართველოს მეფეს მიმართა.

1195 წელს საქართველოს ლაშქარი დავით სოსლანის სარდლობით და მაჰმადიანთა გაერთიანებული მხედრობა აბუბექრის სარდლობით ციხე-ქალაქ შამქორთან შეებნენ ერთმანეთს. ქართველებმა მტერს ისე ძლიერ შეუტიეს, რომ აბუბექრის მეომართაგან ზოგი გაიქცა და ზოგიც მკვდარი დაეცა. თვითონ აბუბექრმა გაქცევით უშველა თავს. ბრძოლაში დიდად გამოიჩინეს თავი სარდლებმა შალვა და ივანე ახალციხელებმა. შალვამ ხალიფას მიერ გამარჯვების საწინდრად წინასწარ გამოგზავნილი დროშა ჩაიგდო ხელში, რომელიც თამარმა გამარჯვების ნიშნად ხახულის მონასტერს შესწირა. შამქორიდან ქართულმა ლაშქარმა განძას ილაშქრა, ქალაქი აიღო და გამარჯვების აღსანიშნავად ამირას სასახლეში დიდი ნადიმი გადაიხადა. ამიერიდან განძის გამგებელი საქართველოს მოხარკე გახდა.

შამქორში გამარჯვებამ და განძის აღებამ საქართველოს დიდი ავტორიტეტი მოუპოვა. შამქორთან გამარჯვებით აშკარა გახდა ქართველთა სამხედრო უპირატესობა მთელს ახლო აღმოსავლეთში. შამქორის ბრძოლის მთავარი შედეგი იყო შამქორისა და განძის მოხარკედ გადაქცევა.

ბრძოლები მაჰმადიანთა წინააღმდეგ ამის შემდეგაც გრძელდებოდა, - შედეგად არაერთი ციხე-ქალაქი შემოვიდა საქართველოს მფლობელობაში (მაგ., ანისი 1199 წელს).

საქართველოს საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგში დადგა შავი ზღვის სამხრეთი სანაპიროების საკითხი. ეს ტერიტორია უძველესი დროიდან ქართველური ტომებით – ლაზებით იყო დასახლებული და ჯერ კოლხეთის სამეფოში შედიოდა, შემდეგ დიდი ხნით ბიზანტიის იმპერიის შემდგენლობაში მოექცა. საქართველოს მისწრაფებას ამ მიმართულებით წინ ეღობებოდა როგორც ბიზანტია, ისე რუმის სასულთნო, დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე არსებული თურქულ-სელჯუკური სახელმწიფო, რომელიც განსაკუთრებით გაძლიერდა სულთან რუქნ ად-დინის დროს.

რუქნ ად-დინი საგანგებოდ მოემზადა საქართველოს წინააღმდეგ სალაშქროდ. ამ ლაშქრობისთვის მან არაფერი დაიშურა. თამარის ისტორიკოსის, ბასილი

მცხეთა. სამთავროს ტაძარი, XI ს; წინ – წმ. ნინოს ეკლესია და მაყვლის ბუჩქი.

ეზოსმოძღვრის სიტყვებით, რუქნ ად-დინმა უამრავი ოქრო გაიღო მხედრობის შეკრებისათვის. თურქთა უზარმაზარი 400-ათასიანი ლაშქარი 1202 წელს ბასიანის ველზე დაბანაკდა. აქედან წარუვლინა მან თამარ მეფეს ელჩი მუქარით სავსე შეურაცხმყოფელი წერილით. რუქნ ად-დინი ამ წერილში თავის თავს უძლიერეს და უძლეველ გამგებლად ნარმოადგენდა, თამარს რეგვენ დედაკაცს უწოდებდა და ბრალს სდებდა მუსლიმანთა ხოცვასა და დახარკვაში. იგი მთელ საქართველოს ამოწყვეტით ემუქრებოდა და სიცოცხლის შენარჩუნებას პირდებოდა მხოლოდ იმათ, ვინც თაყვანს სცემდა მის სარწმუნოებას. ამ შეურაცხმყოფელი წერილის გარდა ელჩს დავალებული ჰქონდა ზეპირადაც მოეხსენებინა თამარისათვის სულთნის დანაბარები: თუ თამარი სარწმუნოებას გამოიცვლიდა, მაშინ სულთანი მას შეიწყნარებდა და ცოლად შეირთავდა, თუ არა და სულთნის ხასა გახდებოდა. ასეთი შეურაცხმყოფელი სიტყვები ვერ მოითმინა ამირსპასალარმა ზაქარია მხარგრძელმა და ისე მაგრად გააწნა სილა ელჩს, რომ ის გონდაკარგული იქვე დაეცა. როდესაც მოასულიერეს და ფეხზე წამოაყენეს, ამირსპასალარმა უთხრა – ელჩი რომ არ ყოფილიყავი, ასეთი უკადრისი სიტყვებისათვის შენი სამართალი ჯერ ენის მოკვეთა იყო და შემდეგ თავისო.

რუქნ ად-დინის თავხედური მოთხოვნის საპასუხოდ სასწრაფოდ შეიყარა საქართველოს ჯარი „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“ და *ბასიანისაკენ* გაემართა. თვით თამარმა გააცილა ლაშქარი ვარძიამდე და დალოცა.

ქართველთა მხედრობის გეგმა იყო მტერს მისსავე ბანაკში მოულოდნელად დასხმოდნენ თავს. საქართველოს ლაშქარი სამ ნაწილად იყო გაყოფილი. მეწინავეს ამირსპასალარი ზაქარია მხარგრძელი სარდლობდა. მასთან ერთად წინამებრძოლებად იყვნენ შალვა და ივანე ახალციხელები. ერთი ფრთა დასავლეთ საქართველოს ლაშქარს ეჭირა, ხოლო მეორე – აღმოსავლეთ საქართველოს რაზმებს.

სელჯუკთა უდარდელად დაბანაკებული ლაშქარი (დარაჯები არ ედგათ) ქართველთა ავანგარდის იერიშის გამო პირველ ხანებში აირია, მაგრამ რუქნ ად-დინმა მოახერხა ჯარის საომრად განლაგება. შეიქნა სასტიკი ბრძოლა, რომელიც დიდხანს გაგრძელდა. ქართველთა ავანგარდის მეთაურებს ცხენები დაუხოცეს. მათთან ერთად რიგითი მეომრებიც ჩამოქვეითდნენ და მხარში ამოუდგნენ სარდლებს. ქვეითად დარჩენილი მეწინავე ლაშქარი მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა. სწორედ ამ დროს მას მიეშველა ძირითადი ნაწილი დავით სოსლანის მეთაურობით, რამაც არსებითად გადაწყვიტა ბრძოლის ბედი. ორი მხრიდან შეტევა იმდენად მოულოდნელი იყო თურქებისათვის, რომ მათ გაქცევით უშველეს თავს. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის ძვირფასი კარვები, იარაღ-საჭურველი, საბრძოლო დროშები. ტყვეთა შორის ბევრი წარჩინებული იყო და მათგან ერთი თამარმა ცხენის ნალში გაცვალა. ქართველებს უამრავ

წმ. გიორგი მთაწმინდლის რედაქციის სვინაქსრის ხელნაწერი; XI ს.





სიმდიდრესთან ერთად ხელში ჩაუვარდათ სასულთნო დროშა და აღმოსავლურ სამყაროში ცნობილი სამედიცინო ტრაქტატი კარაბადინი, რომელიც მწიგნობართუხუცესის ბრძანებით მაშინვე ქართულად ითარგმნა.

ამრიგად, 1202 წელს ქართულმა ლაშქარმა ბასიანში ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა თურქებზე. ამ ომში ქართველთა გამარჯვებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. შამქორისა და ბასიანის გამარჯვებებმა აშკარა გახადა, რომ საქართველომ ახლო აღმოსავლეთის უძლიერესი სახელმწიფო იყო. საქართველომ წარმატება მოიპოვა აღმოსავლეთისა და დასავლეთის თურქთა ორ კოალიციურ ლაშქარზე, რომელთა სათავეში ძლიერი სახელმწიფოები იდგა. ამაზე დიდი ძალა თურქებს მაშინ არც გააჩნდა.

9. ტრაპიზონის იმპერიის დაარსება და საქართველოს სამეფოს მონაწილეობა ამ საქმეში

ბასიანის ბრძოლაში გამარჯვებამ და ბიზანტიის იმპერიის დასუსტებამ საქართველოს გაუადვილა თავისი გავლენის გავრცელება შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროებზე. თამარის ბრძანებით ქართულმა ლაშქარმა დაიკავა ლაზეთის ზღვისპირა ქალაქები – ტრაპიზონი, სამსუნი, სინოპი, კერასუნტი და სხვ. დაპყრობილ ტერიტორიაზე საქართველოს სამეფო კარმა 1204 წ. შექმნა ცალკე სახელმწიფო – *ტრაპიზონის იმპერია*. მის კეისრად დასვეს ბერძენი უფლისწული, ბიზანტიის საიმპერატორო ტახტს ჩამოცილებული ალექსი კომნენოსი. ის, დედის მხრივ, თამარის ნათესავი იყო და ბავშვობიდანვე საქართველოში აღიზარდა ქართული წეს-ჩვეულებებით. ალექსი კომნენოსი საქართველოს მეფის ნების აღმსრულებელი იყო. საქართველოს სამეფო კარის მიერ შექმნილი ტრაპიზონის იმპერია, ერთი მხრივ, უპირისპირდებოდა ბიზანტიის იმპერიას, ხოლო, მეორე მხრივ, საქართველოს უშუალოდ გამეზობლებულ რუმის სელჯუკთა სახელმწიფოს.

1204 წელს ქართულმა ლაშქარმა აიღო ციხე-ქალაქი *კარი* (ყარსი). კარი უშუალოდ საქართველოს შემოუერთდა. კარის გამგებლად თამარმა ივანე ახალციხელი დანიშნა. კარის შემოერთებას უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. კარი თურქ-სელჯუკთა დასაყრდენი და პლაცდარმი იყო საქართველოზე და ამიერკავკასიის ქვეყნებზე თავდასხმისათვის. ახლა თურქებს ეს საყრდენი გამოეცალათ ხელიდან და მათი თავდაცვის ხაზმა უფრო სამხრეთით გადაიწია. ქართველთა მხედრობას ამიერიდან გზა ხსნილი ჰქონდა სამხრეთისაკენ სალაშქროდ. პოლიტიკურთან ერთად, კარს დიდი სავაჭრო-ეკონომიკური მნიშვნელობაც ჰქონდა. იგი

მესტიის (იშხნის) სახარება-ოთხთავი. 1033 წ. ჯვრის მინიატურა ხელნაწერის თავფურცელზე და კანონები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მნიშვნელოვან სავაჭრო გზაზე მდებარეობდა და ხელს უწყობდა საქართველოს შემდგომ სამეურნეო დაწინაურებას.

XIII ს-ის დასაწყისში ქართველთა მხედრობამ თურქ-სელჯუკებისაგან განმინდა სომხეთის დიდი ნაწილი და ყოფილი სომხური სამეფოები საქართველოს შემოუერთა.

10. ლაშქრობა ირანში

XIII ს-ის დასაწყისში უკანასკნელი დიდი ლაშქრობა მოეწყო 1210 წელს. ქართულმა ლაშქარმა ზაქარია და ივანე მხარგრძელების სარდლობით ჩრდილოეთ *ირანი* დალაშქრა. ქართულმა ლაშქარმა ჯერ ქალაქი მარანდი აიღო, ხოლო შემდეგ თავრიზს მიადგა. შეშინებულმა თავრიზელებმა უბრძოლველად ჩააბარეს ქალაქი ქართველებს. მიართვეს უამრავი საჩუქარი ძღვენის სახით და ლაშქრისათვის სურსათ-სანოვაგე. ქართულ მხედრობას ასევე უბრძოლველად დამორჩილდა მიანაც. ამის შემდეგ ბრძოლით იქნა აღებული ზენჯანი, ყაზვინი და ირანის შუაგული *რომ-გური* (ხორასანი). ასეთი ხანგრძლივი და შორეული ლაშქრობა ქართველებს მანამდე არ ჩაუტარებიათ. ლაშქარს იმდენი ნადავლი დაუგროვდა, რომ წინსვლა შეუძლებელი შეიქნა. უკან მობრუნებულმა მხედრობამ სასტიკად დასაჯა მიანის გამგებელი იქ მცველად დატოვებული ქართველთა მხედრობის ამონყვეტის გამო. ამ ლაშქრობამ კიდევ უფრო გაზარდა საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტი.

ამავე დროს, საქართველოს პოლიტიკური და კულტურული გავლენა ვრცელდებოდა ჩრდილოკავკასიელ ხალხებზეც. X ს-ის ბოლოს საქართველოს მოსაზღვრე იმიერკავკასიელი მთიელები საქართველოს ყმადნაფიცნი იყვნენ და პოლიტიკურ გავლენასთან ერთად საქართველოს დიდ კულტურულ გავლენასაც განიცდიდნენ.

საქართველოს ტერიტორიების გაზრდამ და გავლენის სფეროების გადიდებამ თავისი ასახვა ჰპოვა ერთიანი საქართველოს მეფეთა ტიტულატურაში. თამარის ტიტული ასეთი იყო: „აფხაზთა და ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფე და დედოფალი, შარვანშა და შაჰანშა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა ფლობით მპყრობელი“.

დამპყრობელ თურქებთან მძიმე ბრძოლები საქართველოს გამარჯვებით დამთავრდა. საქართველო, მის გარშემო შემოკრებილ კავკასიის ქრისტიან ხალხებთან ერთად, მშვიდობიანი განვითარების პირობებში სამეურნეო-კულტურული აღმავლობის გზით მიდიოდა.

ალავერდის (კაცხის) სახარება-ოთხთავი.
1054 წ. მათე მახარებლის მინიატურა და ტექსტის თავსამკაული.







11. საქართველოს სახელმწიფო წყობილება XII ს-სა და XIII ს-ის დასაწყისში

მეფის ხელისუფლება. საქართველოს ფეოდალურ მონარქიას განაგებდა *ბაგრატიონთა სამეფო დინასტია*. მეფის ხელისუფლება გადადიოდა მამიდან უფროს შვილზე და თვითმპყრობელურ ხასიათს ატარებდა. XI ს-ში დაწერილი სუმბატ დავითის-ძის (ბაგრატიონის) თხზულება „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა“ ბაგრატიონებს ღმრთის ჩამომავლებად აცხადებდა. თავდაპირველად საქართველოს მეფეები, გარდა ქართული ტიტულებისა, ატარებდნენ ბიზანტიურ ტიტულებსაც (კურაპალატი, ნოველისიმოსი, სევასტოსი, კესაროსი), რაც გამოხატავდა მათ ფორმალურ დამოკიდებულებას ბიზანტიისადმი. დავით აღმაშენებლმა უარი თქვა ბიზანტიურ ტიტულებზე. ამიერიდან, ვიდრე XV –ს-ის ბოლომდე, როცა საქართველო დაიშალა 3 სამეფოდ, საქართველოს მეფე ატარებდა ერთიან ქართულ ტიტულს, რომელიც შედგებოდა 7 ტიტულისაგან: მეფე აფხაზთა (ე.ი. დას. საქართველოს), ქართველთა (ე.ი. ქართლის და მესხეთის), რანთა და კახთა (ე.ი. ჰერეთისა და კახეთის), სომეხთა (ლორე-ტაშირის სამეფოს), შარვანშა (შარვანის – დას. აზერბაიჯანის) და შაჰანშა (ანისის სომხური სამეფოს). ამიტომაც საქართველოს მეფე ითვლებოდა შვიდი სამეფოს მეფეთა მეფედ.

ხელმწიფის კარი. ქვეყნის მართვა ხორციელდებოდა სასახლიდან, რომელსაც ეწოდებოდა „ხელმწიფის კარი“. აქ ცხოვრობდა მეფის ოჯახი და ამავე დროს თავმოყრილი იყო სხვადასხვა დანესებულებები თავიანთი მოხელეებით. მეფესთან არსებობდა უმაღლესი საერო და სასულიერო პირთა წარმომადგენლობითი ორგანო - „დარბაზი“, რომელსაც მეფე იწვევდა პერიოდულად, სხვადასხვა სახელმწიფო საკითხების გადასაწყვეტად. დარბაზის უფლებები გაფართოვდა ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლის შემდეგ.

სახელმწიფო მმართველობა ორ სისტემად იყოფოდა: 1. ცენტრალური საუწყებო, რომელსაც სათავეში ედგნენ უხუცესები – *ვაზირები* და 2. ადგილობრივი გამგებლობა (საქვეყნოდ გამრიგე მოხელეები), რომლებსაც სათავეში ედგნენ მხარეების გამგებლები – *ერისთავები*.

ვაზირების უფროსი იყო მეფის თანაშემწე, „ვაზირთა უპირველესი“ *მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი*.

„ვაზირი“ არაბულად მრჩეველს, თანაშემწეს ნიშნავს. ვაზირის თანამდებობა არაბთა სახალიფოდან თურქ-სელჯუკთა სახელმწიფოში გადავიდა. საქართველოში ის პირველად დავით აღმაშენებელმა შემოიღო და თავის ვაზირად დანიშნა მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი გიორგი. ის იყო მეფის

ალავერდის (კაცხის) სახარება-ოთხთავი. 1054 წ. მინიატურა – ედესის მეფე ავგაროზი წერილს უგზავნის მაცხოვარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



დავით აღმაშენებლის მონეტა. სპილენძი; წარწერები: წინა მხარეს – „დავით მეფჳ“; ზურგზე – „† დავით მეფჳ აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა“; 1118-1125 წწ.

შემდეგ პირველი პირი. მას ექვემდებარებოდა უმაღლესი სასამართლო („სააჯო კარი“) და ყველა დაწესებულება.

შემდეგში თანდათან ვაზირები (მინისტრები) გახდნენ: 1. *ამირსპასალარი* (სამხედრო მინისტრი), 2. *მანდატურთუხუცესი* (შინაგან საქმეთა მინისტრი), 3. *მეჭურჭლეთუხუცესი* (ფინანსთა მინისტრი), 4. *მსახურთუხუცესი* (სასახლის მეურნეობის გამგებელი). თამარის დროიდან სამეფო კარის დიდი მოხელე გახდა *ათაბაგი* – უფლისწულის აღმზრდელი (თურქ-სელჯუკთა სახელმწიფოდან გადმოღებული), რომელიც თანდათან ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის ნაცვლად სახელმწიფოში გახდა მეფის შემდეგ მეორე პირი.

საერისთავოები. ქვეყანა დაყოფილი იყო ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად, რომლებსაც ერისთავები განაგებდნენ (ქართლის, კახეთის, ჰერეთის, ცხუმის, სვანთა, სამცხის და სხვ.). ერისთავებად მეფე ნიშნავდა დიდებულებს (ხშირად ვაზირი ამავე დროს ერისთავიც იყო და ერისთავთა ერისთავის საპატიო წოდებას ატარებდა). თამარის დროიდან ერისთავებმა სამემკვიდრეოდ გაიხადეს თავიანთი ერისთავობა (ქართლის ერისთავობა - *სურამელებმა*, ცხუმისა – *შერვაშიძეებმა*, სვანთა – *ვარდანისძეებმა*, ჰერეთისა – *გრიგოლისძეებმა*, სამცხისა - *ჯაყელებმა* და ა. შ.). საქართველოს სამხრეთ და აღმოსავლეთ საზღვრებზე არსებობდნენ სანაპირო საერისთავოები.

ყმადნაფიცი (ვასალური) ქვეყნები. საქართველომ ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის არაქართული ქვეყნების ნაწილი უშუალოდ შემოიერთა (მაგალითად, ანისის სომხური სამეფო, სომეხი ბაგრატუნების ყოფილი სამფლობელო, შარვანის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი, სივნიეთის, ყარსის (კარის) და ვასპურაკან-დვინის სომხური სამთავროები), ნაწილი კი ყმადნაფიც (ვასალურ) სახელმწიფოებად აქცია (შარვანი, სამხრეთ ამიერკავკასიის მაჰმადიანური სახელმწიფოები, ჩრდილო კავკასიის სამთავროების ნაწილი).

ანისის (შირაკის) სომხური სამეფო საქართველომ მაჰმადიანთაგან გაათავისუფლა და განდევნა იქიდან შედადიანთა საგვარეულოს მუსლიმანი გამგებლები. აქ გამგებლებად მხარგრძელები (სომხური სარწმუნოების გაქართველებული ქურთები) იყვნენ.

ალავერდის (კაცხის) სახარება-ოთხთავი. 1054 წ. მინიატურა – იესუ ქრისტე საპასუხო წერილს წერს ედესის მეფე ავგაროზს.



12. საქართველოს ეკონომიკური და საზოგადოებრივი განვითარება XII ს-სა და XIII ს-ის დასაწყისში

სოფლის მეურნეობა. საქართველოს გაერთიანებამ ხელსაყრელი პირობები შექმნა სხვადასხვა კუთხეთა სამეურნეო დაკავშირებისა და შემდგომი ეკონომიკური განვითარებისთვის.

დამუშავებული მიწის ფართობის გაფართოებისათვის საჭირო იყო სარწყავი სისტემის განვითარება. თამარ მეფის დროს გაყვანილ იქნა 20 კმ სიგრძის *სამგორის სარწყავი არხი*, ალაზნის 119 კმ სიგრძის არხი რწყავდა 53 000 ჰექტარ მიწას. გარდა დიდი არხებისა, თვით გლეხებს გაჰყავდათ რუები და რუსხმულები. მემინდვრეობასთან ერთად მაღალ დონეზე იყო მევენახეობა-მებაღეობა. მოჰყავდათ აგრეთვე, ბრინჯი, სელი, ბამბა. მისდევდნენ მეაბრეშუმეობასაც. მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა მესაქონლეობას (ცხენი, ძროხა, კამეჩი, ცხვარი, თხა, ღორი და სხვ.), მეთევზეობას, მეფუტკრეობას, მონადირეობას.

ფეოდალიზმის დროს სასოფლო-სამეურნეო იარაღი ნელი ტემპით ვითარდება, მაგრამ ამ პერიოდში მაინც უმჯობესდება ქართული სახვნელი იარაღი „ერქვანი“ და იქმნება „დიდი ქართული გუთანი“, რომელიც უფრო ღრმად ხნავს მიწას. ის XIX ს-შიც იყო ხმარებაში. ქართული „გუთანი“ გავრცელდა ოსეთში, სომხეთში, ჩეჩნეთ-ინგუშეთში და სხვ. დიდი გუთანი ქართლის ბარში იხმარებოდა, მთაში იყო ე. წ. აჩაჩა გუთანი.

ქალაქები, ხელოსნობა, ვაჭრობა, ფინანსები. XI–XII სს-ში აღმავლობას განიცდის, აგრეთვე, საქალაქო ცხოვრება. ამ დროის მნიშვნელოვანი ქალაქები იყო: თბილისი, ქუთაისი, რუსთავი, გორი, დმანისი, თელავი, ცხუმი (სოხუმი), ჟინვალი, არტანუჯი, ახალქალაქი, ახალციხე, სამშვილდე, ხუნანი და სხვ.

საქართველოს მეფეები, განსაკუთრებით დავით აღმაშენებელი და თამარი ზრუნავდნენ გზების შეკეთებაზე და ახალი გზების გაყვანაზე. გზებზე აგებდნენ ხიდებსა და სასტუმრო-ფუნდუკებს, ქარვასლებს. ღებულობდნენ ღონისძიებებს მძარცველთაგან ვაჭრების დასაცავად.

ქალაქი შედგებოდა დედაციხისა და მის ირგვლივ მდებარე საკუთრივ ქალაქისაგან, რომელსაც ჰქონდა რამდენიმე კარი. მაგალითად, თბილისს ჰქონდა 5 კარი. შიდა ციხეში ცხოვრობდა ქალაქის მფლობელი (მეფე ან დიდებული) თავისი მსახურებით და მეციხოვნეებით; აქვე იყო კარის ეკლესია. საკუთრივ ქალაქში ცხოვრობდნენ მოქალაქეები (ვაჭარ-ხელოსნები). ზოგიერთი ქალაქში იყო საეპისკოპოსო საყდარი და ეპისკოპოსის სასახლე.

დედაქალაქში იყო საჭურჭლე (სამეფო ხაზინა), ზარაფხანა (ფულის მოსაჭრე-

---

გელათი. ღმრთისმშობლის მიძინების ტაძარი. დავით აღმაშენებლის ფრესკული გამოსახულება სამხრეთ კედელზე. XIV ს., განახლებული XVI ს-ში. წარწერა თავის გარშემო (XVI ს.): „დიდი, მეფეთა შორის წარჩინებული, აღმაშენებელი დავით; საუკუნოდ-მცა არს ჴსენებაჲ მისი“.

ლი) და სხვა სახელმწიფოს დაწესებულებები. ქალაქში იყო მოედანი, ბაზარი, სახელოსნო რიგები დუქნებით (ქულბაგებით), სასტუმრო, ქარვასლა.

ქალაქის მდინარეზე (მაგ., თბილისში მტკვარზე) იყო წისქვილები, წყლის საქაჩავები, აბანოები. თბილისში იყო რამდენიმე ათეული გოგირდოვანი თბილი წყლების აბანო.

XIII ს-ის დამდეგის თბილისზე ცნობას გვაწვდის სპარსული გეოგრაფიული თხზულება. აქ აღნიშნულია, რომ თბილისი ამ დროს იყო დიდი ქალაქი, რომელსაც შუაზე ჰყოფდა მდინარე. მასზე გადებული იყო ერთმალიანი დიდი ხიდი, რომლის ქვეშ გემები გადიოდნენ. ხიდის ახლოს იყო მრავალი საბაზრო ადგილი. ქალაქის პირდაპირ, მდინარის პირას, იყო ციხე, სადაც აგებული იყო მეფეთა სასახლეები. ქალაქში იყო მრავალი წისქვილი, ჯაჭვით დამაგრებული მდინარეში. აქ იყო დოლაბები (წყალამწევი ბორბლები) და ბაღები. თბილისში იყო 65 აბანო ბუნებრივად ცხელი წყლით. ქალები ატარებენ ქუდებს და პირისახეს არ იფარავენ (გარდა მუსლიმებისა). თბილისში იყო შემდეგი საქონელი: სპილოს ძვლით ინკუსტრირებული უნაგირები, კაპარჭები (საისრე ყუთები), თაფლი, ცვილი, ბროწეული, მონები, მხევლები, შუშა, ბროლის ნაწარმი.

საქართველოს ქალაქების მოსახლეობის ზედაფენას ფეოდალური არისტოკრატია შეადგენდა, ძირითად ნაწილს - ვაჭრები და ხელოსნები, რომელთა შორის იყვნენ თავისუფლებიც და ყმებიც. ვაჭართა ზედაფენა იყო დიდვაჭრები, რომელთაც ჰყავდათ თავიანთი მეთაური – ვაჭართუხუცესი.

საქართველოს სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა ბიზანტიასთან, ირანთან, ეგვიპტესთან, რუსეთთან.

საქართველოდან გაჰქონდათ, როგორც სოფლის მეურნეობის პროდუქტები (ღვინო, კაკალი, ცვილი, თაფლი), ისე ხელოსნური ნაწარმი (კერამიკა, აბრეშუმის, ბამბის და შალის ქსოვილები, ხალიჩები, იარაღ-საჭურველი).

მიმოქცევაში იყო როგორც ქართული, ისე უცხოური ფული. ქართული ფული იჭრებოდა თბილისში, ქუთაისში, დმანისსა და ახალციხეში.

სახელმწიფოს შემოსავალი იყო: 1. მოსახლეობის (ყმა-გლეხების) გადასახდი, ფულადი და ნატურალური; 2. *ბაჟი* – ადგილობრივი და უცხოელი ვაჭრებიდან; 3. *ხარკი* – დაპყრობილი ქვეყნებიდან; 4. *ნადავლი* – ძლევამოსილი ლაშქრობებიდან.

მოსახლეობის რაოდენობა საქართველოში XII–XIII სს-ში დაახლოებით 5 მილიონს შეადგენდა. თბილისში იყო 100 ათასამდე მცხოვრები, რუსთავში – 20 ათასამდე.

გელათი. დავით აღმაშენებლის ჯვარი. დამზადებულია X ს-ში. ქვედა მკლავის ქვემოთ გვიან დაკრულია ოქროს ფირფიტა ასომთავრული წარწერით: „ღმერთო, ყოველსა დამბადებელო, ადიდე შენ მიერ გჯრგჯნოსანი დავით, აფხაზთა და ქართველთა, ჰერთა და კახთა მეფე – მზე ქრისტეანობისაი, ამენ“.



ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალური ურთიერთობა. ამ პერიოდში საქართველოს საზოგადოებრივი სტრუქტურა შემდეგი იყო:

1. ყმა-გლეხობა – მიწაზე მიმაგრებული, ფეოდალების მიერ ექსპლუატირებული მწარმოებელი მოსახლეობა. მათი ნაწილი მეფეს ეკუთვნოდა, ნაწილი – ფეოდალებს, ნაწილი – ეკლესიას. გლეხები იხდიდნენ სამეფო, საეკლესიო და საბატონო გადასახადებს. გლეხის სამეურნეო ერთეულს ეწოდებოდა „ფუძე“ (სახნავ-სათესი, ვენახი, ბაღ-ბოსტანი, ეზო-კარმიდამო), რომელსაც ის მემკვიდრეობით ფლობდა. იურიდიულად ეს მიწა ბატონს ეკუთვნოდა და გლეხს მისი გაყიდვა არ შეეძლო. გლეხი ბატონს უხდიდა ნატურალურ გადასახადს (ხორბლეული, ღვინო, ხორცი, ხილი და სხვ.), აგრეთვე, კვირის გარკვეულ დღეებში მუშაობდა ბატონის მამულში, ან ემსახურებოდა ოჯახში. იყო, აგრეთვე, ფულადი გადასახადი. კანონით დადგენილ საგლეხო ვალდებულებებს ბატონები ჩვეულებრივ ზრდიდნენ ხოლმე თავისი სურვილისამებრ. ერთ ფუძეზე ზოგჯერ ორი-სამი ოჯახი იჯდა.

2. თავისუფალი გლეხები (ერი, ერისაგანნი). გლეხთა ნაწილი ჯერ კიდევ ინარჩუნებდა თავისუფლებას, თუმცა, მათი რაოდენობა სულ უფრო მცირდებოდა.

3. ფეოდალური კლასის ორი წოდება: დიდებულები და აზნაურები. ისინი წარმოადგენდნენ ყმა-მამულის მფლობელებს და ფლობდნენ სხვადასხვა სახელმწიფო თანამდებობას. ფეოდალს ჰქონდა სასახლე (დიდებულს რამდენიმე), აგრეთვე ციხე. იყვნენ უციხო აზნაურებიც (წვრილი აზნაურები). ფეოდალს ჰქონდა მონასტერიც (იყვნენ უმონასტრო აზნაურებიც) და თავისი საგვარეულო სასაფლაო.

რამდენამდე თავისებური ვითარება იყო მაღალმთიან ზოლში, სადაც უფრო ძლიერი იყო პირველყოფილი თემური წყობილების გადმონაშთები. XI-XII სს-ში სწრაფად წავიდა წინ მთის ფეოდალიზაციის პროცესი.

თამარის მეფობის ხანაში აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მოსახლეობის ნაწილი აჯანყდა, რასაც სამეფო ხელისუფლება დიდი სისასტიკით გაუსწორდა. ამის შესახებ ცნობას გვაწვდის თამარის პირველი ისტორია („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“). აჯანყება მეფის ჯარმა ჩააქრო ივანე ათაბაგის სარდლობით.

გიორგი ჭყონდიდლის დაკვეთით გადაწერილი ხელნაწერის გვერდი (ხელნაწერთა ინსტიტუტი, S-4928), მისი მოსახსენებლით: „ქრისტე, ადიდე გიორგი ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსი“; XI-XII სს. მიჯნა.

ამ პერიოდში ქართულმა ფეოდალურმა კულტურამ განვითარების უმაღლეს დონეს მიაღწია. პოლიტიკურ სიძლიერეს კულტურული აღმავლობაც შეესაბამებოდა.

სწავლა-განათლების და მწიგნობრის კერები. განათლებისა და მწიგნობრობის ცენტრები, ისევე როგორც წინა პერიოდში, კვლავ ეკლესია-მონასტრები იყო.

გელათის მონასტერთან დაარსდა *გელათის აკადემია*, რომელსაც მოძღვართ-მოძღვარი ხელმძღვანელობდა. მისი პირველი რექტორი იყო ცნობილი მეცნიერი იოანე პეტრიწი. იყალთოს აკადემია (თელავთან) დააარსა არსენ იყალთოელმა.

შიომღვიმის მონასტერი ასევე კულტურის მნიშვნელოვან ცენტრი იყო. ცხოვრების ბოლო წლებში აქ მოღვაწობდა არსენ იყალთოელი.

საზღვარგარეთის ქართული კულტურის ცენტრებიდან კვლავ მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ *ათონის* ქართველთა მონასტერი (საბერძნეთში), *ჯვრის* ქართველთა მონასტერი (იერუსალიმში), *პეტრიწონის* მონასტერი (ბულგარეთში) და სხვ.

დაწყებითი სკოლები იყო მონასტრებთან. კერძო სკოლები იყო მეფისა და მსხვილი ფეოდალების სასახლეებში. ასწავლიდნენ მწიგნობრობას, ფილოსოფიას, რიტორიკას, მათემატიკას, ისტორიას, უცხო ენებს.

ნიჭიერ ახალგაზრდებს გზავნიდნენ ბიზანტიაში განათლების მისაღებად.

მოძღვართ-მოძღვარი (გელათის აკადემიის რექტორი) და მოძღვრები (მასწავლებლები) დიდი პატივით სარგებლობდნენ საქართველოში.

ლიტერატურა. საზღვარგარეთულ ქართული კულტურის ცენტრებში მიმდინარეობდა ინტენსიური მთარგმნელობითი მუშაობა. თარგმნიდნენ საღვთისმეტყველო, ფილოსოფიურ, მეცნიერულ და მხატვრული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებს.

განვითარდა საერო მხატვრული ლიტერატურა. ამ დროს დაიწერა მოსე ხონელის საგმირო-სარაინდო რომანი „ამირან-დარეჯანიანი“, რომელიც ხოტბას ასხამს ვაჟკაცობას. შეიქმნა სახოტბე პოეზია, რომლის ბრწყინვალე ძეგლებია ჩახრუხაძის „თამარიანი“ და იოანე შავთელის „აბდულმესია“; ისინი მიძღვნილია თამარ მეფისა და დავით სოსლანისადმი და აქებენ მეფეს, განადიდებენ ძლიერ ფეოდალურ მონარქიას.

ამ პერიოდში შეიქმნა ქართული პოეზიის გვირგვინი, გენიალური პოემა *შოთა რუსთველისა* - „ვეფხისტყაოსანი“. მას საპატიო ადგილი უკავია მსოფლიო ლიტერატურის გენიალურ ქმნილებათა შორის. რუსთაველი უმღერის

გელათი. მონასტრის არქიტექტურული კომპლექსი: წინ – ღმრთისმშობლის მიძინების ტაძარი, ნმ. ნიკოლოზის ეკლესია და მის ქვემოთ წყარო, მათ შორის (მოჩანს გუმბათი, II სართული) – სამრეკლო.





სამშობლოს, სიყვარულს, რაინდობას, მეგობრობას, ხალხთა შორის ძმობას, ქალის თაყვანისცემას. „ვეფხისტყაოსანმა“ დიდი გავლენა მოხდინა მომდევნო ხანის ლიტერატურის და საერთოდ ქართული ლიტერატურის განვითარებაზე. ამ პოემას ქალს მზითვად ატანდნენ. ბევრმა ზეპირადაც იცოდა.

მეცნიერება. ამ პერიოდში მიღვაწობდნენ ფილოსოფოსები: *ეფრემ მცირე, იოანე პეტრინი, არსენ იყალთოელი.*

განსაკუთრებით განვითარდა საისტორიო მწერლობა. ამ დროსაა შექმნილი დავით აღმაშენებლის ისტორია - „ცხოვრება მეფეთა მეფისა დავითისი“, უცნობი ავტორისა. თამარის ორი ისტორიკოსის თხზულება: „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, უცნობი ავტორისა და „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“, რომელსაც ბასილი ეზოსმოძღვარს მიაწერენ. ამავე პერიოდში დაიწერა ე. წ. „ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანის“ თხზულება, სადაც მოკლედ გადმოცემულია ხუთი მეფის – დემეტრე I-ის (1125-1156), დავით V-ის (1155), გიორგი III-ის (1156-1178), თამარის (1184-1210) და ლაშა-გიორგის (1210-1223) ისტორია.



გელათი. გალავნის სამხრეთის კარიბჭე. დავით აღმაშენებლის საფლავის ფილა; წარწერა ფილაზე: „†ესე არს განსასუენებელი ჩემი უკუნითი უკუნისამდე; ესე მინავს; აქა დავემკვდრო მე“ (შდრ. ფს. 131,14).

შედგა ქართული მატიანეების კრებული - „ქართლის ცხოვრება“; მასში შევიდა XI ს-ის ისტორიკოსთა თხზულებები: ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრება“ (უძველესი დროიდან ვახტანგ გორგასალის მეფობამდე), მისივე „წმ. ნინოს ცხოვრება“ და „არჩილის წამება“; ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა“ (V–VII სს.); უცნობი ავტორის „მატიანე ქართლისა“ (VIII–XI სს.); სუმბატ დავითისძის „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა“ (VI–XI სს.); შემდეგ „ქართლის ცხოვრებაში“ შეიტანეს დავით აღმაშენებლის ისტორია, თამარის ისტორიები და ა.შ. XII ს-ში „ქართლის ცხოვრება“ ითარგმნა სომხურად.

ამ თხზულებებში გადმოცემულია უმთავრესად პოლიტიკური ისტორია, ბრძოლები უცხო დამპყრობთა წინააღმდეგ, ქართული მიწების გაერთიანება,

გელათი. ღმრთისმშობლის მიძინების ტაძარი. XII ს-ის 20-30-იანი წლები.

მეფეებისა და დიდებულთა მოღვაწეობა. თხზულებები გამსჭვალულია პატრი-
ოტული სულისკვეთებით.

ხელოვნება. ამ დროს შეიქმნა ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლები: გელათი, იკორთა (XII ს., შიდა ქართლში), ბეთანია (XII ს. ქვემო ქართლში), ყინწვისი (XIII ს. – შიდა ქართლი), კლდეში ნაკვეთი ვარძიის სამონასტრო კომპლექსი (ჯავახეთში, გიორგი III-სა და თამარის მეფობაში აგებული), მოხატული ეკლესიით, მრავალრიცხოვანი სენაკებითა და სათავსოებით.

კედლის მხატვრობის (ფრესკების) ბრწყინვალე ნიმუშები შემოგვრჩა: გელათში, ბეთანიაში, ყინწვისში, ბერთუბანში, ვარძიაში და სხვ.

ბრწყინვალე მინიატურებითაა შემკული ხელნაწერი წიგნები ოთხთავები: გელათის, ლაფსყალდის, ვანის და სხვ.

სახელოვანი ოქრომჭედლები იყვნენ ბექა და ბეშქენ ოპიზრები, რომელთა ნახელავია წიგნის ყდები, ხატების ჩარჩოები (მაგ. ხახულის ანჩის ხატის მოჭედილობა). განვითარდა ქართული მინანქარის ხელოვნება.

ამ პერიოდის ქართულ კულტურას ახასიათებს ის ნიშნები, რაც შემდგომ საფუძვლად დაედო ევროპულ რენესანს (აღორძინების ხანას).

გელათის მონასტრის დაარსებაზე და იქ სწავლულ კაცთა მოწვევაზე ცნობას გვაწვდის დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. ის გვამცნობს, რომ ტაძარი აგებულ იქნა მშვენიერ ადგილზე და თავისი ბრწყინვალებით აღემატებოდა ყოველივეს. აქ მეფემ შემოკრიბა რჩეული სწავლულები როგორც თავისი ქვეყნიდან, ისე უცხოეთიდან. გელათი გახდა აღმოსავლეთის მეორე იერუსალიმი და ახალი ათინა.

იგივე ისტორიკოსი გვამცნობს გელათში ქსენონის (საავადმყოფოს) დაარსების შესახებ, რომელიც მეფემ უზრუნველყო მატერიალურად და რომელსაც პირადად უწევდა მეთვალყურეობას და ყოველმხრივ მზრუნველობას.

გელათს უმღერის პოეტი იოანე შავთველი და უწოდებს მას ახალ რომს და ელადას (საბერძნეთს): „ახალო რომო, შენთვის თქვეს რომო, უმჯობეს არსო არსთა ყოველთა", „ვნატრი ელადასა, თვით მას გელათსა..." და სხვ.

წყაროსთავის XII ს-ის (1195 წ.) ვერცხლით მოჭედილი სახარების წარწერა გვამცნობს, რომ ის მოჭედა ოქრომჭედელმა ბექა ოპიზარმა, ხოლო ხელნაწერის ანდერძის მიხედვით ამ საქმეზე დაიხარჯა ორასი დრამის ვერცხლი და ორი დრამის ოქრო და თვალმარგალიტი, ოქრომჭედლის ხელფასი – 20 დრამა.

წვირმი (ზემო სვანეთი). მეფის მხატვარი თევდორე;
მაცხოვრის ფრესკული გამოსახულება ეკლესიის საკურთხეველში; 1130 წ.




პირობითი აღნიშვნები
დედაქალაქები
ქალაქები
კულტურის ცენტრები
სხვა მნიშვნელოვანი პუნქტი
ბრძოლების ადგილები
კლდეკარის საერისთაო
ეკლესიები
ციხეები
ნიკოფსია
ქაშაგეთი
ცხუმი
აპონტოს ზღვა
(შავი ზღვა)
ფოთი
ხუფათი
ტრაპიზონი
ოლთისი
ერზინკა
მანასკერტი
ხლათი
ვანის ტბა
ყივჩაყეგი
ოვსეთი
დურძუკეთი
დარიალი
ხუნძეთი
კახეთ-ჰერეთი
ლეკეთი
დარუბანდი
კასპიის ზღვა
გელათი
ჭყონდიდი
ქუთაისი
ნაჭარმაგევი
რუისი
გორი
ურბნისი
ოცხე
ახალციხე
კლდეკარი
1121
დიდგორი
ორიალეთი
მცხეთა
თელავი
ბოცილისი
რუსთავი
სამშვილდე
ახალქალაქი
თმოგვი
დმანისი
სომხითი
გაგი
გიში
შაბურანი
ყაბალა
ხუნანი
ქალაძორი
ერწუხი
1105
შემახა
არვანი
მტკვარი
ლორე
თაუში
შამქორი
განძა
ბარდავი
ნბაილაჯანი
არაქსი
ადარბადაგანი
ტაოსკარი
თუხარისი
არტანუჯი
ოპიზა
ქარდიაჭანეთი
ბიზანტია
ჯარი
ანისი
აშორნია
სურმარი
დვინი
გელაქუნის ტბა
კარნუქალაქი
სომხეთი
ნახჭევანი
არჭეში
თურქ-სელჩუკთა სახელმწიფო

14. შოთა რუსთველი

ქართული მხატვრული შემოქმედების მწვერვალია ვრცელი პოემა „ვეფხისტყაოსანი“ (ბოლო აკადემიური გამოცემის მიხედვით 1988 წლისა შეიცავს 1666 სტროფს), რომლის ავტორია XII ს-ის II ნახ-ისა და XIII ს-ის დასაწყისის მოღვაწე შოთა რუსთველი. ეს ნაწარმოები არა მარტო ქართული, არამედ მსოფლიო ლიტერატურის შედევრია, როგორც შესრულების ვირტუოზულობით (დაწერილია თექვსმეტმარცვლოვანი საზომით, შაირით, დაბალი და მაღალი შაირით დაწერილი სტრიქონების პერიოდული მონაცვლეობით), ისე იდეურ-მსოფლმხედველობითი თვალსაზრისით (მეგობრობისა და სიყვარულის აპოლოგია, მოყვასისთვის თავდადება, ურთიერთგაგება...).

ცნობები შოთა რუსთველის შესახებ მეტად მწირია, ან თითქმის არაა შემონახული. მის შესახებ მსჯელობა მკვლევარებს, ძირითადად, უხდებათ მისი ნაწარმოების მიხედვით (მსოფლმხედველობა, იდეალები, მოძღვრება შაირობასა და მიჯნურობაზე, იდეურ-თემატური მოტივები, სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი, ავტორის ჰუმანისტური მსოფლმხედველობა და სხვ.). პოემის რუსთველისეული ავტორობის შესახებ ცნობები დაცულია: 1) თვით პოემაში - „დავჯე, რუსთველმან გავლექსე, მისთვის გულ-ლახვარ-სობილი“; „მე რუსთველი ხელობითა ვიქმ საქმესა ამა დარი“; 2) XV-XVIII სს. ქართველ მწერალთა ნაწარმოებებში (თეიმურაზ I, არჩილი...). შემონახულია პოეტის შედარებით ადრეული ორი გამოსახულება: 1) იერუსალიმში, ქართველთა ჯვრის მონასტრის სამხრეთ-დასავლეთის გუმბათქვეშა ბურჯზე, მაქსიმე აღმსარებელსა და იოვანე დამასკელს შორის, რომელსაც ახლავს წარწერა - „ამისა დამხატავსა შოთას, შეუნდვენ ღმერთმან, ამენ; რუსთველი“. ამ ფრესკული გამოსახულებისა და მისი თანმხლები წარწერის დათარიღების საკითხში მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა (XII-XVII სს. შორის). გამოსახულების კარგად შემონახული სახე 2004 წელს ბოროტგანმზრახველის მიერ ჩამოფხეკილი იქნა; 2) პოემის 1646 წლის ხელნაწერის, ე.წ. მამუკა თავქარაშვილისეულ მინიატურაზე. ეს ჩვენამდე მოღწეული პოემის უძველესი ხელნაწერია. ამაზე ადრინდელია პოემის ცალკეული ტაეპები მიწერილი XIV და XV სს. ხელნაწერებზე, ორი მინაწერი სტრიქონი ვანის ქვაბთა მონასტრის სამრეკლოს კედელზე XV-XVI სს. მიჯნისა; XVI ს-ის უკანასკნელი მეოთხედით თარიღდება ქაღალდზე გადაწერილი ორფურცლიანი ფრაგმენტი, აღმოჩენილი 1964 წელს ახალციხის მუზეუმის ხელნაწერთა შორის (ამჟამად ერთი ფურცელი ინახება ახალციხის მუზეუმში, ხოლო მეორე - თბილისში, ხელნაწერთა ინსტიტუტში). საერთოდ, მოღწეულია პოემის 150-ზე მეტი ხელნაწერი, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა გვიან შუასაუკუნეებს განეკუთვნება.

საქართველო XI-XII სს. მიჯნაზე (დავით აღმაშენებლის დროს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოემის ავტორის სახელწოდება უკავშირდება გეოგრაფიულ სახელს *რუსთავი*. რუსთველი შეიძლება ნიშნავდეს ან რუსთავის მკვიდრს, იქიდან წარმოშობილს, ან რუსთავის ციხე-ქალაქის გამგებელს, მის მეპატრონეს. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში მეორე მნიშვნელობა იგულისხმება. საქმე ის არის, რომ იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ერთი სააღპე ჩანაწერის მიხედვით შოთა, რომელიც რუსთველად არის მიჩნეული, მეჭურჭლეთუხუცესი ყოფილა, ხოლო XII ს-ის დასასრულის საქართველოში მეჭურჭლეთუხუცესის საგამგეო ქვეყანა „შვიდთა მთეულეთთან“ ერთად რუსთავიც იყო. ამით თითქოს, შოთა რუსთველი თბილისთან მდებარე რუსთავის პატრონი გამოდის და მისი გვარიც ამ ადგილს უკავშირდება. სხვა ვერსიით, შოთა რუსთველი წარმოშობით მესხი იყო. ასეთად თვლის მას მეფე-პოეტი არჩილ II, ხალხური გადმოცემა და „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელებანი. მართლაც, ახალციხე-ასპინძის გზის ხელმარცხნივ მდებარეობს დიდი სოფელი – რუსთავი. თუ პოეტი აქედან იყო წარმოშობით, მაშინ მისი გვარი – რუსთველი, წარმომავლობის აღმნიშვნელია და არა თანამდებობის.

ყველაფრიდან ჩანს, რომ შოთა რუსთველი სამეფო კარის პოეტი უნდა ყოფილიყო. მისი პოემის პროლოგში შექებულია მეფე თამარი და მისი „ლომი“ დავით სოსლანი. ავტორის თქმით, პოემის დასაწერად იგი განაწყო თვით თამარ მეფემ („მიბრძანეს მათად საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა“), რომელსაც იგი მეფე-მზეს უწოდებს („მეფისა მზის თამარისა“). ამ და პოემის ტექსტის სხვა მინიშნებების მიხედვით, ნაწარმოები ადვილად თარიღდება 1189-1207 წწ. (ქვედა თარიღია თამარისა და დავით სოსლანის შეუღლების წელი, ხოლო ზედა თარიღია – დავით სოსლანის გარდაცვალების წელი).

საკუთრივ პოემა „ვეფხისტყაოსანი“ ორპლანიანი, რთული სიუჟეტის ნაწარმოებია. აქ მოთხრობილია ორი ამბავი – ერთი გაშლილია ინდოეთში და მოგვითხრობს ნესტანისა და ტარიელის თავგადასავალს, ხოლო მეორე – არაბეთში და გადმოგვცემს თინათინისა და ავთანდილის ამბავს. ორივე ეს ამბავი ერთმანეთში გადახლართულია და ჰქმნის პოემის ძირითად სიუჟეტს, რომელიც გამდიდრებულია გვერდითი, ჩანართი, შენაკადი ეპიზოდებით – ფარსადანის ამბავი, ფატმანის ამბავი და სხვ. მეტად მდიდარია პოემის პერსონაჟთა წრე. მასში გამოყვანილია სხვადასხვა მოდგმის, სოციალური მდგომარეობის, ხასიათისა და თვისებების ადამიანები (დავარი, ასმათი, როსტევანი, რამაზი...). აღსანიშნავია, რომ „ვეფხისტყაოსანი“ მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი პირველი ნაწარმოებია, რომელშიც გამოყვანილია ვაჭართა წრე (უსენი...).

„ვეფხისტყაოსანში“ ბუნებრივად, ძალდაუტანებლად, უშუალოდ ასახულია XII ს-ის დასასრულის საქართველოს ცოცხალი, რეალური სინამდვილე. ცხადია, იმდროინდელი ქართული საზოგადოებისთვის მეტად აქტუალური იყო

ანჩის მაცხოვრის კარედი ხატის ცენტრალური ნაწილი. ჩარჩოს ჭედურობა შესრულებულია ბექა ოპიზრის მიერ; XII ს. ბოლო.





სამეფო ტახტზე ქალის დასმის საკითხი, რასაც ადრე ადგილი საქართველოში არ ჰქონია. სწორედ ამ დროს დაწერა კათალიკოსმა ნიკოლოზ გულაბერის-ძემ „საკითხავი სუეტისა ცხოველისა, კუართისა საუფლოჲსა და კათოლიკე ეკლესიისა“, რომელშიც წინ იყო წამოწეული ქართველთა განმანათლებელი ქალის – წმ. ნინოს როლი ამ საქმეში. ასევე, „ვეფხისტყაოსანში“ გადაჭრითაა დასაბუთებული ქალი უფლისწულის გამეფების კანონზომიერება („ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“).

იმან, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის შესახებ თითქმის არაფერია ცნობილი, მკვლევართა შორის წარმოშვა აზრთა სხვადასხვაობა მის შემოქმედებასა და პიროვნებაზე. მაგ., პ. ინგოროყვა და მკვლევართა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ შოთა რუსთველს დაწერილი უნდა ჰქონოდა ჩვენამდე არმოღწეული ნაწარმოები პირობითი სახელწოდებით „ქებანი“; ზოგიერთი მასვე მიაწერს თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის თხზულების - „ისტორიანი და აზმანი შარავადედთანის“ ავტორობას; ზოგიერთი თვლის, რომ შოთა რუსთველის საისტორიო პროზაული ნაწარმოების ნაწყვეტია თამარ მეფის მეორე ისტორიკოსის თხზულებაში ჩართული ფრაგმენტი, რომელიც იწყება სიტყვებით „იცვალა ფერი ქართველთა მხიარულებისა“ და სხვ. არსებობს მოსაზრება, რომ შოთა რუსთველი უნდა იყოს იგივე ყუთლუ-არსლანი, თამარის დროის მეორე დიდი პროგრესული მოაზროვნე, რომლის დამხობის შემდეგ მისი გენიალური პოეტური ნაწარმოები არ დაიკარგა და გავრცელდა და შემოინახა რუსთველის სახელით. არსებობს მოსაზრება იმის შესახებაც, რომ შოთა რუსთველი და დემნა უფლისწული, თამარის ბიძაშვილი, 1177 წელის შეთქმულება-აჯანყების ღერძი, ერთიდაიგივე პირია და სხვ. მაგრამ, ყველა ეს მოსაზრება მხოლოდ ვარაუდებია, დამყარებული მეტ-ნაკლები ხარისხის არგუმენტაციაზე.

ტბეთის სახარება-ოთხთავი. 988 წ.; ყდის ჭედურობა XII ს.; ოქრომჭედელი ბეშქენ ოპიზარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილი V

ქართული მონარქიის დაღმავლობა

1. ლაშა-გიორგის მეფობა

თამარის გარდაცვალების შემდეგ საქართველოს სამეფო ტახტი დაიკავა მისმა ვაჟიშვილმა ლაშა-*გიორგიმ* (გიორგი IV, 1210-1223), რომელიც დედის სიცოცხლეშივე იყო დასმული თანამოსაყდრედ (1205 წ.). XIV ს-ის ქართველი ისტორიკოსის (მისი ვინაობა უცნობია) - *ჟამთააღწერლის* ცნობით, ლაშა თანამოსაყდრედ ეკურთხა 13 წლის ასაკში, თამარის გარდაცვალებამდე 5 წლით ადრე, ხოლო გამეფდა 18 წლის ასაკში. ლაშა საალერსო სახელია და სიტყვასიტყვით აფსართა (ერთ-ერთი აფზახურ-ჩერქეზული ეთნიკური ჯგუფის) ენაზე ნიშნავს „განმანათლებელს სოფლისა“.

ლაშას მეფობისას თავი იჩინა მთელმა რიგმა საშინაო და საგარეო გართულებებმა. მეფე ცდილობდა დავით აღმაშენებლისა და გიორგი III-ის საშინაო პოლიტიკური კურსის აღდგენას, რაც მიზნად ისახავდა უძლიერეს ფეოდალთა თვითნებობის შეზღუდვასა და მეფის ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებას. დიდგვარიან ფეოდალებთან ბრძოლაში ლაშა-გიორგი ეყრდნობოდა არა მარტო თავისი ორიენტაციის მომხრე ფეოდალური ზედაფენის ერთ ნაწილს (თანამოასაკენი), არამედ დაბალი სოციალური წარმოშობის პირებსაც (მოქალაქენი), როგორც ეს არაერთხელ გაუკეთებიათ გაერთიანებული საქართველოს სხვა მეფეებსაც. მაგრამ საქართველოს დიდგვარიანი ფეოდალები, რომლებმაც თამარის მეფობის დასაწყისში აღიდგინეს შელახული უფლებები, ადვილად არ თმობდნენ თავიანთ პოზიციებს და ყველა საშუალებით ებრძოდნენ მეფეს. საბოლოოდ ლაშა-გიორგი დამარცხდა ამ შინაპოლიტიკურ ბრძოლაში. იგი იძულებული გახდა პირობაც დაედო დიდგვარიანებისათვის, რომ მათთან თათბირის გარეშე გადაწყვეტილებებს არ მიიღებდა.

ლაშა თავისუფალი რწმენისა და აზროვნების ადამიანი იყო. მან თანამეცხრედრის არჩევასაც პირადი გრძნობა დაუდო საფუძვლად და არა მაშინ-

---

ჯრუჭის II სახარება-ოთხთავი. XII ს. მინიატურა – ქრისტეს ამაღლება.


ժողովածոյ
ամբ։
ապրիլի ԺԶ-ին
կը տաճարեմ
զայն
զի։



დელი სახელმწიფო სამართლის მიხედვით გაბატონებული თვალსაზრისი, რომლის ძალითაც მეფე ვალდებული იყო თანამეცხედრედ მეფის ასული მოეყვანა. ლაშა დაუკავშირდა ველისციხელი აზნაურის ქალს, რომელთანაც ვაჟიშვილი შეეძინა – დავითი (შემდეგში *დავით VII ულუ*). მართალია, დიდგვარიანებმა მეფე ამ ქალს დააშორეს და მისი ძეც კანონიერ მემკვიდრედ არ სცნეს, მაგრამ ლაშა თავისი სიყვარულის ერთგული დარჩა და სხვა ცოლი აღარ შეურთავს. ლაშა-გიორგის ასეთი სწრაფვა პიროვნული თავისუფლებისაკენ და ამქვეყნიური ბედნიერებისათვის შემთხვევითი არ იყო. საქართველოში იმ დროს ასეთი შეხედულებები საყოველთაოდ ვრცელდებოდა და საეკლესიო წრეების შეხედულებებს უპირისპირდებოდა. ლაშას თანამოაზრეებიც ბევრი ჰყავდა, მაგრამ ამ იდეების საბოლოო გამარჯვებისათვის მაშინდელ საქართველოში ჯერ კიდევ ნიადაგი სათანადოდ მომზადებული არ იყო (XV ს-დან ასეთი მოძრაობა ფართოდ გავრცელდა დასავლეთ ევროპაში *ჰუმანიზმის* სახელწოდებით).

ასეთ დაძაბულ საშინაო ვითარებას საგარეო გართულებაც დაერთო. ლაშა-გიორგის მეფობის დასაწყისშივე დამოუკიდებლობა მოინდომეს საქართველოს ყმადნაფიცმა ქვეყნებმა. თავდაპირველად საქართველოს განუდგა *განძა*, რომელმაც ხარკის გადახდა შეწყვიტა. გიორგი IV-მ გაილაშქრა განძის ათაბაგის წინააღმდეგ. საქართველოს ლაშქარმა განძას ალყა შემოარტყა. ალყა დიდხანს გაგრძელდა. ლაშა-გიორგიმ 4-ათასიანი მხედრით სამხედრო ხელისუფალთა (დიდგვარიანთა) უკითხავად ქალაქის გარშემოვლა დაიწყო. ეს შეამჩნიეს განძელებმა, მოულოდნელად გააღეს ქალაქის კარი და 10-ათასიანი მხედრობით ეკვეთნენ გიორგი-ლაშას რაზმს. ქართველებმა უდიდესი თავგანწირვის ფასად მოახერხეს მტრის ჭარები ძალების მოგერიება და მეფის ცოცხლად გამოხსნა. ამ დაუდევარი და თვითნებური საქციელის გამო სამხედრო ხელისუფლებმა მეფეს საყვედური უთხრეს და ლაშქრიდან წასვლით დაემუქრნენ. გიორგი IV იძულებული იყო ბოდიში მოეხადა მათ წინაშე. განძა საბოლოოდ ხანგრძლივი ალყით იქნა აღებული. განძის ათაბაგმა კვლავ განაახლა ხარკის გადახდა და თავი საქართველოს ყმადნაფიცად ცნო.

1219 წელს იარაღის ძალითვე დაიმორჩილა გიორგი IV-მ გამდგარი ვასალები – ხლათის, არზრუმისა და ნახჭევნის თურქი მფლობელები.

ლაშა-გიორგიზე ცნობა დაცულია ფრანგი ჯვაროსანი რაინდის დე-ბუას წერილში, რომელიც მან გაუგზავნა ბეზანსონის (საფრანგეთში) არქიეპისკოპოსს. ეს წერილი მოწმობს, რომ საქართველოს შესახებ დასავლეთ ევროპაში იყო წარმოდგენა, როგორც ისეთ ძლიერ სახელმწიფოზე, რომელიც გაათავისუფლებდა ქრისტეს საფლავს თურქებისაგან. წერილში აღნიშნულია, რომ იბერიელმა ქრისტიანებმა „გეორგიანებმა“ გაილაშქრეს თურქებზე და აიღეს 300 ციხე და 9 ქალაქი. მალე ისინი გაათავისუფლებენ იერუსალიმსო. მათი

გელათის სახარება-ოთხთავი. XII ს. ლუკა მახარებლის მინიატურა.

წინამძღოლია 16 წლის მეფე (იგულისხმება ლაშა-გიორგი), რომელიც ვაჟკაცობით ალექსანდრე მაკედონელს ჰგავსო. მას თან მიაქვს თავისი დედის, უძლიერესი მეფის თამარის ძვლები, რომელსაც უთხოვნია შვილისათვის რომ მისი ძვლები ქრისტეს საფლავზე წაეღოთ.

ეს ლეგენდარული ცნობა ქართველთა ლაშქრობისა მოწმობს, თუ რა ძლიერი სახელმწიფოს სახელი ჰქონდა გავარდნილი ამ დროს ევროპაში საქართველოს.

მეორე დოკუმენტი – რუსუდან მეფის წერილი რომის პაპის ჰონორიუს III-სადმი მოწმობს, რომ დასავლეთ ევროპა რეალურად ცდილობდა ჩაება საქართველო ჯვაროსნულ ლაშქრობაში. რუსუდანი აცნობებს პაპს, რომ მისი ძმა გარდაიცვალა და მისი სამეფო მას დარჩა. ამის გამო ვერ განხორციელდა რომის პაპის თხოვნა, რომ მის ძმას გაელაშქრა ქრისტიანების შესაწევნად, თუმცა ლაშა-გიორგი ემზადებოდა ამ ლაშქრობისთვისო. მაგრამ, ამ დროს საქართველოს თავს დაესხნენ თათრები და დახოცეს 6 000 ქართველი. თავდაპირველად ქართველებს ისინი ქრისტიანები ეგონათ და არ უფრთხოდნენ, მაგრამ შემდეგ დარწმუნდნენ, რომ ისინი კარგი ქრისტიანები არ ყოფილანო.

2. მონღოლები და მათი გამოჩენა კავკასიაში

XII ს-ის მეორე ნახევარში *მონღოლები* ცხოვრობდნენ გვაროვნული წყობილებით ცენტრალურ აზიაში (დაახლოებით იქ, სადაც დღევანდელი მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაა). გვაროვნული წყობილება მონღოლებში ამ პერიოდში ირღვეოდა. 1206 წელს, მონღოლთა თავკაცების კრებაზე, *ყურულთაიზე* მონღოლთა საერთო წინამძღოლად თემუჩინი აირჩიეს, რომელსაც *ჩინგიზ-ყაენი* ეწოდა. ასე წარმოიქმნა მონღოლთა ადრეფეოდალური სახელმწიფო. ის მოწყობილი იყო სამხედრო პრინციპით: იყოფოდა ათიათასეულებად (ანუ დუმენებად), ათასეულებად, ასეულებად და ათეულებად. დუმენს მეთაურობდა ნოინი. მონღოლები სალაშქროდ მიდიოდნენ თავიანთი ცოლ-შვილით, რის გამოც მათი ლაშქრობა ხალხთა გადასახლებას ჰგავდა. იყვნენ კარგი ცხენოსნები და მშვილდოსნები. ისინი იკვებებოდნენ ცხენის ხორცით და ცხენის რძით. შეიარაღებულნი იყვნენ კარგად, რადგანაც დაპყრობილი ხალხებისაგან ითვისებდნენ საომარ ტექნიკას. ჰქონდათ მკაცრი სამხედრო დისციპლინა.

ჩინგიზ ყაენმა განახორციელა პირველი დაპყრობები. მან დაიპყრო აღმოსავლეთ ციმბირი, ჩინეთის იმპერია, ხოლო 1218 წელს შეიჭრა შუა აზიაში. აქ ამ დროს ყველაზე ძლიერი სახელმწიფო იყო *ხვარაზმი*. ხვარაზმშაჰი მუჰამედი დამარცხდა მონღოლებთან ბრძოლაში და გაიქცა კასპიის ზღვის კუნძულზე,

---

გელათის სახარება-ოთხთავი. XII ს. მინიატურა – „ეშმაკეულის განკურნება“.





ეროვნული ბიბლიოთეკა

სადაც გარდაიცვალა 1220 წელს. მონღოლებმა მუჰამედს დაადევნეს ორი დუმენი *ჯებეს* და *სუბუდაის* მეთაურობით. მონღოლები ამ დევნაში ამიერკავკასიაში შემოვიდნენ. ისინი ჯერ აზერბაიჯანში შეიჭრნენ, ხოლო შემდეგ საქართველოს საზღვრებს მოადგნენ. 1220-1221 წლებში ლაშა-გიორგიმ სამი ბრძოლა გაუმართა მონღოლებს და სამივეჯერ მარცხი განიცადა (ერთ-ერთ ბრძოლაში ლაშა-გიორგი დაიჭრა, დაავადდა და 1223 წელს გარდაიცვალა). მიუხედავად ამისა, მონღოლებს მაშინ საქართველოს დაპყრობა არ უცდიათ. ჯებე და სუბუდაი საქართველოდან გამობრუნდნენ და დარუბანდის გზით ჩრდილო კავკასიაში გადავიდნენ, სადაც 1223 წ. მდ. კალკასთან სასტიკად დაამარცხეს ყივჩაღთა და რუს მთავართა გაერთიანებული ლაშქარი. ამის შემდეგ კასპიის ზღვის ჩრდილოეთიდან შემოვლით დაბრუნდნენ თავის სამშობლოში.



ჩინგიზ-ხანი. ჩინური გრავიურა.

როდესაც მონღოლები საქართველოდან საბოლოოდ წასულებად ჩათვალა, ლაშა-გიორგიმ შინაურ საქმეებს მიხედა. სწორედ ამ დროს მისი დის, რუსუდანის ხელი შარავანდედმა ითხოვა. გიორგი დათანხმდა დის ქორწინებას. ქორწილი ბაგავანში გადაიხადეს. უკვე გამობრუნებას აპირებდა, რომ 1223 წლის 18 იანვარს ლაშა-გიორგი იქვე გარდაიცვალა.

გიორგი IV-ის დაკრძალვის შემდეგ შეიკრიბნენ სრულიად საქართველოს დიდებულნი და რუსუდანს მეფობა მიულოცეს.

3. ჯალალ ედ-დინის ლაშქრობანი საქართველოში

ხორეზმშაჰმა მუჰამედმა სიკვდილის წინ თავისი უფროსი ვაჟი ჯალალ ედ-დინი დაამტკიცა ფაქტიურად უკვე არარსებული სახელმწიფოს ტახტის მემკვიდრედ. მამის სიკვდილის (1220 წ.) შემდეგ ჯალალ ედ-დინი ირანში გაიქცა და იქ შეუდგა მონღოლთა წინააღმდეგ ძალების შეგროვებას. 1225 წლამდე ჯალალ ედ-დინი მონღოლებთან ბრძოლით იყო დაკავებული. 1225 წ. ჩინგიზ-ყაენი შუა აზიიდან მონღოლეთში დაბრუნდა. ამით ისარგებლა ჯალალ ედ-დინმა, დაიკავა თითქმის მთელი აზერბაიჯანი და საქართველოს მოადგა.

იენაშის სახარება-ოთხთავი. XIII ს-ის 10-იანი წლები. მათეს სახარების თავსამკაული.

საქართველოში ამ დროს ლაშა-გიორგის და რუსუდანი მეფობდა (1222-1245 წწ.). მის დროს კიდევ უფრო გაიზარდა დიდგვაროვანთა გავლენა საქართველოს სამეფო კარზე და მეტისმეტად შესუსტდა მეფის ცენტრალიზებული ხელისუფლება. ამ ამბის უარყოფითმა შედეგებმა მალე იჩინა თავი, როგორც ჯალალ ედ-დინის, ისე მონღოლების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ქართველთა და ხვარაზმელთა შორის ბრძოლა *გარნისში* (სომხეთში) მოხდა 1225 წ. ნოემბერში. ჯალალ ედ-დინის 150-200-ათასიან არმიას ქართველებმა მხოლოდ 60-70 ათასი კაცი დაუპირისპირეს. ბრძოლა ქართველთა დამარცხებით დამთავრდა. ქართველთა ლაშქარის მთავარსარდალმა ათაბაგმა ივანე მხარგრძელმა გაქცევით უშველა თავს. ამ ბრძოლაში ქართველებმა მეწინავე ლაშქრის ორი მთავარსარდალიც დაკარგეს: ივანე ახალციხელი კლდიდან დაგორებულმა ლოდმა მოკლა, ხოლო მისი ძმა შალვა მტერმა ტყვედ ჩაიგდო. შალვა ახალციხელმა სჯულის შეცვლაზე უარი თქვა და ჯალალ ედ-დინმა სიკვდილით დასაჯა.

1226 წ. დასაწყისში ჯალალ ედ-დინი *თბილისს* მოადგა. საქართველოს სამეფო კარი დასავლეთ საქართველოში გადავიდა. თბილისის დაცვა რუსუდანმა მემნა ბოცოს ძეს და ბოცო ბოცოს ძეს დაავალა. 1226 წ. 9 მარტს შინაგამცემლობის შედეგად ხვარაზმელებმა ხელთ იგდეს ქალაქი. მემნა ბოცოს ძე მოღალატურად იქნა მოკლული ერთი თბილისელი მუსლიმის ხელით, მისი ძმა ბოცო ქალაქის მცველებთან ერთად, ისნის ციხეში შეიკეტა, მაგრამ მალე მეფის ბრძანებით ციხეც დანებდა მტერს.

ხვარაზმელებმა საშინლად აოხრეს და გაძარცვეს თბილისი. ჟამთააღმწერელი გადმოგვცემს ხვარაზმელთა მიერ თბილისის აღებას. მემატიანე მოგვითხრობს, რომ ჯალალ ედ-დინის ლაშქარმა თბილისის აღების შემდეგ სისხლის ღვარი დააყენა ქალაქში, ჩვილ ბავშვებს დედების წინ ქვაზე ანარცხებდნენ და ტვინს ათხევინებდნენ, ხოლო შემდეგ კლავდნენ დედებს. მოხუცებს ქვაფენილზე ცხენებით თელავდნენ.

დამპყრობლები ანგრევდნენ ეკლესიებს. *თბილისის სიონს* გუმბათი მოანგრიეს და ჯალალ ედ-დინმა მასზე ტახტი გამართა. სიონში დასვენებული ქრისტეს ხატი ხიდთან პირაღმა დადეს და შეპყრობილ ქრისტიანებს უბრძანეს ნერწყვით შეებილწათ და ფეხით გაეთელათ ის, წინააღმდეგ შემთხვევაში თავს კვეთდნენ. მრავალმა ქრისტიანმა ამ განსაცდელის ჟამს გამოიჩინა სიმტკიცე, არ შეურაცხყვეს წმინდა ხატი და მიიღეს წამების გვირგვინი. მოკლულთა რიცხვმა „ათ ბევრს“ (ე.ი. ასიათასს) მიაღწია.

1227 წ. თებერვალში ქართველებმა თბილისში დატოვებული ხვარაზმელთა გარნიზონი ამოწყვიტეს და კვლავ დაიბრუნეს ქალაქი. ამ ამბის გაგებისთანავე ხვარაზმშაჰი საქართველოსკენ გამოემართა. ქალაქის დამცველები იძულებული

ვარძია. კლდეში ნაკვეთი მონასტერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

გახდნენ ცეცხლი წაეკიდებინათ ქალაქისთვის და გაცლოდნენ.

1228 წ. ჯალალ ედ-დინმა რამდენიმე მარცხი განიცადა მონღოლებისაგან. მან დახმარებისათვის ამიერკავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის მაჰმადიან გამგებლებს მიმართა. მაგრამ ისინიც დარწმუნდნენ, რომ ხვარაზმშაჰი ჩვეულებრივი დამპყრობელი და მძარცველი იყო და კვლავ საქართველოსკენ იბრუნეს პირი. საქართველოს მეთაურობით შეიქმნა კოალიცია ხვარაზმელთა წინააღმდეგ. მაგრამ გაერთიანებული ლაშქარი ჯერ არ იყო შეკრებილი, რომ ჯალალ ედ-დინმა დაასწრო, ბრძოლა გაუმართა ბოლნისთან და გაიმარჯვა. ამის შემდეგ ჯალალ ედ-დინმა ერთხანს კვლავ ითარეშა საქართველოში.

მალე ჯალალ ედ-დინის ბედის ჩარხი უკუღმა დატრიალდა. მონღოლებისგან დევნილი ხვარაზმშაჰი 1231 წ. მესოპოტამიაში მოკლეს ქურთებმა.

ხვარაზმელების თარეში საქართველოში 5 წელს გაგრძელდა. მართალია, ჯალალ ედ-დინმა საქართველო საბოლოოდ ვერ დაიმორჩილა, მაგრამ ქვეყანა სასტიკად დააზიანა და ამით მონღოლებს გაუადვილა საქართველოსა და ამიერკავკასიის დაპყრობა.

4. მონღოლთა ბატონობის დამყარება საქართველოში

ჩინგიზ-ყაენის გარდაცვალების (1227 წ.) შემდეგ მისმა მემკვიდრეებმა გააგრძელეს დაპყრობითი ომები. ჯალალ ედ-დინის დამარცხების შემდეგ მონღოლთა რაზმებმა შედარებით მოკლე ხანში დაიპყრეს თითქმის მთელი ირანი და ამიერკავკასიაში შეიჭრნენ. 1235 წელს ისინი შამქორს მიადგნენ, რომელიც იმ დროს საქართველოს ეკუთვნოდა და მსახურთუხუცესს *ვარამ გაგელის* სამფლობელოში შედიოდა. ვარამმა საერთოდ აარიდა მონღოლებთან ბრძოლას თავი და დასავლეთ საქართველოში გადავიდა.

რუსუდან მეფე ჯალალ ედ-დინის წასვლის შემდეგ დაბრუნდა თბილისში, მაგრამ მონღოლების მოახლოების ამბავი რომ შეიტყო, ისევ დასავლეთ საქართველოს მიაშურა. ქალაქის დამცველად მან დატოვა *მუხას ძე*, რომელსაც უბრძანა მონღოლების მიახლოების შემთხვევაში გადაეწვა ქალაქი, რათა მტერს არ ჩავარდნოდა ხელში. რაკი მეფემ უარი თქვა მონღოლთა წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციაზე, ქართველმა დიდებულებმაც მტერთან ბრძოლის აშკარად მცდარი, პასიური ტაქტიკა აირჩიეს. საქართველოს სამეფო კარის ვაზირნი, ცალკეულ მხარეთა გამგებელი სახელოვანი სარდლები, სხვადასხვა ციხეებში შეიკეტნენ და იქიდან ადევნებდნენ თვალ-ყურს მოვლენათა განვითარებას. ქართველთა არჩეული ტაქტიკის შესაბამისად, მონღოლებმაც თავიანთი ლაშქარი ცალ-ცალკე რაზმებად დაანაწილეს და სხვადასხვა მხარეებს შეუსიეს.

საქართველო XIII ს-ის I მეოთხედში (თამარ მეფის და ლაშა-გიორგის დროს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკლე ხანში მათ აიღეს ისეთი მნიშვნელოვანი ქალაქები, როგორებიც იყო ლორე, დმანისი, სამშვილდე.

ლორეში მანდატურხუცესი *შანშე მხარგრძელი* იყო გამაგრებული, მაგრამ მონღოლების მოახლოებისთანავე ოჯახის წევრებთან ერთად მიატოვა იქაურობა, ხოლო მის მიერ დატოვებულმა პირებმა ვერ მოახერხეს ქალაქის დაცვა.

კაენის ციხეში (დღეს აზერბაიჯანშია) იყო გამაგრებული ათაბაგ-ამირ-სპასალარი *ავაგ მხარგრძელი*, მაგრამ წინააღმდეგობის გაწევის ნაცვლად მტერთან დაზავება არჩია.

1238-1239 წლებში მონღოლებმა *ანისი* და *კარიც* აიღეს. ამის შემდეგ ყველა მთავარი დამორჩილდა მონღოლებს. მხოლოდ სამცხის სპასალარი, მეჭურჭლეთუხუცესი *ივანე (ყვარყვარე) ჯაყელ-ციხისჯვარელი* აგრძელებდა ბრძოლას. როდესაც მესხების თავდადება ნამდვილად უიმედო შეიქნა, რუსუდანის ნებართვით ისიც დამორჩილდა მონღოლებს.

რუსუდანმა საქართველოს ფარგლებს გარეთაც სცადა მოკავშირის პოვნა. მან წერილი გაუგზავნა რომის პაპს გრიგოლ IX-ს, რომლითაც ჯარის მოშველიებას თხოვდა, მაგრამ უარი მიიღო.

ამგვარად, ჯალალ ედ-დინის 5-წლიანი სისხლიანი თარეშის შემდეგ დასუსტებულ საქართველოში აღარ აღმოჩნდა ისეთი პიროვნება, ვინც შეძლებდა მტრის წინააღმდეგ ძალთა გაერთიანებას. 7 წლის განმავლობაში ნაწილ-ნაწილ, ზოგი ომით და ზოგი უომრად, მტერმა ხელში ჩაიგდო საქართველოს აღმოსავლეთი და სამხრეთი ნაწილები: კახეთი, ჰერეთი, შიდა ქართლი, სომხითი, ტაშირი, თრიალეთი, ჯავახეთი, არტაანი, კოლა, კლარჯეთი, ტაო, შავშეთი, სამცხე. დიდ ტერიტორიაზე მტრის ფაქტიურად გაბატონებული მდგომარეობა იწვევდა ზავის აუცილებლობას. ამასთან მონღოლები კვლავ აგრძელებდნენ სისტემატურ რბევას. მდგომარეობის ასე დატოვება ქვეყანას სისხლისაგან დაცლას უქადდა. ამის გამო, რუსუდანმა მონღოლებს დაზავება სთხოვა.

1242 წელს ოქროს ურდოში მოსალაპარაკებლად გაგზავნილ იქნა *არსენ მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი*. მას ევალებოდა ზავის პირობები და უვნებლობის ფიცი მიეღო ყაენისაგან. მონღოლებსაც დიდი მსხვერპლის გაღება მოუხდათ საქართველოს დასაპყრობად. ქართველი ხალხი თავგანწირულ წინააღმდეგობას უწევდა და უბრძოლველად არ ანებებდა მშობლიურ მიწა-წყალს. 7 წლის განმავლობაში მათ მხოლოდ აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს დაპყრობა შეძლეს, ხოლო დასავლეთ საქართველოში ფეხი ვერ შედგეს. ამიტომ იძულებულნი გახდნენ საქართველოს სამეფო კართან მშვიდობიან მორიგებაზე დათანხმებულიყვნენ. ზავის პირობების მიხედვით, მონღოლები საქართველოში მეფობას და ადგილობრივ მმართველობას არ აუქმებდნენ. საქართველოს დაეკისრა ყოველწლიური ხარკი 50 ათასი პერპერა (ოქროს ფული) და ჯარის გამოყვანა.

იკორთა. 1172 წ. ტაძარში დაკრძალულია კახეთის 1659 წლის აჯანყების გმირები: ელიზბარ და შალვა ქსნის ერისთავები და ბიძინა ჩოლოყაშვილი.





ამავე დროს საქართველოს სამეფო ტახტზე ყოველი ახლადასული მეფე ყაენს უნდა დაემტკიცებინა. დაზავების შემდეგ საქართველოს სამეფო კარი ქუთაისიდან თბილისს გადმოვიდა, ხოლო მალე რუსუდანის ძე დავითი (შემდგომი *დავით VI ნარინი*) სამეფო ტახტზე დასამტკიცებლად ყაენთან წარავლინეს.

5. უმეფობა საქართველოში

1245 წელს რუსუდანი გარდაიცვალა. დადგა უმეფობის ხანა. ტახტის მემკვიდრე დავით რუსუდანის ძე ურდოდან ჯერ კიდევ დაბრუნებული არ იყო. მონღოლებმა ისარგებლეს ამით და ქვეყნის შინაური ადმინისტრაცია მონღოლურ წესზე მოაწყვეს – *დუმნებად* (ათიათასეულებად) დაყვეს. მართალია, ამ დუმნების სათავეში ქართველი ფეოდალები ჩააყენეს, მაგრამ მაინც აშკარა იყო, რომ ამით ქართულ სახელმწიფოებრიობას და ქართულ ფეოდალურ წყობილებას გადაშენების საფრთხე ემუქრებოდა. ამას თან დაერთო ქართული ჯარის უცხოეთში ყოფნა (1246 წლიდან მონღოლთა იმპერიაში დაწესდა მამაკაცთა 20%-ის ყოველწლიური გასვლა ომში), რასაც გარეშე მტრის შემოსევები მოყვა.

ქართველი დიდგვაროვანი თავკაცები 1246 წ. სამცხეში შეიკრიბნენ *კოხტასთავს* (ასპინძასთან) და მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყების მოწყობა დაადგინეს. მონღოლებმა შეიტყვეს შეთქმულების შესახებ და ისე სწრაფად მივიდნენ კოხტასთავს რომ დასავლეთ საქართველოს ორი დიდებულის – *ცოტნე დადიანისა* და რაჭის ერისთავის *კახაბერ კახაბერის ძის* გარდა, რომლებიც ადრე წასულიყვნენ ჯარის შესაგროვებლად, ყველანი ადგილზე დაეპატიმრეს. შეპყრობილი ქართველი თავკაცები ანისში მონღოლთა ნოინს მიჰგვარეს. დაკითხვაზე შეთქმულებმა განაცხადეს, რომ მონღოლებისთვის მისაცემი ხარკის საქმის მოსაგვარებლად შეიკრიბნენ. მონღოლთა ნოინის ბრძანებით შეთქმული გამოტეხის მიზნით, გააშიშვლეს და მხრებშეკრული დაჰყარეს მცხუნვარე მზის ქვეშ (ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, დამნაშავეებს ტანზე თაფლი წაუსვეს). როდესაც ცოტნე დადიანმა შეთქმულების გამჟღავნების ამბავი გაიგო, ანისში ჩავიდა და ნებაყოფლობით გაიზიარა ამხანაგების ხვედრი. ცოტნე დადიანის ამ საქციელმა მონღოლები ძალიან გააკვირვა და ის ნოინთან წაიყვანეს დასაკითხად. მან იგივე თქვა, რასაც სხვები ამბობდნენ და თან დაუმატა: მე იმისათვის მოვედი თქვენთან, რომ საქმე

წილკნის ღმრთისმშობლის ხატი მთავარანგელოზებით და ჩარჩოზე მინანქრული მედალიონებით; XII ს.; ქვედა ჩარჩოზე მოთავსებულია გვიანდელი წარწერა: „† ყოველად წმიდაო... ღმრთისმშობელო, მცველ და მფარველ ექმენ სასოებით მოსავსა და სურვილით შემამკობელსა წმიდისა ხატისა შენისა წილკნელ მთავარებისკოპოსსა ბარლომეოსს და მეოხ ექმენ წინაშე ძისა შენისა, ამენ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარგად გამოვიძიოთ და თუ ისინი სიკვდილის ღირსნი არიან, მეც მათთან ერთად დამსაჯეთო. ცოტნეს გმირულმა საქციელმა მონღოლები დაარწმუნა ქართველების სიმართლეში და დაპატიმრებულები გაანთავისუფლეს. ცოტნე დადიანის პირადმა თავდადებამ და მოსაზრებულობამ საქართველოს დიდებულები იხსნა მონღოლთა შურისძიებისაგან.

6. ორმეფობა საქართველოში

რუსუდანის გარდაცვალების (1245 წ.) შემდეგ საქართველოში უმეფობის ხანა დადგა. რადგანაც დავითი რუსუდანის ძის ამბავი ოქროს ურდოდან არ ისმოდა, საქართველოს დიდგვარიანებმა ყაენის კარზე მეფედ დასამტკიცებლად ლაშა-გიორგის შვილი დავითი წარავლინეს. ოქროს ურდოში იმ დროს, 1246 წლიდან, იმყოფებოდა რომის პაპის ელჩი *პლანო კარპინი*, რომელიც გადმოგვცემს ქართველი უფლისწულების ყაენის კარზე შეხვედრის ამბავს. მისი თქმით, ჩამოსულ და დამხვდურ ქართველთა შორის გაიმართა ცხარე კამათი, თუ რომელი დავითი – რუსუდანის კანონიერი შვილი, თუ ლაშას უკანონო ძე – უნდა დაემტკიცებინა ყაენს მეფედ. დავით ლაშას ძის მომხრე დასი მონღოლური სამართლით მოითხოვდა საქმის გადაწყვეტას. მონღოლური სამართალი არ ანსხვავებდა კანონიერსა და უკანონო შვილს, რადგან იქ მრავალცოლიანობა წესად იყო მიღებული. ამიტომ ეს საქმე დავით რუსუდანის ძის საწინააღმდეგოდ გადაწყდა. მეფედ ორივე დაამტკიცეს, მაგრამ დავით ლაშას ძეს, როგორც ხნიერს, უფროსობა მისცეს და დაუქვემდებარეს დავით რუსუდანის ძე. პლანო კარპინის ცნობით, იმ დროს ყაენის კარზე ყოფილა *ელადიმირის დიდი მთავარი იაროსლავი* (1238-1246). 1246 წელს მონღოლებმა ის ოქროს ურდოში მიიწვიეს და მოწამლეს.

დავით გიორგის ძეს მონღოლებმა *ულუ* (უფროსი) უწოდეს, ხოლო დავით რუსუდანის ძეს – *ნარინი* (უმცროსი). ორი მეფის დანიშვნით მონღოლებმა საქართველოს მთლიანობას საფრთხე შეუქმნეს. ეს მოხდა 1247 წ.

მიუხედავად ორმეფობისა, საქართველოს მთლიანობა 1259 წლამდე არ დარღვეულა. ორივე დავითი თბილისში იჯდა, სამეფო სიგელებსაც ორივე აწერდა ხელს და მონეტებიც ორივეს სახელით იჭრებოდა. ოფიციალურ წარწერებშიც ორივენი ერთად იხსენიებოდნენ („ადიდენ ღმერთმან მეფენი ჩუენნი – დავით და დავით...“ - აბელიის (ქვემო ქართლი) წარწერა XIII ს-ის შუა ხანებისა). ულუსა და ნარინის დაბრუნების შემდეგ საქართველოს დუმნებად დაყოფა გაუქმდა.

ბეთანია. ღმრთისმშობლის შობის ტაძარი; XII-XIII სს. მიჯნა.





ეროვნული ბიბლიოთეკა

7. საქართველოს აღწერა მონღოლთა მიერ. მონღოლური გადასახადები

1254-1256 წლებში მონღოლებმა მთელი საყაენო აღწერეს. ამ აღწერის მიზანი იყო გაერკვიათ, თუ რა რაოდენობით ჯარის გამოყვანა შეეძლოთ ამა თუ იმ ქვეყნიდან და განესაზღვრათ გადასახადების რაოდენობა. საქართველოს დაეკისრა 30 ათასი მოლაშქრის გამოყვანა, ყოველ 9 სრულფუძიან გლეხურ კომლზე ერთი მეომრის გამოყვანის ანგარიშით.

XIII ს-ის სომეხი ისტორიკოსის, კირაკოს განძაკეცის ცნობით, მონღოლებმა აღწერის დავთრებში შეიტანეს ყველა მამკაცი 15-დან 60 წლამდე ასაკისა. ყველასაგან მოითხოვდნენ უმძიმეს ხარკს. ვინც ვერ იხდიდა მას ბავშვებს ართმევდნენ ვალში, ხოლო ვინც იმალებოდა, იჭერდნენ და კლავდნენ. მთავრები, მხარეთა მფლობელები თავიანთი ინტერესებისათვის მონღოლთა თანამონაწილენი შეიქმნენ მოსახლეობის შევიწროებაში. მონღოლებმა აღწერეს ყველა და ყველაფერი, რასაც შემოსავლის მოცემა შეეძლო – ხელოსნები, ვაჭრები, მეთევზეები ზღვებსა და ტბებზე, მჭედლები, მარილის საბადოები და მაღაროები. აღწერის შემდეგ მათ დატოვეს ბასკაკები (ხარკის ამკრეფი მოხელეები), რომელთაც ევალებოდათ ხარკის აკრეფა. კირაკოს განძაკეცის ცნობითვე, მონღოლებმა მხოლოდ ეკლესია არ შეიყვანეს გადამხდელთა სიაში.

იმის გამო, რომ საგადასახადო ნორმები და აკრეფის ვადები დაუდგენელი იყო, ხშირად ერთსა და იმავე გადასახადს რამდენჯერმე ახდევინებდნენ.

აღწერამდე მონღოლებს დაპყრობილი ქვეყნიდან გაჰქონდა მხოლოდ შემოსავლის მეათედი. ახლა ხარკის დამძიმება გამოწვეული იყო იმით, რომ ამ დროისთვის მონღოლებმა დაასრულეს დიდი ქვეყნების დაპყრობები და რბევა, ალაფით შეძენილმა შემოსავალმა იკლო, ხოლო არსებული მარტივი საგადასახადო სისტემა ვერ უზრუნველყოფდა უზომოდ დიდი იმპერიის შესანახ ხარჯებს.

საქართველოში ამ პერიოდში მოქმედებდა 14 სახეობის სამონღოლო გადასახადი, რომელთაც საკუთარი სახელწოდებები ჰქონდათ, ხოლო ქართველები მათ ზოგადად „სათათროს“ უწოდებდნენ. ესენი იყო:

1. *მალი* – სასოფლო-სამეურნეო გადასახადი, რომლის რაოდენობა მოსავლის მიხედვით განისაზღვრებოდა.

2. *ყაფჩერი* – საბალახე გადასახადი პირუტყვის ყოლისათვის.

3. *ყალანი* – სალაშქრო მიმპრავალი მეომრის მომარაგება.

4. *საიამე ბეგარა* – გზების გაყვანა, მოვლა და სპეციალური სადგურების (იამების) ცხენებით მომარაგება.

თამარ მეფის კუთვნილი სახარება, ე.წ. ვანის ოთხთავი; XII ს. ბოლო (კანონები და მათეს სახარების თავსამკაული).

5. ულუფა – ძღვენი ადგილზე ჩაყენებული მონღოლი მოლაშქრეებისა და მოხელეებისათვის.

6. დამღა (*ტამღა*) – სავაჭრო გადასახადი და სხვა.

ამ მონღოლურ გადასახადებთან ერთად ძალაში რჩებოდა ადგილობრივი ფეოდალური გადასახადებიც. ასეთი ორმაგი ექსპლოატაცია გლეხის მდგომარეობას აუტანელს ხდიდა. მისთვის მეურნეობის წარმოება აზრს კარგავდა. ამიტომ იგი გარბოდა და შედარებით მიუვალ ადგილებში აფარებდა თავს. გლეხის მეურნეობისგან მოწყვეტა ქვეყნის ეკონომიკას განადგურებით ემუქრებოდა. გლეხებისგან დაცლილი მამულები ფეოდალებსაც მძიმე ტვირთად ანვებოდა, რადგან მათ სამფლობელოზე დაწესებული გადასახადისთვის მონღოლების წინაშე პასუხისმგებელნი ისინი იყვნენ. ფეოდალები იმითაც იყვნენ უკმაყოფილონი, რომ მათ გამუდმებით უხდებოდათ მონღოლთა შორეულ ლაშქრობებში მონაწილეობა, რაც აგრეთვე დიდ ხარჯსა და მსხვერპლს მოითხოვდა.

8. დავით ნარინისა და დავით ულუს აჯანყებანი

მონღოლთა ბატონობის სისატიკემ, აუტანელმა გადასახადებმა და სამხედრო ბეგარამ მონღოლების წინააღმდეგ აჯანყებები გამოიწვია. საქართველო ამ დროს ილხანთა მონღოლურ სახელმწიფოს ემორჩილებოდა, რომელიც ჩინგიზ ყაენის გარდაცვალების შემდეგ, მონღოლთა ერთიანი იმპერიის საყაენოებად დაშლის შედეგად ჩამოყალიბდა საქართველოს სამხრეთით, ირანის ტერიტორიაზე. ამ სახელმწიფოს სათავეში მდგომ ყაენებს *ილხანებს* უწოდებდნენ და სახელწოდებაც აქედან მიიღო. ილხანების პირველი ყაენი იყო ჩინგიზის შვილიშვილი ჰულაგუ.

1259 წ. საქართველოში დიდი აჯანყება დაიწყო, რომელსაც ნარინ დავითი ხელმძღვანელობდა. ჰულაგუ ყაენმა აჯანყების ჩასაქრობად 1259 წლის სექტემბერში დიდი ჯარი გამოგზავნა არღუნ აღას სარდლობით. აჯანყებულმა ქართველებმა დიდი მსხვერპლის ფასად დაამარცხეს მტერი. ამის შემდეგ ყაენმა უფრო დიდი ჯარი გამოატანა არღუნ აღას. დავით ნარინმა აჯანყების გაგრძელება უაზროდ მიიჩნია და დასავლეთ საქართველოში გადავიდა, სადაც ის ადგილობრივმა დიდებულებმა აფხაზეთის, ე. ი. ლიხთ-იმერეთის მეფედ დაადგინეს.

ნარინ დავითის აჯანყებას მალე ულუ დავითის დიდი აჯანყება მოჰყვა 1260-61 წწ.-ში. აჯანყების საბაბი გახდა *ეგვიპტეზე* ლაშქრობა, სადაც ჰულაგუ

თამარ მეფის გულსაკიდი ჯვარი. XII ს. ბოლო; ასომთავრული წარწერა ჯვრის ზურგზე: „ძელო ჭეშმარიტო, ძალო ჯუარისაო, შენითა წინძღომითა ყოველადვე მცველ და მფარველ ექმენ მეფესა და დედოფალსა თამარს“.



ყაენის ბრძანებით, საქართველოს ჯარიც უნდა გამგზავრებულიყო დავით ულუს სარდლობით. ჯავახეთში მისულმა ულუმ სამხედრო თათბირი მოიწვია და ლაშქრობაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა. ეს აჯანყებას ნიშნავდა. დიდებულთაგან მეფეს ბევრმა მხარი არ დაუჭირა. დავითმა მათ ნება დართო წასულიყვნენ ყაენთან ლაშქრობაში მონაწილეობის მისაღებად, ხოლო თვითონ თავის მომხრე სამცხის მთავარ *სარგის ჯაყელთან* ერთად სამცხეში გადავიდა. ის ქართველი მთავრები, რომლებიც დავითს არ გაჰყვნენ, არლუნ აღას ეახლნენ. თბილისში არლუნ აღამ დააპატიმრა დავითის მეუღლე დედოფალი გვანცა (ის შემდეგ სიკვდილით დასაჯეს – ზღვაში დაახრჩეს) და მისი ძე დიმიტრი ყაენთან გააგზავნა, ხოლო თბილისი და სამეფო ვინმე სომეხ ვაჭარს შადინს ჩააბარა.

პირველი ბრძოლა მონღოლებსა და დავით ულუს შორის 1260 წლის დეკემბერში მოხდა. მონღოლთა ლაშქარი 20 ათასს აღემატებოდა. ქართველებს მხოლოდ 8 ათასი მეომარი ჰყავდათ. სარგის ჯაყელის გეგმის თანახმად, რაც აშკარად მცდარი იყო, ქართველთა ჯარი *ტაშისკარის* ვიწროებიდან გამოვიდა და მტერს გაშლილ ველზე გორის მიდამოებში შეებრძოლა. აჯანყებულებმა თავიდან სძლიეს მტერს, მაგრამ მონღოლთა მრავალრიცხოვნებამ საბოლოოდ თავისი გაიტანა და ქართველები დამარცხდნენ. დავით ულუმ და სარგის ჯაყელმა სამცხეში დაიხიეს.

1261 წელს მონღოლები არლუნ აღას სარდლობით კვლავ შემოიჭრნენ საქართველოში. ისინი სამცხეს შეესივნენ და 20 დღის განმავლობაში არბევდნენ, მაგრამ მთავარი ციხე ციხისჯვარი მაინც ვერ აიღეს. დავით ულუ დარწმუნდა ბრძოლის უიმედობაში და დასავლეთ საქართველოში გადავიდა.

ასე დამთავრდა 1260-61 წლების აჯანყება, რომლის დამარცხების მიზეზები შემდეგი იყო: ქართველები განცალკევებულად მოქმედებდნენ, რასაც გზა თვით დავით ულუს საქციელმა გაუხსნა. მან არ დაავალდებულა დიდგვაროვანები მონაწილეობა მიეღოთ აჯანყებაში, პირიქით, ნებაც დართო მონღოლთა სამსახურში დარჩენილიყვნენ. ამიტომ, მტრის ბანაკში საკმაოდ აღმოჩნდნენ ქართველები, რომლებმაც ნებისთ თუ უნებლიეთ მოღალატური როლი შეასრულეს; მცდარი იყო საომარი გეგმაც, როცა ქართველებმა თავი აარიდეს ტაშისკარის ვიწროებში ბრძოლას და რიცხობრივად სამჯერ მეტ მტერს გაშლილ ველზე შეებნენ; აჯანყებამ ბევრად წააგო იმით, რომ ულუ დავითის და ნარინ დავითის გამოსვლა ერთდროულად არ მოხდა.

აჯანყების ლიკვიდაცია მონღოლებმა თავისი სურვილის მიხედვით მაინც ვერ მოახერხეს. აჯანყების შედეგად დასავლეთ საქართველო ფაქტიურად გამოეთიშა მონღოლთა ბატონობას. ის ხარკს აღარ იხდიდა და მონღოლებიც ვერ ბედავდნენ ლიხის ვიწროებების გადალახვას. ნარინ დავითის კარი ამიერი-

---

ვარძია. ღმრთისმშობლის ტაძრის ჩრდილოეთ კედლის ფრესკული მხატვრობა გიორგი III-ის და თამარ მეფის გამოსახულებით; XII ს-ის 80-იანი წლები.

დან მონღოლთა წინააღმდეგ მებრძოლთა თავშესაფარი გახდა. ულუ დავითიც ასევე დაუსჯელად გაეცალა მონღოლებს.

ულუს ლიხთ-იმერეთში ყოფნის დროს შეიქმნა იმის საშიშროება, რომ აღმოსავლეთ საქართველო საგამგებლოდ დიდვაჭარ შადინს ჩავარდნოდა ხელში. ამის გამო ულუმ მონღოლებს დაზავება სთხოვა და თანხმობის მიღების შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოში გადმოვიდა. 1264 წელს ის და სარგის ჯაყელი ჰულაგუ ყაენმა თავისთან გამოიძახა. დაკითხვას პირადად ყაენი აწარმოებდა. სასამართლო ჯერ კიდევ დასრულებული არ იყო (და ვინ იცის როგორ დასრულდებოდა) რომ ყაენის შიკრიკი პირდაპირ სხდომაზე შევიდა და ყაენს აცნობა – ჩრდილოეთიდან დარუბანდის გზით ოქროს ურდოს მბრძანებელი ბერქა ყაენი თავს დაგვესხაო.

1264 წლიდან დაიწყო ბრძოლები ჩრდილოეთის მონღოლურ სახელმწიფოს ოქროს ურდოსა და ილხანებს შორის. ოქროს ურდო ძირითადად დარუბანდის გზით უტევდა. საქართველო ამ გზის ახლოს მდებარეობდა. ამიტომ იმას, თუ ვის მხარეს დადგებოდა იგი, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ჰულაგუ ყაენისთვის ახლა უკვე უპირველეს ამოცანად იდგა აღმოსავლეთ საქართველოსთან მშვიდობიანი და მეგობრული ურთიერთობის დამყარება, რათა უკმაყოფილო ქართველები ოქროს ურდოს არ მიმხრობოდნენ და დარიალი შემოსასვლელად მისთვის არ დაეთმოთ. ჰულაგუმ სასამართლო შეწყვიტა, სასწრაფოდ ჯარი შეყარა და ქართული ლაშქარი დავით ულუსა და სარგის ჯაყელის მეთაურობით კვლავინდებურად თავის რიგებში ჩააყენა. ყაენის მიერ ულუ დავითის ასე დაუსჯელად შემორიგება უდავოდ ქართველთა სერიოზულ ძალას მოწმობდა. სამწუხარო ის იყო, რომ ვერ ხერხდებოდა ამ დიდი ძალის სათანადოდ მობილიზება.

ილხანებსა და ოქროს ურდოს შორის ბრძოლებმა დიდად დააზარალა საქართველო. იგი ამ ბრძოლების ასპარეზად იქცა. 1265 წელს ოქროს ურდოს ჯარებმა საშინლად გაანადგურეს იორსა და მტკვარს შორის მდებარე ტერიტორია. ეს ადგილები ამის შემდეგ უდაბნოდ იქცა. არაერთი ქართველი შეეწირა მონღოლთა შორის ატეხილ ბრძოლებს. გარდა ამისა, ჰულაგუს ბრძანებით საქართველო-შარვანის საზღვარზე აშენდა სანგრები (*სიბა*). ქართველ-ილხანთა შეერთებული ჯარი სისტემატურად უნდა მდგარიყო სიბაზე, რათა ჩრდილოეთიდან მოსული მონღოლები შეეჩერებინა. სიბაზე უამრავი ჯარის თავშეყრა გადამდებ სნეულებათა გავრცელებასაც იწვევდა. ასეთი მოარული სენით – მუცლის ტიფით დაავადდა და გარდაიცვალა დავით ულუც 1270 წელს.

იერუსალიმი. ჯვრის ქართველთა მონასტერი. შოთა რუსთველის ფრესკული გამოსახულება; XIV ს., წარწერა გამოსახულების გარშემო: „ამისა დამხატავსა შოთა(ს), შეუნდოს ღმერთმან, ამენ; რუსთველი“ (XVII ს.).





9. დემეტრე II თავდადებული

მონღოლებმა საქართველოს მეფედ დავით ულუს 11 წლის ვაჟიშვილი *დემეტრე II* (1270-1289) დაამტკიცეს და მას მეურვედ დაუნიშნეს ყაენის ნდობით აღჭურვილი პირი *სადუნ მანკაბერდელი*. სადუნი ტიპური მედროვე იყო. მონღოლთა წინაშე სამსახურით მან მხარგრძელთა ყმა-აზნაურობიდან საქართველოს ათაბაგობამდე მიაღწია. მონღოლთა წყალობით აღზევებულმა სადუნმა ამირსპასალარობაც მოიპოვა და ფაქტიურად განაგებდა ქვეყანას. მისი გარდაცვალების შემდეგ დემეტრემ მის შვილს ხუტლუბუღას ათაბაგობა ჩამოართვა და მხოლოდ ამირსპასალარობა დაუტოვა, რითაც საბოლოოდ გადაიმტერა სადუნის მემკვიდრე.

დემეტრე II-ს სამფლობელო მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს მოიცავდა. დასავლეთ საქართველოში ნარინ დავითი მეფობდა და მონღოლებს არ ემორჩილებოდა. სამცხე მონღოლებმა 1266 წლიდან ცალკე გამოყვეს და უშუალოდ ყაენს დაუქვემდებარეს. ამრიგად, დემეტრეს მხოლოდ ქართლ-კახეთი და სომხეთის ნაწილი ექვემდებარებოდა.

ახალგაზრდა მეფე ცდილობდა როგორმე გამოესწორებინა ქვეყნის მძიმე მდგომარეობა. ამ საერთო გაჭირვების დროს მან მაინც შეძლო აეშენებინა მეტეხის შესანიშნავი ტაძარი თბილისში.

ქართულ ლაშქარს ხშირად უხდებოდა სიბაზე დგომა და მონღოლთა ლაშქრობებში მონაწილეობა, რომლებიც ახლა უმეტესად მარცხით მთავრდებოდა და ათასობით ქართველის სიცოცხლეს იწირავდა. ამავე დროს (XIII ს-ის 80-იანი წლებიდან) ილხანთა სახელმწიფოში მიმდინარეობდა გაუთავებელი შინაომები, რაშიც საქართველო ძალაუნებურად იყო ჩათრეული. საქართველოს მონაწილეობა უნდა მიეღო ბრძოლაში ან ყაენის, ან ტახტის პრეტენდენტის მხარეზე. დამარცხების შემთხვევაში გამარჯვებულთა რისხვა მთელი სისატიკით თავს ატყდებოდა საქართველოსაც. მონღოლური წესის თანახმად, სიკვდილით ისჯებოდა არა მხოლოდ ბრალდებული, არამედ მისი ოჯახის ყველა წევრი, ნათესავი და მოკავშირე. ასეთი განსაცდელი მოევლინა ქვეყანას 1289 წელს. 1288 წელს საყაენოში გამომყღავნდა შეთქმულება, რომელსაც არღუნ ყაენის პირველი *ვაზირი* ბუღა ამზადებდა. ბუღა სიკვდილით დასაჯეს, დემეტრე, რომელიც ახლო ურთიერთობაში იმყოფებოდა ბუღასთან, საქმის გამოსაძიებლად ურდოში დაიბარეს. დემეტრემ გაითვალისწინა ყველა ის შედეგი, რაც მის წასვლას ან წაუსვლელობას შეიძლებოდა მოჰყოლოდა და წასვლა გადაწყვიტა. წინასწარ მოიწვია დიდი დარბაზი, რომელსაც შემდეგი სიტყვით მიმართა: „განრისხებულ ყაენს ამოუწყვეტია თავისი მთავრები და ახლა მე

გელათი. ღმრთისმშობლის მიძინების ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთის ეკვეტერი. მეფე დავით VI ნარინის ფრესკული გამოსახულება წარწერით: „მეფე დავით, ძე რუსუდანისა"; 1260-1293 წწ.

მიხმობს მის წინაშე. თუ მთიულეთს შევაფარებ თავს, მთელი ჩემი სამეფო მათი რისხვის მსხვერპლი გახდება, უამრავ ქრისტიანს მოკლავენ და ტყვედ ჰყოფენ, ეკლესიებს შეაგინებენ და მოაოხრებენ, ხატებს და ჯვრებს შემუსრავენ. ხოლო თუ წავალ ყაენთან, ნამდვილად ვიცი მომკლავს. მე დავსდებ სულსა ჩემსა ერისათვის ჩემისა და არ დავიშლი ურდოში წასვლას“.

დარბაზმა ერთხმად ურჩია მთიულეთისათვის შეეფარებინა თავი, მაგრამ დემეტრე მტკიცედ იდგა თავის გადაწყვეტილებაზე. ყაენის კარზე დემეტრემ გაიყოლა კათალიკოსი აბრაჰამი, მცირეწლოვანი ვაჟი დავითი და წაიღო მრავალი საჩუქარი, იქნებ ყაენი როგორმე დაერწმუნებინა თავის ერთგულებაში. ყაენის რეზიდენციასთან მიახლოებისთანავე დემეტრე დააპატიმრეს და მთელი ქონება ჩამოართვეს. წინასწარი კონფისკაცია, მონღოლური წესით, დამნაშავის სიკვდილით დასჯას მოასწავებდა და ასეც მოხდა. გასამართლების შემდეგ, 1289 წლის 12 მარტს, შაბათ დღეს, დილის 10 საათზე საქართველოს მეფე დემეტრე II-ს თავი მოჰკვეთეს. სასიკვდილო განაჩენის გამოტანაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა განაწყენებულმა ხუტლუ-ბუღამ, რომელმაც ყაენს საქართველოს სამეფოს ტახტზე დემეტრეზე უფრო სასურველი კანდიდატი შესთავაზა. მეფის გვამს მონღოლებმა მცველები დაუყენეს, მაგრამ აბრაჰამ კათალიკოსმა და მოსე მღვდელმა მოისყიდეს ისინი და მეფის გვამი ჩუმად გამოაპარეს. ასევე მალულად წამოიღეს ის საქართველოში თბილისელმა ვაჭრებმა. დემეტრე II დაკრძალულია მცხეთაში.

დემეტრე II-მ თავისი სიცოცხლის ფასად საქართველო აოხრებას გადაარჩინა. ასეთი თავგანწირვისათვის შთამომავლობამ გმირ მეფეს თავდადებული უწოდა.

10. მრავალმეფობა

XIII ს-ის ბოლოსათვის მონღოლთა სახელმწიფო დაცემას იწყებს. მონღოლებმა რეფორმების გატარებით და გადასახადების მოწესრიგებით სცადეს მდგომარეობის გამოსწორება. მათ სარწმუნოებაც შეიცვალეს და სახელმწიფო რელიგიად ისლამი გამოაცხადეს. მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა - მათი სახელმწიფო დაშლა-დაქვეითების გზით მიექანებოდა. ამ დროს საქართველოს მეფე იყო დავით VIII (1293-1310) დემეტრე II-ის ძე. დავით VIII მამამისის მსგავს სიტუაციაში აღმოჩნდა. ილხანთა კარზე ატეხილ ბრძოლაში მან ყაენის მხარე დაიჭირა, მაგრამ ყაენი დამარცხდა და გამარჯვებულმა ახალმა ყაენმა იგი თავისთან გამოიძახა. დარბაზის რჩევის მიუხედავად მეფე არ ეახლა ყაენს, აჯანყდა და თავის მომხრე დიდებულებთან ერთად მთიულეთში გამაგრდა.

საქართველო XII ს. II ნახ. (მონღოლთა მფლობელობის დროს).

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა



დავით VIII-მ ილხანთა წინააღმდეგ პოლიტიკური კავშირი შესთავაზა ოქროს ურდოს ყაენს – მას თავისი უმცროსი ძმა ვახტანგი გაუგზავნა ელჩად და ირანში შესასევად უმოკლესი – დარიალის გზის მიცემას დაპირდა. ამ კავშირის ჩაშლის მიზნით ილხანთა ყაენი შეეცადა დაზავებოდა დავით VIII-ს, მაგრამ უშედეგოდ. მაშინ მონღოლთა დამსჯელი რაზმი შემოიჭრა საქართველოში. აჯანყებულთა მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ მტრის ლაშქარში ქართველებიც იბრძოდნენ. მონღოლებმა დავითს მისი ძმებიც დაუპირისპირეს – გაამეფეს მისი უმცროსი ძმები ვახტანგ III (1298-1308) და გიორგი V (1299, შემდეგ 1314-1346). ამრიგად, მარტო აღმოსავლეთ საქართველოში ერთდროულად სამი მეფე აღმოჩნდა ტახტზე. მიუხედავად ამისა, მონღოლებმა დავითის ვერც დამორჩილება შეძლეს და ვერც ხელში ჩაგდება. იმ დიდი ზარალის მიუხედავად, რაც მონღოლთა 12-წლიან თარეშს მოჰყვა, აჯანყებულები მაინც არ დანებდნენ. მართალია, ამჯერად მონღოლთა ბატონობისაგან ქვეყნის საბოლოო *განთავისუფლება ვერ მოხერხდა, მაგრამ აჯანყებულთა თავდადებულმა* ბრძოლამ მნიშვნელოვნად შეარყია მათი ბატონობა საქართველოში.

11. მონღოლთა ბატონობის შედეგები

მონღოლთა ასწლოვანმა ბატონობამ მეტად მძიმე გავლენა მოახდინა საქართველოს განვითარებაზე. მონღოლთა ლაშქრობებში ქართველების იძულებითი მონაწილეობა მეურნეობას წყვეტდა მწარმოებელ მოსახლეობას. ბევრი მათგანი ილუპებოდა. განსაკუთრებით მძიმე იყო მონღოლთა ხარკი (ის განსაკუთრებით დამძიმდა 1254 წელს ჩატარებული აღწერის შემდეგ). მწარმოებელი მოსახლეობა ვეღარ იხდიდა ხარკს და საბატონო ბეგარას, ტოვებდა თავის მეურნეობას და გარბოდა, მთას აფარებდა თავს. გაუკაცრიელდა მიწები, რომელიც ჩალის ფასად იყიდებოდა. მათ დაეუფლნენ მონღოლთა სამსახურში დაწინაურებული მედროვეები (ერთ-ერთი მათგანი იყო ქურთი სადუნ მანკაბერდელი, რომელიც გამდიდრდა და მეფის ათაბაგიც გახდა). ქართველი ხალხი იბრძოდა დამპყრობლების წინააღმდეგ, აწყობდა აჯანყებებს. ამას თან სდევდა მონღოლთა დამსჯელი ლაშქრობები, რაც კიდევ მეტად ავერანებდა ქვეყანას. 1260-იანი წლებიდან დაიწყო გაუთავებელი ომები ოქროს ურდოსა (ვოლგისპირეთის მონღოლთა სახელმწიფო, რომელიც დააარსა ჩინგიმ ყაენის შვილიშვილმა ბათო ყაენმა) და ილხან ყაენებს შორის, რომლის ასპარეზი ხშირად საქართველო იყო. მონღოლებმა შემოიტანეს სხვადასხვა ეპიდემიებიც, რომლებმაც ათასობით ქართველი შეიწირა.

მონღოლთა ბატონობამ გამოიწვია საქართველოს მეფის ხელისუფლების

საქართველო XV ს-ის ბოლოს (სამეფო-სამთავროებად დაშლის დროს).

შესუსტება, ფეოდალური სეპარატიზმის გაძლიერება. მონღოლები მფარველ-ობდნენ მეფის ურჩ ერისთავებსა და დიდებულებს. საქართველოს ერთიანმა ფეოდალურმა მონარქიამ მონღოლთა ბატონობის ხანაში იწყო დაშლა. დავით ნარინის აჯანყების (1259 წ.) შემდეგ დასავლეთ საქართველო ფაქტობრივად ცალკე სამეფოდ გამოიყო, ცალკე სამთავროდ გამოიყო სამცხეც, რომლის მთავარმა სარგის ჯაყელმა 1266 წელს ყაენისაგან მიიღო ხასინჯუ. ეს იმას ნიშნავდა, რომ სამცხის მთავარი ამიერიდან უშუალოდ ყაენს დაექვემდებარა.

ამავე დროს, XIII ს-ის ბოლოდან მონღოლთა ხელშეწყობით აღმოსავლეთ საქართველოშიაც დაიწყო მრავალმეფობა - ამრიგად, მარტო აღმოსავლეთ საქართველოში ერთდროულად 3 მეფე აღმოჩნდა სამეფო ტახტზე.

გამწვავდა მთისა და ბარის ურთიერთობა. კავკასიის მთის მოსახლეობა, რომელიც ადრე საქართველოს მეფის ხელისუფლებას ემორჩილებოდა, ახლა მონღოლთა მხარდაჭერით ურჩობდა. მთიელებმა დაიწყეს გაუკაცრიელებულ ბარის ადგილებში ჩამოსახლება. შიდა ქართლში, ქსნისა და ლიახვის ხეობებში ჩამოსახლდნენ ოსები. მათ გორიც დაიკავეს და ოსების განსადევნად გიორგი V-ს დიდი ბრძოლების ჩატარება დასჭირდა.

ეკონომიკურმა გაპარტახებამ გამოიწვია კულტურის დაქვეითებაც. შეფერხდა მწიგნობრობის, მეცნიერების, ისტორიოგრაფიის განვითარება.

ამრიგად, მონღოლთა საუკუნოვანმა ბატონობამ შეაფერხა საქართველოს განვითარება საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროში.

12. მეფე გიორგი V ბრწყინვალე

1299 წელს აჯანყებული დავით VIII-ის საპირისპიროდ მონღოლებმა საქართველოს სამეფო ტახტზე დასვეს მისი მცირეწლოვანი ძმა გიორგი – შემდეგში გიორგი V ბრწყინვალე. მისი უფლებები მაშინ თბილისს არ სცილდებოდა და ამიტომ „თბილისის მეფეს“ უწოდებდნენ. მალე ამ უფლებასაც ძალა დაეკარგა, როცა მონღოლებმა იმავე დავითის დასაპირისპირებლად მისი მეორე ძმა – ვახტანგი გაამეფეს (1298-1308). ვახტანგის გარდაცვალების შემდეგ მონღოლებმა საქართველოს მეფედ დაამტკიცეს დავით VIII-ის შვილი *გიორგი VI მცირე* (1308-1314), რომლის გარდაცვალების შემდეგაც (1314) მეფობა მიიღო *გიორგი V*-ემ (1314-1346). მისი მამის, დემეტრე II თავდადებულის სიკვდილით დასჯის (1289) შემდეგ გიორგი პაპამისის – სამცხის მთავრის ბექა ჯაყელის ოჯახში იზრდებოდა.

გიორგი V-მ თავის უპირველეს ამოცანად დაისახა ქვეყნის პოლიტიკური მთლიანობის აღდგენა. იგი ჭკვიანი პოლიტიკოსი იყო და თავდაპირველად მონღოლებთან ბრძოლას ფრთხილი და მშვიდობიანი ურთიერთობა ამჯობინა. მართალია, მონღოლები დასუსტებულები იყვნენ, მაგრამ აჯანყების

შემთხვევაში მათ საპასუხო დარტყმას ადვილად შეეძლო დაუძლურებული საქართველოსათვის გამოუსწორებელი ზიანი მიეყენებინა. ამიტომ გიორგი V სხვა გზას მიმართა. მან ისარგებლა ურდოში მოპოვებული პირადი გავლენით და მონღოლებისავე მხარდაჭერით შეუდგა საქმეს.

გიორგი V-ს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ილხანთა პირველ ემირთან *ჩობან ნოინთან*, რომელიც ყაენის მცირეწლოვანების დროს საყაენოს ფაქტობრივი გამგებელი იყო. საქართველოს მეფემ მისი ისეთი დიდი ნდობა მოიპოვა, რომ ჩობანი საყაენო საქმეებსაც ეკითხებოდა გიორგის. საქართველოს მეფესთან ასეთი ურთიერთობა გამოწვეული იყო საქართველოს დიდი მნიშვნელობით საყაენოსათვის. ქართული ლაშქარი ყოველთვის გადამწყვეტ და სანდო ძალას წარმოადგენდა შეთქმულებებისა და აჯანყებების ჩასახშობად, რომლებიც გახშირებული იყო მაშინ საყაენოში და ძირს უთხრიდა მის ძლიერებას. ამის მეოხებით საქართველოს მეფემ მნიშვნელოვანი შეღავათები მოუპოვა თავის ქვეყანას. საქართველოში ხარკის აკრეფის საქმეს ამიერიდან თვითონ მეფე განაგებდა და არა ურდოს მოხელე (*ბასკაკი*). ამავე დროს მეფემ ყაენისაგან მიიღო ნებართვა გაეერთიანებინა მთელი ამიერ და იმიერ საქართველო.

საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის აღსადგენად, უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო ურჩი მთავრებისა და ერისთავების ალაგმვა. ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებისათვის გიორგი V უკიდურეს ღონისძიებასაც არ ერიდებოდა. მან ცივის მთაზე (კახეთში) სადარბაზოდ მოიწვია კახეთ-ჰერეთის და სომხითის ერისთავები და ამოხოცა.

1329 წელს გიორგი V-მ შემოიერთა ერთიანი სამეფოსაგან გამდგარი დასავლეთ საქართველო, ხოლო 1334 წელს სამცხის სამთავროც დაიქვემდებარა.

ქვეყნის შიგნით მშვიდობის უზრუნველსაყოფად გიორგი V-ემ გადამწყვეტი შეტევა წამოიწყო საქართველოში ჩამოსახლებული ოსების წინააღმდეგ. ბრძოლა მეტად სასტიკი და ძნელი გამოდგა. ოსების გორიდან გაძევებას სამი წელი დასჭირდა. აღდგენილ იქნა ქართველი ფეოდალების მფლობელობა ქსნისა და ლიახვის ხეობებში. მთაში ფეოდალური წესრიგის განმტკიცების მიზნით გიორგი V-მ ქართლის მთის მოსახლეობისათვის სპეციალური სამართლის წიგნი „ძეგლისდება“ შეადგენინა.

გიორგი ბრწყინვალის „ძეგლისდებაში“ აღნიშნულია, რომ მეფემ მოიარა ქართლის მთიულეთი სამართლის მოსაწესრიგებლად. ჩავიდა ჯერ სამეფო სასახლეში ჟინვანს (არაგვის ხეობის ქალაქი), შემდეგ ხადა-ცხაოტს (არაგვის ხეობის ზემო ნაწილი), სადაც შეკრიბა იქაური ხევისბერები (ხევის გამგებლები) და ჰეროვანები (თავისუფალი მეთემეები - „ერის“ წარმომადგენლები), მოისმინა მათგან მთიულეთის მოსახლეობაში შექმნილი ვითარების შესახებ. ასე მივიდა მეფე დარიალამდე. უკან გამობრუნებულმა მეფემ ილოცა *ლომისის მთავარმოწამის* წინაშე (ლომისის მთა მდებარეობს არაგვისა და ქსნის ხეო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბებს შორის. აქ არის გადასასვლელი ერთი ხეობიდან მეორეში. აქვეა ძველი ეკლესია, რომელსაც დიდ პატივს სცემდნენ ძველად არაგვისა და ქსნის ხევების მთიულები), შემდეგ მეფემ ჩამოიარა ცხრაზმის ხევი (ქსნის ხეობის ზემო წელი) და გამოიძია იქაური ვითარება.

შემდეგ მეფე მივიდა თავის საზამთრო სამყოფელში *მუხრანში* და ბოლოს დაბრუნდა თბილისში. ჩამოიყვანა მთის თემების ერისთავები, ხევისთავები, ხევისბერები და ჭეროვანები. მეფემ დაისწრო კათალიკოსი ექვთვიმე, ეპისკოპოსნი, ვეზირნი, მოურავნი და განიხილა მთაში შექმნილი ვითარება. გაირკვა, რომ ამ მხარეში გაიზარდა დანაშაული, სასჯელის სიმსუბუქის გამო ალაპარაფრად მიაჩნდათ ერთმანეთზე თავდასხმა, ციხის დაქცევა, მოკვლა, ცოლის წაგვრა, ცოლის უმიზეზოდ მიტოვება, გახშირდა მონღოლთა მიერ შემოტანილი უწესობანი. მეფემ და დარბაზობის მონაწილეებმა დაადგინეს სამართლის წიგნი - „ძეგლისდება“ და აღადგინეს კანონიერება ქართლის მთიანეთში.

ქვეყნის გაერთიანებისა და განმტკიცების შემდეგ გიორგი ბრწყინვალე ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური წყობილების რესტავრაციას შეუდგა. აღადგინა მონღოლთა ბატონობამდელი მმართველობის სისტემა. ჩვენამდე მოღწეულია მის დროს შედგენილი *„ხელმწიფის კარის გარიგება“*, რომელშიც განსაზღვრულია მეფის კარის მოხელეების უფლება-მოვალეობანი და სხვადასხვა ცერემონიალის ჩატარების წესები. ამავე პერიოდში შეიქმნა და, როგორც ჩანს, მთელს საქართველოში მოქმედებდა სამართლის წიგნი: „წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოველთავე“, რომელიც შედგენილი იყო სამცხის მთავრის, გიორგის პაპის ბექა ჯაყელის მიერ. XIV ს-ის ბოლოს ეს სამართლის წიგნი შეავსო შვილიშვილმა აღბუღამ. ამიტომ იგი ცნობილია „ბექა-აღბუღას სამართლის“ სახელწოდებით.

მეფის ხელისუფლება ენერგიულ ღონისძიებებს ახორციელებდა ქვეყნის ეკონომიკური გაძლიერებისათვის, ხელს უწყობდა სოფლის მეურნეობისა და ვაჭრობა-ხელოსნობის განვითარებას, აწესრიგებდა საქალაქო ცხოვრებას.

საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის აღდგენისა და სახელმწიფოს შიგნით მდგომარეობის მოწესრიგების შემდეგ მონღოლთა ბატონობისაგან ქვეყნის განთავისუფლების დროც დადგა. გიორგი ბრწყინვალის მეფობის პერიოდში საქართველოში მონღოლთა ბატონობა თანდათან შესუსტდა, საოკუპაციო ჯარიც მხოლოდ 10 000 მეომარს შეადგენდა. ხარკისა და ლაშქრის ვალდებულება ისევ რჩებოდა. XIV ს. 30-იან წლებში შექმნილმა ახალმა საშინაო და საგარეო სიტუაციამ შესაძლებელი გახადა მოღოლთა ბატონობის სრული გადაშენება. როდესაც ყაენმა ჩობან ნოინი მოაკვლევინა, საილხანოში შინაფეოდალური ომები ატყდა. ამით ისარგებლა გიორგი V-მ - 1335 წელს ხარკი შეუწყვიტა მონღოლებს და მათი ჯარიც გააძევა საქართველოდან. მონღოლთა ასწლოვან ბატონობას საქართველოში ბოლო მოეღო.

თათარ-მონღოლთა უღლის გადაგდების შემდეგ XIV ს-ის პირველ ნახევარში საქართველოს პოლიტიკური საზღვრები ძველ ფარგლებში აღდგა - ნიკოფსიიდან დარუბანდამდე.

დიდი წარმატებები მოიპოვა გიორგი V-მ საგარეო პოლიტიკურ ასპარეზზე. მან ურთიერთობა დაამყარა ილხანების მონინააღმდეგე სახელმწიფოებთან – ოქროს ურდოსა და ეგვიპტის სასულთნოსთან. საქართველოს, ასევე, დიპლომატიური და პოლიტიკურ-კულტურული ურთიერთობა ჰქონდა რომის პაპთან, ბიზანტიასთან, ტრაპიზონის საკეისროსთან. უცხოელთა თვალში საქართველო ვრცელი და ძლიერი სახელმწიფო იყო, რომელსაც ძლიერი მეფე და ქრისტიანობის დამცველი მამაცი ჯარი ჰყავდა. უცხოელთა დიპლომატიურ მიმოწერებში ქართველი მეფე ღრმა პატივისცემით და მაღალი ეპითეტებით მოიხსენიებოდა. ეგვიპტის სულთნის წერილში გიორგი დახასიათებულია, როგორც სახელოვანი რაინდი, მამაცი, ლომი, კეთილშობილი, ქრისტიან მეფეთა შორის საუკეთესო, სამართლიანი, იერუსალიმის წმინდა ადგილთა განმადიდებელი, ქრისტიანობის განმამტკიცებელი, რომის პაპის შემწე, მაჰმადიანთა მეგობარი, სულთანთა მეგობარი.

გიორგი მეფემ ორჯერ გაგზავნა ელჩობა ეგვიპტის სულთანთან. ამ ელჩობათა შედეგად აღდგენილ იქნა მონასტრები იერუსალიმსა და სინის მთაზე. ეგვიპტის სულთანმა, გამონაკლისის სახით, უფლება მისცა იერუსალიმში სალოცავად ჩასულ ქართველებს ხარკი არ გადაეხადათ და ცხენზე ამხედრებული გაშლილი დროშებით შესულიყვნენ ქალაქში. გიორგი V-მ კვლავ აღადგინა საქართველოს გავლენა ტრაპიზონის იმპერიაზე და ბიზანტიის მიმართაც აქტიური პოზიცია დაიკავა. მის მეფობაში საქართველოს ინტენსიური სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული იტალიის ქალაქ-სახელმწიფოებთან - ვენეციასა და გენუასთან. საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტის ზრდას მოწმობს ის ფაქტიც, რომ აღმოსავლეთში კათოლიკური ეკლესიის საეპისკოპოსო ცენტრი სმირნიდან თბილისში იქნა გადმოტანილი.

საქართველოს სამეფოს გაძლიერებისა და ქვეყნის წინაშე დამსახურებისათვის შთამომავლობამ გიორგი V-ს *ბრწყინვალე* უწოდა.

13. თემურ-ლენგის შემოსევები საქართველოში.

მონღოლთა ბატონობის გადაშენების შემდეგ დაწყებული საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური წინსვლა დიდხანს არ გაგრძელებულა. XIV ს-ის ბოლოს ამ წინსვლას ბოლო მოუღო *თემურ-ლენგის* გამანადგურებელმა შემოსევებმა.

თემური შუააზიელ მონღოლთა შთამომავალი იყო. თავდაპირველად ის

ყაჩაღთა ბრბოს მეთაური, მეზობლებს არბევდა და ქარავნებს ძარცვავდა. ერთ-ერთი ბრძოლის დროს ფეხში დაიჭრა და სამუდამოდ დაკოჭლდა. ამის გამო, მას შეარქვეს ლენგი (ტაჯიკურად - „კოჭლი“). თემური ცდილობდა ჩინგიზ-ყაენის ვრცელი იმპერიის აღდგენას. ხანგრძლივი ბრძოლების შემდეგ მან გააერთიანა მონღოლთა მომთაბარე ურდოები და დაიპყრო მთელი შუა აზია. დაპყრობილი ქვეყნების მოსახლეობას თემურის ლაშქარი სასტიკად უსწორდებოდა (ათასობით ადამიანს ცოცხლად მარხავდა მიწაში, აყოლებდა ციხის კედლებში, მოკვეთილი თავებისაგან კოშკებს აგებდა და სხვ.). ასეთი ულმობელი დამპყრობელი რვაჯერ შემოესია საქართველოს და უდიდესი ნგრევა და უბედურება მოუტანა ქართველ ხალხს. გიორგი V ბრწყინვალის შემდეგ მეფობდა *დავით IX* (1346-1360), ხოლო მის შემდეგ – *ბაგრატ V* (1360-1393). თემურ-ლენგი მის დროს დაესხა თავს საქართველოს.

თემურის მისწრაფებას აღედგინა მონღოლთა დიდი იმპერია წინ აღუდგა ოქროს ურდოს ყაენი *თოხთამიში*. სწორედ მათმა ბრძოლებმა მოიყვანა თემურ-ლენგი საქართველოში. 1385 წელს თოხთამიში ჩრდილოეთ ირანს შეესია. საქართველოს ხელისუფლებასთან წინასწარი შეთანხმების გარეშე თოხთამიშს არ შეეძლო ჩრდილოეთიდან ირანში შეჭრა. ჩრდილოეთის გადასასვლელებიდან ოქროს ურდოს შემოსევის საშიშროებისაგან დაცული რომ ყოფილიყო, თემურმა გადაწყვიტა თვითონ დაეჭირა ეს გადასასვლელები. ამიტომ, 1386 წელს, აზერბაიჯანის დალაშქვრის შემდეგ, იგი საქართველოში შემოიჭრა (პირველი შემოჭრა). ამ დროს საქართველოში მეფობდა ბაგრატ V (1360-1393). ის მოერიდა მრავალრიცხოვან მტერთან გაშლილ ველზე შეტაკებას და თბილისში გამაგრდა. თბილისი კარგად გამაგრებული ქალაქი იყო და ბაგრატმა კიდევ უფრო გაამაგრა. ხანგრძლივი ალყის შემდეგ თემურმა ქალაქს მიუყენა ლოდსატყორცნი მანქანები, თვითონ ჩაუდგა ჯარს სათავეში და დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად ქალაქი აიღო. აქ მან ტყვედ ჩაიგდო ბაგრატ მეფე და მისი ოჯახი. თემურმა მოაოხრა და გაძარცვა მთელი ქალაქი, ხოლო უკან გაბრუნებისას თან წაიყვანა ბაგრატ V, მისი მეუღლე დედოფალი ანა და უფლისწული დავითი.

საქართველოდან წასულმა დამპყრობელმა მთელი ამიერკავკასია მოარბია (მხოლოდ შარვანმა იხსნა თავი მორჩილებითა და მდიდრული საჩუქრებით). გამოსაზამთრებლად თემურ-ლენგი *ყარაბაღში* (ქვეყანა მდ. მტკვარსა და არაქსს შორის) დაბანაკდა. თემურმა ჯერ კიდევ თბილისში ყოფნისას მოთხოვა ბაგრატს გამაჰმადიანება, მაგრამ ბაგრატი უარზე იდგა. ბოლოს ბაგრატისთვის ცხადი შეიქნა, რომ სხვანაირად ტყვეობიდან თავს ვერ დააღწევდა და მოჩვენებით დათანხმდა ისლამის მიღებას. თემურ-ლენგმა გამაჰმადიანებულ ბაგრატს სამეფო დაუმტკიცა, ყარაბაღიდან გამოისტუმრა და თან 12-ათასიანი მხედრობა გამოაყოლა საქართველოს გასამაჰმადიანებლად. ბაგრატმა გზიდან

ჩუმად შეატყობინა თავის შვილებს ამის შესახებ. ბაგრატის უფროსი ვაჟი გიორგი ჯარით მარჯვე ადგილას ჩაუსაფრდა თემურის მხედრობას, ვიწროებში შეიტყუა, ერთიანად გაჟლიტა და ბაგრატი იხსნა ტყვეობიდან.

ბაგრატისთვის აშკარა იყო, რომ თემურ-ლენგი ამას არ მოითმენდა და იმთავითვე შეუდგა სამზადისს მტრის დასახვედრად. მართლაც, შეიტყო თუ არა ეს ამბავი, განრისხებული თემური საქართველოსკენ გამოემართა. ბაგრატი და გიორგი მომზადებული დახვდნენ მტერს - მოსახლეობა წინასწარ გახიზნეს კავკასიონის მთებში და ჯარიც გაამზადეს საომრად. საქართველოს ჯარმა, ბაგრატის და გიორგის წინამძღოლობით, მედგარი წინააღმდეგობა გაუწია 1387 წლის გაზაფხულზე შემოჭრილ მტერს, მაგრამ მტრის სიმრავლის გამო საბოლოოდ იძულებული შეიქმნა უკან დაეხია და ციხეებსა და მიუვალ მთებში გამაგრებულიყო. გამარჯვების მიუხედავად, თემურმა ამჯერად საქართველოს დაპყრობა ვერ შეძლო. ბრძოლის ველზე მოპოვებული გამარჯვების შემდეგ მტერს საქართველოს აურაცხელი ციხეების დასაპყრობად უნდა გაეგრძელებინა ბრძოლა. მას ახლა ამისთვის არ ეცალა. ირანის დიდი ნაწილი ჯერ კიდევ დასაპყრობი იყო და, რაც მთავარია, სწორედ ამ დროს აზერბაიჯანში თოხთამიში შეიჭრა. თემური იძულებული გახდა საქართველოს გაცლოდა. ამის შემდეგ ის საქართველოში აღარ გამოჩენილა 1394 წლამდე. ამ ხნის განმავლობაში თემურმა დაამარცხა ყველა თავისი მოწინააღმდეგე და კვლავ საქართველოსკენ დაიძრა.

1394 წელს თემურ-ლენგი *ორჯერ* შემოიჭრა საქართველოში. ჯერ სამცხე-საათაბაგოს დაესხა თავს, შემდეგ არაგვის ხეობას. საქართველოს ლაშქარი გიორგი VII-ის (1393-1407 წწ.) წინამძღოლობით მედგარ წინააღმდეგობას უწევდა მტერს. ცალკეული წარმატებების მიუხედავად, თემურმა დარიალის გადასასვლელების ხელში ჩაგდება ვერ მოახერხა. ამასობაში თოხთამიშ-ხანი დარუბანდის გზით გადმოვიდა ამიერკავკასიაში. თემური იძულებული იყო საქართველოს გასცლოდა და მის წინააღმდეგ გაელაშქრა. მათ შორის ბრძოლა მოხდა თერგის პირას 1395 წელს, რომელიც თემურის გამარჯვებით დასრულდა. ამის შემდეგ მან საგანგებოდ დალაშქრა ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთი, განსაკუთრებით ის ქვეყნები, რომლებსაც კავშირი ჰქონდათ საქართველოსთან. თემურმა მათ ქრისტიანული რელიგიის ძეგლები დაუნგრია, ძალით მიაღებინა ისლამის სარწმუნოება და მოემზადა ინდოეთში სალაშქროდ.

თემურ-ლენგი რომ ინდოეთში გაიგულეს, დაპყრობილი ქვეყნების ხალხებმა თათართა ბატონობისაგან თავის დაღწევა სცადეს. ამ ბრძოლას სათავეში ჩაუდგა საქართველოს მეფე გიორგი VII, რომელიც გადავიდა შეტევაზე და საქართველოდან და აზერბაიჯანიდან გააძევა თემურის დატოვებული ჯარები.

ინდოეთიდან მობრუნებული თემური მთელი თავისი ძალით საქართველოს წინააღმდეგ წამოვიდა. მისი მიზანი იყო გაემუსლიმანებინა და საბოლოოდ

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

დაემორჩილებინა ქვეყანა, ან პირწმინდად გაეუქმებინა მოსახლეობა და შეეცვალა იგი სხვა მხრიდან მორეკილი მაჰმადიანებით.

1399 წელს თემურ-ლენგი მეხუთედ შემოიჭრა საქართველოში. ამჯერად მტრის 100-ათასიანმა მხედრობამ სანინლად აოხრა და გაძარცვა ჰერეთ-კახეთი.

1400 წელს თემური *მეექვსედ* შემოიჭრა საქართველოში. ქართული ლაშქარი გოგჩის ტბის მიდამოებში დაუხვდა მტერს. გიორგი VII-მ ამ ბრძოლაში ჯარი მეტად ხელსაყრელ პოზიციაში განალაგა – ძლიერი ქარი მოწინააღმდეგეს პირდაპირ სახეში სცემდა. მთელი დღის ბრძოლის შემდეგ მტრის ჯარის მრავალრიცხოვნებამ თავისი გაიტანა. გიორგი VII იძულებული გახდა უკან დაეხია. მტერმა მოაოხრა ქვემო და შიდა ქართლი, სამცხე, თრიალეთი, არაგვისა და ქსნის ხეობები. გიორგი VII იძულებული იყო დასავლეთ საქართველოში გადასულიყო. მტერმა დასავლეთ საქართველოში გადასვლა ვერ გაბედა. ამ ლაშქრობიდან თემურ-ლენგმა 60 ათასზე მეტი ტყვე წაიყვანა.

ამ ლაშქრობის შესახებ „ქართლის ცხოვრება“ გვამცნობს, რომ თემურ ლენგის ლაშქარმა მოაოხრა საქართველოს სხვადასხვა ადგილები და დაბანაკდა *რუისში* (ქ. გორის მახლობლად), დაარბია მთელი შიდა ქართლი, აიღო ციხეები და კოშკები, საფუძვლამდე დაანგრია რუისის ღვთაების საყდარი. არსად დარჩა მათ მიერ დაურბეველი არც დაბა და არც შენობა.

თემურ ლენგის იმავე შემოსევის შესახებ სომეხი მწერლის გრიგოლის მიერ 1400 წელს გადაწერილი წიგნის მინაწერში აღნიშნულია, რომ თემურ–ლენგი ქართველთა ქვეყანაში იმყოფებოდა 7 თვე, დაიპყრო მრავალი ციხე-სიმაგრე, თითქმის ყველა მამაკაცი ამოჟლიტა, ხოლო მათი ცოლები და ვაჟები ურიცხვი რაოდენობით ტყვედ წაასხა. ისინი არ იბრალებდნენ არც ქალებს, არც ბავშვებს, არც სნეულებს, არც მოხუცებს. ჩვილ ბავშვებსაც მიერეკებოდნენ შიშველ-ტიტვლებს და ვისაც სიარული არ შეეძლო, ქვებით ხოცავდნენ.

1401 წელს თემურ-ლენგი *მეშვიდედ* მოადგა საქართველოს ასაოხრებლად. გიორგი VII-მ ზავი შესთავაზა. თემური დათანხმდა, რადგანაც გადამწყვეტი ბრძოლა ელოდა ოსმალეთის ძლიერ სახელმწიფოსთან. შამქორში დაბანაკებულ თემურთან საქართველოს ელჩობა გამოცხადდა გიორგის ძმის - კონსტანტინეს მეთაურობით. 1401 წლის შამქორის ზავის პირობები შემდეგი იყო: საქართველოს უნდა გადაეხადა ხარკი; მონაწილეობა მიეღო თემურის ლაშქრობებში; არ ჩაეკეტა სამიმოსვლო გზები; არ შეევიწროვებინა მუსლიმები საქართველოში; ქართველებს არ ეკრძალებოდათ მუსლიმურ ქვეყნებში სახალხოდ ქრისტიანული რელიგიის რიტუალების შესრულება, სამაგიეროდ თემური საქართველოს მშვიდობასა და ხელუხლებლობას აღუთქვამდა.

მიუხედავად ზავისა, თემურ-ლენგი იმავე წელს თავს დაესხა თორთუმის ციხეში გამაგრებულ ქართველებს და მოაოხრა იქაური მხარე.

1403 წელს თემურ-ლენგი *მერვედ* შემოიჭრა საქართველოში. მოაოხრა სამ-

ცხე და ალყა შემოატყა ბირთვისის ციხეს (ახლ. თეთრიწყაროს რ-ში). შემდეგ ის დასავლეთ საქართველოში გადავიდა, სადაც შვიდასი დაბა და მონასტერი დაარბია და გაძარცვა. ბოლოს, რაკი საქართველოს მეფის წინააღმდეგობა ვერ გატეხა და ზამთარიც ახლოვდებოდა, თემურ-ლენგი იძულებული გახდა თვითონ შეეთავაზებინა ზავი გიორგი VII-სთვის. ზავი იმეორებდა შამქორის ზავის პირობებს და, რაც მთავარია, ცნობდა საქართველოს, როგორც ქრისტიანულ ქვეყანას. ეს იყო ქართველი ხალხის უდიდესი გამარჯვება, მოპოვებული აურაცხელი მსხვერპლისა და უზარმაზარი მატერიალური ზარალის ფასად.

ამის შემდეგ, თემურ-ლენგი ჩინეთში სალაშქროდ ემზადებოდა, მაგრამ 1405 წ. გზაში გარდაიცვალა. თემურის გარდაცვალებისთანავე სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა მის მემკვიდრეთა შორის, რამაც დაშლამდე მიიყვანა მისი იმპერია.

თემურ-ლენგის ურდოთა სისხლიან თარეშს საქართველოში უაღრესად მძიმე შედეგები მოჰყვა, რაც საუკუნეთა მანძილზე იჩენდა თავს ქვეყნის ცხოვრებაში. 1386-1403 წლებში თემური 8-ჯერ შემოესია საქართველოს (აქედან, 1394 წ. - ორჯერ). დამპყრობელთა რისხვას ვერ გადაურჩა საქართველოს თითქმის ვერცერთი მხარე, ხოლო ზოგი რამდენიმეჯერ იქნა აოხრებული. საერთოდ, თემურის ლაშქრობები ყველგან ხასიათდებოდა უჩვეულო სისასტიკით; საქართველოში მტერი განსაკუთრებული გულმოდგინებით მოქმედებდა რელიგიური ფანატიზმის გამო. ერთი ისტორიკოსის ცნობით, სადაც თემურის ჯარი გაივლიდა, იქ მხოლოდ უკაცრიელი უდაბნო რჩებოდა, რომელშიც აღარ გაისმოდა არც ძაღლის ყეფა, არც მამლის ყივილი და არც ჩვილ ყრმათა ტირილი. თემურის ლაშქრობებს მოჰყვა მოსახლეობის კატასტროფული შემცირება, ქალაქებისა და სოფლების დანგრევა და გავერანება, ციხეებისა და მონასტრების აოხრება. თემურის შემოსევათა შედეგად ქართულ ენაში გაჩნდა და დამკვიდრდა ისეთი სიტყვები, როგორიცაა: ნაქალაქარი, ნასოფლარი, ნაფუძარი, ნავენახარი, ნასახლარი და ა. შ. მაგრამ ყველაზე მძიმე საქართველოსთვის თემურის შემოსევათა პოლიტიკური შედეგები იყო. საქართველოს მეზობელი და მისი მოკავშირე ამიერკავკასიის ქვეყნები დასუსტდნენ (ზოგი საერთოდ გადაშენდა), ხოლო ჩრდილოეთ კავკასიის მთის მოსახლეობა საერთოდ ჩამოსცილდა საქართველოს. აქ ქრისტიანობის ნაცვლად მაჰმადიანობამ მოიკიდა ფეხი და ამით, ფაქტიურად, უკვე XV-ის დასაწყისშივე შეიქმნა საქართველოს გარშემო მუსლიმური გარემოცვის რკალი, რამაც დასრულებული სახე მიიღო, როდესაც ოსმალებმა კონსტანტინოპოლი აიღეს (1453).

თემურის გარდაცვალების შემდეგ გიორგი VII-მ ქვეყანა გაწმინდა მტრის ნაშთებისაგან და სამხედრო მოქმედება ქვეყნის გარეთ გადაიტანა. მან რამდენჯერმე დაამარცხა თემურის მემკვიდრეები ამიერკავკასიაში. გიორგი VII-ის მეფობის ბოლო წლებში საქართველოს უთანასწორო ბრძოლები ჰქონდა ამიერკავკასიაში შემოჭრილ შავბატკნიან თურქმანებთან. გიორგი მეფე სწორედ

მათთან ბრძოლაში დაიღუპა 1407 წელს. ბრძოლის ველზე დაღუპული მეფის ცხედარი სამშობლოში ჩამოასვენა მისმა ძმამ კონსტანტინემ, რომელიც იმავე წელს გამეფდა. *კონსტანტინე I* (1407-1411) ენერგიულად შეუდგა მტრის შემოსევებით გაპარტახებული ქვეყნის აღდგენას, მაგრამ აღარ დასცალდა. 1411 წელს მას დახმარება სთხოვა შირვანშაჰმა შავბატკნიანთა წინააღმდეგ ბრძოლაში. კონსტანტინე I 2000 მხედრით მიეშველა მას. სასტიკ ბრძოლაში მოკავშირეთა ლაშქარი დამარცხდა, ხოლო თვით კონსტანტინე ტყვედ ჩავარდა. ტყვეობაში მას ამაყად ეჭირა თავი, რის გამოც სიკვდილით დასაჯეს (თავი მოკვეთეს).

14. მეფე ალექსანდრე I დიდი

კონსტანტინეს გარდაცვალების შემდეგ საქართველოს სამეფო ტახტზე ავიდა მისი შვილი *ალექსანდრე I* (1412-1442). მან მოიგერია თურქმანთა შემოტევები, ქვეყანაში მშვიდობა დაამყარა და ენერგიულად შეუდგა ქვეყნის აღდგენას. რაკი სახელმწიფო ხაზინას საამისო სახსრები არ გააჩნდა, შემოიღო სპეციალური დროებითი საკომლო გადასახადი, რომლის შემოსავლითაც შეკეთდა სვეტიცხოველი, რუისის ტაძარი და მრავალი ციხე, მონასტერი და საყდარი. რუისის ტაძრის კარიბჭის თავზე შემორჩენილი ქართული ასომთავრულით შესრულებული წარწერა გვამცნობს ალექსანდრე I-ის მიერ ამ ტაძრის ხელახლა აშენებას.

1425 წელს ალექსანდრე I-მა შემოიღო გადასახადი კომლზე 40 თეთრის ოდენობით. ამ შემოსავლით მან შეაკეთებინა სვეტიცხოველი, რუისის ტაძარი, ზოგიერთი სხვა ტაძრები, მონასტრები და ციხეები.

ალექსანდრე დიდის ერთ-ერთი სიგელი გვამცნობს – როცა ის მეფედ დაჯდა, ყოველი საქართველო მოოხრებული იყო ურჯულო თემურისგან; ეს ურჯულო შემოვიდა, ტფილისის ციხიდან ტყვედ წაიყვანა ბაგრატ მეფე და დედოფალი ანნა; დაარბია და დააქცია დედაქალაქი მცხეთა და საქართველოს საყდრები, ეკლესიები და ციხეები; ქვეყანა მოოხრდა და არსაიდან გააჩნდა ძალა და ნუგეში. ალექსანდრე გვამცნობს, რომ მან განდევნა უსჯულონი საქართველოს საზღვრებიდან და ქრისტიანებს შეუქმნა მშვიდობა, იწყო საყდრებისა და ციხეების აშენება; საქართველოში არსებული ციხეები, საყდრები და მონასტრები ხელახლა ააშენა და შეამკო.

ალექსანდრე I ცდილობდა აღედგინა საქართველოს ადრინდელი საზღვრები. 1431 წ. მან კვლავ შემოიერთა თურქმანთა მიერ დაკავებული ციხე-ქალაქი ლორე, ხოლო 1434-1435 წწ. *სივნიეთი* (დღევ. ყარაბაღი). ალექსანდრე ხელს უწყობდა მეზობელი ქვეყნებიდან მოსახლეობის გადმოსახლებას, რომ საქა-

რთველოს შემცირებული მოსახლეობა მოემრავლებინა. ასეთი ენერგიული მოღვაწეობისათვის მას შთამომავლობამ „დიდი“ უწოდა.

ქვეყნის აღდგენა-განახლებისათვის ალექსანდრე I-ის მიერ მიღებული ზომები იმის მომასწავებელი ჩანდა, რომ ხანგრძლივი მშვიდობისა და ხელსაყრელი საშინაო და საგარეო პირობების ვითარებაში ქვეყანაში მდგომარეობა გამოსწორდებოდა. სამწუხაროდ, ასეთი პირობების შექმნა არ ხერხდებოდა. ქვეყნის ეკონომიკურმა განადგურებამ ცენტრალური ხელისუფლების შესუსტება გამოიწვია. ფეოდალები ხშირად არ ემორჩილებოდნენ ერთიანი საქართველოს მეფეს. მათ თავიანთი მამულები ნახევრად დამოუკიდებელ ერთეულებად აქციეს. ასე ჩამოყალიბდა სამთავროები და სათავადოები, რომელთა გამგებლებიც მხარს უჭერდნენ მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლი ცალკეული კუთხეების „მცირე მეფეებს“ თუ „დიდ მთავრებს“. ყოველივე ეს ხელს უწყობდა ერთიანი საქართველოს დაშლას სამეფო-სამთავროებად. სამეფოში შექმნილი ვითარების გამო ალექსანდრე I ტახტიდან გადადგა და ბერად აღიკვეცა (1442 წ.). საქართველოს სამეფო ტახტი დაიკავა მისმა შვილმა *ვახტანგ IV* (1442-1446).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილი VI

საქართველო ქვეყნის პოლიტიკური დაშლიდან XVIII საუკუნემდე

1. საქართველოს სამეფოს პოლიტიკური დაშლა

ერთიანი საქართველოს უკანასკნელი მეფე იყო ალექსანდრე დიდის შვილი *გიორგი VIII* (1446-1466). მას თავდაპირველად აუჯანყდა სამცხის მთავარი ყვარყვარე, ხოლო შემდეგ *სამოქალაქოს* (ქუთაისის ოლქი) ერისთავი ბაგრატი (იგი ალექსანდრე დიდის ძმისშვილი იყო). 1463 წელს ბაგრატმა *ჩიხორთან ბრძოლაში* დაამარცხა მეფე. 1465 წელს გიორგი VIII-მ სამცხეში გაილაშქრა ყვარყვარეს დასამორჩილებლად, მაგრამ *ფარავნის ტბასთან* დაბანაკებულ მეფეს მოულოდნელად თავს დაესხა ყვარყვარე და დაატყვევა (ამის შემდეგ სამცხე საბოლოოდ გამოეყო ერთიან საქართველოს და დამოუკიდებელ სამთავროდ იქცა). ამით ისარგებლა ბაგრატმა, ქართლი დაიკავა და თავი საქართველოს მეფედ გამოაცხადა. ყვარყვარემ მეფის დატყვევრების რომ ვერაფერი სარგებლობა ნახა, გაანთავისუფლა იგი, რათა გიორგისა და ბაგრატს შორის ატეხილი ბრძოლით თვითონ ესარგებლა. ქართლის თავადებმა გიორგის მხარი არ დაუჭირეს და ისიც იძულებული გახდა კახეთში გადასულიყო. გიორგიმ კახეთის წვრილ ფეოდალებზე დაყრდნობით შეძლო იქაური ძლიერი ფეოდალების დამარცხება და იქ გამეფება. ამრიგად, საბოლოოდ ერთიანი საქართველოს ყოფილ მეფეს მხოლოდ კახეთიღა შერჩა სამეფოდ (1466-1476).

ქართლსა და იმერეთში ჯერ *ბაგრატ VI* მეფობდა (1466-1478), ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ, ქართლში გამეფდა *კონსტანტინე II დიმიტრის ძე* (ალექსანდრე დიდის შვილიშვილი, 1478-1505), რომელმაც სათავე დაუდო ქართლის ცალკე სამეფო დინასტიას. იმერეთის ტახტი დაიკავა *ალექსანდრე ბაგრატის ძემ* (იმერეთის სამეფო დინასტიის ფუძემდებელმა, 1484-1510). ამავე დროს, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გაძლიერდნენ სამეგრელო-აფხაზეთისა და გურიის სამთავროები, რომლებიც ნაკლებად ემორჩილებოდნენ იმერეთის მეფეს.

სამცხის სამთავრო ამ პერიოდში უკვე სრულიად დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული იყო. ამიერიდან, ჯაყელების ამ სამფლობლოს სამცხე-საა-

თაბაგო, ხოლო ჯაყელებს ათაბაგები ეწოდებოდათ, ხოლო ზოგჯერ მეფეებიც. საათაბაგო გადაჭიმული იყო ბორჯომის ხეობიდან ჭოროხის ხეობამდე.

„ქართლის ცხოვრების“ გაგრძელება XV ს-ის საქართველოს საშინაო მდგომარეობაზე გვამცნობს, რომ ამ პერიოდში აღარ იცვლებოდნენ ერისთავები და თავადები. ყოველ მათგანს სამემკვიდრეოდ ჰქონდა გადაქცეული საქართველოს ხევების, თემების და სხვა ადგილების მფლობელობა. ვისაც მეფე მამულს მისცემდა, სამემკვიდრეოდ ითვლებოდა. ამის შედეგად გაძლიერდნენ მთავარნი, ერისთავნი და თავადნი.

ამრიგად, XV ს-ის ბოლოსათვის ერთიანი საქართველოს ნაცვლად სამი სამეფო (ქართლის, იმერეთის და კახეთის) და სამცხის დამოუკიდებელი სამთავრო წარმოიქმნა. ერთიანი საქართველოს დაშლა სამეფო-სამთავროებად გამოწვეული იყო ქვეყნის ეკონომიკური საფუძვლების მოშლით, სათავადოთა სისტემის აღმოცენებით და მეფის ხელისუფლების პოლიტიკური ძალაუფლების შესუსტებით.

XV ს-ის ბოლოს სამეფო-სამთავროებად დაშლილი საქართველო მეტად მძიმე საგარეო-პოლიტიკურ პირობებში მოექცა. სამხრეთიდან და დასავლეთიდან მას გაუმეზობლდა *ოსმალთა იმპერია*. ოსმალების წინაპრები შუა აზიიდან მოვიდნენ მცირე აზიაში. ამ სახელმწიფომ სახელი „ოსმალეთი“ მათი მეთაურის *ოსმანისაგან* მიიღო. ოსმალებმა 1453 წელს აიღეს ბიზანტიის იმპერიის დედაქალაქი *კონსტანტინოპოლი* და იმპერია მოსპეს. ეს იყო დიდი კატასტროფა კულტურული მსოფლიოსთვის და განსაკუთრებით, საქართველოსათვის. ბიზანტიის ნაცვლად საქართველოს უშუალოდ გაუმეზობლდა ძლიერი, აგრესიული და კულტურულად ჩამორჩენილი ოსმალეთი. ოსმალებმა 1461 წელს *ტრაპიზონის იმპერიაც* დაიპყრეს და საქართველოს ირგვლივ შეიკრა მაჰმადიანურ სახელმწიფოთა გარემოცვის რკალი. ოსმალებმა ჩაუცეტეს საქართველოს დასავლეთისაკენ მიმავალი მოკლე და უძველესი გზები. საქართველოს აღარ ჰქონდა საშუალება გაცნობოდა იმ პერიოდში ევროპაში დაწყებულ რენესანსის კულტურას. მოისპო სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები დასავლეთ ევროპის ქალაქებთან. ოსმალეთის გაბატონებამ შავ ზღვასა და მცირე აზიაში აიძულა დასავლეთ ევროპის ქვეყნები მოეძებნათ ინდოეთისაკენ მიმავალი სხვა ახალი გზები, რომლებიც გვერდს აუვლიდნენ კავკასიას და მცირე აზიას. საქართველოს გამოთიშვამ ამ გზებიდან ძლიერ დასცა მისი საგარეო და საშინაო ვაჭრობა, საქალაქო ცხოვრება.

კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ იყო ცდები ანტიოსმალური კოალაციის შექმნისა. ამ მიზნით, საქართველოს მეფე-მთავრებმა სპეციალური ელჩობაც მიავლინეს ევროპაში, მაგრამ ევროპას მაშინ ოსმალეთის სიძლიერე დიდად არ აშფოთებდა. ამიტომ, ანტიოსმალური კოალაციის შექმნის საქმე, რომლის თავდაპირველი ინიციატორი რომის პაპი იყო, ხოლო შემდეგ საქართველო, ჩაიშალა.

ამავე დროს საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან გაუმეზობლდნენ თემურ-ლენგის იმპერიის დაშლის შემდეგ წარმოქმნილი თურქმანული სახელმწიფოები – *შავბატკნიანთა* (*ყარაყოინლუ*) და *თეთრბატკნიანთა* (*აღყოინლუ*). XV ს-ის ბოლოს გაძლიერდა თეთრბატკნიანთა სახელმწიფო, რომლის მბრძანებლებიც, ჯერ *უზუნ-ჰასანი*, ხოლო შემდეგ მისი ძმა *იაყუბ-ყაენი* შემოესივნენ საქართველოს და სასტიკად დაარბიეს. სამეფო-სამთავროებად დაშლილ ქვეყანას ადრინდელზე უფრო მეტად უჭირდა აგრესორების წინააღმდეგ ბრძოლა.

2. კახეთის სამეფო XV ს-ის ბოლოს და ურთიერთობის დაწყება რუსეთთან

კახეთის პირველი მეფე იყო ერთიანი საქართველოს უკანასკნელი მეფე გიორგი VIII – კახეთში *გიორგი I* (1466-1476). ქართლის სამეფოს დაკარგვის შემდეგ გიორგიმ კახეთის წვრილ ფეოდალებზე დაყრდნობით შეძლო იქაური ძლიერი ფეოდალების დამარცხება და გამეფება. აქედან იწყება კახეთის ცალკე სამეფოსა და მისი დინასტიის ისტორია.

თავისი ხელისუფლების განმტკიცების შემდეგ გიორგიმ მთელი რიგი სახელმწიფოებრივი ღონისძიებები გაატარა. გააუქმა საერისთავოები და ქვეყანა უფრო წვრილ ერთეულებად – სამოურავოებად დაყო. სამხედრო-ადმინისტრაციული თვალსაზრისით გიორგიმ კახეთი 4 სადროშოდ დაყო, რომელთაც სათავეში, განსხვავებით საქართველოს სხვა ნაწილებისაგან, ეპისკოპოსები ჩაუყენა. ეპისკოპოსობა მემკვიდრეობითი თანამდებობა არ იყო, ამიტომ ისინი ყოველმხრივ მეფეზე იყვნენ დამოკიდებულნი.

ვახუშტი ბატონიშვილი გვამცნობს, რომ გიორგი მეფემ მოსპო კახეთ-ჰერეთში ერისთავები და დასხა მოურავები როგორც დიდ, ისე მცირე ტერიტორიული ერთეულების გამგებლებად. ასეთები იყვნენ: ქიზიყის, წუქეთის, დიდოეთის, თიანეთის, ჭიაურის, შილდა-ყვარლის, მარტყოფის, გრემის, პანკისის და სხვა. ვახუშტისავე ცნობით, მეფემ გაჰყო კახეთი ოთხ სადროშოდ და მისცა დროშანი ეპისკოპოსებს, იმ მიზნით, რომ სადროშოს სარდლობა მთავრებს არ ექციათ სამემკვიდრეოდ. ამით გიორგიმ განამტკიცა მათი ერთგულება. გიორგიმ ალავერდელი, რომელიც აქამდე იყო ამბა (ე. ი. მონასტრის მამა, წინამძღვარი) გახადა ეპისკოპოსად და კახეთის ეპისკოპოსთა თავად. მანვე აქცია გრემი ჰერ-კახთა სატახტო ქალაქად. არ დაუშვა მთავართა გაძლიერება და თავის ხელში მოუყარა მთელ ძალაუფლებას თავი.

საგარეო პოლიტიკაშიც გიორგი და მისი მემკვიდრეები ქართლის სამეფოსგან განსხვავებულ გზას დაადგნენ. კახეთის მეფე *ალექსანდრე I* გიორგის ძემ (1476-1511) მშვიდობიანი ურთიერობა დაამყარა ქართლის სამეფოსთან, შაქისა და შარვანის სახანოებთან. უზუნ-ჰასანის, იაყუბ-ყაენის და ყიზილბაშური

ირანის შაჰის ისმაილის საქართველოში ლაშქრობების დროს ალექსანდრე I-მა ხარკის მიცემით და ფორმალური მორჩილებით მშვიდობა შეინარჩუნა. მისი მეფობის დროს კახეთის სამეფომ (პირველმა სხვა ქართულ სამეფოებს შორის) ურთიერთობა დაამყარა *რუსეთის* სახელმწიფოსთან.

მონღოლ-თათართა ბატონობისაგან განთავისუფლების შემდეგ (1480 წ.) რუსეთი აღმავლობის გზაზე იდგა. მისი დიპლომატები და ვაჭრები უკვე საქართველოს მეზობელ შარავანშიც გამოჩნდნენ. 1483 წელს მოსკოვში ჩავიდა კახეთის მეფის პირველი ელჩობა, რომელმაც მოსკოვის დიდ მთავარს, ივანე III-ს საგანგებო წერილი გადასცა. ამ წერილში კახეთის მეფე ალექსანდრე გიორგის ძე მოსკოვის ხელმწიფეს ივანე III-ს ამკობს სხვადასხვა საქები ეპითეტებით, უწოდებს მას ქრისტიანთა იმედს, სარწმუნოების ბურჯს, ყველა ხელმწიფის თავშესაფარს, ღატაკთა დასაყრდენს, ყოველ მდიდართა მართლმსაჯულს. ამცნობს, რომ წარავლინა მის კარზე *ნარიმანი, დამიანე* და *ხოსე ზარუმი შაქელი*. უწოდებს თავის თავს მისი ყმობის უღირსს. წერილი დათარიღებულია 91 წლით (ე. ი. 6991 წლით. ეს არის წელთაღრიცხვა დასაბამითგან, ე. ი. ქვეყნის გაჩენიდან, რაც მიღებული იყო რუსეთში პეტრე I-მდე. ამ დათარიღებით ქვეყნის გაჩენიდან ქრისტეს დაბადებამდე გავიდა 5508 წელი. ე. ი. 6991 წელი „დასაბამითგან“ უდრის 1483 წელს - 6991-5508 =1483).

1491 წელს მოსკოვში კახეთის მეორე ელჩობაც ჩავიდა. ამით საფუძველი ჩაეყარა რუსეთ-საქართველოს პოლიტიკურ ურთიერთობას.

3. ქართლის სამეფო XV ს-ის ბოლოს და XVI ს-ის დასაწყისში. შინაფეოდალური ანარქია

ქართლის სამეფო კარი ერთხანს კიდევ ცდილობდა საქართველოს გაერთიანებას. ბაგრატ VI-ის გარდაცვალების შემდეგ (1478 წ.) ტახტისათვის ბრძოლა გაიმართა მის შვილ ალექსანდრესა და ალექსანდრე დიდის შვილიშვილ კონსტანტინე დიმიტრის ძეს შორის (იგივე კონსტანტინე II – 1479-1505). ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ ქართლ-იმერეთის ტახტი კონსტანტინე II-მ დაიკავა. 1483 წელს სამცხის მთავარმა ყვარყვარემ არადეთთან ბრძოლაში დაამარცხა კონსტანტინე II. ამით ისარგებლა ალექსანდრე ბაგრატის ძემ და 1484 წელს თავი იმერეთის მეფედ გამოაცხადა (1484-1510). სამი წლის შემდეგ კონსტანტინე II-მ შეძლო ალექსანდრეს ქუთაისიდან განდევნა, მაგრამ ქართლში იაყუბ-ყაენის შემოსევის გამო იძულებული გახდა დაეტოვებინა იმერეთი, რომელსაც კვლავ ალექსანდრე დაეუფლა. 1490 წელს კონსტანტინე II იძულებული იყო ეცნო საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის ფაქტი. იგი დაუზავდა კახეთის მეფეს ალექსანდრეს, იმერეთის მეფეს ალექსანდრეს და სამცხის მთავარ ყვარყვარეს.

მიუხედავად ამისა, კონსტანტინე II ამის შემდეგაც განაგრძობდა ბრძოლას ერთიანი სამეფოს აღსადგენად და ირან-ოსმალეთის აგრესიის საწინააღმდეგოდ. ამ მიზნით მან დესპანი გააგზავნა ეგვიპტის მამლუქ სულთანთან, რომის პაპთან და ესპანეთის მეფესთან, მაგრამ ამ ელჩობას შედეგი არ მოჰყოლია.

კონსტანტინე II-ის მემკვიდრის *დავით X*-ის (1505-1525) დროს საქართველოს მეფე-მთავრებს შორის შინაფეოდალური ბრძოლა გრძელდებოდა. განსაკუთრებით ხშირად არბევდა ქართლს კახეთის მეფე *ავ-გიორგი II* (1511-1513). მან სამეფო ტახტის მისაკუთრების მიზნით მოკლა მამა – კახეთის მეფე ალექსანდრე, ხოლო ძმას თვალები დასთხარა და კახეთიდან გააძევა. ამიტომ შეარქვეს მას ავ-გიორგი. ავ-გიორგის შეპყრობის შემდეგ (1513 წ.) დავით X-მ კახეთი შემოიერთა, მაგრამ კახელმა თავადებმა გადამალეს ავ-გიორგის მცირეწლოვანი მემკვიდრე *ლევანი* და დავითს ბრძოლა გამოუცხადეს. ამვე დროს ქართლის სამეფოს გარეშე მტერიც შემოესია და დავით X იძულებული გახდა ლევანი კახეთის მეფედ ეცნო.

XVI ს-ის დასაწყისში ირანის ტერიტორიაზე თეთრბატკანიან თურქმანთა სახელმწიფოს (აღყოინლუს) ნანგრევებზე ახალი, კიდევ უფრო ძლიერი და აგრესიული *ყიზილბაშთა* სახელმწიფო ჩამოყალიბდა (ყიზილბაში თურქულად „წითელთავას“ ნიშნავს. ამ ტომების წარმომადგენლები ატარებდნენ წითელ თავსაბურავს, ამის გამო მათ ასეთი სახელი შეარქვეს). ამ სახელმწიფოს დამაარსებელი სეფიანთა დინასტიის წარმომადგენელი შაჰ ისმაილი იყო. ამიერკავკასიაში გაბატონებისა და ოსმალეთის წინააღმდეგ თავისი პოზიციის განმტკიცების მიზნით, ისმაილმა რამდენჯერმე ილაშქრა საქართველოში. ამ ლაშქრობათა შედეგად აღმოსავლეთ საქართველოს მეფეები და სამცხის მთავარი სეფიანთა სახელმწიფოს ვასალები გახდნენ. განსაკუთრებით გააძლიერეს ყიზილბაშებმა შემოტევა *შაჰ-თამაზ I*-ის დროს, როდესაც ქართლში დავით X-ის მემკვიდრე ლუარსაბ I (1527-1556) მეფობდა.

4. მეფე ლუარსაბ I

1524 წელს დავით X-ს მისი ძმა გიორგი აუჯანყდა და მეფობა წაართვა. დავითი იძულებული გახდა ბერად აღკვეცილიყო. ამ გარემოებას არ შეურიგდა დავითის შვილი ლუარსაბი. მან თავისი სიმამრის, იმერეთის მეფის *ბაგრატ III*-ის ხელშემწეობით 1527 წელს დაიბრუნა ქართლის სამეფოს ტახტი. *ლუარსაბ I* ცდილობდა სპარსეთისა და ოსმალეთის აგრესიის წინააღმდეგ მებრძოლ ქართულ სამეფო-სამთავროთა ძალების გაერთიანებას. მან მჭიდრო კავშირი დაამყარა იმერეთის მეფე ბაგრატ III-სთან და კახეთის მეფე ლევანთან. 1535 წელს, როდესაც ბაგრატ III-მ სამცხის მთავარი ყვარყვარე II დაატყვევა და სამცხე-საათაბაგო შეიერთა, ლუარსაბ I-მა ჯავახეთი დაიმორჩილა. 1545 წელს

ლუარსაბ I თავისი ლაშქრით დაეხმარა ბაგრატ III-ს შემოსეულ ოსმალთა ნინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ ქართლ-იმერეთის შეერთებულმა მხედრობამ *სოხოისტას ველზე* (ადგილია ბასიანში) დამარცხება განიცადა. ქართლის მეფის ურჩობას წინ აღუდგა ირანის შაჰი თამაზ I, რომელმაც პირადად ოთხი დიდი ლაშქრობა მოაწყო საქართველოში. ამ ლაშქრობათა შედეგად ქართლის სამეფომ დაკარგა თავისი მოკავშირეები – კახეთისა და იმერეთის სამეფოები, რომელთა მეფეებმაც მორჩილება გამოუცხადეს შაჰ-თამაზს. ლუარსაბმა დაკარგა აგრეთვე თბილისი, სამცხე-საათაბაგოს შემოერთებული ტერიტორიები (ჯავახეთი) და ბოლოს იძულებული გახდა დასავლეთ საქართველოში გადასულიყო. უკანასკნელი ლაშქრობის დროს შაჰ-თამაზმა ხელთ იგდო ლუარსაბის დედა *ნესტან-დარეჯანი*. დედოფალი ტყვეობას ვერ შეურიგდა და თავი მოიკლა.

1555 წელს ქ. *ამასიაში* ირანსა და ოსმალეთს შორის ზავი დაიდო. ამასიის ზავის თანახმად, ირანმა და ოსმალეთმა საქართველო შუაზე გაიყვეს. ირანს „ერგო“ ქართლისა და კახეთის სამეფოები და სამცხე-საათაბაგოს აღმოსავლეთი (უდიდესი) ნაწილი, ხოლო თურქეთს – იმერეთის სამეფო, სამეგრელო - გურიის სამთავროებით და სამცხე-საათაბაგოს დასავლეთი ნაწილი – ტაო, შავშეთი, კლარჯეთი (ჭოროხის აუზი). ამრიგად, აგრესორებმა დასაპყრობი მიწები დაინაწილეს.

ლუარსაბ I ამასიის ზავის შემდეგაც განაგრძობდა ბრძოლას. დაიბრუნა ქართლის მრავალი ციხესიმაგრე და შეავიწროვა თბილისის ყიზილბაშური გარნიზონი. იგი მრავალრიცხოვანი მტრის წინააღმდეგ პარტიზანული ბრძოლის ტაქტიკას იყენებდა – მცირე რაზმებს პირდაპირ ესხმოდა თავს და ანადგურებდა, დიდ ლაშქართან ბრძოლას თავს არიდებდა. მოხერხებულად იყენებდა ბუნებრივ პირობებს, უსაფრდებოდა მტერს, ღამით აწყობდა თავდასხმებს. ამით აიძულებდა ყიზილბაშებს ციხესიმაგრეებში შეკეტილიყვნენ. ირანის შაჰმა თამაზ I-მა ლუარსაბის წინააღმდეგ ბრძოლა ყარაბაღის ბეგლარბეგს, შავერდი სულთანს დაავალა, რომელიც 1556 წელს ქართლში შემოიჭრა. ქართველთა მცირერიცხოვანი ლაშქარი ლუარსაბ I-ის და მისი შვილის სიმონის მეთაურობით მტერს ქვემო ქართლში სოფ. გარისთან დახვდა. ლუარსაბის ხანდაზმულობის გამო ბრძოლას სიმონი სარდლობდა. ქართველთა ჯარმა სიმონის მეთაურობით თავგანწირული იერიში მიიტანა მტერზე და აიძულა გაქცეულიყო. მეფე ლუარსაბი, კათალიკოსი, საერო და სასულიერო მოხუცებულნი ერთ-ერთი გორაკიდან ადევნებდნენ თვალს ბრძოლას. ამ დროს, ყიზილბაშთა ერთი ცხენოსანი რაზმი, რომელიც ტყეში შემალულიყო და გასაქცევ გზას ეძებდა, შემთხვევით ლუარსაბს და მის ამალას გადააწყდა. გაჩაღდა ხელჩართული უთანასწორო ბრძოლა. მოხუც მეფეს ყველა იარაღი შემოემტვრა, მაგრამ ბრძოლის ველი მაინც არ დატოვა. მან თავისი ცხენი ყიზილბაშთა რაზმის მეთაურის ცხენს დააძგერა და გადათელა. გახურებულ ბრძოლაში მეფის ცხენს ფეხი ორმოში ჩაუვარდა, წაიქცა და მხედარი ქვეშ

მოიყოლა. ყიზილბაშებმა წაქცეულ მეფეს ისრები დაუშინეს. ამასობაში სიმონ ბატონიშვილიც გამოჩნდა ქართველთა ჯარით და მტრის ეს რაზმი ერთიანად ამოწყვიტა, მაგრამ ლუარსაბის ჭრილობები სასიკვდილო აღმოჩნდა. ასე დასრულა სიცოცხლე სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლმა მეფემ. გმირი მეფე მცხეთაში დაკრძალეს.

ლუარსაბ მეფეს უდიდესი მადლიერებით იხსენიებდა შთამომავლობა. XVIII ს-ის ქართველი ისტორიკოსი („ქართლის ცხოვრების გაგრძელება“) აღნიშნავს: ლუარსაბ მეფეს რომ არ გაეჩაღებინა შეურიგებელი ბრძოლა დამპყრობლების წინააღმდეგ, საქართველოს გამაჰმადიანება არ ასცდებოდა და თუ საქართველოს სახელი კიდევ არსებობს, ეს მისი ხმლის დამსახურებააო.

ასევე, XVIII ს-ის ისტორიკოსი *ფარსადან გორგიჯანიძე* მაღალ შეფასებას აძლევს ლუარსაბის ღვაწლს. ის აღნიშნავს, რომ ლუარსაბის დროს ისედაც პატარა საქართველო დაშლილი იყო ცალკეულ სამეფო-სამთავროებად; მათ ერთმანეთში ქიშპი და მტრობა ჰქონდათ. ამით სარგებლობდა მტერი და დასავლეთ საქართველოს ურუმები (ოსმალები) არბევდნენ, ხოლო აღმოსავლეთს – ყიზილბაშები. ქართველები მტერს ებრძოდნენ და ზიანსაც აყენებდნენ, მაგრამ ჭარბმა ძალამ სძლია ისინი. ხონთქარმა (თურქეთის სულთანმა) და ყაენმა (ირანის შაჰმა) საქართველო შუაზე გაიყვეს. ამ გაყოფას საქართველოს ყველა მეფე და მთავარი შეურიგდა, გარდა ლუარსაბ მეფისა. ლუარსაბი საქართველოს ყველა დროის მეფეებს შორის ყველაზე სახელოვანია. ის იყო კარგი სარდალი, უშიშარი მებრძოლი, მტკიცე ქრისტიანი, სამართლიანი და კეთილი. ოსმალებს და ყიზილბაშებს მისი განსაკუთრებით ეშინოდათ. მეზობელი ქვეყნები მას ყმობდნენ, თვითონ კი სხვისი ყმობა არ იკადრაო.

5. მეფე სიმონ I

1556 წელს ქართლის სამეფოს ტახტზე ლუარსაბ I-ის 19 წლის შვილი *სიმონ I* ავიდა. სიმონის გამეფების დროს თბილისი ყიზილბაშების ხელში იყო და მეფეს რეზიდენცია ქ. *გორში* ჰქონდა. სიმონი ცდილობდა დაკავშირებოდა ქართველ მეფე-მთავრებს და ერთობლივი ძალით დაპირისპირებოდნენ ყიზილბაშებს. ამ მიზნით მან ცოლად შეირთო კახთა მეფის ლევანის ასული და კახეთთან კავშირი განამტკიცა. სიმონს დაუპირისპირდა მისი ძმა დავითი, რომელიც ირანის შაჰს ეახლა, გამაჰმადიანდა და *დაუდ-ხანის* სახელი მიიღო. შაჰმა დაუდ-ხანი ყიზილბაშთა ჯარით ქართლში გამოგზავნა, მაგრამ სიმონმა ორჯერ დაამარცხა იგი. 1569 წელს საქართველოში შემოიჭრა ყიზილბაშთა ჯარი, რომელსაც მეგზურობას მოღალატე აზნაური *ყორღანაშვილი* უწევდა. ბრძოლა მოხდა ფარცხისთან (თეთრიწყაროს რ-ნი). მიუხედავად მტრის მრავალრიცხოვნებისა, ქართველებმა მედგრად შეუტიეს და

უკუაქციეს იგი. სიმონი ფეხდაფეხ მიჰყვა გაქცეულ ყიზილბაშებს. თანამებრძოლთა ჯგუფი ქართველთა ძირითად ნაწილს საკმაოდ დაშორდა. განმარტოებული მეფე მტრის გარემოცვაში აღმოჩნდა. მოღალატე ყორღანაშვილმა ირანელებს მიუთითა მეფეზე. სიმონის თანამებრძოლები ამოწყვიტეს, ხოლო თვითონ მეფე დაატყვევეს და შაჰთან გაგზავნეს. შაჰ-თამაზი დიდხანს ცდილობდა სიმონის გამაჰმადიანებას, მაგრამ ვერაფერს გახდა. იგი ალამუთის ციხეში გამოკეტეს. ამ დროიდან 10 წლის განმავლობაში (1569-1578) ქართლის გამგებლად დაუდ-ხანი ითვლებოდა, მაგრამ მოსახლეობამ რენეგატს მხარი არ დაუჭირა. ქართველი პატრიოტები ბრძოლას არ წყვეტდნენ. მოწინავე დროშის სარდალმა *საჩინო ბარათაშვილმა* სამაგიერო მიუზღო მოღალატე ყორღანაშვილს – კოჯრის გზაზე შეიპყრო და გელიყარის ციცაბო კლდიდან გადააგდო: „ყორღანას ძეს, ქარაფიდან, ხელი ჰკრეს და გადაფრინდა“ - ნათქვამია ამის შესახებ ერთ ხალხურ ლექსში.

1578 წელს ოსმალეთმა დაარღვია ირანთან დადებული ამასიის ზავი (1555წ.) და უზარმაზარი არმია დაძრა ამიერკავკასიის დასაკავებლად. შაჰ-თამაზის სიკვდილის შემდეგ (1576 წ.) ირანში არეულობა დაიწყო. ამის გამო, ოსმალეთის შემოტევების შეჩერება მათ ვერ შეძლეს. ოსმალებმა სამცხე-საათაბაგო და ქართლი დაიკავეს.

შაჰი ხედავდა, რომ დაუდ-ხანი ხალხის მხარდაჭერით არ სარგებლობდა და ამიტომ ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოველად არ გამოდგებოდა. ამან აიძულა შაჰი ტყვეობიდან გაეთავისუფლებინა სიმონი და გამოეგზავნა საქართველოში ოსმალების წინააღმდეგ საბრძოლველად. ქართლში დაბრუნებისთანავე სიმონ I-მა პარტიზანული ომი გააჩაღა ოსმალების წინააღმდეგ. მალე მან ოსმალთაგან გაათავისუფლა ლორესა და გორის ციხეები და თბილისს ალყა შემოარტყა. თბილისის გარნიზონის საშველად სულთანმა დიდი ჯარი გამოგზავნა, რომლის მეგზურობაც სამცხის გამაჰმადიანებულ მთავარს *მანუჩარს* ჰქონდა დავალებული. მანუჩარმა ოსმალთა გეგმები სიმონ I-ს შეატყობინა. სიმონი მოულოდნელად დაესხა თავს მუხრანთან დაბანაკებულ მტერს და გაანადგურა. ოსმალებმა მანუჩარზე აიღეს ეჭვი და მისი შეპყრობა სცადეს, მაგრამ მან ხმლით გაიკაფა გზა და სიმონს შეუერთდა.

სამცხეშიც აჯანყება დაიწყო. ოსმალეთი იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო და სიმონი ეცნო ქართლის ქრისტიან მეფედ. მას მხოლოდ ყოველწლიურად ხარკის გადახდა დაევალა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ოსმალეთი ამჯერად ხელს იღებდა ქართლის სრულ დაპყრობაზე და მისი ვასალური დამოკიდებულებით კმაყოფილდებოდა.

1590 წელს ირანსა და ოსმალეთს შორის ზავი დაიდო. ირანის შაჰი *აბას I* (1587-1629) იძულებული იყო ოსმალეთისათვის დაეთმო მთელი აღმოსავლეთ ამიერკავკასია და ირანის აზერბაიჯანი. ოსმალებმა ძლიერი გარნიზონები ჩააყენეს გორის, ლორეს, თბილისის და სხვა ციხეებში.

ირან-ოსმალეთის 1590 წლის ზავის შემდეგ განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა სამცხე და საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი – აჭარა და ჭანეთი. აქ შემოღებულ იქნა ოსმალური მართვა-გამგებლობა და მიწისმფლობელობა. აღწერილ იქნა 1160 ქართული სოფელი, რომელიც *გურჯისტანის ვილაიეთში*, ანუ ახალციხის საფაშოში გააერთიანეს. ქართველ მოსახლეობას მძიმე გადასახადები დააკისრეს. ამას ემატებოდა რელიგიური და ეროვნული ჩაგვრა. მასობრივად დაიწყეს ქართველი ფეოდალებისათვის მიწების ჩამორთმევა. მიწას მხოლოდ მას უტოვებდნენ, ისიც დროებით სამფლობელოდ, ვინც მაჰმადიანობას მიიღებდა. ამრიგად, საქართველოს მოწყდა მისი უძველესი ნაწილები – სამცხე, აჭარა და ჭანეთი, რომლებიც ამის შემდეგ თითქმის 300 წლის განმავლობაში ოსმალეთს ჰქონდა მიტაცებული.

სიმონ I სწორად ითვალისწინებდა, რომ იგივე ბედი მოელოდა მის სამეფოსაც, ამიტომ, ოსმალთა წინააღმდეგ აჯანყებისათვის იწყო მზადება. სიმონ I-მა ოსმალეთის წინააღმდეგ კავშირი შეკრა ირანთან და კახეთის სამეფოსთან. 1598 წელს მან განაახლა ბრძოლა ოსმალეთის წინააღმდეგ და გორის ციხეს ალყა შემოარტყა. 9 თვის ალყის შემდეგ, 1599 წლის გაზაფხულზე გორის ციხე აღებულ იქნა.

ამავე დროს ანტიოსმალური აჯანყება დაიწყო სამცხე-საათაბაგოშიც. სულთანმა დიდი ჯარი გამოგზავნა *ჯაფარ-ფაშას* სარდლობით. მტერი სოფ. ნახიდურთან დაბანაკდა. ქართველთა ჯარის თავმოყრა დამთავრებული არ იყო, მაგრამ სიმონ I-მა გადაწყვიტა მცირერიცხოვანი მხედრობით შებმოდა მტერს. 5-საათიანი უთანასწორო ბრძოლის შემდეგ ქართველები იძულებულნი გახდნენ უკან დაეხიათ. სოფ. ფარცხისთან, ვიწრო გზაზე, სიმონ მეფე ცხენიანად ტალახის ღრმა საფლობში ჩავარდა და მტერმა ტყვედ ჩაიგდო. დატყვევებული სიმონ მეფე 1600 წლის 21 ივნისს სტამბოლში ჩაიყვანეს და იედიყულეს ციხეში გამოჰკეტეს, სადაც 1611 წ. გარდაიცვალა. ქართველებმა დიდი საფასურის გადახდით დაიხსნეს მეფის ცხედარი, ჩამოასვენეს სამშობლოში და გმირი მამის, ლუარსაბის გვერდით დაკრძალეს მცხეთაში.

6. კახეთი XVI ს-ში.

კახეთის პირველი მეფე იყო ერთიანი საქართველოს უკანასკნელი მეფე *გიორგი VIII* (კახეთში გიორგი I (1466-1476). გიორგი და მისი მემკვიდრეები საგარეო პოლიტიკაში ქართლის სამეფოსაგან განსხვავებულ გზას დაადგნენ. კახეთის მეფე ალექსანდრე I-მა (1476-1511) უცხოელ დამპყრობთა საქართველოში ლაშქრობის დროს ხარკის მიცემით და ფორმალური მორჩილებით თავის სამეფოში მშვიდობა შეინარჩუნა. 1511 წელს კახეთში გამეფდა *გიორგი II* (1511-1513), იგივე

ეროვნული ბიბლიოთეკა



DITTIONARIO GIORGIANO E ITALIANO.

COMPOSTO DA STEFANO PAOLINI
con l'aiuto del M.R.P.D. Niceforo Irbachi
Giorgiano, Monaco di S. Basilio.

AD VSO DE' MISSIONARII
della Sagra Congregatione de Propaganda Fide.



IN ROMA,
Nella Stampa della Sagra Congr. de Propag. Fide.
CIↃ DCXXIX.

CON LICENZA DE' SVPERIORI.

ავ-გიორგი, რომელმაც ტახტის მისაკუთრების მიზნით მოკლა მამა – კახეთის მეფე ალექსანდრე, ხოლო ძმას კონსტანტინეს თვალები დასთხარა და კახეთიდან გააძევა. მან მიზნად დაისახა ქართლის სამეფოს შემოერთება, მაგრამ მარცხი განიცადა. 1513 წელს, მისი შეპყრობის შემდეგ, ქართლის მეფემ დავით X-მ (1505-1525) დროებით შეიერთა კახეთი, მაგრამ უკვე 1520 წელს იძულებული იყო ავ-გიორგის შვილი ლევანი (1520-1574) ეცნო კახეთის მეფედ. ლევანი აგრძელებდა თავისი წინაპრების პოლიტიკას – მოხერხებული დიპლომატიით, მცირე ხარკის გაღებით, ფორმალური ყმობის აღიარებით ქვეყნის შიგნით მშვიდობას ინარჩუნებდა. ამ შემთხვევაში კახეთის სამეფო კარი საკუთარი სამეფო ინტერესებიდან გამომდიოდა და ნაკლებად ზრუნავდა საერთო ქართული ინტერესებისათვის. იმის შიშით, რომ მებრძოლ ქართლს კახეთიც არ შეერთებოდა, დამპყრობლები (ირანი, ოსმალეთი) თანხმდებოდნენ მის ფორმალურ მორჩილებას. მაგრამ კახეთის ასეთი მდგომარეობა არ იყო მყარი. ამასიის ზავის (1555 წ.) შემდეგ ირანი უკვე ამით აღარ კმაყოფილდებოდა და კახეთს ჩამოაცილა *წუქეთი* (დაღესტანთან სასაზღვრო მხარე). ამიერიდან, დაღესტნელმა მთიელებმა გაახშირეს კახეთზე თავდასხმები და დაიწყო კახეთში მათი თანდათანობითი ჩამოსახლება.

აშკარა იყო, რომ ქართლის დამორჩილების შემდეგ დამპყრობლები კახეთს მოუბრუნდებოდნენ და მის მხოლოდ ფორმალურ ყმობას აღარ დასჯერდებოდნენ. შექმნილ რთულ საგარეო ვითარებაში ლევან კახთა მეფე შეეცადა კავშირი დაემყარებინა რუსეთის ცენტრალიზებულ სახელმწიფოსთან. რუსეთის მეფემ ივანე IV-მ იმ დროს გააქტიურა თავისი სამხედრო მოქმედება იმიერკავკასიაში. მან მდ. თერგზე და მდ. სუნჯაზე ციხესიმაგრეები ააგებინა და თავის მოკავშირე ჩერქეზთა მთავრის დასახმარებლად ჯარიც გამოგზავნა. ეს ვითარება კახეთის სამეფო კარმა ხელსაყრელად ჩათვალა რუსეთთან დასაკავშირის დასამყარებლად.

1564 წელს მოსკოვში ჩავიდა კახეთის ელჩი *იაკობი*. შეთანხმების შესაბამისად, რუს მეთოფეთა რაზმი კახეთის სამეფოს სანაპირო ციხეებში ჩადგა, ქვეყნის დაღესტნელ მთიელთა თავდასხმებისაგან დაცვის მიზნით. რუსეთის ასეთმა ენერგიულმა მოქმედებამ ოსმალეთისა და ირანის პროტესტი გამოიწვია. რუსეთი იძულებული გახდა ციხეები დაენგრია და მეთოფეთა ჯარიც გაეწვია კახეთიდან.

ლევანის მემკვიდრე *ალექსანდრე II* (1574-1605) აგრძელებდა მამის პოლიტიკას და ცდილობდა ხარკის გადახდით და მორჩილების გამოცხადებით მშვიდობა შეენარჩუნებინა ქვეყანაში. ალექსანდრე II-ს მეფობისას, როდესაც კავკასიის დიდი ნაწილი თურქ-ოსმალებს ჰქონდათ დაპყრობილი, რუსეთმა ისევ აღადგინა ურთიერთობა კახეთთან. რუსეთის ელჩობას ალექსანდრე II-მ

პირველნაბეჭდი ქართული წიგნი – *სტეფანო პაოლინი, ნიკიფორე ირბახი*, ქართულ-იტალიური ლექსიკონი, რომი, 1629 წ.

მოსკოვში გააყოლა თავისი ელჩები: *იოაკიმე მღვდელი, კირილე ბერი* და *ჩერქეზი ხურშიტა*. მოლაპარაკება დამთავრდა ალექსანდრე II-ის მიერ რუსეთის მეფე თევდორე ივანეს ძისადმი „ფიცის წიგნის“ დადებით (ტექსტი მოსკოვში იქნა შედგენილი). მეფე ალექსანდრე, შვილებითა და უახლოესი დარბაისლებითურთ, ფიცით ადასტურებდა, რომ თხოვნით მიმართა რუსთ ხელმწიფეს მფარველობაში აეყვანა და მტრებისაგან დაეცვა კახეთი. აღნიშნული იყო, რომ რუსთ ხელმწიფემ მფარველობის ხელი დასდო კახეთს და მისი ყველა მტრისაგან დაცვა ბრძანა, რომ ალექსანდრე და მისი მემკვიდრეები ამის შემდეგ მკვიდრად იქნებოდნენ თევდორე მეფისა და მისი მემკვიდრეების ხელქვეით - კახეთის მეფე რუსეთის საზიანოდ არაფერს იმოქმედებდა, რუსთ ხელმწიფის მტერს თავის მტრად მიიღებდა, ხოლო მის მეგობარს – თავის მეგობრად. „ფიცის წიგნი“ გაფორმდა 1587 წლის 28 სექტემბერს.

1589 წელს რუსეთის მეფემ კახეთის მეფეს გამოუგზავნა „წყალობის სიგელი“, რომელშიც დადასტურებული იყო „ფიცის წიგნით“ გათვალისწინებული პირობები. ამით ეს ხელშეკრულება ორივე მხრიდან იქნა დამტკიცებული.

7. იმერეთის სამეფო და სამცხე-საათაბაგო XVI ს-ში

თურქ-ოსმალთაგან დაპყრობის საფრთხე პირველ რიგში სამცხესა და დასავლეთ საქართველოს დაემუქრა. სამცხის სამთავრო 1465 წლიდან (ყვარყვარეს მიერ ფარავნის ტბასთან გიორგი VIII-ს დამარცხების შემდეგ) გამოეყო ერთიან საქართველოს და დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად ჩამოყალიბდა. ყვარყვარეს მემკვიდრემ *მზეჭაბუკმა* (1505-1515) არ იკმარა პოლიტიკური სეპარატიზმი და ეროვნულ-კულტურული ერთიანობის წინააღმდეგ დაიწყო ბრძოლა. საკუთარი სამფლობელოს გაძლიერების მიზნით, მან ოსმალეთს მორჩილება გამოუცხადა და მისი დახმარებით ჭანეთი და აჭარა შეიერთა. 1510 წ. ოსმალები სამცხის გზით იმერეთს თავს დაესხნენ. მზეჭაბუკმა მათ დაუბრკოლებლად მისცა გზა თავის სამთავროზე. ასეთი პოლიტიკა არა მარტო იმერეთს, არამედ თვით სამცხესაც უქმნიდა საფრთხეს.

ოსმალები ხშირად აწყობდნენ თავდასხმებს საქართველოზე ჩრდილო შავიზღვისპირეთიდანაც, სადაც მათი გავლენის ქვეშ მოექცა ჯიქთა ჩრდილოკავკასიური ტომი. ჯიქები ძარცვავდნენ აფხაზეთის, გურიის და სამეგრელოს სანაპირო სოფლებს და მიჰყავდათ ქართველი ტყვეები, რომელთაც შემდეგ ოსმალეთში ყიდდნენ.

ოსმალეთის აგრესიას წინ აღუდგა იმერეთის მეფე ბაგრატ III ალექსანდრეს ძე (1510-1565). მისი თაოსნობით გურიისა და სამეგრელოს მთავრებმა *გურიელმა* და დადიანმა ზღვით ჯიქეთში ლაშქრობა მოაწყვეს, მაგრამ ეს ლაშქრობა

მარცხით დამთავრდა. ამის შემდეგ ბაგრატ III-მ მიზნად დაისახა სამცხე-საათაბაგოს შემოერთება. 1535 წელს მან დადიან-გურიელთან ერთად და ლუარსაბ I-თან შეთანხმებით ილაშქრა მესხეთში. ყვაყვარე ათაბაგი მურჯახეთთან (ახალქალაქის ახლოს) ბრძოლაში დაამარცხა, დაატყვევა და სამცხის სამთავრო გააუქმა. ბაგრატმა საათაბაგოს დიდი ნაწილი იმერეთის სამეფოს შეუერთა, ხოლო ჯავახეთი ლუარსაბ I-ს დაუთმო. სამცხის შენარჩუნება ბაგრატ III-მ მხოლოდ 10 წელიწადს შესძლო. მესხეთის დიდგვაროვანმა ფეოდალმა ოთარ შალიკაშვილმა ყვარყვარე II-ს მცირეწლოვანი შვილი ქაიხოსრო სტამბოლში ჩაიყვანა და სულთანს თხოვა დახმარება. სულთანმა, როგორც კი მოიცალა, ჯარი გამოაგზავნა იმერეთის წინააღმდეგ, მაგრამ ბაგრატ III-მ ეს ჯარი მთლიანად გაანადგურა. ამ დამარცხებამ ვერ შეაჩერა ოსმალთა აგრესია. 1545 წელს მათ ხელახლა გამოილაშქრეს იმერეთის წინააღმდეგ. ბაგრატ III-მ დახმარება სთხოვა ლუარსაბ I-ს და გურიისა და ოდიშის მთავრებს. ოდიშის მთავარმა ლევან I დადიანმა ლაშქრობაში მონაწილეობა არ მიიღო. იმერეთ-ქართლისა და გურიის გაერთიანებული ლაშქარი ბასიანისკენ გაემართა, სადაც დაბანაკებული იყო ოსმალთა ჯარი. ბრძოლა გაიმართა *სოხოისტასთან*. მეწინავეობა ქართლის ჯარს დაეკისრა. ამით განაწყენებულმა მესხებმა მიატოვეს ბრძოლის ველი. მთელი დღის ბრძოლის შემდეგ გამარჯვება ოსმალებს დარჩათ. ოთარ შალიკაშვილის აქტიური დახმარებით ოსმალებმა დაიჭირეს საათაბაგოს ციხე-სიმაგრეები და ათაბაგად ქაიხოსრო დასვეს. ამ დროიდან ოსმალეთი შედარებით მტკიცედ ჩადგა სამცხე-საათაბაგოში, რასაც შემდეგში მისი სრული დაპყრობა მოჰყვა.

სოხოისტას ბრძოლის შემდეგ ბაგრატ III-მ გადაწყვიტა დაემორჩილებინა დასავლეთ საქართველოს მთავრები, რომლებიც მის უზენაესობას მხოლოდ ფორმალურად სცნობდნენ. განსაკუთრებით ურჩობდა ოდიშის მთავარი ლევან I დადიანი. ოდიშის სამთავრო ამ დროს საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა. საკუთრივ სამეგრელოს გარდა, მასში აფხაზეთიც შედიოდა. ბაგრატ III-მ დარბაზობაზე მიიწვია ლევან დადიანი და დააპატიმრა. მეფემ გურიელს აცნობა დადიანის შეპყრობა და წინადადება მისცა ერთად ელაშქრათ და გაეწანწალებინათ ოდიშის სამთავრო. ამ ხერხით ბაგრატს გურიელის შეპყრობაც უნდოდა, მაგრამ ის მიუხვდა, არ მიიღო ბაგრატის წინადადება და მეფეს დატყვევებული დადიანის განთავისუფლება ურჩია.

ბაგრატის გაძლიერებაში საფრთხეს ხედავდა აგრეთვე *ქაიხოსრო ათაბაგი*. მან მოისყიდა იმერეთის თავადები, რომლებმაც გელათის სამრეკლოში დამწყვდეული ლევან დადიანი გააპარეს და სამცხეში ჩაიყვანეს. ათაბაგმა, გურიელმა და დადიანმა კავშირი შეკრეს ბაგრატ III-ს წინააღმდეგ. გურიელმა ლევან დადიანი ოდიშს ჩაიყვანა და იგი ისევ დაეუფლა სამთავროს. ამის შემდეგ გურიისა და ოდიშის მთავრები ფაქტობრივად გამოვიდნენ იმერეთის მეფის მორჩილებიდან. მთავრები სულთნის ვასალები გახდნენ. 1555 წლიდან ბაგრატ

III-ც იძულებული გახდა სულთნისათვის ხარკის მიცემა ეკისრა.

დასავლეთ საქართველოს ფეოდალურმა დაქუცმაცებულობამ ოსმალეთს კიდევ უფრო გაუადვილა თავისი გავლენის გავრცელება საქართველოს სამხრეთ და ჩრდილო-დასავლეთ ნაწილზე. მათ თანდათანობით მიიტაცეს ჭანეთი, აჭარისა და სამცხის დასავლეთი ნაწილები და იწყეს შეღწევა აფხაზეთში. აფხაზეთში გაძლიერდა, ერთი მხრივ, მთის მოსახლეობის ჩამოწოლა და, მეორე მხრივ, მაჰმადიანური სარწმუნოების გავრცელება. ამიტომ, XVI ს-ის II ნახ-ში, კათალიკოს *ევდემონ ჩხეტიძის* (1558-1578) დროს, ბაგრატ III-მ დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ცენტრი, აფხაზეთის კათალიკოსის რეზიდენცია *ბიჭვინთიდან* გელათში გადაიტანა.

ოსმალთა წაქეზებით დასავლეთ საქართველოში გაძლიერდა ტყვეებით ვაჭრობა, რამაც XVI ს-ში საგანგაშო ხასიათი მიიღო. პროგრესულ ძალებზე დაყრდნობით ბაგრატ III-მ შეძლო ამ ბოროტების წინააღმდეგ გარკვეული ღონისძიებების გატარება. XVI ს-ის შუა წლებში მოწვეული იქნა დასავლეთ საქართველოს საეკლესიო კრება, რომელსაც ქართლის კათალიკოსიც დაესწრო. საეკლესიო კრებამ მიიღო დადგენილება „ტყვის მსყიდველთა“ სიკვდილით დასჯის შესახებ. ამან შეასუსტა ტყვეებით ვაჭრობა, მაგრამ საბოლოოდ მისი აღკვეთა შეუძლებელი გახდა, რადგან ოსმალეთი ყოველმხრივ უწყობდა ხელს ადამიანებით ვაჭრობას. ამასთანავე, ბაგრატ III-ის გარდაცვალების შემდეგ იმერეთი ანარქიამ მოიცვა.

8. კახეთის სამეფო XVII ს-ის დასაწყისში. შაჰ აბასის შემოსევები.

კახეთის სამეფო XVI ს-ის ბოლოსათვის ფაქტიურად სამი დიდი სახელმწიფოს – ირანის, ოსმალეთის და რუსეთის ვასალი იყო. კახეთის მეფე *ალექსანდრე II* (1574-1605) ქართლის გმირულ ბრძოლებში მონაწილეობას არ იღებდა და ირანის და ოსმალეთისადმი ფორმალური მორჩილებით ქვეყნისთვის მშვიდობიანობის შენარჩუნებას ცდილობდა.

1601 წელს კახეთის სამეფო კარზე გადატრიალება მოხდა. ალექსანდრე II-ის შვილმა *დავითმა* მამამისი აიძულა ბერად შემდგარიყო, თავისი ძმა გიორგი დააპატიმრა და თავი კახეთის მეფედ გამოაცხადა. მაგრამ ერთი წლის შემდეგ (1602 წ.) დავითი მოულოდნელად გარდაიცვალა და ალექსანდრემ ტახტი დაიბრუნა. გიორგი ბატონიშვილი ციხიდან გაათავისუფლეს.

კახეთის სამეფოს მთავარი შემაწუხებელი ამ პერიოდში თურქეთის ვასალი საშამხლო იყო. დაღესტნელი მთიელები გამუდმებით ესხმოდნენ თავს კახეთის მშვიდობიან სოფლებს, აოხრებდნენ და ტყვედ მიჰყავდათ ათასობით ტყვე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლებსაც ოსმალეთის ბაზარზე ჰყიდნენ. კახეთი დამოუკიდებლად ვერ ახერხებდა დაღესტნელთა თარეშის ალაგმვას; ამიტომ, ალექსანდრე II თავის მოკავშირე რუსეთისგან მოითხოვდა პირველ რიგში საშამხლოს დაკავებას და კახეთ-თერგის გზის გახსნას. ამ მიზნით მან რამდენიმე ელჩობა მიავლინა რუსეთში. ამ ელჩობათა შედეგად რუსეთის მეფე *ბორის გოდუნოვმა* ჯარი გამოგზავნა საშამხლოში, მაგრამ მარცხი განიცადა.



კახეთის მეფე თეიმურაზ I (1606-1616, 1623-1632) და მისი მეუღლე ხორეშანი (დონ კრისტოფორო დე კასტელის ალბომიდან).

რუსეთ-კახეთის დაახლოება არ მოსწონდა ირანის შაჰს *აბას I*-ს (1587-1629). იმხანად ოსმალეთთან ბრძოლაში რუსეთის მხარდაჭერის იმედი ჰქონდა. ამიტომ, ალექსანდრე კახეთის მეფის რუსეთთან დაკავშირებას წინააღმდეგობა არ გაუწია. მალე ვითარება შეიცვალა. შაჰ-აბასმა ირანში დიდი გარდაქმნები განახორციელა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო სამხედრო რეფორმა, რომელმაც დიდად გაზარდა ირანის სამხედრო ძლიერება. ეს სამხედრო რეფორმა ჩატარდა გასპარსებული ქართველის *ალავერდი-ხან უნდილაძის* უშუალო ხელმძღვანელობით (იგი საქართველოდან ბავშვობაში იქნა ტყვედ წაყვანილი).

რეფორმების დასრულების შემდეგ შაჰ-აბასის მიზანი იყო ირან-ოსმალეთის 1590 წლის ზავით დაკარგული პოზიციების დაბრუნება. შაჰმა თავისთან გამოიძახა ქართლისა და კახეთის მეფეები. ალექსანდრე II კარგა ხნის ყოყმანის შემდეგ გამოცხადდა შაჰთან. შაჰ-აბასმა თითქმის ერთი წელი გააჭერა ალექსანდრე თავისთან. ამასობაში ირანმა დამოუკიდებლად მოახერხა ოსმალეთის დამარცხება და ახლა უკვე რუსეთი უქმნიდა საფრთხეს მის ამიერკავკასიაში ბატონობას. ამიტომ, შაჰ-აბასმა მკვეთრად შეცვალა თავისი დამოკიდებულება კახეთ-რუსეთის კავშირის მიმართ. უკან გამობრუნებულ ალექსანდრეს მან შვილი კონსტანტინე გამოაყოლა ყიზილბაშთა ჯარით. კონსტანტინე ბავშვობიდან ირანში იმყოფებოდა მძევლად შაჰის კარზე, სადაც გამაჰმადიანდა კიდეც. ალექსანდრე II-ს შაჰისგან ნაბრძანები ჰქონდა თავის შვილს დახმარებოდა შარვანის აღებაში. კონსტანტინეს შაჰ-აბასმა საიდუმლო დავალება მისცა - მოეკლა მამა და კახეთი დაეკავებინა.

1605 წლის 12 მარტს ალექსანდრეს რუსი ელჩები უნდა მიეღო *ძეგამში*. დილით, აუდენციის დაწყებამდე, კონსტანტინე და მისი მხლებელი ყიზილბაში ამირები ალექსანდრეს სადგომს ეწვივნენ. კონსტანტინემ ძმა გიორგიც იხმო შარვანზე გალაშქრების შესახებ თათბირის საბაბით. XVII ს-ის სპარსელი ისტორიკოსის *ისკანდერ მუნშის* გადმოცემით, თათბირის დროს კონსტანტინემ მოულოდნელად ხმალი იშიშვლა და ძმა მოკლა. ალექსანდრემ შვილის მიშველება სცადა, მაგრამ ხმლებით აჩეხეს. თათბირის მონაწილე კახელი დიდებულები, რომელთაც ალექსანდრეს დაცვა სცადეს, იქვე ამოხოცეს. გადაგვარებულმა კონსტანტინემ მამისა და ძმის მოჭრილი თავები შაჰ-აბასს გაუგზავნა და თავი კახეთის მეფედ გამოაცხადა. კახეთს „გაყიზილბაშების“ საფრთხე დაემუქრა. მაგრამ ხალხმა მამისა და ძმის მკვლელი კონსტანტინე მეფედ არ მიიღო. მის წინააღმდეგ აჯანყება დაიწყო, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ალექსანდრეს რძალი, დავითის მეუღლე *ქეთევან დედოფალი*. იმავე წელს აჯანყებულებმა კონსტანტინე მოკლეს, ხოლო ყიზილბაშთა ჯარი კახეთიდან გააძევეს. ოსმალეთთან ომის გამო შაჰ-აბასი იძულებული იყო უკან დაეხია. მან კახეთის მეფედ დაამტკიცა ქეთევან დედოფლის ვაჟი *თეიმურაზ I* (1606-1616; ქართლ-კახეთის მეფე – 1623-1632).

1612 წელს ირანსა და ოსმალეთს შორის ზავი დაიდო. ამით ისარგებლა შაჰ-აბასმა და 1614-17 წლებში პირადად ოთხჯერ ილაშქრა კახეთზე. ამ ლაშქრობების შედეგად კახეთი მიწასთან იქნა გასწორებული, დაინგრა სოფლები და ქალაქები. მოსახლეობის დიდი ნაწილი მტერს შეაკვდა უთანასწორო ბრძოლებში. 200 ათასამდე კახელი ტყვედ გარეკეს და ირანში გადაასახლეს. მათი შთამომავლები დღესაც ცხოვრობენ ირანის პროვინცია *ფერეიდანში*.

1616 წელს შაჰ-აბასის მიერ კახეთის დარბევაზე ცნობას გვაწვდის XVIII ს-ის სპარსელი ისტორიკოსი ისკანდერ მუნში. ის აღნიშნავს, რომ როდესაც შაჰმა გაიგო კახელების აჯანყების ამბავი (ეს აჯანყება მოხდა 1615 წელს, *ნოდარ ჯორჯაძის* და *დავით ჯანდიერის* მეთაურობით), მან გამოგზავნა დიდი ლაშქარი კახეთის მოსასპობად. ლაშქრის სარდლებს დაევალათ, რომ ყოველი მხრით ალყაში მოექციათ ურწმუნო ქართველები და მამაკაცები გაეჟლიტათ, ხოლო ქალები და ბავშვები და მათი ქონება ნადავლად ეგდოთ ხელთ. იუსუფ ხანი და შირვანელი ამირები აღმოსავლეთით, ძეგამის მხრიდან მოდიოდნენ. მათ ძეგამში კვალიც არ დატოვეს მოსახლეობისა. ასევე, მთელ კახეთში. ასეთი ხოცვა-რბევა ქრისტიანებისა არ გაგონილა ისლამის გაჩენიდან. მოკლულთა რიცხვმა სამოცდაათი ათასს გადააჭარბა, ტყვეთა რიცხვმა კი – ასოცდაათიათასს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. ბრძოლა ყიზილბაშური აგრესიის წინააღმდეგ XVII ს-ის I მეოთხედში. დედოფალი ქეთევან წამებული

სიმონ I-ის (1556-1600) დატყვევების შემდეგ ქართლის ბრძოლას ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ მისი მემკვიდრე *გიორგი X* (1600-1606) ხელმძღვანელობდა. 1603 წელს დაწყებული ირან-ოსმალეთის ომის შედეგად ქართლის სამეფო ირანის ვასალი გახდა. 1606 წელს მოულოდნელად გარდაიცვალა გიორგი X და შაჰ-აბასმა ქართლის მეფედ მისი შვილი *ლუარსაბ II* (1606-1614) დაამტკიცა. ლუარსაბ II ეხმარებოდა ოსმალეთის წინააღმდეგ მებრძოლ სამცხე-საათაბაგოს. ამის საპასუხოდ, 1609 წელს ოსმალთა დიდი არმია შემოიჭრა ქართლში. ოსმალები თრიალეთთან მივიდნენ და აქედან შიდა ქართლში გადავიდნენ. მათ იცოდნენ, რომ ლუარსაბ მეფე ცხირეთის ციხეში (სოფ. ნოსტეს მახლობლად) იდგა მცირე ამალით. გზად სოფ. *კველთასთან* (მანგლისის ახლოს) მათ ადგილობრივი მღვდელი *თევდორე* შეიპყრეს და მეგზურობა უბრძანეს. მხარშეკრული ხუცესი ორ ჯარისკაცს ცემა-ტყეპით მიჰყავდა და გზის ჩვენებას ავალებდა. მაგრამ თევდორემ სულ სხვა გზით წაიყვანა მომხდურები. ოსმალები უკვე საკმაოდ დაცილებულნი იყვნენ ცხირეთს, როდესაც მიუხვდნენ. გმირი ხუცესი ჯერ ანამეს და მერე თავი მოკვეთეს. თევდორეს თავგანწირვამ ქვეყანა დიდ განსაცდელს გადაარჩინა, მრავალი ადამიანის სიცოცხლე იხსნა და საშუალება მისცა ლუარსაბს მომზადებული დახვედროდა მტერს. ქართველებმა *გიორგი სააკაძისა* და *ზაზა ციციშვილის* მეთაურობით დაამარცხეს მტერი, რომელმაც პირი ახალციხისკენ იბრუნა. ქართველთა ჯარმა გიორგი სააკაძის მეთაურობით ოსმალებს გზა გადაუჭრა. სამხედრო თათბირზე გიორგი სააკაძის გეგმა მიიღეს და სარდლობაც მასვე დაევალა. ბრძოლა მოხდა 1609 წ. სოფ. *ტაშისკართან* (ქვიშხეთის ახლოს, დღევანდელი ხაშურის რ-ნი). ქართველთა ლაშქარი განთიადისას მოულოდნელად დაესხა თავს მტერს და თითქმის მთლიანად გაანადგურა. ამ ბრძოლაში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი გიორგი სააკაძემ.

გიორგი სააკაძის წინაპრები სამეფო აზნაურები იყვნენ. მათ თემძის ხეობაში ჰქონდათ ფეოდალური სამფლობელო, რომლის ცენტრი იყო სოფ. ნოსტე. ის სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა XVI ს-ის ბოლოს, როდესაც სიმონ I-თან ერთად იბრძოდა ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ. იყო, აგრეთვე, გიორგი X-ს თანამებრძოლი. მის სამხედრო და სახელმწიფოებრივ ნიჭს ფართო გასაქანი მიეცა ლუარსაბ II-ის მეფობაში. ამ დროს მიიღო მან მიიღო თბილისის, ცხინვალის და დვალეთის მოურავობა, ხოლო ხალხმა, დიდი დამსახურების გამო, მას *„დიდი მოურავი“* უწოდა. გიორგი სააკაძის მოღვაწეობის მთავარი მიზანი იყო შინაფეოდალური ბრძოლების აღკვეთა, თავადების თვითნებობის ალაგმვა, ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერება და საქართველოს გაერთიანება. ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა


SYNTAGMATΩN
LINGVARVM
ORIENTALIVM
QVÆ IN GEORGIÆ REGIONIBVS AVDIVNTVR
LIBER PRIMVS
Complectens Georgianæ, seu Ibericæ vulgaris linguæ
INSTITVTIONES GRAMMATICAS
AVTORE
D. FRANCISCO-MARIA MAGGIO,
CLERICO REGVLARI, PANORMITANO.
ROMAE,
Ex Typographia Sacræ Congregationis de Propaganda Fide.
M. D C. XLIII.
SVPERIORVM PERMISSV.

ძველნაბეჭდი ქართული წიგნი – ფრანცისკ-მარია მაჯო, ქართული ენის გრამატიკა, რომი, 1643 წ.

საქმეში მას მხარს უჭერდა აზნაურობა და ზოგიერთ თავადიც, ვაჭარ-ხელოსნები და ნაწილობრივ გლეხობაც. გიორგი სააკაძის და მის მომხრეთა გაძლიერებას ხელი შეუწყო იმანაც, რომ ლუარსაბ II-მ მისი და ცოლად შეირთო. სააკაძის მოწინააღმდეგენი იყვნენ დიდი თავადები *ფარსადან ციციშვილისა* და *შადიმან ბარათაშვილის* მეთაურობით. მათ აიძულეს მეფე დედოფალს გაშორებოდა, ხოლო გიორგისთვის სასიკვდილო განაჩენი გამოეტანა. სააკაძე იძულებული გახდა ირანში გაქცეულიყო და შაჰ-აბასისთვის შეეფარებინა თავი. შაჰ-აბასმა იგი დიდი პატივით მიიღო და სცადა მისი გამოყენება საქართველოს მიმართ თავისი გეგმების განსახორციელებლად.

1614 წელს, შაჰ-აბასის ქართლსა და კახეთის ლაშქრობის დროს, ლუარსაბ II და თეიმურაზ I იმერეთში გადავიდნენ. შაჰ-აბასი ბევრს ეცადა დაეყოლებინა ქართველი მეფეები, რომ მასთან გამოცხადებულიყვნენ. საბოლოოდ შადიმან ბარათაშვილის მეცადინეობით ლუარსაბ II გამოცხადდა ირანის შაჰთან. აბას I-მა ლუარსაბი ირანში წაიყვანა და ციხეში გამოკეტა, რადგან მან გამაჰმადიანებაზე უარი თქვა. ქართლის მმართველად შაჰ-აბასმა ლუარსაბის ნათესავი, გამაჰმადიანებული *ბაგრატ ხანი* (1616-1619) დააყენა, რომელსაც მრჩევლად გიორგი სააკაძე დაუნიშნა. გიორგი, შაჰისაგან მალულად, აჯანყებას ამზადებდა მის წინააღმდეგ. მან ქართლის თავადებთან შერიგებაც სცადა, რაც აუცილებელი იყო ირანის წინააღმდეგ ქართველი ხალხის ძალების გასაერთიანებლად.

თეიმურაზ I ამ ხანებში ხან ოსმალეთისაგან და ხანაც რუსეთისაგან ცდილობდა დახმარების მიღებას. ამით განრისხებულმა შაჰ-აბასმა შური იძია მისი ოჯახის წევრებზე, რომლებიც მძევლებად ჰყავდა ირანში. 1620 წელს თეიმურაზის ვაჟები ლევანი და ალექსანდრე დაასაჭურისებინა, რის შედეგადაც უფროსი ჭკუიდან შეიშალა, ხოლო უმცროსი გარდაიცვალა, შემდეგ შაჰმა *ქეთევან დედოფალს* გამაჰმადიანება მოსთხოვა. კახეთის აჯანყების მეთაურს, ქეთევან დედოფალს ქართველთა შორის დიდი სახელი ჰქონდა. მისი

პირველნაბეჭდი ქართული წიგნი – ქართული ანბანი ლოცვებით, რომი, 1629 წ.

ALPHABETVM IBERICVM, SIVE GEORGIANVM,

CVM ORATIONE DOMINICALI Salutatione Angelica, Symbolo Fidei, Præcepta Decalogi, Ecclefiæ Sacramentis, & Operibus Mifericordiæ.

Latina, & Iberica lingua compofitis, & Charactere Georgiano impreffis:

Acceſſerunt Litaniæ B. V. eiſdem lingua, & characteribus Ibericis.



ROMAE, Typis Sac. Congr. de Propag. Fide, *MDCXXIX.*

SVPLRIORVM PACVLTATE.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

გამაჰმადიანებით ირანის შაჰს ქართველთა სულიერი გატეხვა ჰქონდა გადაწყვეტილი. მაგრამ ქეთევანმა გამაჰმადიანებაზე მტკიცე უარი განაცხადა; იგი საშინელი წამებით მოკლეს 1624 წლის 12 სექტემბერს. დედოფლის სულიერმა სიმტკიცემ და თავდადებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მთელს მაშინდელ მსოფლიოზე. ქეთევან დედოფლის წამება აღწერა თეიმურაზ I-მა პოემაში „წამება ქეთევან დედოფლისა“ (აღწერილი აქვთ, აგრეთვე, მის თანამედროვე უცხოელ მოგზაურებს და მწერლებს).

10. მარტყოფის და მარაბდის ბრძოლები

მოსალოდნელი აჯანყების თავიდან ასაცილებლად შაჰ-აბას I-მა 1625 წლის გაზაფხულზე 60-ათასიანი არმია გამოგზავნა საქართველოში *ყარჩიხა-ხანის* სარდლობით. მისი მიზანი იყო კახელების მთლიანად გაწყვეტა და ქართლელთა ირანში გადასახლება. შაჰმა მრჩევლად ყარჩიხა-ხანს გიორგი სააკაძე დაუნიშნა. მაგრამ, როგორც ჩანს, აბას I გიორგის ბოლომდე არ ენდობოდა და მძევლად დაიტოვა მისი უმცროსი ვაჟი პაატა. გიორგი სააკაძესთან ერთად მტრის ჯარში იმყოფებოდა მისი უფროსი შვილი *ავთანდილი*. ყარჩიხა-ხანმა, სააკაძის რჩევით, თავისი ჯარების დიდი ნაწილი კახეთის სხვადასხვა კუთხეში გაგზავნა. ამით გიორგიმ ყიზილბაშთა ძალები დაქსაქსა, რომ უფრო ადვილი ყოფილიყო მტრის განადგურება. საერთოდ, გიორგი სააკაძის მიერ გაწეულმა დიდმა სამზადისმა განაპირობა ქართველთა წარმატება. აჯანყების ხელმძღვანელთა გეგმის მიხედვით ქართველები დათქმულ დროზე მოულოდნელად უნდა შესეოდნენ ირანელთა ბანაკს. გიორგი სააკაძესა და მის მხლებლებს, რომელნიც ირანელთა ბანაკში იმყოფებოდნენ, ყიზილბაშთა ჯარის სარდლები უნდა დაეხოცათ. 25 მარტს, გარიჟრაჟზე, ხარება დღეს ქართლ-კახეთის ლაშქარი მტრის ბანაკს მიუახლოვდა. ხმაურზე გუშაგებმა განგაში ატეხეს. ირანის ჯარის სარდლობამ ყირჩიხა-ხანთან მოიყარა თავი და გიორგი სააკაძეც იხმეს. ამ დროს გიორგიმ შუბით განგმირა ყარჩიხა-ხანი, ხოლო მისმა შვილმა ავთანდილმა ყარჩიხა-ხანის შვილი. სანამ ირანელთა სარდლობა გონს მოვიდოდა, გიორგი სააკაძემ და მისმა მხლებლებმა მათ ბოლო მოუღეს. უმეთაუროდ დარჩენილი მტრის ლაშქარი აირია. ამასობაში ქართველთა ჯარი ზურაბ ერისთავის მეთაურობით მტრის ბანაკში შეიჭრა. ბრძოლა მთელი დღეს გაგრძელდა და გვიან ღამით ქართველთა გამარჯვებით დასრულდა. ყიზილბაშთა 30 ათასი მოლაშქრიდან მხოლოდ 3 ათასმა უშველა გაქცევით თავს. *მარტყოფის ბრძოლის* შესახებ მოგვითხრობს „ქართლის ცხოვრება“ და XVII ს-ის თურქი ისტორიკოსი მუსტაფა ნაიმა. მარტყოფის ველზე მოპოვებული გამარჯვების შემდეგ ქართულმა ლაშქარმა აიღო თბილისი, მტრისაგან გაწმინდა კახეთი და

საქართველო XVII ს-ში.

დალაშქარა განჯა-ყარაბაღი და ახალციხე. გამარჯვებულებმა ქართლ-კახეთის მეფედ მოიწვიეს იმერეთში გადახვეწილი თეიმურაზი.

შაჰ-აბასმა ჯარი მძევლებზე იყარა. პაატას თავი მოჰკვეთეს და მის მამას გამოუგზავნეს. შაჰის ბრძანებით სასწრაფოდ გამზადდა ახალი რჩეული ლაშქარი მისი სიძის *ისა-ხან ყორჩიბაშის* სარდლობით და საქართველოსაკენ დაიძრა. ბრძოლა მოხდა *მარაბდის ველზე* (მდ. ალგეთის ხეობა, თეთრიწყაროს რ-ნი) იმავე 1625 წლის 1 ივლისს. ქართველები მტერს მომზადებულნი დახვდნენ. ქართველთა 20-ათასიანი არმია კოჯორ-ტაბახმელის მიდამოებში იყო დაბანაკებული. გიორგი სააკაძე მოითხოვდა დაეცადათ, სანამ მტერი თვითონ გადმოვიდოდა შეტევაზე, რადგან დიდი სიცხის გამო ქართველთა ჯარს, განსაკუთრებით ქვეითებს, მარაბდის დაბალ ველზე ბრძოლა გაუჭირდებოდათ, თანაც კოჯორ-ტაბახმელის ვიწროხევებიან მიდამოებში მტერს მთელი ძალების გაშლისა და გამოყენების საშუალება არ ექნებოდა (ყიზილბაშები არა მარტო რიცხობრივად, შეიარაღებითაც ბევრად სჯობდნენ ქართველებს. მათ ძლიერი არტილერია და დიდძალი ცეცხლსასროლი იარაღი ჰქონდათ). სამხედრო თათბირმა სააკაძის გეგმა უარყო. მთავარსარდლობა *თეიმურაზ I*-მა იკისრა. ქართველთა ლაშქარმა ბრძოლა მისთვის უაღრესად ძნელ პირობებში დაიწყო. ამასთან, გიორგი სააკაძე ბრძოლის საერთო ხელმძღვანელობას ჩამოაცილეს. ირანელები მოელოდნენ ქართველთა შეტევას. მათ სანგრები ააგეს და ზარბაზნები შემოუწყვეს, ხოლო უკან ოთხ რიგად მეთოფეები განალაგეს. ცენტრის მარცხნივ და მარჯვნივ მრავალრიცხოვანი რაზმები იდგა. განთიადისას ქართველთა რჩეული ცხენოსანი რაზმი გადავიდა შეტევაზე და მტრის არტილერია და მეთოფეთა რაზმები გადათელა, შემდეგ ცენტრს დაარტყა და მოშალა. ყიზილბაშთა მარჯვენა და მარცხენა ფრთის ჯარებმა ცენტრის მიშველება ვერ მოახერხეს და გაიქცნენ. გამარჯვება თითქმის გარდაუვალი იყო, მაგრამ ისა-ხან ყორჩიბაში ბრძოლის ველს არ თმობდა. ამ დროს ქართველთა ჯარის ერთმა ნაწილმა ბრძოლა მოგებულად ჩათვალა, ალაფობა დაიწყო და ბრძოლას თავი მიანება. ამასთანავე, ცხენოსანთა ჯარის ერთი რაზმი ავთანდილ სააკაძის მეთაურობით გაქცეულ მტერს დაედევნა და ბრძოლის ველს გასცილდა. ამან ყიზილბაშებს საშუალება მისცა სარდლის გარშემო მიგროვილიყვნენ და ბრძოლა გაეგრძელებინათ. ამავე დროს მტერს ახალი დამხარე ძალა მოუვიდა. მთელი დღის ბრძოლით დაღლილმა ქართულმა ჯარმა ახალი რაზმების დარტყმას ვეღარ გაუძლო და დამარცხდა. მარაბდის ველზე 14 ათასი ყიზილბაში და 9 ათასი ქართველი დაიღუპა. გმირულად დაღუპულთა შორის იყო ცხრა ძმა ხერხეულიძე, რომელთაც ბრძოლის ველზე დედაც გამოჰყოლოდათ გასამხნევებლად, ცხრა მაჩაბელი, შვიდი ჩოლოყაშვილი, დავით ჯანდიერი, აღათანგ ხერხეულიძე, ბაადურ ციციშვილი და მრავალი სხვა.

დამარცხების მიუხედავად, ქართველთა ლაშქარი კოჯორ-ტაბახმელის მიდამ-

ოებში გამაგრდა და იქ 10 დღის განმავლობაში აკავებდა მტერს. ამან მოსახლეობას გახიზვნის საშუალება მისცა. ამავე დროს, გაჩაღდა პარტიზანული ბრძოლები მტრის წინააღმდეგ. ქსნის ხეობაში 12 ათასი ყიზილბაში იქნა ამოწყვეტილი. ამრიგად, შაჰ-აბას I-მა საქართველოში სულ 60 ათასი კაცი დაკარგა, რაც ირანელთა შეიარაღებული ძალების თითქმის ნახევარი იყო. ეს ფაქტობრივად შაჰ-აბასის დამარცხებას ნიშნავდა. მართალია, მარაბდის ბრძოლიდან 10 დღის შემდეგ ყიზილბაშებმა თბილისი დაიკავეს, მაგრამ შაჰ-აბასმა თავის მიზანს – მთლიანად მოეთხარა ქართლ-კახეთი – ვერ მიაღწია. ამიტომ, იგი იძულებული შეიქნა მოლაპარაკებაზე წასულიყო და თეიმურაზი ქართლ-კახეთის მეფედ ეცნო.

გიორგი სააკაძე ამის შემდეგაც აგრძელებდა გამოსვლებს ყიზილბაშთა წინააღმდეგ და სამცხისა და ქართლ-კახეთის ციხეებიდან ერეკებოდა მათ გარნიზონებს. ასეთმა დაუღალავმა საქმიანობამ და წარმატებულმა ბრძოლებმა დიდად გაზარდა სააკაძის ავტორიტეტი, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საქართველოს ფარგლებს გარეთ. გიორგი სააკაძის ასეთი განდიდება არ მოსწონდა პატივმოყვარე თეიმურაზს. ასეთ ვითარებაში გიორგის მოწინააღმდეგე თავადებმა შეძლეს განხეთქილების ჩამოგდება თეიმურაზ I-სა და გიორგი სააკაძეს შორის. შაჰ-აბასის მეცადინეობით თეიმურაზ I-სა და გიორგის შორის ურთიერთობა უკიდურესად გამწვავდა. საქმე ბრძოლამდე მივიდა. გიორგი სააკაძემ იმერეთის მეფეს გიორგი III-ს შესთავაზა მისი შვილის ალექსანდრეს ქართლ-კახეთში გამეფება. გამარჯვების შემთხვევაში ალექსანდრე ქართლ-კახეთის მეფე და იმერეთის ტახტის მემკვიდრე იქნებოდა. ეს საფუძველს შეექმნიდა საქართველოს გაერთიანებისთვის. გიორგი III-მ წინადადება მიიღო და ჯარიც გამოუგზავნა გიორგი სააკაძეს. მაგრამ 1626 წლის გვიან შემოდგომაზე *ბაზალეთის ტბასთან* (დუშეთის რ-ნი) გამართულ ბრძოლაში გიორგი სააკაძე დამარცხდა. იძულებული შეიქნა ოსმალეთში გადახვეწილიყო. აქ, 1629 წელს გიორგი სააკაძე, მისი ძე ავთანდილი და მათი 40 მხლებელი სულთნის დიდი ვეზირის ბრძანებით სიკვდილით დასაჯეს (თავები მოჰკვეთეს).

11. ქართლის მეფე როსტომ-ხანი. ქართლ-კახეთი XVII ს-ის II მეოთხედში

ქართლ-კახეთის მრავალწლიანმა ბრძოლამ აიძულა შაჰ-აბას I დათმობაზე წასულიყო. მან მოლაპარაკება გამართა თეიმურაზ I-თან და იგი ქართლ-კახეთის მეფედ სცნო (თეიმურაზ I ქართლ-კახეთში მეფობდა 1625-1632 წწ.). თეიმურაზმა თავი ირანის შაჰის ვასალად აღიარა, მაგრამ განაგრძობდა ბრძოლას სრული დამოუკიდებლობისათვის. შაჰ-აბასის გარდაცვალების (1629 წ.) შემდეგ იგი შეტევაზე გადავიდა და მეზობელი მაჰმადიანური პროვინციები მოარბია. ამის

გამო, ირანის ახალმა შაჰმა *სეფი I*-მა ქართლის ტახტზე *როსტომი* (1632-1658) დაამტკიცა. გამეფებამდე როსტომი *ხოსრო მირზას* (ანუ ქაიხოსრო ბატონიშვილის) სახელით იყო ცნობილი. იგი იყო სიმონ I-ის ძმის, დავითის (დაუდ-ხანის) უკანონო შვილი, დაბადებული და გაზრდილი ირანში, იმთავითვე მუსლიმი. ხოსრო-მირზამ ირანის შაჰის კარზე თავი გამოიჩინა გონიერებით და სიმამაცით. შაჰ-აბასმა იგი თავისი გვარდიის მეთაურად (ყულარაღასი) დანიშნა. 1632 წელს სეფი I-მა მას *როსტომ-ხანი* უწოდა (ირანული ეპოსის, „შაჰნამეს“ ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის სახელი, რომელიც ირანში გმირობისა და მამაცობის სიმბოლო იყო) და დიდი ჯარით საქართველოში გამოისტუმრა.

თეიმურაზ I იძულებული შეიქნა იმერეთში გახიზნულიყო. ცოტა ხნის შემდეგ თეიმურაზმა კახეთი ისევ დაიკავა (1634 წ.), შეურიგდა როსტომს და ირანის შაჰმაც ოფიციალურად ცნო ქრისტიანი თეიმურაზი კახეთის მეფედ. ქართლში გამეფებისთანავე როსტომმა თბილისის, გორის და სურამის ციხეებში ყიზილბაში მეციხოვნეები ჩააყენა და ამით თავისი მდგომარეობა განამტკიცა. მან თეიმურაზის მიერ დანიშნული მოხელეები გადააყენა და თავისი ერთგულები დანიშნა. როსტომ ხანმა ქართლში ზედაპირული ხასიათის ცვლილებები მოახდინა – ზოგიერთი ქართული სამოხელეო თანამდებობა სპარსულით შეიცვალა, მაგრამ ქართული სამოხელეო წყობილება ძირითადად უცვლელი დატოვა. როსტომის რეფორმები ქართულ საზოგადოებრივ და სამეურნეო წყობას არ შეხებია.

როსტომის მეფობის დროს ქვეყანას დიდი ხნის ნანატრი მშვიდობა ეწია. შეწყდა ყიზილბაშთა თარეში და თავადური შინაომები. ამან გამოიწვია გახიზნული მოსახლეების დაბრუნება თავის მამაპაპეულ ადგილ-მამულში, დაცარიელებული სოფლების მოშენება და ვაჭრობა-ხელოსნობის გამოცოცხლება. ამას თვითონ როსტომი დიდად უწყობდა ხელს. მისი ბრძანებით აღიკვეთა თბილისის მებაჟეთა თვითნებობა. მან ზოგიერთი ვაჭარი ბაჟისაგან გაათავისუფლა, ხოლო ზოგიერთს შეუმცირა ბაჟი. მას გაჰყავდა გზები, აშენებდა ხიდებს და ქარვასლებს. მისი ბრძანებით მდ. თეძამზე ქალაქი აშენდა (ახლანდელი ახალქალაქი, კასპის რ-ნი). ქართლის ახალქალაქის ეკლესიის წარწერა გვამცნობს, რომ როსტომმა და დედოფალმა მარიამმა თეძამის პირას ააშენეს სამეფო ქალაქი (იგულისხმება ქართლის ახალქალაქი), საყდარნი და მონასტერნი.

მართალია, როსტომ ხანი გასპარსებული და გამაჰმადიანებული იყო, მაგრამ იგი ქრისტიანებს არ ავიწროებდა. პირიქით, ხელს უწყობდა თავის თანამეცხედრეს *მარიამ დედოფალს* დანგრეული და დაზიანებული ეკლესიების აღდგენაში. მარიამ დედოფალი იყო ოდიშის მთავრის ლევან II დადიანის და, ქართული კულტურის გამოჩენილი მოღვაწე. მან ხელახლა ააშენა *ბოლნისის ეკლესია*, განაახლა *რუისის ტაძარი*; მისი თაოსნობით გადაწერილი იქნა „ქართლის ცხოვრება“. მიუხედავად ამისა, როსტომის მეფობაში სამეფო კარზე და მაღალ ფეოდალურ არისტოკრატიაში მაჰმადიანობა და ყიზილბაშური წეს-ჩვეულება გავრცელდა.

1648 წელს როსტომმა შაჰის დავალებით კახეთში ილაშქრა და საბოლოოდ გააძევა იქიდან თეიმურაზ I, რომელიც ისევ იმერეთში გადაიხვეწა. თეიმურაზმა დახმარებისთვის კვლავ რუსეთს მიმართა. მან ჯერ კიდევ კახეთში ყოფნისას, 1639 წელს განაახლა „ფიცის წიგნი“ რუსეთის ერთგულებაზე. იმერეთში გადახვეწის შემდეგ მან არაერთი ელჩობა მიავლინა რუსეთში. მისი ინიციატივით რუსეთის ერთგულებაზე დაიფიცა იმერეთის მეფე ალექსანდრემაც, ხოლო 1653 წელს მოსკოვში თავისი შვილიშვილი *ერეკლე* გაგზავნა. 1656 წელს ყიზილბაშებმა კახეთი როსტომსაც ჩამოართვეს და განჯის ხანს გადასცეს.

ირანის შაჰმა *აბას II*-მ გადაწყვიტა შაჰ-აბას I-ის გეგმა განეხორციელებინა – კახეთი მოესპო და იქ თურქმანები ჩაესახლებინა. ჩამოსახლებული თურქმანები რომ დაეცვა ქართველთა თავდასხმებისაგან, კახეთში, შაჰ-აბას II-ის ბრძანებით, ბახტრიონის ციხე ააგეს, ხოლო ალავერდის მონასტრის გალავანი ციხესიმაგრედ გადააკეთეს. ორივეგან ირანული გარნიზონი იქნა ჩაყენებული. თურქმანების ჩამოსახლებით გადაშენების საფრთხე შეექმნა კახეთის მეურნეობას. ამას ემატებოდა ყიზილბაშ მეციხოვნეთა სიმკაცრე და თავხედობა ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ. განსაკუთრებით შფოთავდა მთიანეთის მოსახლეობა – თუშ-ფშავ-ხევსურები. მათ ელჩობა გააგზავნეს რუსეთში დახმარების სათხოვნელად. 1658 წელს რუსეთში წავიდა თეიმურაზ I-იც. მაგრამ მაშინ რუსეთი პოლონეთთან და შვედებთან ომში იყო ჩაბმული და საქართველოსათვის არ ეცალა.

1660 წელს კახეთში აჯანყება დაიწყო. აჯანყების მზადებას ხელმძღვანელობდა ზაალ *არაგვის ერისთავი*, ხოლო უშუალო ბრძოლებს - მისი ვაჟი *ზურაბი*. კახელებს სათავეში *ბიძინა ჩოლოყაშვილი* ედგა. ქართლიდან კახეთის დასახმარებლად მოვიდნენ *შალვა* და *ელიზბარ ქსნის ერისთავები*. აჯანყებულები *ნაქერალას* მთიდან, ღამით, მოულოდნელად დაესხნენ თავს *ბახტრიონსა* და *ალავერდში* გამაგრებულ ყიზილბაშ მეციხოვნეებს და სასტიკად დაამარცხეს ისინი. ამან ფაქტობრივად გადაწყვიტა აჯანყების წარმატება. *ბახტრიონის ბრძოლაში* მთავარი როლი მთიელებმა – თუშ-ფშავ-ხევსურებმა შეასრულეს. ქართული ფოლკლორი ადიდებს ბრძოლის მონაწილე მთიელ გმირებს: თუშ ზეზვა გაფრინდაულს, ხევსურ ნადირა ხოშარაულს, ფშაველ გოგოლაურს. კახეთი მთლიანად გაიწმინდა ჩამოსახლებული თურქმანებისაგან. ეს იყო ქართველი ხალხის კიდევ ერთი დიდი გამარჯვება.

მართალია, ირანი საბოლოოდ არ იყო უკუგდებული, მაგრამ დამპყრობელი იძულებული გახდა ამჯერადაც ხელი აეღო საქართველოს გაყიზილბაშების გეგმაზე. კახეთი სამმართველოდ კვლავ ქართლის მეფეს, როსტომის გარდაცვალების შემდეგ გამეფებულ *ვახტანგ V*-ს, ანუ *შაჰნავაზს* (1658-1675) გადასცეს.

ირანის შაჰის აბას II-ის რისხვა რომ დაეცხროთ და მისი შემოსევა აეცილებინათ ქვეყნისათვის, აჯანყების ხელმძღვანელები – ბიძინა ჩოლოყაშვილი,

შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები თავისი ნებით გამოცხადნენ შაჰის კარზე. აბას II-მ მათ გამაჰმადიანება მოსთხოვა, მაგრამ უარი მიიღო. მაშინ შაჰმა ისინი გადასცა იმ თურქმანულ ტომებს, რომლებიც კახეთის აჯანყების დროს ამოწყვიტეს. გმირები საშინელი წამებით დახოცეს, ქართულმა ეკლესიამ ისინი წმინდანებად შერაცხა.

„ქართლის ცხოვრება“ მოგვითხრობს კახეთში თათართა (ე. ი. თურქმანთა) ელების (ტომების) ჩამოსახლებას ირანის შაჰის მიერ, ალავერდის ციხედ გადაქცევას და ბახტრიონის ციხის აგებას. აღნიშნულია, რომ ისინი ავიწროებდნენ კახეთის მკვიდრ მოსახლეობას და სურდათ კახეთის გათათრება.

მემატიანე გვამცნობს, რომ ზაალ არაგვის ერისთავმა შემოიფიცა შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები, კახი სუფრაჯი (მეფის სუფრის მომარაგების გამგებელი) ბიძინა ჩოლოყაშვილი, აგრეთვე, მთიელი თუშები; გაატანა მათ სარდლად თავისი ძე ზურაბი. აჯანყებულები თავს დაესხნენ ბახტრიონს და გაულიტეს იქ მყოფი თურქმანები, ასევე კახეთის სხვა ადგილებშიც მათი ნაწილი გაიქცა, ნაწილი დახოცეს. ქართველებმა გაწმინდეს მთელი კახეთი თათრებისაგანო.

ბახტრიონის ბრძოლას მიუძღვნა ვაჟა-ფშაველამ პოემა „ბახტრიონი“, ხოლო აკაკი წერეთელმა მოთხრობა „ბაში-აჩუკი“.

12. ქართული სამეფო-სამთავროების სამეურნეო-ეკონომიკური მდგომარეობა XVI–XVII სს.

XVI ს-ში კახეთის სამეფო არ განიცდიდა საგარეო მტრების თავდასხმებს, რამაც ხელი შეუწყო აქ ეკონომიკურ აღმავლობას – დაწინაურდა სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა-ხელოსნობა, მომრავლდა მოსახლეობა, აღმოცენდა ახალი ქალაქები (გრემი, ძეგამი), გაიზარდა საგარეო ვაჭრობაც. უცხოეთში გაჰქონდათ აბრეშუმი, კაკალი, ღვინო, ენდრო, გადაჰყავდათ ცხენები. ფართოდ გაიშალა მშენებლობა: შენდებოდა სასახლეები, ციხე-სიმაგრეები, ეკლესია-მონასტრები, გაჰყავდათ გზები, არხები.

XVII ს-ის დასაწყისიდან კახეთში ვითარება მკვეთრად გაუარესდა: შაჰ-აბასის გამანადგურებელი შემოსევების შედეგად ეკონომიკა დაქვეითდა, დაეცა სოფლის მეურნეობა, ჩაკვდა ვაჭრობა-ხელოსნობა, გაქრა აყვავებული ქალაქები.

XVII ს-ის 40-იან წლებში რუსი ელჩები გვიხატავენ კახეთის მძიმე სამეურნეო მდგომარეობას. მათი ცნობით, ამ დროს კახეთში ქალაქები აღარ იყო, ისინი განადგურდა შაჰის ლაშქრობათა შედეგადო. მოსახლეობა მცირერიცხოვანია და ამიტომ ქვეყნის დიდი ნაწილი ტყით არის დაფარულიო. მარცვლეულიდან თესდნენ: ხორბალს, ქერს, ოსპს, ცერცვს. მიწას ხნავდნენ ხარებშებმული

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუთნით. არც მუდმივი და არც პერიოდული ბაზრები და ბაზრობები აქ აღარ ყოფილა. ხილეულიდან აქ მოდიოდა ვაშლი, მსხალი, ზეთისხილი, ყურძენი (როგორც საღვინე, ისე საქიშმიშე), კაკალი, ალუბალი, შინდი, ქლიავი, გარგარი, მაყვალი, თხილი, წაბლი. ბაღჩეულიდან და ბოსტნეულიდან: ნესვი, საზამთრო, კიტრი, სტაფილო, ჭარხალი, კომბოსტო, ხახვი, ნიორი. აღნიშნულია, აგრეთვე, რომ ადამიანები აქ კეთილნი არიან.

სხვა ვითარება იყო ქართლში. აქ მთელი XVI ს-ის მანძილზე და XVII ს-ის დასაწყისში განუწყვეტელი ბრძოლები იყო ყიზილბაში და ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ. ამას ემატებოდა შინაფეოდალური ბრძოლები და ანარქია. ასეთი მძიმე საგარეო და საშინაო ვითარების შედეგად ქვეყანა ეკონომიკურად დაქვეითდა, ვაჭრობა-ხელოსნობა და საქალაქო ცხოვრება მოიშალა. XVII ს-ის 30-იანი წლებიდან ქართლში მშვიდობიანი პერიოდი დადგა (როსტომის გამეფებიდან, 1632-1658 წწ., შეწყდა ირანელთა თავდასხმები). ამის შედეგად დაიწყო ქართლის აღორძინება, აღდგა გაპარტახებული სოფლები, დაწინაურდა სოფლის მეურნეობა, ვაჭარ-ხელოსნობა, საქალაქო ცხოვრება. თბილისის მოსახლეობა XVII ს-ში უკვე 20 000-ს შეადგენდა. დაწინაურდნენ აგრეთვე ქალაქები: გორი, სურამი, ალი, ცხინვალი და სხვ. მოწესრიგდა ბაჟების ნიხრი, სავაჭრო წესები.

სამცხე-საათაბაგო და დასავლეთ საქართველო XVI-XVII სს-ში მძიმე პირობებში იმყოფებოდა. ოსმალთა ბატონობამ სამცხე-ჯავახეთსა და აჭარაში მოშალა ქართული ფეოდალური წყობილება და ეკონომიკა, მევენახეობა-მებაღეობა. მოსახლეობა დამპყრობელთა მძიმე ექსპლუატაციის ქვეშ მოექცა.

დასავლეთ საქართველოში ფეოდალური მეურნეობის (მევენახეობა-მებაღეობა, სახნავი მიწათმოქმედება) განვითარებისათვის გაცილებით უარესი პირობები იყო, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში. ამიტომაც, აქ საგარეო მტრების თავდასხმებმა უფრო მძიმე შედეგებიც გამოიღო: XVI–XVII საუკუნეებში დაქვეითდა ეკონომიკა, გაქრა ერთ დროს აყვავებული ქალაქები, მეურნეობა კვლავ ნატურალურ-კარჩაკეტილი გახდა.

აქ შექმნილ მძიმე ეკონომიკურ ვითარებას აღგვიწერს ანტიოქიის პატრიარქი მაკარიოსი, რომელიც XVII ს-ის 60-იან წლებში იყო დასავლეთ საქართველოში. ის გვამცნობს, რომ ქართველებმა ხელი აიღეს მეაბრეშუმეობაზე, რომლის ფართოდ განვითარებისთვისაც აქ ხელსაყრელი პირობები ყოფილა, რადგანაც ქვეყანა მდიდარი იყო თუთის ხეებით. ზოგი კვლავ მისდევს ამ დარგს და კარგ შემოსავალსაც იღებს, მაგრამ უმრავლესობამ ხელი აიღო მასზეო, - ამბობს იგი. მაკარიოსის ცნობით, ქართველები ვაჭრობასაც აღარ მისდევენ და ვაჭრობა მხოლოდ მათ ქვეშევრდომთა (ე. ი. არაქართველთა) ხელშია.

XV საუკუნიდან საქართველოში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა საზოგადოების სოციალურ აღნაგობაში.

გარდა სამი სამეფოსი (ქართლის, კახეთის, იმერეთის) წარმოიქმნა აგრეთვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენიმე სამთავრო. დასავლეთ საქართველოში: გურიის, სვანეთის, სამეგრელო-აფხაზეთის (XVII ს-დან სამეგრელოს გამოეყო ცალკე აფხაზეთის სამთავრო), სამხრეთ საქართველოში – სამცხე-საათაბაგო. მთავრები: დადიანი, გურიელი, დადეშქელიანი, შერვაშისძე (აფხაზეთში), ჯაყელი (სამცხე-საათაბაგოში) და მათი საგვარეულოს წევრები ფეოდალური საზოგადოების სათავეში იდგნენ. სამეფო-სამთავროების შიგნით წარმოიქმნა სახელმწიფო ხელისუფლებისაგან ნახევრად დამოუკიდებელი საფეოდალოები – სათავადოები, რომელთა მფლობელები თავადები იყვნენ. თავადის საგვარეულოს წევრებს თავადიშვილები ეწოდებოდა. დიდ თავადებს ყმებად ანუ ვასალებად ჰყავდათ აზნაურები. ამრიგად, ფეოდალთა კლასი, გარდა მეფე-მთავრებისა, დაიყო ორ წოდებად. თუ XI–XV საუკუნეებში ფეოდალთა კლასი იყოფოდა დიდებულებად და აზნაურებად, ახლა დიდებულები გადაიქცნენ თავადებად. თავადი, დიდებულებთან შედარებით, უფრო მეტად იყო დამოუკიდებელი სახელმწიფო ხელისუფლებისაგან. ის სარგებლობდა შეუვალობით (იმუნიტეტით). თავადი თავის მამულში იყო, როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო ხელისუფალი. მას ჰქონდა თავისი ციხეები, სასახლე, მონასტერი, სამოხელეო აპარატი, რომელიც შედგებოდა თავადიშვილებისაგან, ვასალ-აზნაურთაგან და გლეხთა წრიდან გამოსული მსახურებისაგან. თავადებიც და აზნაურებიც სამ-სამ სოციალურ კატეგორიად იყოფოდნენ (ეს ასახულია ვახტანგის სამართალში). პირველი კატეგორიის თავადებს ეწოდებოდათ „დიდებული თავადები“. ქართლის სამეფოში დიდებული თავადი ექვსი იყო: არაგვის ერისთავი, ქსნის ერისთავი, მუხრანბატონი, ორბელაშვილ-ბარათაშვილი, ამილახვარი, ციციშვილი. იმერეთში: რაჭის ერისთავი, აბაშიძე, ჩხეიძე, ლორთქიფანიძე და სხვ. კახეთში: ჩოლოყაშვილი, ჯანდიერი, ანდრონიკაშვილი, ჯორჯაძე და სხვ. სამცხე-საათაბაგოში: დიასამიძე, შალიკაშვილი, ავალიშვილი და სხვ. დიდ საფეოდალოებს წარმოადგენდნენ აგრეთვე სამონასტრო და სასაყდრე მამულები. მათ შორის ყველაზე დიდი იყო საკათალიკოსო საყდრის – მცხეთის სვეტიცხოვლის მამული, საეპისკოპოსო საყდრების: ალავერდის, რუსთავის, რუისისა და სხვ. სენიორიები. ასევე დიდი მონასტრების – გელათის, ვარძიის, შიომღვიმის, ქვათახევის და სხვა სენიორიები (ე. ი. საფეოდალოები). ეკლესია-მონასტრებს ჰყავდათ თავიანთი ყმა-გლეხები, ყმა-აზნაურები და ყმა-თავადებიც (ე. ი. ვასალი აზნაურები და თავადები). მაგალითად, მცხეთის სვეტიცხოვლის ყმა-აზნაურებს: გედევანიშვილებს და მაღალაძეებს თავადობა მიენიჭათ. აზნაურები იყვნენ ან თავადების, ან ეკლესიის, ან მეფის ყმა-ვასალები.

ყმა-გლეხობა ორ ძირითად ფენად იყოფოდა: მსახურებად და მებეგრე ანუ მოყალნე გლეხებად. მსახურებს ევალებოდათ ბატონის ხლება-მოლაშქრეობა და სხვადასხვა სამოხელეო სამსახურის შესრულება. მებეგრე გლეხებს – საბატონო გამოსაღების – ბეგარის გადახდა. ბეგარაში იგულისხმებოდა

სხვადასხვა გადასახადი. ცალკეულ საფეოდალოში და ზოგჯერ სოფელშიც სხვადასხვა სახის ბეგარა იყო. მათ შორის მთავარი იყო ღალა (მარცვლეულით გადასახადი), კულუხი (გადასახადი ღვინით), საბალახე (გადასახადი საქონლის ყოლისათვის), ძღვენი, სამასპინძლო და სხვ. მებატონეები გადასახადს სისტემატურად ზრდიდნენ. გლეხები იხდიდნენ, აგრეთვე, სამეფო და საეკლესიო გადასახადებს, უცხოელ დამპყრობთა ხარკს.

ბატონყმური ურთიერთობა შედარებით სუსტად იყო განვითარებული მთის რაიონებში, აგრეთვე XVII–XVIII საუკუნეებში – აფხაზეთში და აღმოსავლეთ კახეთში (დღევანდელი საინგილო), სადაც ამ პერიოდში მასობრივად ჩამოსახლდნენ იმიერკავკასიის მთიელები და თან ჩამოიტანეს პირველყოფილთემური წყობილების გადმონაშთები.

აფხაზეთში XVII–XVIII სს-ში ძლიერი იყო პირველყოფილი-თემური წყობილების გადმონაშთები. აქ, ამ პერიოდში, გლეხობის დიდი ნაწილი თავისუფალი იყო. მათ ეწოდებოდათ ანხაიუ. იყვნენ ფეოდალურად დამოკიდებული ყმა-გლეხებიც *ახოიუ* და *ამაცურაზკუ*. იყო მცირე რაოდენობით მონის მდგომარეობამდე დაყვანილი გლეხებიც – *ახაშვალა*.

13. ქართული კულტურა XVI–XVII სს.

XVI–XVII საუკუნეებში ქართულ კულტურას გამოცოცხლება დაეტყო. დაარსდა სასწავლო ცენტრები, მაგრამ წერა-კითხვას მაინც ოჯახებში და ეკლესია-მონასტრებში ასწავლიდნენ. ევროპიდან საქართველოში ჩამოდიოდნენ კათოლიკე მისიონერები, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში აარსებდნენ სკოლებს, სადაც კათოლიკურ-ქრისტიანულ მოძღვრებასთან ერთად ასწავლიდნენ იტალიურსა და ლათინურ ენებს, აგრეთვე, ზოგიერთ პრაქტიკულ მეცნიერებასაც. როგორც ჩანს, პირველ რიგში, ამ მისიონერთა პრაქტიკული საჭიროებისათვის. 1629 წელს *რომში*, პაპის ურბან VIII-ის დროს, ვატიკანის სტამბაში დაიბეჭდა პირველი ქართული წიგნები: „ქართული ანბანი ლოცვებითურთ“ და *სტეფანე პაოლინისა* და *ნიკიფორე ირბახის* „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“; მალე მათ მოჰყვა *ფრანცისკ მარია მაჯოს* „ქართული გრამატიკა“. ამ გამოცემებით იწყება ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია, რომელიც საკუთრივ საქართველოში მხოლოდ XVIII ს-ის დამდეგს განხორციელდა (ვახტანგ VI-ის სტამბა თბილისში).

აღორძინება-გამოცოცხლება ყველაზე უფრო ძლიერად დაეტყო მხატვრულ ლიტერატურას, რომლის წარმომადგენლები არიან: *თეიმურაზ I, არჩილ მეფე, იოსებ ტფილელი, ფეშანგი ხითარიშვილი* და სხვები. შეიქმნა „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელებათა ციკლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეიმურაზ I იყო შესანიშნავი პოეტი, რომელმაც შექმნა არაერთი მაღალმხატვრული ნაწარმოები, მათ შორის: „წამება ქეთევან დედოფლისა“, „გაბაასება გაზაფხულისა და შემოდგომისა“, „მაჯამა“ და სხვ. თეიმურაზი პირველი იყო, ვინც ქართულ პოეზიაში ეროვნულ-ისტორიული მოტივი შემოიტანა. პოემაში „წამება ქეთევან დედოფლისა“ მან აღწერა მისი დედის – ქეთევან დედოფლის საშინელი წამება და გმირული თავდადება სამშობლოსა და ეროვნული სარწმუნოებისათვის.

ეროვნულ-ისტორიული მოტივი განსაკუთრებით გაძლიერდა შემდგომი თაობის პოეტთა და საზოგადო მოღვაწეთა შემოქმედებაში. იოსებ თბილელმა ისტორიულ პოემაში „დიდმოურავიანი“ ასახა გიორგი სააკაძის მოღვაწეობის ტრაგიკული ბედი. იგი ამტკიცებს, რომ გიორგი სააკაძე სამშობლოს ერთიანობისა და ძლიერებისათვის იბრძოდა. მან „ქართლს გალავანი მოავლო“ და პოეტი წუხს, რომ გიორგის მიერ შემოვლებულ გალავანს ახლა ზღუდეებს უნგრევენ. ამასთან, ავტორი თავისი უსაზღვრო ოპტიმიზმით ცდილობს მომავლის რწმენა ჩაუნერგოს მის დროინდელ თაობებს, სჯერა, რომ საქართველოს მზე არაა ჩასვენებული, მისი მომავალი წინაა.

ასევე, დიდი ადგილი დაიკავა ეროვნულ-პატრიოტულმა მოტივმა არჩილ მეფის შემოქმედებაში. მან პოემაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“ გადმოგვცა თეიმურაზ I-ის თავგადასავალი XVII საუკუნის პირველი ნახევრის ისტორიული მოვლენების ფონზე. აქვე მას გიორგი სააკაძე გამოყვანილი ჰყავს, როგორც ეროვნული გმირი, რომელმაც პირადი ბედნიერება სამშობლოს სამსახურს შესწირა. პატრიოტი პოეტი თანამედროვეებს და მომავალ თაობებს მოუწოდებდა მიებაძათ სააკაძის მაგალითისათვის. მისი იდეალი იყო თამარისდროინდელი ძლიერი საქართველო და სწამდა, რომ სამშობლოს ყოფილი დიდება კვლავ აღსდგებოდა.

არჩილმა დააყენა სხვა არაერთი საჭირბოროტო საკითხიც: ზნეობრივი აღზრდის, მშრომელი გლეხობისადმი დამოკიდებულების და სხვა.

ამავე პერიოდში შეიქმნა, მართალია, პოეტურად მდარე, მაგრამ ისტორიული სინამდვილის ამსახველი პოემები, მათ შორის ფეშანგი ხითარიშვილის „შაჰნავაზიანი“ და სხვ.

ორიგინალურ პოეზიასთან ერთად, ამ დროს იქმნებოდა გალექსილი და პროზაული თარგმანები, ძირითადად, სპარსულიდან. ქართველ ხალხში დიდი პოპულარობით სარგებლობდა ისტორიული პოემის - ფირდოუსის „შაჰნამეს“, გალექსილი თარგმანები, დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი ხასიათის მოთხრობების ციკლები „ქილილა და დამანა“ და სხვ.

XVI–XVII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება მკვეთრად ჩამოუვარდებოდა კლასიკური ხანის (XI–XIII სს.) ბრწყინვალე სამშენებლო ხელოვნებას. და მაინც, შეიქმნა დროის შესაბამისი ზოგიერთი ხუროთმოძღვრული ძეგლი:

გრემის საქალაქო ანსამბლი ეკლესიებითა და სასახლეებით, შუამთის ახალი მონასტერი და ნინოწმინდის სამრეკლო (ყველა კახეთში), როსტომის სასახლე და ანჩისხატის სამრეკლო (თბილისში), მჭადიჯვრის ეკლესია და ანანურის ანსამბლი (ორივე დუშეთის რაიონში) და სხვ.

ხელნაწერებს ამკობდნენ მინიატურებით. სამეგრელოს მთავრის ლევან II დადიანის დაკვეთით გადაწერეს „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც მოხატა *მამუკა თავაქარაშვილმა*.

XVII ს-ის იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი თავის ნაშრომში „სამეგრელოს აღწერა“ მოგვითხრობს სამეგრელოს მთავრის ლევან II დადიანის (1610-1657) სამშენებლო-კულტურულ ღონისძიებებზე. ლამბერტის ცნობით, ლევან დადიანს დანგრეული ეკლესიები ხელახლა აუშენებია, დაზიანებულები აღუდგენია, გადაუხურავს, შეუმკია; ეკლესიებისთვის გაუჩენია შემოსავალი. მან დაამზადებინა მრავალი ოქრო-ვერცხლის ხატი, შემკობილი თვალმარგალიტით. ათი წლის განმავლობაში ოცზე მეტ ოქრომჭედელს ამუშავებდა ნივთების დამზადებაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილი VII

საქართველო XVIII საუკუნეში

1. ქართული სამეფო-სამთავროები XVII ს-ის ბოლოს და XVIII ს-ის I ნახევარში

XVII ს-ის II ნახევარში ქართლისა და კახეთის სათავეში მაჰმადიანი მმართველები იდგნენ, რომლებიც ხელისუფლებას ირანის შაჰებისაგან იღებდნენ. როსტომის გარდაცვალების შემდეგ ქართლის სამეფოს ტახტი დაიკავა *ვახტანგ V*-ემ (1658-1675), *შაჰ-ნავაზად* წოდებულმა. ვახტანგ V-ის მიზანი იყო ქართლ-კახეთის გაერთიანება და დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებთან მჭიდრო კავშირის დამყარება ქართლის ჰეგემონობით. მან ისარგებლა იმერეთის სამეფოში შექმნილი არეულობით და იმერეთის ტახტზე თავისი შვილი არჩილი აიყვანა, მაგრამ მალე ოსმალეთის მოთხოვნით იძულებული გახდა არჩილი იმერეთიდან გამოეყვანა. ამის შემდეგ ვახტანგი შეეცადა არჩილი კახეთის მეფედ დაესვა, მაგრამ ვერ მოახერხა. კახეთს XVIII ს-ის დასაწყისამდე ყიზილბაში ხანები მართავდნენ. ვახტანგ V ირანის ვასალად აღიარებდა თავს და მასთან მშვიდობიანი ურთიერთობის დაცვას ცდილობდა.

ვახტანგ V–ის მემკვიდრე *გიორგი XI* შეეცადა გაეთავისუფლებინა ქართლი ირანელთა ბატონობისაგან. მან 1688 წელს აჯანყება მოაწყო, მაგრამ დამარცხდა და იმერეთს შეაფარა თავი. შაჰმა მის მაგივრად ქართლის მეფედ თეიმურაზ I-ის შვილიშვილი *ერეკლე I* დაამტკიცა. ერეკლე თავდაპირველად რუსეთიდან იმედოვნებდა დახმარების მიღებას, მაგრამ უშედეგოდ. შემდეგ იგი ირანის შაჰის კარზე გამოცხადდა, გამაჰმადიანდა და ქართლის მეფობაც მიიღო. გიორგი XI-მ, სხვანაირად რომ ვერ მოახერხა ტახტის დაბრუნება, ირანში წავიდა, სადაც მან შაჰის ნდობა მოიპოვა. 1703 წელს შაჰმა მას ქართლის სამეფო დაუბრუნა, ხოლო ერეკლე I კახეთის მეფედ გამოაცხადა. მიუხედავად ამისა, გიორგი XI ირანში დატოვეს და ავღანელების წინააღმდეგ

გრემი. მთავარანგელოზის ტაძარი, აშენებულია ლევან კახთა მეფის მიერ 1574 წ; პალატი–სამრეკლო, XV ს.





ბრძოლა დაავალეს, რასაც შეეწირა კიდეც. ასევე, ავღანელებთან ბრძოლაში დაიღუპა ქართლის მომდევნო მეფე *ქაიხოსრო* (1711).

დასავლეთ საქართველო XVII ს-ის II ნახევარში ფეოდალურმა ანარქიამ მოიცვა. სამეგრელოს, გურიის და აფხაზეთის მთავრები დაუცხრომლად ებრძოდნენ ერთმანეთსაც და იმერეთის მეფესაც. ამით სარგებლობდა ოსმალეთი და კიდევ უფრო ზრდიდა თავის გავლენას დასავლეთ საქართველოზე. ოსმალების ხელშეწყობით ფართოდ გავრცელდა ტყვის სყიდვა. მოსახლეობა, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში კატასტროფულად მცირდებოდა. მოსახლეობისაგან დაცლილი რაიონები, კერძოდ, ჩრდილო შავიზღვისპირეთი, შიდა ქართლი და აღმოსავლეთ კახეთი თანდათანობით დაიკავეს იმიერკავკასიიდან ჩამოსახლებულმა მთიელებმა. ამ საერთო ძნელბედობის დროს ქართველი საზოგადოების მოწინავე ნაწილი იმედს არ კარგავდა და ქვეყნის აღდგენისათვის ირაზმებოდა. ამ ბრძოლას სათავეში ჩაუდგა ვახტანგ VI.

2. მეფე ვახტანგ VI. კულტურისა და მეცნიერების გამოცოცხლება

1703 წელს გიორგი XI-ის ირანში დატოვების შემდეგ, ირანის შაჰმა ქართლში მეფის მოადგილედ (ჯანიშინად) გაიორგის ძმიშვილი ვახტანგ ლევანის ძე, შემდგომში *ვახტანგ VI* დანიშნა. პირველ რიგში, იგი შეეცადა ქვეყანაში წესრიგი აღედგინა და ცენტრალური ხელისუფლება გაეძლიერებინა. მან თანდათან ჩამოაცილა სამეფო კარს მისთვის მიუღებელი და მერყევი ელემენტები, გააუქმა ქვეყანაში ფეხმოკიდებული ყიზილბაშური წესები. ქვეყნის ცენტრალიზაციისათვის ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ეკლესიის მხარდაჭერას. 1705 წელს ვახტანგმა მოიწვია საეკლესიო კრება, რომელმაც კათალიკოსად მისი ძმა *დომენტი* აირჩია. მან ეკლესიას დაუბრუნა თავადების მიერ მიტაცებული მიწები.

ვახტანგის ხელმძღვანელობით შედგა კანონთა კრებული („სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა"), რომელიც მოქმედი კოდექსი გახდა მთელ საქართველოში.

ვახტანგმა ყურადღება მიაქცია მეურნეობის აღდგენას. დაასახლა გაუკაცრიელებელი ადგილები, განაახლეს მოშლილი სარწყავი არხები და გაიყვანეს ახალი; ააგეს ხიდები და ქარვასლები, მოაწესრიგეს ფულის მოჭრის საქმე. გამოცოცხლდა ვაჭრობა-ხელოსნობა, საქალაქო ცხოვრება.

1709 წ. ვახტანგმა თბილისში დააარსა პირველი ქართული სტამბა (მოსკოვში არჩილმა ქართული სტამბა დაარსა 1705 წ., პეტერბურგში, სამეცნიერო

ნინოწმინდა. სამრეკლო. XVII ს.

აკადემასთან, ქართული სტამბა დააარსა ქრისტეფორე გურამიშვილმა). სტამბის მოწყობაში ვახტანგს დაეხმარა ვლახეთში (რუმინეთში) მოღვაწე *ანთიმოზ ივერიელი*. ანთიმოზი ბავშვობაში ტყვედ წაიყვანეს, შემდეგ იზრდებოდა იერუსალიმის პატრიარქის კარზე. ანთიმოზმა ვლახეთში რამდენიმე სტამბა დააარსა. ვახტანგის თხოვნით, მან საქართველოში სტამბის მოსაწყობად გამოგზავნა თავისი მოწაფე მიხაილ იშტვანოვიჩი. თბილისის სტამბაში 1712 წ. დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსანი“, ვახტანგის კომენტარებით. ეს იყო ამ ძეგლის პირველი მეცნიერული გამოცემა.

კულტურულ საქმიანობაში დიდ როლს თამაშობდა ვახტანგის აღმზრდელი და თანამებრძოლი დიდი ქართველი მეცნიერი და მწერალი სულხან-საბა ორბელიანი. მან შექმნა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი „სიტყვის კონა“, აგრეთვე, დიდაქტიკური თხზულებანი: „სიბრძნე სიცრუისა“, „სწავლანი“ და სხვ.

ვახტანგის თაოსნობით შეიქმნა „სწავლულ კაცთა“ კომისია, რომელსაც დაევალა „ქართლის ცხოვრების“ გადამუშავება და შევსება (XIV-XVII სს-ის ისტორიით). ასე შეიქმნა ე. წ. „ახალი ქართლის ცხოვრება“. ცნობილია ამ სამუშაოს მონაწილის თუ ხელმძღვანელის *ბერი ეგნატაშვილის* სახელი. ამ პერიოდში დაიწყო თავისი მოღვაწეობა დიდმა ისტორიკოსმა და გეოგრაფოსმა, ვახტანგ VI–ის შვილმა *ვახუშტი ბატონიშვილმა*. მან დაწერა „საქართველოს ცხოვრება“, რომელიც მისი დროის ევროპული ისტორიოგრაფიის დონეზე იდგა. მისი ნაშრომის პირველ ნაწილს შეადგენს საქართველოს ისტორიული გეოგრაფია. ნაშრომს ერთვის ისტორიულ-გეოგრაფიული რუკების ატლასი.

ამ პერიოდში დიდი ყურადღება ექცეოდა სწავლა-აღზრდის საქმეს. დაიწერა და ითარგმნა სახელმძღვანელოები და სამეცნიერი ნაშრომები გეოგრაფიაში, ქიმიაში, მათემატიკაში, ასტრონომიაში და სხვ. ამ საქმიანობაში უშუალოდ მონაწილეობდა თვით ვახტანგი. ამის შესახებ გვამცნობს მისი მდივან-მწიგნობრის *გივი თუმანიშვილის* მიერ ლექსად დაწერილი ეპიტაფია.

ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებისა და განმტკიცების მიზნით, ვახტნაგ VI-მ ე. წ. „მცველთა რაზმი“ შექმნა. ეს იყო სამეფო გვარდია, რომლის მეშვეობითაც დათრგუნვილ იქნა დიდგვარიანი ფეოდალების წინააღმდეგობა.

ვახტანგ VI არ კმაყოფილდებოდა მხოლოდ ქართლის სამეფოს საშინაო საქმეებით. იგი ცდილობდა განემტკიცებინა თავისი გავლენა კახეთსა და იმერეთში. ორჯერ ილაშქარა ოსეთში, შემოიმტკიცა ეს მხარე და ქართლის ჩრდილოეთი საზღვარიც გაამაგრა.

ვახტანგის ჯანიშინობა 1712 წელს დასრულდა, როდესაც ის შაჰის კარზე გამოიძახეს მეფედ დასამტკიცებლად. 1711 წ. აჯანყებულ ავღანელებთან ბრძოლაში დაილუპა ქართლის მეფე, ვახტანგის უფროსი ძმა ქაიხოსრო. ირანის შაჰმა ვახტანგს გამაჰმადიანება მოსთხოვა, მაგრამ უარი მიიღო. შაჰმა ვახტანგი დაატყვევა, ქართლის მეფედ მისი ძმა *იესე* დანიშნა. ვახტნანგმა სცადა დახმარება ევროპისაგან მიელო. ამ მიზნით მან რომის პაპთან და საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო XIV-სთან გააგზავნა თავისი გამზრდელი სულხან-საბა ორბელიანი, მაგრამ მისი ელჩობა უშედეგოდ დამთავრდა. ევროპას არ სურდა საქართველოს გამო ურთიერთობის გაფუჭება ირანთან და ოსმალეთთან. ამასობაში გამაჰმადიანებული იესე, რომელიც პროირანული ორიენტაციით გამოირჩეოდა, სასტიკად ავიწროებდა ვახტანგის მომხრეებს (მისი თხოვნით შაჰმა ვახტანგის შვილი ბაქარი დააპატიმრა). ვახტანგმა ანგარიში გაუწია შექმნილ ვითარებას და 1716 წ. მაჰმადიანობა მიიღო. გამაჰმადიანებული ვახტანგი ქართლის მეფედ დაამტკიცა შაჰმა, მაგრამ 1719 წლამდე ირანში დატოვა (იგი ქირმანს გაგზავნეს). ამ პერიოდში ქართლის სამეფოს განაგებდა მისი შვილი ბაქარი, რომელიც შაჰმა ჯანიშინად დანიშნა.

XVIII ს-ის 20-იან წლებში კავკასია კვლავ მოექცა რუსეთის ინტერესების სფეროში. ირანში ამ დროს სეფიანთა დინასტია დაცემის გზაზე იდგა, აჯანყებულები იყვნენ ავღანელები და ირანში მცხოვრები სხვა ტომები. ირანთან საომრად ემზადებოდა ოსმალეთი. რუსეთის მეფე *პეტრე I* კარგად იყო ინფორმირებული ირანში შექმნილი ვითარების შესახებ. პეტრე I-ის ელჩმა *არტემ ვოლინსკიმ*, რომელიც ირანში იმყოფებოდა 1715-1718 წლებში, სპეციალურად შეისწავლა ირანის სამხედრო ძალების მდგომარეობა. იგი ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ქართველთა ლაშქრის მაღალ საბრძოლო თვისებებს.

არტემი ვოლინსკი თავის მოხსენებით ბარათში აღნიშნავდა, რომ მთელ ირანში საუკეთესო სამხედრო ძალაა ქართველთა ჯარი. მას გაუგია, რომ საქართველოში შეიძლება 15-20 ათასიანი ლაშქრის შეკრება. ირანში, როგორც წესი, სპასალარებად ინიშნებიან ქართველი ბატონიშვილები. ასევე ქართველებს ნიშნავენ ჯარში სხვადასხვა მაღალ თანამდებობებზე. ირანელებს, შაჰ-აბასიდან მოკიდებული, ყველა გამარჯვება თურქებთან, ინდოელებთან და სხვა ხალხებთან ქართველების მეშვეობით აქვთ მოპოვებული. ქართველებმა რომ ერთმანეთს შორის შეთანხმებას მიაღწიონ, არათუ სპარსეთისაგან განთავისუფლდებიან, არამედ თვითონვე დაიპყრობენ სპარსეთს. ირანელების კავალერია ქართველებს ვერ გაუმკლავდება, სამჯერაც რომ სჭარბობდნენ რიცხობრივად. ქართველთა ჯარს რომ რუსეთის 20 ესკადრონი მივუმატოთ, ირანს იოლად დავამარცხებთო.

არტემ ვოლინსკი ირანშივე დაუკავშირდა ვახტანგ VI-ს. 1720 წელს პეტრე I და ვახტანგ VI შეთანხმდნენ ერთობლივ საომარ მოქმედებაზე ირანის

წინააღმდეგ. ამ შეთანხმების მიხედვით, რუსეთის არმია უნდა შესულიყო აზერბაიჯანში, სადაც მას შეუერთდებოდა ქართველთა და სომეხთა ლაშქარი ვახტანგ VI-ის მეთაურობით.

1722 წლის ივლისში პეტრე I-მა დაიწყო ლაშქრობა. ხელთ იგდო კასპიის ზღვის დაღესტნის სანაპირო, მიაღწია დარუბანდს, მაგრამ შემდეგში იძულებული გახდა ასტრახანს გაბრუნებულიყო. ლაშქრობის გაგრძელება მან სახიფათოდ მიიჩნია სურსათისა და ფურაჟის ნაკლებობის გამო. ამავე დროს, რუსთა ჯარში ავადმყოფობა გავრცელდა. რაც მთავარია, გამწვავდა ურთიერთობა რუსეთსა და თურქეთს შორის. ვახტანგ VI, შეთანხმებისამებრ, ქართველთა და სომეხთა 40-ათასიანი ჯარით *განჯასთან* იდგა და რუსეთის ჯარს ელოდებოდა. 3 თვის ამაო ლოდინის შემდეგ აცნობეს მას რუსეთის ლაშქრობის გადადების ამბავი. ვახტანგ VI მეტად მძიმე დღეში ჩავარდა. ირანის შაჰმა ქართლი გამაჰმადიანებულ კონსტანტინე კახთა მეფეს გადასცა. თავდაპირველად, ქართლისათვის ბრძოლაში კონსტანტინე დამარცხდა, მაგრამ შემდეგ ლეკთა დაქირავებული რაზმის დახმარებით 1723 წ. თბილისი აიღო. ქალაქი საშინლად იქნა აოხრებული. ამავე დროს, დასავლეთიდან თურქებიც შემოიჭრნენ და მალე მთელი ქართლი დაიკავეს. ვახტანგს ბრძოლის გაგრძელების საშუალება არ ჰქონდა. ამიტომ იგი 1200-კაციანი ამალით რაჭის გზით რუსეთში გაემგზავრა. ვახტანგ VI-ს იმედი ჰქონდა, რომ რუსეთის ჯარის დახმარებით ქართლის სამეფოს ტახტს დაიბრუნებდა, მაგრამ მის ოცნებას ასრულება არ ეწერა. 1737 წელს ის ასტრახანში გარდაიცვალა და იქვე დაკრძალეს მიძინების ტაძარში.

ვახტანგს თან გაჰყვა მის თანამებრძოლთა და თანამოღვაწეთა დიდი დასი, მათ შორის სულხან-საბა ორბელიანი, ვახუშტი ბატონიშვილი, მისი ვაჟი ბაქარი, რომლებმაც კულტურული და სამეცნიერი მოღვაწეობა რუსეთში გააგრძელეს. მოსკოვთან სოფ. ვსესვიატსკოეში, მდ. პრესნაზე და დონის მონასტერთან შეიქმნა ქართველთა დასახლებანი (ეს ადგილები დღეს მოსკოვის ფარგლებშია. მოსკოვის ქუჩები ახლაც ატარებენ იმდროინდელ სახელებს: ბოლშაია გრუზინსკაია, მალაია გრუზინსკაია, გრუზინსკი ვალ. ბაქარ ბატონიშვილს ყოფილ სახლში მოეწყო მემორიალი-მუზეუმი).

გაჩაღდა დიდი კულტურულ-სამეცნიერი მოღვაწეობა - რუსულიდან თარგმნიდნენ წიგნებს, აღადგინეს ქართული სტამბა, განაგრძობდნენ საქართველოში დაწყებულ სამეცნიერო მუშაობას. აქვე ჩავიდა ლეკების ტყვეობიდან გაქცეული დავით გურამიშვილი. მოსკოვის ქართული კოლონია იქცა ქართულ-რუსული კულტურული ურთიერთობის მძლავრ კერად.

სასტამბო კლიშე ვახტანგ VI-ის გამოსახულებით; 1709 წ. ასომთავრული წარწერა ჩარჩოზე; „† მადიდებელი წმიდისა სამებისა და ერთარსებისა, ძე-გვარმტომობით დავითიან-სოლომონიან პანკრატიონი, ძე ძირთაგან კეთილოვანთა, ძის ძე მეფეთა, გამგებელი ქართლისა, ბატონისშვილი ვახტანგ, მომლები ბეჭდვისა ამის, უფალო, დაიცევ ორთავე შინა ცხოვრებასა მეუღლით, ძით და ასულით“.





ეროვნული ბიბლიოთეკა

1723 წელს, ქართლის დაკავების შემდეგ, საქართველოში ოსმალთა 12-წლიანი ბატონობა – „ოსმალობა“ დამყარდა. ქართლის მეფედ მათ ვახტანგის ძმა *იესე* დასვეს. ოსმალებთან ბრძოლას შეეწირა კახეთის მეფე *კონსტანტინე*. იესეს გარდაცვალების შემდეგ (1727 წ.) ოსმალებმა ქართლში მეფობა გააუქმეს. ოსმალების მიზანი ქართლის საფაშოდ გადაქცევა იყო. „ოსმალობას“ ქართველმა ხალხმა აჯანყებებით უპასუხა. 1735 წელს ქართლში დიდი აჯანყება დაიწყო. ამით ისარგებლა ირანის სარდალმა *ნადირ-ხანმა* და ოსმალები ქართლიდან გააძევა. მაგრამ ამას საქართველოსთვის თავისუფლება არ მოუტანია. „ოსმალობა“ ირანელთა ბატონობით – „ყიზილბაშობით “ შეიცვალა, რომელიც ასევე 12 წელი (1747 წლამდე) გაგრძელდა.

XVIII ს-ის ქართველი ისტორიკოსი პაპუნა ორბელიანი მოგვითხრობს ნადირ-შაჰის მიერ ქართლ-კახეთის აღწერისა და აქ მძიმე ხარკის შემოღების შესახებ. ირანელებმა ნასოფლარებშიც მიწები საბლით (თოკით) გაზომეს და ხარკი დაადეს. მოსახლეობას თითეულ სულზე (ყმაწვილებზეც), პირუტყვზე, ბოსტანზე, წისქვილზე, ყოველ შენობაზე ისეთი მძიმე ხარკი დააწესეს, რომ მისი გადახდა შეუძლებელი იყო. ამაზე ადრე, როცა ქვეყანა ოსმალებს (ურუმებს) ეპყრათ, მათაც აღწერეს და მირი (ხარკი) დაადეს. ამის გამო ქვეყანა აოხრდა, ხალხი აიყარა, ბევრი თავისი ხელით კაფავდა ბაღ-ვენახებს.

ქართლ-კახეთში ამჯერად ყიზილბაშების წინააღმდეგ გაიშალა ბრძოლა. მას კონსტანტინეს უმცროსი ძმა *თეიმურაზ II* ხელმძღვანელობდა. თეიმურაზი ცდილობდა საერთო ენა გამოენახა ნადირთან, რომელიც 1736 წლიდან ირანის შაჰი გახდა, მაგრამ ნადირ-შაჰი მას ეჭვის თვალით უყურებდა და რამდენჯერმე დააპატიმრა კიდეც. 1737 წელს თეიმურაზ II-მ თავისი 17 წლის ვაჟი ერეკლე შაჰის მოთხოვნით მასთან გაგზავნა. ახალგაზრდობის მიუხედავად ერეკლე საკმაოდ გამოცდილი მებრძოლი იყო. პირველად მან 15 წლის ასაკში უხელმძღვანელა გლეხების რაზმს ლეკების წინააღმდეგ ბრძოლაში. ერეკლეს ხალხში სიყვარულით „ჰატარა კახს“ ეძახდნენ. ნადირ-შაჰმა ერეკლე ინდოეთში სალაშქროდ წაიყვანა, სადაც მან შესანიშნავი სამხედრო წრთობა გაიარა, რაც შემდეგში არაერთხელ გამოიყენა წარმატებით.

ერეკლე საქართველოში დაბრუნდა 1739 წელს. ქართლში კვლავ გრძელდებოდა აჯანყებები ირანელთა წინააღმდეგ. ქართველი ხალხის ბრძოლამ აიძულა ნადირ-შაჰი დათმობაზე წასულიყო. მან კახეთი და ქართლი ჯერ მძიმე გადასახადებისაგან გაათავისუფლა, ხოლო შემდეგ ნება დართო თეიმურაზ II-ს ქართლის მეფედ ქრისტიანული წესით კურთხეულიყო. ერეკლეს კახეთის მეფობა მისცეს 1744 წელს.

მეფე ერეკლე II (1744-1762, 1762-1798).

1745 წლის 1 ოქტომბერს თეიმურაზ II დიდი ზეიმით, ძველი ქართული წესით, სვეტიცხოვლის ტაძარში მეფედ აკურთხეს. ეს ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენა იყო - საუკუნეზე მეტი იყო გასული, რაც ქართლ-კახეთის ტახტზე ქრისტიანი ქართველი მეფე არ მჯდარიყო. ეს იყო უდიდესი მონაპოვარი ქართველი ხალხის თავდადებული ბრძოლისა; ეს იყო „ქართველობის“ დიდი გამარჯვება. 1747 წელს, ნადირ-შაჰის გარდაცვალების შემდეგ, „ყიზილბაშობა“ საბოლოოდ გადავარდა.

5. საქართველოს საშინაო და საგარეო მდგომარეობა XVIII ს-ის II ნახ-ში

ყიზილბაშთა ორასწლიანი შეუწყვეტელი ბრძოლა საქართველოს საკუთარ სახანოდ გადაქცევისათვის მარცხით დამთავრდა. 1744 წლიდან საქართველოს სათავეში ქრისტიანი მეფეები ჩადგნენ: ქართლში – *თეიმურაზ II* (1744-1762), ხოლო კახეთში – მისი შვილი *ერეკლე II* (1744-1798).

აღმოსავლეთ საქართველოს საგარეო მდგომარეობა თანდათან გაუმჯობესდა. ნადირ-შაჰის გარდაცვალების შემდეგ მთელი ირანი ცალკეულ სახანოებად დაიშალა. საქართველოს აღმოსავლეთით და სამხრეთით (თანამედროვე აზერბაიჯანსა და სომხეთის ტერიტორიაზე) ჩამოყალიბდა განჯის, ერევნის, ნახიჩევანის და სხვა სახანოები. ისინი განუწყვეტლივ ებრძოდნენ ერთმანეთს ამიერკავკასიაში პირველობის მოსაპოვებლად. XVIII ს-ის 50-იან წლებში თეიმურაზ II-მ და ერეკლე II-მ ეს სახანოები თავიანთ მოხარკეებად აქციეს.

1751-1752 წლებში ქართველებმა დაამარცხეს, აგრეთვე, თავრიზის მფლობელი *აზატ-ხანი* (რომელიც ირანის დაპყრობასა და შაჰად დაჯდომას ცდილობდა) და შირვანის ხანი *აჯი-ჩალაბი*. ეს იმას ნიშნავდა, რომ ქართლ-კახეთის სამეფომ მთელს აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში პოლიტიკური უპირატესობა მოიპოვა.

ქვეყნისთვის სერიოზულ საფრთხედ ე. წ. *ლეკიანობა* რჩებოდა. იგი განსაკუთრებით გაძლიერდა XVIII ს-ის 50-იან წლებში. პატარა-პატარა თარეშებს მალე დიდი ლაშქრობები მოჰყვა, მათ შორის ყველაზე დიდი იყო ხუნძახის (ავარიის) მფლობელის *ნურსალ-ბეგის* ორგზის ლაშქრობა. პირველად იგი 1754 წელს შემოიჭრა ქართლ-კახეთში. კახეთის სოფლების მორბევის შემდეგ, იგი ქართლში გადავიდა და *მჭადიჯვრის ციხესიმაგრეს* (დუშეთთან ახლოს) ალყა შემოარტყა. ერეკლე II-მ მჭადიჯვრის ბრძოლა ლეკებთან ბრწყინვალედ მოიგო. ნურსალ-ბეგი დამარცხებული გაიქცა. მეორეჯერ, 1755 წელს ნურსალ-ბეგი 20-ათასიანი ლაშქრით შემოიჭრა კახეთში და ალყა შემოარტყა *ყვარლის ციხეს*. ციხის მცველებს ტყვია-წამალი შემოაკლდათ. ერეკლემ გადაწყვიტა ციხეში

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამხმარე რაზმი შეეგზავნა. ამისათვის საჭირო იყო მტრის ალყის გარღვევა. მეფემ მოხალისეებს, ვინც ალყის გარღვევაში მონაწილეობას მიიღებდა, თავადისა და აზნაურის დიდი თანამდებობა, ხოლო გლეხებს ბატონყმობიდან განთავისუფლება აღუთქვა. მეფის მოწოდებაზე 206 კაცი გამოვიდა, მათ შორის 9 თავად-აზნაური იყო, დანარჩენი – გლეხები. მამაცთა რაზმი ღამით წავიდა ქიზიყიდან, ალაზანს გავიდა, მიეპარა მტრის გუშაგებს, ამოწყვიტა ისინი და დიდძალი ტყვია-წამლით ციხეში შეაღწია. ამასთან, ერეკლემ მოალყე მტრის ჯარში განხეთქილება შეიტანა - მან ნურსალ-ბეგის მოკავშირე ჭარელების სოფლებს ქართველთა რაზმები შეუსია; ამის გამო, მათ ყვარლის ციხე მიატოვეს და თავიანთ სახლებს მიაშურეს. ამ ნიადაგზე ნურსალ-ბეგსა და მის მოკავშირეებს შორის მტრობა ჩამოვარდა და ხუნძახის ბატონი იძულებული გახდა უკან გაბრუნებულიყო.

მჭადიჯვართან და ყვარელთან მოპოვებულმა გამარჯვებებმა ქართლ-კახეთი სერიოზული საფრთხისაგან იხსნა - აღიკვეთა ლეკთა დიდი შემოსევები, თუმცა პატარ-პატარა თარეშებს ისინი შემდეგშიც აგრძელებდნენ.

6. მეფე ერეკლე II. ქართლ-კახეთის ერთ სამეფოდ გაერთიანება

მეფე თეიმურაზ II და ერეკლე II კვლავ აგრძელებდნენ რუსეთთან კავშირის განმტკიცების ცდას, რაც მათ ასე სჭირდებოდათ მაჰმადიანური სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლისათვის. ამ მიზნით 1760 წელს თეიმურაზ II თვითონ გაეგზავნა პეტერბურგში, მაგრამ მაშინ რუსეთი შვიდწლიან ომში მონაწილეობდა პრუსიის წინააღმდეგ და საქართველოსთვის დახმარების აღმოჩენა არ შეეძლო. ამ დახმარების მოლოდინში თეიმურაზი პეტერბურგშივე გარდაიცვალა 1762 წელს (ქართველმა პატრიოტებმა იგი ასტრახანში წამოასვენეს და ვახტანგ VI-ის გვერდით დაკრძალეს).

თეიმურაზის გარდაცვალებისთანავე, 1762 წელს ერეკლე II-მ თავი ქართლ-კახეთის მეფედ გამოაცხადა. ამრიგად, აღმოსავლეთ საქართველო ერთ სამეფოდ გაერთიანდა, რაც დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო. ერეკლე II-ის დროსვე მარცხით დამთავრდა რეაქციონერ თავადთა ცდა განდგომისაკენ. თეიმურაზმა და ერეკლემ გააუქმეს არაგვისა და ქსნის საერისთავოები და მათ გამგებლებად ბაგრატიონი ბატონიშვილები დანიშნეს. 1765 წელს ერეკლე II-მ გაანადგურა რეაქციონერ თავადთა შეთქმულება („მარკოზაშვილის დარბაზი“) და ამით მეფის ხელისუფლება კიდევ უფრო გააძლიერა.

1768-1774 წლებში, იმპერატორ *ეკატერინე II*-ის დროს მიმდინარეობდა რუსეთ-თურქეთის ომი. ამ დროს რუსეთის არმია დაკავებული იყო პოლონეთში და თურქეთს იმედი ჰქონდა, რომ გაიმარჯვებდა. ერეკლე და იმერეთის

მეფე სოლომონ I (1752-1784) მზად იყვნენ ომი დაეწყოთ თურქეთთან, თუ ქართველებს რუსეთი ჯარითა და ფულით დახმარებას აღმოუჩენდა. 1769 წლის გაზაფხულის დასასრულს რუსეთის მცირე ჯარი (ორი ბატალიონი) გენერალ *ტოტლებენის* მეთაურობით საქართველოში შემოვიდა. 1770 წლის გაზაფხულზე, ერეკლე II-ის მეთაურობით ქართველთა და რუსთა ჯარი ახალციხისკენ დაიძრა და ალყა შემოარტყა აწყურის ციხეს, სადაც თურქთა გარნიზონი იდგა. ბრძოლის დაწყების წინ ტოტლებენმა მუხანათურად უღალატა ქართველებს და ბრძოლის ველიდან უკან დაიხია. მეტიც, იგი აწყურიდან წამოსვლის შემდეგ ქართლის ციხესიმაგრეების დაკავებას ლამობდა, ხოლო მოსახლეობას ძალით აფიცებდა რუსეთის ერთგულებაზე. ერეკლეს ჯარმა აწყურიდან უკან დაიხია. თურქებმა მისთვის გზის მოჭრა სცადეს, რასაც მოჰყვა 1770 წლის 20 აპრილს *ასპინძის ბრძოლა*. თურქებმა ახალქალაქისა და ხერთვისის ციხეებიდან გამოგზავნეს 1 500 მეომარი, რომლებიც ერეკლე II-მ მძლავრი შეტევით გაფანტა. ამ დროს ასპინძის ხიდს მტრის 8 000 მეომარი მოადგა და ხიდზე გადმოსვლა დაიწყო. დაღამებამდე თურქების ნახევარი გადმოვიდა. ღამით ქართველებმა ხიდის საყრდენები აყარეს. 20 აპრილს ერეკლემ შეუტია თურქებს. ისინი ხიდს მიაწყდნენ, რომელიც აყრილი დახვდათ. ერეკლე II-ის ლაშქარმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. თურქთა ლაშქარი თითქმის სულ გაანადგურეს, ნაწილი ადიდებულმა მტკვარმა შთანთქა. მალე რუსეთშიც მიხვდნენ, რომ ტოტლებენი თავისი მოქმედებით მათ სახელს უტეხდა და უკან გაიწვიეს.

1774 წელს ერეკლე II-ის ინიციატივით შეიქმნა ე. წ. *„მორიგე ჯარი“*. ამ ახალი ჯარის დებულების მიხედვით, ყოველი მამაკაცი ვალდებული იყო თავისი ხარჯითა და იარაღით წელიწადში ერთი თვით მორიგე ჯარში გამოსულიყო. ამ წესით მუდამ მზადყოფნაში იყო ჯარის გარკვეული რაოდენობა. მორიგე ჯარის წესდება დათარიღებულია 1774 წლის 4 იანვრით. აქ ერეკლე აღნიშნავს, რომ ლეკებისგან საქართველო შეჭირვებული იყო. ის ბევრს ეცადა, მაგრამ ამ ჭირს ვერაფერი წამალი ვერ მოუძებნა, გარდა მორიგე ლაშქრის შემოღებისა.

ამიერიდან ყველა თავადი, აზნაური და გლეხი წელიწადში ერთი თვე უნდა გამოსულიყო მეფის ლაშქარში სამორიგეოდ. მთელი მოსახლეობა 12 ნაწილად იქნა დაყოფილი, რომ მთელი წლის მანძილზე მუდმივ მზადყოფნაში ყოფილიყო ლაშქარი ლეკთა თარეშის აღსაკვეთად. მართალია, რეაქციონერმა თავადებმა მორიგე ჯარი თანდათანობით მოშალეს, მაგრამ შედეგი მაინც დიდი იყო - ერთხანს ლეკთა თარეში შეწყდა და ქვეყანა მშვიდობიან შრომას შეუდგა.

ამრიგად, XVIII ს-ის 70-იან წლებში საქართველო გაძლიერდა, მშვიდობიანი განვითარებისა და აღორძინების გზას დაადგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. დასავლეთ საქართველო XVIII ს-ის II ნახევარში. მეფე სოლომონ I

XVIII ს-ის II ნახევარში სამეფო ხელისუფლების გაძლიერების საქმეში მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია დასავლეთ საქართველომაც. ამ დროს იმერეთის მეფე იყო ნიჭიერი და ენერგიული *სოლომონ I* (1752-1784). მისი მიზანი იყო მეფის ცენტრალიზებული ხელისუფლების განმტკიცება, დასავლეთ საქართველოს გაერთიანება, ტყვეებით ვაჭრობის მოსპობა და ოსმალთა მძლავრობისაგან ქვეყნის გათავისუფლება.

იგი თანდათანობით შეუდგა ამ კეთილშობილური მიზნების განხორციელებას. სოლომონ I-მა მოახერხა გურიისა და სამეგრელოს მთავრების შემორიგება. კერძოდ, სამეგრელოს მთავრის მხარდაჭერის მოსაპოვებლად იგი გაეყარა თავის პირველ ცოლს და ოტია დადიანის ასულზე, მარიამზე იქორწინა. სოლომონ I-მა ოსმალებთან ადამიანებით – ტყვეებით ვაჭრობა აკრძალა.

ცხადია, იმერეთის სამეფოს ასეთი გაძლიერება მოსვენებას არ აძლევდა ოსმალეთს. ახალციხის ფაშამ სოლომონს მოსთხოვა ისევ დაერთო ტყვეებით ვაჭრობის ნება. მაგრამ, რადგან სოლომონ I-მა ეს მოთხოვნა არ შეასრულა, ოსმალეთის ხონთაქარმა 1757 წ. იმერეთს დიდი ჯარი შეუსია. ქართველთა ლაშქარმა სოლომონის მეთაურობით ხრესილთან (ტყიბულის რ-ნი) სასტიკად დაამარცხა შემოსეული მტერი. ამ ბრძოლაში მოკლული, მტრის მხარეზე მყოფი ლევან აბაშიძის მამული სოლომონ I-მა სამეფო საკუთრებად გამოაცხადა.

1758 წ. მეფეებმა სოლომონ I-მა, ერეკლე II-მ და თეიმურაზ II-მ გორში სამხედრო ურთიერთდახმარების ხელშეკრულება დადეს. ამით სოლომონ I-ის ხელისუფლება კიდევ უფრო გაძლიერდა. 1759 წ. დეკემბერში სოლომონ I-ის ინიციატივით მოწვეულ საეკლესიო და საერო კრებებზე იმერეთის, ოდიშისა და გურიის სასულიერი და საერო ხელისუფლებმა იმერეთის მეფისადმი მორჩილებისა და ტყვეებით ვაჭრობის აკრძალვის პირობა დადეს. 1759 წ. პირობის წიგნში კაცია დადიანი, მამია დადიანი, რაჭის ერისთავი როსტომ წულუკიძე, თავადები: წერეთელი, მიქელაძე, აბაშიძე, ნიჟარაძე, იაშვილი, ლორთქიფანიძე, ყველა იმერის, ოდიშარ-ლეჩხუმელის და გურულის სახელით, სოლომონ მეფეს პირობას აძლევენ, რომ ახალციხის ფაშის მოთხოვნას ტყვეთა სყიდვის შესახებ, სანამ სული უდგათ, წინ აღუდგებიან და არ შეასრულებენ; ისინი ფიცს დებდნენ ღვთისა და ერის წინაშე.

იმერეთის სამეფოსადმი დაუმორჩილებლობას აგრძელებდა რაჭის საერისთავო. 1769 წელს სოლომონ I-მა ფიცით მინდობილი *როსტომ რაჭის ერისთავი* ოჯახიანად შეიპყრო, ერისთავსა და მის შვილებს თვალები დასთხარა, ყმა-მამულები ჩამოართვა და რაჭის საერისთავო გააუქმა. რაჭის ერისთავების სამფლობელო იმერეთის სამეფოს საკუთრებად გამოაცხადა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოლომონ I გრძნობდა, რომ ოსმალთაგან დასავლეთ საქართველოს სრული დამოუკიდებლობის მიღწევა მარტო საკუთარი ძალებით არ შეეძლო. ამიტომ, 1768 წელს პეტერბურგში ელჩი გაგზავნა და მფარველობა ითხოვა. ეს ის დრო იყო, როცა ოსმალეთთან რუსეთის ომი უნდა დაწყებულიყო.

1768-1774 წლების რუსეთ-თურქეთის ომში საქართველოც მონაწილეობდა რუსეთის მხარეს. მაგრამ, რუსთა ჯარების გენერლის ტოტლებენის საქართველოსადმი გამცემლური მუხანათობის გამო, საქართველოს წარმატებები ამ ომში შედარებით ნაკლები იყო. 1774 წელს რუსეთ-თურქეთს შორის დადებული *ქუჩუკ-კაინარჯის* ზავით რუსეთმა სცნო დასავლეთ საქართველო თურქეთის მფლობელობაში, იმ პირობით, თუ თურქეთი იმერეთს ხარკს არ დააკისრებდა. მალე ოსმალები ოდიშსა და გურიას შეესივნენ. 1779 წელს სოლომონ I-მა და სამეგრელოს მთავარმა კაცია II დადიანმა დაამარცხეს ოსმალები *რუხის ბრძოლაში* და მტერი სამეგრელოდან გარეკეს. ამის შემდეგ სოლომონ I-მა გაშალა ბრძოლები ოსმალთაგან გურიის გასათავისუფლებლად, მაგრამ, 1784 წლის მარტში სოლომონის დამარცხებამ გურიის განთავისუფლების გეგმა ჩაშალა.

მალე, 1784 წლის აპრილში, 49 წლის სოლომონ მეფე გარდაიცვალა. დაკრძალულია გელათის მონასტრის ღმრთისშობლის მიძინების ტაძარში.

8. საქართველოს სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა XVIII საუკუნის II ნახევარში

ფეოდალურმა ურთიერთობამ საქართველოში XII-XIII საუკუნეებში მიაღწია განვითარების უმაღლეს წერტილს. ამის შემდეგ უნდა ჩასახულიყო და განვითარებულიყო ბურჟუაზიული ურთიერთობა. მაგრამ, საქართველოს საზოგადოებრივი განვითარება, არახელსაყრელი საგარეო ვითარების შედეგად, შეფერხდა და ფეოდალური წყობილების არსებობა საუკუნეებით გახანგრძლივდა.

საგარეო მტრების განუწყვეტელმა თავდასხმებმა ეკონომიკას დიდი ზიანი მიაყენა, გაუკაცრიელდა სოფლები, გამრავლდა ნასოფლარები და ნაქალაქარები, უდაბნოებად იქცა მთელი რაიონები, დაქვეითდა სოფლის მეურნეობა, მოიშალა ვაჭრობა-ხელოსნობა, აღორძინდა ნატურალურ-კარჩაკეტილი მეურნეობა, გაწყდა სამეურნეო კავშირი სხვადასხვა მხარეებს შორის. ეკონომიკურმა დაქვეითებამ გავლენა მოახდინა სახელმწიფოებრივ წყობილებაზეც: მეფის ცენტრალური ხელისუფლება დასუსტდა, მსხვილი ფეოდალების (თავადების, მთავრების) სეპარატიზმი გაძლიერდა. ერთიანი საქართველოს ფეოდალური მონარქია დამოუკიდებელ სამეფო-სამთავროებად დაიშალა. ქვეყნის დაქუცმაცებას მხარს უჭერდნენ დამპყრობლებიც, რადგანაც დაშლილი საქართველოს დამორჩილება უფრო იოლი იყო, ვიდრე ერთიანისა. საქალაქო ცხოვრება

მოიშალა და ქალაქები ვეღარ უწყობდნენ ხელს ფეოდალური ურთიერთობის რღვევას და ბურჟუაზიული წყობილების ჩასახვას.

რამდენადმე შეიცვალა ვითარება XVIII ს-ის მეორე ნახევარში (განსაკუთრებით – აღმოსავლეთ საქართველოში). ქართლ-კახეთი ერთ სამეფოდ გაერთიანდა და დამოუკიდებელი გახდა. ეკონომიკა გამოცოცხლდა, გაცხოველდა საქალაქო ცხოვრება, ვაჭრობა-ხელოსნობა, გაიზარდა საწარმოთა რაოდენობა, ბევრ მათგანში დაქირავებულ შრომას იყენებდნენ, გახშირდა ყმობიდან გლეხობის თავდახსნა. გაიზარდა გლეხთა ქონებრივი და სოციალური დიფერენციაცია: გლეხთა ნაწილი ღატაკდებოდა და საშოვარზე მიდიოდა, მეორე ნაწილი მდიდრდებოდა, ყიდულობდა მიწას და ზოგჯერ გლეხებსაც (ასე გაჩნდა „გლეხის გლეხი“). იზრდებოდა სასაქონლო-ფულადი მეურნეობა, რომელიც ძირს უთხრიდა ნატურალური მეურნეობის ბატონობას და ხელს უწყობდა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებს შორის ეკონომიკური კავშირის გაფართოებას. სამეფო კარზე ბატონყმობის გაუქმების პროექტიც შედგა.

ყოველივე ეს მოასწავებდა, რომ ქვეყანა ფეოდალური ურთიერთობის უკანასკნელ სტადიაში იწყებდა შესვლას – გვიანფეოდალური სტადიაში, როცა ირღვევა ფეოდალური ურთიერთობა და ისახება კაპიტალიზმი.

მაგრამ XVIII ს-ის 80-90-იან წლებში დამპყრობლებმა კვლავ შეაფერხეს საქართველოს განვითარება და, ამიტომ, ფეოდალური ურთიერთობის რღვევისა და კაპიტალიზმის ჩასახვის პროცესი ქვეყანაში მკვეთრად გამოისახა მხოლოდ XIX ს-ის 30-40-იან წლებში.

XVIII ს-ის II ნახევარში საქართველოში შედარებით ხელსაყრელი პირობები შეიქმნა ეკონომიკური აღორძინებისათვის - აღმოსავლეთ საქართველოში „ოსმალობა“ და „ყიზილბაშობა“ (ე. ი. ჯერ ოსმალებისა და შემდეგ ყიზილბაშების ბატონობა) დასრულდა; ქართლ-კახეთი 1762 წლიდან ერთ სამეფოდ გაერთიანდა; დაღესტნელ ფეოდალთა თარეში მათზე ერეკლე II-ის გამარჯვებებისა (მჭადიჯვრისა და ყვარლის ბრძოლები 1754 და 1755 წლებში) და „მორიგე ლაშქრის“ შემოღების (1774 წ.) შემდეგ შემცირდა; დასავლეთ საქართველოში სოლომონ I-ის მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა აღკვეთა „ტყვეთა სყიდვა“. ამის შედეგად, გაუკაცრიელებული ადგილები კვლავ მოშენდა და დასახლდა, ყმა-გლეხების ინტერესი მეურნეობის აღდგენა-გაზრდისადმი გაძლიერდა - მათ უკვე მეტი მოსავალი მოჰყავდათ.

მთავარი ყურადღება ექცეოდა მევენახეობა-მებაღეობის, მებამბეობა-მეაბრეშუმეობის განვითარებას. გაიზარდა ქალაქებში სოფლის მეურნეობის პროდუქტების გატანა ბაზარზე. გაჰქონდათ: ფქვილი, ქერი, ფეტვი, ღვინო, ხილი, ბოსტნეული, ენდრო, ზეთი, ბამბა, ბრინჯი, თამბაქო და სხვ.

აღორძინდა საქალაქო ცხოვრება. ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი ქალაქი ამ დროს ისევ თბილისი იყო. აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქები იყო:

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორი, თელავი, ცხინვალი, ახალგორი, სურამი და სხვ. წარმოიქმნა ახალი ქალაქები: ანანური, დუშეთი, სიღნაღი. დასავლეთ საქართველოში, აღმოსავლეთ საქართველოსთან შედარებით, საქალაქო ცხოვრება ჩამორჩა. აქ ერთადერთი მნიშვნელოვანი ქალაქი ამ დროს იყო ქუთაისი.

თბილისში ხელოსნების 60-მდე სხვადასხვა დარგი განვითარდა. წვრილი ხელოსნური წარმოების გვერდით აღმოსავლეთ საქართველოში მსხვილი საწარმოებიც გაჩნდა. კერძოდ, სამთამადნო წარმოება ახტალასა და ალავერდში, სადაც იღებდნენ და ადნობდნენ ვერცხლსა და სპილენძს. თბილისის მსხვილ საწარმოებს შორის აღსანიშნავი იყო თოფ-ზარბაზნის ქარხანა, სამეფო ზარაფხანა (ფულის საჭრელი ქარხანა), სტამბა, მინის საწარმო, მარილსახდელი, საპნის ქარხანა, სამღებროები, თოფის წამლის ქარხანა და სხვ. ამ საწარმოებში იყენებდნენ როგორც ყმა-გლეხების, ისე დაქირავებულ შრომას.

ეს საწარმოები მანუფაქტურებს წარმოადგენდნენ (ე. ი. შრომის პროცესი აქ დანაწილებული იყო). შრომის დანაწილება ზრდიდა შრომის ნაყოფიერებას. მანუფაქტურის გაჩენა მოასწავებდა ფეოდალურ-ბატონყმური მეურნეობის რღვევას და კაპიტალისტური ურთიერთობის ჩასახვას.

გაცხოველდა საგარეო ვაჭრობაც. XVIII ს. 50-იან წლებში ხელახლა გაიხსნა დარიალის გზა, რომლითაც ქართველი ვაჭრები დაუკავშირდნენ ასტრახანს, მოზდოკს, ყიზლარს, ნიჟნი ნოვგოროდს, მოსკოვს. ამ გზით რუსეთიდან საქართველოში შემოდიოდა სხვადასხვა ნაწარმი. აღმოსავლეთის ქვეყნებიდან საქართველოში მოდიოდნენ ვაჭართა ქარავნები განჯიდან, შემახიიდან, ერევნიდან, თავრიზიდან, არზრუმიდან და სხვა ქალაქებიდან. ამ ქალაქებში თბილისიდან ყოველდღიურად მიდიოდა 150-200 სხვადასხვა სახის საქონლით დატვირთული ურემი.

ქუთაისი, ძირითადად, ვაჭრობდა ოსმალეთის ქალქებთან, საიდანაც ევროპული საქონელი დასავლეთ საქართველოში ზღვით შემოჰქონდათ.

ვაჭრობა და მევახშეობა ხელს უწყობდა საქონლის მიმოქცევის გაფართოებას და სოფლისა და ქალაქის მოსახლეობის ქონებრივ და სოციალურ დიფერენციაციას, ერთი ნაწილის გალატაკებას და მეორის გამდიდრებას. ესეც ხელს უწყობდა ფეოდალური ურთიერთობის რღვევას და კაპიტალისტურის ჩასახვას.

ერეკლე II პროგრესული მოღვაწე იყო და სხვადასხვა ღონისძიებებს ატარებდა ქვეყნის ეკონომიკური წინსვლისათვის. ის ცდილობდა საქართველო „ევროპულ გზაზე“ გამოეყვანა. მას გააზრებული ჰქონდა, რომ ამისთვის საჭირო იყო მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დაუფლება. ამ მიზნით, ის სხვადასხვა ქვეყნებიდან იწვევდა სპეციალისტებს, სხვადასხვა დარგის ოსტატებს, ფაბრიკა-ქარხნების მომწყობ სპეციალისტებს. ამავე დროს, ის რუსეთში და დასავლეთ ევროპის ქალაქებში განათლების მისაღებად გზავნიდა ქართველ ახალგაზრდებს.

იმერეთის სამეფოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე XVIII ს-ის 70-იან წლებში

ცნობას გვაწვდის მაქსიმე ქუთათელი (ქუთაისის მთავარეპისკოპოსი). ის აღნიშნავს, რომ იმერეთში არის შვიდი მნიშვნელოვანი ციხე: ბათომი, ფოთი, სოხუმი, ქუთაისი, ბაღდადი, შორაპანი, ცუცხვათი. ამის გარდა, აქ ამ დროს ყოფილა მრავალი მომცრო ქალაქი და ციხე. აქ დიდი რაოდენობით მზადდება აბრეშუმი, ბამბა და წმინდა სელი, რომლებიც ვაჭრებს სხვა ქვეყნებშიც გააქვთ.

ქუთაისიდან ვაჭრები ნავებით მიდიან ბათომში, ფოთში და სოხუმში. გასაყიდად მიაქვთ: წმინდა სანთელი, აბრეშუმი, ბამბა, ბეწვეული (მელიის, კვერნის, დათვის), აგრეთვე, კვების პროდუქტები. ოსმალო ვაჭრებს შემოაქვთ: ფარჩა, მაუდი, შაქარი, ყავა და სხვა. სტამბოლიდან ხომალდები მოდიან რვა დღეში, ხოლო ყირიმიდან – ხუთ დღეში. ოსმალო ვაჭრები იმერეთში მიდიან ხმელეთის გზითაც: ახალციხიდან, არზრუმიდან და ტრაპიზონიდან.

იმერეთში არის ზოგან ოქროს, ვერცხლის და სხვა მადნეულის ქანები, მაგრამ იმერეთს რკინის გარდა სხვა მადანი არ დაუმუშავებია. იმერლები თოფს, ხმალს და ტყვიას შოულობენ ოსმალეთიდან, ყიზილბაშთა ქვეყნიდან და თბილისიდან.

თბილისის შესახებ ცნობას გვაწვდის აქ XVIII ს-ის 70-იან წლებში ნამყოფი რუსი მოხელე კაპიტანი იაზიკოვი. ის გვამცნობს, რომ თბილისს ამ დროს გარშემორტყმული ჰქონდა ქვის კედელი, არც ისე მაგარი. აქ ცხოვრობდა ათასი კომლი, მათ შორის ბევრი იყო მდიდარი ვაჭარი. აქ იყიდებოდა აზიური საქონელი: ფარჩა, აბრეშუმი, ჩითი და სხვ., ასევე, რუსეთიდან შემოტანილი საქონელი – შაქარი, სარკეები, მაკრატლები და სხვ. აქ ბევრი ხელოსანი იყო და ყოველი სახის ხელოსნობას ჰქონდა თავისი ცალკე რიგი (უბანი). აქ ამ დროს ყოფილა ქვისგან აგებული აბანოები, თლილი ქვის აბაზანებით. ქუჩები ყოფილა ძლიერ ვიწრო.

სოციალური ურთიერთობა. XVIII ს-ის II ნახევარში ეკონომიკური აღმავლობა ხელს უწყობდა ფეოდალიზმის რღვევას და კაპიტალიზმის ჩასახვას. სოციალურ სფეროში იზრდებოდა ყმა-გლეხის ექსპლუატაცია. გლეხი იხდიდა საბატონო, სამეფო, საეკლესიო, სამოხელეო გადასახდებს.

ძირითადი საბატონო გადასახადი იყო *ღალა* და *კულუხი*. ღალა – მარცვლეულზე გადასახადი მოსავლის 1/4 ან 1/2-ს უდრიდა. კულუხი (ვენახზე გადასახადი) მოსავლის 1/6-დან 1/3-მდე აღწევდა. საქონელზე გადასახადს საბალახე და პირისთავი ეწოდებოდა. ამის გარდა, გლეხი ბატონის სასარგებლოდ ასრულებდა სხვადასხვა სამსახურს: ნადობას (სამუშაოდ ერთობლივად სოფლის გამოსვლას), ტვირთის ზიდვას, შრომით ბეგარას; ის ვალდებული იყო დღესასწაულებზე ბატონისთვის მიერთმია ძღვენი: საშობაო, საახალწლო, საყველიერო, სააღდგომო და სხვა (ქათამი, ცხვარი, ძროხა, კვერცხი, ერბო, ყველი და სხვ.). ქვრივის შერთვის, ან გათხოვების შემთხვევაში გლეხი იხდიდა ე. წ. საქვრივოს, ქალიშვილის გათხოვებისას – საჩექმეს.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო (სამეფო) გადასახადი, ძირითადად, იყო კოდის პური და კულული. ყოველ კომლს შეწერილი ჰქონდა 4 კოდი პური.

გლეხი იხდიდა, აგრეთვე, ფულად გადასახადს უცხოელ დამპყრობელთა სასარგებლოდ. სახელმწიფო ბეგარა იყო ე. წ. ლაშქარ-ნადირობა, ე. ი. მეფის ლაშქრისა და ნადირობაში მონაწილეობა.

გადასახადების გასტუმრების შემდეგ გლეხს თავისი მოსავლის მცირე ნაწილი რჩებოდა. გლეხის სარგებლობაში მყოფი მიწა მემამულის საკუთრება იყო, გლეხი მხოლოდ მისი მფლობელი იყო (მემკვიდრეობით). მემამულეს შეეძლო გლეხის გაყიდვა, გაჩუქება, გამზითვება, ანდერძით გადაცემა. კანონი კრძალავდა გლეხის მიწისგან მოცილებას და უმიწოდ გასხვისებას. მაგრამ ეს აკრძალვა ხშირად ირღვეოდა. ზოგჯერ ბატონი გლეხის ოჯახის წევრებს ცალ-ცალკე ჰყიდდა.

სახელმწიფო მებატონეთა ინტერესებს იცავდა. ვახტანგ VI-ის სამართალი აცხადებდა: „ყმისა ყველა ბატონისა არის“.

გლეხთა ექსპლუატაციის ზრდას XVIII ს-ის II ნახევარში ხელი შეუწყო ევროპასა და რუსეთთან კავშირის გააქტიურებამ და ამასთან დაკავშირებით სასაქონლო მეურნეობის ზრდამ, მებატონეთა მოთხოვნილების გაზრდამ ფულზე.

გლეხთა მდგომარეობას ამძიმებდა, აგრეთვე, შინაფეოდალური ომები.

გლეხები თავისი ინტერესების დასაცავად მებატონეთა და მოხელეთა თვითნებობაზე ჩიოდნენ მეფესთან, გარბოდნენ თავიანთი მებატონისაგან; ზოგჯერ თავს ესხმოდნენ მემამულეებს და იკლებდნენ მათ სახლ-კარს; იშვიათად, მაგრამ ზოგჯერ მაინც აწყობდნენ აჯანყებასაც.

ერთ-ერთი დოკუმენტი 1779 წლის 12 იანვრისა წარმოადგენს ყმა-გლეხის თამაზა ქურციძის თხოვნას ერეკლე II-სადმი, რომელსაც ერთვის ერეკლეს მინაწერი- ბრძანება იმავე წლის 15 იანვრისა. გლეხი სთხოვს მეფეს, რომ დაიცვას შევიწროებისა და უსამართლობისაგან. ერეკლე თავისი ოქმით (ბრძანებით) უბრძანებს *იასაულ ხერხეულიძეს*, რომ რაც მომჩივანს ქონება წაართვეს, ისევ უკან დააბრუნებინოს.

ერეკლე II-ის ბრძანებები მებატონეებისადმი მოწმობს, რომ იგი ცდილობდა დაეცვა გლეხები თავად-აზნაურთა მხრივ შევიწროებისა და უსამართლობისაგან. 1772 წლის ბრძანებით ერეკლე *რევაზ ამილახვარს* აფრთხილებს, რომ თუ ის სოღალუღში დასახლებულ ყმა-გლეხებს შეავიწროებს და, ამის გამო, ისინი იქიდან აიყრებიან, ამისთვის რევაზი დაისჯება. მეორე, 1774 წლის ბრძანებით, მეფე აფრთხილებს ჯავახიშვილს, რომ თუ ის ყმა-გლეხებს იმაზე მეტს მოსთხოვს, რაც დაკისრებული აქვთ და გლეხები კიდევ უჩივლებენ, მეფე მას პასუხს აგებინებს.

ასე ცდილობდა ერეკლე II ყმა-გლეხობის დაცვას გადაჭარბებული შევიწროებისაგან მებატონეთა მხრივ და ამით ფეოდალური წყობილების განმტკიცებას XVIII ს-ის II ნახევარში.

9. გეორგიევსკის ტრაქტატი

XVIII ს-ის II ნახევარში გამწვავდა ბრძოლა ირანს, თურქეთსა და რუსეთს შორის ახლო აღმოსავლეთში დამკვიდრებისათვის. ასეთ ვითარებაში საქართველოში ფეხის მოკიდება რუსეთისათვის დიდი წარმატება იქნებოდა. ამიტომ, რუსეთის სახელმწიფოს მოხელეები ურჩევდნენ ერეკლე II-ს, რომ ეთხოვა იმპერატორის მფარველობა. ერეკლე II სამი დიდი მეტოქე ქვეყნიდან ერთ-ერთს უნდა შეკედლებოდა. არჩევანი ერთმორწმუნე რუსეთზე შეჩერდა. მოლაპარაკება რუსეთსა და ქართლ-კახეთის სამეფოს წარმომადგენლებს შორის წარმატებით დაგვირგვინდა და 1783 წლის 24 ივლისს ჩრდილო კავკასიის რუსულ ციხესიმაგრეში – *გეორგიევსკში* დაიდო ხელშეკრულება (ტრაქტატი) რუსეთსა და საქართველოს შორის.

გეორგიევსკის ტრაქტატით ქართლ-კახეთის მეფე სცნობდა რუსეთის იმპერატორის უზენაეს უფლებას. სამეფოს სათავეში რჩებოდა მეფე ერეკლე მეორე და მისი შთამომავლობა. ქართლ-კახეთის მეფეს ამტკიცებდა რუსეთის იმპერატორი, რომელიც უგზავნიდა მას სამეფო ნიშნებს.

ამიერიდან ქართლ-კახეთის სამეფო საგარეო პოლიტიკას რუსეთისაგან დამოუკიდებლად ვეღარ ანარმოებდა. მეფეს უფლება არ ჰქონდა იმპერატორის ნებართვის გარეშე ურთიერთობა დაემყარებინა სხვა სახელმწიფოებთან. ქართლ-კახეთის მეფე ვალდებული იყო საჭირო შემთხვევაში დახმარებოდა რუსეთს.

რაც შეეხება საშინაო საქმეებს, ქართლ-კახეთი დამოუკიდებელი რჩებოდა. რუსეთი ქართლ-კახეთის საშინაო საქმეებში არ ჩაერეოდა.

თავის მხრივ, რუსეთის იმპერია საქართველოს საუკუნო მფარველობას კისრულობდა, რისთვისაც ქართველთა ჯარის განსამტკიცებლად და საქართველოს დასაცავად აქ მუდმივად ეყოლებოდა ორი ბატალიონი ქვეითი ჯარი ოთხი ზარბაზნით. ომის შემთხვევაში რუსეთი საჭირო სამხედრო დახმარებას გაზრდიდა. იმპერატორი აღთქმას დებდა, რომ ყოველ ღონეს იხმარდა, რათა საქართველოს დაბრუნებოდა ყველა კუთხე და მხარე, რომლებიც მტრებს ჰქონდათ მიტაცებული.

ამრიგად, გეორგიევსკის ტრაქტატით ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის მფარველობაში შედიოდა.

ამ ტრაქტატის პირველ მუხლის მიხედვით, ერეკლე საზეიმოდ აცხადებს, რომ უარს ამბობს სპარსეთის თუ სხვა სახელმწიფოს ვასალობაზე და აღიარებს მხოლოდ რუსეთის იმპერატორის უზენაესობას და მფარველობას. ტრაქტატის მეორე მუხლში ნათქვამია, რომ რუსეთის იმპერატორი არასდროს არ მოაკლებს თავის მფარველობას ქართლ-კახეთის მეფეებს და დაიცავს ერეკლე თეიმურაზის ძის სამეფოს მთლიანობას.

1784 წლის იანვარში ერეკლე II-მ რუსეთის იმპერატორისადმი ფიცი მიიღო და ტრაქტატსაც მოაწერა ხელი.

ქართლ-კახეთის მიერ რუსული ორიენტაციის არჩევამ აღაშფოთა მაჰმადიანური სამყარო. ჯერ იყო და 1785 წელს ომარ-ხანი, დაღესტნელი ხუნძახის ბატონი, 20 000-იანი ლაშქრით შემოესია საქართველოს, დაარბია ცალკეული კუთხეები, დაანგრია ახტალის მადნის საწარმოები, დაარბია ლორე და ახალციხეში გადავიდა. აქედან იმერეთს შეესია და დაარბია იგი. მისი რბევისაგან რომ ეხსნა ქვეყანა, ერეკლე II იძულებული გახდა ომარ-ხანისათვის წლიურად 5 ათასი მანეთი დაენიშნა.

ამ პერიოდში გართულდა საქართველოს საგარეო მდგომარეობა, რუსეთს მისთვის აღარ ეცალა – ის ეომებოდა თურქეთს (1787-1791) და შვეციას. მღელვარება იყო პოლონეთში, რასაც მოჰყვა რუსეთის ინტერვენცია პოლონეთში და მისი განაწილება პრუსიას, ავსტრიასა და რუსეთს შორის. 1789 წელს ბურჟუაზიული რევოლუცია დაიწყო საფრანგეთში.

ამ პერიოდში იყო ცდა იმერეთსა და ქართლ-კახეთის ერთ სამეფოდ გაერთიანებისა, მაგრამ ეს ვერ განხორციელდა. 1790 წელს ქართლ-კახეთის, იმერეთის სამეფოებსა და სამეგრელო-გურიის სამთავრეოებს შორის დაიდო სამხედრო ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულებაში აღნიშნულია, რომ ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II, იმერეთის მეფე სოლომონ II, ოდიშის მთავარი გრიგოლ დადიანი და გურიის მთავარი სვიმეონი, ივერიის თავადნი და აზნაურნი ერთად იბრძოლებდნენ საგარეო მტრების წინააღმდეგ.

XVIII ს-ის 90-იან წლებსი ირანში დამთავრდა შინაფეოდალური ომი. შაჰის ტახტი დარჩა ყაჯართა საგვარეულოს წარმომადგენელს აღა-მაჰმად-ხანს.

1795 წელს აღა-მაჰმად-ხანი 35-ათასიანი ლაშქრით საქართველოში შემოიჭრა. 10 სექტემბერს ქართველთა 5 ათასი მეომარი ერეკლე მეფის ხელმძღვანელობით მტერს ეკვეთა თბილისთან, *კრწანისის ველზე*. ქართველთა ენერგიულმა შეტევამ აღა-მაჰმად ხანი შეაკრთო. მას განზრახული ჰქონდა უკან დაეხია, მაგრამ გამხნევებულმა აღა-მაჰმად-ხანმა 11 სექტემბერს კვლავ შემოუტია ქართველთა ლაშქარს. 75 წლის მოხუცი ერეკლე თვითონაც მონაწილეობდა ბრძოლაში. ბრძოლის ველზე გმირულად დაიღუპა 300 არაგველი. ბრძოლაში თავი ისახელეს ერეკლეს შვილიშვილებმა დავით და იოანე ბატონიშვილებმა. გმირულად დაიღუპნენ მრავალრიცხოვანი მტრით გარშემორტყმული *გიორგი გურამიშვილი* და მისი რაზმი.

უთანასწორო ბრძოლაში ქართველები დამარცხდნენ. აღა-მაჰმად-ხანმა თბილისი დაარბია. დაანგრია მეფის სასახლე, თოფ-ზარბაზნის ქარხანა, იარაღის საწარმო, სტამბა, აბანოები, გადაწვა ეკლესიები და სხვა ნაგებობები. გაყლიტეს მოსახლეობა. ირანელების მარბიელი რაზმები ქართლს მოედვნენ. დაანგრიეს ახტალის ვერცხლისა და სპილენძის ქარხნები, რომლებიც ერეკლემ

აღადგინა ომარ-ხანის ლაშქრობის შემდეგ.

კრწანისის ბრძოლის შემდეგ ისევ გაძლიერდა ლეკიანობა და რეაქციონერი თავადების განკერძოება. 1798 წლის 11 იანვარს 78 წლის ერეკლე II გარდაიცვალა.

11. ქართული კულტურა XVIII საუკუნის II ნახევარში

საზოგადოებრივი აზრი. XVIII ს-ის II ნახევარში საქართველოში ვრცელდებოდა ევროპის განმანათლებელთა იდეები. პოპულარული გახდა აზრი იმის შესახებ, რომ სახელმწიფოს სათავეში უნდა იდგეს განათლებული და გონიერი მეფე, რომელიც დამოკიდებული არ იქნებოდა წოდებებისგან და იზრუნებდა სწავლა-განათლების, მეცნიერებისა და ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებისთვის.

ამ პერიოდში დაიწერა *ალექსანდრე ამილახვრის* ნაშრომი „ბრძენი აღმოსავლეთისა“. მასში ავტორი აღნიშნავს, რომ მეფეს ხელისუფლება მიღებული აქვს ხალხისაგან და არა ღმრთისაგან, რომ ადამიანმა ადამიანი არ უნდა შეურაცხყოს, რომ ქვეყნის სიმდიდრე გლეხის შრომას ემყარება და ამიტომ გლეხს ცუდად არ უნდა ეპყრობოდეთ.

სახელმწიფოს გარდაქმნის მიზნით გადადგმული პრაქტიკული ნაბიჯებიდან აღსანიშნავია *იოანე ბატონიშვილის* პროექტი. ის ითვალისწინებდა ქვეყნის გაერთიანებას, ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებას, სწავლა-განათლების გაფართოებას. ამ პროექტის მიხედვით, სკოლებში უნდა ესწავლათ არა მარტო თავადაზნაურებს, არამედ მოქალაქეებს და გლეხებსაც. პროექტი ითვალისწინებდა საერისთავოებისა და სათავადოების გაუქმებას, ყველა თანამდებობის პირის, მათ შორის მეფისა და მისი ოჯახის სახელმწიფო ჯამაგირზე გადაყვანას.

იმ დროისათვის ეს პროექტი უტოპიური იყო, მაგრამ მაინც მოწმობდა საზოგადოებრივი აზროვნების აღმავლობას.

სკოლები. სტამბა. XVIII ს-ის II ნახევარში კულტურის აღორძინება დაეტყო განათლებას და წიგნების ბეჭდვასაც. 1755 წელს თბილისში, ანჩისხატის ტაძრის ეზოში დაარსდა სემინარია. მისი პირველი რექტორი იყო *ფილიპე ყაითმაზაშვილი*. 1758 წელს თელავშიც, ერეკლე II-ის სასახლესთან დაარსდა სკოლა, რომელშიც სრულასაკოვანი პირებიც იღებდნენ სწავლა-განათლებას. ამ სკოლის საფუძველზე 1782 წელს გაიხსნა ახალი სემინარია, რომლის რექტორი იყო *გაიოზ არქიმანდრიტი*, ხოლო შემდეგ *დავით ალექსი-მესხიშვილი*. სკოლების გახსნას თან მოჰყვა სასკოლო სახელმძღვანელოების შექმნა და თარგმნა.

მაგრამ სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის გავრცელება სტამბის გარეშე შეუძლებელი იყო. ვახტანგ VI-ის მიერ დაარსებული ქართული სტამბა „ოსმალო-ყიზილბაშობის“ დროს განადგურდა. 1749 წელს ერეკლე II-ისა და ანტონის თაოსნობით აღადგინეს თბილისის სტამბა, რომელიც 80-იან წლებში საფუძვლიანად განაახლეს. 1795 წელს აღა-მაჰმად-ხანის ლაშქრობის დროს სტამბა განადგურდა, მისი აღდგენა მოხერხდა მხოლოდ 1800 წელს. ამავე წელს სტამბა გაიხსნა ქუთაისშიც.

საისტორიო მწერლობა. XVIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ისტორია აღწერილი აქვთ იმდროინდელ ისტორიკოსებს პაპუნა ორბელიანსა და ომან მდივანბეგ ხერხეულიძეს.

პაპუნა ორბელიანის ნაშრომი – „ამბავნი ქართლისანი“ სეხნია ჩხეიძის ნაშრომის გაგრძელებაა. ის მოიცავს 1739-1758 წლების პერიოდის ამბებს. ავტორს ვრცლად აქვს აღწერილი საქართველოს ისტორია ამ ოცი წლის მანძილზე. თვითონ იგი თავის მიერ აღწერილი მოვლენების მოწმე იყო. იგი ერთიანი და ძლიერი ფეოდალური მონარქიის მომხრეა. თეიმურაზ II-სა და ერეკლე II-ის დროს აღორძინებისა და ძლიერების გზაზე დამდგარ საქართველოს იგი დიდი იმედით შეჰყურებს.

ომან ხერხეულიძეს ეკუთვნის ნაშრომი „მეფობა ირაკლი მეორისა“. მისი მიზანია აჩვენოს, თუ როგორ შეეძლო ერეკლე II-მ აღმოსავლეთ საქართველოს ერთ სამეფოდ გაერთიანება და ცდილობს გააშუქოს შემდგომი ხანის მოვლენები. როგორც საისტორიო წყაროს, ამ ნაშრომს დიდი მნიშვნელობა აქვს, თუმცა, თავისი დონით ჩამოუვარდება პაპუნა ორბელიანის თხზულებას.

ლიტერატურა და ხელოვნება. ამ პერიოდის ქართული მწერლობის შესანიშნავი წარმომადგენელია *დავით გურამიშვილი* (1705-1792). პოემაში „ქართლის ჭირი“ მან მხატვრულად და ისტორიული სიზუსტით აღწერა XVIII საუკუნის I ნახევრის საქართველოს სურათი: ვახტანგ VI-ის მეფობა, მისი ურთიერთობა პეტრე I-თან, შინაფეოდალური შფოთი და ქიშპობა ქართლ-კახეთში და სხვა. დიდი ადგილი უკავია მის შემოქმედებაში დიდაქტიკურ მოტივს, სწავლა-განათლების საკითხებს და სხვა.

XVIII ს-ის II ნახევრის ცნობილი პოეტი იყო *ბესარიონ გაბაშვილი (ბესიკი)* (1750-1791). ბესიკის მხატვრული შემოქმედება მრავალფეროვანია, როგორც ფორმით, ისე შინაარსით. ყველაზე დიდი ადგილი მის პოეზიაში სატრფიალო-სამიჯნურო ლექსებს უჭირავს. იგი დიდი პატრიოტი იყო. მისი პატრიოტიზმი კარგად ჩანს ისტორიულ პოემებში „ასპინძისათვის“ და „რუხის ბრძოლა“, სადაც იგი სიამაყის გრძნობით აღწერს ქართველი ხალხის თავდადებას სამშობლოსათვის ბრძოლაში.

ქალაქის ხელოსნური ფენების აზრებისა და სურვილების გამომხატველი იყო *საიათნოვას* პოეზია. ეროვნული ძმობის დიდი მეხოტბე საიათნოვა ქა-

რთულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ერთნაირი სიძლიერის ლექსებს წერდა.

XVIII ს-ის II ნახევარში თბილისში დაარსდა ქართული პროფესიული თეატრი. თეატრთან ერთად აღორძინდა ქართული დრამატურგიაც. გიორგი ავალიშვილმა რუსულიდან თარგმნა რამდენიმე კომედია, ნერდნენ ორიგინალურ პიესებსაც. ეს თეატრი და მისი დასი განადგურდა აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს.

ამრიგად, XVIII საუკუნის II ნახევრიდან აღორძინებული ქართული კულტურა სავსებით შეესატყვისებოდა ფეოდალური საზოგადოების იმდროინდელ ახალ პერიოდს და ქართული კულტურის წინა ხანის ტრადიციების გაგრძელება-განვითარებასაც წარმოადგენდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილი VIII

საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში

1. ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება და დაპყრობა

ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე გიორგი XII უნიათო მმართველი აღმოჩნდა. მან ვერ შეძლო ქართლ-კახეთის წინაშე მდგარი საშინაო და საგარეო ვერც ერთი პრობლემის მოგვარება. გიორგი XII მმართველობის სისუსტეს თან დაერთო მისი ავადმყოფობაც. რუსეთის იმპერიის ხელისუფლება თითქოს მის მიკვდილს ელოდებოდა, რომ ბოლო მოეღო აღმოსავლურ-ქართული სახელმწიფოსათვის. 1800 წლის ნოემბერში იმპერატორი პავლე I კავკასიის ხაზის უფროსსს გენერალ კნორინგს საიდუმლოდ წერდა: „მეფის ავადმყოფობა საფუძველს გვაძლევს, რომ მალე მოველოდეთ მის გარდაცვალებას. ამიტომ, როგორც კი ეს მოხდება, დაუყოვნებლივ გაგზავნეთ იქ ჩვენი სახელით განცხადება, რომ ჩვენგან ნებართვის მილებამდე არ შეუდგნენ ტახტის მემკვიდრის მეფედ კურთხევას“.

რუსეთის საიმპერატორო კარზე არც დაელოდნენ ავადმყოფი მეფის გარდაცვალებას. 1800 წლის 18 დეკემბერს იმპერატორ პავლე I-ის ხელმოწერილი მანიფესტის თანახმად, უქმდებოდა ქართლ-კახეთის სამეფო. გიორგი XII 1800 წლის 28 დეკემბერს გარდაიცვალა, მაგრამ მის უფროს ვაჟიშვილს დავითს საქართველოში მყოფი რუსთა ჯარის სარდალმა ლაზარევმა სამეფო ტახტზე ასვლის ნება არ მისცა. რუსებმა ხელი შეუშალეს იულონ ერეკლეს ძის გამეფების მცდელობასაც. მიუხედავად ამისა, ქართული სამეფოს გაუქმებას ამჯერად თვით რუსეთის იმპერატორის მოულოდნელმა სიკვდილმა შეუშალა ხელი – პავლე I 1801 წლის 11 მარტს შეთქმულებმა მოკლეს.

1801 წლის 12 სექტემბერს რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე I ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების ახალ მანიფესტს მოაწერა ხელი. ეს იყო აღმოსავლურ-ქართული სახელმწიფოს საბოლოო დასასრული. ყოფილი სამეფოს ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო-ადმინისტრაციული მმართველობა დამყარდა. ახალდაპყრობილი ქვეყნის პირველ გენერალ-გუბერნატორად,

რომელსაც შემდეგში მთავარმართებელი ეწოდა, ჯერ კიდევ პავლე პირველის მიერ დანიშნული კარლ კნორინგი ითვლებოდა. მას ემორჩილებოდა გენერალი ივანე ლაზარევი, რომელიც ქართლ-კახეთის დროებით მმართველობას ჩაუყენეს სათავეში. ახალ ხელისუფლებას „საქართველოს მმართველობა“ ეწოდებოდა, რაც იმას გულისხმობდა, რომ რუსეთის იმპერია ქვეყნის სხვა ნაწილების დაპყრობასაც აპირებდა.

აღმოსავლეთ საქართველოს რუსული მთავრობა ოთხ განყოფილებად (ექსპედიციად) იყოფოდა: აღმასრულებელი, სამოქალაქო, სისხლის სამართლისა და სახაზინო. ექსპედიციებს რუსი მოხელეები განაგებდნენ, რომლებსაც ქართველი თავადები მრჩევლებად დაუნიშნეს. ქართლ-კახეთი ხუთ ადმინისტრაციულ ერთეულად – მაზრებად დაყვეს – დუშეთის, გორის, ლორეს, თელავისა და სიღნაღის. არაქართულ დასახლებებში დისტანციები შეიქმნა. მაზრის სათავეში რუსი ოფიცერი, კაპიტან-ისპრავნიკი იდგა. იგი განაგებდა აგრეთვე სამაზრო სასამართლოსაც. სისხლის სამართლის საქმეები რუსული კანონმდებლობის მიხედვით წარმოებდა, მაშინ როცა სამოქალაქო საქმეებს ქართული – ვახტანგ მეექვსის სამართლის მიხედვით არჩევდნენ კარგა ხნის მანძილზე. ქალაქებსაც რუსი კომენდანტები განაგებდნენ. მათ თანაშემწეებად ქართველ თავადებს ნიშნავდნენ. სხვაგვარად რუსი მოხელეები ადგილობრივ მოსახლეობასთან კონტაქტს ვერ დაამყარებდნენ. ქვეყანაში ერთბაშად მოიშალა საუკუნეების მანძილზე არსებულ-მოქმედი ქართული ადმინისტრაცია და რუსული სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმი დამყარდა. ეს გარემოება ქართველი ხალხისთვის სრულიად უცხო და ძნელად შესაგუებელი იყო.

უცხო რეჟიმის დამყარებამ აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის ყველა ფენის უკმაყოფილება გამოიწვია. ქართველი ხალხი და მისი პოლიტიკური ელიტა 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატისაგან ორ მთავარ შედეგს ელოდა. პირველ რიგში, საქართველოს რუსეთის დახმარებით თავი უნდა დაეცვა მუსლიმური აგრესიისაგან. ამ პუნქტში რუსეთისა და საქართველოს ინტერესი დაემთხვა – რუსეთიც დაინტერესებული იყო ირან-ოსმალეთთან დაპირისპირებით, რათა ისინი კავკასიიდან განედევნა. მეორე შედეგი, რასაც ქართველობა რუსეთის ხელისუფლებისაგან მოელოდა – ქართული სამეფოს, სახელმწიფოს დაცვა და უსაფრთხოება, მისი გაძლიერება გახლდათ, იგივე რუსეთის დახმარებით. აქ კი ქართველ ხალხს იმედების სრული გაცრუება ელოდა. როგორც აღვნიშნეთ, რუსეთის იმპერიამ ქართლ-კახეთის სამეფო დაცვა-განმტკიცების მაგიერ მოსპო და დაიპყრო. ამ მოვლენას აღმოსავლეთ და ხოლო შემდგომში სრულიად საქართველოს მოსახლეობის არც ერთი ფენა არ შეურიგდა და დაკარგული სახელმწიფოს აღსადგენად აჯანყებებით უპასუხა ახალ მოძალადეებს.

მართალია, ქართლ-კახეთის სამეფოს დაპყრობა-გაუქმების შემდეგ არ-

სებობას განაგრძობდნენ დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროები: იმერეთი, გურია, სამეგრელო, აფხაზეთი და სვანეთი, მაგრამ ფაქტობრივად ითვლება, რომ აღმოსავლურ-ქართული სამეფოს გაუქმება ნიშნავდა – ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმებას.

2. იმერეთის სამეფოს დაპყრობა და გაუქმება

აღმოსავლეთ საქართველოს შემომტკიცების შემდეგ, ცარიზმის წინაშე დადგა დასავლეთ საქართველოს შეერთების ამოცანა, ამის გარეშე რუსეთი ვერ შეძლებდა შავ ზღვაზე გაბატონებას და იმპერიის სამხრეთის საზღვრების დაცვას.

იმერეთში სოლომონ I-ის გარდაცვალების შემდეგ (1784 წ.) ცენტრალური ხელისუფლების ძლიერება ისევ შეირყა. უმემკვიდრო სოლომონ I-მა ტახტი სიცოცხლეშივე უანდერძა თავის ძმისშვილს დავითს, მაგრამ მას მეფობა წაართვა დავით II-მ. დავით II-ის თვითმპყრობელური პოლიტიკით უკმაყოფილო თავადების, ოდიშის მთავარ გრიგოლ დადიანის და ერეკლე II-ის დახმარებით სოლომონ I-ის ძმისშვილმა დაამარცხა დავით II 1789 წელს მათხოჯის ბრძოლაში და თვითონ გამეფდა სოლომონ II-ის სახელით (სოლომონ I-ის პატივსაცემად) (1789-1810). დამარცხებული დავით II ბრძოლას განაგრძობდა. მხოლოდ XVIII საუკუნის მიწურულისათვის შეძლო სოლომონ II-მ სამეფოს საბოლოოდ შემომტკიცება.

სოლომონ II დასავლეთ საქართველოს გაერთიანებას ცდილობდა. მის გეგმაში შედიოდა, აგრეთვე, თურქების განდევნა ბათუმიდან, ფოთიდან და სოხუმიდან. იმერეთის მეფე კარგად ხედავდა, რომ დამოუკიდებლად ამას ვერ განახორციელებდა და რუსეთის მფარველობას ეძებდა, მაგრამ, მეფის რუსეთს იმერეთის სამეფოს გაუქმება ჰქონდა მიზნად, ამიტომ, ის ყოველმხრივ ეხმარებოდა სოლომონ II-ის წინააღმდეგ მებრძოლ ოდიშის მთავარ გრიგოლ დადიანს. 1803 წელს ოდიშის მთავარმა რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღო. ამის შემდეგ რუსეთმა აიძულა სოლომონი მის ქვეშევრდომობაში შესულიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში, ძალით დამორჩილებით ემუქრებოდა.

1804 წელს, სოფელ *ელაზნაურში* (ახლანდელ სოფელ ვახანთან, ხარაგაულის რაიონი) რუსეთის იმპერიასა და იმერეთის სამეფოს შორის დაიდო ხელშეკრულება. მართალია, სოლომონს მეფობა საშვილიშვილოდ რჩებოდა და ქვეყნის საშინაო საქმეების გამგებლობაც მის ფუნქციებში იქნებოდა, მაგრამ იმერეთის მეფე საქართველოში რუსეთის „უპირველეს მმართველს“ უნდა დამორჩილებოდა და რუსული კანონებით ემოქმედა. იმერეთში რუსეთის ჯარი შეიყვანეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთ-თურქეთის (1806-1812) ომის დროს სოლომონ II-მ დატოვა ქუთაისი, გადავიდა ვარციხის სასახლეში და მოითხოვა რუსეთის ჯარის გაყვანა იმერეთიდან. ამის საპასუხოდ, რუსეთის სარდლობამ სოლომონი ტახტიდან გადაყენებულად გამოაცხადა და გამოაქვეყნა ბრძანება იმერეთში რუსული მმართველობის შემოღების შესახებ. 1810 წ. სოლომონ II მოტყუებით ჩაიგდეს ხელში და თბილისში ჩაიყვანეს. მეფემ მოახერხა გაქცევა და ახალციხის საფაშოს შეაფარა თავი. აქედან სოლომონი იმერეთში დაბრუნდა და სათავეში ჩაუდგა აჯანყებას. ოთხი თვის ბრძოლების შემდეგ, სოლომონ II დამარცხდა და კვლავ ახალციხის საფაშოს შეაფარა თავი საიდანაც ოსმალეთში გადავიდა. ოსმალეთში სოლომონ II ცდილობდა უცხო ძალის გამოყენებით (ოსმალეთი, ირანი, საფრანგეთი) იმერეთში მეფობის აღდგენას, მაგრამ უშედეგოდ. 1815 წელს სოლომონ II ტრაპიზონში გარდაიცვალა, სადაც დაკრძალეს კიდეც (1990 წ. მისი ნეშტი გელათში გადმოასვენეს).

აჯანყების ჩახშობის შემდგ, 1810 წელს, იმერეთის სამეფო გააუქმეს და რუსული მმართველობა შემოიღეს.

იმერეთის ყოფილი სამეფო ოთხ ოკრუგად დაიყო – ქუთაისის, ვაკის, შორაპანის და რაჭის. მათ რუსი ოფიცრები განაგებდნენ, რომლებსაც თანაშემწეებად ქართველ თავადებს უნიშნავდნენ. იმერეთის ოლქის ადმინისტრაციის სათავეში რუსი მოხელე – მმართველი იდგა. იმერეთის პირველ მმართველად დანიშნული თ. სიმონოვიჩი ფაქტიურად მთელი დასავლეთ საქართველოს მმართველად ითვლებოდა და იმავდროულად აქ განლაგებული რუსეთის ჯარების მთავარსარდალიც გახლდათ.

ქართლ-კახეთის და იმერეთის სამეფოების გაუქმებას და ქართული სახელმწიფოებრიობის მოსპობას მოჰყვა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება. ხელისუფლებამ ჯერ კათალიკოსი ანტონ მეორე გადააყენა თანამდებობიდან და რუსეთში გაიწვია, ხოლო შემდეგ, 1811 წლის 30 ივნისს კათალიკოს-პატრიარქის თანამდებობა გააუქმა. ქართლ-კახეთში რუსულმა მმართველობამ ქართულ ეკლესიას ეგზარქოსი ჩაუყენა სათავეში. ეს იყო რუსული საეკლესიო ^თანამდებობა, რომელიც რუსულსავე ცენტრალურ საეკლესიო მმართველობას – სინოდს ექვემდებარებოდა. პირველი და უკანასკნელი ქართველი ეგზარქოსი იყო ვარლამ ერისთავი, რომლის შემდეგ ერთ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში საქართველოს ეგზარქოსები რუსები იყვნენ. 1814 წელს დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსოც გააუქმეს და საქართველოს საეგზარქოსოს დაუქვემდებარეს.

3. დასავლეთ საქართველოს სამთავროების დაპყრობა და გაუქმება

ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების გაუქმების შემდეგ დასავლურ-ქართული სამთავროების ბედი გადაწყვეტილი იყო, მაგრამ თურქეთის წინააღმდეგობა ხელს უშლიდა რუსეთს, ეს პრობლემა სწრაფად გადაეწყვიტა. თურქეთი ვერ ურიგდებოდა ჩრდილოეთ კავკასიისა და დასავლეთ საქართველოს დაკარგვის ფაქტს. რუსეთის იმპერიის მიერ დასავლურ-ქართული სამთავროების დამორჩილება ორ ეტაპს მოიცავდა: რუსეთი ჯერ ფაქტობრივად იპყრობდა თითოეულ მათგანს, მაგრამ იძულებული იყო ჯერ-ჯერობით მათს ავტონომიურ თვითმმართველობას შეჰგუებოდა. გურიის, სამეგრელოს, სვანეთისა და აფხაზეთის სამთავროების იურიდიული არსებობა საკმაოდ დიდხანს – თითქმის ნახევარ საუკუნეს გრძელდებოდა. მხოლოდ ამის შემდეგ მოხდა ამ სამთავროების იურიდიულად გაუქმება და მათი საბოლოო ინტეგრირება რუსეთის ინპერიის შემადგენლობაში.

სამეგრელოს სამთავრო

რუსებისაგან შევიწროებული იმერეთის მეფე სოლომონ მეორე ამაოდ ცდილობდა დასავლეთ საქართველოს გაერთიანებას და სამთავროების შემოერთებას. ყველაზე დიდ წინააღმდეგობას მას სამეგრელოს მთავარი გრიგოლ დადიანი უწევდა. დადიანმა სოლომონ მეორის მორჩილებას რუსთ ხელმწიფის ქვეშევრდომობა ამჯობინა. 1803 წლის 2 დეკემბერს გრიგოლ დადიანმა ხელი მოაწერა ე.წ. „სათხოვარ პუნქტებს“, რომლის ძალითაც სამეგრელოს სამთავრო რუსეთის მფარველობა-ქვეშევრდომობაში შევიდა. იმპერატორი ალექსანდრე პირველი დადიანისადმი გაცემულ სიგელში სამეგრელოს მთავარს და მოსახლეობას პირმოთნედ ჰპირდებოდა შველას, რომლებსაც „მეზობელი ქვეყნები ყოველი მხრით ავიწროებდნენ.“ გამოდის, რომ რუსეთის ხელმწიფე სამეგრელოს მოსახლეობას იმერეთის მეფის შევიწროებისაგან იცავდა.

სამეგრელოს მთავარმა ტახტი შეინარჩუნა მემკვიდრეობის უფლებით, თუმცა იგი რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომს წარმოადგენდა ამიერიდან. სამთავროში რუსეთის ჯარი შევიდა. ეს იყო რუსეთის მიერ სამეგრელოს სამთავროს ფაქტიური დაპყრობა, სამთავროს შინაური ავტონომიური მმართველობის ფორმალურ-იურიდიული შენარჩუნებით. ასე გრძელდებოდა XIX საუკუნის 50-60-იან წლებამდე.

1856 წლის დამლევს სამეგრელოში იფეთქა ანტიბატონყმურმა აჯანყებამ, რასაც ხელი შეუწყო *ყირიმის ომმა* (1853-1856), რადგან ომის ერთ-ერთ ასპარეზად სამეგრელოს სამთავროც იქცა. 1855 წლის შემოდგომაზე თურქეთის მრავალრიცხოვანი არმია აფხაზეთს შეესია და აქედან მდ. ენგურს მიადგა, გადალახა

საქართველო XIX ს-ში (რუსეთთან შეერთების დროს).


პირობითი აღნიშვნები
დედაქალაქები
ქალაქები
1801-შეერთების თარიღები
1-სამურზაყანო
ოსმალთა მიერ დაპყრობილი ქართული ტერიტორიები
რ უ ს ე თ ი ი ს ი მ პ ე რ ი ა
ადიღე-ჩერქეზეთი
ყ ა ბ ა რ დ ო
თერგი
აფხაზეთის სამთავრო
სვანეთი
სოხუმი
1864
1859
1840
1857
1
ოდიშის სამთავრო
ზუგდიდი
ქუთაისი
1810
იმერეთის სამეფო
რიონი
გურიის სამთავრო
1828
ბათუმი
ო ს ე თ ი ჩეჩნეთ-ინგუშეთი
დვალეთი
ქართლ-კახეთის სამეფო
თელავი
ალაზანი
ი რ ი ხ ი
თბილისი
1801
ახალციხე
1829
სამცხე-ჯავახეთი
ართვინი
არტაანი
ტრაპიზონი
რიზე
ახალციხე
ისპირი
ოლთისი
ყარსი
ყ ა ზ ა ხ ი
შაშმალო
ჭარი
1830
ლიტუ
ნუხა
შ ე ქ ი ს ს ა ხ ა ნ ო
შემახა
განჯა
განჯის სახანო
მტკვარი
სევანის ტბა
ერევანი
ერ ე ვ ა ნ ი ს ს ა ხ ა ნ ო
ყარაბაღის სახანო
ერზერუმი
ო ს მ ა ლ ე თ ი
ნახჭევანის სახანო
არაქსი
ნახჭევანი
ვანის ტბა
ს პ ა რ ს ე თ ი
კასპიის ზღვა
შ ა ვ ი ზ ღ ვ ა
დ ა ღ ე ს ტ ა ნ ი
დარუბანდი



ის და სამეგრელო დაიკავა. ქვეყანა დაზარალდა. ზარალის ანაზღაურებას ვალდაზნაურობა გლეხთა ექსპლუატაციის გაზრდით ცდილობდა.

აჯანყების კერად იქცა სოფ. სალხინო, სადაც გლეხები მთავრის სასახლის შენებაზე მუშაობდნენ. აჯანყებას სათავეში ჩაუდგა უტუ თოდუა, მას ხალხი „მართალიას“ ეძახდა. აჯანყებაში ჩაება 4 000 კაცი.

აჯანყების მეორე კერა იყო სოფ. ჯვარი (წალენჯიხის რ-ნი). აქ აჯანყებულებს სათავეში ჩაუდგა მჭედელი უტუ მიქავა. ის ჯვარიდან წალენჯიხაში შეიჭრა აჯანყება სამეგრელოს სხვა მხარეებშიც გავრცელდა, მათ შორის სამთავაროს ცენტრშიც – ზუგდიდში. აჯანყების საერთო ხელმძღვანელი იყო უტუ მიქავა. მან გლეხთა პროტესტს ორგანიზებული ხასიათი მისცა – აჯანყებულები დაყო ასეულებად, ოცეულებად და დაუნიშნა გამოცდილი მეთაურები.

ქუთაისის გუბერნატორმა გენერალმა კოლუბიაკინმა სიტყვით მიმართა სამეგრელოს აჯანყებულებს (1857 წ.). მან განაცხადა, რომ სამეგრელოს დედოფალმა დავით დადიანის ქვრივმა ეკატერინე ჭავჭავაძემ სთხოვა დახმარება აჯანყებულთა წინააღმდეგ. ის დაიმუქრა, რომ მანამდე არ წავა სამეგრელოდან, სანამ არ დასჯის მათ, თუნდაც რომ ყველას დახოცვა დასჭირდეს.

უტუ მიქავამ საპასუხო სიტყვაში განაცხადა, რომ როდესაც ოსმალებმა სამეგრელო დაარბიეს, რუსეთის ჯარმა მიატოვა ისინი, ხოლო ბატონები დახმარების მაგივრად, გოგოებსა და ბიჭებს სტაცებდნენ ოსმალეთში მათ გასაყიდად. ოსმალების წასვლის შემდეგ ბატონებმა გააძლიერეს მათი ჩაგვრა, ართმევდნენ მთელ შრომის ნაყოფს. ამას გარდა, ბატონები გლეხებს ცვლიდნენ მიმინოზე, მწევარზე და მეძებარზე. ჩივილის საშუალებაც არ ჰქონდათ: დედოფალი ეკატერინე ამ დროს პეტერბურგში იყო, ხოლო მისი მოხელეები მებატონეთა მხარეზე იყვნენ. გლეხებმა გადაწყვიტეს დედოფლის ჩამოსვლამდე დამალოდნენ ბატონებს. მაგრამ ბატონებმა მათზე ნადირობა დაიწყეს. მაშინ გლეხები შეერთდნენ და აჯანყდნენ. დედოფალი მათ გაუწყრა მებატონეთა ურჩობისათვის. ხოლო მათი ურჩობა იმაში გამოიხატებოდა, რომ საწამებელი იარაღი ჩამოართვეს და მათი სახლებიდან გამოიყვანეს თავიანთი დები და ქალიშვილები, რომლებიც ხასებად ჰყავდათ მოახლეების სახით და გაათხოვეს ისინი.

უტუ მიქავა აღნიშნავდა, რომ ისინი ავაზაკები არ არიან და მხოლოდ სამართალს ითხოვენ.

აჯანყებულთა რიცხვი 20 000 კაცს აღწევდა. მათი დევიზი იყო: „კაცის კაცი არ უნდა იყოს, თავადაზნაურთა წოდება უნდა მოისპოს“. მაისში აჯანყებულებმა დაიკავეს ზუგდიდი. სამეგრელოს მთავარმა დახმარება სთხოვა მეფის რუსეთის ჯარს, რომელმაც 1857 წ. ნოემბერში ჩააქრო აჯანყება. აჯანყების ხელმძღვანელები სხვადასვა ვადით რუსეთში გადაასახლეს. უტუ მიქავა 9 წელიწადი არხანგელსკში იყო გადასახლებული.

მარტყოფი. სამონასტრო კომპლექსი.

სამეგრელოში გლეხთა აჯანყებამ და ყირიმის ომის დროს იქ მიმდინარე ოსმალეთ-რუსეთის ჯარებს შორის სამხედრო ოპერაციებმა სამეგრელოს მთავრის ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანის მდგომარეობა გაართულა. რუსეთის იმპერიის ხელისუფლება ვეღარ ურიგდებოდა მთავართა ავტონომიური მმართველობისაკენ მისწრაფებას. დავით დადიანის გარდაცვალების შემდეგ ტახტის მემკვიდრე ნიკოლოზი მცირეწლოვანი იყო და ამის გამო სამთავროს მისი დედა ეკატერინე მართავდა. 1857 წელს ეკატერინეს თავისი ვაჟიშვილისათვის განათლების მისაცემად ხელისუფლებამ პეტერბურგში საცხოვრებლად გადასვლა შესთავაზა. ეს საპატიო გადასახლებას ნიშნავდა, რაზეც სამეგრელოს მთავრის ქვრივს უარის თქმა არ შეეძლო. სამთავროში დროებითი რუსული მმართველობა იქნა შემოღებული. ეს სამეგრელოს ფაქტობრივ გაუქმებას ნიშნავდა, თუმცა სამეგრელოს მმართველი სამთავროს ფორმალურად ნიკოლოზ დადიანის სახელით მართავდა.

1867 წელს იმპერიის ხელისუფლების წინადადებით ნიკოლოზ დადიანმა „ნებაყოფლობით" განაცხადა უარი სამეგრელოს მთავრის მემკვიდრეობით უფლებაზე, რაც სამეგრელოს სამთავროს იურიდიულ ე.ი. საბოლოო გაუქმებას ნიშნავდა.

გურიის სამთავრო

რუსეთის ხელისუფლება გურიის სამთავროს იმერეთის სამეფოს შემადგენელ ნაწილად მიიჩნევდა. ამის გამო, როცა იმერეთმა ელაზნაურის ტრაქტატით რუსეთის მფარველობა აღიარა, რუსეთმა ჩათვალა, რომ მის მფარველობაში გურიაც შევიდა. სწორედ ამიტომ საქართველოს მთავარმართებელმა პავლე ციციანოვმა 1804 წელს გურიის მთავარს მამია გურიელს რუსეთის ქვეშევრდომობა მიუღოცა. მიუხედავად ამისა, მამია გურიელმა მაინც შეძლო 1810 წელს გურიის სამთავროს რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლის შესახებ ცალკე ხელშეკრულება გაეფორმებინა.

1826 წელს მამია გურიელი გარდაიცვალა. მისი მემკვიდრის მცირეწლოვანების გამო, მთავარმართებლის განკარგულებით, გურიას თავადებისაგან შემდგარი საბჭო ახორციელებდა, ხოლო მას მამიას ქვრივი სოფიო თავმჯდომარეობდა. 1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს სოფიო გურიელმა თურქეთთან საიჭვო მოლაპარაკებები სცადა, რაც ცხადია, რუსებმა ღალატად შეაფასეს. 1828 წლის ოქტომბერში გურიაში რუსთა ჯარი შევიდა, ხოლო სოფიო გურიელი თავის შვილებთან ერთად თურქეთში გაიქცა. 1829 წლის დეკემბერში ნიკოლოზ მეორემ გურიის სამთავრო გააუქმა.

სვანეთის სამთავრო

XIX საუკუნის დასაწყისისათვის სვანეთი ორ ნაწილად იყო გაყოფილი. ქვემო სვანეთი, როგორც სამეგრელოს სამთავროს შემადგენლობაში მყოფი

მხარე, რუსეთის ქვეშევრდომობაში ითვლებოდა. ზემო სვანეთიც ორ ნაწილად იყო გაყოფილი – ეცერის მხარეს თათარყან დადეშქელიანი განაგებდა, ხოლო ფარს – ციოყ დადეშქელიანი. ცალკე არსებობდა ე.წ. თავისუფალი ანუ უბატონო სვანეთი, რომელი არავის ემორჩილებოდა. 1833 წელს დადეშქელიანთა ორივე სამთავრო სახლი რუსეთის ქვეშევრდომობაში შევიდა. 1840 წელს რუსეთის ქვეშევრდომობა თავისუფალმა სვანეთმაც აღიარა.

40-50-იან წლებში გრძელდებოდა დადეშქელიანთა ორ ფეოდალურ შტოს შორის ბრძოლა. 1857 წელს რუსეთის ხელისუფლებამ სვანეთში ჯარი შეიყვანა. ამ დროისათვის ხელისუფლებას უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა სამთავროს გაუქმება, რის გამოც ჯარის უფროსთან თავისი ნებით გამოცხადებული კონსტანტინე ციოყის ძე დადეშქელიანი ქუთაისში შეაყოვნეს და სახლში აღარ უშვებდნენ. მეტიც, კავკასიის მეფისნაცვალმა ალექსანდრე ბარიატინსკიმ კონსტანტინეს ერევანში გადასახლება გადაწყვიტა.

როდესაც ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმა გაგარინმა კონსტანტინეს მეფისნაცვლის გადაწყვეტილება გააცნო, ეს უკანასკნელი დათანხმდა, მაგრამ ოჯახთან გამოსამშვიდობებლად სვანეთში გაშვება მოითხოვა. მთავარსა და გუბერნატორს შორის შელაპარაკება მოხდა. გაგარინმა სვანეთის მთავრის განიარაღება ბრძანა, მაგრამ ამით განრისხებულმა კონსტანტინე დადეშქელიანმა სასიკვდილოდ დაჭრა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი და მისი ორი მოხელეც მოკლა. კ. დადეშქელიანი სიკვდილით დასაჯეს, რაც 1857 წელს სვანეთის სამთავროს ფაქტობრივ გაუქმებას ნიშნავდა. 1859 წელს მთავრის უფლებებზე უარი ათქმევინეს დადეშქელიანთა სამთავრო გვარის მეორე შტოს წარმომადგენელს თენგიზსაც. ეს კი სვანეთის სამთავროს საბოლოო იურიდიულ გაუქმებას ნიშნავდა.

აფხაზეთის სამთავრო

რუსეთ-ოსმალეთის ომის მიმდინარეობის პერიოდში 1810 წლის ივნისში რუსთა ჯარმა სოხუმი დაიკავა. აფხაზეთის მთავრად გამოცხადდა რუსეთის ორიენტაციის მქონე სამთავრო სახლის წარმომადგენელი და მემკვიდრე გიორგი შერვაშიძე, რომელმაც რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღო.

1823 წლიდან აფხაზეთის მთავრის ტახტი მიხეილ შერვაშიძემ დაიკავა. იგი დიდი პოპულარობით სარგებლობდა ჩრდილოეთ კავკასიის მთიელებში, რომელნიც რუსეთის იმპერიას ებრძოდნენ. ამის გამო იმპერიის ხელისუფლება აფხაზეთის მთავარს ეჭვით უყურებდა. იმპერიის ხელისუფალთა უნდობლობა კიდევ უფრო გაძლიერდა მას შემდეგ, რაც ყირიმის ომის მიმდინარეობის დროს აფხაზეთის მთავარმა თურქებს განუცხადა რომ „ნეიტრალიტეტს“ დაიცავდა. მიხეილ შერვაშიძე ამით ცდილობდა აფხაზეთის მოსახლეობის რთული მდგომარეობა შეემსუბუქებინა, რადგან იქ ოსმალთა ჯარი იყო შესული. ყირიმის

ომის დასრულებისა და შამილის მეთაურობით ჩრდილო კავკასიელი ხალხების აჯანყების დამარცხების შემდეგ რუსეთის ხელისუფლებამ მტკიცედ გადაწყვიტა აფხაზეთში სამთავროს ინსტიტუტი გაეუქმებინა. ეს იქიდანაც ჩანდა, რომ ხელისუფლებამ სოხუმში არ დაბრუნა მთავრის ვაჟიშვილი, რათა მიხეილს მისთვის სამთავროს მართვა-გამგეობა გადაებარებინა. მიხეილ შერვაშიძეს არც სიკვდილამდე სამშობლოში ცხოვრების ნება მისცეს.

1864 წელს მიხეილ შერვაშიძე აფხაზეთის მთავრობიდან გადაყენებულად გამოცხადდა. აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი რუსეთში გადაასახლეს. იგი 1866 წელს ვორონეჟში გარდაიცვალა. ამით დასრულდა აფხაზეთის სამთავროს არსებობა.

4. ბრძოლა ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის

საქართველოში ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლა ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისთანავე დაიწყო. პირველად კახეთის თავადაზნაურობამ სცადა შეთქმულება. მისი თავკაცები იყვნენ ივანე ანდრონიკაშვილი, ომან ჯანდიერი და სხვ. შეთქმულებთან კავშირი ჰქონდათ ბატონიშვილებს და დარეჯან დედოფალს, ერეკლე მეორის ქვრივს. ირანში გახიზნული ალექსანდრე ერეკლეს ძე ბატონიშვილი ირანელთა ჯარით კახეთში შესვლას და აჯანყებულთა მხარდაჭერას აპირებდა. იმპერატორ ალექსანდრე პირველისადმი განკუთვნილ წერილში, რომელსაც ხელს რამდენიმე ათეული თავადი აწერდა, ისინი სამეფოს აღდგენას, ქართველ მეფეს და რუსეთის მფარველობის ქვეშ დარჩენას ითხოვდნენ, როგორც გეორგიევსკის ტრაქტატის პირობები ითვალისწინებდა.

რუსეთის მმართველობა და ჯარი დაფაცურდა. მათ კახეთისაკენ მიმავალი გზები შეკრეს, ხოლო თვით კახეთში საპროტესტო გამოსვლების შესაძლებლობა აღკვეთეს. მდინარე ქელმენჩურთან შეკრებილ ქიზიყის მოსახლეობას და თავადობას იულონ ბატონიშვილის ერთგულებაზე უნდა დაეფიცა, მაგრამ მათ არტილერიით შეიარაღებული რუსის ჯარი მიადგა და განზრახვა ჩაუშალა. რუსულმა მმართველობამ შეძლო კახეთში პირველი საპროტესტო გამოსვლების დროებითი ნეიტრალიზება.

რუსული რეჟიმის ბატონობის სიმძიმე ყველაზე მეტად მშრომელ მოსახლეობას დააწვა კისერზე. ისინი ორმაგ ჩაგვრას განიცდიდნენ - ერთი მხრივ, ადგილობრივი მებატონეებისას, რომელიც კიდევ უფრო გაძლიერდა ცარიზმის აქ დამკვიდრების შედეგად, და მეორე მხრივ, ეროვნულს. ამიტომ იყო, რომ უკიდურესობამდე მისულმა მოსახლეობამ XIX ს-ის I მესამედში მძლავრი აჯანყებები მოაწყო.

რუსული მმართველობის პირველ წლებში ყველაზე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა ქართლის მთიანეთის მოსახლეობა - მათ აიძულებდნენ უფასოდ ემუშავათ საქართველოს სამხედრო გზის მშენებლობაზე. მუშებს სცემდნენ, მარხილებში ქალებსაც კი აბამდნენ და ისე ამუშავებდნენ. ამიტომ, 1804 წელს აჯანყებამ იფეთქა მთიულეთში. მალე მათ შეუერთდნენ ფშაველები, ხევსურები, თუშები, მოხევეები, ოსები.

ქართლის მთიანეთის ამ აჯანყებაში 4 ათასამდე კაცი მონაწილეობდა. აჯანყებულებმა დაიკავეს ხევის (ყაზბეგის) მნიშვნელოვანი პუნქტი – სოფ. *სტეფანწმინდა*, დარიალის ხეობის ჩამკეტი საგუშაგო *ლარსი* და სხვა პუნქტები. ქართველმა ბატონიშვილებმა სცადეს აჯანყება საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის გამოეყენებინათ. აჯანყებას სათავეში ჩაუდგა *ფარნაოზ ბატონიშვილი* (გიორგი XII-ის ძე). შეშფოთებულმა ცარიზმმა აქ დიდძალი ჯარი გამოგზავნა და ოქტომბერში აჯანყება ჩაახრჩეს. მთელი რიგი სოფლები სასტიკად გაანადგურეს, თუმცა, იძულებულნი გახდნენ ზოგიერთ დათმობაზე წასულიყვნენ. მაგალითად, საგზაო სამუშაოებისათვის გლეხებს უკვე უფასოდ ველარ ამუშავებდნენ. მიიღეს ზომები რუს მოხელეთა თვითნებობის აღსაკვეთად.

1804 წ. აჯანყებულ გლეხთა საჩივრებიდან ირკვევა მათი უმძიმესი მდგომარეობა. გლეხები აღნიშნავენ, რომ აუტანელ სიცივეში სტეფანწმინდიდან ანანურამდე მათ თოვლი ახვეტინეს. ამ გზაზე წვიმისაგან დადგა ტალახი, ამიტომ აზიდვინეს ფიჩხი და გზაზე დააყრევინეს. ფიჩხში ყაზახის ცხენს ფეხი ჩაუვარდა, რის გამოც მათრახის ცემით ორი კაცი მოკლეს. შემდეგ მოვიდა თოვლი და კვლავ დაიფარა გზა. ამას მოყვა ზვავი და სამი გლეხი გაჭყლიტა. მოვიდა 80 სალდათი და 12 ცხენოსანი ყაზახი, რომელთაც დღეში უნდოდათ 10 საკლავი, მრავალი ქათამი, ყველი, ერბო. აზიდვინეს ბარგი და ქირა არ მისცეს. 23 კაცი ცემით იყო მოკლული. ორი ქალი მარხილში შეაბეს და მათრახის ცემით ერეკებოდნენ. ამგვარი ბარბაროსული სისასტიკე უცხო იყო ქართველი მოსახლეობისათვის. გლეხები ჩიოდნენ და იმუქრებოდნენ, რომ ისღა დარჩენოდათ საკუთარი სახლებისათვის ცეცხლი წაეკიდებინათ და ცოლ-შვილიანად შიგ დამწვარიყვნენ.

კახეთის 1812 წლის აჯანყება

1804-1813 წლებში რუსეთის ომებმა ირანისა და ოსმალეთის წინააღმდეგ, მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა საქართველოს მოსახლეობა. ერთი მხრივ, მას მხრებზე დააწვა რუსეთის არმიის სურსათ-სანოვაგით მომარაგება, ხოლო მეორე მხრივ, ქართული სახალხო ლაშქარი რუსი ჯარისკაცების მხარდამხარ იღებდა მონაწილეობას საბრძოლო ოპერაციებში. ამას ზედ დაერთო მოუსავლიანობა, შავი ჭირი, რომელმაც ბევრი ადამიანი იმსხვერპლა. ასეთ პირობებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსული საოკუპაციო რეჟიმი მოსახლეობას არ ინდობდა, გადასახადებით სულს უხუთავდა და მის მდგომარეობას ანგარიშს არ უწევდა.

1812 წლის იანვრის ბოლოს აჯანყებამ პირველად ახმეტაში იფეთქა და მოკლე ხანში მთელ კახეთს მოედო. თელავი და სიღნაღი აჯანყებულთა ხელში აღმოჩნდა. მათ მხარი დაუჭირეს ფშავ-ხევსურებმა, რომლებმაც დუშეთ-ფასანაური დაიკავეს და საქართველოს სამხედრო გზა გადაკეტეს. აჯანყებულმა კახელებმა *გრიგოლ იოანეს ძე ბატონიშვილი* მეფედ გამოაცხადეს. მათ მიზანს ქართული სახელმწიფოს აღდგენა და რუსული მმართველობის მოშლა წარმოადგენდა. მთავარმართებელმა პაულუჩმა ირანის ფრონტიდან სასწრაფოდ მოხსნა არმიის ნაწილები და თბილისში გაჩნდა. აჯანყებულები თავგანწირულ წინააღმდეგობას უწევდნენ მრავალრიცხოვან რუსთა ჯარებს, მაგრამ არტილერიით და ცეცხლსასროლი იარაღით აღჭურვილ რეგულარულ არმიასთან ბრძოლა უთანასწორო იყო.

მთავარმართებელი მარკიზი პაულუჩი მოსახლეობის წინაშე რიგ დათმობებზე წავიდა, ქართული სამართალი აღადგინა, მოურაობის ინსტიტუტი დააბრუნა, მაგრამ მალე იგი პეტერბურგში გაიწვიეს. ახალმა მთავარმართებელმა გენერალმა რტიშჩევმა კვლავ მკაცრი საოკუპაციო რეჟიმით სცადა წესრიგის აღდგენა. კახეთი დროებით დაწყნარდა.

1812 წლის ზაფხულში საერთაშორისო ვითარება მკვეთრად შეიცვალა. რუსეთში საფრანგეთის იმპერატორის ნაპოლეონის ნახევარმილიონიანი არმია შეიჭრა. ირანმა მდგომარეობით სარგებლობა გადაწყვიტა. ქართველმა პატრიოტებმა გადაწყვიტეს ხელსაყრელი ვითარების გამოყენება. კახეთი კვლავ აჯანყდა. ამჯერად მას სათავეში ჩაუდგა ირანში გადახვეწილი ბატონიშვილი ალექსანდრე ერეკლეს ძე. აჯანყებულთა ხელში კვლავ მთელი კახეთი აღმოჩნდა, მაგრამ მათ წარმატებებს იმედი გადაუწურა კვლავ გაუარესებულმა საერთაშორისო ვითარებამ. რუსებთან ბრძოლაში ჯერ ირანის ენერგიული მმართველი აბას მირზა დამარცხდა, ხოლო შემდეგ საფრანგეთის უზარმაზარი არმია განადგურდა.

რუსთა ჯარი და ხელისუფლება მკაცრად გაუსწორდნენ აჯანყებულ კახეთს, ხოლო მათი მხარდამჭერი ხევსურეთი, რომელმაც ბოლომდე უერთგულა და შეიფარა ალექსანდრე ბატონიშვილი, გადაწვეს და გაანადგურეს.

იმერეთ-გურიის 1819-1820 წლების აჯანყება

ქართველი ხალხი ვერ ურიგდებოდა ვერც დამოუკიდებლობის დაკარგვას, ვერც რუსული მმართველობის მიერ დამყარებულ სოციალურ უსამართლობას. საყოველთაო აჯანყების შემდგომი კერა იმერეთ-გურია აღმოჩნდა. დასავლეთ საქართველოს მოსახლეობამ განსაკუთრებით მტკივნეულად აღიქვა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება. განსაკუთრებით მწვავე რეაქცია მოჰყვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსი ეგზარქოსის თეოფილაქტე რუსანოვის ე.წ. რეფორმას, რომელიც მიზნად ისახავდა ქართული ეკლესიის ქონების სახელმწიფო ხაზინის ხელში გადასვლას, ეპარქიების შემცირებას, გადასახადების გაზრდას და სხვ.

იმერეთში აჯანყებამ 1819 წლის ზაფხულში იფეთქა. მასში მოსახლეობის ყველა ფენა იღებდა მონაწილეობას. აჯანყებულებს მიაჩნდათ, რომ რუსული მმართველობის მიერ შექმნილი მძიმე მდგომარეობას მხოლოდ დასავლურ-ქართული სახელმწიფოს აღდგენა უშველიდა. იმერეთის მეფედ მათ სოლომონ პირველის შვილიშვილი ივანე აბაშიძე გამოაცხადეს. მთავარმართებელმა ალექსი ერმოლოვმა იმერეთში დამატებითი ჯარის ნაწილები გაგზავნა. მათ აჯანყების რამდენიმე თავკაცი შეიპყრეს და გადაასახლეს, ხოლო დატყვევებული, დაჭრილი და შეურაცყოფილი მღვდელმთავარი დოსითეოს ქუთათელი გზაში გარდაიცვალა.

აჯანყების ალი იმერეთიდან გურიის სამთავროს მოედო. სამთავროს დასაშოშმინებლად გურიაში იმერეთის მმართველი პოლკოვნიკი პუზირევსკი შევიდა, მაგრამ იგი მოულოდნელად გზაში შემხვედრმა გურულებმა მოკლეს, რომლებსაც გოროზმა რუსმა მოხელემ სიტყვიერი შეურაცყოფა მიაყენა.

აჯანყების მასშტაბი სულ უფრო იზრდებოდა. მან მოიცვა სამეგრელოს ნაწილი, რაჭა. ხელისუფლება ენერგიულ მოქმედებაზე გადავიდა. 1820 წლის აპრილში იმერეთში დიდძალი ჯარით მთავარმართებლის მოდგილე გენერალი ველიამინოვი შეიჭრა. მან სასტიკ რეპრესიებს მიმართა: „ყოველნი ურჩნი მოსწვა და მოაოხრა... მრავალნი მოჰკლეს, მრავალნი შეიპყრეს და ძელსა ზედა ჩამოჰკიდეს, ხოლო ერთგულნი აღავსეს წყალობით და ესრეთ დაამშვიდეს რაჭა და იმერეთი“ – წერდა ისტორიკოსი. ყველაზე სასტიკად რუსთა ჯარმა გურიის მოსახლეობა დასაჯა.

მთიულეთის, კახეთისა და იმერეთ-გურიის აჯანყებები, რომლებშიც საქართველოს თითქმის ყველა კუთხემ მიიღო მონაწილეობა, ცხადყო, რომ ქართველი ხალხი არ შეურიგდებოდა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაკარგვას.

1832 წლის შეთქმულება

XIX საუკუნის პირველი მესამედის განმავლობაში მომხდარმა აჯანყებებმა და მარცხმა იმდროინდელი ქართული პატრიოტულ-პოლიტიკური ელიტა ქვეყნის განთავისუფლებისათვის ბრძოლის ტაქტიკის შეცვლის საჭიროებამდე მიიყვანა. ისინი მივიდნენ დასკვნამდე, რომ, პირველ რიგში, საჭირო იყო არა კუთხური, ლოკალური აჯანყებები, არამედ საერთო-ქართული მასშტაბის ბრძოლა. მეორე მხრივ, აუცილებელი იყო აჯანყების წინასწარი მომზადება და ორგანიზაცია. სწორედ ამ მიზნით, XIX საუკუნის 20-იანი წლების შუა ხანებში ქართული თავადაზნაურული არისტოკრატიის პატრიოტულად გან-

წყობილ ახალგაზრდულ წრეებში იწყება ფარული მოძრაობა „სამშობლოს გამოხსნისათვის“.

პირველი საიდუმლო წრეები 1825-1826 წლებში შეიქმნა პეტერბურგში და მოსკოვში გადასახლებული დიმიტრი იულონის ძისა და ოქროპირ გაირგის ძე ბატონიშვილების ინიციატივით. მათ გარშემო თავი მოიყარეს რუსეთის დედაქალაქებში სასწავლებლად მყოფი პატრიოტ თავადიშვილთა ბრწყინვალე წარმომადგენლებმა: დიმიტრი და ვახტანგ ორბელიანებმა, გაირგი, დიმიტრი და ელიზბარ ერისთავებმა, ალექსანდრე ჩოლოყაშვილმა, სოლომონ რაზმაძემ (პეტერბურგის წრე); გაირგი ერისთავმა, დავით ორბელიანმა, სოლომონ დოდაშვილმა (მოსკოვის წრე) და სხვ.

რამდენიმე წლის შემდეგ შეთქმულებმა თავიანთი საქმიანობის ცენტრი თბილისში გადმოიტანეს. იზრდებოდა მათი წრის რაოდენობა და მასშტაბებიც. მათ შორის უკვე იყვნენ ან შეთქმულების შესახებ იცოდნენ: ალექსანდრე ჭავჭავაძემ, გრიგოლ ორბელიანმა, დიმიტრი ყიფიანმა, თეკლა და თამარ ბატონიშვილებმა და სხვ. გამოიკვეთა შეთქმულთა ორგანიზაციის სამი მთავარი მეთაური: ალექსანდრე ორბელიანი, ელიზბარ ერისთავი და სოლომონ დოდაშვილი. თავისი არისტოკრატი თანამებრძოლებისაგან განსხვავებით, მხოლოდ ს. დოდაშვილი იყო გლეხური წარმოშობისა, თუმცა ყველა მათგანს აღემატებოდა განათლებულობითა და ერუდიციით. ს. დოდაშვილი შეთქმულთა მთავარ იდეოლოგად ითვლებოდა. მისი ფაქტიური რედაქტორობით გამოდიოდა რუსული გაზეთის „თბილისის უწყებანის“ ქართული ვერსია. მანვე 1832 წელს გამოსცა პირველი ქართული ჟურნალი „სალიტერატურო ნაწილნი თბილისის უწყებათანი“, რომელშიც დოდაშვილი ახერხებდა პატრიოტული ნაწარმოებები დაებეჭდა.

შეთქმულები ცდილობდნენ საერთაშორისო ვითარება გამოეყენებინათ და მოკავშირეებსაც ეძებდნენ. მთავარ იმედებს ისინი 1831 წელს პოლონეთში მიმდინარე დიდ ანტირუსულ აჯანყებაზე ამყარებდნენ, მაგრამ პოლონელები დამარცხდნენ. 1832 წლის დასაწყისიდან კვლავ განახლდა შეთქმულთა მზადება. ამჯერად ისინი ფიქრობდნენ რუსეთის ჯარის გართულებული მდგომარეობა გამოეყენებინათ ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც იმ დროს იმყოფებოდა მთავარმართებელი ბარონი როზენი. შეთქმულთა გამოსვლა 1832 წლის 20 დეკემბერს, თავადაზნაურთა საგუბერნიო ყრილობის დღეს უნდა მომხდარიყო. შემუშავებული გეგმა, ე.წ. „პირველი ღამის განკარგულება“ ითვალისწინებდა ქალაქის მნიშვნელოვანი სამხედრო-ადმინისტრაციული დაწესებულებების ხელში ჩაგდებას, თბილისის მოსახლეობის მიმხრობას. მათ გლეხობის მხარდაჭერის იმედიც ჰქონდათ.

მაგრამ ერთ-ერთმა წევრმა შეთქმულთა გეგმები 9 დეკემბერს გასცა. ხელისუფლებამ სასწრაფო ღონისძიებები მიიღო და შეთქმულების ათეულობით წევრი დააპატიმრა. ისინი გაასამართლეს და სხვადასხვა ვადით გადაასახლეს

რუსეთის იმპერიის შორეულ გუბერნიებში. თავდაპირველად იმპერიის ხელისუფლებამ გადაწყვიტა მკაცრად დაესაჯა ქართველი პატრიოტები – ცამეტ ყველაზე გამორჩეულ შეთქმულს სიკდილით დასჯა ელოდა. მათ სასჯელი შეუცვალეს და გადასახლება აკმარეს. იმპერატორის ხელისუფლება მოერიდა რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ ქართველთა აჯანყების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას. იგი იმასაც მოერიდა, რომ ქართველი არისტოკრატიის ზედაფენა საუკუნოდ გადაემტერებინა.

1832 წლის შეთქმულება დიდმნიშვნელოვანი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ხასიათის მოვლენა იყო. მიუხედავად დამარცხებისა, მან სერიოზული გავლენა მოახდინა საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობაზე და შემდგომი თაობის ეროვნულ ცნობიერებაზე. მისი მიზანი იყო ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა. შეთქმულები თავისი დროის პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები იყვნენ, იცნობდნენ დასავლეთ ევროპის მოწინავე განმანათლებლურ იდეებს. მათი წარმოდგენით და გეგმით, საქართველო საპარლამენტო მონარქია უნდა ყოფილიყო. შეთქმულთა ნაწილი რესპუბლიკურ იდეებსაც იზიარებდა. 1832 წლის გამოსვლა არ იყო მხოლოდ ვიწრო მასშტაბის ფარული შეთქმულებრივი მოვლენა – ის უფრო საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის ხასიათს ატარებდა და საფუძველი მოუმზადა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის შემდგომ ეტაპს საქართველოში.

5. რუსეთ-ირანისა და რუსეთ-ოსმალეთის ომები და საქართველოს ისტორიული ტერიტორიების შემოერთება

XIX საუკუნის პირველ მესამედში რუსეთის იმპერიამ ზედიზედ ოთხი ხანგრძლივი ომი აწარმოა თავის ახალდამეზობლებულ მუსლიმანურ სახელმწიფოებთან – ირანთან და ოსმალეთთან. ამ ომებს ორივე მხრიდან დამყრობლური და უსამართლო ხასიათი ჰქონდა. ირანსა და ოსმალეთს საქართველოსა და კავკასიის ხალხებზე ძველი ბატონობის შენარჩუნება სურდათ, ხოლო რუსეთის იმპერიას კი საქართველოს და კავკასიისა დაპყრობა. რუსეთის მიზანი, რომ კავკასიიდან განედევნა ირანი და ოსმალეთი, ნაწილობრივ ემთხვეოდა კავკასიის ქრისტიანი ხალხებისა და განსაკუთრებით ქართველი ხალხის ინტერესებს. თუ რუსეთი ირან-ოსმალეთის მიერ მიტაცებულ ქართულ ტერიტორიებს დაიპყრობდა, ეს ნიშნავდა, რომ ოდესღაც დაკარგული ქართული მიწა-წყალი საქართველოს შემოუერთდებოდა. სწორედ ამის გამო ქართველი მოხალისეებისაგან შემდგარი სახალხო ლაშქარი და ოფიცრობა დიდი ენთუზიაზმით იბრძოდა რუსთა რეგულარული არმიის მხარდამხარ. მათთვის ირან-ოსმალეთის წინააღმდეგ წარმოებული ომები განმათავისუფლებელ ხასიათსაც ატარებდა.

1804-1813 წლებში მიმდინარეობდა რუსეთ-ირანის ომი. ირანელთა ენერგიული შაჰის ტახტის მემკვიდრე შეეცადა რუსეთის წინააღმდეგ კახეთის 1812 წლის აჯანყება და ნაპოლეონის რუსეთში ლაშქრობა გამოეყენებინა, მაგრამ ვერაფერს გახდა. ირანელთა იმედებს საბოლოოდ მოუღო ბოლო რუსეთის ჯარებთან განცდილმა დამარცხებამ ასლანდუზთან ბრძოლაში, 1812 წლის ოქტომბერში. 1813 წლის ოქტომბერში დადებული გიულისტანის ზავის თანახმად, რუსეთის ხელში გადავიდა აზერბაიჯანული სახანოები და კასპიის ზღვაზე კონტროლი. ირანმა უარი თქვა აღმოსავლეთ საქართველოს მიმართ უფლებაზე.

უფრო მნიშვნელოვანი იყო საქართველოსათვის რუსეთ-ოსმალეთის 1806-1812 წლების ომი. 1809 წელს რუსეთის ჯარმა ქართველთა რაზმების მონაწილეობით ფოთი აიღეს, ხოლო მომდევნო წელს რუსებმა სოხუმი დაიკავეს. 1811 წელს რუსთა ხელში ახალქალაქო აღმოჩნდა. ირან-ოსმალეთს ვერ უშველა ვერც სამხედრო კავშირმა. ერთობლივი ბრძოლა რუსეთის წინააღმდეგ მათ ვერ შეძლეს. რუსეთის არმიის სამხედრო-ტექნოლოგიური უპირატესობა დიდი იყო. 1812 წლის 16 მაისს რუსეთ-ოსმალეთს შორის ბუქარესტის ზავი დაიდო. რუსეთმა ვერ გამოიყენა ბრძოლის ველზე მოპოვებული უპირატესობანი და იძულებული გახდა დაეთმო ოსმალეთისათვის. ეს გამონვეული იყო საფრანგეთთან რუსეთის მოსალოდნელი ომით. ბუქარესტის ზავის თანახმად, რუსეთმა ოსმალეთს უკან დაუბრუნა: მოლდავეთი, ვალახეთი, ფოთი და ახალქალაქი. რუსეთის ხელში აღმოჩნდა, აფხაზეთის სამთავრო და შავი ზღვის სანაპირო ბზიფიდან ჩოლოქამდე.

რუსეთის არმიის სამხედრო წარმატებები კავკასიაში და მისი მისწრაფება ახლო და შუა აღმოსავლეთში გაბატონებისაკენ წინააღმდეგობას აწყდებოდა ირანისა და ოსმალეთის მხრივ. XIX საუკუნეში ევროპის სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ე. წ. აღმოსავლეთის საკითხს, ანუ ძლიერი კაპიტალისტური ქვეყნების მისწრაფებას ახლო და შუა აღმოსავლეთში გაბატონებისაკენ, ე. ი. იმ ტერიტორიებზე, რომლებიც შედიოდა ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში. პრუსიას და ავსტრიას სურდა, ბალკანეთში გაბატონება, საფრანგეთს ეგვიპტის დაპყრობა, ინგლისს მთელი ოსმალეთის ხელში ჩაგდება. რუსეთს სურდა ამიერკავკასიასა და ბალკანეთში გაბატონება, ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების ხელში ჩაგდება, მათი დაკეტვა უცხოეთის ქვეყნების გემებისათვის. ინგლისი ფარულად აქეზებდა ირანს და ოსმალეთს რუსეთის წინააღმდეგ.

1826-28 წლებში მიმდინარეობდა რუსეთ-ირანის ომი, რომელიც რუსეთის გამარჯვებით დამთავრდა. რუსეთის ხელში გადავიდა აღმოსავლეთ და სამხრეთ ამიერკავკასიის (ერევნისა და ნახიჩევანის სახანოები) ნაწილი.

ირანთან ომის დამთავრებისთანავე დაიწყო რუსეთ-თურქეთის ომი (1828-1829). საომარი მოქმედება ორ ფრონტზე მიმდინარეობდა – ბალკანეთის

ნახევარკუნძულზე და კავკასიაში. კავკასიის ფრონტზე რუსეთის არმია, გენერალ-ფელდმარშალ ფ. პასკევიჩის სარდლობით, სამი მიმართულებით უტევდა: ყარსის, ახალქალაქ-ახალციხის და ციხისძირ-ბათუმის. 1828 წლის ზაფხულში ყარსისა და ახალქალაქის აღების შემდეგ, რუსეთის ჯარი ახალციხეს მიადგა. რუსეთის ჯარის სარდლობის წინადადებაზე დანებებულიყვნენ ახალციხის თურქმა კომენდატმა ასე უპასუხა: ვიდრე მთვარეს ზეციდან არ ჩამოიღებთ, მანამდე შეუძლებელი იქნება ნახევარმთვარის ჩამოხსნა ახალციხის მეჩეთიდანო.

ახალციხეზე შეტევა 1828 წლის 5 აგვისტოს დაიწყო. 10-დღიანი ბრძოლების შემდეგ, 15 აგვისტოს, ახალციხე განთავისუფლებული იქნა ოსმალებისაგან. „ახალციხის საფაშო", რომელიც XVI საუკუნიდან ოსმალეთის ხელში იყო, კვლავ საქართველოს შეურთდა.

ახალციხის განთავისუფლების შემდეგ, დაკავებული იქნა არტაანი, აწყური და სხვა ციხე-სიმაგრეები. 1828 წლის სექტემბერში, რუსეთის ჯარმა გენერალ *ალექსანდრე ჭავჭავაძის* მეთაურობით თურქები განდევნა *ბაიაზეთის* საფაშოდან.

1828 წ. 15 ივლისს აღებული იქნა *ფოთის* ციხე-სიმაგრე. როგორც ახალციხის, ასევე ფოთის განთავისუფლებაში მნიშნელოვანი როლი ითამაშეს ქართველთა რაზმებმა. ამის შემდეგ გაგრძელდა ბრძოლები ქობულეთ-ბათუმის მიმართულებით. აღებულ იქნა კინტრიშის (ქობულეთთან ახლოს) სიმაგრე, მაგრამ, რუსეთის არმიის სარდლობის შეცდომების გამო ციხისძირის და ბათუმის აღება ვერ მოხერხდა.

1829 წელს რუსეთსა და ოსმალეთს შორის ქ. *ადრიანოპოლში* დაიდო ზავი. ამ ზავით რუსეთის ხელში გადავიდა ახალციხე, ახალქალაქი, ასპინძა, აწყური, ხერთვისი, აბასთუმანი, ანაპა, ფოთი და შავი ზღვის მთელი აღმოსავლეთი სანაპირო მდინარე ყუბანიდან მდინარე ჩოლოქის შესართავამდე. თურქეთის ხელში კვლავ რჩებოდა აჭარა - ბათუმ-ქობულეთითურთ და ჭანეთი. ამ ზავით რუსეთმა განამტკიცა თავისი ბატონობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში.

6. საქართველო XIX ს-ის 30-50-იან წლებში

ცარიზმი ცდილობდა საქართველოს სოფლის მეურნეობაში იმ დარგების განვითარებას, რაც საჭირო იყო რუსეთის ფაბრიკა-ქარხნებისათვის ნედლეულის მისაწოდებლად.

1830 წელს დაარსდა „ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოება", რომელიც ზრუნავდა მარცვლეულის მეურნეობის, მევენახეობის, მეაბრეშუმეობის, მებამბეობის და სხვა ტექნიკურ კულტურათა განვითარებისათვის. საზოგა-

დოება ხელს უწყობდა მოსახლეობაში აგრონომიული ცოდნის გავრცელებას, იწერდა უცხოეთიდან სასოფლო-სამეურნეო იარაღს, თესლეულს, აწყობდა საქონლის ფერმებს, სოფლის მეურნეობის გამოფენებს და სხვ.

გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, მოსავლიანობა, მიწათმოქმედებამ მიიღო სასაქონლო ხასიათი (ე. ი. ბაზარზე გადიოდა პროდუქცია).

ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის მიუხედავად, რომელიც მიისწრაფოდა საქართველო მხოლოდ ნედლეულის მიმწოდებლად ექცია რუსეთის მრეწველობისათვის, საქართველოში მაინც ვითარდებოდა მრეწველობა. ჩნდებოდა კაპიტალისტური მანუფაქტურები.

30-იანი წლების მიწურულს ყველაზე უფრო მსხვილი კაპიტალისტური საწარმო იყო ვაჭარ ზუბალაშვილის მიერ თბილისში დაარსებული შაქრის ქარხანა, რომელსაც მთავრობამ მფარველობა არ გაუწია და მალე დაიხურა.

40-50-იან წლებში გამოცოცხლდა სამთამადნო წარმოება. წარმოიქმნა მექანიკური თუჯსასხმელი საწარმოები, საპნის, ტყავის, თამბაქოს, მაუდის, აგურის, მინის, აბრეშუმის, ძაფსახვევი, სამღებრო, არყის, ლუდის და სხვა საწარმოები.

საქალაქო ცხოვრება გამოცოცხლდა, გაიზარდა ბაზარი.

ასე რომ, 30-50-იან წლებში ირღვეოდა ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობა და ვითარდებოდა ფულად-სასაქონლო მეურნეობა.

ფეოდალიზმის რღვევა და კაპიტალიზმის დამყარება ზრდიდა მემამულეთა მოთხოვნილებას ფულზე და გლეხთა ექსპლუატაციას, რაც იწვევდა აჯანყებებს.

1841 წლის მაისში აჯანყება დაიწყო გურიის სოფელ *აკეთში* (ლანჩხუთის რ-ნი). გლეხებმა გარეკეს გადასახადის ამკრეფი მოხელეები. აჯანყება მთელ გურიას მოედო და იმერეთშიც გავრცელდა. მასში მონაწილეობდა 7 000 კაცი. 9 აგვისტოს გლეხთა რაზმმა *აბესა ბოლქვაძის* მეთაურობით, სოფ. გოგორეთთან (ოზურგეთის რ-ნი) დაამარცხა პოლკოვნიკ ბრუსილოვის რაზმი. აჯანყებულებმა დაიკავეს შეკეთილი, ლიხაური, ნასაკირალის ხეობა, ნაგომარი, ჩოხატაური და ალყა შემოარტყეს ქ. ოზურგეთს.

თავდაპირველად აჯანყებას თავადაზნაურობაც მიემხრო, მაგრამ, როცა აჯანყებამ ანტიბატონყმური ხასიათი მიიღო, ჩამოშორდა მას და მთავრობის მხარეზე გადავიდა. აჯანყება ჩაახრეს. მეფის მთავრობამ გაზარდა თავადაზნაურთა პრივილეგიები და უფლებები გლეხთა მიმართ, რომ გადმოებირებინა ის თავის მხარეზე.

7. ქართული კულტურა XIX ს-ის I ნახევარში

განათლება. ცარიზმის პოლიტიკა განათლების დარგში მის კოლონიურ რეჟიმს ემსახურებოდა - რაც ნაკლებად გავრცელდებოდა განათლება, მით ნაკლები

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქნებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეების გავრცელება. 1801 წ. მეფის მთავრობამ გააუქმა თელავის სემინარია, აგრეთვე, თბილისის ქართული სკოლები, უარყო ქარლ-კახეთის სამეფო კარზე შემუშავებული პროექტი თბილისში, გორში და თელავში უმაღლესი სასწავლებლების დაარსების შესახებ.

ცარიზმი ცდილობდა გაეხსნა სკოლები თავის ერთგული მოხელეების აღსაზრდელად. 1802 წელს თბილისში დაარსდა პირველი სასწავლებელი თავადაზნაურთა შვილებისათვის, მაგრამ, მან მხოლოდ 1 წელი იარსება. 1804 წ. გაიხსნა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი. 1817 წ. თბილისში დაარსდა სასულიერო სემინარია, რომელმაც 1917 წლამდე იარსება. 1818-1829 წლებში გორში, თელავში, სიღნაღში, ქუთაისში, აგრეთვე სამეგრელოსა და გურიაში დაარსდა სასულიერო სამაზრო და სამრევლო სასწავლებლები. 1830 წ. თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი გიმნაზიად გადაკეთდა (გიმნაზიაში სწავლება რუსულ ენაზე იყო). 1840 წელს თბილისში გაიხსნა ამიერკავკასიის ქალთა პირველი ინსტიტუტი. 1850 წელს მთელს საქართველოში 140-მდე დაწყებითი და საშუალო სკოლა-სასწავლებელი იყო 5 ათასზე მეტი მოსწავლით.

1848 წლის დებულებით „კავკასიის სასწავლო ოლქის სასწავლებელთა შესახებ", კავკასიის სასწავლებლები 3 კატეგორიისა იყო: I – თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზია, სადაც იღებდნენ თავადაზნაურთა, ბეგების, მელიქების, აგრეთვე, მოხელეთა და სამღვდელოების შვილებს; II – თბილისის კომერციული გიმნაზია, სადაც ვაჭართა წოდებისა და რაზნოჩინელთა შვილებს იღებდნენ; III – ქუთაისის, სტავროპოლის და ეკატერინოდარის გომნაზიები, სადაც ღებულობდნენ თავისუფალი წოდების შვილებს, გარდა ყმა-გლეხთა შვილებისა.

დაარსდა ქართული ჟურნალ-გაზეთებიც. პირველი ქართული გაზეთი იყო „საქართველოს გაზეთი" (შემდეგ ეწოდა „ქართული გაზეთი"), რომელიც 1819 წელს გამოვიდა და 1822 წლამდე გამოდიოდა. 1828 წელს დაიწყო გამოსვლა ახალმა გაზეთმა „ტფილისის უწყებანი". 1832 წელს ამ გაზეთის დამატების სახით გამოვიდა ჟურნალი „სალიტერატურო ნაწილნი ტფილისის უწყებათანი", რომლის რედაქტორი იყო სოლომონ დოდაშვილი. ის იმავე წელს დაიხურა. 1852 წელს, იანვარში, გამოვიდა ქართული ჟურნალის „ცისკრის" პირველი ნომერი. ჟურნალს ჯერ გიორგი ერისთავი, ხოლო შემდეგ ივანე კერესელიძე რედაქტორობდა. ჟურნალი 1875 წელს დაიხურა.

ნიკოლოზ ბარათაშვილის, დიმიტრი ყიფიანის და სხვათა ინიციატივით თბილისში მოეწყო კერძო საოჯახო სამკითხველო, რომლის ბაზაზე 1845 წელს დაარსდა თბილისის საჯარო ბიბლიოთეკა.

ქართული საზოგადოების ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას მხარს უჭერდა რუსეთის მოწინავე ინტელიგენცია. საქართველოში სხვადასხვა დროს იმყოფებოდნენ რუსეთის მთავრობის მიერ გადმოსახლებული დეკაბრისტები - რილეევის და კიუხელბეკერის მეგობრები: ალექსანდრე ოდოევსკი (პოეტი),

მწერალი ბესტუჟევ-მარლინსკი, დიდი მწერლები – ალექსანდრე გრიბოედოვი, ალექსანდრე პუშკინი, მიხეილ ლერმონტოვი, ლევ ტოლსტოი და სხვები.

ლიტერატურა. XIX საუკუნის დამდგეს ქართულ ლიტერატურაში მძაფრად აისახა ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვით გამოწვეული წუხილი და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ მედგარი ბრძოლაც. XIX ს-ის დასაწყისში ქართულ ლიტერატურაში რომანტიზმი იყო დამკვიდრებული. უდიდესი რომანტიკოსები იყვნენ: ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი.

ალექსანდრე ჭავჭავაძეს (1786-1846) კარგად ჰქონდა გააზრებული საქართველოს რუსეთთან შეერთების დადებითი მნიშვნელობა, მაგრამ იგი ვერ ურიგდებოდა ცარიზმის პოლიტიკას. იგი ილაშქრებდა სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგაც. ამისი დადასტურებაა მისი ლექსი „ვაჭ, სოფელსა ამას“, სადაც ნათლად ჩანს წოდებათა შორის არსებული უთანასწორობის უსამართლობა და იმედი მშრომელთა ჩაგვრის მოსპობისა.

გრიგოლ ორბელიანის (1804-1883) შემოქმედებაში მთავარი ადგილი ეროვნულ საკითხს უჭირავს. მისი პოემა „სადღეგრძელო“ ეროვნული თავისუფლებისათვის მოწოდებაა. პოეტის შემოქმედების სევდიანი ელფერი გამოწვეულია საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვით და 1832 წლის შეთქმულების მარცხით. პოეტმა სოციალურ მოტივსაც მიქცია ყურადღება. ეს კარგად ჩანს მის ლექსში „მუშა ბოქულაძე“.

ნიკოლოზ ბარათაშვილი (1817-1845) ქართული რომანტიზმის უდიდესი წარმომადგენელია. მან სწორად შეაფასა რუსეთთან საქართველოს შეერთების მნიშვნელობა, მაგრამ მის პოეზიაში ასევე მძლავრად მოისმა მოწოდება ეროვნული ჩაგვრის და სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ. ბედისადმი დაუმორჩილებლობის იდეა მის პოეზიას წითელ ზოლად გასდევს და ქართველ ხალხს ბრძოლისაკენ მოუწოდებს. ამ თვალსაზრისით, უდიდესია მნიშვნელობა მისი პოემისა „ბედი ქართლისა“, ლექსებისა „საფლავი მეფის ირაკლისა“, „სული ობოლი“, „მერანი“, და სხვ.

XIX საუკუნის 30-50-იან წლებში ქართულ ლიტერატურაში რომანტიზმის გვერდით კრიტიკული რეალიზმიც მკვიდრდება. მისი წარმომადგენლებია: *გიორგი ერისთავი* (1811-1864, „ძუწნი“, „გაყრა“, „დავა“), *ლავრენტი არდაზიანი* („სოლომონ ისაკიჩ მევღვინეშვილი“), *დანიელ ჭონქაძე* (1830-1860, „სურამის ციხე“). მათ შემოქმედებაში აისახა ფეოდალიზმის რღვევისა და კაპიტალიზმის დამკვიდრების პროცესებიც, ვაჭარ-კაპიტალისტთა კლასის გაძლიერების სურათებიც, ბატონყმური ჩაგვრის გაბედული კრიტიკაც.

მეცნიერება. ქართული ფილოსოფიური აზროვნების განვითარებაში დიდია *სოლომონ დოდაშვილის* (1805-1836) დამსახურება. მის კალამს რამდენიმე ფილოსოფიური ნაშრომი ეკუთვნის. საისტორიო მეცნიერებაში გამოირჩეოდნენ იოანე, დავით და თეიმურაზ ბაგრატიონები, პლატონ იოსელიანი („ცხოვრება

მეფის გიორგი XIII-ისა"). განსაკუთრებით აღსანიშნავია თეიმურაზ ბაგრატიონის „ივერიის ისტორია" და იოანე ბაგრატიონის „კალმასობა", რომელშიც გარდა ისტორიული საკითხებისა, მოცემულია ცნობები მეცნიერების ყველა დარგიდან და ხშირად მას პირველ ქართულ ენციკლოპედიურ ნაშრომს უწოდებენ. თეიმურაზი არჩეული იყო პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად.

ქართულ საისტორიო და სალიტერატორო მეცნიერებას დიდი ამაგი დასდო ფრანგმა მეცნიერმა *მარი ბროსემ* (1802-1880). პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის მიწვევით 1830 წ. საფრანგეთიდან გადმოსახლებულმა მარი ბროსემ შეისწავლა ქართული ენა და საფუძველი ჩაუყარა საქართველოს ისტორიისა და ქართული ლიტერატურის ისტორიის მეცნიერულ შესწავლას. იგი თავის მასწავლებლად თეიმურაზ ბაგრატიონს მიიჩნევდა. მან პირველმა გამოაქვეყნა „ქართლის ცხოვრება", როგორც ქართულ, ისე ფრანგულ ენებზე; მოიარა საქართველო, შეკრიბა და გამოქვეყნა მანამდე უცნობი წარწერები; მასვე ეკუთვნის არაერთი ორიგინალური გამოკვლევა საქართველოს ისტორიაში („საქართველოს ისტორია", 2 ნაწილად).

ხელოვნება. XIX საუკუნის დასაწყისიდან ქართულ ხელოვნებაზე ძლიერდება რუსული ხელოვნების გავლენა. მიუხედავად ამისა, ქართული ეროვნული ტრადიციები ხელოვნებაში მაინც განაგრძობდა განვითარებას.

XIX ს-ის I ნახევრის სახვით ხელოვნებაში აღსანიშნავია მხატვარ- პორტრეტისტის *გიორგი მაისურაძის* (1817-1885) შემოქმედება. იგი ალექსანდრე ჭავჭავაძის ყმა იყო. ნიჭიერი ახალგაზრდა ალ. ჭავჭავაძემ ყმობიდან გაათავისუფლა და პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში გაგზავნა. პეტერბურგში იგი ცნობილი რუსი მხატვრის კარლ ბრიულოვის ხელმძღვანელობით მუშაობდა. გიორგი მაისურაძე პირველი ქართველია, ვინც პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში სწავლობდა. 1850 წლიდან ქუთაისის გიმნაზიაში ასწავლიდა ხატვას. მისი ნამუშევრების დიდი ნაწილი დაკარგულია, შემორჩენილია რამდენიმე, მათ შორის გიორგი ჭიჭინაძის პორტრეტი, ავტოპორტრეტი და სხვ.

50-იან წლებში საქართველოში საფუძველი ეყრება ქართულ დრამატულ თეატრს, ოპერასა და ბალეტს. 1850 წლის 2 იანვარს თბილისის გიმნაზიის შენობაში გიორგი ერისთავის ხელმძღვანელობით დაიდგა მისივე კომედია „გაყრა". ეს თარიღი ითვლება ქართული თეატრის განახლების დღედ. თეატრის დაარსებამ უდიდესი როლი შეასრულა ხალხის კულტურულ ცხოვრებაში.

რუსი მწერალი იაკობ პოლონსკი მოგვითხრობს თავის შთაბეჭდილებაზე პიესა „გაყრის" დადგმის შესახებ. ის აღნიშნავს, რომ თუმცა, ქართული ენა არ ესმოდა, მაგრამ პიესის შინაარსი მაინც გაიგო და არ შეეძლო არ გაეცინა პიესის შემსრულებელ უშესანიშნავეს და კეთილშობილ არტისტთა მაღალხარისხოვანი თამაშის გამო. პიესის მსვლელობის დროს თეატრის დარბაზი

ტაშის გრიალით ირყეოდა. ის მეორე დღესვე იქცა სახალხო წარმოდგენად. კომედიის ფრაზებს იმეორებდნენ სახლებში და ბაზარში. ავტორის - თავად გიორგი ერისთავის სახელი ცნობილი გახდა საყოველთაოდ.

ამრიგად, ცარიზმის ეროვნულ-კოლონიური ჩაგვრის პირობებშიც, ქართულმა კულტურამ შეძლო, ძირითადად მაინც, ეროვნულ ტრადიციებზე განვითარება და მნიშვნელოვან საფეხურზე ასვლა.

8. ბატონყმობის გაუქმება საქართველოში

ფეოდალურ-ბატონყმური მეურნეობის კრიზისს შედეგად მოჰყვა გლეხთა მდგომარეობის შემდგომი გაუარესება. გამოიწვია გლეხთა რევოლუციური აქტივობის ზრდა – დიდი აჯანყება მოხდა სამეგრელოში 1857 წელს, იმავე წელს იმერეთში, 1862 წელს – გურიაში, 1863 წელს – შიდა ქართლში.

დაიწყო მთავრობის კრიზისიც. გლეხური რევოლუციის შიშით იმპერატორმა *ალექსანდრე II*-ემ 1861 წელს რუსეთში გააუქმა ბატონყმობა „ზევიდან“.

ბატონყმობის „ზევიდან“ გაუქმების მიზნით, ქართველმა თავადაზნაურებმაც 1863 წელს შეადგინეს პროექტი საქართველოში ბატონყმობის გაუქმების შესახებ. პროექტი გლეხებს პირად თავისუფლებას აძლევდა, მაგრამ ათავისუფლებდა სრულიად უმიწოდ.

პროექტის მომზადებისა და განხილვის პერიოდში გლეხთა ინტერესების დამცველად გამოვიდა ახალი თაობა: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, რაფიელ ერისთავი, იაკობ გოგებაშვილი და სხვები. მათ სამოციანელები ეწოდებოდათ, რადგან მათი მოღვაწეობა 60-იან წლებში დაიწყო. ბევრ მათგანს სწავლა-განათლება რუსეთში ჰქონდა მიღებული, ე. ი. მდინარე თერგის გავლით თერგს იქით იყვნენ ნამყოფები, და ამიტომ მათ „*თერგდალეულებსაც*“ უწოდებდნენ. 1863 წელს მათ დააარსეს პროგრესული ჟურნალი „საქართველოს მოამბე“, რომლის რედაქტორი ილია ჭავჭავაძე იყო. ერთ-ერთ კრებაზე სადაც იხილავდნენ პროექტს ბატონყმობის გაუქმების შესახებ, ილია ჭავჭავაძე გამოვიდა გლეხების განთავისუფლებისა და მათთვის მიწების დარიგების მოთხოვნით. ამ მოთხოვნისთვის მას თავს დაესხნენ რეაქციონერი თავადაზნაურები.

გლეხური რევოლუციის შიშით, ცარიზმი არ დაეთანხმა ქართველ თავადაზნაურთა მოთხოვნას, რომ გლეხები სულ უმიწოდ გაეთავისუფლებინათ. ეს მათ იმიტომაც გააკეთეს, რომ გლეხს რაიმე შემოსავალი მაინც უნდა ჰქონოდა სახელმწიფოსთვის გადასახადების გადასახდელად.

აღმოსავლეთ საქართველოში ბატონყმობა 1864 წ. 8 ნოემბერს გაუქმდა, იმერეთში – 1865 წელს, სამეგრელოში – 1867 წელს, აფხაზეთში – 1870 წელს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლო სვანეთში – 1871 წელს.

ერთადერთი კარგი, რაც გლეხებმა მიიღეს ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, ეს იყო პირადი ანუ იურიდიული თავისუფლება.

გლეხი მიწიანად განთავისუფლდა, ოღონდ მას მცირე მიწა – ნადელი მისცეს. ზოგიერთ ადგილას გლეხებს რაც ჰქონდათ ბატონყმობის გაუქმებამდე, იქიდანაც ჩამოაჭრეს მიწები. ასეთ მიწებს „ჩამონაჭრები“ ეწოდებოდა. საშუალოდ გლეხებმა ნადელების სახით, იმაზე ნახევარჯერ ნაკლები მიწა მიიღეს, რაც მათ რეფორმამდე გააჩნდათ, ამასთანავე, გლეხს ნადელი უნდა გამოესყიდა. ვიდრე გლეხი ნადელის გამოსასყიდს არ გადაიხდიდა, დროებით ვალდებულ გლეხად იწოდებოდა. მათი ექსპლუატაცია ჩვეულებრივ გრძელდებოდა.

პროგრესული ქართველი ინტელიგენცია დიდი აღშფოთებით შეხვდა გლეხთა ამ მოტყუებას და გაძარცვას. ნიკო ნიკოლაძე 1865 წელს საზღვარგარეთ რუსულ დემოკრატიულ გაზეთში წერდა: „სტამბის მეალმა როგორ აიტანა და არ გაწითლდა, როცა მზის სინათლეზე გამოჰქონდათ მძარცველობისა და ყაჩაღობის, სიყალბისა და დანაშაულის ეს დაკანონება“.

მიუხედავად ამისა, ბატონყმობის გაუქმებას მაინც ჰქონდა ის ისტორიული მნიშვნელობა, რომ შექმნა თავისუფალი მუშახელი ქვეყანაში და დააჩქარა კაპიტალიზმის განვითარება.

9. XIX ს-ის 60-70-იანი წლების რეფორმები

XIX ს-ის 60-იანი წლებიდან ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, რუსეთი სწრაფი ტემპით დაადგა კაპიტალიზმის გზას. 1861 წ. საგლეხო რეფორმა ამისთვის საკმარისი არ იყო და მან ბუნებრივად მოითხოვა რეფორმების გატარება საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა დარგში. ამიტომ, 60-70-იან წლებში რუსეთში განხორციელდა საერობო, სასამართლო, სასოფლო და საქალაქო მმართველობის რეფორმები. მათი მიზანიც იგივე იყო, რაც საგლეხო რეფორმისა – არსებული საზოგადოებრივი წყობილების თანდათან, ევოლუციური გარდაქმნა ბურჟუაზიულ ყაიდაზე.

იმპერიის პერიფერიულ რაიონებში, რომლებიც საზოგადოებრივი წყობით და ეკონომიკური განვითარების დონით ჩამორჩებოდნენ ცენტრალურ გუბერნიებს, ყველა რეფორმა არ გატარებულა. კერძოდ, საქართველოში, მის ორივე გუბერნიაში გატარდა სამი – სასამართლო, სასოფლო მმართველობისა და საქალაქო მმართველობის რეფორმა.

რუსეთში *სასამართლო რეფორმა* გატარდა 1864 წელს. თუ რეფორმამდელი სასამართლო წოდებრივი იყო, ახალი დებულებით ყალიბდებოდა ყველა წოდებისა და სოციალური ფენისათვის საერთო სასამართლო. თუ მანამდე საქმეს

პოლიცია იძიებდა, ახლა მას ეს უფლება ჩამოერთვა. სისხლის სამართლის საქმეებს იძიებდნენ სასამართლო გამომძიებლები აუცილებელი იურიდიული განათლებით, შემოიღეს ღია სასამართლოები, საჯარო პროცესები. სისხლის სამართლის საქმეებში ბრალმდებელი იყო პროკურორი, ხოლო ბრალდებული თავს იცავდა ადვოკატის მეშვეობით ან თვითონ. დამკვიდრდა მოსამართლეების არჩევითობის წესი, ხოლო განაჩენი გამოჰქონდათ ნაფიც მსაჯულებს. უდავოა, რომ ეს ღონისძიებები, არსებულთან შედარებით, ძალზე პროგრესული ხასიათისა იყო.

4 წლის შემდეგ, 1868 წელს, საქართველოშიც გატარდა სასამართლო რეფორმა, ოღონდ შეცვლილი სახით. კერძოდ: ა) გაუქმდა წოდებრივი სასამართლოები და მოსახლეობის ყველა ჯგუფისათვის დაწესდა საერთო სასამართლო; 2) დაწესდა ადვოკატთა მონაწილეობა სასამართლო პროცესში; 3) ჩამოყალიბდა მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტი მაზრებში და ის სასამართლოების ყველაზე დაბალი ინსტანცია იყო; 4) გუბერნიებში ჩამოყალიბდა საოლქო სასამართლოები; 5) შეიქმნა ამიერკავკასიის უმაღლესი სასამართლო უწყება – სასამართლო პალატა. სამაგიეროდ: 1) არ შემოუღიათ მოსამართლეთა არჩევითობა; 2) არ დაამკვიდრეს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი; 3) სასამართლო საქმეები კვლავ რუსულ ენაზე წარმოებდა და ადგილობრივ მოსახლეობაში უკმაყოფილებას, ხოლო ხშირად გაუგებრობას იწვევდა; 4) რაც მთავარია, ყველა ინსტანციის მოსამართლეები ინიშნებოდნენ, გარდა სოფლის მოსამართლეებისა და ამით კვლავ შეუზღუდავი რჩებოდა საქართველოში რუსული ადმინისტრაციის უფლებები.

მიუხედავად სასამართლო რეფორმის შეკვეცილი ვარიანტით გატარებისა, იგი მაინც პროგრესული მოვლენა იყო – ხელს უწყობდა ქვეყანაში ბურჟუაზიული ურთიერთობების დამკვიდრებას.

დებულება *სასოფლო რეფორმის* შესახებ გამოქვეყნდა 1865 წელს. დაარსდა სოფლის მმართველობა, რომელშიც შედიოდნენ მხოლოდ გლეხთა წოდების წარმომადგენლები. უმაღლესი განმკარგულებელი ორგანო იყო სოფლის ყრილობა, იგი ირჩევდა სოფლის მამასახლისს, მის მოადგილეს (ნაცვალს) და გადასახადების ამკრეფს. ისინი სოფლის აღმასრულებელ ხელისუფლებას წარმოადგენდნენ. მამასახლისს გუბერნატორი ამტკიცებდა, რომელსაც მისი გადაყენებაც შეეძლო. სოფლის ყრილობა ირჩევდა სოფლის მოსამართლესაც, რომელსაც სისხლის სამართლის საქმის გარჩევის უფლება არ ჰქონდა და მხოლოდ ადგილობრივი მასშტაბის ფარგლებში მოქმედებდა.

ყველაზე რადიკალური ღონისძიებები გატარდა *საქალაქო მმართველობის* რეფორმის დარგში: 1) შეიქმნა საქალაქო თვითმმართველობები – სათათბიროები; 2) სათათბიროში მოსახლეობა ირჩევდა ხმოსნებს – დეპუტატებს; 3) სათათბირო თავისი წევრებიდან ირჩევდა გამგეობას; 4) გამგეობა ირჩევდა მის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავმჯდომარეს, ანუ ქალაქის თავს, რომელსაც დიდი ქალაქების შემთხვევაში ამტკიცებდა შინაგან საქმეთა მინისტრი.

მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის თვითმმართველობის უფლებები სამეურნეო ფარგლებს არ სცილდებოდა, იგი მაინც ფართო იყო; კერძოდ, მის ფუნქციებში შედიოდა: კომუნალური მეურნეობა, არქიტექტურული მშენებლობები, ბაზრები, ჯანმრთელობის დაცვასა და განათლებაზე ზრუნვა, ადგილობრივი მრეწველობის და ვაჭრობის მეთვალყურეობა, ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის მოწესრიგება, გადასახადების აკრეფა... საქალაქო თვითმმართველობის სათათბიროს ყველა დადგენილებას გუბერნატორი ეცნობოდა და ისინი მისი მეთვალყურეობით ხორციელდებოდა.

ბრძანებას იმპერიაში საქალაქო მმართველობის რეფორმის შესახებ იმპერატორმა ალექსანდრე II-ემ ხელი მოაწერა 1870 წელს, ე.ი. ყველა რეფორმაზე უფრო გვიან. უფრო გვიან გატარდა იგი საქართველოში – 1874 წ. თბილისში ჩატარდა ხმოსანთა პირველი არჩევნები (4 წლის ვადით არჩეულ იქნა 75 ხმოსანი), 1875 წელს ჩატარდა ქუთაისის საქალაქო სათათბიროს არჩევნები, 1876 წელს – გორსა და ახალციხეში, 1882 წელს – ფოთში და 1888 წელს – ბათუმში.

10. რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომი და საქართველო

ყირიმის ომის შემდეგ რუსეთის საგარეო პოლიტიკა მიმართული იყო პარიზის ხავის პირობების გაუქმებისაკენ. პარიზის ხავის გადასინჯვას რუსეთმა მიაღწია 1871 წელს ლონდონის საერთაშორისო კონფერენციაზე. რუსეთს ნება მიეცა შავ ზღვაზე სამხედრო-საზღვაო ფლოტის ყოლისა და სიმაგრეების აგებისა. რუსეთი კვლავ მიისწრაფვოდა ბალკანეთში გაბატონებისაკენ, რისთვისაც სურდა გამოეყენებინა ბალკანეთის სლავი ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. 1875 წელს ოსმალეთის წინააღმდეგ აჯანყდა *ბოსნია* და *ჰერცოგოვინა*, ხოლო 1876 წელს *ბულგარეთი*. ოსმალეთი სისხლში ახშობდა სლავი ხალხების მოძრაობას – მარტო ბულგარეთში გაჟლიტეს 30 ათასი კაცი. 1876 წელს ოსმალეთს ომი გამოუცხადეს სერბიამ და ჩერნოგორიამ, მაგრამ ძალები მეტად უთანაბრო იყო და ისინი მარცხდებოდნენ. მხოლოდ რუსეთის დიპლომატიურმა ჩარევამ და მის მიერ ნაწილობრივი მობილიზაციის გამოცხადებამ იხსნა სერბია განადგურებისაგან და ოსმალეთმა მასთან დადო ზავი. ბრძოლას განაგრძობდა ჩერნოგორია.

რუსეთმა შესთავაზა თურქეთს კონფლიქტის მოგვარება მშვიდობიანი გზით, რადგანაც მას ეშინოდა ევროპის სახელმწიფოებთან დიდი ომისა. ოსმალეთმა, ინგლისის წაქეზებით, უარყო ეს წინადადება. მაშინ, რუსეთი იძულებული იყო 1877 წელს ომი გამოეცხადებინა თურქეთისათვის, წინააღ-

მდეგ შემთხვევაში, ეს იქნებოდა რუსეთის კაპიტულაცია და საბოლოოდ გამოიწვევდა მისი პრესტიჟის დაცემას. სამხედრო მოქმედებები ბალკანეთსა და ამიერკავკასიაშიც გაიშალა.

1877 წლის აპრილში რუსეთის არმიამ გადალახა მდ. დუნაი და შეიჭრა ბულგარეთში. ოსმალეთს ომი გამოუცხადა რუმინეთმაც. რუსეთის არმიის გამოჩენამ ბულგარეთში გამოიწვია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობა. ბულგარელი მოხალისეები რუსებთან ერთად იბრძოდნენ თურქეთის წინააღმდეგ.

კავკასიის არმიამ 1877 წლის აპრილში და მაისში ბაიაზეთი და არტაანი დაიკავა. მაისში ოსმალებმა გადმოსხეს დესანტი სოხუმსა და ოჩამჩირეში და ახალი ფრონტი გახსნეს. ბრძოლები კოდორსა და ოჩამჩირის მიდამოებში მიმდინარეობდა. ოსმალები დამარცხებულ იქნენ. 20 აგვისტოს, რუსეთის ჯარმა სოხუმი აიღო და აფხაზეთის ტერიტორია გაწმენდილ იქნა თურქებისაგან. ნოემბერში კავკასიის არმიამ ყარსი დაიკავა და არზრუმთან გავიდა. საქართველოს მოსახლეობა აქტიურად მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის ამ ომში. კავკასიის ფრონტზე 25 ათასი ქართველი ჯარისკაცი იბრძოდა. გარდა ამისა, მოსახლეობა ყოველმხრივ ეხმარებოდა არმიას: ამარაგებდა სურსათით, აძლევდა თავშესაფარს და სხვ. ამრიგად, მიუხედავად ცარიზმის მიმართ სიძულვილისა, რუსეთ-ოსმალეთის ომში საქართველო რუსეთს უჭერდა მხარს. ქართველი ხალხისთვის აშკარა იყო, რომ რუსეთის გამარჯვება ამ ომში მის სასიცოცხლო ინტერესებს პასუხობდა.

1878 წლის იანვარში დაიწყო რუსეთის არმიის საერთო შეტევა, რუსებმა დაიკავეს *ფილიპოპოლი* (დღევანდელი პლოვდივი), ხოლო შემდეგ უბრძოლველად – *ადრიანოპოლი* (ედირნე).

კონსტანტინოპოლისკენ გზა ხსნილი იყო. მაშინ კონფლიქტში ჩაერივნენ ევროპის სახელმწიფოები. ინგლისმა სამხედრო-საზღვაო ფლოტი შეიყვანა მარმარილოს ზღვაში და ომით დაემუქრა რუსეთს, თუ ის შეეცდებოდა კონსტანტინოპილის დაკავებას.

რუსეთის არმია შეჩერდა კონსტანტინოპოლის ახლოს, *სან-სტეფანოში*, სადაც 1878 წლის თებერვალში ხელმოწერილ იქნა ზავი.

სან-სტეფანოს ზავით ბულგარეთი გამოცხადდა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. თურქეთმა სცნო რუმინეთის, სერბიის, ჩერნოგორიის დამოუკიდებლობა. ამასთან სერბიის და ჩერნოგორიის ტერიტორია იზრდებოდა ბოსნიისა და ჰერცოგოვინის ხარჯზე. რუსეთს გადაეცა სამხრეთი ბესარაბია. ამიერკავკასიაში რუსეთს გადაეცა ბათუმი, ყარსი, ბაიაზეთი და არდაგანი (არტაანი).

ევროპის სახელმწიფოები უკმაყოფილო იყვნენ რუსეთის წარმატებებით და მისი პოზიციების გაძლიერებით ბალკანეთში. მათ მოითხოვეს სან-სტეფანოს ზავის გადასინჯვა, წინააღმდეგ შემთხვევაში რუსეთს ომით დაემუქრნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთი იძულებული იყო დათანხმებულიყო ზავის გადასინჯვაზე, რაც განხორციელდა *ბერლინის კონგრესზე* 1878 წლის ზაფხულში. კონგრესის დადგენილებით ბულგარეთი დაიყო სამ ნაწილად და მხოლოდ ჩრდილოეთს მიენიჭა დამოუკიდებლობა. სერბიასა და ჩერნიგორიას უარი ეთქვა ტერიტორიულ ზრდაზე. რუსეთს ამიერკავკასიაში გადაეცა მხოლოდ ბათუმი და ყარსი. ავსტრია-უნგრეთს ნება მიეცა ბოსნიის და ჰერცოგოვინის შეერთებისა. ინგლისს გადაეცა კუნძული კვიპროსი. ამრიგად, ბერლინის კონგრესმა დიდად შეკვეცა რუსეთის გამარჯვების შედეგები თურქეთთან ამ ომში. მაგრამ, ეს შედეგები მაინც მნიშვნელოვანი იყო ბალკანეთისა და ამიერკავკასიის ხალხებისათვის, რადგანაც საქართველოს დაუბრუნდა თურქეთის მიერ მიტაცებული აჭარა ბათუმიანად, ხოლო რუმინეთმა, სერბიამ და ჩერნოგორიამ განამტკიცეს დამოუკიდებლობა. ბულგარეთი სწორედ ამ დროიდან არსებობს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო.

11. ილია ჭავჭავაძე და თერგდალეულები საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სათავეში

პატრიოტულ-დემოკრატიული დასი

ბურჟუაზიული რეფორმების განხორციელების შემდეგ საქართველოს მოსახლეობის სოციალური შემადგენლობა მრავალფეროვანი გახდა. შესაბამისად, ახალჩამოყალიბებულ სოციალურ ფენებს საკუთარი ინტერესები გაუჩნდა. ამ გარემოებამ გამოიწვია სხვადასხვა სოციალური ფენების და ჯგუფების ინტერესების გამომხატველი საზოგადოებრივი მიმდინარეობებისა და შემდგომში – პოლიტიკური პარტიების წარმოშობას.

ამ პროცესს ხელს უშლიდა რუსეთის თვითმპყრობელური მონარქია. იმპერიაში 1905 წლამდე აკრძალული იყო პოლიტიკური პარტიების საქმიანობა, რის გამოც არაერთი პარტია არალეგალურად შეიქმნა. პარტიების შექმნას წინ უძღოდა ორგანიზაციულად გაუფორმებელი და საერთო მიზნის მქონე თანამოაზრეებისაგან შემდგარი საზოგადოებრივი მიმდინარეობებისა და დაჯგუფებების ჩამოყალიბება.

XIX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში საზოგადოებრივ-კულტურულ ასპარეზზე გამოვიდნენ ქართველი სამოციანელები ანუ თერგდალეულები. ამ ტერმინში იგულისხმებოდა ის, რომ ახალი თაობის უმრავლესობას უმაღლესი განათლება რუსეთის საუნივერსიტეტო ქალაქებში ჰქონდა მიღებული, ე.ი. თერგის წყალი ჰქონდა დალეული. თერგდალეულთა დიდი თაობა ნახევარი საუკუნის განმავლობაში ედგა სათავეში ქართველი ხალხის ეროვნულ-კულტურულ

და საზოგადოებრივ მოძრაობას. მისი მთავარი წარმომადგენლები იყვნენ ნიკო ნიკოლაძე, აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი და სხვანი. ახალი თაობის აღიარებული წინამძღოლი გახლდათ ილია ჭავჭავაძე.

თერგდალეულთა დიდი თაობის მიზანი იყო ქართველი ხალხის ეროვნული თავისუფლება, მისი სოციალ-ეკონომიკური და კულტურული განვითარება, ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ერის მომზადება, რაც უნდა მომხდარიყო ხალხის ეროვნული თვითშეგნების ამაღლების გზით. 1863 წელს ილია ჭავჭავაძემ თბილისში გამოსცა ჟურნალი „საქართველოს მოამბე". ჟურნალის პირველ ნომერში დაიბეჭდა ილიას ცნობილი ლექსი „ჩემო კალამო". მასში წამოყენებული იყო ახალი თაობის მთავარი მიზანი – „ქართვლის ბედი" – მამულის, ერის სამსახური.

თერგდალეულთა ოცნებისა და მოქმედების საგანიც და მიზანიც თავისუფალი საქართველო გახლდათ. რადგან საიმპერატორო ცენზურამ „საქართველოს მოამბეს" ყოველგვარი „პოლიტიკური ამბები და მსჯელობანი" აუკრძალა თერგდალეულები თავიანთ პატრიოტულ იდეალს შენიღბულად გამოთქვამდნენ. ილია ჭავჭავაძემ ჟურნალში გამოაქვეყნა იტალიელი პატრიოტი მოღვაწის ალექსანდრე გავაცის მოწოდებები და ამით მიანიშნებდა ქართველ საზოგადოებას ეროვნული თავისუფლების იდეალი ერწმუნათ. „საჭიროა ყველა შევერთდეთ ერთ ნაციონალურ გრძნობით – მიმართავდა ჯუზეპე გარიბალდის თანამებრძოლი გავაცი იტალიელებს და მისი პირით კი ილია ჭავჭავაძე ქართველებს, – ხოლო ჩვენი ნაციონალური გრძნობა მდგომარეობს ლოზუნგში: თავისუფალი იტალია ალპებიდან... ლილიბეამდე... მთელი იტალია". ცოტა ქვემოთ: „საერთო საქმე ჩვენთვის ყველასათვის ერთია. ჩვენ გვინდა აღვადგინოთ იტალია! მაშ ერთ პირზედ დავდგეთ ყველანი, შევადგინოთ ერთი ხალხი".

მაგრამ ქართველი ხალხი იმხანად მოუმზადებელი იყო ეროვნული ბრძოლისათვის. საუკუნის პირველი ნახევრის გამოცდილებამ დაარწმუნა საზოგადოება, რომ რუსეთის იმპერიასთან მხოლოდ ხმლით ბრძოლა უპერსპექტივოა. თერგდალეულებმა და მათმა ბელადმა ილია ჭავჭავაძემ ახალი დროის შესაფერისი გეზი და მიმართულება მისცეს ეროვნულ მოძრაობას. მათ მიზნად დაისახეს განმანათლებლური მოღვაწეობის გზით ქართველის ხალხის მომზადება ეროვნული ბრძოლისათვის – პირველ ყოვლისა, ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძების, ცოდნა-განათლების გავრცელების გზით საზოგადოების პოლიტიკურ-კულტურული აღზრდა.

ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამებრძოლების ღრმა რწმენით თავისუფალი საქართველო მხოლოდ დემოკრატიული შეიძლებოდა ყოფილიყო. თერგდალეულებმა პირველად შემოიტანეს ქართულ ბეჭდვით რეალობაში დემოკრატიული სისტემის ფუძემდებლური ტერმინები, განმარტეს და მიანიშნეს ქართველ საზოგადოებას მათი სოციალური სიკეთე: კონსტიტუცია,

რესპუბლიკა, დემოკრატია, პარლამენტი, რევოლუცია, ნაცია, ავტონომია, კონფედერაცია... თერგდალეულებს, როგორც პირველ ქართველ პატრიოტ-დემოკრატებს მამულის სამსახური ესმოდათ არა როგორც რომელიმე წოდების ან ფენის, არამედ ერთიანი ქართველი ხალხის ინტერესების დაცვა. „ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა; მისი გამჯობინება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილი," – წერდა ილია. სწორედ ამიტომ თერგდალეულებმა, მამულის მსახურების ლოზუნგის წამოყენებასთან ერთად, მწვავედ შეუტიეს მაშინდელი რეალობის სოციალურ სიმახინჯეს – ბატონ-ყმობას და გლეხთა მიწიანად განთავისუფლებას ითხოვდნენ.

1860-1870 წლებიდან თერგდალეულები სათავეში ჩაუდგნენ ქართულ საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებას; წარმართავდნენ კიდეც მას. 1877 წლის 1 იანვარს ილია ჭავჭავაძემ გამოსცა ყოველკვირეული გაზეთი „ივერია", რომელიც გარკვეულ ხანს ყოველთვიურად, ხოლო 1886 წლიდან ყოველდღიური გაზეთის სახით გამოდიოდა და ქართული ჟურნალისტიკის ფლაგმანს წარმოადგენდა.

ქართველი თერგდალეულ-სამოციანელები ილია ჭავჭავაძის მეთაურობით რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდნენ ყველა ეროვნულ-კულტურულ წამოწყებას და ორგანიზაციას საქართველოში. 1875 წლიდან ილია ჭავჭავაძის თავმჯდომარეობით შეიქმნა თბილისის გუბერნიის სათავადაზნაურო საადგილ-მამულო ბანკი. ეს დაწესებულება გაკოტრებულ ქართველ თავადაზნაურებს კრედიტით ეხმარებოდა მამულების შენარჩუნებაში, ხოლო ბანკის შემოსავალს ეროვნულ-კულტურულ დაწესებულებებს ახმარდა.

1879 წელს შეიქმნა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომლის თამჯდომარე ჯერ დიმიტრი ყიფიანი, შემდეგ ილია ჭავჭავაძე გახდა. საზოგადოება ქართულ ენაზე სწავლა-განათლების სისტემის შექმნას ცდილობდა რუსულ-სახელმწიფოებრივი ენის ბატონობის პირობებში. ილიასა და თერგდალეულების თავკაცობით და მონაწილეობით გამოიცემოდა ქართული წიგნები, ჟურნალ-გაზეთები, იხსნებოდა სკოლები, ფუნქციონირებდა თეატრები, ინიშნებოდა სტიპენდიები სტუდენტთათვის და ბევრი სხვა რამ, რაც საფუძველს უმზადებდა ეროვნული სულისკვეთებით საზოგადოების აღზრდას და მის მომზადებას პოლიტიკური ბრძოლისათვის.

თერგდალეულთა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული დასი

1870-იანი წლებიდან თერგდალეულთა ერთმა ნაწილმა საქართველოს აღორძინება-განთავისუფლების საკუთარი კონცეფცია წამოაყენა. მისმა მთა-

ვარმა წარმომადგენლებმა გიორგი წერეთელმა, ნიკო ნიკოლაძემ და სერგეი მესხმა 1866 წელს დაარსებულ გაზეთ „დროების“ გარშემო მოიყარეს თავი.

ამ მოღვაწეთა აზრით, საქართველო გარდუვალად უნდა დასდგომოდა კაპიტალისტური განვითარების გზას. ქვეყანაში უნდა აღორძინებულიყო ვაჭრობა-მრეწველობა, ხოლო ეს საქმე უნდა განეხორციელებინა ეროვნულ ბურჟუაზიას. გიორგი წერეთლის აზრით, აუცილებელი იყო „ქართველობის“ ეკონომიკური გაძლიერება. იგი პირდაპირ მოუწოდებდა ქართველებს ვაჭრობისათვის მოეკიდათ ხელი და ამით დაპირისპირებოდნენ ქვეყანაში მომძლავრებულ უცხოურ და განსაკუთრებით სომხურ პლუტოკრატიას. „აწ რა რკინის გზა გაიხსნა, იმან მიუთითა საქართველოს ტომის ვაჭარს ხალხს ხელი ტფილისზე და უთხრა: აი, შენი დედაქალაქი და საქართველოს ბურჯი გარეშე ხალხს ჩაუგდია ხელში... აწ მიესიეთ და იჩინეთ თავი ტფილისის სავაჭრო ასპარეზზედ... უამისოდ ტფილისიც დაკარგულია და ქართლ-კახეთის მიწა-წყალიც დაღუპული.“

თერგდალეულთა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული დასის წარმომადგენელთა აზრით ეროვნული ბურჟუაზიის შექმნა-გაძლიერებისა და ადგილობრივი ეკონომიკის განვითარება საქართველოში ევროპის ნიმუშის მიხედვით უნდა მომხდარიყო. ნიკო ნიკოლაძის მტკიცებით, ქვეყნის ეკონომიკური აღორძინების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ეროვნული თავისუფლებაც.

მიუხედავად სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებში განსხვავებულობისა თერგდალეულები ერთიან იდეურ მიმდინარეობას წარმოადგენდნენ. მათი ერთიანობის საფუძველს ეროვნული იდეა წარმოადგენდა. ისინი ერთიანი ფრონტით უპირისპირდებოდნენ ქართველი ერის უფლებების შემლახველებს, ისტორიის გამყალბებლებს. – ასე დაუპირისპირდნენ ისინი ეროვნულ ნიჰილისტს ივანე ჯაბადარს; რუსიფიკატორ იანოვსკის, „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ რეაქციონერ რედაქტორს კატკოვს თუ სომეხ ისტორიის გამყალბებლებს პატკანოვსა და სხვებს.

თერგდალეულ-სამოციანელთა რიგებს ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები ავსებდნენ XIX საუკუნის 70-90-იანი წლების მანძილზე: ვაჟა-ფშაველა, ალექსანდრე ყაზბეგი, ალექსანდრე და გრიგოლ ყიფშიძეები და სხვ. მათი ერთიანობის ფუძემდებლურ იდეალს გამოხატავდა სერგეი მესხი, რომელიც ქართველთა სამაგალითოდ შვეიცარიელთა სამშობლოსმოყვარეობას ასხამდა ხოტბას. მისი სიტყვებით, ყველა საზოგადოებრივ შენობას შვეიცარიაში ამშვენებდა დევიზი: - ლიბერტე ეტ პატრიე – ლთავისუფლება და მამული). ეს იყო ყველა დასისა და თაობის თერგდალეულთა გამაერთიანებელი დევიზიც.

XIX ს-ის 80-იანი წლებიდან ცარიზმმა მთელს ქვეყანაში და, მათ შორის, საქართველოში სულისმხუთავი რეაქციული პოლიტიკა გააბატონა - უკიდურესად გააძლიერა ეროვნულ-კოლონიური ჩაგვრა, რასაც ეროვნული მოძრაობის არა ჩაკვლა, არამედ მისი შემდგომი აღმავლობა მოჰყვა.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწეებმა დიდი მუშაობა

გააჩაღეს ქართული ენისა და ქართული კულტურის დასაცავად. ამ საქმეში დიდი როლი შეასრულა იაკობ გოგებაშვილის მიერ შედგენილმა სასკოლო სახელმძღვანელოებმა: „დედა ენა“, „ბუნების კარი“, „რუსსკოე სლოვო“. ამ სახელმძღვანელოებით ქართველი ბავშვები ეცნობოდნენ საქართველოს გმირულ ისტორიულ წარსულსა და მის მდიდარ კულტურას.



ილია ჭავჭავაძე (1837-1907).

ამ საქმეში, ასევე, დიდი როლი შეასრულა 1879 წელს დაარსებულმა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“, რომლის დამაარსებლები იყვნენ ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, აკაკი წერეთელი, ივანე მაჩაბელი და სხვები. მისი პირველი თავმჯდომარე იყო დიმიტრი ყიფიანი, ხოლო თავმჯდომარის ამხანაგი – ილია ჭავჭავაძე. 1885 წლიდან სიკვდილამდე საზოგადოებას ი. ჭავჭავაძე ედგა სათავეში. საზოგადოებამ გახსნა ბევრი ახალი სკოლა, ქოხ-სამკითხველო, გამოსცა ბევრი ახალი წიგნი და სხვ.

ქართველმა თერგდალეულებმა განუზომელი სამსახური გაუწიეს ქართველ საზოგადოებას. მათ წარმატებით განახორციელეს ილია ჭავჭავაძის მიერ მრავალრიცხოვან პუბლიცისტურ წერილებში ჩამოყალიბებული უნივერსალური ეროვნული სტრატეგია. ამ სტრატეგიის ცალკეული პუნქტები თანდათანობით გამოიკვეთა: 1. ეროვნული თვითშეგნების და ცნობიერების ჩამოყალიბება; 2. ცოდნა-განათლების გავრცელება; 3. საქართველოს ტერიტორიის (ქართული მიწის) ქართველთა ხელში შენარჩუნება; 4. ქართველი ხალხის ერთიანობა წოდებათა თანამშრომლობის გზით; 5. ქართული ეროვნული ბურჟუაზიის შექმნა-გაძლიერება; 6. ეროვნული თავისუფლების ეტაპობრივ-ევოლუციური განხორციელება სახელმწიფოებრიობის აღდგენის გზით; 7. სოციალური სამართლიანობა და სხვ.

ჩეხი მეცნიერის მიროსლავ ჰროხის კონცეფციის მიხედვით, აღმოსავლეთ ევროპის ხალხების ისტორიის მაგალითზე, ეროვნული მოძრაობის ევილუცია სამ ფაზას გაივლის: 1. მეცნიერთა მცირე ჯგუფის ინტერესი საკუთარი ენის, კულტურისა და ისტორიისადმი; 2. „პატრიოტთა“ მიერ ეროვნული აგიტაცია საზოგადოების ყველა ფენაში ეროვნული თვითშეგნების გავრცელების მიზნით და 3. მასობრივი ეროვნული მოძრაობები პოლიტიკური ავტონომიისა და დამოუკიდებლობის მოპოვების მიზნით.

ქართველმა თერგდალეულებმა პირველი და განსაკუთრებით მეორე ფაზა ეროვნული მოძრაობისა წარმატებით განახორციელეს და საფუძველი მოუმზადეს მისი უმაღლესი – მესამე ფაზისათვის ბრძოლას.

12. პოლიტიკური მიმდინარეობებისა დაპარტიების წარმოშობა

ხალხოსნობა საქართველოში

ხალხოსნები გლეხური რევოლუციის გზით ფიქრობდნენ დაემხოთ რუსეთის მონარქია და დაემყარებინათ სოციალისტური სისტემა. 70-იან წლებში იმპერიის დიდ ქალაქებში შეიქმნა ფარული ხალხოსნური ორგანიზაციები. მათი მიზანი გახლდათ მოემზადებინათ გლეხური რევოლუცია. ერთ-ერთი ასეთი ორგანიზაცია შეიქმნა მოსკოვში და მისი მთავარი ორგანიზატორები იყვნენ ქართველი ხალხოსნები: ივანე ჯაბადარი, მიხეილ ჩიკოიძე და სხვ. რუსეთში ხალხოსნური მოძრაობის მთავარი იდეოლოგები იყვნენ მიხეილ ბაკუნინი, პეტრე ლავროვი და სხვ.

1874 წელს თბილისშიც შეიქმნა ხალხოსნური საიდუმლო ორგანიზაცია. მათ სურდათ მოემზადებინათ საყოველთაო გლეხთა აჯანყება, დაემხოთ არსებული მონარქისტული სისტემა, გაეუქმებინათ წოდებები, დაემყარებინათ სოციალური თანასწორობა. თბილისელებს რუსეთის ორგანიზაციებთანაც ჰქონდათ კავშირი. ისინი ცდილობდნენ გამოეყენებინათ იმხანად სამეგრელოსა და სვანეთში მიმდინარე გლეხთა გამოსვლები. ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ ჟანდარმერიამ მიაგნო ორგანიზაციის კვალს და გაანადგურა. რამდენიმე ათეული ხალხოსანი დააპატიმრეს და ციმბირში გადაასახლეს. მათ შორის იყვნენ მოძრაობის მთავარი ორგანიზატორები: ეგნატე იოსელიანი, ისიდორე ქიქოძე, ანტონ ფურცელაძე, სოფრომ მგალობლიშვილი და სხვ. საქართველოში ხალხოსნურმა სოციალიზმმა ფეხი ვერ მოიკიდა და ისევე როგორც რუსეთში – დამარცხდა.

ხალხოსნები პირველი რევოლუციონერები იყვნენ საქართველოში, რომლებმაც ეროვნულ საკითხს მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა მიანიჭეს. მათ უარყვეს ეროვნული ავტონომიისათვის ბრძოლის საჭიროება და მიიჩნიეს, რომ უნდა ებრძოლათ საერთო-სოციალური რევოლუციისათვის, რომელიც გამარჯვების შემთხვევაში, თავისთავად დაამყარებდა რუსეთის იმპერიაში ერების თავისუფლებას და თანასწორობას.

სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა საქართველოში

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქვეყანაში გაძლიერდა მოსახლეობის სხვადასხვა ფენების ბრძოლა სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯობესებისათვის. 80-90-იან წლებში ასპარეზზე გამოვიდა ახალი სოციალური ძალა – ფაბრიკებისა და ქარხნების მუშა-ხალხი. მათ შემოიტანეს სოციალური სამართლიანობისათვის ბრძოლის ახალი საშუალებები – გაფიცვა, მიტინგი, მანიფესტაცია, დემონსტრაცია. 90-იანი წლებიდან მუშების საპროტესტო მოძრაობას საქართველოში სათავეში ჩაუდგნენ მარქსისტები ანუ სოციალ-დემოკრატები.

1848 წელს საფრანგეთში გამოქვეყნდა კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის საპროგრამო ხასიათის ბროშურა „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“. ამ ნაშრომმა საფუძველი ჩაუყარა სოციალიზმის ერთ-ერთ ძლიერ მიმართულებას მარქსიზმს, რომელიც ჯერ ევროპაში გავრცელდა, შემდეგ – რუსეთში. მარქსიზმის ძირითადი დოქტრინა იყო – პროლეტარიატის დიქტატურა. მარქსის თეორიის მიხედვით, თანამედროვე კაპიტალისტური საზოგადოება შედგებოდა მჩაგვრელი და ჩაგრული კლასებისაგან. ჩაგრული კლასების ბრძოლას სათავეში უნდა ჩადგომოდა მუშათა კლასი – პროლეტარიატი, რომელიც დაამხობდა ბურჟუაზიის ბატონობას, დაამყარებდა თავის დიქტატურას და დაამხობდა კაპიტალისტურ სისტემას. ამის შემდეგ პროლეტარიატის მეთაურობით შეიქმნებოდა უკლასო და თანასწორი საზოგადოება – კომუნიზმი.

1892-1893 წლებში მარქსისტულად განწყობილმა ქართველმა ახალგაზრდების ჯგუფმა – ეგნატე ნინოშვილის, ნოე ჟორდანიას, ისიდორე რამიშვილის, სილიბისტრო ჯიბლაძის და სხვათა შემადგენლობით შექმნეს პირველი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია საქართველოში. ქართველ სოციალ-დემოკრატებს „მესამე დასელებსაც“ უწოდებდნენ.

XX საუკუნის დასაწყისამდე საქართველოში სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას დამოუკიდებელი ხასიათი ჰქონდა. ამ პერიოდში კი განსაკუთრებით გაძლიერდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიის გავლენა. რუსი სოციალ-დემოკრატები ვლადიმერ ულიანოვი (ლენინი), გიორგი პლეხანოვი და სხვები ცდილობდნენ შეექმნათ ერთიანი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელშიც გაერთიანდებოდნენ იმპერიის სხვა ხალხების მარქსისტული ორგანიზაციები. მათ შეძლეს შეექმნათ ასეთი ერთიანი ცენტრალიზებული რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელსაც 1903 წლიდან შეუერთდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციაც. ამიერიდან ქართველი მარქსისტები რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში შედიოდნენ და მის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდნენ.

ხალხოსნების მსგავსად, რუსი და მათი გავლენით – ქართველი მარქსისტებიც, ეროვნული თავისუფლების საკითხს მეორეხარისხოვან პრობლემად მიიჩნევდნენ და უარყოფდნენ ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლის აუცილებლობას. ბევრი მათგანი ეროვნული ღირებულებებისადმი სრულ ნიჰილიზმამდე მივიდა. ქართველი ბოლშევიკი ფილიპე მახარაძე წერდა:

„ჩვენთვის ნაციონალური კულტურა არ არსებობს, ნაციონალურ ენას მხოლოდ პირობითი და წარმავალი მნიშვნელობა აქვს. რაც შეეხება ნაციონალურ ზნე-ჩვეულებებს, ესენი მხოლოდ კონსერვატორობის გამომხატველია“.

1903 წლიდან რუსეთისა და საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში ორი ფრაქცია ჩამოყალიბდა – ბოლშევიკების და მენშევიკების. ეროვნული ნიჰილიზმით განსაკუთრებით ქართველი ბოლშევიკები გამოირჩეოდნენ.

მენშევიკ სოციალ-დემოკრატებს დიდი გავლენა ჰქონდათ და ყველაზე ძლიერ პარტიას წარმოადგენდნენ საქართველოში. მათი ყველაზე ცნობილი წარმომადგენლები იყვნენ: ნოე ჟორდანია, აკაკი ჩხენკელი, ევგენი გეგეჭკორი, ირაკლი წერეთელი, კარლო ჩხეიძე.

სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტების სარევოლუციო პარტია 1904 წელს შეიქმნა. მისი მთავარი მიზანი იყო ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენა, რაც უნდა მომხდარიყო საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის ფორმით. თავდაპირველად საქართველოს სახელმწიფო რუსეთის ფედერაციულ რესპუბლიკაში გაერთიანდებოდა. ავტონომიის მოპოვება სოციალისტ-ფედერალისტებს ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის პირველ ეტაპად მიაჩნდათ, რომელსაც დამოუკიდებლობის მოპოვება უნდა მოჰყოლოდა.

1903-1905 წლებში ფედერალისტები პარიზში გამოსცემდნენ ქართულ-ფრანგულ გაზეთს „საქართველოს“. ამ გაზეთის მეშვეობით შესაძლებელი გახდა საქართველოს პოლიტიკური თავისუფლების საკითხის დასმა ევროპის საზოგადოებრივ-პოლიტიკური წრეების წინაშე.

ფედერალისტებს სოციალური სამართლიანობის დამყარების საუკეთესო საშუალებად ევროპული ტიპის დემოკრატიული სოციალისტური სისტემა ესახებოდათ. ქართველი სოციალისტ-ფედერალისტები იარაღით ხელში იბრძოდნენ ეროვნული და სოციალური ავთისუფლებისათვის. ეს იყო პირველი ეროვნული მიმართულების პოლიტიკური პარტია საქართველოში. მისი მთავარი წარმომადგენლები იყვნენ: არჩილ ჯორჯაძე, გიორგი ლასხიშვილი, გიორგი დეკანოზიშვილი, კიტა აბაშიძე, გიორგი ზდანოვიჩი-მაიაშვილი და სხვანი.

თავდაპირველად, სოციალისტ-ფედერალისტების პარტიამ თავის რიგებში, ეროვნული დროშის ქვეშ გააერთიანა სხვა პატრიოტული მიმდინარეობებიც – ანარქისტები, ეროვნულ-დემოკრატები, ამავე დროს, თავის გარშემო დარაზმა მაშინდელი ქართველი ინტელიგენციის დიდი ნაწილი. სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის შექმნაში აქტიურად მონაწილეობდა ქართველი პატრიოტ-ანარქისტი ვარლამ ჩერქეზიშვილი, რომელიც მაშინდელი ევროპული და მსოფლიო ანარქისტული მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერად ითვლებოდა. 1904 წლის აპრილში ფედერალისტური პარტიის დამაარსებელთა კონფერენციას ვ.

ჩერქეზიშვილი მიმართავდა: „როდესაც მე ამ კონფერენციაზე მომიწვიეს, ჩემს წინაშე აღიმართა შემდეგი კითხვა: კონფერენციაში მონაწილეობას მივიღებ, როგორც წევრი ჩემი პარტიისა, თუ როგორც შვილი განსაზღვრული ერისა, როგორც ანარქისტი, თუ როგორც ქართველი? მე დავინახე, რომ ჩემი ადგილი აქ იყო მხოლოდ ადგილი ქართველისა, ჩემს თანამემამულეთა შორის.“

ეროვნულ-დემოკრატები

ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის თანმიმდევრულად იღწვოდა ეროვნულ-დემოკრატიული მიმდინარეობა, რომლის პოლიტიკურ პარტიად გაფორმებაც მოგვიანებით მოხდა. ეს იყო წმინდა ეროვნული მიმართულების ორგანიზაცია, რომელიც ილია ჭავჭავაძის იდეურ მემკვიდრედ მიიჩნევდა თავს. პარტიის შექმნის პროცესში თვით ილია ჭავჭავაძეც იღებდა მონაწილეობას.

ამის შესახებ რუსეთშიც იცოდნენ. პეტერბურგის გაზეთი „სტრანა“ იუწყებოდა, რომ „შეიქმნა ქართული დემოკრატიული პარტია, ამასთან საქართველოს ავტონომიის მოთხოვნა წამოყენებულია, როგორც პროგრამის ძირითადი პუნქტი... პარტიის პროგრამის შედგენაში ენერგიული მონაწილეობა მიიღო სახელმწიფო საბჭოს წევრად არჩეულმა თავადმა ილია ჭავჭავაძემ.“

რუსეთის იმპერიაში მიმდინარე ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ მძლავრად შეარყია მონარქია, მაგრამ ვერ შეზლო მისი დამხობა. რევოლუცია 1905-1907 წლებში მიმდინარეობდა და დამარცხებით დამთავრდა. მიუხედავად ამისა, იმპერატორი ნიკოლოზ მეორე იძულებული გახდა დათმობებზე წასულიყო. 1905 წლის 17 ოქტომბერს მან გამოსცა მანიფესტი, რომლის შედეგადაც რუსეთში დაშვებული იქნა დემოკრატიული თავისუფლებები: კრების, პოლიტიკური პარტიების, სინდისის, პიროვნების ხელშეუხებლობის, სიტყვის; გამოცხადდა რუსეთის პარლამენტის – სახელმწიფო სათათბიროს (დუმის) არჩევნები. რუსეთი ფაქტიურად კონსტიტუციური მონარქიის გზას დაადგა.

მიუხედავად ამისა, რუსეთის ხელისუფლება მკაცრად გაუსწორდა რევოლუციური და ეროვნული მოძრაობის მონაწილეებს.

ქართველი ხალხისთვის განსაკუთრებით დიდი ტრაგედია მოხდა 1907 წლის 30 აგვისტოს – მოკლეს დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწე, ეროვნული მოძრაობის აღიარებული წინამძღოლი ილია ჭავჭავაძე. ილიას მკვლელები ალბათ ფიქრობდნენ, რომ საქართველოში დიდი ხნით შეწყდებოდა ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლა. მათი იმედები არ გამართლდა. ილიას ტრაგიკულმა აღსასრულმა კიდევ უფრო აამაღლა ქართველი ხალხის ეროვნული სულისკვეთება და გაამძაფრა ბრძოლა სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის.

სახალხო განათლება და მეცნიერება. ცარიზმის დევნის მიუხედავად საქართველოში განათლების საქმე მაინც წინ მიიწევდა. ეს ცხოვრების, კაპიტალიზმის განვითარების მოთხოვნა იყო და მას ვერ შეაჩერებდნენ. მრავლდებოდა სკოლების რიცხვი, იზრდებოდა მათში მოსწავლეთა რაოდენობა, გრძელდებოდა სკოლებში ქართველ ბავშვთა პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდა. ამ საქმეში ძალზე დიდ როლს ასრულებდა ი. გოგებაშვილის მიერ შექმნილი სასკოლო სახელმძღვანელოები და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ (1879 წლიდან).

განვითარდა ქართული მეცნიერება. საქართველოში უმაღლესი სასწავლებლები და სამეცნიერო დაწესებულებები არ არსებობდა, ამიტომ, ქართველ მეცნიერებს მეცნიერული მოღვაწეობა რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში უწევდათ.

რუსეთის სამეცნიერო-ქირურგიულ აკადემიაში მუშაობდა გამოჩენილი ფიზიოლოგი *ივანე თარხნიშვილი*. იგი იყო იმ კათედრის გამგე, რომელიც მანამდე დიდ რუს მეცნიერს ივანე სეჩენოვს ეკავა.

ქიმიის მეცნიერების განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის ცნობილ ქართველ მეცნიერებს, ოდესის უნივერსიტეტის პროფესორებს პეტრე მელიქიშვილსა და ვასილ პეტრიაშვილს.

ქართული ენისა და ლიტერატურის შესწავლას დიდი ამაგი დასდეს პეტრებურგის უნივერსიტეტის პროფესორებმა *დავით ჩუბინაშვილმა* და *ალექსანდრე ცაგარელმა*, მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორმა *ალექსანდრე ხახანაშვილმა*.

ქართული საისტორიო მეცნიერება წინ წასწიეს ცნობილმა ისტორიკოსებმა: *დიმიტრი ბაქრაძემ, პლატონ იოსელიანმა, თედო ჟორდანიამ, ექვთიმე თაყაიშვილმა, ნიკო მარრმა* და სხვებმა.

ქართული საზოგადოებრივი და ფილოსოფიური აზრის განვითარებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა „თერგდალეულებისა“ და „ხალხოსნების“ – ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილის, გიორგი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, სერგეი მესხის, ანტონ ფურცელაძის და სხვათა პუბლიცისტურ შრომებს.

ლიტერატურა. ლიტერატურული საქმის განვითარებაში დიდ როლს თამაშობდნენ ქართული ჟურნალ-გაზეთები. XIX ს-ის II ნახევარში გამოდიოდა ჟურნალები: „საქართველოს მოამბე“ (1863 წ.),„ივერია“, რომელიც 1885 წლიდან ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთდა. მასთან ერთად გამოდიოდა გაზეთები: „დროება“ (1866-1885), „კვალი“ (1893 წლიდან), „სასოფლო გაზეთი“.

XIX ს-ის II ნახევარი ქართული მხატვრული ლიტერატურის უდიდესი აყვავების ხანა იყო. ლიტერატურაში დამკვიდრდა კრიტიკული რეალიზმი. ამ პერიოდის ქართული ლიტერატურის მთავარი თემა იყო პატრიოტიზმი, სამშობ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოსათვის თავდადება, მისი ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლა. მანამდე არასოდეს ქართულ ლიტერატურას არ მოუპოვებია ისეთი დიდი გავლენა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, როგორც ამ ხანებში.

XIX ს-ის 60-იან წლებში ქართულ მწერლობას სათავეში ედგნენ *ილია ჭავჭავაძე* (1837-1907) და *აკაკი წერეთელი* (1840-1915). მათი აზრით, ლიტერატურის დანიშნულებაა სწორად და ყოველმხრივ ასახოს სინამდვილე და ემსახუროს ცხოვრების, ქვეყნის წინსვლას. მთელი მათი ლიტერტურული შემოქმედება ამ ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლის სამსახურში დგას.

ილიას და აკაკის მხარში ედგნენ *რაფიელ ერისთავი, გიორგი წერეთელი* და სხვები. 70-80-იან წლებში ქართულ ლიტერატურაში ნაყოფიერად მუშაობდნენ ხალხოსნური მიმართულების მწერლები: *ანტონ ფურცელაძე, ნიკო ლომოური, სოფრომ მგალობლიშვილი, ეკატერინე გაბაშვილი.*

80-90-იან წლებში ქართულ ლიტერატურას ორი უდიდესი დემოკრატი მწერალი მოევლინა – *ვაჟა-ფშაველა* და *ალექსანდრე ყაზბეგი*. ამავე წლებში სამწერლო ასპარეზზე გამოვიდნენ: *ეგნატე ნინოშვილი, დავით კლდიაშვილი, იროდიონ ევდოშვილი, შიო არაგვისპირელი, ჭოლა ლომთათიძე, ვასილ ბარნოვი* და სხვები.

ხელოვნება. XIX ს-ის მეორე ნახევარში აღმავლობის გზას დაადგა ქართული ხელოვნებაც. 1879 წელს თბილისში პროგრესულმა მოღვაწეებმა ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ხელმძღვანელობით მოახერხეს დრამატული თეატრის აღდგენა. მის სცენაზე განსაკუთრებული პოპულარობით იდგმებოდა 1882 წლიდან *დავით ერისთავის* „სამშობლო“. პიესა ასახავდა ქართველი ხალხის გმირულ ბრძოლას შაჰ-აბასის წინააღმდეგ.

მშობლიური თეატრის წინსვლასა და განვითარებას უდიდესი სამსახური გაუწიეს გამოჩენილმა მსახიობებმა და რეჟისორებმა: *ვასო აბაშიძემ, ლადო მესხიშვილმა, კოტე ყიფიანმა, კოტე მესხმა, ვალერიან გუნიამ, ნატო გაბუნიამ* და სხვებმა.

ამ დროს მოღვაწეობდნენ ქართული რეალისტური ფერწერის ცნობილი წარმომადგენლები: *გიგო გაბაშვილი, ალექსანდრე მრევლიშვილი, მოსე თოიძე, მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე* და სხვ.

80-90-იან წლებში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდნენ გამოჩენილ კომპოზიტორები: *ფილიმონ ქორიძე, მელიტონ ბალანჩივაძე, ია კარგარეთელი* და სხვ.

როგორც ვხედავთ, ცარიზმის რეაქციულმა პოლიტიკამ ვერ შეძლო ეროვნულ ტრადიციებზე მდგომი ქართული კულტურის განვითარებისა და წინსვლის შეჩერება. მან მსოფლიო მნიშვნელობის წარმატებები მოიპოვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



აკაკი წერეთელი (1840-1915).

14. ეროვნული მოძრაობა 1907-1914 წლებში

1905-1907 წლების რუსეთის რევოლუციის დამარცხებისა და იმპერიაში რეაქციის დაწყების მიუხედავად, არც პოლიტიკური მოძრაობა შეწყვეტილა და არც ეროვნული მოძრაობა მოხსნილა დღის წესრიგიდან. 1907 წლიდან საქართველოში პოლიტიკური ძალების განლაგება დაახლოებით ასეთი იყო: მთავარ პოლიტიკურ ძალას კვლავ *სოციალ-დემოკრატები* წარმოადგენდნენ (ნოე ჟორდანია, ისიდორე რამიშვილი, აკაკი ჩხენკელი, ნოე რამიშვილი, კარლო ჩხეიძე, ევგენი გეგეჭკორი ...). ესენი იყვნენ ქართველი მენშევიკები, რომელთა წარმომადგენლები კარლო ჩხეიძე და ევგენი გეგეჭკორი დიდ როლს თამაშობდნენ რუსეთის III სახელმწიფო სათათბიროს მუშაობაში 1907-1912 წლებში. მენშევიკი სოციალ-დემოკრატები 1917 წლამდე წამყვან პოლიტიკურ ძალად დარჩა. ამის ერთ-ერთი მაჩვენებელი იყო ის, რომ 1912 წელს არჩეულ IV სახელმწიფო სათათბიროში საქართველოდან არჩეული სამი დეპუტატიდან – კარლო ჩხეიძე, აკაკი ჩხენკელი და ვარლამ გელოვანი – პირველი ორი სოციალ-დემოკრატი იყო.

გავლენით მეორე პოლიტიკურ ძალას *სოციალისტ-ფედერალისტთა რევოლუციური პარტია* წარმოადგენდა, რომლის წევრიც იყო IV სახელმწიფო სათათბიროს მესამე ქართველი წევრი ვარლამ გელოვანი. ზემოაღნიშნულ ორ პარტიას შორის მძაფრი დაპირისპირება იყო ეროვნულ საკითხში – პირველები საერთოდ უარყოფდნენ რაიმე სახის სახელმწიფოებრივ უფლებებს საქართველოსთვის, ხოლო მეორენი ეროვნული ავტონომიის მოთხოვნით გამოდიოდნენ. ამ პარტიის ხელმძღვანელობის აქტიური წარმომადგენლები იყვნენ: არჩილ ჯორჯაძე, გიორგი ზდანოვიჩი-მაიაშვილი, გრიგოლ რცხილაძე, გიორგი ლასხიშვილი, სამსონ ფირცხალავა, კიტა აბაშიძე და სხვ.

სოციალისტ-ფედერალისტებს თანდათან გამოეყო ჯგუფი, რომლებმაც დააარსეს *ეროვნულ-დემოკრატიული მიმდინარეობა* (იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე, მიხაკო წერეთელი, გიორგი გვაზავა, ვალერიან გუნია, ზურაბ ავალიშვილი, გრიგოლ ვეშაპელი, რევაზ გაბაშვილი...). ისინი გაერთიანდნენ ჟურნალ „ერის“ გარშემო, რომლის რედაქტორი იყო პეტრე სურგულაძე. 1917 წელს ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობა ცალკე პარტიად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩამოყალიბდა. 1917 წლის 4 ივნისს თბილისში გამართულ ყრილობაზე პარტია გამოცხადდა დაარსებულად. მისი საპატიო თავმჯდომარე გახდა ნიკო ნიკოლაძე, ხოლო მოქმედი ხელმძღვანელი – სპირიდონ კედია. პარტიის საპროგრამო დებულებები იყო: საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის აღდგენა, ეროვნულობა, კაპიტალიზმი, დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბება.

მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდნენ ქართველი ანარქისტები. მასში ორი მიმდინარეობა იყო: პირველი კოსმოპოლიტიზმის პოზიციაზე იდგა (კომანდო გოგელია, შალვა გოგელია...), ხოლო მეორე საქართველოს ავტონომიის მოთხოვნას უჭერდა მხარს (ვარლამ ჩერქეზიშვილი, მიხაკო წერეთელი...).

ამ პარტიების პოლიტიკურ მოღვაწეობაში განსაკუთრებით აქტუალური იყო ეროვნული საკითხი. თითოეული პარტია ცდილობდა თავისი თვალსაზრისი ამ საკითხზე რაც შეიძლებოდა პოპულარული გაეხადა და გაევრცელებინა ხალხში. სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლები აქვეყნებდნენ სტატიებსა და ბროშურებს, რომლებშიც ცდილობდნენ საკუთარი პოზიციების დასაბუთებას. ასეთები იყო: არჩილ ჯორჯაძის წერილების სერია „სამშობლო და მამულიშვილობა“ (1908), ნოე ჟორდანიას „ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი“ (1908), მიხაკო წერეთლის „ერი და კაცობრიობა“ (1910), აკაკი ჩხენკელის „კაცობრიობა თუ ერი?“ (1912), იოსებ ჯუღაშვილის „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“ (1913).

პარტიათა შორის ეროვნულ საკითხზე შეთანხმება და საერთო პოლიტიკური პლატფორმის შემუშავება ვერ მოხერხდა. თითოეული მათგანი ცდილობდა მისთვის ხელმისაწვდომი საშუალებებით ებრძოლა თავისი შეხედულებების პოპულარიზაციისა და დამკვიდრებისათვის.

ამ მხრივ სხვებზე უკეთესი პირობები ჰქონდათ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს ქართველ დეპუტატებს, რომლებიც სათათბიროს ტრიბუნას აქტიურად იყენებდნენ ეროვნული და სოციალური საკითხების განხილვისათვის. 1912 წლის 10 დეკემბერს სახელმწიფო სათათბიროს სხდომაზე აკაკი ჩხენკელმა (სოციალ-დემოკრატი) მწვავედ გააკრიტიკა რუსეთის კოლონიური პოლიტიკა. მან მოითხოვა საქართველოსთვის კულტურული ავტონომიის მინიჭება. სამი დღის შემდეგ, 1912 წლის 13 დეკემბრის სხდომაზე, კიდევ უფრო შორს წავიდა ვარლამ გელოვანი (სოციალისტ-ფედერალისტი) და საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის მოთხოვნა წამოაყენა. ცხადია, მათი ეს გამოსვლები და მოთხოვნები რუსეთის IV სახელმწიფო სათათბიროში ქართული ეროვნული მოძრაობის უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო.

15. საქართველოს პოლიტიკური თავისუფლების საკითხი და დასავლეთი

მას შემდეგ, რაც პარიზში გამომავალმა გაზეთმა „საქართველომ“ ევროპელებს ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა გააცნო, ქართველმა პატრიოტებმა გა-

ნაგრძეს ეროვნული თავისუფლების საკითხის პროპაგანდა და პოპულარიზაცია დასავლეთში. მათი მიზანი იყო საქართველოს პოლიტიკური თავისუფლების საკითხით დაეინტერესებინათ ევროპელები და მათი მხარდაჭერა მოეპოვებინათ.

1907 წელს ქართველმა პატრიოტებმა პეტიციით მიმართეს ჰააგაში შემდგარ სამშვიდობო კონფერენციას. პეტიციას ეწოდებოდა „საქართველოს ხალხის მემორანდუმი“. ამ საყურადღებო პოლიტიკურ-იურიდიული დოკუმენტით, რომელსაც ხელს ანერდა ორი ათასზე მეტი ადამიანი, ქართველები საერთაშორისო სამართალზე დაყრდნობით, მხარდაჭერას სთხოვდნენ ევროპის სახელმწიფოებს. „მემორანდუმის“ მიხედვით, 1783 წელს საქართველოსა და რუსეთს შორის დაიდო საერთაშორისო ხელშეკრულება – ტრაქტატი, რომლის ძალითაც რუსეთი უნდა დახმარებოდა საქართველოს. ამის მაგიერ, 1801-1810 წლებში რუსეთის იმპერიამ ქართული სამეფოები დაიპყრო და ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობა გააუქმა, რითაც დაარღვია საერთაშორისო სამართალი. „საქართველოს ხალხის მემორანდუმი“, რომლის ტექსტი მოამზადეს ვარლამ ჩერქეზისვილმა, გიორგი გვაზავამ და მიხაკო წერეთელმა, ევროპის სახელმწიფოებს სთხოვდა დახმარებოდნენ საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენაში, რაც დარღვეული საერთაშორისო სამართლიანობის აღდგენასაც ნიშნავდა.

მართალია, „მემორანდუმი“ კონფერენციამ ოფიციალურად არ განიხილა, რადგან რუსეთის იმპერიის განაწყენებას მოერიდა, მაგრამ მისი ტექსტი ყველა წამყვან დასავლურ გაზეთებში გამოქვეყნდა და ცნობილი გახდა ევროპის სახელმწიფოთა პოლიტიკური წრეებისათვის. როგორც შემდგომში ვარლამ ჩერქეზიშვილი შენიშნავდა, „მთელი საუკუნის განმავლობაში თითქმის პირველად იყო, რომ ქვეყნიერებამ საქართველოზე დაიღაპარაკა.“

1912 წელს შეიქმნა ორგანიზაცია „ქართველი ხალხის უფლებების დაცვის კავშირი“. მისი ინიციატორები იყვნენ: არჩილ ჯორჯაძე, გერონტი ქიქოძე, კიტა აბაშიძე, პეტრე სურგულაძე და სხვ. „კავშირის“ მიზანი იყო საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის საკითხის პროპაგანდა ევროპაში. ორგანიზაციის წარმომადგენლები ევროპაში იყვნენ ვარლამ ჩერქეზიშვილი და მიხაკო წერეთელი, რომლებიც საერთაშორისო კონფერენციებზე მონაწილეობით, პრესაში გამოქვეყნებული პუბლიკაციებით და სხვა საშუალებებით ცდილობდნენ საქართველოს პოლიტიკური თავისუფლების საკითხის პოპულარიზაციას და ევროპის სახელმწიფოების დახმარების მოპოვებას.

ევროპელთა და ზოგადად დასავლეთის ინტერესი საქართველოსადმი იზრდებოდა. ამ პროცესს ხელს უწყობდა მოახლოებული მსოფლიო ომი. სწორედ პირველი მსოფლიო ომის წინა ხანებში რუსეთის იმპერიის ხელისუფლებამ გადაწყვიტა დიდი სამხედრო-საწვრთნელი პოლიგონის მოწყობა საქართველოს

ტერიტორიაზე – ტირიფონის ველზე. ამ მიზნით, შიდა ქართლში, მდ. ლიახვის ხეობაში, რამდენიმე სოფლის მოსახლეობა უნდა აეყარათ და სხვაგან გადაეასახლებინათ. ქართველმა პატრიოტ-პოლიტიკოსებმა ევროპის ეროვნებათა უფლებების დამცველ ორგანიზაციებს მიმართეს დახმარებისათვის. ტირიფონის ველის სამხედრო პოლიგონის საკითხი განიხილა 1914 წელს ლივერპულში გამართულმა დაჩაგრული ხალხების წარმომადგენელთა კონგრესმა. ამავე კონგრესმა მიიღო სპეციალური რეზოლუცია, რომლითაც მიმართა რუსეთის იმპერიის ხელისუფლებას და მოსთხოვა მას, ხელი აეღო შიდა ქართლის ამ ტერიტორიაზე სამხედრო პოლიგონის მშენებლობის განზრახვაზე.

იმპერიის ხელისუფლებამ ამგარიში გაუწია დასავლეთის საზოგადოებრიობასა და პოლიტიკური წრეების თხოვნას. სამხედრო პოლიგონი ტირიფონის ველზე აღარ გამართულა. ევროპის ქვეყნებში იზრდებოდა ინტერესი საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის საკითხის მიმართ.

16. პირველი მსოფლიო ომი და საქართველო

1914-1918 წლებში მიმდინარეობდა პირველი მსოფლიო ომი, რომელშიც ჩაბმული აღმოჩნდა დედამიწის ყველა წამყვანი სახელმწიფო, განსაკუთრებით – ევროპის ქვეყნები. ომის მიზეზი იყო ის წინააღმდეგობა, რომლებიც ამ ქვეყნებს შორის წარმოიშვა პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განვითარების შედეგად. კოლონიალიზმი, რომელიც თან სდევდა კაპიტალიზმს, განსაკუთრებით მისი განვითარების პირველ ეტაპებზე, სახელმწიფოებს შორის მწვავე კონფრონტაციებს წარმოშობდა ტერიტორიების დაპყრობისა და განაწილების საქმეში. ცალკეული სახელმწიფოები ამ საქმის მოგვარებას მხოლოდ საკუთარი ძალებით, დამოუკიდებლად ვერ ახერხებდნენ და უკვე XIX ს-ის 70-იანი წლების ბოლოდან დაიწყო სამხედრო-პოლიტიკური ბლოკების ჩამოყალიბება.

პირველი სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი იყო *სამთა კავშირი*. 1879 წელს კავშირი დაიდო გერმანიასა და ავსტრია-უნგრეთს შორის, ხოლო 1882 წელს მათ შეუერთდა იტალია. მოგვიანებით სამთა კავშირში გაწევრიანდა ოსმალეთი. მეორე სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი იყო *ანტანტა* („გულითადი კავშირი“). 1891-1892 წწ. გაფორმდა ხელშეკრულება რუსეთსა და საფრანგეთს შორის გერმანიის საწინააღმდეგოდ. 1904-1907 წწ. დაიდო სამხედრო-პოლიტიკური ხელშეკრულებები ინგლის-საფრანგეთსა და ინგლის-რუსეთს შორის. ასე შეიქმნა საფრანგეთის, ინგლისის, რუსეთის სამხედრო ბლოკი. უკვე მსოფლიო ომის მსვლელობის დროს, 1915 წ. იტალია გამოვიდა სამთა კავშირიდან და ანტანტას შეუერთდა; მასვე შეუერთდა 1917 წ. ამერიკის შეერთებული შტატები.

ორივე ბლოკის ინტერესები ერთმანეთს დაუპირისპირდა. გერმანია დარწ-

მუნებული იყო, რომ ანტანტას დაამარცხებდა და ომის დაწყების საბაბს აქედან. მალე ისიც გაჩნდა: 1914 წ. 28 ივნისს სერბმა ნაციონალისტებმა (გაბრიელ პრინციპმა) ბოსნიის ქალაქ სარაევოში მოკლეს ავსტრია-უნგრეთის ტახტის მემკვიდრე ფრანც-ფერდინანდი. ავსტრია-უნგრეთმა სერბიას ომი გამოუცხადა. ავსტრია-უნგრეთის მხარეს ომში ჩაება გერმანია, ხოლო 1 აგვისტოს სერბიის მხარეს – რუსეთი. 1914 წლის აგვისტოში ოსმალეთმა ნეიტრალიტეტი გამოაცხადა, მაგრამ მალე გამომჟღავნდა, რომ ეს მხოლოდ დიპლომატიური ფანდი იყო – უკვე ოქტომბერში ოსმალეთის სამხედრო ფლოტმა სევასტოპოლი და შავი ზღვის სანაპიროს რუსეთის ქალაქები დაარბია. 2 ნოემბერს რუსეთი იძულებული შეიქნა თურქეთისათვის ომი გამოეცხადებინა. მას ომის წარმოება სამ ფრონტზე – ევროპის, ბალკანეთისა და ამიერკავკასიის ფრონტებზე უხდებოდა. ამიერკავკასიის ფრონტზე რუსეთს უნდა დაეცვა ბაქო-ვლადიკავკაზის რკინიგზა და თბილისი-ვლადიკავკაზის სამხედრო გზა, რომ აქედან თურქეთს არ ჰქონოდა რუსეთში შეჭრის საშუალება. რუსეთი იძულებული იყო ომის დაწყებისთანავე ამიერკავკასიიდან დასავლეთის ფრონტზე გადაესროლა ორი საარმიო კორპუსი და კაზაკთა ხუთი დივიზია. ცხადია, ამით მისი სამხედრო პოტენციალი კავკასიაში დიდად შესუსტდა, მაგრამ მთელი ომის განმავლობაში თურქეთმა რუსეთის წინააღმდეგ რაიმე მნიშვნელოვან წარმატებას ვერ მიაღწია, პირიქით, რუსეთის სამხედრო უპირატესობა კავკასიის ფრონტზე აშკარა იყო.

ამიერკავკასიაში სამხედრო ოპერაციები თურქეთის მიერ ომის გამოცხადებისთანავე დაიწყო. უკვე 1914 წლის ნოემბერში რუსეთის ჯარებმა შეტევები განახორციელეს არზრუმის, ოლთისის და ერევნის მიმართულებით. თურქეთის ჯარებმა შეტევებს ვერ გაუძლეს და უკან დაიხიეს. მალე გაირკვა, რომ რუსეთის არმიის ნაწილები მოსწყდა ზურგს, რაც არმიების სათანადო მოუმზადებლობით იყო გამონვეული. ამით ისარგებლეს თურქებმა და რუსეთის შავი ზღვის სანაპიროების მიმართულებით ძლიერი შეტევა განახორციელეს, იქამდე, რომ მათი მოწინავე რაზმები ბათუმის სანაპირო რაიონებშიც შეიჭრნენ. რუსეთის კავკასიის არმიის სარდლობამ აღკვეთა თურქეთის ეს შემოტევა. მაშინ თურქებმა დიდ ძალებს მოუყარეს თავი არზრუმის გარშემო. აქ განლაგებული თურქეთის მესამე არმიის სარდლობა თვითონ სამხედრო მინისტრმა ენვერ ფაშამ აიღო თავის თავზე. იგი ვარაუდობდა სარიყამიშის რაიონში ძლიერი შეტევის განხორციელებას ბათუმის მიმართულებით გასვლაზე პერსპექტივით. სარიყამიშთან ბრძოლები 1914 წლის დეკემბერში გაიმართა. თურქებმა არა თუ წარმატებას ვერ მიაღწიეს, მათი მესამე არმია მთლიანად განადგურდა. ამაში, რუსული იარაღის ძალასთან ერთად, დიდი როლი შეასრულა მოულოდნელად დამდგარმა უჩვეულოდ დიდმა ყინვებმა. სარიყამიშის ბრძოლებში თავი გამოიჩინა გენერალმა ვასილ მაყაშვილმა, რომელიც საარმიო კორპუსს სარდლობდა.

თურქეთმა ვერც მომდევნო 1915-1916 წლებში მიაღწია რუსეთის წინააღმდეგ რაიმე წარმატებას, ისე, რომ საქართველოსა და ამიერკავკასიის წინააღმდეგ ბრძოლებში მან იმხანად მარცხი განიცადა.

საერთოდ, I მსოფლიო ომში სხვადასხვა ფრონტებზე, რუსეთის არმიის შემადგენლობაში საქართველოდან 200 000 ჯარისკაცი და ოფიცერი იბრძოდა.

17. საქართველოს ეროვნული მოძრაობა I მსოფლიო ომის პერიოდში

საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი, რა თქმა უნდა, უარყოფითად იყო განწყობილი მიმდინარე ომის მიმართ, რომელსაც ქვეყნისათვის ნგრევა და დიდი ადამიანური მსხვერპლი მოჰქონდა. ამავე დროს, ქართველი საზოგადოებისა და ეროვნული მოძრაობის ერთმა ნაწილმა სცადა მიმდინარე ომი ქვეყნის ინტერესებისათვის გამოეყენებინა. პატრიოტული ძალები ფიქრობდნენ, რომ თუ რუსეთის მოწინააღმდეგე გერმანიას დაუკავშირდებოდნენ, მისი დახმარებით მიაღწევდნენ იმპერიისაგან საქართველოს განთავისუფლებას. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ფარულად თუ აშკარად მხარს უჭერდა გერმანიის გამარჯვებას.

საქართველოში მოქმედი პოლიტიკური პარტიები, რეპრესიების შიშით, პროგერმანული ორიენტაციის დაკავებას მოერიდნენ და ანტანტის დაჯგუფების გამარჯვებას დაუჭირეს მხარი. ასე მოიქცნენ სოციალ-დემოკრატი მენშევიკები და სოციალისტ-ფედერალისტები. უფრო პრინციპული პოზიცია დაიკავეს ევროპაში მყოფმა ქართველმა პატრიოტულმა პოლიტიკურმა ძალებმა. 1914 წლის ოქტომბერში მათ ჟენევაში შექმნეს „საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნული კომიტეტი.“ მასში შედიოდნენ: გიორგი მაჩაბელი, მიხაკო წერეთელი, პეტრე სურგულაძე, ლეო და გიორგი კერესელიძეები და სხვანი. ორგანიზაციის მიზანი იყო გერმანიის სამხედრო-პოლიტიკური მხარდაჭერით საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა. კომიტეტის საქმიანობას ფარულად მხარს უჭერდნენ ეროვნულ-დემოკრატები.

1915 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნულმა კომიტეტმა გერმანიის მთავრობასთან და მის მოკავშირე სახელმწიფოებთან ხელშეკრულება გააფორმა. ამ ხელშეკრულების პირობებით გერმანია და მისი მოკავშირეები, გამარჯვების შემთხვევაში ვალდებულებას კისრულობდნენ დახმარებოდნენ ქართველებს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, ხოლო თუ ეს მიზანი მიღწეული იქნებოდა – ეცნოთ საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფო და დაეცვათ მისი სუვერენიტეტი.

საქართველოს პოლიტიკურ პარტიებს შორის, დამოუკიდებლობის საკითხში ძირითადი და პრინციპული შეთანხმება მოხდა. 1915 წლის მეორე ნახევარში ამ

მიზნით საზღვარგარეთიდან ფარულად ჩამოვიდა დამოუკიდებლობის კომიტეტის წარმომადგენელი გიორგი მაჩაბელი. იგი შეხვდა სოციალ-დემოკრატების, სოციალისტ-ფედერალისტებისა და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიების ლიდერებს. ნოე ჟორდანია იგონებდა რომ შეხვედრა დამთავრდა შეთანხმებით – ძირითად საკითხში, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მიზანში მათ შორის აზრთა სხვადასხვაობა არ ყოფილა. „ბატონებო, – მიმართავდა თათბირის მონაწილეებს ეროვნულ-დემოკრატი რევაზ გაბაშვილი, – ომს ვინ მოიგებს და ვინ წააგებს ღმერთმა იცის...საქართველო კი ორივე შემთხვევაში უნდა გადარჩეს, ვინც უნდა იყოს გამარჯვებული.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილი IX

საქართველოს დამოუკიდებლობა – პირველი რესპუბლიკა

1. რუსეთის მონარქისტული იმპერიის დაცემა და საქართველო ამიერკავკასიის ფედერაციის შემადგენლობაში

პირველი მსოფლიო ომის უკანასკნელ ეტაპზე, 1917-1918 წლებში, ევროპის პოლიტიკურ რუკაზე ფუნდამენტური ცვლილებები მოხდა. ევროპის სამი უდიდესი მონარქისტული იმპერია დაეცა: რუსეთის, ავსტრია-უნგრეთისა და გერმანიის დაშლილი იმპერიების ნანგრევებზე წარმოიქმნა ათეულობით ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფო. 1917 წლის თებერვალ-მარტში რუსეთში დემოკრატიულმა რევოლუციამ გაიმარჯვა, რის შედეგადაც ტახტიდან გადადგა რუსეთის უკანასკნელი იმპერატორი ნიკოლოზ მეორე რომანოვი.

რევოლუციამ ხელსაყრელი პირობები შექმნა იმპერიაში მცხოვრები დაპყრობილი ხალხების განთავისუფლებისათვის. დემოკრატიული რუსეთის ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა დროებითი მთავრობა. გაუქმდა კავკასიის სამეფისნაცვლო. მხარის მართვა-გამგეობა დროებითმა მთავრობამ ჩააბარა ამიერკავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტს, რომელიც რვა თვის განმავლობაში ფუნქციონირებდა.

1917 წლის 7 ნოემბერს პეტერბურგში ბოლშევიკებმა მოაწყვეს სახელმწიფო გადატრიალება. დემოკრატიული დროებითი მთავრობა დაემხო. ძალაუფლება ხელში ჩაიგდო ბოლშევიკურმა პარტიამ, ვლადიმერ ულიანოვის მეთაურობით. ბოლშევიკებმა რუსეთი საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოაცხადეს.

1917 წლის 11 ნოემბერს თბილისში გამართულ თათბირზე, რომელშიც მონაწილეობდნენ: ამიერკავკასიის პოლიტიკური პარტიები, მუშათა და ჯარისკაცთა სამხარეო საბჭოს, თბილისის საბჭოსა და კავკასიის ფრონტის წარმომადგენლები, უარი თქვა რუსეთის სახალხო კომისართა საბჭოს ცნობაზე. ამავე თათბირზე მიიღეს გადაწყვეტილება ამიერკავკასიის დამოუკიდებელი მთავრობის შექმნის შესახებ. 15 ნოემბერს ჩამოყალიბდა ამიერკავკასიის კომისარიატი. მისი შემადგენლობა ასეთი იყო: ე. გეგეჭკორი (თავმჯდომარე), აკ. ჩხენკელი, შ. ალექსი-მესხიშვილი, მ. ჯაფაროვი, ხან-ხოისკი, ტერ-გაზარიანი, დ. დონსკოი და სხვ. ეს დროებითი მთავრობა იყო. 18 ნოემბერს გამოქვეყნდა მისი მიმართვა-დეკლარაცია. მისი ძირითადი დებულებები ასეთი იყო: 1) ჩამოყალიბდებოდა აგრარული კომიტეტები; მათ გადაეცემოდათ სახაზინო,

საუფლისწულო და მსხვილ მემამულეთა მიწები, მოხდებოდა მათი კონფისკაცია და მალე მომზადდებოდა გლეხებზე გადანაწილების აქტი; 2) ნაციონალური საკითხი გადაწყდებოდა ერთა თვითგამორკვევის საფუძველზე; 3) ამიერკავკასიის სტაბილური სიტუაცია დადებით გავლენას მოახდენდა ცენტრზე.

ინტერპარტიული საბჭოს დადგენილებით, რომელიც ჯერ კიდევ 1917 წლის აპრილში შეიქმნა და რომელშიც შედიოდა ყველა წამყვანი პარტია, გარდა ბოლშევიკებისა, 19 ნოემბერს ოპერის თეატრში გაიხსნა საქართველოს ეროვნული ყრილობა. მასში მონაწილეობდა 348 დეპუტატი: ინტერპარტიული საბჭოს პარტიების, მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოები, 33 – საქალაქო თვითმმართველობების, საგუბერნიო, სამაზრო და საოლქო აღმასკომებს, 20 – ქართული ჯარის, კოოპერატივების, პროფკავშირები, 9 – მასწავლებელთა კავშირის და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები. საქართველოს ეროვნული ყრილობის დელეგატებს შორის იყვნენ საკათალიკოსო საბჭოს, ქართველი მაჰმადიანების, კათოლიკების, აფხაზების და ებრაელების წარმომადგენლები.

ყრილობის თავმჯდომარედ აირჩიეს ნოე ჟორდანია; მის ამხანაგებად (მოადგილე-თანაშემწეებად): გიორგი ლასხიშვილი, გრიგოლ ვეშაპელი, ვლადიმერ გობეჩია და აკაკი ჩხენკელი. ყრილობას ჰყავდა მდივნები და სამანდატო კომისია.

ყრილობამ დაამტკიცა დღის წესრიგი 3 საკითხისაგან და მომხსენებლები 12 სექციაზე. საკითხები იყო: 1) თანამედროვე მომენტი და ქართველი ერი; 2) მოხსენება თავადაზნაურთა წოდებრივ-წარმომადგენლობითი ქონების შესახებ; 3) მიმდინარე საკითხები (ერობის შემოღება, ჯარის ნაციონალიზაცია, სკოლების ნაციონალიზაცია, სასურსათო პრობლემა, ეროვნული საბჭოს არჩევა).

21 ნოემბერს ეროვნულმა ყრილობამ აირჩია ეროვნული საბჭო. მასში შევიდა: 25 სოციალ-დემოკრატი – ნ. ჟორდანია, აკ. ჩხენკელი, ე. გეგეჭკორი, ნ. რამიშვილი და სხვ., 10 სოციალისტ-ფედერალისტი – გ. ლასხიშვილი, გრ. რცხილაძე, ს. ფირცხალავა, დ. უზნაძე, ალ. წერეთელი და სხვ., 9 ეროვნულ-დემოკრატი – ნ. ნიკოლაძე, სპ. კედია, გ. გვაზავა, შ. ამირეჯიბი და სხვ., 6 სოციალისტ-რევოლუციონერი – კ. მესხი, ი. გობეჩია, ვ. ჩერქეზიშვილი და სხვ. რადიკალ-დემოკრატები, ორი უპარტიო (კ. აფხაზი, კ. მაყაშვილი), აჭარის, სოხუმის ოლქის, ზაქათალის და ცხინვალის თითო წარმომადგენელი. საბჭომ შექმნა აღმასკომი 15 კაცის შემადგენლობით – თავმჯდომარე ნ. ჟორდანია, მოადგილეები (ამხანაგები): აკ. ჩხენკელი, გრ. რცხილაძე, გ. ვეშაპელი.

6 დეკემბერს ეროვნულმა საბჭომ გამოაქვეყნა მიმართვა ქართველი ხალხისადმი, რომელშიც ჩამოყალიბებული იყო ის ამოცანები, რომელთა გადაჭრასაც იგი ისახავდა მიზნად: სკოლის, სასამართლოს, ადმინისტრაციის და ჯარის ნაციონალიზაცია; თავადაზნაურთა კოლექტიური ქონების მიღება და მისი მოვლა; სასურსათო საკითხის მოგვარება; ფინანსური მდგომარეობის

გაუმჯობესება და სხვ. სამწუხაროდ, ყველაფერი ეს ჯერჯერობით მხოლოდ ქაღალდზე რჩებოდა.

1917 წლის 10 დეკემბერს ჩატარებულ ეროვნული საბჭოს მეორე სხდომაზე განიხილეს ამიერკავკასიის მთავრობასა და ეროვნულ საბჭოს შორის ურთიერთდამოკიდებულების საკითხი და ეროვნული ჯარის ჩამოყალიბების საკითხი.

ამიერკავკასიის მთავრობასა და ეროვნულ საბჭოს შორის პირველ ხანებში წინააღმდეგობები არ ყოფილა – ორივენი ერთნაირად გმობდნენ რუსეთის ბოლშევიკურ ხელისუფლებას.

რთულად მიმდინარეობდა ეროვნული ჯარის ნაწილების ფორმირება. უკვე ჩამოყალიბებული იყო ორი ქართული პოლკი, ხოლო სხვა პოლკების შექმნა დიდ დაბრკოლებებს აწყდებოდა. რუსეთის დროებითი მთავრობა დათანხმდა ეროვნული საჯარისო ნაწილების ფორმირებაზე, მაგრამ ქართველი ჯარისკაცებისა და ოფიცრების გამოცალკევება რუსეთის საერთო ჯარისაგან და მათგან ცალკე სამხედრო ნაწილების ჩამოყალიბება გაძნელდა. რუსი ოფიცრები არ ასრულებდნენ თავიანთი ხელმძღვანელობის მითითებებს, არ უთმობდნენ ქართველებს იარაღს და სამხედრო ტექნიკას – ეს რუსეთისაა და თან უნდა წავიღოთო.

1918 წლის დასაწყისში თბილისს დიდი საფრთხე დაემუქრა – ქალაქს მოადგა რუსეთ-თურქეთის ფრონტიდან წამოსული ჯარისკაცთა 16 ეშელონი ქვემეხებითა და ტყვიამფრქვევებით. მათ მოითხოვეს მთავრობის გადადგომა. ე. გეგეჭკორმა ქალაქის დაცვა გენერალ გიორგი მაზნიაშვილს დაავალა. მან სოღანლუღის ქედსა და მახათას მთაზე ქვემეხები განალაგა საიდანაც ეშელონები ხელისგულივით მოჩანდა. იგი ჯარისკაცებს ცეცხლის გახსნით დაემუქრა თუ გაბედავდნენ ქალაქში შემოსვლას. ისინიც დაშინდნენ, სურსათ-სანოვაგის მიღებას დასჯერდნენ და ეშელონებიც ბაქოს მიმართულებით დაიძრნენ. ნ. რამიშვილის განკარგულებით ეშელონებს ჯავშნიანი მატარებელი დაადევნეს რომ არ დაეშვათ გზაზე ეშელონებიდან ჯარისკაცების გადმოსვლა. სადგურ შამქორთან აზერბაიჯანულმა ჯარის ნაწილებმა ძალდატანებით შეძლეს ეშელონების განიარაღება. ბრძოლაში დაიღუპა დაახ. 2 ათასი რუსი ჯარისკაცი; ასევე, ჯავშნიანი მატარებლის მეთაური ევგენი აფხაზავა და მისი ორი თანაშემწე.

1918 წლის 5 იანვარს მუშაობა დაიწყო რუსეთის დამფუძნებელმა კრებამ. იგი თავისი შემადგენლობით, ძირითადად, ბურჟუაზიული და არაბოლშევიკური პარტიების წარმომადგენლებისაგან შედგებოდა. მათ უარი განაცხადეს სახალხო კომისართა საბჭოს, როგორც რუსეთის ხელისუფლების ცნობაზე, არ აღიარებდნენ მის მიერ მიღებულ და გამოქვეყნებულ დეკრეტებს. პასუხად, ვ. ლენინის ბრძანებით, რუსეთის დამფუძნებელი კრება გარეკეს. ამან რუსეთის დემოკრატიული ძალების და დასავლეთის აღშფოთება გამოიწვია, მაგრამ უშედეგოდ.

ამ აღშფოთებას საქართველოს პოლიტიკური პარტიებიც შეუერთდნენ.

ზოგიერთი მათგანი ბოლშევიკურ რუსეთთან ალიანსში ყოფნას ქვეყნისთვის დამღუპველად მიიჩნევდა და მისგან გამოყოფასაც მოითხოვდა. ეროვნულ-დემოკრატების აზრით, საჭირო იყო დაუყოვნებლივ გამოყოფა „თავისი ბედისა რუსეთის ცეცხლწაკიდებული ბედისაგან“.

ყველაფრიდან ჩანდა, რომ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია საქართველოს დროებითი მთავრობის შექმნას და დამფუძნებელი კრების მოწვევას გეგმავდა. მას ამაში სხვა პარტიებიც მეტ-ნაკლებად ემხრობოდნენ, გარდა, ყველაზე გავლენიანი სოციალ-დემოკრატიული პარტიისა. ამ უკანასკნელმა დაშნაკებთან და მუსავატელებთან კავშირში შეძლო ამიერკავკასიის სეიმის, იგივე პარლამენტის მოწვევა.

1918 წლის 10 თებერვალს მუშაობა დაიწყო ამიერკავკასიის სეიმმა. მასში ყველაზე მეტი დეპუტატი (32) საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ჰყავდა. სხვა პარტიების მანდატები ასე გადანაწილდა – 30 აზერბაიჯანელი მუსავატელები, 27 – სომეხი დაშნაკები, ხოლო სხვა პარტიათა ფრაქციები უფრო მცირერიცხოვნები აღმოჩნდნენ, იქამდე, რომ ზოგიერთის წარმომადგენლობა სიმბოლური იყო.

სოციალ-დემოკრატიული პარტიის ფრაქციის პროგრამით პირველ სხდომაზე პარტიის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია გამოვიდა. მან სოციალიზმი მომავლის ამოცანად დასახა. ჩვენ ეს ამოცანა გვაერთიანებდა რუს ამხანაგებთან, მაგრამ ბოლშევიკურმა ავანტიურამ რუსეთის პროლეტარიატში შეწყვიტა ეს განვითარება, მუშათა კლასმა დაიწყო სოციალისტურ რევოლუციაზე გადასვლა, რამაც სამოქალაქო ომი გამოიწვია და რუსეთი დაიშალაო. ასეთ პირობებში, მოახსენებდა სეიმს ნოე ჟორდანია, ჩვენი ამოცანაა შეიქმნას რესპუბლიკური მართვა-გამგეობის სისტემა და ამიერკავკასიას მიეცეს სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმა. მისი აზრით, აუცილებელი იყო ანგარიშის გაწევა ხალხის სურვილებისა და მოთხოვნებისათვის, რაც, პირველ რიგში, აგრარული რეფორმის გატარებაში უნდა გამოხატულიყო. ყველაზე მნიშვნელოვან საკითხად ამიერკავკასიისათვის ნ. ჟორდანიას ეროვნული საკითხი მიაჩნდა. მისი დასკვნით, საჭირო იყო ამიერკავკასიის ხალხების ტერიტორიული გამიჯვნა და მათი თვითმმართველი კანტონების სახით ჩამოყალიბება. ამ იდეას – ეროვნული კანტონების შექმნას და მათ გაერთიანებას ფედერაციაში, მხარი დაუჭირეს აზერბაიჯანელმა და სომეხმა დეპუტატებმა. ამასთანავე, მათივე მოსაზრებით, ცალკეულ ერებს, ამ სამი ძირითადი ერის (ქართველები, აზერბაიჯანელები, სომხები) გარდა, პოლიტიკური ავტონომია არ სჭირდებათ და საკმარისი იყო მათთვის კულტურულ-ნაციონალური ავტონომია.

ცხადია, სოციალ-დემოკრატებმა ბოლშევიკური რუსეთის ცნობაზე უარის თქმით და ამიერკავკასიის გამოყოფის პოზიციისათვის მხარის დაჭერით, თითქმის ყველა პარტიის ნდობა დაიმსახურეს და სეიმზე უფლება მოიპოვეს ახალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავრობის ჩამოყალიბებისათვის. მისი თავმჯდომარე აკ. ჩხენკელი გახდა, ხოლო მინისტრთა პორტფელების უმრავლესობა ქართველმა მენშევიკებმა, მუსავატელებმა და დაშნაკებმა გაინაწილეს.

ამიერკავკასიის სახელმწიფოს მთავრობის წინაშე იდგა ორი უმნიშვნელოვანესი ამოცანა: საშინაო – აგრარული კანონის ამოქმედება და მიწის რეფორმის გატარება; საგარეო – თურქეთთან და რუსეთთან გართულებული პოლიტიკური მდგომარეობის მოგვარება. სამწუხაროდ, მან ვერც ერთი და ვერც მეორე ამოცანა ვერ გადაჭრა.

1918 წლის 7 მარტს დამტკიცდა აგრარული კანონი. იგი ითვალისწინებდა მსხვილ მემამულეთა მიწების კონფისკაციას და გლეხებზე გადანაწილებას. მაგრამ მთავრობას არაფერი გაუკეთებია ამ კანონის რეალიზებისათვის. ეს კარგად გამოიყენეს ბოლშევიკებმა და მოახდინეს გლეხთა აჯანყებების პროვოცირება შიდა ქართლში (ლიახვის ხეობა), ლეჩხუმში, სამეგრელოში და აფხაზეთში, თუმცა, ამ გამოსვლებს ფართო ხასიათი არ მიუღია. ქვეყნად მძვინვარებდა ინფლაცია და სიძვირე, რაც იწვევდა ხალხის უკმაყოფილებას და მათი მხრივ ეკონომიკურ გაფიცვებს. არანაკლებ მასშტაბური და საშიში იყო შექმნილი საერთაშორისო გართულებები.

1918 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთმა გერმანიასა და მის მოკავშირეებთან საიდუმლო მოლაპარაკებები აწარმოა. თურქეთის დელეგაციამ მოითხოვა ბათუმისა და ყარსის ოლქების თურქეთისთვის გადაცემა. მოლაპარაკებებს ამიერკავკასიის დროებითი მთავრობის წარმომადგენელი არ ესწრებოდა – ასეთი ვინმე იქ არც მიუწვევიათ, ხოლო რუსეთი თანახმა იყო ბრესტ-ლიტოვსკში მიმდინარე მოლაპარაკებებზე დაეკმაყოფილებინა მის მიმართ გამოთქმული ყველა პრეტენზია და მათ შორის თურქეთის ტერიტორიული პრეტენზიები ამიერკავკასიაში. თბილისში რუსეთის ასეთი გამცემლური პოზიციის გაცხადებისთანავე ამიერკავკასიის მთავრობამ პროტესტი გამოთქვა მის მიმართ. გადაწყდა თურქეთთან უშუალოდ გაემართათ მოლაპარაკებები. ამიერკავკასიის მთავრობამ საგანგებო დელეგაცია გაგზავნა ტრაპიზონში, რომელიც ერთი მოთხოვნით ჩავიდა – თურქეთის მხრივ უანექსიო ზავი და 1914 წლის საზღვრის უცვლელად აღიარება. თურქეთის მხარემ ეს მოთხოვნა არაფრად ჩააგდო და დელეგაცია დარწმუნდა აგრესიულ მეზობელთან სამართლიანი ზავის დადების ოცნების უნაყოფობაში.

ამიერკავკასიის მთავრობამ ის მაინც შესძლო, რომ ბრესტ-ლიტოვსკის ზავის შესაბამისი მუხლის მიხედვით, ბათუმისა და ყარსის ოლქების კუთვნილების საკითხი ადგილობრივ მოსახლეობაში რეფერენდუმის ჩატარების გზით გადაწყვეტილიყო. აგრესიული თურქეთი ამას არ დაელოდა, 1918 წლის მარტ-აპრილში შეტევა განაახლა და მისმა ჯარებმა დაიკავეს: ყარსის ოლქი, ერევნის გუბერნიის დიდი ნაწილი, ბათუმის ოლქი, ოზურგეთისა და ახალციხე-ახალქალაქის მაზრების ნაწილი, იქამდე, რომ ნატანებთან, გურიაში თურქეთის ჯარი დადგა.

ყველაფერთან ერთად, ამან ადგილობრივი ქრისტიანი მოსახლეობა ბუტაბელი პირობებში ჩააგდო – ძარცვა, თავდასხმები, ხოცვა-ჟლეტა ყოველდღიურ მოვლენებად გადაიქცა. ქართული და სომხური ჯარის ახლადშექმნილმა ნაწილებმა თურქეთის გამოცდილ შეიარაღებულ ძალებს რაიმე ხელშესახები წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს, ხოლო აზერბაიჯანი იმთავითვე თურქეთის მხარეს დადგა.

სამხედრო მარცხგანცდილმა ამიერკავკასიის მთავრობამ დათმობა ამჯობინა – სცნო ბრესტ-ლიტოვსკის ზავის პირობა ყარსისა, არდაგანის და ბათუმის ოლქების თურქეთისათვის გადაცემის შესახებ, სადაც მანამდე თურქთმა ტერორის ვითარებაში რეფერენდუმი ჩაატარა და მოსახლეობაც იძულებული გახდა თურქეთის მფლობელობაში შესვლა ეღიარებინა. ამიერკავკასიის მთავრობასთან მოლაპარაკების წარმოების პირობად თურქეთის მხარემ წამოაყენა მოთხოვნა, ამიერკავკასია რუსეთს გამოყოფოდა და დამოუკიდებლობა ოფიციალურად და დეკლარაციულად გაეფორმებინა. ზოგი ჭირი მარგებელიაო – ანდაზისა არ იყოს, ამან მოვლენები დააჩქარა და, ჯერ 1918 წლის 9 აპრილს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცეკას სხდომაზე, ხოლო შემდეგ, 1918 წლის 22 აპრილს სეიმზე ამიერკავკასიის დამოუკიდებელი დემოკრატიულ-ფედერაციული რესპუბლიკა გამოცხადდა. როგორც შემდგომმა მოვლენებმა აჩვენა, ეს იყო პირველი ნაბიჯი ამიერკავკასიის ცალკე სახელმწიფოების და, მათ შორის, საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის გზაზე.

ამიერკავკასიის სეიმის 1918 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილებას მოჰყვა მთავრობის შემადგენლობის შეცვლა. მთავრობის თავმჯდომარის და საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტები აკ. ჩხენკელმა დაიკავა. შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი გახდა; ფინანსთა მინისტრი – ა. ხატისოვი; იუსტიციის – ვ. ხოისკი; სამხედრო მინისტრი – გრ. გიორგაძე; სახალხო განათლების – ნ. უსუმბეკოვი; სასურსათო საქმეთა – ა. სააკიანი და სხვ.

თურქეთთან საზავო მოლაპარაკება განახლდა ბათუმში 1918 წლის 11 მაისს. ამიერკავკასიის სახელმწიფოს დელეგაციას, მისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭების ნიშნად, თვითონ აკ. ჩხენკელი ხელმძღვანელობდა. დელეგაცია დარწმუნებული იყო, რომ მოლაპარაკებებს საფუძვლად დაედებოდა ბრესტ-ლიტოვსკის ზავის პირობები, მაგრამ სამხედრო წარმატებებით თავბრუდახვეულმა თურქებმა გაცილებით მეტი ტერიტორიები მოითხოვეს: ბათუმის და ყარსის ოლქები, ერევნის გუბერნიის მესამედი, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები და ამიერკავკასიის რკინიგზის ოსმალეთის კონტროლისთვის დაქვემდებარება. ცხადია, ასეთი პირობები მეორე მხარისათვის მიუღებელი იყო და ამიერკავკასიის ფედერაციის თითოეულმა პოლიტიკურმა სუბიექტმა ცალ-ცალკე დაიწყო გამოსავლის ძებნა – საქართველოს ეროვნული საბჭო ცდილობდა გერმანიის დელეგაციის მხარდაჭერის მოპოვებას და თურქეთის პრეტენზიების შეკვეცას. სომხებს ინგლისი ჰყავდა იმედად, ხოლო აზერბაიჯანი მის ტერიტორიაზე თურქეთის

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროტექტორატის დამყარებას მიზანშეწონილად მიიჩნევდა გასაგები მიზეზების გამო (მონათესავე ხალხი, ერთი ენა, ერთი სარწმუნოება).

გერმანიის მხარდაჭერის მოპოვების მიზნით, დელეგაციის ხელმძღვანელის აკ. ჩხენკელის გეგმის თანახმად, ზავი და სამხედრო-პოლიტიკური ხელშეკრულება უნდა დადებულიყო არა მარტო ოსმალეთთან, არამედ მის მოკავშირეებთანაც. 12 მაისს იგი მთავრობას აცნობებდა, რომ მოლაპარაკებებზე ძირითადად სომხეთის ინტერესებს ვიცავდი, ახლა საჭიროა გეზი შევცვალოთ და აუცილებელია საქართველოს ცალკე სახელმწიფოდ გამოყოფაო. 15 მაისს იგი საიდუმლოდ წერდა ნოე ჟორდანიას: „მაქვს რა გერმანიის დელეგაციის მხარდაჭერის იმედი, მე ვიწყებ დიპლომატიურ მოქმედებას საქართველოს სახელით. საქართველოს დამოუკიდებლობა, აი პირველი ნაბიჯი, როგორც კი აქაური მოლაპარაკებები შეწყდება. თქვენ ვალდებული ხართ ქართველ ერს უხელმძღვანელოთ, თქვენ უნდა ითამაშოთ რადიკალური ბურჟუაზიის როლი, სხვა არავინ არის თქვენსავით გავლენიანი, საჭიროა გამბედაობა. ნუ გადააქცევთ ერისა და სახელმწიფოს საქმეს პარტიის საქმედ. პარტია, ეროვნული გრძნობით განმსჭვალული, შეძლებს ერის ხსნას“.

სოციალ-დემოკრატიული პარტიის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან სწრაფად აუღო ალღო შექმნილ ვითარებას, როგორც შიდა, ისე საგარეო სფეროში და რადიკალურად შეცვალა თავისი გეზი – დაადგა საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადების გზას, რადგანაც შექმნილი ვითარებიდან დამოუკიდებელი საქართველო უკეთ შეძლებდა გამოსვლას.

23 მაისს ბათუმიდან აკ. ჩხენკელმა კიდევ ერთხელ მოსწერა საიდუმლოდ ეროვნულ საბჭოს, რომ საჭიროა გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმა – საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, გერმანიისათვის მფარველობის თხოვნა თავისი დამოუკიდებლობის დასაცავად, რომელიც უნდა გადაეცეს გრაფ შულენბურგს (გერმანიის წარმომადგენელი ამიერკავკასიაში). იგი გამოიყვანს გერმანელი ტყვეებისგან შედგენილ პატარა სამხედრო რაზმს, მიეგებება მომხდომ თურქებს და მათ განუცხადებს, რომ საქართველო უკვე გერმანიის მფარველობაშია და მათ უფლება არა აქვთ მისი ტერიტორია გადმოლახონ. იგი იწერებოდა, რომ შიფრით გადავეცი გენერალ გ. კვინიტაძეს თქვენთვის გადმოსაცემად თუ რისი გაკეთებაა საჭირო სამხედრო თადარიგის დასაჭერადო. აკ. ჩხენკელი დაბეჯითებით იმეორებდა: „მტერს შეიძლება წინააღმდეგობა გაეწიოს მხოლოდ დამოუკიდებელი საქართველოს სახელით“.

თბილისში ეროვნულმა საბჭომ შექმნა განსაკუთრებული კომისია ნ. რამიშვილისა და დ. ვაჩნაძის შემადგენლობით, რომელსაც დაევალა თურქთა ჯარების ახალი შემოტევების შესაჩერებლად ღონისძიებების შემუშავება. დ. ვაჩნაძემ, იმ დროს თბილისში მყოფი გრაფ შულენბურგის ნებართვით გერმანელი ტყვეებისაგან ჩამოაყალიბა სამხედრო რაზმი. მან და ლეიტენანტმა ემილიო კაიზერმა

სწრაფად შემოსეს და შეაიარაღეს გერმანელი ტყვეები – 1200 ჯარისკაცი ფრონტზე გაიგზავნა. ნატანების ხიდთან ისინი თურქების პირისპირ დადგნენ. მათი დახმარებით ქართულმა ჯარმა და ვალერიან გოგუაძის ჯავშნოსანმა მატარებელმა გურიის ფრონტზე 500 თურქი ჯარისკაცი და ოფიცერი მოსპო. ამ მცირე გამარჯვებამაც კი შეაშფოთა თურქეთის მხარე. გერმანელთა მხარდაჭერამ თავისი შედეგი გამოიღო – თურქეთის მთავრობა დათმობაზე წავიდა, მათი შემოტევები შეჩერდა და განახლდა საზავო მოლაპარაკებები.

ცხადი გახდა, რომ საქართველოს ძლიერი მფარველის და მოკავშირის დახმარებით ცალკე და დამოუკიდებლად უნდა ემოქმედა. პარტიათა უმრავლესობას ასეთ მოკავშირედ გერმანელები მიაჩნდა და მხოლოდ ბოლშევიკები იყურებოდნენ ჩრდილოეთისაკენ და მოკავშირეში რუსეთს ხედავდნენ.

1918 წლის 25 მაისს დებატები დაიწყო, როგორც ამიერკავკასიის სეიმში, ისე საქართველოს ეროვნულ საბჭოში. პოლიტიკურმა ფრაქციებმა ვერ გამონახეს საერთო ენა და ამიერკავკასიის სეიმმა 26 მაისს, დილის 11 საათზე დაამტკიცა თავისი უკანასკნელი დეკრეტი ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლის და სეიმის თვითლიკვიდაციის შესახებ. იმავე დღეს, 5 საათზე საქართველოს ეროვნული საბჭოს დავალებით, მთავრობის სასახლეში, მრავალრიცხოვანი ქართველი საზოგადოებისა და უცხოელი სტუმრების წინაშე ნოე ჟორდანიამ წაიკითხა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი.

2. საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაცია. პირველი წარმატებები და სირთულეები ახალი სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე

1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი დამსწრე საზოგადოებამ ფეხზე ამდგარმა მოისმინა ტაშითა და ოვაციებით. შემდეგ, თავმჯდომარის წინადადებით, იგი სასახლის წინ შეკრებილ ხალხს აივნიდან წაუკითხა ეროვნული საბჭოს მდივანმა. ხალხი აქაც ვაშათი და ხანგრძლივი ტაშით შეხვდა მას. ფაქტი იყო, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას ქართველი ხალხი დიდი ზეიმით შეხვდა. გამონაკლისს ქართველი ბოლშევიკები შეადგენდნენ, რომლებმაც დაგმეს რუსეთისაგან გამოყოფის დამკანონებელი ეს აქტი; მათ თავიდანვე ომი გამოუცხადეს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას.

დამოუკიდებლობის აქტის (დეკლარაციის) პრეამბულაში ნათქვამია, რომ 1917 წლის რევოლუციის შედეგად ფრონტი მოიშალა, რუსეთის არმიამ დატოვა ამიერკავკასია, ადგილობრივმა პოლიტიკურმა პარტიებმა შეძლეს შეექმნათ ადგილობრივი მმართველობის ორგანოები და ამიერკავკასიის ფედერაციული სახელმწიფოს შექმნა. მაგრამ შინაგანმა წინააღმდეგობებმა და გარეშე ძალების ზეგავლენამ ეს ფედერაცია დაშალა და საქართველო ცალკე შეუდგა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო აღმშენებლობას. აქედან გამომდინარე ეროვნული ყრილობის მიერ არჩეული საქართველოს ეროვნული საბჭო აცხადებს:

„1) ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა; 2) დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა დემოკრატიული რესპუბლიკაა; 3) საერთაშორისო ომიანობაში საქართველო ნეიტრალური სახელმწიფოა; 4) საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური ურთიერთობა დაამყაროს; 5) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანაბრად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის პოლიტიკურ და სხვა უფლებებს; 6) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს; 7) დამფუძნებელი კრების მოწვევამდე საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნული უმცირესობათა წარმომადგენლებით და დროებითი მთავრობა, რომელიც პასუხისმგებელია ეროვნული საბჭოს წინაშე".

საბოლოოდ, ეროვნული საბჭო დაკომპლექტდა 120 წევრის შემადგენლობით. მოგვიანებით, წამყვანმა სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ წამოაყენა წინადადება ეროვნული საბჭოსთვის ეწოდებინათ პარლამენტი. მიუხედავად იმისა, რომ ამის წინააღმდეგ გაილაშქრა ყველა ფრაქციამ და პარტიამ, სოციალ-დემოკრატებმა მაინც თავისი გაიტანეს და ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს პარლამენტი ეწოდა. მოწინააღმდეგეთა აზრს გამოხატავდა ეროვნულ-დემოკრატების გაზეთი „საქართველო", რომელიც წერდა, რომ თითქმის ყველა სახელმწიფოში პარლამენტს თავისებური, ეროვნული ჟღერადობის სახელი აქვს, ასე იყო ჩვენშიც, მას საკუთარი სახელი – ეროვნული საბჭო ეწოდებოდა, ხოლო „დღეიდან მას არაფერი არ ჰქვია". ძველი სახელის შენარჩუნება უცდია დეპუტატ ექ. თაყაიშვილსაც, მაგრამ უშედეგოდ – „დამარცხდა ცოდნაც და ისტორიაცო" – მიმართავდა ხატოვან გამოთქმას გაზეთის კორესპონდენტი.

დამოუკიდებლობის აქტის (დეკლარაციის) შესაბამისად, მისი მიღებისთანავე, ჩამოყალიბდა დროებითი კოალიციური მთავრობა: თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი – ნოე რამიშვილი (სოციალ-დემოკრატი); სამხედრო მინისტრი – გრიგოლ გიორგაძე (სოციალ-დემოკრატი); საგარეო საქმეთა მინისტრი – აკაკი ჩხენკელი (სოციალ-დემოკრატი); იუსტიციის მინისტრი – შალვა ალექსი-მესხიშვილი (სოციალისტ-ფედერალისტი); ფინანსთა მინისტრი – გიორგი ჟურული (ეროვნულ-დემოკრატი); მიწათმოქმედების მინისტრი – ნოე ხომერიკი (სოციალ-დემოკრატი); გზათა მინისტრი – ივანე ლორთქიფანიძე (სოციალისტ-რევოლუციონერი); განათლების მინისტრი – გიორგი ლასხიშვილი (სოციალისტ-ფედერალისტი). როგორც ვხედავთ, მთავრობაში უმრავლესობას სოციალ-დემოკრატები შეადგენდნენ (8 მინისტრიდან 4 ამ

პარტიას წარმოადგენდა), მაგრამ დიდი გავლენა ჰქონდა სხვა პარტიების მთავრობის წევრებსაც.

დამოუკიდებელი საქართველოს პირველი აქტი იყო გერმანიის მეშვეობით თურქეთთან საზავო ხელშეკრულების გაფორმება – საქართველომ დათმო ბათუმის ოლქი, ახალციხე-ახალქალაქის მაზრების დიდი ნაწილი, მაგრამ თავიდან იქნა აცილებული თურქეთის მიერ საქართველოს სხვა ტერიტორიების ოკუპაციის საფრთხე.

შემდგომი ნაბიჯი იყო გერმანიასთან მოლაპარაკებების დაწყება, რომელსაც წარმატებით აწარმოებდა საგარეო საქმეთა მინისტრი აკ. ჩხენკელი. 1918 წლის მაისის ბოლოს ფოთში მხარეებმა ხელი მოაწერეს 6 დოკუმენტს. პირველი დოკუმენტით, რომელსაც ეწოდება „დროებითი შეთანხმება საქართველოსა და გერმანიას შორის", საქართველო ეთანხმებოდა ბრესტის საზავო ხელშეკრულებას, ოთხთა კავშირის წევრებს უფლებას აძლევდა ომის დამთავრებამდე ესარგებლათ საქართველოს რკინიგზით. ცოტა მოგვიანებით (27 აგვისტოს) გერმანია-რუსეთმა ხელი მოაწერეს ბრესტის ხელშეკრულების დამატებას. მის მე-13 მუხლში ნათქვამია, რომ რუსეთი თანახმაა გერმანიამ სცნოს საქართველოს დამოუკიდებლობა. ეს, მართალია, არაპირდაპირ, მაგრამ რუსეთის მხრიდანაც საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებას ნიშნავდა.

ყველაფრიდან ჩანდა, რომ კაიზერული გერმანია იმთავითვე მხარში დაუდგა ახალდაარსებულ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, ბუნებრივია, თავისი ინტერესების გათვალისწინებით. კერძოდ, საქართველოსა და გერმანიას შორის დადებული დროებითი შეთანხმების პირველი დამატებითი ხელშეკრულება მთლიანად სამეურნეო-ფინანსურ საქმეებს შეეხებოდა: პარიტეტულ საწყისებზე იქმნებოდა ქართულ-გერმანული სამთო-სამრეწველო აქციონერული საზოგადოება. გერმანიას ენიჭებოდა უპირატესი უფლება მთელი ზედმეტი ნედლეულის შესყიდვა-გატანისა; გერმანიას უნდა მოეწესრიგებინა საქართველოს საზღვაო კავშირი; ხელი შეეწყო პირველი მოთხოვნილების საქონლის შემოტანისათვის. საქართველოში დაიშვებოდა გერმანული მარკა, როგორც გადახდის საშუალება. ამ პირობებს, მოვლენების შემდგომი, სხვაგვარი განვითარების გამო, ასრულება არ ეწერა – პირველ მსოფლიო ომში გერმანია დამარცხდა და ამიერკავკასიაში მას ინგლისი ჩაენაცვლა.

1918 წლის 12 ივნისს პარლამენტს და მთავრობას ორკვირიანი მუშაობის დეკლარაცია-ანგარიში წარუდგინა ნოე რამიშვილმა. იგი შეიცავდა მთავრობის სამომავლო მუშაობის პროგრამასაც. პირველი რიგის ამოცანა იყო საქართველოს დაცვა გარეშე მტრებისაგან, რაშიც მას დაეხმარებოდა გერმანელების მიერ მთავრობასთან შეთანხმებით გამოგზავნილი ჯარი. გერმანიამ საქართველოში დანიშნა თავისი წარმომადგენელი, ე.ი. ოფიციალურად აღიარა იგი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ და აღუთქვა მთავრობას, რომ შეეცდებოდა ასევე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქცეულიყვნენ მისი მოკავშირეები და რუსეთის მთავრობა.

დეკლარაციის ეკონომიკური ნაწილი სამომავლოდ შემდეგ ამოცანებს ითვალისწინებდა: „ჩვენ განზრახული გვაქვს დავიწყოთ ახლო მომავალში ტყეების ექსპლოატაცია, ჭაობების დაშრობა, სარწყავი არხების გაკეთება, რკინიგზის გაყვანა და სხვა“ – აცხადებდა ნ. რამიშვილი.

ადგილობრივი მმართველობის დარგში მთავრობის ამოცანა იყო საერობო თვითმმართველობის შემოღება. ნ. რამიშვილის განცხადებით, მთავრობა ეცდებოდა, რომ „რაც შეიძლება მალე“ მოეწვია დამფუძნებელი კრება და ამით მტკიცე საფუძველი ჩაეყარა ქვეყანაში სახელმწიფოებრივი წყობილებისათვის.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველმა მთავრობამ ჯერ ნოე რამიშვილის და შემდეგ ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით 9 თვე იარსება (1918.26.V–1919.1.III). ამ შედარებით მოკლე დროის მანძილზე, მეტად რთული საშინაო და საგარეო ვითარების პირობებში, მან ბევრის გაკეთება შეძლო.

ცხადია, ქვეყნის სუვერენიტეტის, მისი დამოუკიდებლობის ქვაკუთხედს შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბება შეადგენდა. ამ მიზნით, 1918 წლის 2 აგვისტოს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტმა მიიღო სამი კანონი: 1) „დებულება საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მმართველობისა“; 2) „დებულება საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო ბეგარისა და მუდმივი ჯარის შევსებისა“; 3) „საქართველოს რესპუბლიკის რეგულარული არმიის ორგანიზაციის შესახებ“. მანამდე, 1918 წლის 2 ივლისს პარლამენტმა მიიღო კანონი სახალხო გვარდიის რეორგანიზაციის შესახებ. ამის შესაბამისად სახალხო გვარდია გადაიქცა სახელმწიფოებრივ შეიარაღებულ ძალად. მისი წესდების თანახმად გვარდიელი ვალდებული არ იყო ყაზარმაში ეცხოვრა; პირიქით, უმეტეს დროს იგი სახლსა და სამსახურში იყო. სახალხო გვარდიელი სამხედრო მწყობრში დგებოდა მხოლოდ წვრთნის და ომის დროს. გვარდიას ხელმძღვანელობდა მთავარი შტაბი, შექმნილი და დამტკიცებული მთავრობის მიერ. გვარდიის მობილიზაციის, ასევე, დათხოვის უფლება ჰქონდა მთავრობის თავმჯდომარეს, იშვიათად შტაბის უფროსს.

პარლამენტის მიერ 1918 წლის 20 აგვისტოს მიღებული ერთ-ერთი კანონი განსაზღვრავდა სამხედრო ბეგარის მოხდის და ჯარის შევსების გზებს. იგი 12 მუხლისაგან შედგებოდა: 1) სამხედრო ბეგარა რესპუბლიკაში საყოველთაოა და პირადად უნდა მოიხადოს ყოველმა მოქალაქემ; 2) იგი უნდა მოიხადოს რესპუბლიკის ყველა მოქალაქემ ოციდან ორმოცდახუთ წლამდე; 3) ვისაც ბეგარა ეხება, მაგრამ სამწყობრო სამსახურისათვის უვარგისია, არმიაში მაინც იქნება გაწვეული და დაეკისრება მისი ფიზიკური მდგომარეობის, ცოდნისა და გამოცდილების შესაფერისი სამსახური; 4) რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები შედგება მუდმივი ჯარისა და ლაშქრისაგან; 5) არმია არის მუდმივი და სათადარიგო. მუდმივი არმია მუდამ მზადყოფნაშია, ხოლო სათადარიგო

მას შეავსებს საჭიროების შემთხვევაში; 6) ლაშქარს იწვევს პარლამენტი ქვეყნის საფრთხის შემთხვევაში და ხდება ქუდზე კაცის მობილიზება 17-დან 50 წლამდე; 7) შეიარაღებული ძალები დეპოლიტიზირებულია; 8) სამხედრო სამსახურის ვადა 25 წელია; 9) ნამდვილი სამხედრო სამსახური 2 წელი; 10) თადარიგში ყოფნა – 15 წელი; 11) ლაშქარში ყოფნა 8 წელი; 12) სათადარიგო და სალაშქრო სამსახურში მყოფნი აღირიცხებიან და ყოველ წელს სამი კვირით გაივლიან შეკრებას სამხედრო ვარჯიშისა და წვრთნისათვის.

ცხადია, ჯარისკაცების რაოდენობა და შეიარაღების ხარისხი დამოკიდებული იყო სახელმწიფოს მატერიალურ შესაძლებლობებზე და მის ფინანსებზე. ბიუჯეტის დეფიციტურობის პირობებში შეიარაღებული ძალების დაფინანსება ვერ ხერხდებოდა საჭირო მოცულობით. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რეგულარულ ჯარში 30 ათასამდე კაცი, ხოლო გვარდიის პირად შემადგენლობაში ამაზე ნაკლები იყო.

საქართველოს შეიარაღებულ ძალებს ერთიანი სარდლობა არ ჰყავდა. რეგულარულ ჯარსა და გვარდიას შორის წინააღმდეგობა არსებობდა. ეს ცალკეულ პარტიათა ანტაგონიზმით იყო განპირობებული. მაგ., ეროვნულ-დემოკრატები სახალხო გვარდიას სოციალ-დემოკრატების, ე.ი. მმართველი პარტიის დასაყრდენ ძალად თვლიდნენ და უნდობლობას უცხადებდნენ მას. ამიტომ, ისინი ერთიანი ჯარის ჩამოყალიბებას მოითხოვდნენ.

გერმანიის წარმომადგებლობამ წინადადება მისცა საქართველოს მთავრობას დაეწყო ორი მაღალხარისხოვანი დივიზიის ჩამოყალიბება, რომლის გაწვრთნასა და თანამედროვე იარაღით მის აღჭურვაში თვითონაც დახმარებას გაუწევდა; სათანადო საქმიანობაც დაწყებულ იქნა, მაგრამ გერმანიის მსოფლიო ომში დამარცხებამ საქმე ჩაშალა.

შეიარაღებულ ძალებში შექმნილი მდგომარეობის შესასწავლად პარლამენტმა შექმნა სპეციალური კომისია, რომლის კრიტიკული შენიშვნები 1918 წლის 6 ოქტომბერს პარლამენტს წარუდგინა გენერალმა ი. ოდიშელიძემ. კომისიის დასკვნით, ჯარის არასახარბიელო მდგომარეობა გამონვეული იყო ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების საერთო მოუწყობლობით. მიუხედავად ამისა, ქართველ გენერალთა ნიჭიერებისა და ჯარისკაცთა შეუდრეკელობის წყალობით, სულ მალე, როდესაც ეს ქვეყანას დასჭირდა, საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდნენ სომეხი და რუსი თავდამსხმელების წინააღმდეგ ბრძოლებში.

მთავრობის წინაშე გადასაჭრელი მორიგი ამოცანა იყო ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა. 1918 წლის 2 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი საგუბერნიო, საოლქო და სამაზრო ადმინისტრაციის შტატების შესახებ. ამის მიხედვით, დაინიშნენ თბილისის და ქუთაისის საგუბერნიო კომისრები თანაშემწეებით, სოხუმის ოლქის კომისარი, 14 მაზ-

რის და 56 რაიონის კომისარი; ყველა სასოფლო თემში შეიქმნა ხუთკაციანი მილიცია.

ქვეყნის ასეთი ადმინისტრაციული მოწყობა მაშინვე გააკრიტიკა პარლამენტის ეროვნულ-დემოკრატიულმა ფრაქციამ. მათ დაგმეს გაზრდილი ბიუროკრატიული აპარატი, განსაკუთრებით კომისართა ინსტიტუტი და მოითხოვეს გუბერნიებად ქვეყნის დაყოფის გაუქმება, რომელიც სრულიად ზედმეტი იყო პატარა რესპუბლიკისთვის და, ვასილ წერეთლის სიტყვით, წარმოადგენდა იმპერიისდროინდელი ადმინისტრაციული დაყოფის გადმონაშთს. პარლამენტმა და მთავრობის უმრავლესობამ სასწრაფოდ მოახდინა რეაგირება ოპოზიციის ამ სამართლიან კრიტიკაზე – მაშინვე გაუქმდა ქვეყნის დაყოფა გუბერნიებად. მალე მოისპო სამაზრო კომისართა საბჭო, გატარდა საერობო რეფორმა და 1918 წლის მეორე ნახევარში ჩატარდა საერობო კრებების არჩევნები. მართალია, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ხმების უმრავლესობა ყველგან სოციალ-დემოკრატებმა მიიღეს, მაგრამ განმკარგულებელ ორგანოებში სოციალ-ფედერალისტები, სოციალ-რევოლუციონერები და ეროვნულ-დემოკრატებიც იყვნენ წარმოდგენილები.

განსაკუთრებით დიდი ცვლილებები გატარდა სამართალწარმოების სფეროში (იუსტიციის მინისტრი – სოციალისტ-ფედერალისტი შალვა ალექსი-მესხიშვილი). გაუქმდა რევოლუციური ტრიბუნალები, სხვადასხვა საგამომძიებლო კომისიები; სამართალწარმოების ფუნქცია ჩამოერთვა მუშათა საბჭოებს. 1918 წლის 24 სექტემბერს პარლამენტმა მიიღო კანონი მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტის რეორგანიზაციის შესახებ. მიღებულ იქნა კანონი ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ორგანიზაციის შესახებ; შეიქმნა სენატი – უზენაესი საკასაციო და კანონდამცველი დაწესებულება. სენატორებად შეირჩა 12 პიროვნება (ივანე ზურაბაშვილი, სოლომონ მიქელაძე, ლევან ასათიანი და სხვ.). ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო იუსტიციის სამინისტროსთან საკოდიფიკაციო განყოფილების დაარსება. მან 1919 წლის იანვრიდან რეგულარულად დაიწყო „ოფიციალური კანონებისა და მთავრობის განკარგულებათა კრებულის“ გამოქვეყნება. ეს გამოცემა დღეს ფასდაუდებელი პირველწყაროა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის შესასწავლად.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წინაშე იდგა კიდევ ორი მნიშვნელოვანი საკითხი – ეკონომიკური და აგრარული. პირველი გულისხმობდა ქვეყნის მძიმე ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანას, ხოლო მეორე – აგრარული რეფორმის გატარებას.

ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით შეიქმნა სასურსათო კომიტეტები. ისინი აქტიურად ერეოდნენ საბაზრო ურთიერთობებში, ზღუდავდნენ ვაჭრობის თავისუფლებას, ცდილობდნენ ქვეყნის მომარაგების ცენტრალიზებას. მთავრობის ასეთ ეკონომიკურ პოლიტიკას იწონებდნენ

სოციალისტ-ფედერალისტები და სოციალისტ-რევოლუციონერები, მაგრამ მწვავედ აკრიტიკებდნენ ეროვნულ-დემოკრატები. ისინი წინააღმდეგნი იყვნენ სახელმწიფოს ჩარევისა სასურსათო საქმეში, მოითხოვდნენ ვაჭრობის სრულ თავისუფლებას.

ოპოზიციის ამ კრიტიკის გათვალისწინებით, მთავრობამ მიიღო შემდეგი დადგენილება: 1) გამოცხადდეს საქართველოს საზღვრებში პურეულით თავისუფალი ვაჭრობა; 2) უცხოეთიდან ხორბლისა და ფქვილის შემოტანა განთავისუფლდეს საბაჟო გადასახადისაგან; 3) გაუქმდეს ყველა სასურსათო კომიტეტი; 4) შინაგან საქმეთა და სასურსათო საქმის მინისტრებმა აწარმოონ ბრძოლა სურსათის გადამალვის და სპეკულაციის წინააღმდეგ.

ამ დადგენილებით თითქმის არაფერი შეცვლილა, რადგან ქვეყანა ომისა და სამეურნეო კავშირების რღვევის პირობებში იმყოფებოდა. ძალზე ცოტა შემოდიოდა სურსათი ევროპიდან და რუსეთიდან; ეს უკანასკნელი თვითონ იდგა გლობალური შიმშილის ზღვარზე; ადგილობრივი პურეულის მოსავალი საქართველოს მოსახლეობისთვის საკმარისი არ იყო.

ყველა დროისა და ხალხის ყველა რევოლუციის მთავარი და უმწვავესი საკითხია აგრარული საკითხი. მიწა, როგორც ძირითადი უძრავი საკუთრება, ყოველთვის აღძრავდა ადამიანთა შორის განსაკუთრებულ დაინტერესებას. აგრარული საკითხი მთელი სიგრძე-სიგანით დადგა დროებითი მთავრობის წინაშეც.

ჯერ კიდევ 1917 წლის 16 დეკემბერს ამიერკავკასიის კომისარიატმა მიიღო დეკრეტი მიწის შესახებ, მაგრამ იგი არ ამოქმედებულა, რადგან მხოლოდ ზოგად დებულებებს შეიცავდა. შემდეგ, 1918 წლის 7 მარტს ამიერკავკასიის სეიმმა მიიღო აგრარული კანონი, რომელიც განსაზღვრავდა მიწის ფლობის უმაღლეს ნორმებს – 7, 15, 40 ჰექტარს სხვადასხვა ზონისა და მეურნეობის ტიპის გათვალისწინებით. ეს კანონი ჯერ კიდევ არ აწესებდა უმიწანყლო გლეხებისათვის გადასაცემი მიწის ნაკვეთების ოდენობას. აღშფოთებულმა გლეხებმა თვითონ გადაწყვიტეს ეს საკითხი – საქართველოს ყველა ძირითად რაიონში თითქმის მთლიანად ჩამოართვეს მემამულეებს მიწები და თავიანთი შეხედულების მიხედვით გაანაწილეს.

როგორც კი საქართველომ დამოუკიდებლობის დეკლარაცია მიიღო, დაარქარა საადგილმამულო კანონის რეალიზაცია. სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადდა რუსეთის სახაზინო და საუფლისწულო მიწები და ტყეები. ჩატარდა მსხვილი კერძო მამულების კონფისკაცია. ამ გზებით სულ სახელმწიფო მიწების ფონდში გადავიდა 621 ათასი ჰექტარი სახნავ-სათესი და სხვა კულტურული წარმოების მიწა. იგი გადასცეს საადგილმამულო კომიტეტებს, რომელთაგან გლეხებს ივარით უნდა აეღოთ ნაკვეთები.

საქართველოს პარლამენტის ფრაქციებს შორის აგრარულ საკითხზე მწ-

ვავე დებატების შემდეგ 1919 წლის დამდეგს მიღებულ იქნა ახალი კანონი, რომელიც 28 იანვარს დამტკიცდა. ახალი კანონით გლეხების საკუთრებად გამოცხადდა მათი კუთვნილი სანადელო მიწები, ოღონდ, დაწესებული ნორმის ფარგლებში. კანონი ითვალისწინებდა მცირემიწიან და უმიწაწყლო გლეხებზე მემამულეებისათვის ჩამორთმეული მიწის გაყიდვას.

მიწის ასეთმა კანონმა მთავრობის ორმხრივი კრიტიკა გამოიწვია – სოციალისტ-ფედერალისტები და სოციალისტ-რევოლუციონერები მთავრობას ბრალს სდებდნენ კერძო საკუთრების ხელუხლებლად დატოვებაში, ხოლო ეროვნულ-დემოკრატების მოსაზრებით მთავრობა მემამულეებისათვის მიწის უსასყიდლოდ ჩამორთმევით ანადგურებდა მსხვილ რაციონალურ მეურნეობას.

მთავრობა იძულებული იყო საადგილმამულო პოლიტიკა კომპრომისული გზით ეწარმოებინა. მიწის მნიშვნელოვანი ნაწილი სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადდა. კერძო საკუთრება და ერთპიროვნული მეურნეობა ფართოდ დამკვიდრდა. მიწების ნაწილი დაისაკუთრეს საერობოებმა და საქალაქო თვითმმართველობებმა, ასევე, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, ე.ი. მოხდა მიწის ერთი ნაწილის მუნიციპალიზაცია. სახელმწიფო მეურნეობებად გარდაიქმნა საუფლისწულო მამულები – წინანდალი, მუკუზანი, ნაფარეული, მუხრანი, გიაურარხი, ყარაყალა, ვაჭევი, ჩაქვი; დიდი მთავრის ალექსანდრე ნიკოლოზის ძის ბორჯომის მამული, მისი მეურნეობები აფხაზეთში – „სინოპი“ და „დიოსკურია“; ფრიდანოვის მამულები მანავში და სკრაში, მანთაშოვის და არამიანცისა – ქვემო ქართლში; ანანოვის მეურნეობა ვარციხეში; სპეცკოისა და იგუმნოვისა სოხუმის ოლქში.

თუმცა, ბევრი კაპიტალისტური მეურნეობა ხელუხლებელი დარჩა. მათ კი ჩამოართვეს ზღვრულ ნორმაზე მეტი მიწა, მაგრამ დაუტოვეს ჩამორთმეული მიწის საიჯარო ქირით აღების უპირატესი უფლება. ამის შედეგად იყო, რომ ცნობილმა კაპიტალისტმა კუჩენბახმა თავისი ჩამორთმეული მიწები იჯარის საფუძველზე დაიბრუნა და 1918-1920 წლებში აგრძელებდა მეურნეობას.

რადგან თავადაზნაურობას მიწების დიდი ნაწილი ბანკებში ჰქონდა დაგირავებული, ხოლო ეს მიწები კონფისკაციას და ყიდვა-გაყიდვის აკრძალვას დაექვემდებარა, ახალმა მიწის კანონმა ბანკირების დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ისინი არათუ სესხის პროცენტს, შესაძლოა თავანსაც ჰკარგავდნენ. მთავრობისგან მოითხოვდნენ ზარალის რაიმე ფორმით ანაზღაურებას. მთავრობა გაგებით ეკიდებოდა ბანკირთა პრეტენზიებს, მაგრამ ფაქტიურად არ შეეძლო მათი მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ბოლოს და ბოლოს, 1919 წელს გატარებულმა აგრარულმა რეფორმამ ხელსაყრელი პირობები შექმნა თავისუფალ შრომაზე დამყარებული მეურნეობის განვითარებისათვის – გლეხური, ფერმერული, კოოპერაციული და სახელმწიფო.

ბრძოლა აფხაზეთისათვის. რუსეთში მიმდინარე ნგრევის პროცესების კვალ-

დაკვალ, 1917 წლის ნოემბერში ადგილობრივმა ორგანიზაციებმა აფხაზეთში ჩაატარეს ყრილობა და აირჩიეს აფხაზეთის ეროვნული საბჭო. მომდევნო წლის 6 თებერვალს მათი წარმომადგენლები: ა. შერვაშიძე, მ. ემხვარი, ნ. მარღანია, ნ. ჩხოტუა და მ. ცაგურია თბილისში შეხვდნენ საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასკომის წევრებს და განაცხადეს, რომ სურთ საქართველოს გამოეყონ და შექმნან აფხაზეთის დამოუკიდებელი სახელმწიფო. ცხადია, მათ ამ აბსურდული სურვილის შესრულებაზე უარი მიიღეს. მათ ურჩიეს, რომ ბუნებრივია და მიზანშეწონილი აფხაზეთი დარჩეს ავტონომიის სტატუსით საქართველოს შემადგენლობაში. ბოლოს შეთანხმდნენ იმაზე, რომ ერთად იზრუნებდნენ 1904 წელს რუსეთის მიერ სოხუმის ოლქისათვის ჩამოჭრილ და სოჭის ოკრუგისთვის მიერთებულ გაგრის რაიონის დაბრუნებაზე. ეს შეთანხმება ადგილობრივმა ბოლშევიკებმა ჩაშალეს. შექმნეს სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი და სოხუმში საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. მათ კონტაქტი დაამყარეს ბოლშევიკურ რუსეთთან, შემოიყვანეს ყუბანელ კაზაკთა ორიათასიანი რაზმი და გუდაუთასთან მდგარი საქართველოს გვარდიის მცირე შენაერთი გამორეკეს. ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის დაშლის შემდეგ დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობამ აფხაზეთში ჯარის მსხვილი შენაერთი გაგზავნა. ამასთანავე, იგი ცდილობდა კონფლიქტის მოლაპარაკებების გზით მოგვარებას.

მართალია, 1918 წლის 8 ივნისს საქართველოს მთავრობამ აფხაზეთის წარმომადგენლებთან ხელშეკრულება გააფორმა, რომლის მიხედვითაც იგი ცნობდა აფხაზეთის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, მზად იყო მისთვის ავტონომიაც მიეცა, მაგრამ აფხაზმა ლიდერებმა მეტი მოინდომეს – თითქმის სრული დამოუკიდებლობის მოპოვება. შედეგად – საომარი ოპერაციები გაჩაღდა. გენერალ გ. მაზნიაშვილის სარდლობით საქართველოს სახალხო გვარდიამ ბრწყინვალე რეიდი განახორციელა აფხაზეთსა და კავკასიის ჩრდილოეთით, თვით ტუაფსემდე და აღადგინა ამ ტერიტორიაზე საქართველოს სახელმწიფოს იურისდიქცია. სოხუმის, გუდაუთის, გაგრის და სოჭის გათავისუფლების შემდეგ (22.VI-6.VII), განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო ტუაფსედან 24 კმ-ზე მოპოვებული გამარჯვება, სადაც ქართველთა რაზმმა მტრის ჯავშნიანი მატარებელი ააფეთქა და მტრის 4 –ათასიანი ჯარი გაფანტა.

აფხაზეთის საქმეთა მინისტრის, პოლკოვნიკ ნ. ჩხოტუას მოხსენების 1918 წლის 3 სექტემბერს მოსმენის შემდეგ, მთავრობამ დაადგინა აფხაზეთში მიმდინარე მოვლენების გამოძიება, საქართველოს ჯარის იქ მოქმედებით გამოწვეული საჩივრების შემოწმება, მოსახლეობისათვის მიყენებული ზარალის რაოდენობის დადგენა. მოპოვებული მასალების საფუძველზე საქართველოს მთავრობამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ აფხაზეთის სახალხო საბჭოს წევრთა ერთი ნაწილი ღალატის გზით, უცხო ძალების გამოყენებით, ცდილობდა აფხაზეთში ვითარების შეცვლას – ოკრუგის კომისარმა მარღანიამ და აფხაზეთის საქმეთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინისტრმა, პოლკოვნიკმა ჩხოტუამ პოლიტიკური გადატრიალება განიზრახეს, აფხაზეთის სახალხო საბჭო დაიქვემდებარეს და თურქეთისა და რუსეთის სამხედრო ძალების ჩარევით ცდილობდნენ კუთხის საქართველოსათვის ჩამოცილებას. ამის გამო, 1918 წლის 10 ოქტომბერს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვითაც აფხაზეთის სახალხო საბჭო გამოცხადდა დაშლილად, დაინიშნა მისი ახალი არჩევნები 1919 წლის გაზაფხულისათვის. არჩევნების ჩასატარებლად შეიქმნა ცენტრალური საარჩევნო კომისია. არჩევნებამდე ოკრუგის უფროსად დაინიშნა ბენიამინ ჩხიკვიშვილი, რომელსაც დაექვემდებარა ხელისუფლების ყველა ორგანო, რწმუნებები შეუწყდა აფხაზეთის საქმეთა მინისტრს ჩხოტუას, სახალხო საბჭოს ქონების დაცვა დაევალა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

1919 წლის არჩევნებზე არჩეულმა აფხაზეთის სახალხო საბჭომ მიიღო „აფხაზეთის ავტონომიის აქტი“, რომლის მიხედვით აფხაზეთი რჩებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში ავტონომიური ერეულის სახით; ცენტრსა და ავტონომიურ ერეულს შორის ურთიერთობას დაარეგულირებდა კონსტიტუცია, რომელიც შევიდოდა საქართველოს კონსტიტუციაში, როგორც მისი ნაწილი. 1919 წლის 21 მარტს საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ დაამტკიცა ეს აქტი. აფხაზეთის საკითხი თითქოს მოგვარდა, მაგრამ მხოლოდ მოჩვენებით. შემდეგში, ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ გატარებული ეროვნული პოლიტიკის შედეგად, აფხაზეთში მუდამ ღვივოდა სეპარატისტული ბაცილა, რომელმაც ახალი ძალით იფეთქა XX საუკუნის მიწურულს რუსეთის ხელისუფლების წაქეზებითა და ხელშეწყობით. ეს საკითხი მოსაგვარებლად ერგო მემკვიდრეობით 2003 წლის ნოემბერში „ვარდების რევოლუციის“ შედეგად ხელისუფლებაში მოსულ საქართველოს ახალ ხელმძღვანელობას.

აფხაზეთში მიმდინარე პროცესების თითქმის პარალელურად, აგრარული მოძრაობა დაიწყო 1918 წლის გაზაფხულზე ლიახვის ზემო წელში. მას ბოლშევიკებმა პოლიტიკური ელფერი შესძინეს, საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ მიმართეს და ცხინვალში საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. კონიაშვილისა და ჯუღელის რაზმებმა ცხინვალი დაიკავეს და იქ საქართველოს მთავრობის ხელისუფლება აღადგინეს, მაგრამ ამის შემდეგაც ოსი სეპარატისტები სხვადასხვა ფორმით ეწეოდნენ ძირგამომთხრელ ანტიქართულ საქმიანობას.

1918 წლის ივნის-ივლისში, არაგვის ხეობაში, საქართველოს სამხედრო გზაზე ადგილი ჰქონდა ბოლშევიკების მიერ ორგანიზებულ მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლებს, რომლის ძირითად ნაწილს საქართველოში ჩარჩენილი რუსი სამხედროები შეადგენდნენ. მათ დუშეთი დაიკავეს და ამ რეგიონში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას ცდილობდნენ. აჯანყებულთა დასახმარებლად ვლადიკავკაზიდან წამოვიდა დიდი რაზმი საშა გეგჭკორის ხელმძღვანელობით. გენერალ

კონიაშვილის, ჯუღელის და დგებუაძის რაზმებმა ისინი ქედის გადაღმა გადარეკეს და დუშეთსა და არაგვის ხეობაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება აღადგინეს. ამ მოვლენებთან დაკავშირებით დეპუტატმა დავით ვაჩნაძემ (ეროვნულ-დემოკრატი) შეკითხვა შეიტანა პარლამენტში და მოითხოვა აქ ჩარჩენილი რუსი სამხედროებისაგან ქვეყნის განმენდა – ნებაყოფლობით ან ძალით მათი რუსეთში დაბრუნება, ხოლო მანამდე საქართველოს ფარგლებში რუსი ოფიცრებისათვის სამხედრო ფორმის ტარების აკრძალვა. ეს სწრაფად ვერ მოხერხდა, შემდეგში მოვლენები სხვაგვარად განვითარდა და მეფის რუსეთის ოფიცრობაც გარკვეულ დრომდე საქართველოში დარჩა.

ფაქტი იყო, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითმა მთავრობამ, სწრაფი და ენერგიული მოქმედებით, შეძლო ქვეყნის დასავლეთი და ჩრდილოეთი ტერიტორიების შენარჩუნება, სეპარატისტული მისწრაფებების დროებით მაინც ალაგმვა, მაგრამ ქვეყნის სამხრეთით ახალი, გაცილებით უფრო მასშტაბური საფრთხე მწიფდებოდა.

ომი სომხეთთან. ჯერ კიდევ ამიერკავკასიის ფედერაციის არსებობის დროს, მასში შემავალი ძირითადი პოლიტიკური ერთეულები, ტერიტორიების გამიჯვნასთან დაკავშირებით დავაში ჩაებნენ. ყველაზე მეტს სომხეთი აქტიურობდა, რომელიც საქართველოს ბორჩალოს მაზრის სამხრეთ ნაწილს, ხოლო აზერბაიჯანი ზაქათალას ედავებოდა. გარდა ამისა, სომხეთი და აზერბაიჯანი ყარაბახისა და სხვა მომიჯნავე ტერიტორიების დასაკავებლად ერთმანეთს ებრძოდნენ. 1918 წლის ოქტომბრის ბოლოს და ნოემბრის დასაწყისში გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია, რომელზედაც განიხილეს შემდეგი სამი ძირითადი საკითხი: 1) ამიერკავკასიის სახელმწიფოთა მიერ ერთმანეთის იურიდიული აღიარება; 2) სადავო საკითხების მშვიდობიანი მოლაპარაკებებით მოგვარება; 3) მსოფლიო კონგრესებზე ერთმანეთის მხარდამჭერი გამოსვლები, რომ სხვებსაც ელიარებინათ ამიერკავკასიის სახელმწიფოების დამოუკიდებლობა. მონაწილე მხარეები, თითქოს, ამაზე შეთანხმდნენ, მაგრამ მას შედეგი არ მოყოლია; პირიქით, ხანმოკლე მშვიდობიანი პერიოდი სომხეთმა ომის გაჩაღებისათვის გამოიყენა, რისი დაწყების საფუძველიც მალე შეექმნა. საქმე ის არის, რომ 1918 წლის ოქტომბერ-ნოემბერში გერმანიის საბოლოო დამარცხება ანტანტამ და სხვებმა მისი მოკავშირეების და, მათ შორის, კავკასიაში მისი მოკავშირის – საქართველოს დამარცხებად მიიჩნიეს. გავლენის სფეროების გადანაწილების დროს საქართველო დიდ ბრიტანეთს ხვდა წილად. მეზობელმა სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს, რომ დაუდგათ ხელსაყრელი მომენტი საქართველოს ტერიტორიების მისაკუთვნებლად. კერძოდ, არარატის რესპუბლიკამ (სომხეთი) დაიწყო საქართველოსთან გამოუცხადებელი ომი, ხოლო დენიკინის რეჟიმმა (სამხრეთ რუსეთი) საქართველოს წინააღმდეგ შემოტევა გააძლიერა. მოვლენები საწყის ეტაპზე ასე განვითარდა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც კი ომში დამარცხებული გერმანიის მოკავშირე თურქეთმა 1918 წლის 30 ოქტომბერს ინგლის-საფრანგეთთან ხელი მოაწერა მუდროსის დროებით ზავს და ამის საფუძველზე ლორეს რაიონი დატოვა, აქ არარატის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები შემოიჭრნენ და იგი დაიკავეს. საქართველოს მთავრობამ მათ პროტესტი გამოუცხადა და მიიღო სათანადო ზომები ქვეყნის სამხრეთი საზღვრის ისტორიულ ფარგლებში აღსადგენად.

ცხადია, შექმნილი ვითარების გამო, პარლამენტში დებატები გაიმართა. ფრაქციების წარმომადგენლები უფრო ენერგიული მოქმედებებისაკენ მოუწოდებდნენ მთავრობას „ამაყი წინაპრების მიერ დატოვებული მემკვიდრეობის ღირსეულად დასაცავად“. 1918 წლის 17 დეკემბერს პარლამენტის სხდომაზე ნ. ჯორდანიამ განაცხადა: „მოქალაქენო! მოხდა ის რაც არ უნდა მომხდარიყო. იმ დროს როცა მსოფლიო ომის ხანძარი ჩაქრა, სომხეთის მთავრობა ფარულად ესხმის თავს საქართველოს რესპუბლიკას... რაკი არარატის რესპუბლიკის მთავრობა მშვიდობიან პოლიტიკურ მოლაპარაკებაზე უარს ამბობს, ჩვენ იძულებულნი ვართ მშვიდობიანობა იარაღით დავამყაროთ“.

1918 წლის 20 დეკემბერს ქართველთა ჯარმა სომეხთა შემოტევა შეაჩერა და კონტრშეტევაზე გადავიდა. აგრესიული მეზობლისაგან დაკავებული ტერიტორიის დიდი ნაწილი გათავისუფლდა, სომხეთის ჯარი სრული მარცხის წინაშე აღმოჩნდა. იგი დიდი ბრიტანეთის ჩარევამ იხსნა. მან არბიტრის როლი იკისრა და მხარეებს შორის შეთანხმების საფუძველზე ნეიტრალური ზონა შეიქმნა – მოხდა საქართველოსა და სომხეთის შეიარაღებული ძალების დაშორიშორება. სომხეთის ჯარმა დატოვა ოკუპირებული ტერიტორიები, მაგრამ იქ საქართველოს არმიის ნაწილები არ შესულა, ლორეს ოლქი ნეიტრალურ ზონად გამოცხადდა და იქ „სტატუს ქვო“ არ აღდგენილა. ისე მოხდა, რომ ქართულმა ჯარმა ფაქტობრივად გაიმარჯვა, მაგრამ შეთანხმების მიხედვით თითქოს დამარცხებული აღმოჩნდა. ეს ოპოზიციურმა ფრაქციებმა ხელისუფლების უნიათობას და გადამწყვეტ მომენტში უუნარობას მიაწერეს. 1919 წლის 4 იანვარს პარლამენტის სხდომაზე მთავრობის მკვეთრი კრიტიკით გამოვიდა სპ. კედია (ეროვნულ-დემოკრატი), რომელმაც განაცხადა, რომ გაფორმებული საზავო ხელშეკრულება გვართმევს სუვერენულ უფლებას ჩვენი ტერიტორიის ერთ ნაწილზე, ამიტომ იგი მიუღებელია და პარლამენტმა არ უნდა მოახდინოს ზავის რატიფიკაცია.

მიუხედავად ასეთი და სხვა მსგავსი განცხადებებისა პარლამენტში, პატარა საქართველოს მთავრობამ ვერ გაბედა წინააღმდეგობა გაეწია მსოფლიო ომში გამარჯვებული ანტანტის წამყვანი სახელმწიფოსათვის და დათანხმდა თბილისში მოკავშირეების ორი ბრიგადის დაბინავებაზე, ხოლო ქ. ბათუმსა და ბათუმის ოლქში ინგლისის ჯარები საქართველოს მთავრობის უკითხავად შემოვიდნენ.

3. საქართველოს დამფუძნებელი კრება. ქვეყნის პირველი კონსტიტუცია

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითმა მთავრობამ საპროგრამო დაპირება შეასრულა და თავისი მმართველობის მეცხრე თვის თავზე დამფუძნებელი კრების არჩევნები დანიშნა. იგი უნდა გამართულიყო 1919 წლის 14, 15 და 16 თებერვალს. არჩევნების ჩატარებას წინ უძღოდა ფართო მოსამზადებელი სამუშაოები, როგორც ხელისუფლებაში, ისე ცალკეულ პოლიტიკურ პარტიებში.

„დებულება დამფუძნებელი კრების არჩევნებისა“ საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტმა 1918 წლის 12 ნოემბერს დაამტკიცა. იგი 10 თავისა და 119 მუხლისაგან შედგებოდა. დებულება ითვალისწინებდა დამფუძნებელი კრების 130 წევრის არჩევას საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით. არჩევნები უნა ჩატარებულიყო პროპორციულ-წარმომადგენლობითი წესით. მისი ჩატარება ევალებოდა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, რომელიც ამას განახორციელებდა მისადმი დაქვემდებარებული საქალაქო, სამაზრო და სასოფლო საზოგადოებათა კომისიების დახმარებით. საარჩევნო კომისიებში შედიოდნენ იმ პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც წარმოადგენდნენ დეპუტატობის კანდიდატთა სიებს.

1918 წლის 14-19 ნოემბერს, ე.ი. საარჩევნო დებულების გამოქვეყნებამდე ერთი კვირით ადრე, გაიმართა ქვეყნის წამყვანი პოლიტიკური ძალის – საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის მორიგი, VIII ყრილობა. მისი ძირითადი საკითხი იყო საქართველოს დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული პარტიის დაფუძნება, უფრო სწორად ცალკე პარტიად იურიდიული გაფორმება. საქმე ის არის, რომ აქამდე საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მენშევიკების) შემადგენლობაში ითვლებოდა, მასთან იდეურ-ორგანიზაციული ერთიანობით იყო დაკავშირებული. რუსეთსა და საქართველოში პოლიტიკურ მოვლენათა შემდგომი განვითარების შედეგად, ნაწილი დაშორდა მთელს – რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია (მენშევიკებისა) ბოლშევიკებთან ბრძოლაში უკანასკნელ დღეებს ითვლიდა, მაშინ როდესაც მის შემადგენლობაში უკვე ფორმალურად არსებული საქართველოს ორგანიზაცია ახალი ქვეყნის პარლამენტისა და მთავრობის წამყვან ძალად გადაიქცა. საჭირო იყო ამ ორგანიზაციული ნონსენსის აღმოფხვრა და ბოლოსდაბოლოს, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის, ფაქტობრივად დამოუკიდებელი პოლიტიკური ძალის, ცალკე ორგანიზაციული გაფორმება. ყრილობის 75 დელეგატიდან პარტიის დამოუკიდებლობას მხარი დაუჭირა 70 დელეგატმა. ეს VIII ყრილობა

გადაიქცა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული დამოუკიდებელი პარტიის ყრილობად. პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში აირჩიეს: ნ. ჟორდანია, კ. ჩხეიძე, ნ. რამიშვილი, ს. ჯიბლაძე, რ. არსენიძე, ე. გეგეჭკორი და სხვები. ქართველ სოციალ-დემოკრატებს, პროგრამულ უთანხმოებათა გამო, ადრე გამოეყო „ალიონის“ ჯგუფი. ესენი მაშინ საქართველოს პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნით გამოდიოდნენ. ახლა, როდესაც საქართველოს სოციალ-დემოკრატია საერთოდ საქართველოს დამოუკიდებლობის პოზიციაზე დადგა, ამასთანავე, თვით პარტიაც დამოუკიდებელი გახდა, „ალიონისთვის“ უაზრობა იყო ცალკე ჯგუფად არსებობა და 1919 წლის იანვარში ისინი კვლავ შეუერთდნენ სოციალ-დემოკრატიულ დედაპარტიას.

დამფუძნებელი კრების არჩევნების წინ, განსაკუთრებით 1919 წლის პირველ კვარტალში, გამალებით დაიწყო ახალი ქართული პარტიებისა და საზოგადოებრივი ჯგუფების შექმნა იმ მიზნით, რომ მათაც მიეღოთ მონაწილეობა არჩევნებში და იქნებ გაეყვანათ თავიანთი დეპუტატებიც. საარჩევნო ბატალიებში ახლადჩამოყალიბებული ისეთი გაერთიანებებიც ჩაებნენ, როგორებიც იყო: „ევგენი დვალის პარტია“, „ესთეტიური ლიგა“, „ბერძნების ჯგუფი“ და სხვ. საარჩევნო კომისიაში დეპუტატთა სიები წარადგინეს არაქართულმა პარტიებმაც – რუსეთის სოციალ-დემოკრატებმა, სომეხმა დაშნაკებმა და სხვ. მაგრამ, ცხადია, რომ პოლიტიკურ ამინდს ჰქმნიდნენ და ძალთა განმსაზღვრელები იყვნენ ტრადიციული ქართული, ძირძველი პოლიტიკური პარტიები – სოციალ-დემოკრატები, სოციალისტ-რევოლუციონერები, ეროვნულ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები. ცალკე დადგნენ ქართველი ბოლშევიკები, რომლებსაც, ისევე, როგორც სხვა პარტიებს, დამფუძნებელი კრების არჩევნებში მონაწილეობისაკენ მოუწოდა ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, მაგრამ მათ არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადეს. პირიქით, მათ მთელ საქართველოში გაავრცელეს პროკლამაცია. ბოროტი ირონიით გაჟღენთილი ეს პროკლამაცია სარკაზმულად მიმართავდა საქართველოს მშრომელებს: „რაღა უნდა დააფუძნოს დამფუძნებელმა კრებამ, თუ ყველაფერი დაფუძნებულია? ვინღა უნდა აირჩიოს ქართველმა ხალხმა, თუ აურჩევლებმაც მშვენივრად განაგეს ცხოვრება? დამფუძნებელი კრება იმაზე უკეთესს ვერაფერს გამოსცემს და დააკანონებს, რაც უკვე გამოსცა და დააკანონა არსებულმა პარლამენტმა, რომელიც არავის არ აურჩევია“. ამ და სხვა პროკლამაციების დემაგოგიურმა დეზინფორმაციებმა გავლენა იქონიეს მუშათა კლასის და გლეხობის მნიშვნელოვან ნაწილზე. შეიძლება ამიტომაც იყო, რომ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ხმის უფლების მქონე მოქალაქეთა მხოლოდ ნახევარზე ცოტათი მეტმა ნაწილმა. ბოლშევიკებს ჩაფიქრებული ჰქონდათ საქართველოს საბჭოთა ფედერაციული რუსეთის შემადგენლობაში შეყვანა მისგან სამხედრო-პოლიტიკური დახმარების გზით, რაც მალე გამჟღავნდა და აისრულეს კიდეც.

როგორი იყო წამყვანი პოლიტიკური პარტიების ძალთა თანაფარდობა არჩევნების წინ?

სოციალ-დემოკრატიული პარტია არჩევნებს სრული მობილიზაციით შეხვდა: იგი გაფორმდა დამოუკიდებელ პარტიად, ცოტა მოგვიანებით, მაგრამ მას დაუბრუნდნენ ალიონელები, იდეურად გაანადგურეს ის ხუთი ოპოზიციური დელეგატი და მათი მომხრეები, რომლებიც პარტიის რუსეთის სოციალ-დემოკრატიისაგან გამოყოფის მოწინააღმდეგეები იყვნენ.

სოციალისტ-რევოლუციონერებმა 1918 მაისში ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის ინიციატივით გადადგეს პირველი ნაბიჯი რუსეთის ესერთა პარტიის ამიერკავკასიის ორგანიზაციისაგან გამოყოფის და საქართველოს დამოუკიდებელი სოციალისტ-რევოლუციონერთა (ესერთა) პარტიის შექმნისათვის. პარტიის დამფუძნებელი ყრილობა გაიმართა 1918 წლის ივნისში.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ორგანიზაციული საქმე იმთავითვე და შემდეგშიც ნინააღმდეგობრივად და რთულად წარიმართა. პარტიის დამფუძნებელი ყრილობა გაიმართა 1917 წლის მაისში. 5 თვის შემდეგ მას გამოეყო ჯგუფი ეროვნულ-რადიკალური პარტიის სახელწოდებით. მათ დასაყრდენად გაიხადეს გლეხობა – საქართველოს მოსახლეობის ყველაზე მრავალრიცხოვანი ნაწილი, დააარსეს საკუთარი გაზეთი – „ჩვენი რესპუბლიკა“. ისინი აღიარებდნენ კერძო საკუთრების ხელუხლებლობას და ამავე დროს, საჭიროდ თვლიდნენ მსხვილი მემამულეებისაგან ჩამორთმეული დაწესებულ ნორმაზე მეტი მიწების ღარიბი გლეხებისათვის გადაცემას. ამ, აგრარულ საკითხზეც არ იყო პარტიის წევრებს შორის ერთიანობა – ნაწილს მიაჩნდა, რომ მემამულეებისათვის უსასყიდლოდ მიწის ჩამორთმევით მეურნეობის კულტურული ნაწილი დაბეჩავდება, ერთი მხრივ, ხოლო უსასყიდლოდ მიწების განაწილებისას გლეხებს შორის დაუსრულებელი ბრძოლა ატყდება და ანარქია დაისადგურებს, მეორე მხრივ. 1918 წელს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას გამოეყო კიდევ ერთი ფრაქცია – ნაციონალ-დემოკრატიული პარტია (გრ. ვეშაპელი, რ. გაბაშვილი, დ. ვაჩნაძე, გ. მაჩაბელი, გ. ამირეჯიბი...). მოხდა ისე, რომ ძირითადი პარტია ცენტრისტულ პოზიციაზე აღმოჩნდა, რომელსაც დაუსრულებელი და მძაფრი დებატები ჰქონდა მემარცხენეებთანაც (ეროვნულ-რადიკალები) და მემარჯვენეებთანაც (ნაციონალ-დემოკრატები).

სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ბედი და საქმიანობაც არანაკლები წინააღმდეგობებითა და სირთულეებით წარიმართა, თუმცა, ეს უფრო წვრილმანი საკითხების გარშემო ტრიალი იყო. თავიდანვე პარტიას აერთიანებდა ეროვნული და სოციალური იდეები. რაც საქართველო რუსეთს გამოეყო და ცალკე სახელმწიფოდ დაარსდა, ავტონომიისა და ფედერალიზმის იდეების ქადაგება ანაქრონიზმად გადაიქცა. პარტიამ გავლენა დაკარგა და მისი რიგებიც შეთხელდა; დაიწყო ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ადგილის ძებნა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი ნაპოვნი იქნა ერის შიდასოციალური სტრუქტურების გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში. ისინი აღიარებდნენ, რომ ჩვენი საზრუნავია სოციალისტური შემოქმედების გაჩაღებაო. პარტია აშკარად დაშლის გზაზე დადგა სოციალური რადიკალიზმისა და ე.წ. „მაშვრალთა“ ჯგუფის ცალ-ცალკე გამოყოფის სახით. „რა იქნა ტანჯული ჯორჯაძის ტანჯული სული“ – პათეტიკურად კითხულობდა ეროვნულ-დემოკრატთა გაზეთი „საქართველო“ (იმ დროისთვის სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის დამაარსებელი ა. ჯორჯაძე, გამოჩენილი ქართველი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, გარდაცვლილი იყო), განა მოელოდა ვინმე, რომ ფედერალისტები ამ დასკვნამდე მივიდოდნენ (იგულისხმება სოციალური რადიკალიზმის ქადაგება)... ჩვენ მაინც გვგონია, რომ ფედერალისტები სამუდამოდ არ „გამაშვრალებულან“ და თედო ღლონტი (მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტი) – „ეს შუქურვარსკვლავი, საბედისწერო კომეტა არ გახდება ფედერალისტებისათვის“. დამფუძნებელი კრების არჩევნების წინ განსაკუთრებით გამწვავდა წინააღმდეგობები პარტიის წევრებს შორის იქამდე, რომ კომიტეტის სხდომაზე ვერ შეთანხმდნენ კანდიდატთა სიის შემადგენლობაზე. სხდომა დატოვა ოპოზიციამ და მეზობელ დარბაზში მიიღო დადგენილება ახალი, „მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტ მაშვრალთა პარტიის“ დაარსების შესახებ. მათი ეს მოქმედება დაგმო სოციალისტ-ფედერალისტთა გაზეთმა „სახალხო საქმემ“. „მაშვრალებმა“ დაიწყეს თავიანთი გაზეთის „ახალი ნაკადის“ გამოცემა. მათზე ძლიერი გავლენა იქონია ანარქისტულმა იდეებმა, იქამდე, რომ მოგვიანებით სახელი გადაირქვეს და „საქართველოს სარევოლუციო სინდიკალისტ მაშვრალთა კავშირად“ იწოდებოდნენ, ხოლო იდეურად ჯერ ბოლშევიზმს დაუახლოვდნენ, თუმცა უარყოფდნენ პროლეტარიატის დიქტატურას, ხოლო შემდეგში უარყოფდნენ, როგორც სახელმწიფოს, ისე თვით პოლიტიკური პარტიის არსებობის მიზანშეწონილობას. ამით მაშვრალ-სინდიკალისტებმა ვერც პოლიტიკური კაპიტალი დააგროვეს და ვერც მშრომელი ხალხის მხარდაჭერა ჰპოვეს. ბოლოსდაბოლოს მისმა ინიციატორებმა კვლავ სოციალ-ფედერალისტთა პარტიაში მიღება ითხოვეს. მათი თხოვნა დააკმაყოფილა პარტიის მორიგმა (IV) კონფერენციამ.

საქართველოს პარლამენტის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები გაიმართა დათქმულ დროს 1919 წლის 14-16 თებერვალს. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ კანონიერად სცნო ნახევარ მილიონზე ცოტა მეტი (505.477) ხმა. ბათუმის ოლქის, ბორჩალოს, ახალციხე-ახალქალაქის მაზრების, ხევსურეთის და სვანეთის მოსახლეობამ არჩევნებში მონაწილეობა ვერ მიიღო. სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ მიიღო 400 ათასზე ცოტა მეტი ხმა (409.766) და მოიპოვა 109 დეპუტატის მანდატი; სოციალისტ-ფედერალისტებმა – გაცილებით ნაკლები ვიდრე სოციალ-დემოკრატებმა, მაგრამ მაინც სხვა პარტიებზე მეტი – 33 721 ხმა და 8 დეპუტატის მანდატი

(გ. ლასხიშვილი, გ. რცხილაძე, შ. ნუცუბიძე, ს. ფირცხალავა, გ. ალექსი-მესხიშვილი...); ეროვნულ-დემოკრატებმა მოიპოვეს 30 154 ხმა და 8 დეპუტატის მანდატი (ნ. ნიკოლაძე, სპ. კედია, გ. გვაზავა, ე. თაყაიშვილი, გ. ქიქოძე...); სოციალისტ-რევოლუციონერებმა – 21 721 ხმა და 5 დეპუტატის მანდატი (ლ. შენგელაია, ივ. გობეჩია, იოს. გობეჩია, ნ. ანთაძე, შ. ნუცუბიძე); გარდა ამისა, არჩევნებში მონაწილეობდნენ და შედარებით უმნიშვნელო ხმები მიიღეს: რადიკალ-დემოკრატიულმა პარტიამ, ნაციონალისტურმა პარტიამ, მაშვრალებმა, დაშნაკცუტფუნმა, უპარტიოთა კავშირმა, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ადგილობრივმა ორგანიზაციამ (779 ხმა). იმავე წლის აგვისტოში ჩატარდა დამატებითი არჩევნები. ამის შედეგად დაშნაკცუტფუნმა საქართველოს დამფუძნებელ კრებაში მოიპოვა 3 დეპუტატის მანდატი, ხოლო დეპუტატები გახდნენ ნაციონალისტების ლიდერი გრ. ვეშაპელი და სოციალ-ფედერალისტი ს. დადიანი. ამრიგად, საბოლოო ჯამში საქართველოს დამფუძნებელი კრება 135 დეპუტატით დაკომპლექტდა.

დამფუძნებელი კრების პირველი სხდომა 1919 წლის 1 მარტს გახსნა სოციალ-დემოკრატმა დეპუტატმა სილიბისტრო ჯიბლაძემ. მისი თქმით, საქართველოს დროებითმა პარლამენტმა და დროებითმა მთავრობამ შეძლო შინაური და გარეშე მტრების მოგერიება, სიძნელეები კიდევ ბევრია, მაგრამ ხალხი შეძლებს დემოკრატიული რევოლუციის მონაპოვრის შენარჩუნებას, ხოლო დამფუძნებელი კრების საშუალებით ეროვნულ სახელმწიფოს სრულყოფსო.

ორი კვირის შემდეგ დამფუძნებელმა კრებამ მოისმინა მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას ანგარიში (1919.14.III) განეული მუშაობის შესახებ. მან აღნიშნა, რომ მსოფლიო ომისა და რევოლუციის ქარცეცხლში დროებითმა მთავრობამ საქართველო უვნებლად გამოატარა ისტორიის გზაზე. მთავრობას არ მიუღია არც ერთი ისეთი კანონი, რომელიც ჩამოაშორებდა ერის რომელიმე ფენას ან მის რომელიმე სასიცოცხლო უჯრედს. სწორი გეზის მაჩვენებელია ის, რომ საქართველო შეჩერდა რევოლუციის ბურჟუაზიულ ეტაპზე, გატარდა რეფორმები, შეიქმნა ეროვნული გვარდია, თუმცა, შეიარაღებული ძალები კიდევ საჭიროებენ სრულყოფას. დღემდე სული მოვიტანეთ ისე, – განაგრძობდა ნ. ჟორდანია, – რომ მიუხედავად დიდი ფინანსური სიძნელეებისა, საგარეო ვალი არ აგვიღია. დავიწყეთ ბონების ბეჭდვა, რომელმაც ფულის კურსი დასცა, ე.ი. გამოცემული ბონები ჩვენი საშინაო სესხია.

იმავე სხდომაზე ფრაქციის სახელით რ. არსენიძე გამოვიდა მთავრობის შედგენის საკითხზე. საკითხი ორჭოფული აღმოჩნდა: ერთი მხრივ, შეიძლებოდა აერჩიათ მთავრობის თავმჯდომარე, რომელიც შეარჩევდა კაბინეტის წევრებს და ასეთი მთავრობა უფრო შეთანხმებულად იმუშავებსო; მეორე მხრივ, დამფუძნებელ კრებას იმისი უფლებაც აქვს მთავრობის ყველა წევრი თვითონ აირჩიოს და რესპუბლიკის სრულუფლებიანი წარმომადგენლის – პრეზიდენტის

ინსტიტუტიც შექმნასო.

მმართველი პარტიის ასეთმა ორჭოფულმა პოზიციამ, რომელიც მისი მხრიდან დემოკრატიის გამოვლენადაც ჩანდა და საკითხის ასე დაყენებას, თითქოს, არავინ მოელოდა, დიდი კამათი გამოიწვია. საბოლოოდ შეთანხმდნენ იმაზე, რომ განსაკუთრებული უფლებებით აღჭურვილი პრეზიდენტის ინსტიტუტი საჭირო არ იყო, მაგრამ საგრძნობლად გაიზრდებოდა მთავრობის თავმჯდომარის უფლება-მოვალეობანი, რომელიც სხვა ქვეყნებთან ურთიერთობაში წარმოდგენილი იქნებოდა სახელმწიფოს მეთაურის რანგში.

მთავრობის თავმჯდომარის პოსტზე სოციალ-დემოკრატებმა ისევ ნოე ჟორდანია კანდიდატურა დაასახელეს. მას მხარი ეროვნულ-დემოკრატებმაც დაუჭირეს, მაგრამ სოციალისტ-ფედერალისტებმა და სოციალისტ-რევოლუციონერებმა კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღეს. მიუხედავად ამისა, ხმების აბსოლუტური უმრავლესობით მთავრობის თავმჯდომარედ ნოე ჟორდანია აირჩიეს.

1919 წლის 21 მარტს ნ. ჟორდანიამ გამოაცხადა მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობა: ე. გეგეჭკორი – საგარეო საქმეთა და იუსტიციის მინისტრი; ნ. რამიშვილი – შინაგან საქმეთა, სამხედრო და განათლების მინისტრი; ნ. ხომერიკი – მინათმოქმედებისა და შრომის მინისტრი; კ. კანდელაკი – ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი.

ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ კაბინეტის ასეთი შემადგენლობა დაიწუნა, თუმცა, მთლიანობაში მას მხარი დაუჭირა. ოპოზიციურ ფრაქციებს არ მოსწონდათ ის, რომ ხშირად ორი და სამი სამინისტროც ერთი პირის ხელში იყო, მაშინ როდესაც, სოციალ-დემოკრატიულის გარდა, სხვა ფრაქციები მინისტრთა პორტფელების გარეშე დარჩნენ.

იმან, რომ მინისტრთა კაბინეტი ერთპარტიული პრინციპით იყო შედგენილი, მწვავე დებატები გამოიწვია დამფუძნებელ კრებაში მმართველ პარტიასა და ოპოზიციურ ფრაქციებს შორის დეკლარაციისა და სამომავლო გეგმების განხილვის დროს.

მთავრობის დეკლარაცია 21 მარტის სხდომაზევე წაიკითხა ე. გეგეჭკორმა. მან განაცხადა, რომ დამფუძნებელი კრება, როგორც ერის სუვერენული ორგანო, მონოდებულია შეიმუშაოს რესპუბლიკის კონსტიტუცია. მთავრობა მიზნად ისახავს მართვა-გამგეობის გამარტივებას და გაიაფებას; იგი შეეცდება მალე განსაზღვროს აფხაზეთის და სამუსლიმანო საქართველოს სტატუსი ერთიანი ქვეყნის შემადგენლობაში; სრულყოფს სამაზრო და საქალაქო თვითმმართველობას; ბოლომდე მიიყვანს სასამართლო რეფორმას; ღარიბ გლეხთა მიწით უზრუნველყოფისათვის დააჩქარებს აგრარულ რეფორმას. მართალია, მთავრობის დეკლარაცია შეიცავდა დემოკრატიული სოციალიზმის პროგრამულ ელემენტებს, მაგრამ სოციალისტ-ფედერალისტებმა და ეროვნულ-

დემოკრატებმა იგი მაინც გააკრიტიკეს. კრიტიკის ძირითადი აზრი ის იყო, რომ მთავრობის შემადგენლობა არსებითად ძველი დარჩა და ამიტომ, არც მისი პოლიტიკა შეიცვლებოდა.

1919 წლის 25 აპრილს დამტკიცდა დამფუძნებელი კრების რეგლამენტი. მის საფუძველზე ჩატარდა პრეზიდიუმის და მუდმივი კომისიების არჩევნები. ამან ცხარე კამათის ვითარებაში ჩაიარა. სოციალ-დემოკრატებმა ყველაზე მნიშვნელოვან კომისიებში მოითხოვეს ადგილების სამი მეოთხედი. ცხადია, ამან ოპოზიციის მწვავე პროტესტი გამოიწვია. ეროვნულ-დემოკრატი გ. გვაზავა განმარტავდა, მართალია, პროპორციულ-წარმომადგენლობით სისტემას ანგარიში უნდა გაეწიოს, მაგრამ, რადგან კომისიები რთულ საქმიანობას ეწევიან, ძირითადად იქ მზადდება კანონპროექტები, მიმდინარეობს ის უმთავრესი სამუშაო, რომელსაც ჰქვია შეთანხმება, ამიტომ, კომისიებში სასურველია, შესაძლებლობის მიხედვით, ყველა ფრაქცია იყოს წარმოდგენილიო. საბოლოოდ, საკონსტიტუციო კომისიაში აირჩიეს 9 სოციალ-დემოკრატი, 2 სოციალ-ფედერალისტი, 2 ეროვნულ-დემოკრატი და ერთი დაშნაკი; საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში – 9 სოციალ-დემოკრატი, თითო სოციალისტ-რევოლუციონერი და ნაციონალ-დემოკრატი და 2 სოციალისტ-ფედერალისტი; საგარეო საქმეთა კომისიაში, რომლის საერთოდ შექმნის წინააღმდეგი იყო დამფუძნებელი კრების წევრთა უმრავლესობა, რამაც ეროვნულ-დემოკრატთა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, საბოლოოდ შევიდა: ხუთი სოციალ-დემოკრატი და თითო წარმომადგენელი სამივე ოპოზიციური პარტიიდან.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარემ მოითხოვა, რომ კომისიების მუშაობის ეფექტურობის მიზნით, იმისთვის რომ კრების ყველა წევრს საშუალება ჰქონოდა კანონპროექტების განხილვაში მიეღო მონაწილეობა, კანონპროექტები უნდა დასტამბულიყო 200 ცალად, ხოლო სხვა მასალა – მანქანაზე გადაბეჭდილი, რამდენიმე ცალად.

1919 წლის მაისში დამფუძნებელმა კრებამ განიხილა კანონპროექტი მოქალაქეობის შესახებ, რომელიც სოციალისტ-რევოლუციონერთა მხრიდან კრიტიკის მიუხედავად, აბსოლუტური უმრავლესობით დაამტკიცა. კანონის მიხედვით: 1) საქართველოს მოქალაქედ ჩაითვლება მისი ტერიტორიის ყოველი მცხოვრები, რომელიც 1914 წლის 19 ივლისისთვის მიწერილი იყო ქვეყნის რომელიმე ადმინისტრაციულ ერთეულზე; 2) თუ პირი ამ მოთხოვნას არ აკმაყოფილებს, მაგრამ 1914 წლის 19 ივლისიდან მუდმივად ცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე და ამ კანონის გამოცხადების დღიდან სამი თვის ვადაში განაცხადებს, რომ სურს საქართველოს მოქალაქეობა, მიღებულ იქნება საქართველოს მოქალაქედ; კანონის მე-5 მუხლის მიხედვით, რუსეთის ყოფილი იმპერიის ქვეშევრდომი ყოველი ქართველი, მიღებულ იქნება საქართველოს მოქალაქედ, თუ ამ კანონის გამოქვეყნებიდან სამი თვის ვადაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

განცხადებით მიმართავს ამის შესახებ მომრიგებელ მოსამართლეს თუ საქართველოში მცხოვრებია ან მახლობელ კონსულს – თუ უცხოეთში მცხოვრებია; კანონის მე-9 მუხლის თანახმად, საქართველოში პოლიტიკური უფლება ჰქონდათ მხოლოდ ამ ქვეყნის მოქალაქეებს, სხვებს არ შეეძლოთ არჩევნებში მონაწილეობა.

ყველაზე რთული სამუშაოს ჩატარება დასჭირდა საკონსტიტუციო კომისიას. ჯერ კიდევ ეროვნულ საბჭოში მიმდინარეობდა მსჯელობები კონსტიტუციის შედგენის საკითხზე. მაშინ აღინიშნა, რომ არსებობს დემოკრატიული სახელმწიფოს სამი ფორმა: ამერიკული, რომელიც არის უფლებადანაწევრებული დემოკრატია; ფრანგული – პარლამენტარული დემოკრატია და შვეიცარული – პირდაპირი დემოკრატია. საქართველოსთვის მისაღები მიაჩნდათ შვეიცარული ფორმა, თუმცა არც სხვა ფორმების ცალკეულ ელემენტებს უარყოფდნენ და, ამავე დროს, საჭიროდ მიაჩნდათ ქართული სინამდვილის თავისებურებების გათვალისწინება.

დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე იყო პეტრე სურგულაძე (სოციალ-დემოკრატი). კომისიამ მუშაობა მრავალმხრივი მიმართულებით წარმართა; მიმდინარეობდა დებატები სხვადასხვა ფრაქციის წარმომადგენლებს შორის სახელმწიფოებრივი მოწყობის ფორმების დაკანონებასა და ცალკეულ უწყებათა უფლება-მოვალეობათა გამიჯვნის თაობაზე. ეროვნულ-დემოკრატებმა პრეზიდენტის ინსტიტუტის დაკანონებაც კი მოითხოვეს, თუმცა, საბოლოოდ ეს წინადადება უარყოფილ იქნა.

1919 წლის ბოლოს კონსტიტუციის პროექტის ძირითადი მონახაზი უკვე მზად იყო. მას ვრცელი განმარტებითი ბარათიც ახლდა. პროექტის მიხედვით ქვეყანაში დემოკრატია შვეიცარულ-ფრანგულ მოდელს ეყრდნობოდა. აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნოდა მთავრობას, რომელსაც ირჩევდა პარლამენტი, ხოლო თავმჯდომარის მიერ წარდგენილ მინისტრებს (კაბინეტის წევრებს) ამტკიცებდა ისევ პარლამენტი. ეს მოდელი ქართულ სინამდვილეში უკვე აპრობირებულ პრაქტიკას ეყრდნობოდა და არსებულ ვითარებას ასახავდა.

კონსტიტუციის ეს პროექტი საგანგებო მსჯელობის საგანი იყო 1920 წლის დამდეგს სოციალ-დემოკრატიული პარტიის IV ყრილობაზე. დელეგატების მიერ გამოთქმული შენიშვნების მიხედვით პროექტში მოხდა ფორმულირების დაზუსტება: კონსტიტუციით პარლამენტი 101 წევრისგან უნდა შედგენილიყო; დაკანონდა უპრეზიდენტო სისტემა და ქვეყნის მეთაურის ფუნქცია მთავრობის თავმჯდომარეს უნდა მინიჭებოდა; მთავრობას უფლება ჰქონდა გამოეყვანა არა მარტო 3 000 ჯარისკაცი, არამედ რამდენიც დასჭირდებოდა, მაგრამ 21 დღის მანძილზე. უფრო მეტი დროით გამოსაყვანად პარლამენტის თანხმობა უნდა მიეღო; ყოველი მინისტრი სრული უფლებით სარგებლობდა თავის უწყებაში დამოუკიდებლად, მაგრამ ანგარიშვალდებული იყო პარლამენტის წინაშე

და უნდა გადამდგარიყო მისი ნდობის დაკარგვის შემთხვევაში; მთავრობის თავმჯდომარე ვალდებული იყო დამორჩილებოდა პარლამენტის დადგენილებებს და სხვ.

1920 წლის მაისში კონსტიტუციის პროექტი გამოქვეყნდა, იგი დამფუძნებელი კრების წევრებს დაურიგდა, 6 თვის განმავლობაში მასში მრავალი შესწორება და ჩამატება შევიდა და 24 ნოემბერს მისი განხილვა-დამტკიცების დამამთავრებელი ეტაპი დაიწყო.

კონსტიტუციის შესახებ ვრცელი ანგარიშით გამოვიდა დამფუძნებელი კრების წინაშე პ. სურგულაძე. სხვათა შორის, მან შემდეგიც აღნიშნა – მუდმივი არაფერია, შეიძლება მომავალ თაობას კონსტიტუციის ზოგიერთი მუხლი არ მოეწონოს, ზოგი რამ შეიცვლება კიდეც, მაგრამ ის მუხლი, რომელიც აკანონებს საქართველოს დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკას, შეუცვლელი უნდა იყოს.

ეროვნულ-დემოკრატებმა ეჭვი გამოთქვეს საქართველოს ნეიტრალურ ქვეყნად გამოცხადების მიზანშეწონილობაში (ვ. წერეთელი). მათი აზრით, ეს გააძლიერებდა საქართველოს სახელმწიფოს ისტორიული საზღვრების აღდგენას. მათვე მხარი დაუჭირეს კონსტიტუციის მთავარ აზრს, რომ საქართველო არის უნიტარული სახელმწიფო, მისი ფედერალური მოწყობის საფუძველი არ არსებობს, რადგან მოსახლეობის 80% ქართველია.

1920 წლის 16 ოქტომბერს აფხაზეთის სახალხო საბჭომ განიხილა აფხაზეთის კონსტიტუციის პროექტი. პირველ მუხლში მოხაზული იყო აფხაზეთის საზღვრები და აღნიშნული იყო, რომ იგი შედის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში. ცალკე მუხლებით გამიჯნული იყო საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების და აფხაზეთის ავტონომიის მართვის ორგანოთა უფლება-კომპეტენციები. აფხაზეთის კონსტიტუციის ჩასწორებული პროექტი გადმოეგზავა დამფუძნებელ კრებას განხილვისა და დამტკიცებისათვის.

ამდენი განხილვისა და ჩასწორება-დაზუსტებების შემდეგ, საქართველოს კონსტიტუციის პროექტი თითქოს მზად იყო, მაგრამ მისი მიღება რატომღაც ჭიანურდებოდა. საკანონმდებლო მუშაობა დაჩქარდა საბჭოთა რუსეთის მხრიდან აშკარა აგრესიის დაწყების ვითარებაში. დამფუძნებელმა კრებამ 1921 წლის 21 თებერვალს კონსტიტუციის პროექტი დაამტკიცა, იგი საქართველოს ძირითად კანონად იქცა. 4 დღის შემდეგ საბჭოთა ჯარებმა ქვეყნის ანექსია დაიწყეს და დედაქალაქი თბილისი დაიკავეს. საქართველოს დამფუძნებელი კრება, მენშევიკური მთავრობა და პოლიტიკური პარტიების ლიდერები, ბოლშევიკური ტერორისაგან თავის გარიდების მიზნით, ემიგრაციაში წავიდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. განათლება, მეცნიერება და კულტურა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოში მრავალი საკითხი იყო მოსაგვარებელი და გადასაჭრელი, მაგრამ განათლების რეფორმა ერთ-ერთი პირველი და სასწრაფოდ უნდა გატარებულიყო. საჭირო იყო მშობლიური ენისა და კულტურისათვის განვითარების ხელსაყრელი პირობების შექმნა.

ჯერ კიდევ 1917 წლის 10 სექტემბერს რუსეთის დროებითი მთავრობის ფილიალმა – ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტმა მიიღო დებულება, რომლის მიხედვით: სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ სკოლებში სწავლება მშობლიურ ენაზე უნდა წარმართულიყო; ეროვნულ განყოფილებებში მოსწავლეთა გადაჯგუფებისთვის მშობელთა თანხმობა იყო საჭირო; სასწავლო პროგრამები უნდა შეედგინა და დაემტკიცებინა ეროვნულ კომიტეტებს; ეროვნულ სანებად ითვლებოდა: დედაენა, ეროვნული ლიტერატურა, ერის ისტორია და გეოგრაფია; ახალი სკოლები უნდა გახსნილიყო ეროვნებათა რიცხვისა და თანაფარდობის მიხედვით. მაგრამ, ამის შემდეგ მოვლენები ძალზე სწრაფად და ისე წარიმართა (დროებითი მთავრობის დამხობა ბოლშევიკების მიერ, ამიერკავკასიის ცალკე ფედერაციულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება, საქართველოში ეროვნული საბჭოს შექმნა), რომ ამ დადგენილების მოქმედება, მიუხედავად მისი ძალზე პროგრესული მოთხოვნებისა, ძალადაკარგული იყო. ამიტომ, 1917 წლის 20 ნოემბერს ეროვნულმა ყრილობამ შექმნა სკოლებისა და უნივერსიტეტის სექცია ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით. მას უნდა მოემზადებინა და ეროვნული საბჭოსათვის გადაეცა ქვეყანაში არსებული სკოლების გაქართულების და ეროვნული უნივერსიტეტის დაარსების პროექტი.

მაგრამ საქმე პრაქტიკულად განახორციელა განათლების სამინისტრომ, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღესვე შეიქმნა (მინისტრი – გიორგი ლასხიშვილი). მოვლენები განსაკუთრებით დააჩქარა საზოგადოებრივ დაწესებულებათა კატეგორიულმა მოთხოვნამ ყველა დაწესებულების 1918 წლის 1 აგვისტომდე გაეროვნულების დამთავრების შესახებ. ქართული ენის არმცოდნე მოხელეებს თანამდებობები უნდა დაეტოვებინათ. ამ მხრივ განსაკუთრებული აქტიუროობით გამოირჩეოდა იუსტიციის სამინისტრო (მინისტრი – შალვა ალექსი-მესხიშვილი), რომლის უწყებაში რუსულად დაწერილ განცხადებებს აღარ იღებდნენ. მოსამართლეებად ქართული ენის მცოდნეებს ირჩევდნენ და სასამართლოს წარმოებასაც ქართულ ენაზე მოითხოვდნენ. ასევე ხდებოდა სამხედრო სამინისტროშიც (მინისტრი – ნოე რამიშვილი).

1918 წლის 1 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლის მიხედვით ქართულ ენას სახელმწიფო ენის სტატუსი მიენიჭა.

ამიერიდან პოლიტიკურ, სამეურნეო, კულტურულ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში ქართული ენა უნდა დამკვიდრებულიყო. სახელმწიფოს გაეროვნულების პოლიტიკამ უცხოტომელთა, განსაკუთრებით რუსებისა და სომხების უკმაყოფილება გამოიწვია. ოპოზიციამ მთავრობა ნაციონალიზმში დაადანაშაულა. შედეგად – ქართული ენის შესახებ კანონის დამატებაში ჩაიწერა, რომ პარლამენტის არაქართველ დეპუტატებს უფლება ჰქონდათ სიტყვა პარლამენტის სხდომებზე რუსულ ენაზე წარმოეთქვათ.

განათლების სამინისტრომ მოქმედება ენერგიულად დაიწყო – შემცირდა შტატები 80 კაცით; შეიქმნა სამი განყოფილება; ჩამოყალიბდა სათათბირო ორგანო – საბჭო, რომელიც მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს იღებდა. მინისტრ გ. ლასხიშვილის 1918 წლის 1 აგვისტოს მოხსენებაში აღინიშნა, რომ ძველი სკოლის ძირითადი მანკი იყო რუსული ენის მონოპოლია, მის აღმოსაფხვრელად საჭირო იყო ორი ღონისძიების გატარება: ქართველ მოქალაქეთა შვილებისათვის სწავლება ქართულ ენაზე უნდა დამკვიდრებულიყო და ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებსაც უნდა ჩაჰქონოდათ განათლების საკუთარ ენაზე მიღების საშუალება; საჭირო იყო განათლების სისტემაში წოდებრივი გრადაციის მოსპობა – საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელს განათლების მიღების ერთნაირი უფლება უნდა ჰქონოდა; საჭირო იყო ქართული, რუსული და სომხური გიმნაზიის ცალ-ცალკე არსებობის დაკანონება – მანამდე ყველა ეროვნების ბავშვები ერთად სწავლობდნენ.

განათლების სამინისტრომ შეადგინა საშუალო სკოლის რეორგანიზაციის დებულება, რომლის მიხედვით: ყველა სახელმწიფო საშუალო სკოლა ერთი ტიპისაა, კერძო სკოლები შეიძლება რამდენადმე განსხვავდებოდეს მთავან, მაგრამ მათი დებულებანი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განათლების სამინისტრომ უნდა დაამტკიცოს; საშუალო სკოლის მიზანია მოზარდ ახალგაზრდობას მისცეს დასრულებული საშუალო განათლება და ამასთანავე მოამზადოს იგი უმაღლესი განათლების მიღებისათვის; მოსწავლეთა მიერ დაწყებითი განათლების (1-4 კლასები) მიღების შემდეგ, მაღალ კლასებში (5-8 კლასები) უნდა ისწავლებოდეს: ქართული ენა და სიტყვიერება, რუსული ენა, მსოფლიო ლიტერატურა, ორი უცხო ენა (რუსული და მეორე – არჩევით), ისტორია, პოლიტიკური ეკონომია, სამართლის მეცნიერება, ფსიქოლოგია, ლოგიკა, მათემატიკა, გეომეტრია, გეოგრაფია, ფიზიკა, ქიმია, ბუნებისმეტყველება, ჰიგიენა, გალობა, მუსიკა, ხელსაქმე და ხელგარჯილობა. საღვთო სჯული, როგორც საგანი, სასწავლო პროგრამებიდან ამოღებულ იქნა. ამან საზოგადოებაში არაერთგვაროვანი, ზოგ შემთხვევაში მძაფრად უარყოფითი დამოკიდებულება გამოიწვია. კერძოდ, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის გაზეთ „საქართველოში“ (რედაქტორი – გ. ქიქოძე) კ. კელენჯერიძე 1918 წლის 1 ნოემბერს წერდა: „ბიბლიაზე აღიზარდა ოქროს საუკუნის ქართველობა; მან

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბადა საუკეთესო თვისებანი ერისა. ბიბლია, რომელიც ასე გამოსჭვივის „ვეფხისტყაოსანში“, კვლავაც უნდა დარჩეს საყვარელ წიგნად და სავალდებულო შესწავლის საგნად მოზარდი თაობისა, თუ არ გვინდა გადაგვარება ქართველი ერისა“. საქმე იმით დამთავრდა, რომ, მართალია, მთავრობამ საღვთო სჯული სავალდებულო საგანთა სიიდან ამოიღო, მაგრამ თუ მოსწავლეები მის სწავლებას მოითხოვდნენ, მასწავლებლის ხელფასი მშობლებს უნდა გადაეხადათ. ცხადია, ამან სამღვდელოება და რელიგიის მომხრეები არ დააკმაყოფილა, კამათი 1920 წლამდე გაგრძელდა და ბოლოს იგი გადაწყვიტა 1921 წლიდან საქართველოში ბოლშევიკურ-ათეისტური ხელისუფლების დამყარებამ.

სწავლა-განათლების სისტემა რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ფართოდ გაიშალა, ამის მაჩვენებელია შემდეგი ციფრები: 1914 წელს საქართველოში არსებობდა ყველა ტიპის 864 სკოლა 80 ათასი მოსწავლით, ხოლო 1920 წლისათვის 1924 სკოლა 162 ათასი მოსწავლით.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა განსაკუთრებით ზრუნავდა ეროვნულ უმცირესობათა მომავალი თაობის სწავლა-განათლებისათვის. სწორედ იმ წლებში გაიხსნა 81 სომხური სკოლა, 60 – რუსული, 31 – აზერბაიჯანული (თათრული), 66 – ბერძნული და 45 – ოსური სკოლა.

ამ დროს საქართველოს საშუალო სკოლის ნიჭიერი ორგანიზატორები და პედაგოგები იყვნენ: კიტა აბაშიძე, ვუკოლ ბერიძე, ალექსანდრე მიქაბერიძე, ვახტანგ კოტეტიშვილი, ვასილ ბარნოვი, სილოვან ხუნდაძე (მან სპეციალური წერილით მიმართა განათლების მინისტრს ქართული სალიტერატურო ენის სრულყოფის, გრამატიკული ფორმების ნაირგვარობის აღმოფხვრის, სალიტერატურო და ხალხური ენის დაახლოების საჭიროების შესახებ), ილია ფერაძე, იაკობ ცინცაძე, თედო სახოკია, პეტრე ჭარაია, იოსებ ოცხელი, სიმონ ოცხელი, ალექსანდრე ჯანელიძე, ბესარიონ ნიჟარაძე, აკაკი შანიძე და სხვ.

რუსეთის იმპერიის არსებობის მანძილზე, მიუხედავად იმისა, რომ იმპერიაში მრავალი უნივერსიტეტი გაიხსნა, საქართველოში მეფის ხელისუფლებამ უნივერსიტეტის გახსნას საშველი არ დააყენა. ამაში ნაწილობრივ წვლილი ქართულ საზოგადოებას, კერძოდ, თავადაზნაურობის ერთ ნაწილსაც მიუძღოდა – როგორც კი საქართველოში ან კავკასიაში უმაღლესი სასწავლებლის გახსნის საკითხი დაისმებოდა, ისინი მაშინვე სამხედრო სასწავლებლის გახსნას სთავაზობდნენ იმპერატორს, რაზეც, ცხადია, ისინი სიამოვნებით თანხმდებოდნენ.

რუსეთში თებერვლის რევოლუციისა და ხელისუფლების გამოცვლის შემდეგ საქართველოში ფართო მუშაობა გაჩაღდა უნივერსიტეტის გახსნისათვის. მოძრაობას სათავეში ახალგაზრდა, მაგრამ სახელმოხვეჭილი მეცნიერ-ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი (1876-1940) ედგა. 1917 წლის 3 ოქტომბერს გაიმართა

საუნივერსიტეტო საზოგადოების კრება ი. ჯავახიშვილის, ე. თაყაიშვილის, გ. ყაზბეგის, კ.კეკელიძის, გ. მაღალაშვილის, ფ. გოგიჩაიშვილის, მ. ქურდიანის, პ. მელიქიშვილის, ა. შანიძის, ი. იმედაშვილის და სხვ. მონაწილეობით. ივანე ჯავახიშვილმა შეადგინა უნივერსიტეტის ძირითადი დებულება, რომელიც სათანადო ახსნა-განმარტებითი ბარათით გადაეგზავნა რუსეთში დროებითი მთავრობის განათლების სამინისტროს, უნივერსიტეტის გახსნის თხოვნით. მათ ნება დართეს კერძო უმაღლესი სასწავლებლის გახსნისა, რომელსაც არ ჭირდებოდა საკუთარი დებულება და იარსებებდა სათანადო კანონის საფუძველზე, მაგრამ არ ექნებოდა სამეცნიერო ხარისხების და წოდებების მინიჭების უფლება. ამასობაში დროებითი მთავრობა ბოლშევიკებმა დაამხეს (1917.25.X) და ქართული უნივერსიტეტის დებულება ერთობ ოპერატიულად (1917.2.XII) დაამტკიცა იმპერიისაგან გამოყოფილმა ამიერკავკასიის კომისარიატმა. უნივერსიტეტის გახსნით აღტყინებული საზოგადოება გააქტიურდა და უკვე 1917 წლის ბოლოს კერძო შემოწირულობათა თანხამ 100 ათას მანეთს გადააჭარბა. უნივერსიტეტის გახსნის დღედ დაინიშნა 1918 წლის 26 იანვარი, წმ. მეფის დავით აღმაშენებლის ხსენების დღე. საჭირო იყო რუსეთიდან და სხვა ქვეყნებიდან უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა პირველი გუნდის მოწვევა. უნივერსიტეტის დამხმარე საზოგადოებამ ეს საქმე ი. ჯავახიშვილს, პ. მელიქიშვილს და ა. რაზმაძეს დაავალა. გადაწყდა თავდაპირველად გახსნილიყო ერთი – სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, სამათემატიკო და საბუნებისმეტყველო განყოფილებებით. ლექციების წასაკითხად მოიწვიეს: ი. ჯავახიშვილი, ა. შანიძე, ი. ყიფშიძე, დ. უზნაძე, შ. ნუცუბიძე, კ. კეკელიძე, გ. ახვლედიანი, ფ. გოგიჩაიშვილი, ს. ავალიანი.

ჯერ კიდევ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე (1918.26.V) 4 თვით ადრე, 1918 წლის 26 იანვარს, 19 საათსა და 20 წუთზე ქართული გიმნაზიის შენობაში გაიხსნა თბილისის უნივერსიტეტი. დილით იგი აკურთხა კათალიკოს-პატრიარქმა კირიონ მეორემ. გახსნაზე სიტყვით გამოვიდა პირველი რექტორი, პროფ. პეტრე მელიქიშვილი, გახსნის ისტორიაზე ისაუბრა სიტყვით გამოსულმა ი. ყიფშიძემ; მან მადლობა გადაუხადა უნივერსიტეტის ფუძემდებელს ი. ჯავახიშვილს, რომელიც სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანად იყო არჩეული. 4 დღის შემდეგ, 30 იანვარს, სტუდენტებითა და საზოგადოების წარმომადგენლებით სავსე უნივერსიტეტის აუდიტორიაში ი. ჯავახიშვილმა პირველი ლექცია წაიკითხა.

საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადების შემდეგ დაისვა საკითხი უნივერსიტეტის სახელმწიფო დაწესებულებად გარდაქმნის შესახებ. ამას ენერგიულად დაუჭირა მხარი განათლების მინისტრმა გ. ლასხიშვილმა და 1918 წლის 3 სექტემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „ქართული უნივერსიტეტის სახელმწიფო უნივერსიტეტად გამოცხადებისა“. გადამდგარი

რექტორის, პეტრე მელიქიშვილის ნაცვლად რექტორად დაინიშნა ივანე ჯავახიშვილი. დამტკიცდა უნივერსიტეტის დროებითი დებულება, რომელიც რამდენიმე მნიშვნელოვან მუხლს შეიცავდა: უნივერსიტეტს სასწავლო-სამეცნიერო და შინაური საქმეების წარმოებაში „სრული ავტონომია“ ენიჭებოდა, ხოლო უზენაესი მეთვალყურეობის განხორციელება განათლების მინისტრის საქმე იყო; იგი ცხადდებოდა, როგორც სრული უნივერსიტეტი და მას 4 ფაკულტეტი უნდა ჰქონოდა: სიბრძნისმეტყველების, სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო, იურიდიული და სამკურნალო; უნივერსიტეტს უფლება ჰქონდა მოძღვართ-მოძღვრის, ანუ დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭებისა (პირველს იგი მიანიჭეს აკ. შანიძეს, ხოლო პირველი დისერტაცია უნივერსიტეტში დაიცვა არნ. ჩიქობავამ). ნიჭიერ და კვლევა-ძიების უნარის მქონე ახალგაზრდებს, სათანადო წარდგინების შემდეგ, უნივერსიტეტი ტოვებდა პროფესორობისათვის მოსამზადებლად. 75 ახალგაზრდა გაიგზავნა საზღვარგარეთ უმაღლესი განათლების მისაღებად. 1918 წლის აგვისტოდან უნივერსიტეტს ქართული გიმნაზიის მთელი შენობა დაეთმო (დღევანდელი I კორპუსი ვაკეში); თავიდან მხოლოდ სამი ოთახი ჰქონდა გამოყოფილი.

მიუხედავად დაარსებიდან დღემდე ხანმოკლე პერიოდისა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მეტად საინტერესო და დრამატული მოვლენებით აღსავსე გზა განვლო. დღეს იგი ღირსეულად ატარებს ივანე ჯავახიშვილის სახელს.

1918-1920 წლებში საქართველოში ვითარდებოდა მეცნიერება, ძირითადად, ჰუმანიტარული მიმართულებისა. მართალია, მეცნიერთა აბსოლუტურ უმრავლესობას მანამდე ჰქონდა სამეცნიერო მოღვაწეობა დაწყებული და მათმა დიდმა ნაწილმა შემდეგში, საბჭოთა ხელისუფლების წლებში შექმნეს თავიანთი ძირითადი ნაშრომები და ჩამოაყალიბეს სამეცნიერო სკოლები, მაგრამ დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის წლებშიც მათი სამეცნიერო შემოქმედება არ დამცხრალა.

კერძოდ, ამ წლებში გამოქვეყნდა ი. ჯავახიშვილის „ქალაქები, საქალაქო წყობა და ცხოვრების ვითარება საქართველოში XVII-XVIII საუკუნეებში“ (1918), „ქართველი ერის მოკლე ისტორია, წიგნი II, I-XII საუკუნეები“ (1918, ქუთაისი), „დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში“ (1919), „საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული“ (1919), „ქართული სამართლის ისტორია“, წიგნი I (1919, ქუთაისი); გ. ახვლედიანის „ენათმეცნიერების შესავალი“, ლექციების კურსი, სამი ნაკვეთი (1918), „რუსული ენის გრამატიკა უმაღლეს დაწყებით სასწავლებელთათვის“, I ფონეტიკა, II მორფოლოგია (1919), „სანსკრიტის მოკლე გრამატიკა“ ნაწყვეტებით სანსკრიტიდან და რიგვედადან ლექსიკონით (1920); კ. კეკელიძის „იოანე პეტრიწის სამწერლო მოღვაწეობა“ (1918), „კიმენი, ტ. I, ქართული ჰაგიოგრაფიის ძეგლები“ (1918), „ნაწყვეტი ქართული ჰაგიო-

გრაფიის ისტორიიდან (ცხოვრება ილარიონ ქართველისა)“ (1920), „თარგმანება ეკლესიასახისა მიტროფანე ზმჟრნელ მიტროპოლიტისაჲ“ (1920). 1919 წელს გამოქვეყნდა „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე“, №1, 1 ნაკვეთი, რომელშიც დაბეჭდილია ი. ყიფშიძის, შ. ნუცუბიძის, კ.კეკელიძის, დ. უზნაძის, ს. ავალიანის და ე. თაყაიშვილის სტატიები. 1919 წელს გამოიცა V და 1921 წელს VI ტომები მოსკოვის საარქეოლოგიო საზოგადოების კავკასიის განყოფილებისა (დაარსდა 1901 წ.). საქართველოს ტექნიკურმა საზოგადოებამ 1920 და 1921 წ. გამოსცა „ტექნიკური ტერმინოლოგია“. 1917 წელს ნ. მარის ხელმძღვანელობით დაარსდა და აგრძელებდა საქმიანობას რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის კავკასიის ინსტიტუტი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1920 წელს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მიერ თბილისში მოწყობილი დიდი გამოფენა ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლების ანაზომების, ფოტოსურათების, ფრესკების ასლებისა. აქ პირველად გამოიფინა და ფართო საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა ე. თაყაიშვილის სამხრეთ საქართველოში 1902, 1907 და 1917 წლების ექსპედიციების დროს მოპოვებული მასალები, ასევე, კახეთის 1911, 1913 და 1914 წლების ექსპედიციებისა. გამოქვეყნდა გამოფენის კატალოგი ქართულ (ავტორი – ე. თაყაიშვილი) და რუსულ (ავტორი – დ. გორდეევი) ენებზე. მასში შესულია 289 ნომერი და ბევრიც დაუნომრავი ფოტოსურათი. ამ მასალის ერთი ნაწილი უკვე ემიგრაციაში მყოფმა ე. თაყაიშვილმა პარიზში გამოაქვეყნა 1938 წელს (ილუსტრაციების გარეშე), ხოლო მეორე ნაწილი – 1917 წლის სამხრეთ საქართველოს ექსპედიციის მასალები, დიდი დაგვიანებით გამოქვეყნდა თბილისში 1952 წ. (რუსულ) და 1960 წ. (ქართულ) ენებზე.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ძალიან აქტიური და მრავალფეროვანი იყო *ლიტერატურული ცხოვრება*. მართალია, XIX ს-ის დიდი ქართველი კორიფეების ეპოქა უკვე დამთავრებული იყო, მაგრამ ამ საუკუნის დასასრულს და ცოტათი ადრე ასპარეზზე გამოსული ქართველი მწერლებიც აგრძელებდნენ აქტიურ შემოქმედებით მოღვაწეობას; მათ შორის: დავით კლდიაშვილი, სოფრომ მგალობლიშვილი, შიო არაგვისპირელი, ვასილ ბარნოვი, ანასტასია ერისთავი-ხოშტარია, კონდრატე თათარაშვილი და სხვ. ხოლო XX ს-ის დასაწყისში ქართულ სამწერლო ასპარეზზე გამოჩნდა პლეადა ახალგაზრდა პროზაიკოსების, პოეტების, თეორეტიკოსებისა და პუბლიცისტებისა, რომელთა შემოქმედება ფართოდ გაიშალა დემოკრატიული რესპუბლიკის წლებში და განსაკუთრებით შემდგომ ხანებში – ბოლშევიკური მმართველობის დროს. სწორედ მათ ხვდა წილად ახალი ევროპული მხატვრული კულტურის ათვისება, თავიანთი შემოქმედებით ამ კულტურის გვერდით დგომა, მასთან ფეხდაფეხ სვლა და მთელი ქართული შემოქმედებითი კულტურის XX ს-ის შესაფერის დონეზე ამაღლება. არსებობს ერთგვარი საინტერესო სტატისტიკა, რომლის მიხედვით,

„ნიკო ლორთქიფანიძე ლიტერატურულ ასპარეზზე 1902 წელს გამოვიდა, მიხეილ ჯავახიშვილი 1903-ში, გერონტი ქიქოძე 1905-ში, იოსებ გრიშაშვილი და სანდრო შანშიაშვილი 1906-ში, გალაკტიონ ტაბიძე 1908 წელს, ლეო ქიაჩელი 1909 წელს, ტიციან ტაბიძე და პაოლო იაშვილი 1911-ში, ვახტანგ კოტეტიშვილის პირველი წერილები დაიბეჭდა 1912-ში, კონსტანტინე გამსახურდიას პირველი ლექსები და კრიტიკული წერილები გამოქვეყნდა 1914-ში“ (*ვ. ბერძე*).

ჯერ კიდევ 1908 წელს დაარსდა მწერალთა საზოგადოება, რომელსაც ჰქონდა მუდმივი ხელმძღვანელი ორგანო – *საბჭო*. მან 1917 წლამდე იარსება – გამოსცა ბესიკის და ი. გრიშაშვილის ლექსების წიგნები, დააარსა ჟურნალი „გრდემლი“ (გამოვიდა მხოლოდ 3 ნომერი). 1917 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ შეიქმნა *ქართველ მწერალთა კავშირი*. მისმა დამფუძნებელმა კონფერენციამ დაამტკიცა წესდება და აირჩია კავშირის საბჭოს წევრები: კონსტანტინე გამსახურდია, შალდა დადიანი, პაოლო იაშვილი, პაოლე ინგოროყვა, კოტე მაყაშვილი, ტიციან ტაბიძე, ლეო ქიაჩელი. მწერალთა კავშირმა შეისყიდა ამჟამინდელი რუსთაველის თეატრის ქვემო სართული, იქ მოაწყო კაფე-რესტორანი „ქიმერიონი“ და კლუბი. პირველი იჯარით გასცეს და კავშირის არსებობის და შემოსავლის ერთგვარი წყარო იყო, ხოლო მეორეში ლიტერატურული შეხვედრები და ახალი ნაწარმოებების განხილვა იმართებოდა. უფრო ადრე, 1915-1916 წლების მიჯნაზე ქუთაისში დაარსდა მწერალთა საზოგადოება „ცისფერი ყანწები“ და მათივე ჟურნალი ამავე სახელწოდებით. პირველი „ცისფერყანწელები“ იყვნენ: პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, ვ. გაფრინდაშვილი, კოლაუ ნადირაძე და სხვ. 1918 წელს მათ რიგებს შეემატა: სერგო კლდიაშვილი, გიორგი ლეონიძე, რაჟდენ გვეტაძე, შალვა აფხაიძე, ნიკოლო მიწიშვილი. ცისფერყანწელთა ლოზუნგი იყო „ხელოვნება ხელოვნებისათვის“; თითქმის არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ ნაწარმოების იდეურ და შინაარსობრივ მხარეს; მათი შემოქმედება ფრანგული სიმბოლიზმისა და იმპრესიონიზმის ერთგული იყო და ამით, აგრეთვე, ქართული ლექსის დახვეწილი ფორმებით, პოეზიის მაღალი ნიმუშების შექმნით, მათ ქართული ლექსი იმდროინდელი მსოფლიო პოეზიის დონეზე აიყვანეს.

მართალია, გალაკტიონ ტაბიძის ლირიკული ლექსების გენიალური კრებული „არტისტული ყვავილები“ ჯერ კიდევ 1916 წელს გამოქვეყნდა, რომელსაც უახლოეს წლებში მისი არაერთი ქართული პოეზიის შედევრი მოჰყვა, მაგრამ არც მწერალთა კავშირში და არც ცისფერყანწელებში გალაკტიონი არ ჩანს. მიუხედავად ამისა, მის პოეტურ გენიას იმთავითვე ყველა აღიარებდა. ამის დადასტურებაა ის ფაქტი, რომ 1921 წლის იანვარში, ე.ი. საქართველოს გასაბჭოებამდე ერთი თვით ადრე, როდესაც მხატვრული სიტყვის თაყვანისმცემლებმა შეაჯამეს კონკურსის შედეგები (გალაკტიონს წარდგენილი ჰქონდა ლექსი „პოეზია უპირველეს ყოვლისა“), მას პოეტების მეფის ტიტული მიანიჭეს.

ამ წლებში გამოდიოდა მრავალი პოლიტიკური გაზეთი – ყველა პარტიას თავისი ბეჭდვითი ორგანო ჰქონდა, და მათ გვერდით – ლიტერატურული და სახელოვნებო ჟურნალი და გაზეთი. მათ შორის: „ცისარტყელა“, ყოველთვიური ჟურნალი მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის ცენტრალური გამგეობისა (გამოდიოდა 1919 წ-მდე); ცისფერყანწელთა ხუთი ჟურნალი – „ცისფერი ყანწები“, „მეოცნებე ნაიმორები“, „ბარიკადი“, „ბუნება და ხელოვნება“, „მშვილდოსანი“; რუსული ყოველთვიური „Ars“, სერგეი გორდეცკის რედაქტორობით, რომელშიც იბეჭდებოდა თანამედროვე ქართველი პოეტების ნაწარმოებთა რუსული თარგმანები, წერილები ხელოვნებისა და კულტურის საკითხებზე და სხვ.

ახალი დროის ქართულ ეროვნულ მხატვრობას XIX ს-ის დასასრულს, ან ამაზე ცოტათი ადრე ჩაეყარა საფუძველი, როდესაც შემოქმედებით ასპარეზზე გამოვიდნენ ახალგაზრდა ქართველი ფერმწერები – რომანოზ გველესიანი, ალექსანდრე ბერიძე, გიგო გაბაშვილი, დავით გურამიშვილი, ალექსანდრე მრევლიშვილი, მოსე თოიძე, მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე. მაგრამ ქართული მხატვრობის ნამდვილი აყვავება დემოკრატიული რესპუბლიკის წლებს უკავშირდება. მართალია, გამოჩენილმა ქართველმა მხატვრებმა – დავით კაკაბაძემ, ლადო გუდიაშვილმა, ელენე ახვლედიანმა და სხვ. თავიანთი ხელოვნება პარიზში სწავლისა და შემოქმედებისას დახვეწეს, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ საფრანგეთში გამგზავრებამდე სავსებით ჩამოყალიბებული, ეროვნული, განუმეორებელი ინდივიდუალობის მხატვრები იყვნენ. სწორედ ამ წლებში შეიქმნა დავით კაკაბაძის შედევრები: „იმერული ნატურმორტი“ (1918), „იმერეთი – დედაჩემი“ (1918), „იმერეთი. წითელი გზა“ (1918), კაფე „ქიმერიონის“ მოხატვის ესკიზები (1919). პარიზში გამგზავრების შემდეგ, 1920 წლიდან სავსებით გააზრებულად იგი გახდა აბსტრაქტული მხატვრობის მიმდევარი, შექმნა ამ დარგშიც რამდენიმე შედევრი და ამასთანავე, ხელი არ აუღია არც რეალისტურ გამოსახვაზე. ჭეშმარიტად ახალი სიტყვა იყო ქართულ მხატვრობაში ლადო გუდიაშვილის მიერ შექმნილი „კინტოების სერია“: „ხაში“ (1919), „კინტოების ქეიფი ქალთან“ (1919), „სადღეგრძელო გარიერაჟზე“ (1920), „თევზი – ცოცხალი“ (1920), აგრეთვე „ნადირობა“ და მრავალი სხვა.

1916 წელს მიუნხენიდან დაბრუნებულმა დიმიტრი შევარდნაძემ დააარსა ქართველ ხელოვანთა საზოგადოება, რომლის თავმჯდომარედ აირჩიეს ცნობილი საზოგადო მოღვაწე გიორგი ჟურული, ხოლო მის მოადგილედ დიმიტრი შევარდნაძე – საზოგადოების საქმიანობის ფაქტიური წარმმართველი. წესდების მიხედვით, ხელოვანთა საზოგადოების მიზანი იყო მხატვართა, მოქანდაკეთა და ხუროთმოძღვართა შეკავშირება, მათი დაახლოება; ხელოვნების ნიმუშების შეგროვება, შესწავლა, სამხატვრო გალერეის და მასთან ბიბლიოთეკის დაფუძნება; ჟურნალის გამოცემა ქართულ და სხვა ენებზე, პრემიების დაარსება და გაცემა, სამეცნიერო ექსპედიციების მოწყობა ქართული ხელოვნების

ძეგლების შესასწავლად, მხატვართა და ხელოვნების მკვლევართა მატერიალური უზრუნველყოფისათვის ზრუნვა და სხვ. მართლაც, 4-5 წელიწადში საზოგადოებამ ბევრი რამის გაკეთება მოასწრო.

1919 წელს საზოგადოების რეკომენდაციით საქართველოს მთავრობამ სახელმწიფოს ხარჯზე საფრანგეთში მივლინებით გააგზავნა დავით კაკაბაძე, ლადო გუდიაშვილი, შალვა ქიქოძე. საზოგადოებამ შესძლო რამდენიმე სამხატვრო გამოფენის მოწყობა, მათ შორის გამორჩეული იყო 1919 წლის 4 მაისს დიდების ტაძარში მოწყობილი გამოფენა „თანამედროვე ქართული მხატვრობა და ქანდაკება“, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია. აქ პირველად გამოიფინა ნიკო ფიროსმანაშვილის ტილოები და გამოფენისადმი მიძღვნილ რეცენზიაში პირველად ეწოდა მას გენიალური. მოსე თოიძეს მთავრობამ გამოუყო სპეციალური რკინიგზის ვაგონი და მან მოძრავი გამოფენა მოაწყო; კერძოდ, ქართველ მხატვართა ნამუშევრები გააცნო გორის, სურამის, ახალსენაკის, ფოთის, ბათუმის და ბორჯომის მაცხოვრებლებს. 1920 წელს იტალიაში და პარიზში მოეწყო ქართველი მხატვრების გამოფენები, რომლებმაც დიდი მოწონება დაიმსახურეს, იქამდე, რომ ლადო გუდიაშვილის ორი ტილო შეიძინეს მადრიდის ეროვნული გალერეისათვის.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის წლებში განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწია ეროვნულმა მუსიკალურმა ხელოვნებამ. ზრუნვა მისადმი ჯერ კიდევ XIX ს-ის 70-იანი წლებიდან იწყება, როდესაც გამოდის ხალხური სიმღერების კრებულები შედგენილი ა. ბენაშვილის, ზ. ჩხიკვაძის, ია კარგარეთელის და სხვათა მიერ. 1882 წელს არსდება მელიტონ ბალანჩივაძის, ხოლო 1885 წელს ლადო აღნიაშვილის გუნდები; გამოჩნდნენ პროფესიონალური მუსიკის შემსრულებლები: პიანისტი ალოიზ მიზანდარი, ვიოლინისტი და კომპოზიტორი ანდრია ყარაშვილი, დირიჟორი ივანე ფალიაშვილი, ოპერის მომღერალი ფილიმონ ქორიძე და სხვ. ჯერ კიდევ XIX ს-ის დასასრულს მელიტონ ბალანჩივაძემ დაიწყო ოპერა „თამარ ცბიერის“ (შემდეგში –„დარეჯან ცბიერი“) წერა. 1912 წ. ზაქარია ფალიაშვილი შეუდგა „აბესალომ და ეთერის“ წერას, 1917 წელს დაარსდა თბილისის კონსერვატორია, ხოლო ჯერ კიდევ 1905 წლიდან არსებობდა „ქართული ფილარმონიული საზოგადოება“, დაარსებული ზაქარია ჩხიკვაძის მიერ; ამავე წლებში დაარსდა მომღერალთა გუნდები: „ქართული ეროვნული გუნდი“ მიხეილ კავსაძის ლოტბარობით, „დასავლეთ საქართველოს ხალხურ მომღერალთა გუნდი“ ძუკუ ლოლუას ხელმძღვანელობით. სამხედრო კავშირის ქალ-ვაჟთა გუნდი ნიკო სულხანიშვილის ხელმძღვანელობით, კოოპერატივთა კავშირის კაპელა (1919) დ. არაყიშვილის ხელმძღვანელობით და სხვ. 1918 წლის ივნისში დიმიტრი არაყიშვილის ნაწარმოებების მიხედვით მოეწყო კონცერტი, რომელმაც დიდი აღფრთოვანება გამოიწვია, ხოლო 1919 წლის 16 მაისს სახელმწიფო ოპერაში გაიმართა სასულიერო კონცერტი, რომელზეც

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესრულდა დ. არაყიშვილის „ახალი ლიტურგია“.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ბუნებრივია, გამოცხადდა კონკურსი ეროვნული ჰიმნის, დროშის და გერბის შესაქმნელად. 1918 წლის 1 ივნისს კონკურსზე 11 ჰიმნი შესრულდა. საუკეთესოდ ცნეს ნ. სულხანიშვილის და კ. ფოცხვერაშვილის მიერ წარდგენილი ჰიმნი, მაგრამ ოფიციალურად არც ერთი არ დამტკიცდა. დროებით, ჰიმნად დატოვეს ჯერ კიდევ 1918 წლის 26 მაისს, დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს შესრულებული კოტე ფოცხვერაშვილის „დიდება“. გერბის ავტორი იყო ცნობილი მხატვარი იოსებ შარლემანი, რომელსაც კონსულტაციებს ამ საქმეში დიმიტრი შევარდნაძე უწევდა, ხოლო დროშისა – მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე.

იმდროინდელ თბილისში საოპერო სპექტაკლები იმართებოდა რუსულ სახაზინო (სახელმწიფო) თეატრში. დასში მხოლოდ რამდენიმე ქართველი მომღერალი და ბალეტის მოცეკვავე ირიცხებოდა; ორკესტრი 48 წევრისაგან შედგებოდა. მრავალფეროვანი იყო საოპერო თეატრის რეპერტუარი; მაგ., 1918 წელს დაიდგა „სევილიელი დალაქი“, „ტოსკა“, „ტრავიატა“, „ევგენი ონეგინი“, „ნერონი“, „მარგალიტის მაძიებელნი“, „ლაკმე“, „გოფმანის ზღაპრები“, ს. ევლახიშვილის რამდენიმე საბალეტო დადგმა და სხვ., მაგრამ ქართული საზოგადოება ოპერის გაეროვნულებას და ქართული ოპერების დადგმას მოითხოვდა, რომლებზეც მუშაობა ჯერ კიდევ დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე იყო დაწყებული.

1918 წელს 21 მაისს და შემდეგ კიდევ ხუთჯერ დაიდგა რევაზ გოგნიაშვილის პირველი ქართული ოპერა „ქრისტინე“ შექმნილი ეგნატე ნინოშვილის მოთხრობების და პოლიო ირეთელის პიესის მიხედვით. იგი სამ მოქმედებიანი და ოთხ სურათიანი სპექტაკლი იყო. დადგმის ხელმძღვანელი და დირიჟორი ყოფილა ნიკოლოზ ქართველიშვილი. რ. გოგნიაშვილს მეორე ოპერაც („ჯუდიანი“) დაუწერია, რომელიც არ დადგმულა. დღეს, რ. გოგნიაშვილიც და მისი ოპერებიც სრულებით დავიწყებულია.

1919 წლიდან დაიწყო ქართული ეროვნული ოპერის ტრიუმფალური სვლა. ამ დროს ოპერის თეატრის მმართველი (კომისარი) იყო 1918 წელს დანიშნული ალექსანდრე წუწუნავა – ზოგიერთი თანამედროვე შეფასებით, ყველაზე დიდი ქართველი საოპერო რეჟისორი. 5 თებერვალს ოპერის თეატრში დაიდგა დიმიტრი არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე“ – რეჟისორი ა. წუწუნავა, მხატვარი ალ. ზალცმანი, დირიჟორი ს. სტოლერმანი; რუსთაველის პარტიას ასრულებდა ვანო სარაჯიშვილი, აბდულარაბისას – სანდრო ინაშვილი, თამარისას – სპიტკო. სპექტაკლმა დიდი წარმატებით ჩაიარა, დარბაზი ხალხს ვერ იტევდა. სპექტაკლის შემდეგ ავტორს საზეიმოდ გადაეცა გვირგვინი, რომელიც ეროვნული დროშით იყო შემკული. ორი კვირის შემდეგ, 20 თებერვალს დაიდგა ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“. სპექტაკლს დაესწრნენ მთავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობის წევრები, დეპუტატები, ამერიკის მისიის წევრები. წარმოდგენამ დიდი წარმატებით ჩაიარა. ზ. ფალიაშვილი თეთრი გიორგის ორდენით დაჯილდოვეს. გარდა ამისა, მთავრობამ ორივე კომპოზიტორი ათას-ათასი თუმნით დაჯილდოვა. 11 დეკემბერს დაიდგა ვიქტორ დოლიძის „ქეთო და კოტე“, რომელსაც ასევე დიდი წარმატება ხვდა წილად. მაღალ დონეზე შექმნილი ეს სამივე ოპერა ისეთი ფეხბედნიერი გამოდგა, რომ ისინი მას შემდეგ არ ჩამოსულა ქართული სცენიდან – უფრო მეტი, უცხოეთშიც არაერთხელ დაიდგა. ეს განაპირობა, ერთი მხრივ, ამ ოპერების ღრმა ეროვნულობამ და, მეორე მხრივ, მათმა შექმნამ ევროპული საოპერო მუსიკალური კულტურის დონეზე. ეს პოზიცია ყველაზე კარგად გამოხატა დიმიტრი არაყიშვილმა 1919 წელს ჟურნალ „თეატრი და მუსიკაში“ გამოქვეყნებულ სტატიაში: „მე ვცდილობ გავაბა უხილავი ძაფები საქართველოს და ევროპის შუა“. და ასე იყო ეს იმ დროინდელ არა მარტო ქართულ სამუსიკო ხელოვნებაში, არამედ მხატვრული შემოქმედების ყველა დარგში.

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომი დროის ქართული თეატრი დიდი წარმატებებით არ გამოირჩეოდა. ამ დროს საქართველოში არსებობდა მსახიობთა ორი დაჯგუფება – მსახიობთა კავშირი და 1918 წელს პარიზიდან ჩამოსული გიორგი ჯაბადარის სტუდია (იგი ოდეონის თეატრში მუშაობდა). პირველში გაერთიანებულნი იყვნენ ძველი თაობის, დამსახურებული არტისტები, ქართული სცენის კორიფეები: მაკო საფაროვა, ვასო აბაშიძე, ნინო ჩხეიძე, ლადო მესხიშვილი, შ. დადიანი, ვ. შალიკაშვილი და სხვ. ხოლო გ. ჯაბადარის სტუდიის გარშემო თავი მოიყარეს ან ამ სტუდიიდან გამოვიდნენ: ვერიკო ანჯაფარიძე, მიხეილ გელოვანი, აკაკი ვასაძე, შალვა ღამბაშიძე, უშანგი ჩხეიძე, მიხეილ ჭიაურელი და სხვ. ამავე სტუდიამ რეჟისორებად მოიწვია ზ. ბერიშვილი, ა. ფალავა, კ. შათირიშვილი. მთავრობამ მათ მისცა ახალი თეატრალური სეზონის გახსნა. ამით ძველი თეატრალები ნაწყენები დარჩნენ. ვერც ერთმა და ვერც მეორე მხარემ რაიმე გამორჩეულ წარმატებას ვერ მიაღწია. სტუდიამ დადგა როსტანის, ჰაუპტმანის, ს. ჭანტურიშვილის პიესები, გ. ჯაბადარმა წიგნიც გამოსცა – „დიქცია მსახიობებისა და ორატორებისათვის“, მაგრამ მის სტუდიას დიდი დაბრკოლებები გადაეღობა, იგი 1920 წ. დაიხურა, ხოლო გ. ჯაბადარი საფრანგეთში დაბრუნდა.

მოხდა ისე, რომ ქართულ კინემატოგრაფიას საფუძველი ჩაეყარა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. მართალია, ჯერ კიდევ 1912 წელს ვასილ ამაშუკელმა გადაიღო აკაკი წერეთლის რაჭაში მოგზაურობა, მაგრამ ეს მაინც დოკუმენტური კინოს სფეროს განეკუთვნებოდა. პირველი ქართული მხატვრული ფილმი 1918 წელს იქნა გადაღებული და ეს იყო კინორეჟისორ გერმანე გოგიტიძის „ქრისტინე“ ე. ნინოშვილის მოთხრობის მიხედვით (ზოგიერთი მოსაზრებით, ამ ფილმის რეჟისორია ალ. წუწუნავა, ოპერატორი

ალ. დიღმელოვი და მხატვარი დიმიტრი შევარდნაძე, რომელიც ამის გამო ვე დარგის პიონერად ითვლება ქართულ კინემატოგრაფიაში). მანამდე, თბილისში შეიქმნა ქართული კინომატოგრაფიის საზოგადოება. იგი კერძო ფირმა იყო და გადაწყდა შეედგინათ საგანგებო დასი კინოს მსახიობების მოსამზადებლად. საზოგადოებას გააჩნდა აქციონერული კაპიტალი 10 მილ. მანეთი; განათლების სამინისტრომ ატელიეს წინადადება მისცა კინოწარმოება გაეზარდათ იქამდე, რომ წელიწადში 55 ფილმის გადაღება შესძლებოდა. მთავრობა იმთავითვე გვერდში დაუდგა კინოს ძვირადღირებულ მრეწველობას და 1919 წლის დადგენილებით კინოხელოვნების განვითარებისათვის 13 მილ. მანეთი გამოყო.

1918-1920 წლებში გადაღებული ქართული მხატვრული ფილმი არ შემორჩენილა, სამაგიეროდ მოაღწია იმ დროს გადაღებულმა რამდენიმე მეტად მნიშვნელოვანმა დოკუმენტურმა ფირმა, რომელთა შექმნაშიც ასევე დიდია გ. გოგიტიძის ღვაწლი. კერძოდ, ესენია 1918 წლის 12 დეკემბერს გამართული სახალხო გვარდიის დღესასწაული, დამფუძნებელი კრების გახსნა, ბათუმის საზავო კონფერენცია, 1919 წლის 26 მაისის ეროვნული დღესასწაული მიძღვნილი დამოუკიდებლობის პირველი წლისთავისადმი; 4-ნაწილიანი ფილმი „ევროპის სოციალისტური დელეგაციის ჩამოსვლა საქართველოში“, გადაღებული 1920 წელს. სამხედრო საისტორიო არქივის გამგეს ს. ერაძეს გადაუღია კათალიკოს-პატრიარქ კირიონ II-ის დაკრძალვა (მოკლეს 1918 წლის ივნისის ბოლოს. ფილმი არ შემონახულა). იმ დროის თბილისში არსებობდა კინოთეატრები: „აპოლო“, „ამირანი“, „სოიუზი“, „მინიონი“, „კოლიზეი“ და სხვ. კინოთეატრები არსებობდა ქუთაისში („რადიუმი“) და სხვა ქალაქებში.

5. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო ურთიერთობანი და ქვეყნის ანექსია საბჭოთა რუსეთის მიერ

1918 წლის დამლევს გერმანელებმა დატოვეს საქართველო და აქ ინგლისის ჯარი შემოვიდა, რომელმაც ბათუმის ოლქის ოკუპაცია განახორციელა. 1920 წლის ზაფხულში ინგლისის ჯარმა დატოვა საქართველო და ბათუმის ოლქი საქართველოს გადასცა.

1919 წ. იანვარში საქართველოს ჩრდილო-დასავლეთის საზღვარი გადმოლახა გენერალ დენიკინის მოხალისეთა არმიამ, რომელმაც დაიპყრო აფხაზეთის ტერიტორია მდ. ბზიფამდე.

საბჭოთა რუსეთის მთავრობა უარყოფითად შეხვდა საქართველოს დამოუკიდებლობას. მან არ სცნო არც საქართველოს დამოუკიდებლობა, არც მისი მთავრობა.

დასავლეთის ქვეყნებშიც თავს იკავებდნენ საქართველოს დამოუკიდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბლობის იურიდიული აღიარებისაგან. მათ არ სურდათ რუსეთთან ურთიერთობის გართულება საქართველოს გამო. პარიზის საზავო კონფერენციამ (1919 წ.) ამ მოტივით თავი შეიკავა მიეღო რაიმე გადაწყვეტილება საქართველოს შესახებ.

მხოლოდ არგენტინამ სცნო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა 1919 წლის 13 ნოემბერს.

მდგომარეობა შეიცვალა მას შემდეგ, რაც საბჭოთა რუსეთმა სცნო „დე იურე“ საქართველოს დამოუკიდებლობა. ეს მოხდა 1920 წლის 7 მაისს, როდესაც ამ ორ ქვეყანას შორის დაიდო ხელშეკრულება.

1920 წლის დამდეგს წითელმა არმიამ დაამარცხა დენიკინის არმია და ამიერკავკასიის საზღვრებს მოადგა.

1920 წლის აპრილის დამლევს საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა აზერბაიჯანში. XI წითელი არმიის სარდლობამ მაშინვე დააყენა საქართველოში შემოსვლის საკითხი.

სწორედ ამ დროს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ინიციატივით, დაიწყო მოლაპარაკება საბჭოთა რუსეთთან სამშვიდობო ხელშეკრულების დადებაზე. მთავრობა იმედოვნებდა, რომ ხელშეკრულება ააცილებდა მას წითელი არმიის თავდასხმას.

1920 წ. 7 მაისის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს მიხეილ კარახანმა (საგარეო საქმეთა სახლახო კომისრის გიორგი ჩიჩერინის მოადგილე) და გიორგი ურატაძემ.

ხელშეკრულების მეორე მუხლით საბჭოთა რუსეთი ვალდებულებას იღებდა არ ჩარეულიყო საქართველოს საშინაო საქმეებში. ორივე მხარე კისრულობდა ვალდებულებას არ დაეშვათ თავიანთ ტერიტორიაზე მეორე მხარისადმი მტრულად განწყობილი ორგანიზაციებისა და შეიარაღებული ძალების მოქმედება.

ხელშეკრულების საიდუმლო დამატებაში საქართველოს კომუნისტური პარტიის ორგანიზაციებს ლეგალური მუშაობის უფლება ეძლეოდათ.

1920 წლის შემოდგომაზე მეორე ინტერნაციონალის ბელადები ეწვივნენ საქართველოს, რათა პირადად გასცნობოდნენ პირველი სოციალ-დემოკრატიული დამოუკიდებელი მთავრობის საქმიანობას. ამის შედეგად საქართველოს დემოკრატირული რესპუბლიკა სცნეს: გერმანიამ, ინგლისმა, საფრანგეთმა, ბელგიამ, იტალიამ, იაპონიამ, პოლონეთმა, ავსტრიამ, რუმინეთმა, ლუქსემბურგმა, მექსიკამ.

მაგრამ დასავლეთ ევროპის ქვეყნები საქართველოსადმი რეალურ დახმარებას მაინც უპერსპექტივოდ თვლიდნენ, რადგანაც ითვალისწინებდნენ, რომ რუსეთი არ შეურიგდებოდა მის დამოუკიდებლობას. ამიტომაც საქართველო ერთა ლიგაში არ მიიღეს.

საბჭოთა რუსეთის პირველ ელჩობას საქართველოში სერგეი კიროვი

ხელმძღვანელობდა. მას უნდა შეემზადებინა ნიადაგი საქართველოს მთავრობის დასამხობად. აქ მთავარი როლი ეკისრებოდა საქართველოს კომპარტიას, რომლის მუშაობა ლეგალიზებული იქნა 1920 წლის 7 მაისიდან, მაგრამ კომუნისტურმა პროპაგანდამ ვერ გაზარდა ბოლშევიკების გავლენა ქართველ ხალხში.

1921 წელს საბჭოთა რუსეთს შეექმნა ხელსაყრელი ვითარება - განადგურებულ იქნა გენერალ ვრანგელის არმია, დამთავრდა ომი პოლონეთთან. ასეთ პირობებში შემუშავდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების გეგმა.

საქართველოში შემოჭრის საბაბად საბჭოთა მთავრობამ გამოიყენა ლორეს ნეიტრალურ ზონაში შექმნილი ვითარება. 1920 წლის 13 ნოემბერს საქართველოსა და სომხეთის მთავრობები შეთანხმდნენ, რომ ლორეს ნეიტრალურ ზონას 3 თვით მთლიანად დაიკავებდა საქართველოს ჯარი. ნოემბრის დამლევს სომხეთში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. სომხეთის საბჭოთა მთავრობამ მოითხოვა ნეიტრალური ზონიდან ქართული ჯარის გაყვანა. რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიურომ (კავკასიის ბიურომ) ლ. ლაზიანს დაავალა ნეიტრალურ ზონაში აჯანყების ინსპირირება. „აჯანყება“ 11 თებერვალს დაიწყო ბორჩალოს მაზრაში. 14 თებერვალს ვლადიმერ ლენინმა დეპეშა გაუგზავნა XI არმიის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს იმის შესახებ, რომ ცეკა მზადაა ნება დართოს XI წითელ არმიას დაეხმაროს აჯანყებულებს და დაიკავოს თბილისიც, თუ წარმატების გარანტია იქნება. 15 თებერვალს იოსებ სტალინი სერგო ორჯონიკიძეს აცნობებდა, რომ მას დაუყონებლივ შეეტია და დაეკავებინა თბილისი.

16 თებერვალს შეიქმნა საქართველოს რევკომი შულავერში, რომელმაც საბჭოთა რუსეთს სამხედრო დახმარება სთხოვა. ამ დროს წითელი არმია უკვე შემოსული იყო საქართველოს ტერიტორიაზე.

წითელ არმიას წინააღმდეგობას უწევდა საქართველოს რეგულარული არმია და გვარდია. მწვავე ბრძოლები გაიმართა სოღანლუღში, კოჯორთან, ტაბახმელასთან, კახეთ-ზაქათალის ხაზზე და სხვ.

1921 წლის 25 თებერვალს წითელმა არმიამ თბილისი დაიკავა. საომარი ოპერაციები მარტის მეორე ნახევარში დასრულდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ემიგრაციაში წავიდა და საფრანგეთში დაფუძნდა.

6. საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენა და განმტკიცება

1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შედეგად, რუსეთში ცარიზმის დამხობის შემდეგ, საქართველოში შეიქმნა ხელსაყრელი პირობები საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. 1917 წელის 12 მარტს

(ახალი სტილით 25 მარტს, ხარება დღეს) მცხეთის სვეტიცხოველში შეკრებილმა ქართველმა სამღვდელოებამ ახალი დროის საქართველოს პირველ საეკლესიო კრებაზე მიიღო გადაწყვეტილება, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ „12 მარტიდან გრძელდება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია“. მაშასადამე, 100 წლის წინათ რუსეთის ხელისუფლების მიერ შეჩერებული, ფაქტიურად გაუქმებული საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, ანუ დამოუკიდებელი თვითმწყსობა კვლავ განახლებულ იქნა. საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენა ერთ წელზე მეტი ხნით წინ უსწრებს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას. ეს იყო შედეგი იმ თავდადებული და გმირული ბრძოლისა, რომელსაც ქართული სამღვდელოება ეწეოდა, საზოგადოების მოწინავე პროგრესულ ნაწილთან ერთად, XX ს-ის დასაწყისიდან, საქართველოს ეკლესიის რუსეთის სინოდისგან განთავისუფლებისა და დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. ავტოკეფალიის აღდგენის გამოცხადების დღეს საქართველოს ეკლესიის გამგედ, კათალიკოს-პატრიარქის არჩევამდე, დაინიშნა გურია-ოდიშის ეპისკოპოსი ლეონიდე (ოქროპირიძე), ერთ-ერთი თავდადებული მებრძოლი საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის მოპოვებისა XX ს-ის დასაწყისიდან ეპისკოპოს კირიონთან (საძაგლიშვილი), არქიმანდრიტ ამბროსისთან (ხელაია), დეკანოზ კალისტრატესთან (ცინცაძე) და საქართველოს ეკლესიის სხვა წარმომადგენლებთან ერთად. იმავე საგანგებო საეკლესიო კრების დადგენილებით, საქართველოს ეკლესიის მმართველობა დაევალა აღმასრულებელ კომიტეტს, რომელშიც შევიდნენ როგორც სასულიერო, ისე საერო პირები.



კირიონ ეპისკოპოსი, შემდეგში – კათალიკოს-პატრიარქი (1917-1918).

1917 წელის მარტიდან დღემდე, თითქმის 100 წლის განმავლობაში, საქართველოს ეკლესიამ რთული, წინააღმდეგობებით, ზოგჯერ წარუმატებლობებითა და დამარცხებებით, მაგრამ მაინც წარმატებული და გამარჯვებებით აღსავსე გზა განვლო.

1917 წლის მარტიდან სექტემბრამდე ჩატარდა მოსამზადებელი სამუშაოები: შემუშავდა საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება, განისაზ-

ღვრა ეპარქიათა რაოდენობა, რუსეთიდან დაბრუნდა ეპისკოპოსი კირიონი, თავდადებული მებრძოლი საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის, როგორც სიტყვით, ისე საქმით და ამასთანავე, გამოჩენილი მეცნიერი, ავტორი მრავალრიცხოვანი შრომებისა საქართველოს ისტორიასა და საქართველოს ეკლესიის ისტორიაში. მის ჩამოსვლას სიყვარულითა და პატივისცემით შეხვდა იმდროინდელი საზოგადოება.

1917 წლის 17 სექტემბერს დაინიშნა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის არჩევნები. ორი კანდიდატიდან – მიტროპოლიტი ლეონიდი და ეპისკოპოსი კირიონი, კათალიკოს-პატრიარქად აირჩიეს ეპისკოპოსი კირიონი, რომელიც კირიონ II-ის სახელით საზეიმოდ ეკურთხა მცხეთის სვეტიცხოველში. მას მეტად რთულ ვითარებაში მოუხდა მოღვაწეობა. 1918 წლის 27 მაისს, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების მეორე დღეს, თბილისში, ამჟამინდელ თავისუფლების მოედანზე, კათალიკოს-პატრიარქმა კირიონ II-მ სამადლობელი პარაკლისი გადაიხადა და შესანიშნავი სიტყვით მიმართა შეკრებილ საზოგადოებას. სამწუხაროდ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებამ შესაფერისი ყურადღება ვერ დაუთმო საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას – რამდენიმე საკანონმდებლო აქტით შეზღუდა მისი უფლებები და იგი გაუთანაბრა საქართველოში მოქმედ სხვა რელიგიურ მიმდინარეობებს. ტრაგიკული აღმოჩნდა კათალიკოს-პატრიარქ კირიონ II-ის აღსასრული – იგი 1918 წ. 17 ივნისს, მარტყოფის მონასტერში, დღემდე დაუდგენელ ვითარებაში მოკლეს.

1920 წელს თბილისში გაიმართა II საეკლესიო კრება, რომელმაც განიხილა შემდეგი საკითხები: ეკლესიის გამოყოფა სახელმწიფოსაგან, სასულიერო სასწავლებლების გადაცემა განათლების სამინისტროსათვის, მცხეთა-თბილისის ეპარქიის გაერთიანება და ეკლესიის ბიუჯეტი. კათალიკოს-პატრიარქად აირჩიეს მიტროპოლიტი *ლეონიდე*. მასაც ასევე რთულ საგარეო და საშინაო ვითარებაში მოუხდა მოღვაწეობა.

1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ რუსეთში აღდგა პატრიარქობა. რუსეთის პატრიარქი ტიხონი აგრძელებდა რუსეთის სინოდის დიდმპყრობლურ პოლიტიკას საქართველოს ეკლესიის მიმართ – 1917 წლის 20 დეკემბერს საქართველოს ეკლესიისადმი გამოგზავნილ წერილში მან უარყოფითად შეაფასა საქართველოს ეკლესიის მიერ ავტოკეფალიის აღდგენა. იგი მოითხოვდა საქართველოს ეკლესიის მესვეურთა რუსეთის საეკლესიო კრებაზე დასწრებას და „ცთომილებათა მონანიებას“. კათალიკოს-პატრიარქმა *ლეონიდემ* 1919 წლის 5 აგვისტოს გაგზავნილ საპასუხო წერილში ღირსეული პასუხი გასცა რუსეთის ეკლესიის მეთაურს, რომელშიც დაასაბუთა თუ რამდენად მცდარი იყო მისი უკანონო მოთხოვნები. თბილისში წითელი არმიის შემოსვლამდე ხუთი დღით ადრე, 1921 წლის 20 თებერვალს კათალიკოს-

პატრიარქმა ლეონიდმა სიტყვა წარმოთქვა სამხედრო დიდების ტაძრის ეზოში (იდგა დღევანდელი პარლამენტის შენობის ადგილას) და ხალხს მოუწოდა მთავრობისა და ხელისუფლებისათვის მხარდაჭერისაკენ. 1921 წლის 25 თებერვალს წითელი არმიის მიერ თბილისის დაპყრობა მან მტკივნეულად გადაიტანა. საქართველოს დედაქალაქში იმ დროისათვის შექმნილ უკიდურესად მძიმე ეკონომიკურ და ეპიდემიურ ვითარებაში, კათალიკოს-პატრიარქ ლეონიდეს შავი ჭირი შეეყარა და 1921 წლის 11 იანვარს გარდაიცვალა.



ეპისკოპოსი ალექსანდრე და ეპისკოპოსი ლეონიდე (შემდეგში – კათალიკოს-პატრიარქი, 1918-1921 წწ.).

1921 წლის 1-5 სექტემბერს გელათში გაიმართა საქართველოს ეკლესიის III საეკლესიო კრება, რომელმაც სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქად აირჩია ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი *ამბროსი* (ხელაია). უმძიმესი იყო საქართველოს ეკლესიის ახალი დროის ისტორიაში ის პერიოდი, რომელშიც მოუხდა მოღვაწეობა უწმინდეს ამბროსის. 1921 წლიდან დაიწყო საქართველოში ეკლესია-მონასტრების მასობრივი დახურვა და მათგან საეკლესიო ქონების – საუკუნეების განმავლობაში აქ დაგროვილი ხატების, ჯვრების სიწმინდის სამსახურებლების და სხვ. გატანა და გაყიდვა ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ. ხელი მიჰყვეს საეკლესიო წიგნების – მღვდელმსახურებისათვის საჭირო აუცილებელი კომპონენტის ცეცხლში მასობრივად დაწვა-გადნადგურებას. საჭირო იყო გადამჭრელი ზომების მიღება და ამ ბარბაროსობას წინ აღუდგა კათალიკოს-პატრიარქი ამბროსი. 1922 წლის 7 თებერვალს მან მემორანდუმით მიმართა გენუის საერთაშორისო კონფერენციას, რომელშიც ამხელდა ბოლშევიკური ხელისუფლების ანტირელიგიურ, ფაქტობრივად – ანტიახალმნიფოებრივ და ანტიეროვნულ პოლიტიკას. მოითხოვდა კონფერენციის მიერ ამ პოლიტიკის დაგმობას და საქართველოდან რუსეთის საოკუპაციო ჯარების გაყვანას.

მემორანდუმის მოთხოვნები ასეთი იყო:

„1) დაუყოვნებლივ გაყვანილ იქმნეს საქართველოდან რუსეთის საოკუ-

პაციო ჯარები და უზრუნველყოფილ იქმნეს მისი მიწა-წყალი უცხოელთა თარეშობისა და მძლავრობა-მიტაცებისაგან.

2)საშუალება მიეცეს ქართველ ერს თვითონ, სხვათა ძალდაუტანებლივ და უკარნახოთ მოაწყოს ისეთი ფორმები სოციალ-პოლიტიკური ცხოვრებისა, როგორიც მის ფსიქიკას, სულისკვეთებას, ზნე-ჩვეულებას და ეროვნულ კულტურას შეესაბამება." (მემორანდუმი გენუაში წაიღო საკათალიკოსო საბჭოს მდივანმა, დეკანოზმა იასონ კაპანაძემ, რომელიც საქართველოში არ დაბრუნებულა).

ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ კათალიკოს-პატრიარქი დააპატიმრეს, პრესაში მის მიმართ ცილისმწამებლური კამპანია გააჩაღეს და სამღვდელოება კიდევ უფრო მეტად დაარბიეს და ააწიოკეს. სასამართლომ კათალიკოს-პატრიარქ ამბროსის 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა; მართალია, 1924 წლის ამნისტიით იგი გაათავისუფლეს, მაგრამ ფიზიკურად ღონემიხდილი პატრიარქი იმდენად დასუსტებული იყო, რომ თბილისის სიონში, წირვის დროს, როდესაც მან დალოცა ერი და ჯვარ-სანთლებით ამბიონზე შედგა, იგი ჩაიკეცა და გული ცუდად შეექნა. ამის შემდეგ მას დიდხანს აღარ უცოცხლია და 1927 წლის 27 მარტს გარდაიცვალა. 1996 წელს საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის დადგენილებით კათალიკოს-პატრიარქი ამბროსი, მიტროპოლიტ ნაზარისთან (ლეჟავა), მღვდელ სვიმონ მჭედლიძესთან და დიაკვან ბესარიონ კუხიანიძესთან – მის ერთგულ თანამებრძოლებთან ერთად, რომლებმაც ასევე იწვნიეს საბჭოთა ხელისუფლების რეპრესიების სიმწვავე, მათ შორის 1924 წელს ციხეში ჩასმა, წმინდანად იქნა შერაცხული.

1925 წლიდან კათალიკოს-პატრიარქ ამბროსის ლოცვა-კურთხევით თანამოსაყდრედ დაინიშნა ნინოწმინდელი მიტროპოლიტი *კალისტრატე* (ცინცაძე). ბუნებრივად, მომდევნო კათალიკოს-პატრიარქი ის უნდა გამხდარიყო, მაგრამ გარკვეული ძალების ზეწოლით იგი იძულებული შეიქმნა ამაზე უარი ეთქვა და 1927 წელს თბილისში გამართულ საქართველოს ეკლესიის IV საეკლესიო კრებაზე კათალიკოს-პატრიარქად აირჩიეს ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი *ქრისტეფორე III* (ციცქიშვილი). მის დროს კიდევ უფრო გაძლიერდა ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების მხრივ ეკლესიის მიმართ. 1929 წ. შეიქმნა „მებრძოლ უღმრთოთა კავშირი", რომლის საქმიანობამ საქართველოს ეკლესიის ყოფნა-არყოფნის საკითხი დააყენა. ეკლესიის უკიდურესად გართულებული მდგომარეობიდან გამოყვანის მიზნით, ქრისტეფორე III-მ გადაწყვიტა გადაედგა საბჭოთა ხელისუფლებასთან შემრიგებლური ნაბიჯი – მან ხელისუფლებისადმი ლოიალური კურსი გამოაცხადა. ამან, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, იმედგაცრუება და დიდი გულისტკივილი გამოიწვია, მაგრამ ფაქტია, რომ ამით საქართველოს ეკლესია ფიზიკურ განადგურებას გადაურჩა. ამ დროისათვის შენარჩუნებულ იქნა რვა მოქმედი ეპარქია: ალავერდის, ბოდბის, ნინოწმინდის, ქუთაის-გაენათის, ცხუმ-აფხაზეთის, წილკნის, ჭყონდიდის, მცხეთა-ბოლნისის. 1932 წელს კათალიკოს-

ეროვნული ბიბლიოთეკა



კათალიკოს-პატრიარქი ამბროსი (ხელაია). ფოტო გადაღებულია მისი არქიმანდრიტობის დროს.

პატრიარქი ქრისტეფორე III გარდაიცვალა.

1932 წ. VI საეკლესიო კრებამ კათალიკოს-პატრიარქად აირჩია მიტროპოლიტი *კალისტრატე* (ცინცაძე). თავისი 20-წლიანი პატრიარქობის მანძილზე უწმინდესმა კალისტრატემ საქართველოს ეკლესიაში მრავალი მნიშვნელოვანი ღონისძიება გაატარა. მან მოახდინა საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის რეორგანიზაცია. 1934 და 1937 წლებში მოიწვია VII და VIII საეკლესიო კრებები, რომლებზედაც საეკლესიო საბჭოს ნაცვლად შეიქმნა მხოლოდ სასულიერო პირებისაგან ჩამოყალიბებული სინოდი. იგი მთლიანად დაექვემდებარა კათალიკოს-პატრიარქის ერთპიროვნულ მართვა-გამგეობას და ენოდა კათალიკოსის თანა სინოდი. ასეთი მმართველობა განპირობებული იყო იმ უთანხმოებების დაძლევის, რომელიც არსებობდა კათალიკოს-პატრიარქსა და ზოგიერთ მღვდელმთავარს შორის. უწმინდეს კალისტრატეს მოწვევით 1943 წლის 25 ოქტომბერს თბილისში ჩამოვიდა რუსეთის პატრიარქის სერგის წამომადგენელი პიატიგორსკის მთავარეპისკოპოსი ანტონი. მოლაპარაკებების შედეგად რუსეთის ეკლესიამ სცნო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და ამ გადაწყვეტილების შესახებ აცნობა მართლმადიდებელ ეკლესიათა მეთაურებს. ამით საქართველოს ეკლესიას გზა გაუხსნა მსოფლიოს მართლმადიდებელ ეკლესიაებთან ურთიერთობების დასამყარებლად, რასაც საბოლოო ჯამში საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის და ავტოკეფალობის აღიარება უნდა მოჰყოლოდა. 1952 წელს კათალიკოს-პატრიარქი კალისტრატე გარდაიცვალა.

1952 წელს ჩატარდა IX საეკლესიო კრება, რომელმაც საქართველოს კათალიკოს-პატრიარქად აირჩია ურბნელი მიტროპოლიტი *მელქისედეკ III* (ფხალაძე). მის დროს სინოდში იყო სულ 5 მღვდელმთავარი. საქართველოს ეკლესიაში კრიზისი სუფევდა, რაც გამოწვეული იყო სასულიერო პირთა მაღალი ასაკით, მათი ხანდაზმულობით. ეკლესია ახალგაზრდა კადრების მწვავე ნაკლებობას განიცდიდა. ამ დროსვე საქართველოში გააქტიურდნენ სხვადასვა სექტები (მათ შორის განსაკუთრებით იეღოველები), ასევე, სომხურ-მონოფიზიტური ეკლესია. 1960 წ. კათალიკოს-პატრიარქი მელქისედეკ III გარდაიცვალა, რომელმაც სიკვდილის წინ ქუთაისელი მიტროპოლიტი ნაუმი (შავიანიძე) თავისთან იხმო და სთხოვა მისი გარდაცვალების შემთხვევაში საქართველოს კათალიკოს-პატრიარ-

ქის მოსაყდრის ადგილი დაეკავებინა, მაგრამ მოვლენები სხვანაირად წარიმართა. მიტროპოლიტმა ნაუმმა მელქისედეკ III-ს განუცხადა, რომ მოსაყდრის ადგილი მიტროპოლიტ ეფრემს უფრო ეკუთვნოდა. მაშინ კათალიკოს-პატრიარქმა მელქისედეკმა თანამოსაყდრედ ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი დატოვა, მაგრამ ამ უკანასკნელმაც უარი განაცხადა მიტროპოლიტ ეფრემის სასარგებლოდ.

1960 წელს თბილისში ჩატარდა საქართველოს ეკლესიის X საეკლესიო კრება, რომელმაც კათალიკოს-პატრიარქად ჭყონდიდელი და ბათუმ-შემოქმედელი მიტროპოლიტი *ეფრემ II* (სიდამონიძე) აირჩია. მის დროს საქართველოს ეკლესიაში მრავალი მნიშვნელოვანი ღონიძიება განხორციელდა. 1963 წლის 14 ოქტომბერს გაიხსნა ორწლიანი სამოძღვრო კურსები, რომლის პირველ რექტორად დაინიშნა იმავე წლის 26 აგვისტოს ბათუმ-შემოქმედის ეპისკოპოსად ნაკურთხი ილია შიოლაშვილი-ღუდუშაური. რამდენიმე წლის შემდეგ ეს კურსები გადაკეთდა სამწლიან სასულიერო სემინარიად, რომელიც პრაქტიკული მოღვაწეობისათვის საჭირო სასულიერო პირებს ამზადებდა. სემინარია არსებობდა მცხეთაში, სამთავროს მონასტერთან. 1963 წელს საპატრიარქომ გამოსცა „ახალი აღთქმა“, ყოველწლიურად გამოდიოდა საეკლესიო კალენდარი. 1972 წელს კათალიკოს-პატრიარქი ეფრემ II გარდაიცვალა.

1972 წელს გაიმართა XI საეკლესიო კრება, რომელზედაც კათალიკოს-პატრიარქად აირჩიეს ალავერდელი მიტროპოლიტი *დავით X* (დევდარიანი). მისი ხუთწლიანი პატრიარქობის წლები მეტად მძიმე დროს დაემთხვა საქართველოს ეკლესიისათვის. ფორმალურად არსებული 15 ეპარქიის ნაცვლად, პრაქტიკულად 4 ეპარქია არსებობდა (ბოდბის, მანგლისის, თეთრიწყაროს, ცხუმ-აფხაზეთის), მათი მღვდელმთავრებიც თბილისის ეკლესიებში იყვნენ წინამძღვრებად. აქაც, მეტეხის ღმრთისმშობლის შობის ტაძარში ახალგაზრდული თეატრი იყო გახსნილი, წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში (ორთაჭალაში) ფოლკლორული საღამოები იმართებოდა, ხოლო ანჩისხატი მოქანდაკის სახელოსნოდ იყო გადაქცეული. 1977 წელს კათალიკოს-პატრიარქი დავით V გარდაიცვალა.

1977 წელს გაიმართა XII საეკლესიო კრება, რომელმაც კათალიკოს-პატრიარქად აირჩია ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი *ილია II* (შიოლაშვილი). იმავე წლის 25 დეკემბერს მცხეთის სვეტიცხოველში ჩატარდა ახალარჩეული კათალიკოს-პატრიარქის საზეიმო აღსაყდრება. ზეიმს სხვა ქვეყნების ეკლესიების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. მათ შორის - რუსეთის პატრიარქი პიმენი. ილია II-ის კათალიკოს-პატრიარქად არჩევით საქართველოს ეკლესიის ისტორიაში ახალი ერა დაიწყო. გაიზარდა მღვდელმთავართა რიცხვი, რომელიც ამჟამად 33-ია. ყველა ეპარქიას ჰყავს თავისი წინამძღოლი – ეპისკოპოსი, მთავარეპისკოპოსი ან მიტროპოლიტი. გაიხსნა ასობით უმოქმედო ეკლესია, აშენდა და შენდება ახალი ტაძრები, დედათა და მამათა მონასტრები. ახალგაზრდობა ეკლესიას მიაწყდა. 1988 წლის 1 ოქტომბერს თბილისში გაიხსნა სასულიერო

აკადემია. მცხეთიდან თბილისში გადმოვიდა სასულიერო სემინარია. აკადემია და სემინარია ეკლესიისათვის ამზადებს მაღალკვალიფიციურ კადრებს. აკადემიის პირველი რექტორი იყო წილკნელი ეპისკოპოსი ზოსიმე (შიოშვილი), მეორე – პროპოპრესვიტერი გიორგი გამრეკელი, მესამე მთავარეპისკოპოსი – აბრაამი (გარმელია), მეოთხე – თვითონ უწმინდესი და უნეტარესი ილია II, მეხუთე – ახალციხის, ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის მთავარეპისკოპოსი თეოდორე (ჭუაძე); ამჟამად რექტორია კვლავ უწმინდესი და უნეტარესი ილია II.

კათალიკოს-პატრიარქ ილია II-ის ძალისხმევით განმტკიცდა საქართველოს ეკლესიის საერთაშორისო ავტორიტეტი და კაუჭირები. საქართველოში სტუმრად იყვნენ მსოფლიო პატრიარქები დიმიტრიოს I და ბართოლომეოსი, ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის პატრიარქი დიოდოროსი, რუსეთის პატრიარქი პიმენი და სხვ. დიდი მნიშვნელობისაა 1990 წლის 25 იანვარს მსოფლიო საპატრიარქოს მიერ გამოცემული „საქართველოს უწმინდესი მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობისა და მტკიცების სიგელი“, რომელიც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებას წარმოადგენს. ფართოდ გაიშალა საგამომცემლო საქმიანობა: 1989 წელს დაიბეჭდა „ბიბლია“, ყოველწლიურად გამოდის საეკლესიო კალენდარი; 1978 წლიდან გამოდის ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“, „საღვთისმეტყველო კრებული“, გაზეთი „მადლი“; აგრეთვე, ეპარქიალური გაზეთები და სხვ.

თანამედროვე საქართველოში ფართოდ გაშლილი საეკლესიო-სამონასტრო მშენებლობის გვირგვინია თბილისში, ელიას მთაზე, გრანდიოზული საპატრიარქო ტაძრის აშენება, რომელიც წმ. სამების სახელობისაა. მისი მშენებლობა 2004 წელს დასრულდა და ერთ-ერთია იმ მრავალრიცხოვან და მრავალფეროვან ღონისძიებებს შორის, რომელიც საქართველოში გაიმართა ქრისტიანობის 2000 წელთან დაკავშირებით.

7. საქართველოს გასაბჭოება და სოციალისტური ტრანსფორმაცია

საბჭოთა რუსეთის ბოლშევიკური ხელისუფლება მიზნად ისახავდა აეშენებინა უკლასო სოციალისტური საზოგადოება. მსოფლიო ისტორიისათვის ამგვარი უპრეცედენტო სისტემის მშვიდობიანი რეფორმების გზით მშენებლობა განუხორციელებელი ქიმერა იყო. ამიტომ, ბოლშევიკებმა უტოპიური საზოგადოების ძალდატანებითი მეთოდებით, რეპრესიებით, მოწინააღმდეგეთა ფიზიკური განადგურებისა და ხელისშემშლელ ობიექტურ გარემოებათა ლიკვიდაციის გზით შექმნა გადაწყვიტეს.

საქართველოში ისინი პირველ რიგში სახელმწიფოებრივი, დემოკრატიული

და ეროვნული ინსტიტუტების ნგრევას შეუდგნენ. ქვეყანა ფორმალურად დამოუკიდებელი, „სოციალისტური“, სუვერენული სახელმწიფო იყო. თავდაპირველად, საქართველოს მოსკოვის ბოლშევიკური ხელისუფლების მარიონეტი და მისი ნების აღმსრულებელი რევოლუციური კომიტეტი განაგებდა ფილიპე მახარაძის თავმჯდომარეობით. მას ზედამხედველობდა საქართველოს კომუნისტური (ბოლშევიკების) პარტიის ცენტრალური კომიტეტი, რომელიც თავის მხრივ, რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალურ კომიტეტს ემორჩილებოდა.

საქართველოში საოკუპაციო რეჟიმი დამყარდა. საბჭოთა ხელისუფლების სამხედრო ძალა რუსეთის საბჭოური იმპერიის XI წითელი არმია იყო, რომელიც ე. წ. „კავკასიის განსაკუთრებულ არმიად“ მოინათლა. რუსულ-ქართული ბოლშევიკური ხელისუფლება რუსული არმიის ხიშტების ძალას ემყარებოდა, რომელიც განადგურებას უქადდა ქვეყანაში არსებულ ნებისმიერ ოპოზიციურ-ეროვნულ მოძრაობას.

1921 წლის მარტში რევკომმა (რევოლუციურმა კომიტეტმა) ყოფილი დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრება სპეციალური დადგენილებით დათხოვნილად გამოაცხადა. ამას მოჰყვა დადგენილებათა გრძელი ჯაჭვი, რომლის შედეგადაც ლიკვიდირებულად გამოცხადდა ყოფილი პირველი ქართული რესპუბლიკის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და დემოკრატიული სტრუქტურები. მის მაგივრად შეიქმნა საბჭოთა საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო და სხვა სახელმწიფოებრივი სტრუქტურების სისტემა. 1922 წლის მარტში სასწრაფოდ გაფორმებული კონსტიტუციის მიხედვით, საქართველო „საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად“ ცხადდებოდა. საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებდა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი (ცაკი), რომელიც საქართველოს საბჭოების ყრილობის მიერ იყო არჩეული და მისსავე წინაშე იყო ანგარიშვალდებული. აღმასრულებელ ხელისუფლებას წარმოადგენდა რესპუბლიკის მთავრობა – სახალხო კომისართა საბჭო (სახკომსაბჭო).

მონარქისტული რუსეთის ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე საბჭოთა მარიონეტული რესპუბლიკების შექმნის შემდეგ, ბოლშევიკური რუსეთის ხელისუფლება ენერგიულად ახორციელებდა ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფოს შექმნის იდეას. ფორმალურად ყველაფერი ისე კეთდებოდა თითქოს ერთიანი სოციალისტური სახელმწიფოს შექმნა წითელი რესპუბლიკების “მუშურ-გლეხურ“ მასებს სურდათ. საბოლოოდ, 1922 წლის 30 დეკემბერს მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე გაჩნდა უზარმაზარი სახელმწიფო–საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი. ახალი წარმონაქმნი ფორმალურად ფედერაციულ გაერთიანებას წარმოადგენდა, რომელშიც ერთი მეტროპოლიური (რუსეთის) და სამი დაპყრობილი: უკრაინის, ბელორუსიის და ამიერკავკასიის რესპუბლიკები შევიდნენ. საბჭოთა კავშირის „დამფუძნებელ“ რესპუბლიკათა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შორის არ ჩანდა საქართველო, რადგან იგი აზერბაიჯანთან და სომხეთთან ერთად, მოსკოვის კარნახით, ძალით შეიყვანეს ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკაში და დამოუკიდებელი რესპუბლიკის ფორმალური სტატუსიც მოუშალეს.

თვით საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ სამი ავტონომიური ერთეული შექმნა: აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა (1921 წ. 16 ივლისი); სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი (1922 წ. 20 აპრილი) და აფხაზეთი, რომელიც თავდაპირველად საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სტატუსით (1921 წ. 4 მარტი) შედიოდა საქართველოში, ხოლო მოგვიანებით ავტონომიური რესპუბლიკა გახდა.

ახალი ტიპის საბჭოთა იმპერიის შექმნასთან ერთად მიმდინარეობდა ბოლშევიკური ხელისუფლების უკიდურესი ცენტრალიზაცია. 1923 წელს ზედიზედ აიკრძალა სოციალ-დემოკრატიული, სოციალ-ფედერალისტური და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიების საქმიანობა. საქართველოში, ისევე როგორც საბჭოთა კავშირში, მრავალპარტიული სისტემა ერთპარტიულმა - ბოლშევიკური პარტიის დიქტატურამ შეცვალა.

ეროვნულად და დემოკრატიულად განწყობილი ქართველი საზოგადოება უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. ბოლშევიკებმა მტრულ ელემენტებად გამოაცხადეს ქვეყნის მოსახლეობის უმნიშვნელოვანესი ფენები: ყოფილი თავადაზნაურობა, სამღვდელოება, ინტელიგენცია, ბურჟუაზია, პოლიტიკური ელიტა. ქართველი ბოლშევიკები ერთგულად ასრულებდნენ ცენტრალური ხელისუფლების მაღალი ფუნქციონერის, იოსებ სტალინის მიერ 1921 წლის თბილისში ვიზიტის დროს დატოვებულ ინსტრუქციას: საქართველოს ოქტომბრის რევოლუციის უთო უნდა გადაესვასო. რეპრესიები მიმდინარეობდა არა მარტო ზემოაღნიშნული „ექსპლოატატორული“ ფენების, არამედ საქართველოს მუშურ-გლეხური მოსახლეობის დიდი ნაწილის წინააღმდეგაც, რადგან ეს ფენები მყარად უჭერდნენ მხარს პირველი რესპუბლიკის სახელისუფლებო ძალას – სოციალ-დემოკრატიულ პარტიას.

ქართველი საზოგადოება ადვილად არ შერიგებია დამოუკიდებლობის დაკარგვას, არც ბოლშევიკურ რეპრესიებს. მწვავე რეპრესიებმა იძულებული გახადა ქვეყნის მოსახლეობის მთელი რიგი ფენები, სხვადასხვა ფორმით ჩაბმულიყვნენ ბოლშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ საპროტესტო და ოპოზიციურ მოძრაობაში. 1921 წლის ზაფხულში სვანეთსა და რაჭა-ლეჩხუმში იფეთქა აჯანყებამ. მათი მოთხოვნა იყო საოკუპაციო ჯარების გაყვანა საქართველოდან და თავისუფალი არჩევნების ჩატარება. ანალოგიური თხოვნით გენუის საერთაშორისო კონფერენციას მიმართა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ამბროსი ხელაიამ. საპროტესტო გამოსვლები მიმ-

დინარეობდა თბილისში. მასში მონაწილეობდნენ მუშები, ინტელიგენცია, მოსწავლე-ახალგაზრდობა.

1922 წლის ადრე გაზაფხულიდან პარტიზანულ ბრძოლებს იწყებს *ქაქუცა ჩოლოყაშვილის* განთქმული „შეფიცულების“ რაზმი. აღმოსავლეთ საქართველოში სხვა პარტიზანული რაზმებიც მოქმედებდნენ. იმავე წლის ზაფხულში აჯანყებამ ხევსურეთში იფეთქა და კახეთშიც გავრცელდა. აჯანყებები ყველგან სასტიკად ჩაახშვეს.

1922 წლის აპრილში პოლიტიკური პარტიების ურთიერთშეთანხმების შედეგად შეიქმნა „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“, რომელსაც ერთდროულად მთელი ქვეყნის მასშტაბით უნდა მოემზადებინა საყოველთაო-სახალხო აჯანყება. კონსპირაციული მზადება ორი წლის განმავლობაში გრძელდებოდა და არაერთი პატრიოტის სიცოცხლე შეიწირა. 1923 წლის მაისში საბჭოთა ჩეკისტებმა დაუპატიმრეს და დახვრიტეს აჯანყების მოსამზადებელი „სამხედრო ცენტრის“ წევრები: კონსტანტინე აფხაზი, ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, ვარდენ წულუკიძე და სხვ. აჯანყება რამდენჯერმე გადაიდო, მაგრამ 1924 წლის 29 აგვისტოს იგი მაინც მოხდა.

მიუხედავად აჯანყებულთა ეპიზოდური წარმატებებისა ქვეყნის რამდენიმე რეგიონში, საერთო-სახალხო გამოსვლები მაინც მარცხი, დამთავრდა. ძალები მეტისმეტად უთანასწორო იყო. აჯანყების ლიკვიდაციისათვის მზად იყო 54000 ჯარისკაცი. კიდევ ერთი ამდენი სომხეთ-აზერბაიჯანიდან შემოსვლას აპირებდა. ბოლშევიკური ხელისუფლება სასტიკი რეპრესიებით გაუსწორდა დამოუკიდებლობისათვის მებრძოლებს და ათასობით ადამიანი დახოცა, დაატიმრა და გადაასახლა. საქართველო დიდი ხნით აღმოჩნდა გამოკეტილი ხალხთა ახალ საპყრობილეში.

საქართველო იძულებით აღმოჩნდა ჩათრეული, აგრეთვე, სოციალიზმის ბოლშევიკური მოდელის მშენებლობაში. უპირველეს ყოვლისა, ეს გულისხმობდა კერძო საკუთრების ლიკვიდაციას, სოციალისტურ ურთიერთობებზე დამყარებული ეკონომიკური სისტემის დამყარებას. სოციალიზმის ბოლშევიკური იდეალი ამ გზით გულისხმობდა სოციალური თანასწორობის საზოგადოების შექმნას.

ოკუპაციის პირველივე თვეებიდან დაიწყო ქვეყნის მსხვილი საწარმოების ნაციონალიზაცია. 1921 წელს მომპოვებელი და გადამამუშავებელი მრეწველობა, ელექტროსადგურები, პოლიგრაფიული წარმოება და საერთოდ – ამ და სხვა სფეროებიდან დაკავშირებული მსხვილი და საშუალო საწარმოები სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადდა. შემდგომ წლებში განხორციელდა მთელი მრეწველობის ნაციონალიზაცია.

საბჭოთა ხელისუფლებამ ფორმალურად მიწა მშრომელი ხალხის საკუთრებად გამოაცხადა. 1921 წელს გამოცემული დეკრეტის მიხედვით, მთელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაციონალიზებული მიწა გადადიოდა სახელმწიფო ფონდში და შემდეგ უნდა განაწილებულიყო გლეხებს შორის. მიწის რეფორმა ვერ განხორციელდა, ხოლო შემდგომ წლებში ხელისუფლებამ მიწის პრობლემის გადაჭრა სხვაგვარად გადაწყვიტა.

ხელისუფლებამ მიზნად დაისახა გლეხური მოსახლეობის სხვადასხვა ფენების ეკონომიკურად და სოციალურად გათანაბრება. ეს უნდა მომხდარიყო კერძო გლეხური მეურნეობების კოლექტიურ მეურნეობებში – კოლმეურნეობებში გაერთიანების გზით. გლეხს პირად საკუთებაში რჩებოდა უძრავ-მოძრავი ქონების მცირე ნაწილი, ხოლო სოფლად მიწაზე კერძო საკუთრებას ცვლიდა კოლექტიური საკუთრება. ფორმალურად კოლექტიური საკუთრებისა და გლეხობის მიერ მოწეული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გამგებელი კოლექტივი იყო, ფაქტიურად – სახელმწიფო.

სოფლის, ე. წ. კოლექტივიზაციის პროცესი 20-30-იანი წლების მიჯნაზე ძალისმიერი მეთოდებით მიმდინარეობდა. საბოლოოდ, მრავალი მესაკუთრე გლეხის მსხვერპლის ფასად ქვეყანაში შეიქმნა ეკონომიკურად და სოციალურად გათანაბრებული კოლმეურნე გლეხობის ფენა, რომელიც სოფლის მოსახლეობის უმრავლესობას წარმოადგენდა.

30-იან წლებში სახალხო მეურნეობის რიგ სფეროებში წარმატებები იქნა მიღწეული, რაც, ერთის მხრივ, ხელისუფლების მიერ წარმოებულ მასების დათრგუნვასა და, მეორე მხრივ, მასობრივი შრომითი ენთუზიაზმის შედეგი გახლდათ. ამუშავდა არაერთი მსხვილი საწარმო - ზესტაფონის ფეროშენადნობების ქარხანა, გაიზარდა მანგანუმისა და ქვანახშირის მოპოვება ჭიათურასა და ტყიბულში; ამოქმედდა ზაჰესი და რიონჰესი.

1936 წელს საბჭოთა კავშირის საბჭოების საგანგებო VIII ყრილობამ დაამტკიცა ქვეყნის ახალი კონსტიტუცია. ხელისუფლებამ ოფიციალურად გამოაცხადა სოციალისტური საზოგადოების აშენება. ახალი კონსტიტუციის თანახმად ამიერკავკასიის ფედერაცია დაიშალა და საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი მოკავშირე რესპუბლიკების სტატუსით უშუალოდ შევიდნენ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში.

ე. წ. სოციალისტური სისტემის ჩამოყალიბება საბჭოთა ხელისუფლების მიერ განხორციელებული პერმანენტული რეპრესიების შედეგი იყო. 20-30-იან წლებში წარმოებული ფრაქციულ ბრძოლებში გამარჯვებულმა იოსებ სტალინმა და მისმა გარემოცვამ თავის ხელში მოაქცია ხელისუფლების სადავეები. სისხლიანი პოლიტიკური რეპრესიების შედეგად შეიქმნა ნანელობრივ პარტიული და ფაქტიურად ერთპიროვნული დიქტატურა, რომელმაც ფიზიკურად მოსპო ან გზიდან ჩამოიცილა ყველანაირი სახის ოპოზიციური ძალა. რეპრესიებს შეეწირა მრავალი ათასი ადამიანი, ყოფილი პოლიტიკური ელიტის, ინტელიგენციის, კულტურისა და მეცნიერების წარმომადგენლები, აგრეთვე, თვით ბოლშევიკური

პარტიის ძველი კადრები. ე. წ. „რეალური სოციალიზმის“ სისტემა საბჭოთა კავშირში და შესაბამისად – საქართველოში, სისხლიანი რეპრესიებისა და მრავალი მილიონი ადამიანის მსხვერპლის ფასად აშენდა.

8. საქართველო მეორე მსოფლიო ომის დროს

1939 წლის 1 სექტემბერს ფაშისტურმა გერმანიამ პოლონეთის წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო და მოკლე ხანში მისი ოკუპაცია მოახდინა. 3 სექტემბერს ინგლისმა და საფრანგეთმა გერმანიას ომი გამოუცხადეს. ამ მოვლენებით დაიწყო მეორე მსოფლიო ომი, რომელშიც მალე ათეულობით სახელმწიფო და ხალხები აღმოჩნდნენ ჩათრეულნი. 1941 წლის 22 ივნისს გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს. რამდენიმე თვის განმავლობაში გერმანელებმა საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილის თითქმის მთელი ტერიტორია დაიკავეს. ოკუპირებული აღმოჩნდა უკრაინა, ბელორუსია, ევროპული რუსეთი. საბჭოთა კავშირის ამ რესპუბლიკებისა და ხალხებისათვის ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლა ჭეშმარიტ სამამულო ომად გადაიქცა და რამდენიმე წლის განმავლობაში მიმდინარეობდა.

საქართველო, როგორც საბჭოთა სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილი ფაშისტური გერმანიისა და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაბმული აღმოჩნდა. ომის დაწყებიდან პირველივე დღეების განმავლობაში გამოცხადებული სამხედრო მობილიზაციის თანახმად, საქართველოდან 100 000 ადამიანი გაიწვიეს. 1942 წლის გაზაფხულისათვის ომის ფრონტზე უკვე რესპუბლიკას 350 000 წარმომადგენელი იბრძოდა. წლის ბოლომდე მათი რიცხვი კიდევ 160 000 ჯარისკაცით გაიზარდა.

საქართველოსათვის თითქმის არავითარ შეღავათს აღარ წარმოადგენდა ის გარემოება, რომ საომარი ოპერაციები მის ტერიტორიაზე არ მიმდინარეობდა. ქვეყნის მრეწველობა და მეურნეობა სრულ სამხედრო ყაიდაზე გარდაიქმნა. ფაბრიკა-ქარხნების დიდი უმრავლესობა სამხედრო აღჭურვილობას ამზადებდა, ხოლო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დიდი ნაწილი ომის საჭიროებისათის იყო გამიზნული. მოსახლეობა დიდი ეკონომიკური სიდუხჭირის ვითარებაში აღმოჩნდა. ქვეყნის მოსახლეობას მძიმე ტვირთად დააწვა ოკუპირებული ტერიტორიებიდან ათასობით ლტოლვილი ადამიანების შეფარება და პატრონობა.

საქართველოდან გაწვეული ასეული ათასობით ჯარისკაცი და ოფიცრობა ომის ყველა ფრონტზე იბრძოდა. სამხედრო-პატრიოტული განწყობილების ამაღლების მიზნით, 1942 წელს დაიწყო ქართული ეროვნული დივიზიების შექმნა. მათ თავი გამოიჩინეს განსაკუთრებით ჩრდილო კავკასიისა და ყირიმის ნახევარკუნძულზე ბრძოლების დროს. ქერჩის ნახევარკუნძულისათვის

ბრძოლებში, 1942 წლის მაისში, 292-ე ქართული დივიზიის შემადგენლობის უმრავლესობა დაიღუპა. კიდევ უფრო მძიმე აღმოჩნდა 1942 წლის ივლისში დაწყებული ბრძოლები კავკასიის დაცვისათვის. მასში მონაწილე 392-ე, 414-ე და 242-ე ქართულმა დივიზიებმა უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშეს ფაშისტური ჯარების უკუგდებაში ჩრდილო კავკასიის ტერიტორიებიდან. ფრონტის ამ რაიონში ერთ-ერთ არმიას სარდლობდა ქართველი გენერალი კონსტანტინე ლესელიძე.

საბჭოთა კავშირ-გერმანიის უზარმაზარ ფრონტზე, რომელიც ბალტიის ზღვიდან კავკასიონამდე იყო გადაჭიმული, ქართველები ყველა დიდ საბრძოლო ოპერაციებში ღვრიდნენ სისხლს – მოსკოვის დაცვა იყო ეს თუ აქვე განხორციელებული კონტრშეტევა; ლენინგრადის სამწლიანი ბლოკადა; სტალინგრადისათვის ბრძოლები, რომელიც გარდამტეხი და საბედისწერო აღმოჩნდა ფაშისტური სამხედრო მანქანისათვის ე. წ. აღმოსავლეთის ფრონტზე. აქედან დაიწყო მათი უკანდახევა, რომელსაც თან სდევდა მათ მიერ ოკუპირებული ტერიტორიების განთავისუფლება. 1944-1945 წლებში ქართველი მეომრები შემართებით იბრძოდნენ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების: პოლონეთის, ბალტიისპირეთის რესპუბლიკების, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, რუმინეთის თუ ბულგარეთის ფაშისტური საოკუპაციო რეჟიმისაგან განთავისუფლებისათვის. ათასობით ქართველი იბრძოდა ამ ტერიტორიებზე მიმდინარე პარტიზანულ მოძრაობაში. მრავალი თავგანწირული და მამაცი ქართველი მხედრიონიდან შეიძლება რამდენიმე დავასახელოთ: დავით ბაქრაძე – უკრაინისათვის ბრძოლებში; ივანე შუბითიძე და ვლადიმერ თალაკვაძე – ბელორუსიაში; ვლადიმერ ძნელაძე – პოლონეთისათვის... მსხვილ სამხედრო შენაერთებს მეთაურობდნენ გენერლები: ვლადიმერ ნანეიშვილი, პორფირე ჩანჩიბაძე, ერმალოზ კობერიძე და სხვ.

არაერთმა ქართველმა მეომარმა მამაცური სახელი დასტოვა ევროპის ქვეყნების წინააღმდეგობის მოძრაობაში: საფრანგეთში – ოთარ იშხნელმა, დიმიტრი ამილახვარმა, ივანე დანგაშვილმა; იტალიაში – ფორე მოსულიშვილმა, ნოე კუბლაშვილმა და სხვ.იტალიაში მოქმედი ერთი პარტიზანული რაზმის გაზეთი „სტელა ალპინა“ იუწყებოდა ბრძოლაში „უცნობი ქართველის“ დაღუპვას: „შორეული საქართველოს – სტალინის სამშობლოს უსახელო, ყველასათვის უცნობმა შვილმა სიცოცხლე გასწირა, რათა იტალია განთავისუფლდეს და ნაციზმური უღელი მოიშოროს“.

სამწუხაროდ, ქართველები მსოფლიო ომის მეორე ფრონტზეც იბრძოდნენ. როგორც ცნობილია, საბჭოთა რუსეთის მიერ 1921 წელს დამოუკიდებელი საქართველოს დამხობისა და დაპყრობის შემდეგ მრავალი ქართველი პატრიოტი გადაიხვეწა საზღვარგარეთ ემიგრაციაში. ქართული ემიგრაციის აბსოლუტურმა უმრავლესობამ დაგმო ნაციზმი.ემიგრანტთა მნიშვნელოვანი ნაწილი იმედს არ

კარგავდა და ფიქრობდა, რომ გერმანიის ბლოკის გამარჯვების შემთხვევაში, საბჭოთა საოკუპაციო ჯარები დატოვებდნენ საქართველოს ტერიტორიას და ქართველი ხალხი აღიდგენდა სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას.

თავის მხრივ, გერმანელი სარდლობა ცდილობდა გამოეყენებინა ქართველთა ანტისაბჭოთა განწყობილება და ფიზიკური სამხედრო რესურსები. 1941 წელს გერმანიის სამხედრო ხელმძღვანელობამ ქართველი სამხედრო ტყვეებისაგან და ემიგრანტებისაგან ჩამოაყალიბა სამხედრო ფორმირებები: „თამარ I“ და „თამარ II“. მოგვიანებით შეიქმნა სამხედრო ფორმირება „ბერგმანი“ (მთიელი), რომელშიც, ქართველებთან ერთად სხვა კავკასიელებიც შედიოდნენ. 1942 წელს ოკუპირებული პოლონეთის ტერიტორიაზე შეიქმნა „ქართული ბატალიონი“. სულ შვიდი ქართული ბატალიონი ჩამოყალიბდა, თუმცა, მათ მნიშვნელოვანი როლი სამხედრო ოპერაციებში არ უთამაშიათ. უნდა ვიფიქროთ, რომ მოუხედავად საკუთარი სამშობლოს საბჭოთა იმპერიისაგან განთავისუფლების დიდი სურვილისა, ქართველთა დიდ უმრავლესობას გერმანიის მხარეზე ბრძოლის ენთუზიაზმი ნაკლებად გააჩნდა. უბრალოდ, ისინი ორ ცეცხლშუა იყვნენ მოქცეულნი. ნაცისტური გერმანია თითქმის დამარცხებული იყო, როცა ერთ-ერთ მათ მიერ დაკომპლექტებული ქართული ბატალიონი, რომელიც ჰოლანდიის კუნძულ ტექსელზე იმყოფებოდა – ნაცისტებს აუჯანყდა. სამწუხაროდ, აჯანყებულებს არც ახლოს მყოფმა ინგლისელებმა გაუწიეს დახმარება.

ომის შედეგები კატასტროფული აღმოჩნდა საქართველოსათვის. ფრონტებზე გაწვეული 700000-მდე კაცისაგან ნახევარი დაიღუპა; გადარჩენილებიდან ბევრი იყო დაჭრილ-დაინვალიდებული. დაინგრა ქვეყნის აღმშენებლობითი ეკონომიკა, რადგან მრეწველობა მხოლოდ სამხედრო დანიშნულებას ემსახურებოდა; დაზარალდა მეურნეობის სხვა დარგები; უაღრესად გაუარესდა მოსახლეობის ცხოვრების პირობები. პატარა საქართველომ უფრო მეტი ზარალი განიცადა, ვიდრე ომში ჩაბმულმა არაერთმა დიდმა ქვეყანამ.

9. საბჭოთა კავშირის დაშლა და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა (1991 წ.)

ომის შემდგომი პერიოდის საბჭოთა კავშირისა და შესაბამისად საქართველოსათვის დამახასიათებელი იყო რამდენიმე ძირითადი ტენდენცია. 1953 წლის 5 მარტს გარდაიცვალა ქვეყნის ერთპიროვნული ლიდერი იოსებ სტალინი. ხელისუფლებისათვის ბრძოლაში გამარჯვებული გამოვიდა ნიკიტა ხრუშჩოვი, რომელმაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელის პოსტთან ერთად 1958 წელს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეობაც შეითავსა და სახელმწიფოს ფაქტიური ერთმართველი გახდა. მან

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოაცხადა სტალინის მმართველობის პერიოდში უკანონოდ რეპრესირებულთა რეაბილიტაცია. მისი ინიციატივით იქნა დაგმობილი ი. სტალინის პიროვნების კულტი, რაც, თითქოს, ნიშნავდა მართვის ტოტალიტარული მეთოდების უარყოფას და დემოკრატიზაციის კურსის გამოცხადებას.

შედარებით მოკლე ისტორიულ პერიოდში ძირითადად აღდგა ომის განმავლობაში დანგრეული სახალხო მეურნეობა. ჯერ კიდევ ომისშემდგომი ხუთწლედის დიდ მშენებლობებად გამოცხადდა: რუსთავის მეტალურგიული კომბინატი, ჭუთაისის საავტომობილო ქარხანა, გორის საფეიქრო კომბინატი, ჭიათურის მანგანუმის ცენტრალური ფაბრიკა, ქვანახშირის ახალი შახტები ტყიბულში, ტყვარჩელში, თბილისის ელმავალმშენებელი ქარხანა, ხრამის, ზემო ავჭალის, სოხუმის, ჩითახევის ჰიდროელექტროსადგურები, სამგორის სარწყავი არხი და სხვა ობიექტები. ეს პროცესი შემდგომ წლებშიც გრძელდებოდა. 1956-1965 წლებში საქართველოში აშენდა და ამუშავდა 170-ზე მეტი სამრეწველო ობიექტი. მათ შორის: თბილისის ელექტრომანქანათმშენებელი, რუსთავის აზოტოვანი სასუქების და სხვა ქარხნები. საქართველოს მძიმე ინდუსტრიის პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი საზღვარგარეთ გადიოდა.

შედარებით რთულად მიმდინარეობდა სოფლის მეურნეობის რიგი დარგების განვითარება. მიუხედავად ამისა, 60-70-იან წლებში საქართველოს საბჭოურ ეკონომიკაში სტაბილური მდგომარეობა დამყარდა. ერთის მხრივ, ამ გარემოებამ, და მეორე მხრივ, მოსახლეობის სხვადასხვა ფენების გათანაბრებულობის ათწლეულების განმავლობაში წარმოებულმა ტრადიციულმა პოლიტიკამ, ქვეყანაში შექმნა სოციალური წინასწორობის ვითარება. რა თქმა უნდა, საქართველოში იყო სოციალური პრობლემები, ეკონომიკური სიძნელეები, მაგრამ აღნიშნული ხასიათის უკუღმართობებს არ მიუღწევიათ ისეთი ზღვრისათვის, რომ ქვეყანაში მნიშვნელოვანი საპროტესტო რყევები გამოეწვია. ქვეყნის მოსახლეობის ე. წ. მუშურ-გლეხურ უმრავლესობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და პირობები, ძირითადად, დამაკმაყოფილებელი და ურთიერთგაწონასწორებული იყო, რაც ხელისუფლებისადმი მათს ლოიალობას განაპირობებდა. კონფორმისტულ განწყობილებას განაპირობებდა, აგრეთვე, საბჭოთა სახელმწიფოს ძალოვანი სტრუქტურების სიძლიერე და ტრადიციული სიმკაცრე.

რადიკალურად განსხვავებული ვითარება სუფევდა საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. მიუხედავად განვლილ პერიოდში განცდილი რეპრესიებისა, ქართველი ინტელიგენციისა და სტუდენტი ახალგაზრდობის მნიშვნელოვანი ნაწილი ფარულად ინარჩუნებდა ეროვნული ღირებულებებისადმი ერთგულებას. ეს დაადასტურა 1956 წლის მარტის მოვლენებმა. პიროვნების კულტის დაგმობას მოჰყვა საბჭოთა კავშირის პარტიული იდეოლოგების მიერ სტალინის სამშობლოსა და ქართველი ხალხის მიმართ

შეურაცხმყოფელი გამოხტომები. ქართველმა საზოგადოებამ, განსაკუთრებით სტუდენტმა-ახალგაზრდობამ და ინტელიგენციამ საპროტესტო მოძრაობით უპასუხა და სტალინის გარდაცვალების სამი წლისთავის დღეებში თბილისისა და ქვეყნის სხვა ქალაქებში მრავალათასიანი მიტინგები და დემონსტრაციები მოეწყო. 1956 წლის 9 მარტს ხელისუფლებამ საბჭოთა არმიის ნაწილები შეუსია მშვიდობიან მომიტინგეებს და 150-ზე მეტი ადამიანი დახოცა.

მარტის მოვლენებმა გამოაფხიზლა ქართველი საზოგადოება. 60-70-იან წლებში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა ქართული მწერლობის, ხელოვნების, მეცნიერებისა და კულტურის წარმომადგენელთა ახალი თაობა, რომელიც კრიტიკულად იყო განწყობილი საბჭოთა სისტემის მანკიერებებისადმი და ინტენსიურად უბრუნდებოდა ეროვნულ ღირებულებებს. განსაკუთრებით პატრიოტულად იყო განწყობილი სტუდენტი-ახალგაზრდობა. მასზე გავლენას ახდენდა დასავლური სამყაროს დემოკრატიული ინსტიტუტები, პოპკულტურა, აზროვნება, სტუდენტური მოძრაობა თუ ჩეხოსლოვაკიაში მომხდარი ხაერგოვანი რევოლუცია. განსაკუთრებული როლი ქართველი საზოგადოების წრეებში ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ღირებულებების რეაბილიტაციის პროცესში ითამაშა 1976 წლიდან დაწყებულმა დისიდენტურმა მოძრაობამ. საქართველოში შეიქმნა „ადამიანის უფლებათა დაცვის საინიციატივო ჯგუფი“, რომელმაც დააარსა „ჰელსინკის ჯგუფი“. ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ დისიდენტურ მოძრაობას საქართველოში მკვეთრად გამოხატული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ხასიათი მისცეს, რომლის მიზანი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა იყო.

ქართველი ინტელიგენციისა და სტუდენტ-ახალგაზრდობაში ეროვნული განწყობილების სიძლიერე კარგად დაადასტურა 1978 წლის აპრილის მოვლენებმა. 70-იანი წლებში საბჭოთა კავშირის იდეოლოგიურ პოლიტიკაში განსაკუთრებით იმძლავრა ინტერნაციონალისტურ-კოსმოპოლიტიკურმა ტენდენციამ. ხელისუფლება ცდილობდა დაემკვიდრებინა თეზისი, რომლის მიხედვითაც, თითქოს, ერთიან სახელმწიფოში ჩამოყალიბდა ხალხთა ახალი ისტორიული ერთობა – საბჭოთა ხალხი. ეს ნიშნავდა კავშირში შემავალი ხალხების ურთიერთშერწყმის პროპაგანდას, რაც თავისთავად გულისხმობდა სხვა ხალხების შერწყმას კავშირის ყველაზე მრავალეროვან და მადომინირებელ რუს ხალხთან. ამ ტიპიური რუსული შოვინისტური იდეის ცხოვრებაში გატარება თავს იჩენდა საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკის სხვადასხვა სფეროში.

ანალოგიური მიზნის ერთ-ერთი გამოხატულება იყო 1978 წელს საქართველოს ახალი კონსტიტუციის პროექტიდან ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის სტატუსის აღმნიშვნელი მუხლის ამოღება. ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის შესანარჩუნებლად აღდგა ქართველი სტუდენტობისა და ინტელიგენციის დიდი ნაწილი. 14 აპრილს მრავალათასიანი მიტინგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიკრიბა მთავრობის სასახლის წინ, სადაც რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესია მიმდინარეობდა. საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობა შეაფიქრიანა ქართველი საზოგადოების გაბედულმა პროტესტმა და დათმობა ამჯობინა. ახალ კონსტიტუციაში ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსი აღადგინეს, რაც ეროვნული მოძრაობის დიდ გამარჯვებას მოასწავებდა.

80-იან წლებში სულ უფრო იზრდებოდა ე. წ. რეალური სოციალიზმის კრიზისი. მსოფლიოსთან და დასავლურ სამყაროსთან დაპირისპირებულმა სოციალისტურმა სისტემამ, საბჭოთა კავშირისა და მისი ძალით დამორჩილებული სატელიტური რეჟიმების სახით, ვეღარ გაუძლო დასავლეთთან ეკონომიკურ და სამხედრო-პოლიტიკურ კონკურენციას. 80-იან წლებში პოლონეთიდან დაიწყო და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში გავრცელდა ეროვნული მოძრაობა, რომლის მიზანი იყო საბჭოთა იმპერიისგან თავდაღწევა. ანტისაბჭოთა მოძრაობა საბჭოთა კავშირის რიგ რესპუბლიკებშიც დაიწყო, განსაკუთრებით ბალტიისპირეთსა და საქართველოში.

80-იან წლებში საქართველოში ზედიზედ ყალიბდება არაფორმალური გაერთიანებები, რომლებიც შემდგომში პოლიტიკურ პარტიებად გარდაიქმნენ. 1987 წელს შეიქმნა ილია ჭავჭავაძის საზოგადოება, რასაც მოჰყვა ეროვნული დამოუკიდებლობის, რესპუბლიკური, ეროვნულ-დემოკრატიულ და სხვა პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებების შექმნა. ქვეყანაში საფუძველი ჩაეყარა მრავალპარტიულ სისტემას. პარტიები ცდილობდნენ სათავეში ჩადგომოდნენ პოლიტიკურ პროცესებს. პარტიათა უმრავლესობა ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის პოზიციაზე იდგა და ამ ლოზუნგით 1988 წლიდან დაწყებული მასობრივი მასშტაბის გამოსვლებში აქტიურ მონაწილეობას იღებდა.

1989 წლის აპრილის დასაწყისში გამანთავისუფლებელმა მოძრაობამ ეროვნული დამოუკიდებლობის ლოზუნგი წამოაყენა. მთავრობის სასახლის წინ გამოსული მცირერიცხოვანი მიტინგი აპრილის დასაწყის რიცხვებში ხალხმრავალ პერმანენტულ მანიფესტაციებად გადაიქცა და ღამითაც არ იშლებოდა. 1989 წლის 9 აპრილს, დილის 4 საათზე მოსკოვიდან სპეციალურად გამოწვეულმა საბჭოთა კავშირის შინაგანი ჯარების სპეცდანიშნულების ჯარისკაცებმა, სხვა სამხედრო ნაწილებთან ერთად, მომიტინგეები ალყაში მოაქციეს და ხელკეტებით, ალესილი ნიჩბებით და მომწამველი გაზით შეესივნენ. 19 მომიტინგე, აქედან 16 ქალი მოკლეს, 2000-ზე მეტი გაზით მოიწამლა, ბევრი დაიჭრა.

9 აპრილის სისხლიანმა ანგარიშსწორებამ ქართველი საზოგადოების რადიკალიზაცია გამოიწვია. 1990 წლის 13-15 მარტს ჩატარდა ეროვნული მოძრაობის საგანგებო კონფერენცია. შეიქმნა ეროვნული ფორუმი, რომელიც ეროვნულ-პოლიტიკურ პარტიებს და ჯგუფებს აერთიანებდა. სამწუხაროდ, ერთიანობა დიდხანს არ გაგრძელდა. ეროვნული ფორუმი ორ ძირითად და ურთიერთდაპირისპირებულ ბანაკად გაითიშა; თუმცა, ორივე ბანაკს ერთი

მიზანი – ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენა ჰქონდა დასახული. მოძრაობის ახალგაზრდულ-რადიკალური ფრთა მაქსიმალურად უპირისპირდებოდა საბჭოთა სისტემას. უფრო რეალისტურ ნიადაგზე აღმოჩნდნენ უფროსი თაობის რადიკალები – ზვიად გამსახურდიას მომხრეები. მათ სურდათ ეროვნულ მოძრაობას გამოეყენებინა საბჭოთა კავშირიდან საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის გასვლის კონსტიტუციური უფლება. ასეთ შემთხვევაში, საბჭოთა ხელისუფლებას წინააღმდეგობის გაწევის ნაკლები იურიდიული საფუძველი ექნებოდა.



საქართველოს პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია (1939-1993).

1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოში უზენაესი საბჭოს დეპუტატების არჩევნები ჩატარდა, რომელიც საბჭოთა კავშირის არსებობის პრაქტიკაში პირველი თავისუფალი მრავალპარტიული არჩევნები იყო. მასში დამაჯერებლად გაიმარჯვა ეროვნული ძალების უძლიერესმა ფრთამ, საარჩევნო ბლოკმა „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“, რომელმაც საპარლამენტო ადგილების უმრავლესობა მოიპოვა. საქართველოში ხავერდოვანი რევოლუცია განხორციელდა. კომუნისტურმა ერთპარტიულმა დიქტატურამ სამოცდაათწლიანი არსებობა დაასრულა. ქვეყნის სათავეში ეროვნული ხელისუფლება მოვიდა.

1990 წლის 14 ნოემბერს საქართველო ოფიციალურად გამოცხადდა რესპუბლიკად. საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს *ზვიად გამსახურდია*. ეროვნული ხელისუფლების პირველი ნაბიჯები მიზნად ისახავდა საბჭოთა ინსტიტუტების გაუქმებას და მის მაგიერ ახალი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სტრუქტურების შექმნას. სწორედ ამ მიზნით, სპეციალურად მიღებული კანონით გამოცხადდა გარდამავალი პერიოდი.

ახალი ხელისუფლების საბჭოთა ხელისუფლებასთან დამოკიდებულება თავიდანვე უკომპრომისო აღმოჩნდა – საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და საბჭოთა კავშირისაგან სრული გამოყოფა. 1991 31 მარტს ეროვნულმა ხელისუფლებამ რეფერენდუმი ჩაატარა. მოსახლეობას თავისი ნება უნდა გამოეხატა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის საკითხზე. რეფერენდუმმა საყოველთაო მასშტაბით დაადასტურა ქვეყნის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსახლეობის სურვილი. დამოუკიდებლობის აღდგენას 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე, ხმა მისცა რეფერენდუმში მონაწილეთა 97%.

რეფერენდუმის საფუძველზე, 1991 წლის 9 აპრილს, უზენაესმა საბჭომ, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღდგენილად გამოაცხადა. 1991 წლის 26 მაისს ჩატარებულმა საპრეზიდენტო არჩევნებმა დაადასტურა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად უზენაესი საბჭოს მიერ ზვიად გამსახურდიას არჩევა.

საბჭოთა კავშირის ხელისუფლება აშკარად ებრძოდა „ურჩ რესპუბლიკებს“, რომელთაგან საქართველო გამოირჩეოდა. 1991 წლის შემოდგომაზე მან სამხედრო-პოლიტიკური მხარდაჭერა აღმოუჩინა ზვიად გამსახურდიასთან დაპირისპირებულ ოპოზიციას. 1991 წლის 22 დეკემბრიდან ანტისამთავრობო სამხედრო და სხვა სახის შეიარაღებულმა ფორმირებებმა ალყაში მოაქციეს მთავრობის სასახლეში მყოფი ეროვნული ხელისუფლება.

1992 წლის 6 იანვარს ზვიად გამსახურდიამ თავის ერთგულ თანამებრძოლებთან ერთად თბილისი დატოვა. შეიარაღებული ამბოხების გზით სახელმწიფო გადატრიალების შედეგად დამოუკიდებელი საქართველოს კანონიერი ხელისუფლება დაემხო.

10. საქართველო გარდამავალ პერიოდში (1992-2003 წწ.)

საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ბანაკის დაშლა რთულად და მტკივნეულად მიმდინარეობდა. ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებში მიმდინარე ეროვნულ მოძრაობებს ან ახალწარმოქმნილ დამოუკიდებელ სახელმწიფოებს მოსკოვი აშკარად თუ ფარულად, სხვადასხვა საშუალებებით ებრძოდა. ერთ-ერთ ამგვარ საშუალებას წარმოადგენდა ყველაზე ურჩი რესპუბლიკების წინააღმდეგ სეპარატისტული ძალების წაქეზება-ხელშეწყობა, ეთნიკური და რელიგიური კონფლიქტების პროვოცირება. ამგვარი პროვოცირებული კონფლიქტების არენა შეიქმნა სწორედ საქართველო, რომელიც მოსკოვისადმი ყველაზე ურჩი ყოფილი რესპუბლიკა და დამოუკიდებელი პატარა სახელმწიფო იყო.

1991 წლის 21 დეკემბერს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი ოფიციალურად დაიშალა. მის ადგილზე შეიქმნა 12 დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომლებიც შევიდნენ, ფაქტიურად, საბჭოთა კავშირის სამართალ-მემკვიდრე სახელმწიფოს – რუსეთის ფედერაციის გავლენის ქვეშ მყოფ გაერთიანებაში – *დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში* (დსთ).

საქართველო ერთ-ერთი სახელმწიფო აღმოჩნდა თორმეტიდან, რომელიც დსთ-ში არ შევიდა და არ დაემორჩილა მოსკოვის დიქტატს. ამგვარი კურსი სრულიად მიუღებელი იყო რუსეთისათვის და მან საქართველოს წინააღმდეგ, აქ

არსებულ ავტონომიურ ერთეულებში, სეპარატისტული მოძრაობების ხელშეწყობა და წაქეზება დაიწყო. 1990 წლის 25 აგვისტოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესიამ დეკლარაცია მიიღო, „აფხაზეთის ასსრ სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის შესახებ“. იმავე წლის დეკემბერში აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ ვლადისლავ არძინბა აირჩიეს.

მოსკოვიდან იმართებოდა, აგრეთვე, ცხინვალის რეგიონში მიმდინარე სეპარატისტული მოძრაობაც. 1990 წლის ნოემბერში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატების სესიის გადაწყვეტილებით, ყოფილი ოლქი საბჭოთა რესპუბლიკად იქნა გამოცხადებული, ხოლო დეკემბერში სამხრეთ ოსეთი სეპარატისტებმა დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოაცხადეს. ამას მოჰყვა საქართველოს რესპუბლიკის კანონი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ“. ოსურ-რუსულ და ქართული მხარეების საკანონმდებლო ომი იმით დამთავრდა, რომ 1991 წლის დასაწყისში საბჭოთა კავშირის პრეზიდენტმა სპეციალური ბრძანებულებით სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი აღდგენილად გამოაცხადა.

მას შემდეგ, რაც დამოუკიდებელი საქართველოს პირველი და კანონიერი ხელისუფლება შეიარაღებული ამბოხების შედეგად დაემხო, ძალაუფლება ხელში ჩაიგდო სამხედრო საბჭომ.

ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის მიზნით, საბჭომ და ქართველი ინტელიგენციის ერთმა ნაწილმა მოსკოვიდან საქართველოს კომუნისტური პარტიის ყოფილი ლიდერის და საბჭოთა კავშირის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის *ედუარდ შევარდნაძის* ჩამოყვანა გადაწყვიტა. შესაძლოა, ეს გადაწყვეტილება უფრო ადრე მიიღეს ყოფილი მეტროპოლიის უმაღლეს ეშელონებში. ასეა თუ ისე 1992 წლის მარტში, ედუარდ შევარდნაძე საქართველოში ჩამოვიდა. მალე სამხედრო საბჭოს ძალაუფლება სახელმწიფო საბჭოს ხელში გადავიდა, რომლის თავმჯდომარეც ედუარდ შევარდნაძე გახდა. 1992 წლის არჩევნების შემდეგ ედუარდ შევარდნაძის მხარდამჭერი ძალები ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში უმრავლესობას წარმოადგენდნენ და მას შესაბამისად სახელმწიფოს მეთაურის მოვალეობა დაეკისრა.

სახელმწიფოს ახალი ხელმძღვანელობის მიუხედავად, საქართველოში სეპარატისტული მოძრაობა სულ უფრო ღრმავდებოდა. ამ პროცესს თან დაერთო ქართული პოლიტიკური ელიტის მძიმე შეცდომები და უუნარობა. 1992 წლის 14 აგვისტოს სატრანსპორტო მაგისტრალის დაცვის ფორმალური მიზნით აფხაზეთში ქართული პოლიცია და ჯარი შეიყვანეს, რამაც აფხაზ სეპარატისტებს და მის მხარდამჭერ რუსეთს ესკალაციის გაღრმავების საბაბი მისცა. არაორგანიზებულ და უდისციპლინო ქართულ ნაწილებს დაუპირისპირდა კარგად შეიარაღებული და ბრძოლისუნარიანი რუსეთის ტერიტორიიდან შემოსული მრავალრიცხოვანი გასამხედროებული ნაწილები, ჯგუფები, ხშირ შემთხვევაში ბანდები, ე.წ. ჩრდილო კავკასიის კონფედერაციის მეომრები,

კაზაკები, ჩეჩნები, სომხები. მათ მხარს უჭერდნენ აფხაზეთში განლაგებული რუსეთის არმიის ნაწილები. თვით აფხაზური ფორირებები ზემოაღნიშნული საოკუპაციო ძალების მხოლოდ ნაწილი იყო.

საქართველო ფაქტიურად რუსეთთან უთანასწორო სამხედრო კონფლიქტში ჩათრეული აღმოჩნდა და ბუნებრივია, დამარცხდა კიდეც. დამარცხება კატასტროფული იყო. 1993 წლის 27 სექტემბერს სეპარატისტებმა სოხუმი აიღეს. საქართველომ მთელი აფხაზეთი დაკარგა. სეპარატისტებმა საქართველოსთან საზღვარი მდინარე ენგურთან გადმოიტანეს. აფხაზეთიდან 300 000-მდე ქართველი და სხვა ეროვნების მოქალაქე გამოაძევეს. ომში მწარე დამარცხებას თან ერთვოდა ქვეყნის შიგნით პროვოცირებული სამხედრო დაპირისპირება ზვიად გამსახურდიასა და ედუარდ შევარდნაძის მომხრეებს შორის. ექსპრეზიდენტის მხარდამჭერი ძალების დამარცხებაში გადამწყვეტი როლი შეასრულეს საქართველოს ახალი ხელისუფლების მიერ შემოყვანილმა მეზობელი ქვეყნის – რუსეთის სამხედრო შენაერთებმა. 1993 წლის 30 დეკემბერს დღემდე დაუდგენელ ვითარებაში დაიღუპა ახალი ხელისუფლებისაგან და რუსეთისაგან დევნილი, საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.



საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე (1995-2003).

1995 წლიდან ქვეყანაში მეტნაკლები სტაბილიზაციის პროცესი დაიწყო. 24 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი კონსტიტუცია. სახელმწიფოს ტერიტორია განისაზღვრა 1991 წლის 21 დეკემბრის (საბჭოთა კავშირის დაშლის) მდგომარეობით. ეს ნიშნავდა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების ხელშეუხებლობის პრინციპის აღიარების დაკანონებას. კონსტიტუციის მიხედვით ქვეყანაში დამყარდა საპრეზიდენტო მმართველობა. 1995 წლის ნოემბერში გაიმართა საქართველოს პრეზიდენტისა და საპარლამენტო არჩევნები, რომლის შედეგადაც ქვეყნის პრეზიდენტი გახდა ედუარდ შევარდნაძე, ხოლო უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში უმრავლესობა მოიპოვა საქართველოს მოქალაქეთა კავშირმა. ეს პოლიტიკური გაერთიანება პრეზიდენტის მხარდამჭერებისაგან იყო დაკომპლექტებული. იგივე განმეორდა 1999 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში და 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნებშიც.

გარდამავალ პერიოდში შედარებით შესამჩნევი ცვლილებები მოხდა ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ კურსში, რომელიც მეტნაკლებად გამოიხატა საქართველოს დასავლურ სტრუქტურებთან დაახლოების ტენდენციაში. 1992 წლის 31 ივლისს საქართველო გაწევრიანდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. იმავე წელს საქართველო გახდა ჩრდილო-ატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს წევრი. ცოტა უფრო გვიან, 1994 წელს საქართველომ ხელი მოაწერა ჩრდილო-ატლანტიკური კავშირის (ნატო-ს) პროგრამას „პარტნიორობა მშვიდობისათვის".

1995 წელს მიმოქცევაში შემოვიდა ახალი ქართული ფული – ლარი, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ერთ-ერთი ნიშანი. ლარმა შეცვალა 1990 წლიდან არსებული „კუპონი", მაგრამ თავდაპირველად ჯერ კიდევ ვერ განდევნა მთლიანად უფრო მყარი საერთაშორისო ვალუტები (მათ შორის - აშშ დოლარი). ლართან ერთად შემოვიდა ხურდა (ლითონის) წვრილი ფული „თეთრის" სახელწოდებით, მან განდევნა და დაიკავა რუსული „კაპეიკის" ადგილი, რომელიც აქ მიმოქცევაში იყო XIX ს-ის 30-იანი წლებიდან. „თეთრის" დამკვიდრებით აღდგა ქართული ფულის ისტორიული სახელწოდება.

უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო საქართველოს ევროპის საბჭოში სრულუფლებიან წევრად გაერთიანება. გარდა ამისა, გარდამავალი პერიოდის მანძილზე საქართველო რამდენიმე დასავლურ და საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი ან მონაწილე გახდა. ესენი იყო: მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია; ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო); შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობა (ბისეკი); ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფანი (ტრასეკა); დიდი აბრეშუმის გზა და ა. შ. დასავლურ სტრუქტურებში და ორგანიზაციებში გაწევრიანებას, როგორც გარკვეული წინაპირობა, წინ უძღოდა საქართველოს შესვლა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში (დსთ), 1993 წლის დეკემბერში.

გარდამავალი პერიოდის უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო 1999 წლის ნოემბერში შემდგარი ევროპის საბჭოს სტამბოლის სამიტი. მისი გადაწყვეტილებით საქართველოს ტერიტორიიდან უნდა გასულიყო რუსეთის სამხედრო ბაზები. თავდაპირველად მოხერხდა საქართველოში განლაგებული ოთხი რუსული ბაზიდან მხოლოდ ვაზიანის ტერიტორიაზე განლაგებული სამხედრო ბაზის გაყვანა. შემდგომში ბაზების გაყვანის პროცესი, ისე როგორც არაერთი პოზიციური ჩანაფიქრი და პროექტი – დაკონსერვდა. 2005 წ. რუსული სამხედრო ბაზის გაყვანა დაიწყო ბათუმიდანაც და ახალქალაქიდანაც.

სამწუხაროდ, ე. წ. გარდამავალი პერიოდის მანძილზე, სამხედრო გადატრიალების შემდეგ მოსულმა ხელისუფლებამ ქვეყნის საშინაო ცხოვრების ვერც ერთ, ან თითქმის ვერც ერთ, პრობლემატურ სფეროში ვერ შეძლო მეტნაკლებად სტრატეგიული ხასიათის წარმატების მიღწევა ან მდგომარეობის გაუმჯობესება; მათ შორის ეკონომიკაში, მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, სოციალურ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სფეროში, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხში.

პირიქით, გაგრძელდა ეკონომიკის დაქვეითება, სულ უფრო ღრმავდებოდა სოციალური პოლარიზაცია, მოსახლეობის დიდი ნაწილი აღმოჩნდა სიღატაკეში; სახელმწიფო ბიუროკრატიული აპარატი თუ მართვის სისტემის ყველა დონე მოიცვა კორუფციამ. ამას დაერთო სახელისუფლო კრიზისი, დაიძაბა ურთიერთობა აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებას შორის. რაც მთავარია, მმართველი პოლიტიკური პარტია – მოქალაქეთა კავშირი დაიშალა. მას გამოეყო რეფორმატორული ფრთა. 2001 წლის ოქტომბერ-ნოემბერში თბილისში დაიწყო საპროტესტო დემონსტრაციები, რომელიც მიმდინარეობდა მასმედიის თავისუფლების დაცვის კონკრეტული მოთხოვნით, თუმცა, ზოგადად გამოხატავდა უკმაყოფილებას, ხელისუფლების უუნარო მმართველობის გამო. იმხანად მდგომარეობის განმუხტვა იმით მოხერხდა რომ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია გადადგა. პრეზიდენტმა მთავრობა დაითხოვა. პარლამენტის თავმჯდომარედ ნინო ბურჯანაძე აირჩიეს.

სახელისუფლებო ცვლილებებს ქვეყნის მძიმე საშინაო ვითარების გაუმჯობესება არ მოჰყოლია.

11. ქართველი ხალხის დასავლური არჩევანი

იმისათვის რომ სახელმწიფო ყოვლისმომცველი კრიზისიდან გამოსულიყო, საჭირო და აუცილებელი ჩანდა უმთავრესი პრობლემის – საგარეო ორიენტაციის საკითხის მოგვარება. XX საუკუნის 90-იანი წლებიდან სამხრეთ კავკასიაში – საქართველოში მომძლავრება დაიწყო დასავლურმა კაპიტალმა და საერთოდ, დასავლეთის სახელმწიფოთა, პირველ ყოვლისა – აშშ-ის პოლიტიკურმა ინტერესებმა. საქართველო ორი დიდი სახელმწიფოს – შეერთებული შტატებისა და რუსეთის ინტერესებისა და დაპირისპირების ცენტრში აღმოჩნდა.

ამგვარ ვითარებაში საქართველოს წინა ხელისუფლება ბალანსირების ცნობილ პოლიტიკას დაადგა. იგი ხან ერთი, ხან მეორე გავლენის მაძიებელ ზესახელმწიფოს შორის მანევრირების კურსს ატარებდა, ხან პროდასავლურ დემარშებს მართავდა, ხან პრორუსულ ნაბიჯებს დგამდა, ხან ორივე მხარის სტრატეგიულ მოკავშირედ აცხადებდა თავს. ორმაგი სტანდარტების პირობებში ქვეყნის საგარეო ორიენტაცია ბუნდოვანი რჩებოდა. რა თქმა უნდა, სანამ ქვეყანაში ამგვარი გარდამავალი „ორგავლენიანობა“ გრძელდებოდა, მანამდე, არანაირ ეკონომიკურ, სოციალურ თუ კულტურულ-პოლიტიკურ პროგრესს არ ექნებოდა ადგილი. ცხოვრების ყველა სფერო უძრაობამ, კორუფციამ, სხვა სახის მანკიერებებმა მოიცვა. საგარეო ორიენტაციის გაურკვევლობა იყო ძირითადი ფაქტორი, რომელიც განაპირობებდა სხვა ათეულობით

პრობლემების გადაუჭრელობას. ქვეყნის ხელისუფლების პოლიტიკა ჩიხში შევიდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ თბილისში ჩამოსული დასავლეთის ქვეყნების ექსპერტები ხელისუფლებას შეახსენებდნენ, რომ არჩევანი გაეკეთებინა დასავლეთსა და ჩრდილოეთს შორის.

ამგვარ ვითარებაში, 2003 წლის 2 ნოემბერს საქართველოში საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა. 6 ნოემბერს აჭარიდან ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შემოსულმა მონაცემებმა რადიკალურად შეცვალა პოლიტიკურ ძალთა განლაგება. მანამდე თუ ოპოზიციური რეფორმატორული ძალები ლიდერთა ჯგუფში იყვნენ, ახლა აჭარის „დემოკრატიული აღორძინების კავშირმა“ ყველა კონკურენტი უკან ჩამოიტოვა და სახელმწიფო ბლოკის შემდეგ მეორე ადგილზე აღმოჩნდა. რა თქმა უნდა, ახალი მონაცემები ხმების ყალბად დათვლის შედეგი იყო. რაც მთავარია, პროდასავლურ და პრორუსულ პოლიტიკურ ძალებს შორის ადრე არსებული ბალანსი დაირღვა, უკანასკნელთა სასარგებლოდ. ქვეყნის პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ აიღო გეზი ჩრდილოეთისაკენ. ხელისუფლების შენარჩუნების მიზნით, კვლავ უნდა გაგრძელებულიყო გაურკვევლობის, ბალანსირების, სოციალური პოლარიზაციის, ეკონომიკური სტაგნაციისა და ყოვლისმომცველი კორუფციის ხანა. ასეთ ვითარებაში ქართველმა საზოგადოებამ თავად გადაწყვიტა არჩევანის გაკეთება, იმას რაც ვერ შეძლო ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლებამ 11 წლის განმავლობაში - მან აქტიურად დაუჭირა მხარი დემოკრატიის განმასახიერებელ პოლიტიკურ-რეფორმატორ ჯგუფებს, რომელნიც საგარეო პოლიტიკის სფეროში მტკიცედ გამოკვეთილ დასავლურ ორიენტაციას ადგნენ.

არჩევნების გაყალბებას ოპოზიციურმა პოლიტიკურმა ძალებმა საპროტესტო მოძრაობით უპასუხეს. ყოფილი მთავრობის სასახლის წინ დაიწყო ხალხმრავალი მიტინგები. მალე თბილისელ მომიტინგეებს შემოუერთდნენ ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებიდან და რაიონებიდან ჩამოსული პროტესტანტთა ათასეულები. ისინი მოითხოვდნენ ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლების გადადგომას. ხელისუფლებამ ანგარიში არ გაუწია მოსახლეობის პროტესტს. 22 ნოემბერს ახალარჩეული პარლამენტის სხდომა დაიწყო. ოპოზიციურმა ძალებმა არ დაუშვეს გაყალბებული არჩევნებით არჩეული პარლამენტის მუშაობის ოფიციალური გახსნა და მუშაობის გაგრძელება. ოპოზიციური ძალები და მომიტინგეების ნაწილი პარლამენტის შენობაში შევიდნენ და მიმდინარე სხდომა სწორედ იმ დროს შეწყვიტეს, როცა იქ ედუარდ შევარდნაძე გამოდიოდა. 23 ნოემბერს ედუარდ შევარდნაძემ გადადგომის შესახებ განცხადება გააკეთა.

23 ნოემბერს საქართველოს დედაქალაქში ხავერდოვანი რევოლუცია განხორციელდა. იგი მსოფლიოში ცნობილი გახდა ვარდების რევოლუციის სახელით. ახალ ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა ოპოზიციური სამეული: *მიხეილ სააკაშვილის, ზურაბ ჟვანიას* და *ნინო ბურჯანაძის* შემადგენლობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი ხელისუფლება რამდენიმე სტრატეგიული ხასიათის განხორციელების მიზნით მოვიდა ქვეყნის სათავეში: სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის უზრუნველყოფა; ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა; სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის დაძლევა; დემოკრატიული საზოგადოების აშენება; მეცნიერულ-კულტურული განვითარება.

23 ნოემბრის მოძრაობის ხელმძღვანელ ოპოზიციურ-რეფორმატორულ ძალებს და მის მხარდამჭერ ქართველ საზოგადოებას, ხოლო ვარდების რევოლუციის შემდეგ ახალ ხელისუფლებას, გაცნობიერებული ჰქონდა, რომ აღნიშნულ მიზნების განსახორციელებლად მთავარი ფაქტორი უნდა ყოფილიყო მტკიცე დასავლური საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია და საქართველოს დასავლურ სტრუქტურებში ინტეგრაცია.

განვლილი ორი წლის მანძილზე დასავლეთის სახელმწიფოებმა და მათმა ლიდერმა – აშშ-მა, არაერთხელ დაადასტურეს საქართველოს ახალი ხელისუფლებისადმი თანადგომა. დასავლეთი დაუფარავად მიესალმა 23 ნოემბრის ვარდების რევოლუციას. მანვე ცალსახად დაუჭირა მხარი აჭარაში საქართველოს ხელისუფლების ფაქტიური იურისდიქციის აღდგენას. ეს ფაქტი დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო დამოუკიდებელი საქართველოს უახლეს ისტორიაში. უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი გადაიდგა ქვეყნის სახელმწიფოებრივი და ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მთლიანობის აღდგენის გზაზე, რაც უპირველეს ყოვლისა, ახალი ხელისუფლების დამსახურება იყო.

ვარდების რევოლუციის შემდგომი ორი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა საქართველოს ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსთან თანამშრომლობისა და დაახლოების პროცესი. 2004 წლის ივნისში ნატო-მ განიხილა საქართველოს ალიანსთან ინდივიდუალური პარტნიორობის პროგრამა. ამ ღონისძიებას წინ უძღოდა ინდივიდუალური პარტნიორობის ჯერ სამხედრო, შემდეგ პოლიტიკური ნაწილების დამტკიცება. თანამშრომლობის მიმდინარე პროცესის ლოგიკური რგოლი იყო იმავე წლის ოქტომბერში ნატო-ს მიერ საქართველოსთან ინდივიდუალური პარტნიორობის გეგმის საბოლოო დამტკიცება.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის დაკონსერვებული პროცესის ხელახალი გააქტიურება. დასავლეთის სახელმწიფოების და განსაკუთრებით აშშ-ის მხარდაჭერამ რუსეთის ფედერაცია იძულებული გახადა რეალური მოლაპარაკებები დაეწყო საქართველოსთან. მიღწერულ იქნა შეთანხმება რუსული სამხედრო ბაზების გაყვანის შესახებ 2008 წლის ბოლომდე. სხვა არაერთი პრობლემის მოგვარების პროცესში ჩანდა დასავლური სტრუქტურების თანადგომა. მაგ., 2005 წლის ოქტომბერში აშშ-მა გააკეთა განცხადება, რომელიც გულისხმობდა ე. წ. ცხინვალის რეგიონის კონფლიქტის მოგვარებისადმი მიძღვნილ მოლაპარაკებებში აშშ-ის ჩართვას. ჯერჯერობით ამერიკელების სურვილს რუსეთი უარყოფითად შეხვდა.

23 ნოემბრის მოვლენების შემდგომი ორწლიანი პერიოდის მანძილზე ნინა ათწლეულთან შედარებით, ქვეყნის საშინაო ცხოვრების არაერთ სფეროში შეიმჩნევა პოზიტიური ცვლილებები და წინსვლა: 2006 წლისათვის საქართველოს ბიუჯეტმა არნახულ ციფრს – 2 მილიარდ 910 მილიონ 170 000ლარს უნდა მიაღწიოს; განხორციელდა განათლების რეფორმის ნაწილი მისაღები გამოცდების სფეროში - ჩატარდა საერთო ეროვნული გამოცდები. 2005 წლის ოქტომბერში ამოუვიდა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მონაკეთი, რომელიც ყოველწლიურად ქვეყნის ბიუჯეტს 50 მლნ დოლარს ჰპირდება; დაიწყო თბილისსა და საქართველოში გზებისა და ინფრასტრუქტურის ინტენსიური მშენებლობა და ა. შ. 2004 წლის მანძილზე მიღებულ იქნა რიგი ღონისძიებებისა სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში. კერძოდ, ქვეყნის პარლამენტმა მიიღო ახალი საგადასახადო კოდექსი, რომლის მიხედვითაც გადასახადების რაოდენობა 22-დან ცხრამდე შემცირდა. საკანონმდებლო ორგანომ გამოსცა კანონი ე. წ. ამნისტიისა და არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებებისა და ქონების ლეგალიზაციის შესახებ. იგი გულისხმობს იმ პირთა სისხლისამართლებრივ პასუხისმგებლობასა და სასჯელისაგან განთავისუფლების შესახებ წესს, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს სამეწარმეო და ეკონომიკურ სფეროში და მიმართულია ბიზნესგარემოს გაჯანსაღებისა და მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისაკენ.

მაგრამ უკანსაკნელმა პოსტრევოლუციურმა სამწლიანმა პერიოდმა ამავდროულად ისიც ცხადი გახადა, რომ საქართველოს საგარეო და განსაკუთრებით საშინაო ცხოვრებაში უფრო მეტი სიძნელეები, სირთულეები და პრობლემები არსებობდა. კვლავ მძიმე მდგომარეობა დაფიქსირდა სოციალურ სფეროში; გაიზარდა უმუშევრობა; კვლავ მძიმეა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა; იკლო საზღვარგარეთის განვითარებული ქვეყნებიდან შემოსული ინვესტიციების დონემ. მიუხედავად ამისა, გადაჭრით უნდა ითქვას – 2003 წლის 23 ნოემბერს ქართველმა საზოგადოებამ ერთადერთი და სწორი არჩევანი გააკეთა: რეფორმების გზით – დემოკრატიისაკენ; დემოკრატიის გზით – დასავლური პოლიტიკურ-კულტურულ და ეკონომიკურ სივრცესთან ინტეგრაციისაკენ; ინტეგრაციის გზით – სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის, ეროვნულ განვითარებასა და სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობისაკენ – ამგვარი ევოლუციის სახით ჰქონდა წარმოდგენილი ქართველ საზოგადოებას 23 ნოემბრის არჩევანი.

2004 წლის იანვარში გაიმართა საპრეზიდენტო არჩევნები საქართველოს პრეზიდენტად არჩეულ იქნა *მიხეილ სააკაშვილი*.

დასავლეთი დაუფარავად მიესალმა 23 ნოემბრის რევოლუციას, რადგან ახალი ხელისუფლება მკვეთრად დაადგა დასავლური საგარეო პოლიტიკურ კურსს. ვარდების რევოლუციის შემდგომი რამდენიმე წლის განმავლობა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში მიმდინარეობდა საქართველოს ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსთან თანამშრომლობისა და დაახლოების პროცესი.



საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი.

ნებისმიერი ქვეყნის ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანში – ნატო-ში გაწევრიანება გულისხმობს რამდენიმე ეტაპის გავლას, რომლის დროსაც წევრობის მაძიებელმა სახელმწიფომ გარკვეული სავალდებულო პროგრამები უნდა განახორციელოს. 2004 წელს საქართველომ ნატო-სგან მიიღო „ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა“. ამ პროგრამით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შემდეგ, 2006 წელს ნატო-ს საბჭომ, მიიღო გადაწყვეტილება გაწევრიანების შემდგომ ეტაპზე – ინტენსიურ დიალოგში საქართველოს ჩართვის შესახებ. ამის შემდეგ საქართველოს რჩება კიდევ ერთი და ბოლო ეტაპზე – „გაწევრიანების სამოქმედო გეგმაზე“ გადასვლა და მისი განხორციელება, რაც ნატო-ში სრული ინტეგრაციის ტოლფასია.

დღესდღეობით ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში გაერთიანებულია 27 წევრი-სახელმწიფო. ნატო-ს წესდების მეხუთე მუხლი ითვალისწინებს თითოეული წევრი-ქვეყნის მიმართ განხორციელებული აგრესიის შემთხვევაში – დაუყოვნებლივ ურთიერთდახმარებას: „მხარეები თანხმდებიან, რომ შეიარაღებული თავდასხმა ერთ-ერთ ან რამდენიმე მათგანზე ევროპაში ან ჩრდილოეთ ამერიკაში, განხილული იქნება თავდასხმად ყველა მათგანზე. აქედან გამომდინარე, თუ ასეთ შეიარაღებულ თავდასხმას ექნება ადგილი, ყოველი მათგანი... დახმარებას გაუწევს მხარეს ან მხარეებს, რომელზედაც განხორციელდება თავდასხმა, დაუყოვნებლივ, ინდივიდუალურად და სხვა მხარეებთან შეთანხმებით, ისეთი ქმედებების განხორციელებით, რომლებიც აუცილებლად ჩაითვლება – მათ შორის, შეიარაღებული ძალის გამოყენებით, რათა მოხდეს უსაფრთხოების აღდგენა და შენარჩუნება ჩრდილო-ატლანტიკურ სივრცეში.“

განვლილი წლების მანძილზე დასავლეთის სახელმწიფოებმა და მათმა ლიდერმა – აშშ-მა არაერთხელ დაადასტურეს საქართველოს მხარდაჭერა.

მაგ., ისინი ცალსახად მიესალმნენ აჭარაში საქართველოს ხელისუფლების იურისდიქციის ფაქტიურ აღდგენას. იგივე უნდა ითქვას ქვეყნის ხელისუფლების იურისდიქციის აღდგენაზე ზემო კოდორის ხეობაში. დასავლეთის აქტიურმა მხარდაჭერამ განაპირობა აგრეთვე, რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანა საქართველოს ტერიტორიიდან. დღეისათვის საქართველოს ტერიტორიაზე რჩება მხოლოდ სეპარატისტულ აფხაზეთში – გუდაუთის რუსული სამხედრო ბაზა.

მნიშვნელოვანი პოზიტიური პროცესები დაიწყო და მიმდინარეობდა ქვეყნის საშინაო პოლიტიკაში, საშინაო ცხოვრების არაერთ სფეროში. 2006 წლისათვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტმა არნახულ ციფრს – 3 მილიარდ ლარს გადააჭარბა; გატარდა რეფორმები განათლების სფეროში, სადაც საერთო ეროვნული მისაღები გამოცდების შედეგად აღმოიფხვრა ადრე გამეფებული კორუფცია. 2005 წელს ამუშავდა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის საქართველოს მონაკვეთი; ინტენსიურად მიმდინარეობდა ქვეყნის გზებისა და ინფრასტრუქტურის მშენებლობა; მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საინვესტიციო გარემო, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების პირობები და სხვ.

მაგრამ პოსტრევოლუციურმა პერიოდმა, ამავდროულად, ისიც ცხადი გახადა, რომ საქართველოს როგორც საშინაო, ისე საგარეო ცხოვრების სფეროებში, უფრო სერიოზული პრობლემები ჯერ კიდევ გადასაჭრელია. კვლავ მძიმე მდგომარეობაა სოციალურ სფეროში, კიდევ უფრო გაიზარდა უმუშევრობა, მიუხედავად ეკონომიკური განვითარების პროცესისა, ის არ დასტყობია მოსახლეობის ცხოვრების დონეს და მნიშვნელოვნად არ გაუუმჯობესებია მისი დიდი ნაწილის მდგომარეობა და ა.შ.

მოსახლეობის უმრავლესობის მძიმე სოციალურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ გამოიწვია მის მიერ პოლიტიკური ოპოზიციის მხარდაჭერა. 2007 წლის 2 ნოემბერს ოპოზიციის ინიციატივით მოეწყო მასობრივი საპროტესტო აქცია, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებისა და პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით. 7 ნოემბერს პოლიციამ აქცია ცრემლსადენი გაზის, ხელკეტების, რეზინის ტყვიებისა და წყლის ჭავლის გამოყენებით დაშალა. დაინიშნა ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები და რეფერენდუმი.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებით, 2008 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებში მიხეილ სააკაშვილმა გაიმარჯვა. რეფერენდუმში გამოტანილი იყო ორი კითხვა. პირველი კითხვის თანახმად, ამომრჩევლთა 69,8%-მა მხარი დაუჭირა საპარლამენტო არჩევნების გაზაფხულზე ჩატარებას, ხოლო მეორე კითხვის საფუძველზე, 77,5%-მა ხმა მისცა საქართველოს გაწევრიანებას ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში.

რუსეთის აბრესია და საქართველოს ოკუპაციის მცდელობა 2008 წლის აგვისტო-სექტემბერში

საქართველოს დასავლურ სტრუქტურებში ინტეგრაციისაკენ მისწრაფება საერთაშორისო მასშტაბის წინააღმდეგობებს წააწყდა. 2007 წლის ბოლოს და 2008 წლის დასაწყისში განსაკუთრებული აქტუალობის საგანი გახდა საქართველოს ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების საკითხი, რასაც მწვავედ დაუპირისპირდა რუსეთის ფედერაცია. იგივე საკითხმა არაერთგზროვანი დამოკიდებულება გამოავლინა ალიანსის წევრ-სახელმწიფოებშიც. 2007 წლის დეკემბერში ნატოს-ს საბჭოს სამიტმა ბუქარესტში, არ დააკმაყოფილა საქართველოს თხოვნა – ალიანსში „გაწევრიანების სამოქმედო გეგმის“ (მაპის) მიღების შესახებ (მანამდე, 2006 წელს საქართველომ მიიღო ალიანსში გაწევრიანების მორიგ ეტაპზე – „ინტენსიურ დიალოგში“ ჩართვის უფლება). „გაწევრიანების სამოქმედო გეგმა“ ითვლება ნატოში ინტეგრაციის უკანასკნელ საფეხურად, რომლის შემდეგაც კანდიდატ ქვეყანას ალიანსის წევრად იღებენ.

რუსეთის ფედერაცია ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა საქართველოს ხელისუფლება აეძულებინა – უარი ეთქვა ნატო-ში გაერთიანების განზრახვაზე. ამ მიზნის მისაღწევად იგი ცდილობდა საბოლოოდ მიეტაცებინა საქართველოს სეპარატისტული რეგიონები – აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი და ინტენსიურად ამწვავებდა ვითარებას. საქართველოს საშუალება არ ჰქონდა დიპლომატიური გზებით ებრძოლა ამ რეგიონებში საკუთარი იურისდიქციის აღდგენისათვის, რადგან რუსეთი მიჩნეული იყო მშვიდობისმყოფელ შუამავლად კონფლიქტურ რეგიონებში. რეალურად, რუსთი კონფლიქტურ მხარეს წარმოადგენდა და ფარულად ხელს უწყობდა სეპარატისტულ რეჟიმებს, ფულით, იარაღით, შეირაღებული ძალებით და სხვ.

ვითარება განსაკუთრებით გამწვავდა 2008 წლის ზაფხულში. 6-7 აგვისტოს საქართველოს შეირაღებულმა ძალებმა ცხინვალი დაიკავეს, რუსეთის ხელისუფლებამ საზღვართან მომზადებული 58-ე არმია საქართველოში, ცხინვალის რეგიონში, შემოიყვანა. რამდენიმე დღის მამაცური წინააღმდეგობის შემდეგ, ქართულმა შეიარაღებულმა ძალებმა კონფლიქტის რეგიონი დატოვეს. რუსეთის არმიამ კონფლიქტის ზონა გადმოლახა და ფაქტიურად მთელი შიდა ქართლის ოკუპაცია მოახდინა, გორიდან იგოეთამდე სარკინიგზო-საავტომობილო მაგისტრალის სახით. დასავლეთ საქართველოში ოკუპანტებმა ზუგდიდი, სენაკი და ფოთი დაიკავეს. ამავე დროს დაიწყო საქართველოს მშვიდობიანი სოფლებისა და ქალაქების საჰაერო და საარტილერიო დაბომბვა. ოკუპაციის საფრთხე დაემუქრა თბილისს.

მსოფლიო თანამეგობრობამ ცალსახა მხარდაჭერა გამოუცხადა საქართველოს. აშშ და მისმა მოკავშირეებმა, ევროკავშირმა, ჩრდილო-ატლანტიკურმა

ალიანსმა მკაცრად მოუწოდა რუსეთს, დაუყოვნებლივ შეეწყვიტა აგრესია და გაეყვანა ჯარი საქართველოდან. რუსეთის ხელისუფლება იძულებული გახდა ჯარის ძირითადი კონტიგენტი გაეყვანა საქართველოდან, მაგრამ მან მაინც დატოვა ჯარის გარკვეული ნაწილი პატარა ფოთში და სეპარატისტული რეგიონების გარშემო ფართო ზოლში.

ამჯერად, მსოფლიო თანამეგობრობა, დასავლეთის მოწინავე სახელმწიფოები საქართველოს მხარდასაჭერად გამოვიდნენ. რუსეთის აგრესიის შეჩერების პროცესში ჩაერთო ევროკავშირი და მისი თავმჯდომარე-ქვეყნის, საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი. სწორედ მისი ინიციატივით და ევროკავშირის, რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტების სახელით ხელი მოეწერა შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. დოკუმენტი ექვსი პუნქტისაგან შედგებოდა და შემდეგ პირობებს ითვალისწინებდა:

1. ძალის გამოუყენებლობა;
2. ცეცხლის (სამხედრო მოქმედების) შეწყვეტა;
3. თავისუფალი გასასვლელი ჰუმანიტარული დახმარებისათვის და დევნილებისათვის დაბრუნების ნებართვის მიცემა;
4. ქართული სამხედრო ძალების დაბრუნება საწყის პოზიციებზე, რომლებიც ეკავათ სამხედრო მოქმედების დაწყებამდე;
5. რუსული სამშვიდობო ძალები შეასრულებენ დამატებითი უსაფრთხოების ზომებს;
6. საერთაშორისო მოლაპარაკებების დაწყება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მტკიცე უსაფრთხოების გარანტიების შექმნის შესახებ.

რუსეთმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები არ შეასრულა და კონფლიქტის რეგიონების გარეთ საქართველოს ტერიტორიაზე ჯარის მცირე კონტიგენტები მაინც დატოვა ე.წ. საგუშაგოების სახით. მეტიც, მან ცნო აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობა და იურიდიულად დაიკანონა ორივე ქართული რეგიონის მიტაცება.

საქართველოს საკითხი დასავლეთისა და რუსეთის მწვავე დიპლომატიური დაპირისპირების საგნად იქცა. 2008 წლის 1 სექტემბერს შედგა ევროკავშირის სამიტი, რომლის ოცდაშვიდივე წევრმა-ქვეყანამ საქართველოდან რუსეთის ჯარის გაყვანა მოითხოვა და საქართველოს თანადგომა კვლავ დაადასტურა. განსაკუთრებით აქტიური მხარდაჭერა აღმოუჩინა საქართველოს აშშ-მა. სექტემბრის დასაწყისში ამერიკის რამდენიმე სამხედრო გემი შემოვიდა შავი ზღვის საქართველოს აკვატორიაში. დიდი რაოდენობით ჰუმანიტარული დახმარება ჩამოიტანა აგრესიის პერიოდში დაზარალებულებისა და დევნილებისათვის.







สถาบันวิทยบริการ
จุฬาลงกรณ์มหาวิทยาลัย







2008 წლის 8 სექტემბერს დასავლეთმა კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოსადმი თანადგომა. ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის საფრანგეთის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ მოსკოვში მოლაპარაკების დროს მიაღწია რუსეთთან შეთანხმებას, რომ რუსეთი ერთი თვის განმავლობაში გაიყვანდა ჯარის ნაწილებს საქართველოს ტერიტორიიდან. გამოიკვეთა ტენდენცია რომ საქართველო-რუსეთის კონფრონტაციული ურთიერთობა და ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის ბრძოლა, დიპლომატიურ-პოლიტიკური დიალოგისა და მოლაპარაკებების კალაპოტში განვითარდეს, წარიმართოს.

საქართველოში რუსეთის აგრესიით შექმნილი კრიზისი ჯერაც არ ჩამცხრალა...

გენეალოგიური ტაბულები

ერთიანი საქართველოს მეფეები

(ბაგრატიონთა დინასტია)



ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართლის მეფეები



კახეთის მეფეები



ქართლ-კახეთის მეფეები

ერეკლე II (1762-1798)

↓

გიორგი XII (1798-1800)

იმერეთის მეფეები



ეროვნული ბიბლიოთეკა

ძირითადი თარიღები

25-30 მილიონი წლის წინ – კავკასიის ყელმა ამოინია და შავი და კასპიის ზღვები გაიყო ხმელეთით.

ორი მილიონი წლის წინ – ადამიანის წარმოშობა დედამიწაზე.

1 მილიონი 850 ათასი წლის წინ – ადამიანი დასახლდა კავკასიაში (დმანისის Homo Erectus).

25 ათასი წლის წინ – ზედა პალეოლითის დასაწყისი. გვაროვნული წყობილების ჩამოყალიბება.

12-10 ათასი წლის წინ – მეზოლითის დასაწყისი.

12 ათასი – 7-6 ათასი წლის წინ – ახალი ქვის ხანა, „ნეოლითური რევოლუცია“.

8 ათასი წლის წინ – IV ათასწლეულამდე – ენეოლითის (სპილენძ-ქვის) ხანა.

IV-II ათასწლეული – ბრინჯაოს ხანა.

IV-III ათასწლეულის I ნახ. – ადრე ბრინჯაოს ხანა. მტკვარ-არაქსის კულტურის ჩამოყალიბება.

III ათასწლეულის II ნახ. – II ათასწლეულის I ნახ. – შუა ბრინჯაოს ხანა. თრიალეთის კულტურა. ტომთა კავშირების წარმოქმნა.

II ათასწლეულის II ნახ. – გვიანი ბრინჯაოს ხანა. რკინის მეტალურგიის დასაწყისი. ადრეკლასობრივი ურთიერთობების ჩამოყალიბება.

ძვ.წ. 1112 წ. – ასურეთის მეფემ, ტიგლათფილესერ I-მა დაამარცხა დიაოხის მეფე სიენი და ტყვედ წაიყვანა ასურეთში.

ძვ.წ. 845 წ. – დიაოხის მეფე ასია ძღვენით ეახლა მისი ქვეყნის საზღვრებთან გამოჩენილ ასურეთის მეფე სალმანასარ III-ს და მორჩილება გამოუცხადა.

ძვ.წ. IX ს. – ურარტუს სახელმწიფოს წარმოქმნა.

ძვ.წ. 810-786 – ურარტუს მეფე მენუას მეფობა.

ძვ.წ. 768 წ. – დიაოხის მეფე უტუფურსი აუჯანყდა ურარტუს მეფე არგიშთი I-ს.

ძვ.წ. 786-764 – ურარტუს მეფე არგიშთი I-ის მეფობა.

ძვ.წ. VIII ს-ის შუა ხანები – დიაოხის განადგურება ურარტუს და კოლხას ორმხრივი დარტყმების შედეგად.

ძვ.წ. XI-VIII სს. – კოლხას სამეფო.

ძვ.წ. 750-741 წწ. – ურარტუს მეფის სარდურ II-ის ორგზის ლაშქრობა კოლხაში.

ძვ.წ. 780- წ. – კიმერიელების მიერ ურარტუს დამარცხება.

ძვ.წ. VIII ს-ის ბოლო – სკვითების შემოჭრა ამიერკავკასიაში.

ძვ.წ. VII-VI სს. – კოლხეთის სამეფოს წარმოქმნა.

ძვ.წ. 590 წ. – ურარტუს სამეფოს განადგურება მიდიელების, სკვითებისა და ამიერკავკასიის ხალხების მიერ.

ძვ.წ. VI ს. – მიმოქცევაში შემოვიდა ვერცხლის ფული - „კოლხური თეთრი“.

ძვ.წ. VI ს. – მცირე აზიიდან ამიერკავკასიაში მესხური ტომების შემოჭრა.

ძვ.წ. V ს. – ბოსფორის სამეფოს დაარსება ბერძნების მიერ ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში.

ძვ.წ. VI ს. – ბერძნების მიერ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებზე ახალშენების დაარსება.

ძვ.წ. 334-323 წწ. – ალექსანდრე მაკედონელის მიერ აღმოსავლეთის ქვეყნების დაპყრობა.

ძვ.წ. IV-I სს. – ელინისტური ხანა.

ძვ.წ. IV-III სს. მიჯნა – ქართლის სამეფოს წარმოქმნა ფარნავაზიანთა დინასტიით სათავეში.

ძვ.წ. 247 წ. – პართიის გამოყოფა სელევკიდების სამეფოსაგან.

ძვ.წ. 190 წ. – ბრძოლა ქ. მაგნეზიასთან (მცირე აზია). რომაელებმა დაამარცხეს სელევკიდები.

ძვ.წ. 111-63 წწ. – პონტოს მეფის მითრიდატე VI ევპატორის მეფობა.

ძვ.წ. 66 წ. – რომის სენატმა გნეუს მაგნუს პომპეუსს დაავალა ომის წარმოება მითრიდატესა და პონტოს წინააღმდეგ – პომპეუსმა დაამარცხა მითრიდატე და სომხეთში შეიჭრა.

ძვ.წ. 66 წ. – დაიდო ზავი რომსა და სომხეთს შორის: სომხეთმა დაკარგა მის მიერ შემოერთებული ბევრი ოლქი, იკისრა 6 ათასი ტალანტის კონტრიბუციის (ფულადი გადასახადის) გადახდა, ტიგრან II-ემ მიიღო რომის „მეგობრისა და მოკავშირის“ წოდება, ე.ი. პოლიტიკურად დაუქვემდებარდა რომს.

ძვ.წ. 63 წ. – მითრიდატემ თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე.

ძვ.წ. 65 წ. – პომპეუსის ლაშქრობა ქართლში (იბერიაში).

ძვ.წ. 65-47 წწ. – კოლხეთში პომპეუსის მიერ დასმული არისტარქეს მმართველობა.

I-II სს. – ქართლის სამეფოს განმტკიცება და გაძლიერება.

I ს. – ქრისტიანული რელიგიის წარმოქმნა რომის იმპერიის აღმოსავლურ პროვინციებში.

34 წ. – პართიის მეფე არტაბან III-ემ სომხეთში გაამეფა თავისი ვაჟი არშაკი.

35 წ. – აჯანყება მეფე არშაკის წინააღმდეგ. უფლისწულ ფარსმანის მეთაურობით ქართველების ლაშქრობა სომხეთში, პართიელების დამარცხება და მითრიდატეს გამეფება სომხეთში.

63 წ. – დაიდო ზავი რომსა და პართიას შორის; ზავის ერთ-ერთი პირობით სომხეთი ორმაგი დამოკიდებულების ქვეშ აღმოჩნდა – იგი პართიის სამეფო სახლის სამფლობელოა და რომის ვასალია (მისგან იღებს სამეფო ნიშნებს).

68 წ. – რომის იმპერატორ ნერონის (54-68) მიერ პონტოს სამეფოს გაუქმება.

69 წ. – ანიკეტის აჯანყება კოლხეთში რომაელთა წინააღმდეგ.

75 წ. – რომის იმპერატორ ვესპასიანეს (69-75) მიერ მცხეთაში არმაზის ციხის გალავნის გამაგრება და ქართლის მეფე მითრიდატესთვის „კეისრისა და რომაელთა მეგობრის“ ტიტულის მინიჭება.

128 წ. – რომის იმპერატორის ადრიანეს (117-138) მიერ იბერიის მეფის ფარსმან II-ის რომში მიწვევა და ამ უკანასკნელის უარი.

250 წ. – ირანელების მიერ შაბურ I-ის (242-272) დროს რომის იმპერატორ ვალერიანეს (253-259) დატყვევება.

298 წ. – ნისიბინის ზავი; დაიდო 40 წლის ვადით ირანსა და რომს შორის: ირანმა სცნო რომის უპირატესობა სომხეთსა და იბერიაში.

313 წ. – რომის იმპერატორ კონსტანტინე I დიდის (306-337) მიერ მილანის ედიქტით (განსაკუთრებული ბრძანებულებით) ქრისტიანული სარწმუნოების თავისუფლების გამოცხადება.

325 წ. – ნიკეის I მსოფლიო საეკლესიო კრება, რომლის შემდეგ ქრისტიანობა ფაქტიურად რომის იმპერიის სახელმწიფო რელიგიად გადაიქცა.

326 წ. ან 337 წ. – ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება ქართლში.

IV ს. – ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება ეგრისში, დაახ. იმავე ხანებში როდესაც ამას ადგილი ჰქონდა იბერიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV ს.ისათვის ფეოდალური წარმოების წესის გაბატონება საქართველოში.

330 წ. – რომის იმპერატორ კონსტანტინე I დიდის მიერ დედაქალაქის ბალკანეთის ბოსფორზე, ახალშენ ბიზანტიონში გადმოტანა.

338 წ. – ირანის შაჰმა შაბურ II-ემ (309-379) დაიწყო ომი რომაელთა წინააღმდეგ.

350 წ. – რომაელებმა ელჩები გააგზავნეს თავიანთ მოკავშირეებთან: ქართლის მეფე მირიანთან და სომხეთის მეფე არშაკთან.

353 წ. – ზავი რომსა და ირანს შორის.

354 წ. – ირანელები შეიჭრნენ სომხეთში და დაამარცხეს მეფე არშაკ II.

358 წ. – ირანელებმა ტახტიდან ჩამოაგდეს ქართლის მეფე საურმაგი და მეფედ მისი ნათესავი ვარაზ-ბაკური დასვეს.

IV ს. 70-იანი წლები – ირანელებმა ქართლის სამეფო მთლიანად დაიმორჩილეს.

395 წ. – რომის იმპერია ორ (აღმოსავლეთ და დასავლეთ) ნაწილად გაიყო.

V ს-ის 20-იანი წლები – ქართლის მეფე მირდატი შეეწირა ირანელთა წინააღმდეგ ბრძოლას.

428 წ.- ირანელებმა მეფობა გააუქმეს სომხეთში.

V ს-ის II ნახ. – ვახტანგ გორგასლის მეფობა.

V ს-ის 50-60-იანი წლები – ვახტანგ გორგასალი ირანელთა არმიაში მონაწილეობდა ომებში შუა აზიასა და ინდოეთში.

459-484 წწ. – ირანის შაჰის პეროზის მეფობა.

483 წ. – ირანელებმა მეფობა გააუქმეს ალბანეთში.

466 წ. – ქართლის პიტიახში ვარსქენი გაემგზავრა ირანში პეროზ შაჰის კარზე და ნებაყოფლობით მიიღო მაზდეანობა.

468 წ. – ირანის შაჰი პეროზი ტყვედ ჩავარდა შუა აზიაში. მისი გამოხსნა მძიმე ტვირთად დააწვა ირანის მიერ დამორჩილებულ ქვეყნებს, მათ შორის ქართლს;

V ს-ის 70-იანი წლები – ვახტანგ გორგასლის ინიციატივით ქართლის ეკლესიამ მოიპოვა თვითმწყსობის (ავტოკეფალიის) უფლება, ხოლო მისმა მეთაურმა კათალიკოსის ტიტული.

482 წ. – მეფე ვახტანგ გორგასლის დავალებით მოკლეს ვარსქენ პიტიახში. დაიწყო აჯანყება ირანელთა წინააღმდეგ.

483 წ. – ირანელებმა ქართლში ორი დიდი ლაშქარი გამოგზავნეს. მათ ბრძოლა გაუმართა ქართველ-სომეხთა შეერთებულმა ლაშქარმა ვახტანგ გორგასლის სარდლობით. ღალატის გამო (დიდაზნაურებმა და სომეხ ნახარართა ნაწილმა

მიატოვეს ბრძოლის ველი) ვახტანგი დამარცხდა.

484 წ. – ქართლში და სომხეთში ირანელთა დიდი ჯარის შემოჭრა ჰაზარავუხტის სარდლობით. შაჰ პეროზის გარდაცვალება ჰეფთალებთან ბრძოლაში.

485 წ. – ალბანეთში გამეფდა ვაჩაკანი.

493 წ. ან 503 წ. – ბოლნისის სიონის საამშენებლო წარწერის თარიღი.

V ს. – ვახტანგ გორგასლის მიერ თბილისის (ტფილისის) დაარსება.

502 წ. – სამგორის ველზე გამართულ ბრძოლაში ირანელების წინააღმდეგ ვახტანგ გორგასალი მოღალატურად დაიჭრა და გარდაიცვალა უჯარმის ციხეში სადაც იგი გადაასვენეს.

505 წ. – ცურტავის სომეხმა ეპისკოპოსმა მოსემ დაიწყო დიოფიზიტების მხილება და იძულებული გახდა სომხეთში გაქცეულიყო.

510 წ. – ირანის შაჰმა კავად I (488-531) საბოლოოდ გააუქმა მეფობა ალბანეთში.

523 წ. – ქართლის მეფე გურგენი ირანელებისათვის თავის გარიდების მიზნით ეგრისში გადავიდა. გაუქმდა მეფობა ქართლში და დამყარდა ირანელთა მმართველობა. ქართლი, სომხეთი, ალბანეთი და ადარბადაგანი გაერთიანდა ირანის სახელმწიფოში შემავალ კავკასიის კუსტაკში.

532 წ. – დაიდო „უვადო ზავი“ ირანსა და ბიზანტიას შორის. ზავის ერთ-ერთი პირობით, ირანელებმა დაცალეს ეგრისის ციხე-სიმაგრეები.

VI ს-ის 30-იანი წლები – ბიზანტიის იმპერატორ იუსტინიანეს (527-565) დროს ბიზანტიელებმა ეგრისის სამხრეთით ციხე-ქალაქი პეტრა ააშენეს (დღევანდელი ციხისძირი).

542 წ. – ირანის შაჰის ხოსრო I-ის (532-579) ლაშქრობა ეგრისში. 20-წლიანი ომის დაწყება ირანელებსა და ბიზანტიელებს შორის.

545-549 წწ. – იმპერატორ იუსტინიანეს წინადადებით დროებითი, ხუთწლიანი ზავის დადება ბიზანტიასა და ირანს შორის. ზავის ერთ-ერთი პირობით ბიზანტიამ ლაზიკა (ეგრისი) დაიბრუნა.

549 წ. – ეგრისელების და ბიზანტიელების ბრძოლა ირანელებისაგან ციხე-ქალაქ პეტრას გასათავისუფლებლად.

550 წ. – ეგრისელთა და ბიზანტიელთა გამარჯვება მდ. ცხენისწყლის ნაპირას ირანელებზე.

550 წ. – ბიზანტიელების წინააღმდეგ აჯანყდნენ აბაზგები. აჯანყება დამარცხდა.

552 წ. – ეგრისელებისა და ბიზანტიელების მიერ პეტრას ციხის აღება. ციხე-გოჯთან (არქეოპოლისი, ნოქალაქევი) ირანელების დამარცხება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

553 წ. – ირანელმა სარდალმა მერმეროემ ტელეფისის (ს. ტოლები, სამტრედიის რ-ნი) ციხიდან გააქცია ბიზანტიელი მეციხოვნეები.

554 წ. – ბიზანტიელმა სარდლებმა მდ. ხობისწყლის ნაპირას ღალატით მოკლეს ეგრისის მეგე გუბაზი, ვითომც სპარსეთთან კავშირის გამო ცრუ ბრალდებით.

554 წ. – სახალხო კრება ეგრისში ქვეყნის საგარეო ორიენტაციის გადასაწყვეტად. კრებაზე ლაზი მჭევრმეტყველების – ფარტაძის (ბიზანტიელებთან კავშირის მომხრე) და აიეტის (ირანელებთან კავშირის მომხრე) გამოსვლა.

554 წ.- ბიზანტიელების მიერ ეგრისის მეფედ მოკლული გუბაზის ძმის – წათეს დამტკიცება.

555 წ. – ბიზანტიელებმა და ეგრისელებმა ორჯერ (ციხე-გოჯთან და ფაზისთან) დაამარცხეს ირანელი სარდალი ნახორაგანი, რომელიც ამის გამო ირანის შაჰმა ხოსრომ ცოცხლად გაატყავებინა კეფიდან ტერფამდე.

555 წ. – ბიზანტიელთა წინააღმდეგ აჯანყდნენ მისიმიელები. აჯანყება დამარცხდა.

562 წ. – დაიდო ორმოცდაათწლიანი ზავი ბიზანტიელებსა და ირანელებს შორის. ზავის ერთ-ერთი პირობით, ირანელები ეგრისზე ხელს იღებდნენ, ოლონდ სვანეთის დაცლას არ აპირებდნენ. ეს საკითხი ღია დარჩა.

571 წ. – ქართლი და სომხეთი აჯანყდა ირანელების წინააღმდეგ. ირანი არღვევს 562 წ. ბიზანტიასთან დადებულ 50-წლიან ზავს და შეიჭრება ქართლსა და სომხეთში. აჯანყებულები დამარცხდნენ. ბიზანტიამ უარი თქვა ქართლსა და სომხეთზე.

575 წ. – ბიზანტიელები სვანეთში შეიჭრნენ და ირანის მომხრე მთავარი დაატყვევეს. სვანეთი ბიზანტიის ხელში გადავიდა.

579 წ. – გარდაიცვალა ირანის შაჰი ხოსრო I და ირანში ტახტისათვის ბრძოლები დაიწყო.

592 წ. – ირანის შაჰმა ხოსრო II-ემ ტახტის დაბრუნებაში დახმარების სანაცვლოდ ქართლი და სომხეთი ბიზანტიას დაუთმო. აჯანყებული ქართლის სათავეში მდგომი გურგენ/გუარამი დიდგვარიანთა მოთხოვნით ბიზანტიამ იმპერატორ მავრიკის (582-602) დროს ქართლის უმაღლეს ხელისუფლად სცნო. იგი გახდა „ერისმთავარი“ და მას მიენიჭა კურაპალატის ტიტული. ერისმთავრობდა 591-595 წწ.

595-602/603 წწ. – ქართლის ერისმთავარია სტეფანოზ I. მან და მისმა სახლის წევრებმა ააგეს მცხეთის ჯვრის ტაძარი. მას ჰქონდა პატრიკიოსის ტიტული.

595-604 წწ. – მცხეთი ჯვრის წარწერების თარიღი.

608 წ. – ქართლისა და სომხეთის საეკლესიო განხეთქილება დვინის საეკლესიო კრებაზე.

614 წ. – ირანის შაჰმა ხოსრო II-მ იერუსალიმი აიღო, მოიწვია ქრისტიანთა საეკლესიო კრება და დაადგინა, რომ ირანის მორჩილი ყველა ქრისტიანს მონოფიზიტობა უნდა მიეღო. ადარნასე ერისმთავარი და კირიონ კათალიკოსი ქართლს გაეცალნენ (პირველი კახეთში, ხოლო მეორე დას. საქართველოში გადავიდა).

627 წ. – ბიზანტიის კეისარი ჰერაკლე (610-641) ბიზანტიელ-ხაზართა შეერთებული ჯარით თბილისს მოადგა ირანელების წინააღმდეგ საბრძოლველად. ბიზანტიელები დამარცხდნენ.

627 წ. – კეისარმა ჰერაკლემ დაამარცხა ირანელები გადამწყვეტ ბრძოლაში მდ. ტიგროსის სანაპიროსთან, ქ. მოსულის ახლოს, ძველი ნინევიის ნანგრევებთან.

628 წ. – დაიდო ზავი ბიზანტიასა და ირანს შორის: ბიზანტიამ დაიბრუნა სირია, პალესტინა, ეგვიპტე. ხაზარები მოადგნენ თბილისს. მათ დაამხეს აქ ირანელთა ბატონობა, მაგრამ გაძარცვეს ქალაქი და გაულიტეს მოსახლეობა.

VII ს-ის II ნახ. – ბიზანტიელებმა მეფობა დაუყმეს ეგრისში.

VII ს-ის 50-იანი წლების დასაწყისი – არაბებმა დაიპყრეს სომხეთი და მოადგნენ ქართლს.

654 წ. – ქართლის დამორჩილება არაბების მიერ. ჰაბიბ იბნ-მასლამას დაცვის სიგელი.

680 წ. – ზავი დაიდო ბიზანტიის იმპერატორსა (კონსტანტინე IV პსიგინატი) და არაბთა ხალიფას (იეზიდ I) შორის. ზავის ერთ-ერთი პირობით ქართლიდან შემოსული ხარჯა მათ შუაზე უნდა გაეყოთ.

697 წ. – ეგრისის მმართველის, პატრიკიოზ სერგი ბარნუკის ძის აჯანყება ბიზანტიელთა წინააღმდეგ. დასავლეთ საქართველოში არაბები გადავიდნენ.

724 წ. – ქართლში მოვიდა არაბი სარდალი ჯარაჰი: განაახლა ჰაბიბ იბნ-მასლამას დაცვის სიგელი, კომლობრივი გადასახადი შეცვალა სულადობრივით („გადიდებული ჯიზია"), დააწესა ახალი გადასახადი „ხარაჯა" (100 დირჰემი).

735-738 წწ. – არაბი სარდლის მურვან ყრუს ლაშქრობები საქართველოში.

740 წ. – არგვეთელი მთავრების დავით და კონსტანტინეს მონამეობრივი აღსასრული მურვან ყრუს მიერ (ხსენების დღე 2/15. X).

744 წ. – ანაკოფიის ციხეში თავშეფარებული ქართლის მეფის არჩილის შეპყრობა მურვან ყრუს მიერ და მისი მონამეობრივი აღსასრული (ხსენების დღე 21.VI/4.VII).

VIII ს-ის 40-იანი წლები – აფხაზთა მთავარი ლეონ I ხელმძღვანელობს ანტიარაბულ კოალიციას დასავლეთ საქართველოში.

772-773 წწ. – ნერსე ქართლის ერისმთავრის გამოძახება ბაღდადში და საპყრობილეში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩასმა. წმ. აბო თბილელის დაახლოება მასთან.

781 წ. – წელთაღრიცხვის 532-წლიანი ქრონიკონითი ციკლის მე-13 მოქცევის დაწყება.

786 წ. – თბილისის არაბი ამირას ბრძანებით აბო ტფილელს თავი მოჰკვეთეს (ხსენების დღე 8/21 იანვარი).

VIII ს-ის 80-იანი წლები – კახეთის სამთავროს წარმოქმნა მდ. არაგვისა და ივრის ზემო წელში; ცენტრი – თიანეთი.

VIII ს-ის 80-იანი წლები – ჰერეთის სამეფოს წარმოქმნა, დედაქალაქი – შაქი.

VIII ს-ის 90-იანი წლები – იოვანე საბანის ძე ქართლის კათალიკოს სამოელის დავალებით წერს „აბო თბილელის წამებას“.

VIII ს-ის 90-იანი წლები – აფხაზთა (ეგრისის) სამეფოს წარმოქმნა დასავლეთ საქართველოში. პირველი მეფე ლეონ II (758-798); დედაქალაქი-ქუთაისი.

IX ს-ის დასაწყისი – ტაო-კლარჯეთის სამთავროს ჩამოყალიბება სამხრეთ საქართველოში აშოტ I დიდი ბაგრატიონის მიერ, დედაქალაქი - არტანუჯი; აშოტის ბიზანტიის მფარველობაში შესვლა და კურაპალატის ტიტულის მიღება. მტრებმა მოკლეს ოპიზის ტაძრის საკურთხეველში 826 წელს (ხსენების დღე 29.I/11.II).

IX ს. დასაწყისი – თბილისის საამიროს გამოყოფა სახალიფოსგან;

816-837 წწ. – ბაბეკის აჯანყება აზერბაიჯანში არაბთა მმართველობის წინააღმდეგ.

853 წ. – ბუღა თურქის ლაშქრობა ამიერკავკასიაში; 5. VIII, შაბათ დღეს თბილისის გადაწვა; თბილისის ამირა საჰაკის შეპყრობა და თავის მოკვეთა; 26.VIII ბუღას სარდლის ზირაქის მიერ კონსტანტი კახის და მისი ძის – თარხუჯის შეპყრობა (ხსენების დღე 10/23.XI.).

854 წ. – ბუღა თურქი შემოიჭრა საქართველოში და გარდაბანი ააოხრა.

864 წ. – გადაიწერა უძველესი ქართული თარიღიანი ხელნაწერი, ე.წ. „სინური მრავალთავი“ (ინახება სინის მთის წმ. ეკატერინეს მონასტერში).

888 წ. – აშოტ I-ის შვილიშვილის ადარნასე ბაგრატიონის მიერ „ქართველთა მეფის“ ტიტულის მიღება.

897 წ. – გადაიწერა უძველესი ქართული თარიღიანი სახარება, ე.წ. „ადიშის ოთხთავი“ (ინახება სვანეთში, მესტიის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში).

IX ს. დასაწყისი – ნუსხური დამწერლობის ჩასახვა.

914 წ. – არაბთა ჯარის შემოჭრა საქართველოში აზერბაიჯანის ამირას აბულ-კასიმის სარდლობით. მათ მიერ ყველის ციხის ერისთავის გობრონის შეპყრობა და მაჰმადიანობის უარყოფის გამო სიკვდილით დასჯა (ხსენების დღე 17/30.XI.).

951 წ. – გიორგი მერჩულემ დაწერა „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“.

X ს. II ნახ. – ბასილ ზარზმელმა დაწერა „ცხოვრება სერაპიონ ზარზმელისა“.

X ს. II ნახ. – დავით კურაპალატის მეფობა († 1001).

973-976 წწ. – მიქაელ მოდრეკილმა შეადგინა ჰიმნოგრაფიული კრებული „დიდი იადიგარი“.

975 წ. – ბაგრატ უფლისწულის დადგენა შიდა ქართლის მმართველად.

976-979 წწ. – ბარდა სკლიაროსის აჯანყება ბიზანტიის სამეფო კარის წინააღმდეგ. დავით კურაპალატის დახმარება სამეფო კარისადმი და ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ 12-ათასიანი მხედრობის გაგზავნა თორნიკე და ჯოჯიკ ერისთავების ხელმძღვანელობით. სკლიაროსის დამარცხება 979 წლის 26 მარტს.

978 წ. – ბაგრატ III-ის მეფედ კურთხევა ქუთაისში.

980 წ. – მოღრისის ბრძოლა. გაიმართა ბაგრატ II-სა და ქართლის აზნაურიებს შორის ქავთარ ტბელის მეთაურობით. მეფემ გაიმარჯვა და განიმტკიცა ხელისუფლება შიდა ქართლში.

980-983 წწ. – იოვანე მთაწმინდელმა და იოვანე თორნიკ-ყოფილმა ათონის მთაზე დააარსეს ქართველთა მონასტერი ივირონი.

989 წ. – ბარდა ფოკას აჯანყება ბიზანტიის სამეფო კარის წინააღმდეგ. დავით კურაპალატის მისადმი მიმხრობა და მარცხი.

989 წ. – ბაგრატ III-ის მიერ კლდეკარის ციხის აღება, რატი ბაღვაშის დამორჩილება და მისი მამულის შემომტკიცება.

978-1014 წწ. – ბაგრატ III-ის მეფობა.

X ს-ის ბოლო – საბაწმინდელ-სინელმა მოღვაწემ იოვანე-ზოსიმემ დაწერა „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“.

X-XI სს. მიჯნა – მხედრული (გარდამავალი მხედრული) დამწერლობის ჩასახვა.

1001 წ. – დავით კურაპალატი გარდაიცვალა; იმპერატორმა ბასილი II-ემ (976-1025) მისი სამფლობელო დაიკავა.

1003 წ. – ბაგრატ III-ის ლაშქრობა კახეთში მის შემოსაერთებლად.

1003 წ. – იატაკი დაიგო ბაგრატის ტაძარში (ქუთაისი) და, მაშასადამე, დასრულდა მისი მშენებლობა. ბაგრატის ტაძარი გადაიქცა გაერთიანებული საქართველოს სიმბოლოდ და საქართველოს მეფეთა კურთხევის ადგილად.

1008-1010 წწ. – ბაგრატ III-ის მიერ კახეთ-ჰერეთის შემოერთება.

1010 წ. – ბაგრატ III-ემ შეიპყრო მამამისის დისწულნი, „კლარჯნი ხელმწიფენი“ სუმბატ

და გურგენ და მათი მამულები თავისთვის შემოიმტკიცა.

1010 წ. ახლო – კახეთში აიგო ალავერდის დიდი კათედრალური ტაძარი.

1010-1029 წწ. – კათალიკოს-პატრიარქ მელქისედეკ I-ის ინიციატივით, ხუროთმოძღვარმა არსუკისძემ, ვახტანგ გორგასლის დროინდელი მცხეთის კათედრალური ბაზილიკური ტაძარი სვეტიცხოველი გადააკეთა ცენტრალურ-გუმბათოვან ნაგებობად.

1014-1027 წწ. – გიორგი I-ის მეფობა.

1014 წ. – კახეთ-ჰერეთის განდგომა ერთიანი საქართველოსაგან.

1021 წ. – ბასილი II-ის შემოჭრა საქართველოში; გიორგი I-ის მიერ ბრძოლისთვის თავის არიდება. ბრძოლა შირიმნთან; ქართველების დამარცხება; რატი ბაღვაშის და ხურსი ერისთავის დაღუპვა.

1023 წ. – ზავის დადება ბიზანტიის იმპერიასა და საქართველოს შორის: ბიზანტიამ დაიბრუნა სადავო ტერიტორიები (დავით კურაპალატის ყოფილი სამფლობელო); წაიყვანეს მძევლები, მათ შორის მცირეწლოვანი ბაგრატ უფლისწული.

102701072 წწ. – ბაგრატ IV-ის მეფობა.

1028 წ. – ბიზანტიელთა ჯარის შემოჭრა საქართველოში და თრიალეთამდე ლაშქრობა. ლიპარიტ ბაღვაშის მცდელობით ჯარი უკან გაბრუნდა.

1030 წ. – ილარიონ ყანჩაელმა, სამთავნელმა ეპისკოპოსმა, რომელიც თვითონაც ხუროთმოძღვარი იყო, ააგო სამთავისის ტაძარი ქართლში, გორის ახლოს.

1031 წ. – ელჩობა კონსტანტინოპოლში ბაგრატ IV-ის დედის, დედოფალ მარიამის ხელმძღვანელობით. ელჩობაში მონაწილეობდა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მელქისედეკ I (1010-1033).

1032 წ. – კლარჯი ხელმწიფის გურგენ ბაგრატიონის ძის დემეტრე უფლისწულის მიერ ანაკოფიის ციხის ბიზანტიელებისათვის გადაცემა და კონსტანტინოპოლში გაქცევა.

1032 წ. – კლდეკარის ერისთავის ლიპარიტ ბაღვაშის და ქართლის ერისთავის ივანე აბაზას ძის მიერ თბილისის ამირა ჯაფარის შეპყრობა და ბაგრატ IV-ისათვის გადაცემა. მეფემ ამირა ჯაფარი ყმადნაფიცობის პირობით კვლავ თბილისში დააბრუნა.

1032 წ. – ბაგრატ IV-ემ თბილისს ალყა შემოარტყა, რაც ორ წელიწადს გაგრძელდა. ამირა ჯაფარი გასაქცევად ემზადებოდა, მაგრამ სომხეთსა და აზერბაიჯანში თურქ-სელჯუკთა ჯარი შემოიჭრა და მეფემ თბილისს ალყა მოხსნა.

XI ს-ის 30-იანი წლები – შუა აზიიდან თურქ-სელჯუკთა ტომების შემოსევების დაწყება

მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებზე.

1045 წ. – ბიზანტიელთა ბატონობით თავმობეზრებულმა ქ. ანისის თავკაცებმა ბაგრატ IV-ეს გადასცეს თავიანთი ქალაქი.

1045 წ. – ლიპარიტ ბაღვაშთან ბრძოლით თავმობეზრებული ბაგრატ IV კონსტანტინოპოლს გაემგზავრა, სადაც 3 წელი დაჰყო.

1045 წ. – ბაგრატ IV-ემ ბიზანტიაში გამგზავრების წინ მცირეწლოვანი უფლისწული გიორგი მეფედ აკურთხა და ქუთაისში დატოვა. ლიპარიტ ბაღვაშმა გიორგი II ქართლში გადმოიყვანა, რუისში ხელმეორედ მეფედ აკურთხა და თავი მის აღმზრდელად გამოაცხადა.

1048 წ. – ბიზანტიის იმპერატორის (კონსტანტინე IX მონომახოსი – 1042-1055) შუამავლობით მოხდა შეთანხმება ბაგრატ IV-სა და ლიპარიტ ბაღვაშს შორის: ბაგრატი დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მეფედ დარჩა, ხოლო ლიპარიტი სამხრეთ საქართველოს – მესხეთის მთავარი.

1040-იანი წლები – შავთელმა მოღვაწემ გიორგი-პროხორემ იერუსალიმში დააარსა ჯვრის ქართველთა მონასტერი.

1058 წ. – ლიპარიტ ბაღვაშის თვითნებობით თავმობეზრებულმა მესხმა აზნაურებმა სულა კალმახელის მეთაურობით იგი შეიპყრეს და ბაგრატ IV-ეს მიჰგვარეს. ლიპარიტი ანტონის სახელით ბერად აღკვეცეს და ბიზანტიაში გააძევეს.

1060 წ. – ბაგრატ IV-ემ თავისი ასული მართა ცოლად მიათხოვა ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე X დუკას (1059-1067).

1064 წ. – თურქ-სელჯუკების პირველი გამოჩენა საქართველოში სულთან ალფ-არსლანით სათავეში. ახალქალაქის აღება და განადგურება.

1066 წ. – ბაგრატ IV-ემ თავისი დისწული სულთანს მიათხოვა ცოლად.

1068 წ, თურქ-სელჯუკების შემოსევა საქართველოში. კახეთის შემოერთებისათვის მებრძოლი ბაგრატ IV დასავლეთ საქართველოში გადავიდა. ქართველთა ძალები სვერის (ზემო იმერეთი) ციხეში გამაგრდა. სელჯუკებმა დიდი მსხვერპლის ფასად ციხე აიღეს და საქართველოს 6 კვირა აოხრებდნენ.

1071 წ. – ბრძოლა მანასკერტთან თურქ-სელჯუკებსა (სულთანი ალფ-არსლანი – 1063-1072) და ბიზანტიელებს (იმპერატორი რომანოზ IV დიოგენი – 1068-1072) შორის. რომანოზ დიოგენი ტყვედ ჩავარდა.

1072 წ. – გარდაიცვალა ბაგრატ IV (დაკრძალეს ჭყონდიდში) და შეთქმულებმა მოკლეს ალფ-არსლანი.

1072-1089 წწ. – გიორგი II-ის მეფობა.

1072 წ. – ივანე ბაღვაშის, ვარდან სვანთა ერისთავის და ნიანია ქვაბულის ძის გამოსვლა მეფის წინააღმდეგ. მეფის მიერ მათი დამარცხება, მაგრამ, დასჯის ნაცვლად დასაჩუქრება.

1074 წ. – ფარცხისის ბრძოლა; გაიმართა გიორგი II-სა და განძის გამგებელს შორის, რომელსაც სელჯუკთა სულთანმა მალიქ-შაჰმა (1072-1092) ქართლის დასარბევად 48 ათასი მხედარი დაუტოვა. მეფემ განძის გამგებელი დაამარცხა.

1074 წ. – ზავი თურქ-სელჯუკებსა და ბიზანტიას შორის: იმპერიამ თავისი აღმოსავლური პროვინციების დიდი ნაწილი სელჯუკებს დაუთმო.

1074-1080 წწ. – გიორგი II-ის მიერ ბიზანტიელებისთვის ანაკოფიის (აფხაზეთში), შავშეთ-კლარჯეთი-არტანიის ციხეების წართმევა და კვლავ საქართველოსთვის შემოერთება კარის (ყარსის) ციხისა და ვანანდის მხარის ციხეებთან ერთად.

1080 წ. – მალიქ-შაჰის მიერ გამოგზავნილი თურქ-სელჯუკთა დიდმა ლაშქარმა მეფე გიორგი II დაამარცხა ყველის ციხეში (ჯავახეთი). სელჯუკები „მკალივით“ (კალია) მოედვნენ მთელ საქართველოს და მოახრეს იგი. „დიდი თურქობის“ დასაწყისი.

1083 წ. – ბიზანტიელმა დიდმოხელემ, იმპერიის ჯერ აღმოსავლეთის და შემდეგ დასავლეთის დიდმა დომესტიკოსმა (ჯარების სარდალმა), წარმოშობით ქართველმა გრიგოლ ბაკურიანის ძემ სოფ. პეტრიწონთან (დღევანდელი ბაჩკოვო, ბულგარეთი) დააარსა ქართველთა მონასტერი და შეუდგინა მას ტიპიკონი.

1083 წ. – გიორგი II გაემგზავრა სულთან მალიქ-შაჰთან და ზავი ითხოვა ხარკის ფასად.

1089 წ. – მეფე გიორგი II გადადგა და ტახტი დაუთმო 16 წლის შვილს დავითს.

1089-1125 წწ. – დავით IV აღმაშენებლის მეფობა.

1093 წ. და 1095 წ. – დავით IV-ემ ორჯერ შეიპყრო ლიპარიტ ბაღვაში, რომელიც საბოლოოდ ბიზანტიაში გააძევა, ხოლო მისი სამფლობელოები სახელმწიფო საკუთრებად აქცია.

1095 წ. – კლერმონში (საფრანგეთი), საეკლესიო კრებაზე, რომის პაპმა ურბან II-ემ გამოაცხადა ჯვაროსნული ომის დაწყება თურქ-მაჰმადიანთა წინააღმდეგ იერუსალიმში ქრისტეს საფლავის გათავისუფლების საბაბით.

1097 წ. – დავით აღმაშენებელმა ხარკი შეუწყვიტა თურქ-სელჯუკებს.

1101 წ. – დავით IV-ემ კახეთის მეფე კვირიკეს ზედაზნის ციხე წაართვა. ერთი წლის შემდეგ კვირიკე გარდაიცვალა, ხოლო კახეთის ახალი მეფე, კვირიკეს ძმისშვილი აღსართანი, ჰერმა დიდებულებმა შეიპყრეს და დავით მეფეს მიჰგვარეს.

1104 წ. – ერწუხის (ბოჭორმის ციხის ახლოს) ბრძოლა მეფე დავით IV-ესა და სელჯუკთა სულთნის ლაშქარს შორის, რომელსაც ემხრობოდნენ განძის ათაბაგი და კახეთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰერეთის დიდებულთა ნაწილი. მეფემ მათზე დიდი გამარჯვება მოიპოვა.

1105 (1103, 1104) წ. – გაიმართა რუის-ურბნისის საეკლესიო კრება, რომლის ხელმძღვანელი („კრების თვალი“) იყო გიორგი ჭყონდიდელი, ხოლო მის მუშაობაში მონაწილეობდა მეფე დავით IV. კრებამ გადააყენა მეფის პოლიტიკის მოწინააღმდეგე მღვდელმთავრები, შეადგინა „ძეგლისწერა“, ანუ კანონთა კრებული, დაადგინა სინოდიკონი – უმაღლეს საერო და სასულიერო პირთა მოხსენიების წესი. კრების „ძეგლისწერას“ დაერთო არსენ მონაზონის „შესხმა“ დავით მეფისა.

1110 წ. – გიორგი ჭყონდიდელი-მწიგნობართუხუცესის მეთაურობით ქართველთა ჯარმა ქართლში ციხე-ქალაქი სამშვილდე წაართვა თურქ-სელჯუკებს. ამით შეშინებულმა თურქ-სელჯუკებმა უბრძოლველად დატოვეს სამშვილდის მიმდებარე ციხეები და სოფლები.

1115 წ. – ქართველთა ჯარმა რუსთავი გაათავისუფლა თურქ-სელჯუკებისაგან.

1116 წ. – ქართველთა ჯარმა ტაო გაათავისუფლა თურქ-სელჯუკებისაგან.

1117 წ. – დავით IV-ემ აიღო გიშის ციხე. ამით ჰერეთი საბოლოოდ შემოუერთდა დანარჩენ საქართველოს.

1118 წ. – ყივჩაღთა 40 ათასი ოჯახის გადმოსახლება საქართველოში სამხრეთ რუსეთის სტეპებიდან, მათგან 40 ათასი მუდმივი ცხენოსანი ჯარის შექმნა და სამხედრო რეფორმის დასრულება დავით აღმაშენებლის მიერ.

1118 წ. – ქართველთა ჯარმა აიღო ლორეს ციხე და ციხე-ქალაქი აგარანი. ამით დასრულდა ქვემო ქართლის თურქ-სელჯუკთაგან განთავისუფლება.

1121 წ. 12 აგვისტო – გაიმართა ბრძოლა დიდგორში თურქ-სელჯუკთა კოალიციურ ლაშქარსა (სარდალი – ბაღდადის გამგებელი ილ-ღაზი) და საქართველოს სამეფოს ჯარს შორის დავით აღმაშენებლის ხელმძღვანელობით. ქართველებმა „ძლევაჲ საკვირველი“ აჩვენეს და ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს.

1122 წ. – დავით IV-ემ პირველივე იერიშით აიღო ქ. თბილისი და გაანთავისუფლა იგი მაჰმადიანთა 400-წლიანი ბატონობისაგან.

1123 წ. – დავით IV-ემ უბრძოლველად აიღო ქ. დმანისი – მაჰმადიანთა უკანასკნელი საყრდენი პუნქტი საქართველოში.

1124 წ. IX – დავით აღმაშენებელმა ანდერძი დაუწერა შიომღვიმის მონასტერს, დაუმტკიცა მას საბანმინდურ-სვიმონწმინდური ტიპიკონი, გადააქცია იგი სამეფო მონასტრად, გამოიყვანა საეპარქიო იურისდიქციიდან და მეურვედ დაუნიშნა ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი.

1124 წ. – დავით IV-ემ საქართველოს სამეფოს უშუალოდ შემოუერთა შარვანი.

1124 წ. – დავით IV-ემ ზედიზედ აიღო ჩრდილოეთ სომხეთის ციხეები; ანისის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავკაცების თხოვნით გაილაშქრა ანისზე და გაათავისუფლა იგი თურქთა ბატონობისაგან. ანისი უშუალოდ შემოუერთდა საქართველოს სამეფოს.

1125 წ. 24.IV – დავით IV აღმაშენებლის გარდაცალება 54 წლის ასაკში (მისი ხსენების დღე – 25.I/8.II).

1125-1155 წწ. – დემეტრე I-ის მეფობა.

1126 წ. – თურქებმა ენერგიულად შეუტიეს ანისს. დემეტრე I-მა ანისი დაუბრუნა თურქებს ყმადნაფიცობის პირობით; ამასთანავე, ანისის კათედრალური ტაძარი სამუდამოდ სომხების ხელში უნდა დარჩენილიყო და იქ მუსლიმებს არ ჰქონდათ შესვლის უფლება.

1138 წ. – დემეტრე I-მა განძა აიღო; გამარჯვების ნიშნად განძის ციხის კარები ჩამოახსნევინა, საქართველოში ჩამოიტანა და გელათის მონასტერს შესწირა (კარი ამჟამადაც იქ ინახება მასზე ამოჭედილი შესაბამისი რელიეფური ქართული ასომთავრული წარწერით). დემეტრე I-მა ვერ შეძლო განძის შენარჩუნება. იგი თურქებმა დაიბრუნეს და დიდხანს დარჩა საქართველოს სამეფოს წინააღმდეგ ბრძოლის პლაცდარმად.

1155 წ. – დემეტრე I ბერად აღკვეცა მისმა უფროსმა შვილმა დავითმა და ხელთ ჩაიგდო სამეფო ტახტი. 6 თვის მეფობის შემდეგ დავითი გარდაიცვალა. ტახტი კვლავ დაიბრუნა დემეტრე I-მა და სიცოცხლეშივე მეფედ აკურთხა თავისი უმცროსი შვილი გიორგი.

1156-1184 წწ. – გიორგი III-ის მეფობა.

1161 წ. და 1174 წ. – გიორგი III-მ ანისზე გაილაშქრა და იგი აიღო; ქალაქის მართვა-გამგეობა მეფემ ამირსპასალარ ივანე ორბელს ჩააბარა.

1177 წ. – მეფის ხელისუფლების განმტკიცებით და ცენტრალიზაციით უკმაყოფილო დიდგვაროვნების აჯანყება გიორგი III-ის წინააღმდეგ ამირსპასალარ ივანე ორბელის მეთაურობით. აჯანყების საბაბი იყო გიორგი III-ის ძმის დავითის შვილის და ივანე ორბელის სიძის – დემნა უფლისწულის ვითომდა კანონიერი უფლებების დაცვა სამეფო ტახტის დასაკავებლად. აჯანყებულები მეფემ დაამარცხა და სასტიკად დასაჯა.

1178 წ. – გიორგი III-ემ თავისი ასული თამარი თანამოსაყდრედ აკურთხა.

1178-1184 წწ. – გიორგი III-ის და თამარის თანამეფობა.

1184-1207 (1210, 1213) – თამარის მეფობა.

1184 წ. – დიდგვაროვანთა გამოსვლა თამარის სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ გიორგი III-ის დროს დაკარგული თავიანთი პოლიტიკური უფლებების აღსადგენად. მათ ხელახლა აკურთხეს თამარი მეფედ და თანამდებობიდან გადააყენებინეს:

ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი ანტონი, ამირსპასალარი ყუბასარი და მსაჯ-ურთუხუცესი აფრიდონი.

1184 წ. – დიდგვაროვანთა გამოსვლა მეჭურჭლეთუხუცეს ყუთლუ-არსლანის მეთაურობით, რომელთა მოთხოვნა იყო სამეფო ხელისუფლების შეზღუდვა საკანონმდებლო უფლების „კარვის“ წევრებისათვის გადაცემის გზით. გამოსვლა დამთავრდა კომპრომისით – მეფემ არ დათმო საკანონმდებლო უფლებები, მაგრამ ამიერიდან დიდებულთა „ერთნებობით და თანადგომით“ განაგებდა ქვეყანას.

1185 წ. – თამარის დაქორწინება ვლადიმერ-სუზდალის მთავრის ანდრია ბოგოლიუბსკის ძე იურიზე, რომელიც მცირეწლოვანებისას ნოვგოროდის მთავარი იყო, ხოლო იმ ხანებში ბიძისაგან დევნილი სამხრეთ რუსეთის სტეპებში აფარებდა თავს. საქართველოში მას გიორგი რუსს ეძახდნენ.

1187 წ. – თამარ მეფე გაეყარა გიორგი რუსს, რადგან მას პიროვნული ნაკლი აღმოაჩნდა და იგი ბიზანტიაში გააძევეს.

1188 წ. – თამარის დაქორწინება დავით სოსლანზე, საქართველოს სამეფო კარზე აღზრდილ ოს უფლისწულზე.

1191 წ. – დასავლეთ საქართველოს დიდგვაროვანთა გამოსვლა მეფის წინააღმდეგ გიორგი რუსის სამეფო ტახტზე დაბრუნების საბაბით. აჯანყება დამარცხდა, გიორგი რუსი ბიზანტიაში გაიქცა.

1193 წ. – გიორგი რუსი მეორედ შეეცადა საქართველოს სამეფო ტახტის დაბრუნებას, მაგრამ, ამჯერად მას ქართველ დიდგვაროვანთაგან მხარი არავინ დაუჭირა და იგი კვლავ უცხოეთში გადაიხვეწა.

1195 წ. – შამქორის ბრძოლა. გაიმართა საქართველოს ჯარსა (სარდალი – დავით სოსლანი) და მაჰმადიანთა გაერთიანებულ მხედრობას (სარდალი - აბუბექრი) შორის; დამთავრდა ქართველთა გამარჯვებით.

1199 წ. – ანისის საბოლოოდ შემოერთება საქართველოს სამეფოსათვის თამარის მეფობის დროს.

1202 წ. – ბასიანის ბრძოლა. გაიმართა საქართველოს ჯარსა (სარდალი – დავით სოსლანი) და რუმის სასულთნოს (სულთანი - რუქნ-ად-დინი) ლაშქარს შორის. ქართველებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს.

1204 წ. – ტრაპიზონის საკეისროს შექმნა საქართველოს სამეფო კარის ინიციატივით და მონაწილეობით.

1204 წ. – საქართველოს მიერ კარის (ყარსის) დაპყრობა და შემოერთება. თამარის მიერ კარის გამგებლად ივანე ახალციხელის დანიშვნა.

1210 წ. – ქართული ჯარის მიერ ჩრდილოეთ ირანის დალაშქვრა ზაქარია და ივანე მხარგრძელების სარდლობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1112 წ. აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა აჯანყება სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ, მისი დიდი სისასტიკით ჩახშობა ივანე ათაბაგის მიერ.

1195 წ. – გადაიწერა წყაროსთავის სახარება, რომლის ყდა მოჭედილია ოქრომჭედელ ბექა ოპიზრის მიერ.

XII ს. II ნახ. – XIII ს. დასაწყისი – შოთა რუსთველის მოღვაწეობა.

1206 წ. – მონღოლთა ყურულთაიზე (სახალხო კრება) თემუჩინის არჩევა ჩინგიზ-ყაენად და მონღოლთა სახელმწიფოს წარმოქმნა.

1210-1222 წწ. – ლაშა-გიორგის მეფობა.

1210 წ. – განძის ათაბაგი განუდგა საქართველოს სამეფოს. იგი ძალით დაიმორჩილეს მეფე ლაშა-გიორგის ხელმძღვანელობით.

1219 წ. – ძალით დაიმორჩილეს გამდგარი ვასლები: ხლათის, არზრუმის და ნახჭევნის თურქი მფლობელები.

1218 წ. – მონღოლების შეჭრა შუა აზიაში და ხორეზმის სახელმწიფოს განადგურება.

1220 წ. – ხვარაზმ-შაჰ მუჰამედის გარდაცვალება კასპიის ზღვის ერთ-ერთ კუნძულზე.

1220-1221 – მონღოლი ნოინების ჯებეს და სუბუდაის სამი შეტაკება საქართველოს სამეფო ჯართან. სამივე შეტაკებაში ქართველები დამარცხდნენ.

1222 წ. 18. I. – მონღოლებთან შეტაკებებისას დაჭრილი ლაშა-გიორგის დაავადება და გარდაცვალება.

1223 წ. – ბრძოლა მდ. კალკასთან. მონღოლებმა სასტიკად დაამარცხეს რუს მთავართა და ყივჩაღთა გაერთიანებული ლაშქარი.

1225 წ. – ხვარაზმელი უფლისწულის ჯალალ ედ-დინის პირველი გამოჩენა საქართველოს საზღვრებთან მისი დამორჩილების მიზნით.

1225 წ. – გარნისის ბრძოლა ქართველთა (სარდალი - ივანე ათაბაგი) და ხვარაზმელთა (სარდალი - ჯალალ-ედ-დინი) შორის. ქართველები დამარცხდნენ.

1226 წ. 9. III – ჯალალ ედ-დინის მიერ თბილისის აღება და მისი სასტიკად აოხრება.

1127 წ. – ქართველებმა თბილისში დატოვებული ხვარაზმელთა გარნიზონი ამოწყვიტეს და ქალაქი დაიბრუნეს.

1227 წ. – გარდაიცვალა ჩინგიზ-ყაენი. მისი შექმნილი იმპერია გაიყო ოთხ ნაწილად მის შვილებს შორის.

1228 წ. – ბოლნისის ბრძოლა. გაიმართა ქართველებსა და ხვარაზმელებს შორის. ჯალალ ედ-დინმა გაიმარჯვა.

1231 წ. – ჯალალ ედ-დინი მესოპოტამიაში მოკლეს ქურთებმა.

1235 წ. – მონღოლთა მოსვლა მსახურთუხუცეს ვარამ გაგელის სამფლობელოში შამქორში და მისი დაკავება. ვარამის მიერ ბრძოლისთვის თავის არიდება და დასავლეთ საქართველოში გადასვლა.

1235-1242 წწ. – მონღოლთა მიერ საქართველოს ნაწილ-ნაწილ დაპყრობა.

1238-1239 წწ. – მონღოლთა მიერ ანისის და კარის (ყარსის დაპყრობა).

1242 წ. – საქართველოს სამეფოს მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი მოსალაპარაკებლად ოქროს ურდოში გაემგზავრა. შედგა გარიგება და დაიდო ზავი, რომლის მიხედვით მონღოლები საქართველოში მეფობას და ადგილობრივ მმართველობას არ აუქმებდნენ; საქართველოს ყოველწლიურად დაეკისრა ხარკი – 50 ათასი პერპერა (ოქროს ფული) და ჯარის გამოყვანა; საქართველოს ყოველი ახალი მეფე მონღოლთა კარზე უნდა დაემტკიცებინათ.

1245 წ. – რუსუდანის ძის დავით მეფის მონღოლთა ყაენთან გამგზავრება მეფობაზე დასამტკიცებლად.

1245-1247 წწ. – უმეფობა საქართველოში.

1246 წ. – ქართველ დიდებულთა შეკრება კოხტასთავს (ასპინძასთან) მონღოლთა წინააღმდეგ ბრძოლის ტაქტიკის შესამუშავებლად. ცოტნე დადიანის გმირობა.

1247 წ. – დავით VI ნარინის და დავით VII ულუს მონღოლთა მიერ საქართველოს მეფეებად დამტკიცება.

1254-1256 წ. – მონღოლებმა აღწერეს მთელი იმპერია და მასში შემავალი საქართველოს სამეფო. საქართველოს დაეკისრა 90 ათასი მეომრის გამოყვანა ყოველ 9 სრულფუძიან გლეხურ კომლზე ერთი მოლაშქრის გამოყვანის ანგარიშით.

1259 წ. – აჯანყება მონღოლთა წინააღმდეგ დავით ნარინის ხელმძღვანელობით. ჰულაგუ ყაენის მიერ სექტემბერში დიდი ჯარის გამოგზავნა აჯანყების ჩასაქრობად არღუნ აღას სარდლობით. დავით ნარინის მიერ ბრძოლისთვის თავის არიდება, დასავლეთ საქართველოში გადასვლა და ლიხთ-იმერეთის მეფედ დადგინება.

1260-1261 წწ. – აჯანყება მონღოლთა წინააღმდეგ დავით ულუს ხელმძღვანელობით. აჯანყების საბაბი – ეგვიპტეში ლაშქრობაზე უარის თქმა.

1260 წ. XII – პირველი შეტაკება აჯანყებულ ულუ-დავითსა და მონღოლებს შორის ტაშისკართან. ქართველების დამარცხება და ულუ-დავითისა და სარგის ჯაყელის სამცხისკენ უკან დახევა.

1261 წ. – არღუნ აღას სარდლობით მონღოლებმა საქართველო დალაშქრეს. მართალია, მათ სამცხის მთავარი ციხე – ციხისჯვარი ვერ აიღეს, მაგრამ მეფე დავით ულუ დარწმუნდა მათთან ბრძოლის უიმედობაში და დასავლეთ საქართველოში გადავიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1264 წ. – დაზავება დავით-ულუსა და ჰულაგუ ყაენს შორის, რადგან შეიქმნა საშიშროება, რომ აღმოსავლეთი საქართველო მონღოლებს საგანმგებლოდ დიდვაჭარ შადინისათვის გადაეცათ. დავით-ულუს და სარგის ჯაყელის ჰულაგუ ყაენის მიერ თავისთან გამოძახება. მათი დაკითხვის დროს ოქროს ურდოს ყაენის ბერქას მიერ თავდასხმის შესახებ ცნობის მიღება და დაკითხვის მშვიდობიანი დასასრული.

1265 წ. – ოქროს ურდოს ყაენის ბერქას საქართველოზე თავდასხმა. მონღოლების მიერ იორ-მტკვარს შორის მდებარე ტერიტორიის აოხრება. ბერქა-ყაენის, რუსთავის აღების შემდეგ, თბილისის მისადგომებთან გარდაცვალება.

1270 წ. – სიბაზე დგომის გამო, მუცლის ტიფით დაავადებული დავით-ულუს გარდაცვალება. მონღოლთა მიერ საქართველოს მეფედ მისი 11 წლის ძის დემეტრეს დამტკიცება; მის მეურვედ ყაენის ნდობით აღჭურვილი პირის სადუნ მანკაბერდელის დანიშვნა.

1270-1289 წწ. დემეტრე II თავდადებულის მეფობა.

1266 წ. – სამცხის საქართველოს სამეფოსგან ცალკე გამოყოფა და უშუალოდ მონღოლი ყაენისათვის დაქვემდებარება (ხასინჯუ).

1288 წ. – არღუნ ყაენის წინააღმდეგ პირველი ვაზირის ბუღას მიერ მონყობილი შეთქმულების გამჟღავნება. საქართველოს მეფის დემეტრე II-ის, როგორც ბუღასთან ახლო ურთიერთობაში მყოფის, ყაენის კარზე გამოძახება. სამეფო დარბაზის გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ დემეტრე II-ის ყაენის კარზე გამგზავრება.

1289 წ. 12.III – საქართველოს მეფის, 30 წლის დემეტრე II-ის მონღოლთა მიერ გასამართლების შემდეგ სიკვდილით დასჯა ყაენის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობის ბრალდებით.

1293-1310 წწ. – დავით VIII-ის, დემეტრე II თავდადებულის ძის მეფობა.

1298-1310 წწ. – საქართველოს სამეფო ტახტზე მონღოლთა ინტრიგების შედეგად სამი მეფის დასმა: 1) დავით VIII (1293-1310), 2) ვახტანგ III (1298-1308), 3) გიორგი V (1299, შემდეგ 1314-1341).

1314-1346 წწ. – გიორგი V ბრწყინვალის მეფობა.

1329 წ. – გიორგი V-ემ დასავლეთ საქართველო საქართველოს ერთიან სამეფოს შემოუერთა.

1334 წ. – გიორგი V-ემ სამცხის სამთავრო დაიქვემდებარა.

1335 წ. ახლო – გიორგი V-ემ „ძეგლისდება“ (სამართლის წიგნი) შეადგინა ქართლის მთიანეთისათვის.

1335 წ. – გიორგი V-ემ მონღოლებს ხარკი შეუწყვიტა და მათი ჯარი საქართველოდან გააძევა.

1346-1380 წწ. – დავით IX-ის მეფობა.

1360-1393 წწ. – ბაგრატ V-ის მეფობა.

1385 წ. – საქართველოს გავლით ოქროს ურდოს ხანი თახთამიში ჩრდილოეთ ირანს შეესია.

1386 წ. – თემურ-ლენგი საქართველოს შემოესია; მეფე ბაგრატ V და მისი სახლობა ტყვედ ჩაიგდო, თბილისი მოაოხრა და გაძარცვა. ამის შემდეგ თემურ-ლენგი საქართველოში კიდევ შვიდჯერ შემოიჭრა: 1387წ., 1394 წ. (ორჯერ), 1395 წ., 1399 წ., 1400 წ., 1401 წ., 1403 წ.

1393-1407 წწ. – გიორგი VII-ს მეფობა.

1407 წ. – ამიერკავკასიაში შემოჭრილ შავბატკნიან თურქმანებთან ბრძოლაში დაილუპა მეფე გიორგი VII, იმავე წელს გამეფდა მისი ძმა კონსტანტინე I.

1407-1411 წწ. – კონსტანტინე I-ის მეფობა.

1411 წ. – შარვანშაჰის თხოვნით ამიერკავკასიაში შემოჭრილი შავბატკნიანების წინააღმდეგ გაილაშქრა კონსტანტინე I-მა. იგი ტყვედ ჩავარდა; თავი ამაყად ეჭირა და სიკვდილით დასაჯეს.

1412-1442 წწ. – ალექსანდრე I დიდის მეფობა.

1425 წ. – ალექსანდრე I-მა შემოილო გადასახადი კომლზე 40 თეთრი, რომლითაც აღმოსავლეთ საქართველოს მრავალი ტაძარი (მათ შორის, სვეტიცხოველი) და ციხე შეაკეთა.

1431 წ. – ალექსანდრე I-მა კვლავ შემოიერთა ლორე და თურქმანებისაგან გაწმინდა.

1434-1435 წწ. – ალექსანდრე I-მა კვლავ შემოიერთა სივნიეთი – დღევანდელი ყარაბაღი და მისი მიმდებარე ტერიტორიები.

1442 წ. – ალექსანდრე I ტახტიდან გადადგა და ბერად აღიკვეცა.

1442-1446 წწ. – ვახტანგ IV-ის მეფობა.

1446-1466 წწ. – ერთიანი საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი VIII-ის მეფობა.

1453 წ. – ოსმალთა სულთნის, მუჰამედ II ფათიჰის (1444, 1451-1481) მიერ კონსტანტინოპოლის აღება და ბიზანტიის იმპერიის მოსპობა.

1461 წ. – ოსმალთა მიერ ტრაპიზონის იმპერიის დაპყრობა.

1463 წ. – ჩიხორის ბრძოლა. გაიმართა გიორგი VIII-სა და მისი მამის ალექსანდრეს ძმისშვილ ბაგრატს შორის, რომელიც სამოქალაქოს (ქუთაისის ოლქი) ერისთავი იყო. მეფე დამარცხდა.

1465 წ. – ბრძოლა ფარავნის ტბასთან. გაიმართა მეფე გიორგი VIII-სა და სამცხის მთავარ ყვარყვარეს შორის. მეფე ტყვედ ჩავარდა.

1465 წ. – გიორგი VIII-ის სამცხის მთავარ ყვარყვარესაგან დატყვევების გამო, მისი ბიძაშვილის, სამოქალაქოს ერისთავის იმერეთიდან ქართლში გადასვლა და საქართველოს მეფედ თავის გამოცხადება. ყვარყვარეს მიერ გიორგი VIII-ის მეფის განთავისუფლება. ქართლის თავადებისაგან უარყოფილი მეფე გიორგი VIII-ის კახეთში გადასვლა და მეფედ დამტკიცება.

1486-1478 წწ. – ქართლში (ერთი წლით) და იმერეთში ბაგრატ VI-ის მეფობა.

1466-1476 წწ. – კახეთში გიორგი VIII-ის მეფობა.

1467-1478 წწ. – იმერეთში ბაგრატ VI-ის მეფობა.

1476-1511 წწ. – კახეთში ალექსანდრე I გიორგის ძის მეფობა.

1478 წ. – ბრძოლა ალექსანდრე ბაგრატ VI-ის ძესა (იმერეთის მეფე) და კონსტანტინე დიმიტრის ძეს (ქართლის მეფე) შორის. გაიმარჯვა კონსტანტინემ და დაიკავა ქართლ-იმერეთის სამეფო ტახტი.

1480 წ. რუსეთის განთავისუფლება მონღოლ-თათართა უღლისაგან.

1478-1505 წწ. – ქართლში ალექსანდრე I დიდის შვილიშვილის კონსტანტინე II დიმიტრის ძის მეფობა.

1483 წ. – კახეთის მეფის პირველი ელჩობა მოსკოვში; წარგზავნილებია: ნარიმანი, დამიანე და ხოსე ზარუმ შაქელი.

1484-1510 წწ. – იმერეთში ალექსანდრე I ბაგრატის ძის მეფობა.

1491 წ. – კახეთის სამეფოს მეორე ელჩობა მოსკოვში.

1483 წ. – არადეთის ბრძოლა. გაიმართა ქართლ-იმერეთის მეფე კონსტანტინე დიმიტრის ძესა და სამცხის მთავარ ყვარყვარეს შორის. გაიმარჯვა სამცხის მთავარმა.

1484 წ. – ქართლ-იმერეთის მეფის კონსტანტინე დიმიტრის ძის არადეთის ბრძოლაში (1483 წ.) დამარცხების გამო, იმერეთის სამეფო ტახტი დაიკავა ალექსანდრე ბაგრატის ძემ (1484-1510).

1490 წ. – კონსტანტინე ქართლის მეფის მიერ საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის აღიარება.

1505-1525 წწ. – დავით X-ის მეფობა.

1511-1513 წწ. კახეთში ავ-გიორგი II-ის მეფობა.

1524 წ. – მეფე დავით X-ეს მისი ძმა გიორგი აუჯანყდა და ტახტი წაართვა.

1527-1556 წწ. – ლუარსაბ I-ის მეფობა.

1535 წ. – იმერეთის მეფე ბაგრატ III-ემ სამცხის მთავარი ყვარყვარე II დაატყვევა და სამცხე-საათაბაგო შეიერთა. ქართლის მეფე ლუარსაბ I-მა ჯავახეთი დაიმორჩილა.

1545 წ. – სოხოისტას ბრძოლა. გაიმართა ქართლ-იმერეთის ჯარსა და ოსმალთა შორის. ქართველები დამარცხდნენ.

1555 წ. – ამასიის ზავი. დაიდო ირანსა და ოსმალეთს შორის. მათ საქართველო შუაზე გაიყვეს; ირანს „ერგო“ ქართლის და კახეთის სამეფოები და სამცხე-საათაბაგოს აღმოსავლეთი ნაწილი; ოსმალეთს – იმერეთის სამეფო, სამეგრელოს და გურიის სამთავროები, სამცხე-საათაბაგოს დასავლეთი ნაწილი (მდ. ჭოროხის აუზი). ამ ზავს საქართველო არასოდეს არ სცნობდა.

1556 წ. – გარისის ბრძოლა (ქვემო ქართლში). გაიმართა ქართლის სამეფოს ჯარსა (ლუარსაბ I, მისი ძე სიმონი) და ყარაბაღის ბეგლარ-ბეგის შავერდი სულთნის ჯარს შორის, რომელიც ირანის შაჰმა თამაზ I-მა (1524-1576) გამოაგზავნა. ქართველებმა გაიმარჯვეს, მაგრამ ლუარსაბ I ბრძოლაში სასიკვდილოდ დაიჭრადა გარდაიცვალა. იგი მცხეთაში დაკრძალეს.

1556-1611 წწ. – სიმონ I-ის მეფობა.

1569 წ. – ფარცხისის ბრძოლა (თეთრი წყაროს რ-ნი). გაიმართა ქართლის ჯარსა და ირანის ჯარს შორის. მოღალატე ყორღანაშვილის საშუალებით ირანელებმა მეფე სიმონ I დაატყვევეს, რომელიც მაჰმადიანობის არმიღების გამო, შაჰ-თამაზმა ალამუტის ციხეში გამოკეტა.

1569-1578 წწ. – ქართლში სიმონ I-ის გამაჰმადიანებული ძმის დაუდ-ხანის გამგებლობა.

1578 წ. – ოსმალეთის მიერ ამასიის ზავის დარღვევა ირანთან და ამიერკავკასიის დასაკავებლად უზარმაზარი ჯარის გამოგზავნა. ირანელთა მიერ სიმონ I-ის გათავისუფლება და ოსმალთა წინააღმდეგ ქართლში საბრძოლველად გამოგზავნა. მუხრანის ბრძოლა. გაიმართა ქართველთა ჯარსა (სიმონ I, სამცხის მთავარი მანუჩარი) და ოსმალთა ჯარს შორის. გაიმარჯვეს ქართველებმა.

1590 წ. – ზავი ირანსა და ოსმალეთს შორის. ოსმალეთმა დაიკავა მთელი აღმოსავლეთი ამიერკავკასია და ირანის აზერბაიჯანი. მათი გარნიზონები ჩადგა გორის, ლორეს, თბილისის და სხვ. ციხეებში. სამცხეში, აჭარასა და ჭანეთში ოსმალური მიწისფლობელობის შემოღება. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ შედგენა (1160 სოფლის აღწერა გადასახადების დაწყების მიზნით); ახალციხის საფაშოს ჩამოყალიბება.

1598-1599 წ. – სიმონ I-მა ოსმალების მიერ დაკავებულ გორის ციხეს ალყა შემოარტყა და 9 თვის შემდეგ აიღო.

1599 წ. – ნახიდურის ბრძოლა. გაიმართა ოსმალთა ჯარსა (სარდალი – ჯაფარ ფაშა) და ქართველთა ჯარს (სარდალი – მეფე სიმონ I) შორის. ქართველებმა უკან დაიხიეს, სიმონ I ს. ფარცხისთან ტალახის ღრმა საფლობში ცხენიანად ჩავარდა და იგი მტერმა ტყვედ ჩაიგდო.

1600 წ. 21. VI – სიმონ I სტამბოლში ჩაიყვანეს და იედიყულის ციხეში გამოჰკეტეს, სადაც 1611 წელს გარდაიცვალა. ჩამოასვენეს საქართველოში და მცხეთაში დაკრძალეს მამის, მეფე ლუარსაბ I-ის გვერდით.

1466-1476 წწ. – კახეთში გიორგი I-ის მეფობა.

1476-1511 წწ. – კახეთში ალექსანდრე I-ის მეფობა.

1511-1513 წწ. – კახეთში ავ-გიორგი II-ის მეფობა.

1513 წ. – ქართლის მეფე დავით X-ემ (1505-1525) ავ-გიორგი II-ის (1511-1513) შეპყრობის შემდეგ დროებით (1520 წ.-მდე) შეიერთა კახეთი.

1520-1574 წწ. – კახეთში ავ-გიორგი II-ის შვილის, ლევან II-ის მეფობა.

1564 წ. – კახეთის ელჩი იაკობი მოსკოვში ჩავიდა. შეთანხმების შესაბამისად რუს მეთოფეთა რაზმი კახეთის სანაპირო ციხეებში ჩადგა, რომ ქვეყანა დაეცვა დღესტნელი მთიელების თავდასხმისაგან. ამან ირანის და ოსმალეთის პროტესტი გამოიწვია. შედეგად რუსეთმა ციხეები დაანგრია და მეთოფეთა რაზმი კახეთიდან გაიწვია.

1574-1605 წწ. – კახეთში ლევანის მემკვიდრის ალექსანდრე II-ის მეფობა.

1584 წ. – კახეთში ჩავიდა რუსეთის მეფის თევდორე I (1584-1598) ივანე მრისხანის ძის მოციქული რუსინ დანილოვი.

1587 წ. 28. XI – გაფორმდა „ფიცის წიგნი“. კახეთის მეფე ალექსანდრე II-ემ მოსკოვში დაბრუნებულ რუსეთის ელჩს რუსინ დანილოვს თავისი ელჩები გააყოლა – იოაკიმე მღვდელი, კირილე ბერი და ხურშიტა ჩერქეზი; ამის შედეგად გაფორმდა „ფიცის წიგნი“, რომლის ტექსტი მოსკოვში შეადგინეს. რუსთ ხელმწიფემ მფარველობის ხელი დაადო კახეთს.

1589 წ. – რუსეთის მეფე თევდორე I ივანე მრისხანის ძემ კახეთის მეფე ალექსანდრე II-ეს გამოუგზავნა „წყალობის სიგელი“, რომლითაც დაადასტურა „ფიცის წიგნის“ პირობები.

1505-1515 წწ. – მზეჭაბუკის მმართველობა სამცხესა და საათაბაგოში.

1510-1565 წწ. – იმერეთში ბაგრატ III ალექსანდრეს ძის მეფობა.

1510 წ. – ოსმალები სამცხის გზით იმერეთს თავს დაესხნენ. მათ გზა სამცხის მთავარმა მზეჭაბუკმა მისცა.

1555 წ. – იმერეთის მეფე ბაგრატ III ოსმალეთის სულთნისათვის ხარკის მიცემას იწყებს.

1587-1629 წწ. – ირანში შაჰ-აბას I-ის მმართველობა.

1556-1600 წწ. – ქართლში სიმონ I-ის მეფობა.

1600-1605 წწ. – კახეთში გიორგი X-ის მეფობა.

1605 წ. 12. III – კახეთის მეფე ალექსანდრე II-ემ ძეგამში რუსი ელჩები მიიღო. შაჰ-აბასის მიერ შეგულიანებულმა ალექსანდრეს შვილმა კონსტანტინემ აუდიენციის წინ თავისი ძმა გიორგი მოკლა. ალექსანდრე, რომელმაც შვილის მიშველება სცადა, ხმლებით აჩეხეს. კონსტანტინემ თავი კახეთის მეფედ გამოაცხადა. კახეთი მას აუჯანყდა. აჯანყებას სათავეში ჩაუდგა ალექსანდრეს რძალი, დავითის მეუღლე ქეთევან დედოფალი.

1606-1648 წწ. – კახეთში ქეთევან დედოფლის ვაჟის თეიმურაზ I-ის მეფობა.

1606-1614 წწ. – ქართლში ლურსაბ II-ის მეფობა.

1609 წ. – ქართლში ოსმალთა დიდი არმიის შეჭრა. კველთელმა (სოფელი მანგლისის ახლოს) მღვდელმა თევდორემ მეფე ლუარსაბ II-ის სადგომს ცხირეთში ოსმალები ააცდინა და მას წამების შემდეგ თავი მოჭრეს (ხსენების დღე 8/21.VI) ქართველებმა გიორგი საააკაძის და ზაზა ციციშვილის მეთაურობით დაამარცხეს მტერი, რომელიც ახალციხისაკენ გაბრუნდა.

1609 წ. – ტაშისკარის ბრძოლა. გაიმართა ოსმალეთისა და ქართლის ჯარს შორის (სარდალი – გიორგი საააკაძე). ქართველებმა მტრის ჯარი თითქმის მთლიანად გაანადგურეს.

1620-1657 წწ. – სამეგრელოს მთავარია ლევან II დადიანი.

1612 წ. – ზავის დადება ირანსა და ოსმალეთს შორის.

1614-1617 წწ. – ირანის შაჰმა აბას I-მა პირადად ილაშქრა ოთხჯერ კახეთში. 200 ათასამდე კახელი ტყვედ გარეკეს და ირანში გადაასახლეს. მათი შთამომავლები ამჟამად ცხოვრობენ ირანის პროვინცია ფერეიდანში.

1614 წ. – შაჰ-აბასის ქართლსა და კახეთში ლაშქრობის დროს ქართლის მეფე ლუარსაბ II და კახეთის მეფე თეიმურაზ I იმერეთში გადავიდნენ.

1615 წ. – აჯანყება კახეთში ირანელთა წინააღმდეგ ნოდარ ჯორჯაძის და დავით ჯანდიერის ხელმძღვანელობით.

1616-1619 წწ. – შაჰ-აბას I-მა ქართლში გამგებლად დანიშნა ლუარსაბ II-ის გამაჰმადიანებული ნათესავი ბაგრატ ხანი.

1620 წ. – შაჰ-აბასმა, თეიმურაზ I-ის ხან ოსმალეთთან და ხან რუსეთთან დახმარების ძიებით განრისხებულმა, მისი ვაჟები ლევანი და ალექსანდრე დაასაჭურისებინა.

პირველი ჭკუიდან შეიშალა, ხოლო მეორე გარდაიცვალა.

1624 წ. 12. IX – გამაჰმადიანებაზე უარის თქმის გამო, ქეთევან დედოფალი ირანში წამებით მოკლეს.

1625 წ. 25. III – მარტყოფის ბრძოლა. გაიმართა ირანის ჯარსა (სარდალი – ყარჩიხა-ხანი) და ქართლის ჯარს (სარდალი – გიორგი სააკაძე) შორის. ქართველებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს, აიღეს თბილისი, მტრისაგან განმინდეს კახეთი, დალაშქრეს განჯა-ყარაბაღი და ახალციხე.

1625 წ. 1. VII – მარაბდის ბრძოლა. გაიმართა ყიზილბაშებსა (სარდალი შაჰ-აბას I-ის სიძე ისა-ხან ყორჩიბაში) და ქართველებს (სარდალი მეფე თეიმურაზ I, გადაყენებულ იქნა გიორგი სააკაძე) შორის. ქართველები დამარცხდნენ. დაიღუპა 14 ათასი ყიზილბაში და 9 ათასი ქართველი, მათ შორის: 9 ძმა ხერხეულიძე, ცხრა მაჩაბელი, შვიდი ჩოლოყაშვილი, დავით ჯანდიერი, აღათანგ ხერხეულიძე, ბაადურ ციციშვილი და სხვ.

1626 წ. – ბაზალეთის ბრძოლა. გაიმართა ქართველებს შორის – ერთ მხარეს იდგა გიორგი სააკაძე, მეორე მხარეს – მეფე თეიმურაზ I. გიორგი სააკაძე დამარცხდა და ოსმალეთში გადაიხვეწა.

1629 წ. – გიორგი სააკაძეს, მის ძეს ავთანდილს და მათ 40 მხლებელს ოსმალეთში თავები მოკვეთეს.

1625-1632 წწ. – ქართლ-კახეთში თეიმურაზ I-ის მეფობა.

1632-1658 წწ. – ქართლში ირანის შაჰის სეფი I-ის მიერ დამტკიცებული როსტომ-ხანის მეფობა.

1634 წ. – თეიმურაზ I ირანის შაჰმა კახეთის მეფედ სცნო.

1646 წ. – მამუკა თავქარაშვილმა ოდიშის მთავრის ლევან II დადიანის ბრძანებით გადაწერა ვეფხისტყაოსანი. ესაა ჩვენამდე მოღწეული პოემის უძველესი თარიღიანი ხელნაწერი.

1648 წ. – ქართლის მეფე როსტომ-ხანმა ირანის შაჰის დავალებით კახეთში ილაშქრა და საბოლოოდ განდევნა თეიმურაზი.

1639 წ. – თეიმურაზ I-მა განაახლა კახეთის სამეფოს მიერ რუსეთთან დადებული „ფიცის წიგნი“.

1653 წ. – თეიმურაზ I-მა მოსკოვში თავისი შვილიშვილი ერეკლე გაგზავნა.

1656 წ. – ყიზილბაშურმა ირანმა კახეთი როსტომ-ხანს ჩამოართვა და განჯის ხანს გადასცა სამართავად.

1658 წ. – თეიმურაზ I რუსეთში გაემგზავრა.

1658-1675 წწ. – კახეთში და ქართლში ვახტანგ V-ის, ანუ შაჰნავაზის მეფობა.

1660 წ. – ბახტრიონის და ალავერდის ბრძოლები. გაიმართა ყიზილბაშებსა, ერთის მხრივ, და ქართლ-კახელებს შორის, მეორეს მხრივ. გაიმარჯვეს ამ უკანასკნელებმა. ბრძოლების მონაწილეებია: ზაალ არაგვის ერისთავი, მისი ვაჟი ზურაბი, ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები.

1688-1703 წწ. – ერეკლე I-ის (თეიმურაზ II-ის მამა) მეფობა ქართლში.

1688 წ. – ვახტანგ V-ის მემკვიდრის გიორგი XI-ის აჯანყება ირანელთა წინააღმდეგ. იგი დამარცხდა და იმერეთს შეაფარა თავი.

1703 წ. – ვახტანგ VI ირანის შაჰმა ქართლის ჯანიშინად (მეფის მოადგილედ) დანიშნა.

1705-1792 წწ. – ცხოვრობდა დავით გურამიშვილი, ავტორი პოემისა „დავითიანი“.

1705 წ. – ვახტანგ VI-მ მოიწვია საეკლესიო კრება, რომელზედაც კათალიკოსად მისი ძმა დომენტი აირჩიეს.

1705 წ. – არჩილ მეფემ მოსკოვში ქართული სტამბა დააარსა.

1709 წ. – ვახტანგ VI-მ თბილისში სტამბა დააარსა. ამ საქმეში მას ვლახეთში (რუმინეთი) მოღვაწე ანთიმოზ ივერიელი დაეხმარა, რომელმაც თბილისში სტამბის მოწყობილობა და თავისი მოწაფე მიხეილ იშტვანოვიჩი გამოგზავნა.

1710 წ. – ირანის მხარეს ავღანელებთან ბრძოლაში დაილუპა ქართლის მეფე გიორგი XI.

1711 წ. – ირანის მხარეს ავღანელებთან ბრძოლაში დაიღუპა ქართლის მეფე ქაიხოსრო I.

1712 წ. – ვახტანგ VI-ის დაარსებულ თბილისის სტამბაში დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსანი“ ვახტანგის კომენტარებით.

1712 წ. – ირანის შაჰმა ვახტანგის მიერ მაჰმადიანობის უარყოფის შემდეგ ქართლის მეფედ მისი ძმა იესე დანიშნა.

1715-1718 წწ. – ირანში იმყოფებოდა რუსეთის ელჩი არტემ ვოლინსკი. იგი დაუკავშირდა ვახტანგ VI-ეს, რომელიც პეტრე I-თან ერთად ირანის წინააღმდეგ ერთობლივ მოქმედებაზე დაითანხმა.

1716 წ. – ვახტანგ VI-ემ მაჰმადიანობა მიიღო და ირანის შაჰმა იგი ქართლის მეფედ დაამტკიცა, თუმცა, 1719 წ-მდე ირანში დატოვა ქირმანის გამგებლად.

1722 წ. VII – პეტრე I-მა დაიწყო ლაშქრობა ირანის წინააღმდეგ. იგი კასპიის ზღვით დარუბანდამდე ჩამოვიდა, მაგრამ იძულებული გახდა ასტრახანს დაბრუნებულიყო, რადგან გამწვავდა ურთიერთობა თურქეთსა და რუსეთს შორის, ხოლო ამ უკანასკნელს ორ ფრონტზე ბრძოლის ძალა არ შესწევდა. ამ დროს ვახტანგ VI ქართველთა და სომეხთა 40-ათასიანი ჯარით პეტრე I-ს განჯასთან ელოდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3 თვის ლოდინის შემდეგ ვახტანგ VI თბილისში დაბრუნდა.

1722 წ. – ირანის შაჰმა ქართლი გამაჰმადიანებულ კონსტანტინე კახთა მეფეს გადასცა.

1723 წ. – კონსტანტინე კახეთისა და ქართლის მეფემ, ლეკთა დაქირავებული რაზმის დახმარებით თბილისი აიღო და საშინლად აოხრა.

1723 წ. – ვახტანგ VI 1200-კაციანი ამალით რაჭის გზით რუსეთში გაემგზავრა.

1723 წ. – ქართლში 12-წლიანი „ოსმალობის“ დამყარება.

1727 წ. – ქართლის მეფის იესეს გარდაცვალება.

1735 წ. – ქართლში დიდი აჯანყება ოსმალთა წინააღმდეგ. ისინი განდევნეს, მაგრამ ქართლში 12 წლიანი (1747 წლამდე) „ყიზილბაშობა“ დამყარდა.

1737 წ. – ვახტანგ VI ასტრახანში გარდაიცვალა და იქვე დაკრძალეს მიძინების ტაძარში.

1737 წ. – ირანის შაჰის ნადირის მოთხოვნით თეიმურაზ II-ემ თავისი 17 წლის ვაჟი ერეკლე მასთან გაგზავნა. ნადირ-შაჰმა ერეკლე ინდოეთში სალაშქროდ წაიყვანა.

1739 წ. – ერეკლე თეიმურაზის ძე ნადირ-შაჰთან ერთად ინდოეთში ლაშქრობიდან ქართლში დაბრუნდა სადაც ირანელთა წინააღმდეგ ბრძოლები მიმდინარეობდა.

1744 წ. – ირანის შაჰმა ნადირმა ერეკლე II-ეს კახეთის მეფობა მისცა.

1744-1798 წწ. – კახეთში ერეკლე II-ის მეფობა.

1745 წ. 1. X – თეიმურაზ II დიდი ზეიმით, ქრისტიანული წესით, სვეტიცხოვლის ტაძარში ქართლის მეფედ აკურთხეს.

1745-1762 წწ. – ქართლში თეიმურაზ II-ის მეფობა.

XVIII ს-ის 50-იანი წლები – თეიმურაზ II-ემ და ერეკლე II-ემ ნადირ შაჰის გარდაცვალების შემდეგ ამიერკავკასიაში ჩამოყალიბებული განჯის, ერევნის, ნახჩევნის და სხვა სახანოები თავიანთ მოხარკეებად აქციეს.

1751-1752 წწ. – ქართველებმა დაამარცხეს თავრიზის მფლობელი აზატ-ხანი, შაჰშირვანის ხანი აჯი ჩალაბი.

1749 წ. – ერეკლე II-ის და ანტონ I-ის თაოსნობით თბილისში აღდგა სტამბა ვახტანგ VI-ის დროს დაარსებული და „ოსმალობა-ყიზილბაშობის“ დროს განადგურებული სტამბის საფუძვლიანი განახლების შედეგად. 1795 წელს, აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს სტამბა განადგურდა, მისი აღდგენა მოხერხდა 1800 წელს.

1750-1791 წწ. – ცხოვრობდა ბესიკი (ბესარიონ გაბაშვილი), ავტორი პოემებისა „ასპინძისათვის“, „რუხის ბრძოლა“ და მრავალი სატრფიალო-ლირიკული ლექსისა.

1752-1784 წწ. – იმერეთში სოლომონ I-ის მეფობა.

1754 წ. – ხუნძახის (ავარიის) მფლობელი ნურსალ-ბეგი პირველად შემოიჭრა ქართლ-კახეთში. მჭადიჯვართან (დუშეთის ახლოს) ერეკლე II-ემ მასზე ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა.

1755 წ. – ნურსალ-ბეგი კახეთში მეორეჯერ შემოიჭრა. ყვარლის ციხეს ალყა შემოარტყა, მაგრამ ერეკლე II-სთან დამარცხდა.

1755 წ. – თბილისში, ანჩისხატის ტაძრის ეზოში, დაარსდა სემინარია. პირველი რექტორი – ფილიპე ყაითმაზაშვილი.

1757 წ. – ოსმალეთის ხონთქარმა იმერეთს დიდი ჯარი შეუსია, რადგან სოლომონ I არ დათანხმდა ტყვეებით ვაჭრობის აკრძალვის გაუქმებაზე.

1758 წ. – სოლომონ I-მა, ერეკლე II-ემ და თეიმურაზ I-მა გორში ურთიერთ სამხედრო დახმარების ხელშეკრულება დადეს.

1758 წ. – თელავში, ერეკლე II-ის სასახლესთან გაიხსნა სკოლა, რომელშიც სრულასაკოვანი პირებიც სწავლობდნენ.

1759 წ. დეკემბერი – სოლომონ I-ის ინიციატივით მოწვეულმა სასულიერო და საერო ხელისუფალთა კრებამ ტყვეებით ვაჭრობის აკრძალვა დაადგინა.

1760 წ. – თეიმურაზ II პეტერბურგში გაემგზავრა. 1762 წ. იგი იქვე გარდაიცვალა. ასტრახანში წამოასვენეს და ვახტანგ VI-ის გვერდით დაკრძალეს.

1762 წ. – თეიმურაზის პეტერბურგში გარდაცვალების შემდეგ ერეკლე II-ემ თავი ქართლ-კახეთის მეფედ გამოაცხადა.

1765 წ. – ერეკლე II-ემ გაანადგურა მის წინააღმდეგ მიმართული თავადთა შეთქმულება („მარკოზაშვილის დარბაზი“).

XVIII ს. 50-იანი წლები – ხელახლა გაიხსნა დარიალის გზა. ქართველი ვაჭრები დაუკავშირდნენ მოზდოკს, ყიზლარს, ასტრახანს, ნიჟნი ნოვგოროდს, მოსკოვს.

1768 წ. – იმერეთის მეფე სოლომონ I-მა პეტერბურგში ელჩი გაგზავნა და რუსეთის მფარველობა ითხოვა.

1768-1774 წწ. – რუსეთ-თურქეთის ომი, რომელშიც საქართველოც მონაწილეობდა რუსეთის მხარეს.

1769 წ. – გენერალ ტოტლებენის მეთაურობით რუსეთის მცირე ჯარის საქართველოში შემოსვლა.

1769 წ. – სოლომონ I-მა მეფისადმი დაუმორჩილებელი როსტომ რაჭის ერისთავი ოჯახიანად შეიპყრო და რაჭის საერისთავო გააუქმა.

1770 წ. 20. IV – ასპინძის ბრძოლა. გაიმართა თურქებსა და ქართველებს შორის.

ერეკლე II-ემ ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა.

1774 წ. – ერეკლე II-ის ინიციატივით „მორიგე ჯარის“ შექმნა. ყოველი მამაკაცი თავისი ხარჯით და იარაღით წელინადში ერთი თვით მორიგე ჯარში უნდა გამოსულიყო და ქვეყანა ლეკებისაგან დაეცვა.

1774 წ. – ქუჩუკ-კაინარჯის ზავი. დიდო რუსეთსა და თურქეთს შორის. ზავის ერთ-ერთი პირობით, რუსეთმა სცნო დასავლეთ საქართველო თურქეთის მფლობელობაში, ოღონდ იმერეთს თურქეთისაგან ხარკი არ უნდა დაკისრებოდა. ოსმალები ოდიშსა და გურიას შეესივნენ.

1779 წ. – რუხის ბრძოლა. გაიმართა ოსმალებს, ერთის მხრივ, და სოლომონ I-სა და კაცია დადიანს შორის, მეორეს მხრივ. ოსმალები გარეკეს სამეგრელოდან.

1782 წ. – თელავში გაიხსნა სემინარია. რექტორი იყო გაიოზ არქიმანდრიტი.

1784 წ. – სოლომონ I იბრძვის გურიის გასათავისუფლებლად, მაგრამ მარცხდება.

1784 წ. IV – 49 წლის ასაკში გარდაიცვალა იმერეთის მეფე სოლომონ I. დაკრძალეს გელათის ღმრთისმშობლის მიძინების ტაძარში.

1783 წ. 24. VII – რუსეთსა და საქართველოს შორის ჩრდილო კავკასიის რუსულ ციხესიმაგრე გეორგიევსკში დიდო მფარველობითი ტრაქტატი - ქართლ-კახეთი შევიდა რუსეთის მფარველობაში.

1784 წ. I – ერეკლე II-ემ რუსეთის იმპერატორისადმი ფიცი მიიღო და გეორგიევსკის ტრაქტატს ხელი მოანერა.

1785 წ. – ხუნძახის ბატონი ომარ-ხანი შემოესია საქართველოს 20 ათასიანი ლაშქრით და დაარბია მისი ცალკეული კუთხეები – ახტალა, ლორე, ახალციხე. ქვეყანა რომ შემდეგი დარბევებისაგან ეხსნა, ერეკლე II იძულებული გახდა ომარ-ხანისათვის წლიურად 5 ათასი მანეთი დაენიშნა.

1789 წ. – მათხოჯის ბრძოლა. გაიმართა იმერეთის ტახტის მემკვიდრე დავით არჩილის ძესა, რომელიც სოლომონ I-ის ძმისშვილი და ერეკლე II-ის შვილიშვილი იყო და დავით II-ეს შორის. გაიმარჯვა დავით არჩილის ძემ, რომელმაც ბიძის პატივსაცემად სოლომონ II დაირქვა.

1789-1810 წწ. – იმერეთში სოლომონ II-ის მეფობა.

1790 წ. – დაიდო სამხედრო ხელშეკრულება ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოებს და სამეგრელო-გურიის სამთავროებს შორის, რომლის თანახმად ერთად იბრძოლებდნენ საგარეო მტრების წინააღმდეგ.

1795 წ. 11. IX – კრწანისის ბრძოლა. გაიმართა ირანის ჯარსა (სარდალი – შაჰი აღა-მაჰმად-ხანი) და ქართლ-კახეთის ჯარს (სარდალი – ერეკლე II) შორის. ქართველები დამარცხდნენ.

1798 წ. 11. I – 78 წლის ასაკში გარდაიცვალა ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II.

1798-1800 წწ. – გიორგი XII-ის მეფობა.

1799 წ. – გიორგი XII-ემ განაახლა 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატი. რუსეთის ჯარის ერთი ლეგიონი საქართველოში ჩამოვიდა.

1800 წ. 28. XII – გიორგი XII გარდაიცვალა.

1801 წ. 18. I – რუსეთის იმპერატორმა პავლე I-მა გამოსცა მანიფესტი ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და რუსეთთან შეერთების შესახებ. 11 მარტს შეთქმულების მიერ პავლე I-ის მოკვლის გამო მანიფესტის გამოცხადება და გატარება შეფერხდა.

1801 წლის 12. IX – ალექსანდრე I გამოსცა ახალი მანიფესტი ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთების შესახებ. საქართველოში იგი 7 თვის შემდეგ გამოცხადდა.

1802 წ. თბილისში დაარსდა პირველი სასწავლებელი თავადაზნაურთა შვილებისათვის. იარსება ერთი წელი.

1803 წ. – ოდიშის მთავარმა გრიგოლ დადიანმა რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღო.

1804 წ. – აჯანყება მთიულეთში, რომელსაც შეუერთდნენ ფშაველები, ხევსურები, თუშები, მოხევეები, ოსები. მიმართული იყო რუსეთის ადგილობრივი მმართველობის მიერ შექმნილი აუტანელი პირობების წინააღმდეგ.

1804 წ. – გაიხსნა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი.

1804 წ. – ელაზნაურის ხელშეკრულება. დაიდო რუსეთის იმპერიასა და იმერეთის სამეფოს შორის. იმერეთი შევიდა რუსეთის მფარველობაში.

1800 წ. – იმერეთში გაიხსნა სტამბა.

1810 წ. – იმერეთის სამეფოს გაუქმება და რუსული მმართველობის შემოღება. რუსეთის ქვეშევრდომობის მიღება გურიის და აფხაზეთის სამთავროების მიერ.

1810 წ. – სოლომონ II რუსეთის ხელისუფლებამ მოტყუებით ხელში ჩაიგდო და თბილისში ჩაიყვანა. მეფემ მოახერხა გაქცევა და ახალციხის საფაშოს შეაფარა თავი. 1815 წ. სოლომონ II ტრაპიზონში გარდაიცვალა და იქვე დაკრძალეს (1990 წ. მისი ნეშტი გელათში გადმოასვენეს).

1812-1813 წწ. – აჯანყება კახეთში. მიმართული იყო, როგორც რუსი მოხელეების, ისე ადგილობრივი მებატონეების წინააღმდეგ. იგი სასტიკად ჩაახრო მეფის ჯარმა მთავარმართებელ პაულუჩის მეთაურობით.

1817 წ. – თბილისში გაიხსნა სასულიერო სემინარია. იარსება 1917 წლამდე.

1819-1822 წწ. გამოდიოდა პირველი ქართული გაზეთი - „საქართველოს გაზეთი“.

1825-1827 წწ. – პეტერბურგში, მოსკოვსა და თბილისში რუსეთის მმართველობით უკმაყოფილო ქართველ თავადაზნაურთა ნაწილმა ფარული ორგანიზაციები ჩამოაყალიბა.

1828 წ. – გაუქმდა გურიის სამთავრო.

1828 წ. – დაიწყო გამოსვლა ახალმა გაზეთმა „ტფილისის უწყებანი“.

1828 წ. – რუსეთის მიერ ყარსის და ახალქალაქის აღება. 5 აგვისტოს რუსეთის არმიამ ახალციხეს ალყა შემოარტყა და 15 აგვისტოს აიღო.

1828 წ. 15. VII – რუსეთის ჯარმა აიღო ფოთის ციხე-სიმაგრე და თურქები განდევნა.

1829 წ. 2 (14). IX – ადრიანოპოლის ზავი. დაიდო რუსეთსა და ოსმალეთს შორის. ამით დასრულდა 1828-1829 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომი. ზავის ერთ-ერთი პირობით, რუსეთის ხელში გადავიდა: ახალციხე, ახალქალაქი, ასპინძა, აწყური, ხერთვისი, აბასთუმანი, ანაპა, ფოთი და შავი ზღვის მთელი აღმ. სანაპირო მდ. ყუბანიდან მდ. ჩოლოქის შესართავამდე. თურქეთს დარჩა აჭარა (ბათუმი, ქობულეთი) და ჭანეთი.

1829 წ. IX – რუსეთის ჯარმა გენერალ ალექსანდრე ჭავჭავაძის მეთაურობით თურქები განდევნა ბაიაზეთის საფაშოდან.

1830 წ. – თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი რუსულ გიმნაზიად გადაკეთდა.

1832 წ. – გამოვიდა ქართული ჟურნალი „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“. გამოვიდა 5 ნომერი. რედაქტორი იყო სოლომონ დოდაშვილი.

1832 წ. – გამყლავნდა რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული შეთქმულება.

1840 წ. – თბილისში გაიხსნა ამირკავკასიის ქალთა პირველი ინსტიტუტი.

1841 წ. V – გურიის აჯანყება. დაიწყო ს. აკეთში (ლანჩხუთის რ-ნი). მიმართული იყო რუსული მმართველობისა და ადგილობრივი თავადაზნაურობის წინააღმდეგ. ჩააქრეს მეფის ჯარებმა.

1845 წ. – დაარსდა თბილისის საჯარო ბიბლიოთეკა.

1850 წ. 2. I – თბილისის გიმნაზიის შენობაში დაიდგა გიორგი ერისთავის კომედია „გაყრა“. ეს თარიღი ითვლება ქართული თეატრის განახლების დღედ.

1852-1875 წწ. – გამოდიოდა ჟურნალი „ცისკარი“, ჯერ გიორგი ერისთავის, ხოლო შემდეგ ივანე კერესელიძის რედაქტორობით.

1855 წ. შემოდგომა – თურქეთის მრავალრიცხოვანი არმია აფხაზეთს შეესია, ენგური და სამეგრელო დაიკავა.

1856 წ. – სამეგრელოში დაიწყო ანტიბატონყმური აჯანყება. მეთაურები იყვნენ: უტუ

თოდუა, უტუ მიქავა, კოჩა თოდუა. 1857 წ. ნოემბერში რუსეთის ჯარმა აჯანყება ჩააქრო. ხელმძღვანელები სხვადასხვა ვადით რუსეთში გადაასახლეს.

1857 წ. – გაუქმდა სამეგრელოს სამთავრო.

1859 წ. – დაატყვევეს შამილი და რუსეთმა დაასრულა აღმოსავლეთ კავკასიის დაპყრობა.

1861 წ. – იმპერატორმა ალექსანდრე II-ემ სპეციალური მანიფესტით ბატონყმობა რუსეთში „ზევიდან“ გაუქმებულად გამოაცხადა.

1863 წ. – ქართველმა თავადაზნაურობამ შეადგინა პროექტი საქართველოში ბატონყმობის გაუქმების შესახებ. იგი გლეხებს აძლევდა პირად თავისუფლებას მიწის გარეშე.

1863 წ. – ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით დაარსდა ჟურნალი „საქართველოს მოამბე“.

1864 წ. 8. XI – ბატონყმობა გაუქმდა აღმოსავლეთ საქართველოში.

1864 წ. – გაუქმდა აფხაზეთის სამთავრო.

1864 წ. – რუსეთმა დაასრულა დასავლეთ კავკასიის დაპყრობა.

1865 წ. – ბატონყმობა გაუქმდა იმერეთში.

1867 წ. – ბატონყმობა გაუქმდა სამეგრელოში.

1870 წ. – ბატონყმობა გაუქმდა აფხაზეთში.

1871 წ. – ბატონყმობა გაუქმდა სვანეთში.

1804-1915 წწ. – აკაკი წერეთლის ცხოვრების წლები.

1837-1907 წწ. – ილია ჭავჭავაძის ცხოვრების წლები.

1866-1885 წწ. – გამოდიოდა გაზეთი „დროება“.

1876 წ. – გამოვიდა იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“.

1875 წ. – დაარსდა თბილისის გუბერნიის სათავადაზნაურო ბანკი.

1877 წ. გამოვიდა „ივერია“ (რედაქტორი და დამაარსებელი ი. ჭავჭავაძე), რომელიც 1886 წლიდან ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთდა.

1875 წ. – თურქეთის წინააღმდეგ აჯანყდა ბოსნია და ჰერცოგოვინა.

1876 წ. – თურქეთის წინააღმდეგ აჯანყდა ბულგარეთი. თურქეთს ომი გამოუცხადეს სერბიამ და ჩერნოგორიამ.

1877 წ. – რუსეთმა ომი გამოუცხადა თურქეთს ბალკანეთის სლავი ხალხების განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის მხარდაჭერის ნიშნად. პლევნის აღების შემდეგ გენერალ გურკოს რაზმმა გადალახა ბალკანეთის მთები და დაიკავა სოფია.

აპრილში და მაისში კავკასიის არმიამ დაიკავა ბაიაზეთი და არტაანი.

1877 წ. 20. VIII – რუსეთის არმიამ სოხუმი აიღო და აფხაზეთის ტერიტორია გაიწმინდა თურქებისაგან.

1878 წ. I – დაიწყო რუსეთის არმიის საერთო შეტევა. რუსებმა დაიკავეს ფილიპოპოლი (პლოვდივი) და უბრძოლველად შევიდნენ ადრიანოპოლში (ედირნე).

1878 წ. – სან-სტეფანოს ზავი: ბულგარეთი გამოცხადდა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ; თურქეთმა სცნო რუმინეთის, სერბიის, ჩერნოგორიის დამოუკიდებლობა. რუსეთს გადაეცა სამხრეთ ბესარაბია, ხოლო ამიერკავკასიაში – ბათუმი, ყარსი, ბაიაზეთი და არტაანი (არდაგანი).

1878 წ. – ბერლინის კონგრესი. ევროპის სახელმწიფოების მუქარით, რუსეთი იძულებული გახდა გადაესინჯა სან-სტეფანოს ზავის პირობები: ბულგარეთი დაიყო სამ ნაწილად და მხოლოდ ჩრდილოეთს მიეცა დამოუკიდებლობა; რუსეთს ამიერკავკასიაში გადაეცა მხოლოდ ბათუმი, არდაგანი და ყარსი; ავსტრია-უნგრეთს ნება მიეცა ბოსნიის და ჰერცოგოვინის შეერთებაზე; ინგლისს გადაეცა კუნძული კვიპროსი ხმელთაშუა ზღვაზე.

1879 წ. – დაარსდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“; მისი დამაარსებლებია: ილია ჭავჭავაძე, დიმიტრი ყიფიანი, იაკობ გოგებაშვილი, აკაკი წერეთელი, ივანე მაჩაბელი და სხვ. 1885 წ.-დან გარდაცვალებამდე (1907 წ.) საზოგადოებას სათავეში ედგა ილია ჭავჭავაძე.

1879 წ. – თბილისში აღდგა დრამატული თეატრი.

1892-1893 წწ. – სოციალ-დემოკრატებმა შექმნეს ორგანიზაცია „მესამე დასი“. მათი წინამძღოლი იყო ნოე ჟორდანია.

1893 წ. – დაარსდა გაზ. „კვალი“.

1894 წ. – გამოვიდა ჟურნალი „მოამბე“.

1896 წ. – დაარსდა გაზ. „ცნობის ფურცელი“.

1900 წ. – გაზ. „ცნობის ფურცლის“ გარშემო გაერთიანებულმა ახალმა თაობამ (არჩილ ჯორჯაძე, გიორგი ლასხიშვილი, გიორგი დეკანოზიშვილი...) 1904 წ. შექმნეს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია.

1901 წ. – საქართველოში ჩამოყალიბდა სოციალისტ-რევოლუციონერთა (ესერთა) პარტია.

XIX ს-ის ბოლოს და XX ს-ის დასაწყისი – დასავლეთ ევროპის და რუსეთის ანარქისტულ მოძრაობაში დიდ როლს თამაშობენ ქართველი ანარქისტები: ვარლამ ჩერქეზიშვილი, კომანდო (გიორგი) გოგელია, მიხაკო წერეთელი.

1903 წ. - „მესამე დასი“ შევიდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის შემადგენლობაში. როდესაც ეს უკანასკნელი გაიყო „მენშევიკებად“ და „ბოლშევიკებად“, ქართულ სოციალ-დემოკრატიაში პირველს მეთაურობდა ნოე ჟორდანია, ხოლო მეორეს – იოსებ ჯუღაშვილი.

XIX-XX სს. მიჯნა – ჩამოყალიბდა ეროვნულ-დემოკრატიული მიმდინარეობა. ისინი ილია ჭავჭავაძის ჭეშმარიტ მიმდევრებად მიიჩნევდნენ თავს.

1909 წ. 17. X – რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ მეორემ გამოსცა მანიფესტი, რომლითაც დაშვებული იქნა დემოკრატიული თავისუფლებები: სიტყვის, პრესის, სინდისის, მანიფესტაციებისა და ყრილობების უფლება და სხვ.

1905-1907 წწ. – რუსეთში მოხდა რევოლუცია; მისი დაწყების საბაბი გახდა 1905 წლის 9 იანვრის სისხლიანი კვირა, როდესაც მეფის ჯარებმა პეტერბურგში დახვრიტეს მშვიდობიანი მანიფესტაცია.

1907 წ. 30. VIII – წინამძღვრად მოკლეს ილია ჭავჭავაძე.

1917 წ. 25. II – რუსეთში მოხდა ბურჟუაზიული რევოლუცია.

1917 წ. 2. III – რუსეთში შეიქმნა დროებითი ბურჟუაზიული მთავრობა. 9. III – დროებითმა მთავრობამ შექმნა „ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი“ („ოზაკომი“), როგორც ამიერკავკასიის სამოქალაქო მმართველობის უმაღლესი ორგანო.

1917 წ. 12/25. III – მცხეთის სვეტიცხოველში I საეკლესიო კრებაზე აღდგა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა. 17.IX – საქართველოს კათალიკოს-პატრიარქად არჩეულ იქნა ეპისკოპოსი კირიონ II (საძაგლიშვილი).

1917 წ. XI – შეიქმნა „ამიერკავკასიის კომისარიატი“.

1918 წ. 26.I – გაიხსნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. პირველ რექტორად პროფესორთა საბჭომ აირჩია ცნობილი მეცნიერი, ქიმიკოსი პეტრე მელიქიშვილი.

1918 წ. 26.V – საქართველოს ეროვნულმა საბჭომ გამოაცხადა ქვეყნის დამოუკიდებლობა და შექმნა დემოკრატიული რესპუბლიკა.

1918 წ. – გერმანელებმა დატოვეს საქართველო და აქ ინგლისის ჯარი შემოვიდა, რომელმაც განახორციელა ბათუმის ოლქის ოკუპაცია.

1919 წ. I – საქართველოს საზღვარი გადმოლახა დენიკინის მოხალისეთა არმიამ და დაიპყრო აფხაზეთის ტერიტორია მდ. ბზიფამდე.

1919 წ. III – მუშაობა დაიწყოდამფუძნებელმა კრებამ (თავმჯდომარე ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე).

1919 წ. 13. XI – არგენტინამ სცნო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა.

1920 წ. IV – საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა აზერბაიჯანში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1920 წ. 7. V – საბჭოთა რუსეთმა „დე იურე“ სცნო საქართველოს დამოუკიდებლობა. დაიდო ორ ქვეყანას შორის ხელშეკრულება, რომელსაც ხელი მოაწერეს მ. კარახანმა (საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის გ. ჩიჩერინის მოადგილე) და გ. ურატაძემ.

1920 წ. – ინგლისის ჯარმა დატოვა საქართველო და ბათუმის ოლქი საქართველოს გადმოსცა.

1921 წ. 21. II – დამფუძნებელმა კრებამ მიიღო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია.

1921 წ. 25. II – წითელმა არმიამ დაიკავა თბილისი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ემიგრაციაში წავიდა საფრანგეთში.

1922 წ. – კათალიკოს-პატრიარქმა ამბროსიმ მემორანდუმით მიმართა გენუის საერთაშორისო კონფერენციას, რომელშიც ამხილა ბოლშევიკური ხელისუფლების ანტირელიგიური, ანტიეროვნული და ანტისახელმწიფოებრივი პოლიტიკა. მოითხოვა კონფერენციის მიერ ამ პოლიტიკის დაგმობა, რაც არ მოხდა.

1932 წ. VI – საეკლესიო კრებამ კათალიკოს-პატრიარქად აირჩია მიტროპოლიტი კალისტრატე (ცინცაძე), რომელიც 20 წელი იყო პატრიარქად.

1939 წ. 1. IX – ფაშისტურმა გერმანიამ ჯარები შეიყვანა პოლონეთში და დაიწყო II მსოფლიო ომი.

1941 წ. 22. VI – გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს.

1943 წ. 25. X – თბილისში ჩამოვიდა რუსეთის პატრიარქის სერგის წარმომადგენელი პიატიგორსკის მთავარეპისკოპოსი ანტონი. მოლაპარაკების შედეგად რუსეთის ეკლესიამ სცნო საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა და ამის შესახებ აცნობა მართლმადიდებელ ეკლესიათა მეთაურებს.

1945 წ. 2. IX – დამთავრდა II მსოფლიო ომი.

1953 წ. 5. III – გარდაიცვალა საბჭოთა კავშირის ერთპიროვნული მმართველი იოსებ სტალინი.

1959 წ. 9. III – თბილისში დახვრიტეს მშვიდობიანი დემონსტრაცია.

1976 წ. – საქართველოში დაიწყო დისიდენტური მოძრაობა, რომლის მიზანი იყო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა.

1977 წ. 25. XII – XII საეკლესიო კრებაზე კათალიკოს-პატრიარქად აირჩიეს ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია II (შიოლაშვილი).

1987 წ. – შეიქმნა ილია ჭავჭავაძის საზოგადოება, მას მოჰყვა ეროვნული დამოუკიდებლობის, ეროვნულ-დემოკრატიული და სხვა პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებების შემქნა. ქვეყანაში საფუძველი ჩაეყარა მრავალპარტიულ სისტემას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1988 წ. 1. X – თბილისში გაიხსნა სასულიერო აკადემია. პირველი რექტორი იყო წილკნელი ეპისკოპოსი ზოსიმე (შიოშვილი).

1989 წ. 9. IV – რუსეთის საოკუპაციო ჯარმა დაარბია მშვიდობიანი მიტინგი რუსთაველის პროსპექტზე, მთავრობის სასახლის წინ; მოკლეს 19 მომიტინგე, აქედან - 16 ქალი, 2000-ზე მეტი გაზით მოიწამლა, ბევრი დაიჭრა.

1990 წ. 25. VIII – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ მიიღო დეკლარაცია აფხაზეთის სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის შესახებ. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს ვლადისლავ არძინბა.

1990 წ. 28. X – საქართველოში უზენაესი საბჭოს მრავალპარტიული არჩევნები ჩატარდა. გაიმარჯვა საარჩევნო ბლოკმა „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“.

1991 წ. 31. III – ეროვნულმა ხელისუფლებამ რეფერენდუმი ჩაატარა. მონაწილეთა 97%-მა ხმა მისცა ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენას 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე.

1991 წ. 9. IV – საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღდგენილად გამოაცხადა.

1991 წ. 26. V – ჩატარდა საპრეზიდენტო არჩევნები, რომელმაც დაადასტურა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად უზენაესი საბჭოს მიერ ზვიად გამსახურდიას არჩევა.

1991 წ. 21. XII – სსრკ ოფიციალურად დაიშალა 12 დამოუკიდებელ სახელმწიფოდ.

1991 წ. 22 XII – ოპოზიციონერებმა და რუსეთის სამხედრო და ფინანსური დახმარებით ორგანიზებულმა ანტისამთავრობო სამხედრო ძალებმა ალყაში მოაქციეს მთავრობის სასახლეში მყოფი ეროვნული ხელისუფლება. 6 იანვარს პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ ხელისუფლებასთან და ერთგულ თანამებრძოლებთან ერთად თბილისი დატოვა.

1992 წ. III – საქართველოში ჩამოვიდა ედუარდ შევარდნაძე, რომელსაც სახელმწიფოს მეთაურის მოვალეობა დაეკისრა.

1992 წ. 14. VIII – სატრანსპორტო მაგისტრალის დაცვის მიზნით, აფხაზეთში ქართული პოლიცია და ჯარი შეიყვანეს. საქართველო რუსეთთან უთანასწორო კონფლიქტში ჩათრეული აღმოჩნდა.

1993 წ. 27.X – სოხუმი დაეცა. საქართველომ მთელი აფხაზეთი დაკარგა.

1993 წ. 30. XII – დაუდგენელ ვითარებაში დაილუპა საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

1995 წ. – მიმოქცევაში შემოვიდა ეროვნული ვალუტა – ლარი.

1995 წ. XI – გაიმართა საქართველოს საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები. ქვეყნის პრეზიდენტი გახდა ედუარდ შევარდნაძე. იგივე განმეორდა 1999 წლის ოქტომბრის და 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში.

2003 წ. 2. XI – საქართველოში ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები. 6 ნოემბერს აჭარიდან ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შემოსულმა მონაცემებმა რადიკალურად შეცვალა პოლიტიკურ ძალთა განლაგება – პირველ ადგილზე აღმოჩნდა აჭარის „დემოკრატიული აღორძინების კავშირი“, ხოლო მეორეზე – სახელმწიფო ბლოკი.

2003 წ. 23. XI – ედუარდ შევარდნაძემ გადადგომის შესახებ განცხადება გააკეთა. საქართველოში ხავერდოვანი რევოლუცია განხორციელდა, რომელიც „ვარდების რევოლუციის“ სახელითაა ცნობილი. ახალ ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა სამეული: მიხეილ სააკაშვილი, ზურაბ ჟვანია, ნინო ბურჯანაძე.

2004. I – გაიმართა საპრეზიდენტო არჩევნები. საქართველოს პრეზიდენტად არჩეულ იქნა მიხეილ სააკაშვილი.

2008. VIII – რუსეთმა სამხედრო აგრესია განახორციელა საქართველოს წინააღმდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარჩევი

წინასიტყვაობა 3

შესავალი 5

1. გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივი გარემო, მოსახლეობა 5
2. მოკლე ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა 7
3. ძირითადი საისტორიო წყაროები 9
4. ისტორიოგრაფიული საკითხები 14
5. ქართველთა ეთნოგენეზი; ქართული ენა მსოფლიოს ენათა შორის 20

ნაწილი I. საქართველო უძველესი დროიდან ქრისტიანობის მილებამდე 25

1. პირველყოფილი ადამიანი საქართველოს ტერიტორიაზე 25
2. უძველესი ქართული სახელმწიფოები — დიაოხი და კოლხა 30
3. ეგრისის (კოლხეთის) სამეფოს წარმოქმნა 35
4. ქართლის (იბერიის) სამეფოს წარმოქმნა. მეფე ფარნავაზის ეპოქა 37
5. პომპეუსის ლაშქრობა საქართველოში 40
6. ქართლის სამეფო I–II სს-ში 43
7. რომის ბატონობა დასავლეთ საქართველოში. ანიკეტის აჯანყება 46
8. ქართული წარმართული პანთეონი 47
9. საქართველოს უძველესი ქალაქები 49
10. ფეოდალური ურთიერთობის განვითარება საქართველოში 51

ნაწილი II. საქართველო ქრისტანობის მილებიდან ქვეყნის გაერთიანებამდე 53

1. ქრისტიანობა და საქართველოში მისი სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება 53
2. ქართლი და სასანური ირანი 56
3. ეგრისი და ბიზანტიის იმპერია 58
4. მეფე ვახტანგ გორგასალი. მისი სახელმწიფო-საეკლესიო პოლიტიკა 59
5. მეფობის გაუქმება ქართლში. ქართლი ირანელთა ბატონობის ქვეშ 65
6. დიდი ომიანობა ეგრისში 67

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. ირანელთა განდევნა ქართლიდან. ერისმთავრობის დაწესება 70
8. ჰერაკლე კეისრის და ხაზართა ლაშქრობები საქართველოში 72
9. არაბთა გამოჩენა საქართველოში 74
10. მურვან ყრუს შემოსევა 76
11. ნერსე ერისმთავარი და აბო ტფილელი 78
12. ახალი ქართული სამეფო-სამთავროების წარმოქმნა 80
13. არაბთა ბატონობის გადავარდნა 82
14. ფეოდალური ურთიერთობის განმტკიცება VIII–X სს-ში 85
15. ქართული კულტურა IV–X სს-ში 87

ნ ა წ ი ლ ი III. ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქია 92
1. მეფე დავით კურაპალატი 92
2. მეფე ბაგრატ III. ერთიანი ქართული მონარქიის შექმნა 95
3. მეფე ბაგრატ IV. საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობები XI ს-ში 97
4. თურქ-სელჯუკთა შემოსევები 99
5. მეფე გიორგი II. „დიდი თურქობა“ 101
6. ქართული კულტურა IX–XI საუკუნეებში 103

ნ ა წ ი ლ ი IV. ქართული მონარქიის ალმავლობის პერიოდი 107
1. მეფე დავით აღმაშენებლის სახელმწიფო რეფორმები 107
2. თურქ-სელჯუკთა განდევნა საქართველოდან 111
3. დიდგორის ომი 113
4. საქართველო - ჰეგემონი სახელმწიფო კავკასიაში 115
5. დემეტრე I-ის და გიორგი III-ის მეფობა 118
6. მეფე თამარის ეპოქა 120
7. ყუთლუ-არსლანი. ხელისუფლების დაყოფის ჩანასახები 120
8. შამქორის და ბასიანის ბრძოლები 123
9. ტრაპიზონის იმპერიის დაარსება და საქართველოს სამეფოს მონაწილეობა ამ საქმეში 126
10. ლაშქრობა ირანში 127
11. საქართველოს სახელმწიფო წყობილება XII ს-სა და XIII ს-ის დასაწყისში 128
12. საქართველოს ეკონომიკური და საზოგადოებრივი განვითარება XII ს-სა და XIII ს-ის დასაწყისში 130
13. ქართლი კულტურა XII–XIII საუკუნეებში 133
14. შოთა რუსთველი 136

ნ ა წ ი ლ ი V. ქართული მონარქიის დაღმავლობა 139
1. ლაშა-გიორგის მეფობა 139
2. მონღოლები და მათი გამოჩენა კავკასიაში 141
3. ჯალალ ედ-დინის ლაშქრობანი საქართველოში 142
4. მონღოლთა ბატონობის დამყარება საქართველოში 144
5. უმეფობა საქართველოში 146
6. ორმეფობა საქართველოში 147
7. საქართველოს აღწერა მონღოლთა მიერ. მონღოლური გადასახადები 148
8. დავით ნარინისა და დავით ულუს აჯანყებანი 149
9. დემეტრე II თავდადებული 152
10. მრავალმეფობა 153
11. მონღოლთა ბატონობის შედეგები 154
12. მეფე გიორგი V ბრწყინვალე 155
13. თემურ-ლენგის შემოსევები საქართველოში 158
14. მეფე ალექსანდრე I დიდი 163

ნ ა წ ი ლ ი VI. საქართველო ქვეყნის პოლიტიკური დაშლიდან XVIII საუკუნემდე 165
1. საქართველოს სამეფოს პოლიტიკურად დაშლა 165
2. კახეთის სამეფო XV ს-ის ბოლოს და ურთიერთობის დაწყება რუსეთთან 167
3. ქართლის სამეფო XV ს-ის ბოლოს და XVI ს-ის დასაწყისში. შინაფეოდალური ანარქია 168
4. მეფე ლუარსაბ I 169
5. მეფე სიმონ I 171
6. კახეთი XVI ს-ში. მეფე გიორგი I 174
7. იმერეთის სამეფო და სამცხე-საათაბაგო XVI ს-ში 175
8. კახეთის სამეფო XVII ს-ის დასაწყისში. შაჰ აბასის შემოსევები 177
9. ბრძოლა ყიზილბაშური აგრესიის წინააღმდეგ XVII ს-ის I მეოთხედში. დედოფალი ქეთევან წამებული 180
10. მარტყოფის და მარაბდის ბრძოლები 182
11. ქართლის მეფე როსტომ-ხანი. ქართლ-კახეთი XVII ს-ის II მეოთხედში 185
12. ქართული სამეფო-სამთავროების სამურნეო-ეკონომიკური მდგომარეობა XVI–XVII სს. 187
13. ქართული კულტურა XVI–XVII სს. 191

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილი VII. საქართველო XVIII საუკუნეში 194
1. ქართული სამეფო-სამთავროები XVII ს-ის ბოლოს და XVIII ს-ის I ნახევარში 194
2. მეფე ვახტანგ VI. კულტურის და მეცნიერების გამოცოცხლება ... 195
3. რუსეთთან კავშირის პოლიტიკური მარცხი 197
4. „ოსმალობა“ და „ყიზილბაშობა“ საქართველოში 199
5. გვიანდელი ფეოდალიზმის დასაწყისი 200
6. საქართველოს საშიანო და საგარეო მდგომარეობა XVIII ს-ის II ნახ-ში 201
7. მეფე ერეკლე II. ქართლ-კახეთის ერთ სამეფოდ გაერთიანება 202
8. დასავლეთ საქართველო XVIII ს-ის II ნახევარში. მეფე სოლომონ I 204
9. საქართველოს სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა XVIII საუკუნის II ნახევარში 205
10. გეორგიევსკის ტრაქტატი 209
11. კრწანისის ბრძოლა 210
12. ქართული კულტურა XVIII საუკუნის II ნახევარში 211

ნაწილი VIII. საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში 212
1. ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება და დაპყრობა 212
2. იმერეთის სამეფოს დაპყრობა და გაუქმება 214
3. დასავლეთ საქართველოს სამთავროების დაპყრობა და გაუქმება 216
4. ბრძოლა ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის 220
5. რუსეთ-ირანისა და რუსეთ-ოსმალეთის ომები და საქართველოს ისტორიული ტერიტორიების შემოერთება 225
6. საქართველო XIX საუკუნის 30-50-იან წლებში 228
7. ქართული კულტურა XIX საუკუნის I ნახევარში 229
8. ბატონყმობის გაუქმება საქართველოში 232
9. XIX ს-ის 60-70-იანი წლების რეფორმები 233
10. რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლებისომი და საქართველო 235
11. ილია ჭავჭავაძე და თერგდალეულები საქართველოს ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის სათავეში 237
12. პოლიტიკური მიმდინარეობებისა და პარტიების წარმოშობა 242
13. ქართული კულტურა XIX ს-ის II ნახევარში 246
14. ეროვნული მოძრაობა 1907-1914 წლებში 248
15. საქართველოს პოლიტიკური თავისუფლების საკითხი და დასავლეთი . 250
16. პირველი მსოფლიო ომი და საქართველო 252
17. საქართველოს ეროვნული მოძრაობა I მსოფლიო ომის პერიოდში 253

ნ ა წ ი ლ ი IX. საქართველოს დამოუკიდებლობა – პირველი რესაუგლიკა .. 255
1. რუსეთის მონარქისტული იმპერიის დაცემა და საქართველო ამიერკავკასიის ფედერაციის შემადგენლობაში 255
2. საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაცია. პირველი წარმატებები და სირთულეები ახალი სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე 262
3. საქართველოს დამფუძნებელი კრება. ქვეყნის პირველი კონსტიტუცია 274
4. განათლება, მეცნიერება და კულტურა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში 283
5. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო ურთიერთობანი და ქვეყნის ანექსია საბჭოთა რუსეთის მიერ 294
6. საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენა და განმტკიცება 296
7. საქართველოს გასაბჭოება და სოციალისტური ტრანსფორმაცია... 303
8. საქართველო მეორე მსოფლიო ომის დროს 308
9. საბჭოთა კავშირის დაშლა და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა (1991 წ.) 310
10. საქართველო გარდამავალ პერიოდში (1992-2003 წწ.) 315
11. ქართველი ხალხის დასავლური არჩევანი..... 319
რუსეთის აგრესია და საქართველოს ოკუპაციის მცდელობა 2008 წლის აგვისტო-სექტემბერში 325

გენეალოგიური ტაბულები..... 328

საქართველოს ისტორიის ძირითადი თარიღები 332

E 9.792
4
ეროვნული ბიბლიოთეკა



ვალერი სილოგავა

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. 1969-72 წწ. იყო კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ასპირანტი. 1970-1990 წწ. მუშაობდა ხელნაწერთა ინსტიტუტში; მისი შესწავლის საგნებია – ეპიგრაფიკა, პალეოგრაფია, დიპლომატიკა.

1990 წლიდან იყო საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი და თსუ ახალციხის ფილიალის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე; 2005 წლიდან – ხელნაწერთა ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი და საარქივო ფონდების განყოფილების ხელმძღვანელი. ამჟამად ვ. სილოგავა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ახალციხის ინსტიტუტში კითხულობს ზოგად და სპეციალურ კურსებს ქართველოლოგიაში.

ვ. სილოგავა 300-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის 16 წიგნის ავტორია (ქართული წარწერების კორპუსი, ტ. II, თბ., 1980; კორიდეთის საბუთები (X-XIII სს.), თბ., 1989; სვანეთის ნერილობითი ძეგლები, ტ. I, თბ., 1984, ტ. II, თბ., 1986; ბოლნისის უძველესი ქართული წარწერები, თბ., 1994; კუმურდო. ტაძრის ეპიგრაფიკა, თბ., 1994; ბეთანიის ნარწერები, თბ., 1994; ნარწერები გარეჯის მრავალწყაროდან (IX-XIII სს.), თბ., 1999; სამეგრელო-აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა, თბ., 2004...). მონაწილეა რესპუბლიკური და საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმებისა (ერევანი, პეტერბურგი, მოსკოვი, ყარსი, ალბერშტადტი...) ძველი წერილობითი ძეგლების შესწავლის საკითხებზე. არის სამეცნიერო კრებულების რედაქტორი და რამდენიმე სამეცნიერო ჟურნალის რედკოლეგიის წევრი.

დაჯილდოვებულია ღირსების ორდენით.



კახა შენგელია

ისტორიკოსი, ჟურნალისტი და ფინანსისტი. არის საერთაშორისო მენეჯმენტის სპეციალისტი. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სარატოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში (რუსეთი), ჰარტფორდის უნივერსიტეტში (აშშ) და სენტ მერის უნივერსიტეტში (კანადა); მინიჭებული აქვს ბაკალავრის, მაგისტრის და დოქტორის ხარისხები. 2000-2002 წლებში იყო კავკასიის ბიზნესის სკოლის დეკანი. ამჟამად არის „კავკასიის უნივერსიტეტის“ პრეზიდენტი. 2002-2004 წლებში იყო ქ. თბილისის ვიცე-პრემიერი სოციალურ საკითხებში; 2004-2008 წლებში – საქართველოს პარლამენტის წევრი და პარლამენტის განათლების, მეცნიერების, სპორტისა და ტურიზმის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

გამოქვეყნებული აქვს ნაშრომები ტაო-კლარჯეთის ძეგლების შესახებ (ტაო-კლარჯეთის ეპიგრაფიკის შესწავლა, თბ., 2005; ტაო-კლარჯეთის წერილობითი ძეგლების შესწავლა, თბ., 2005; შატბერდის მონასტერი – მასალები, იდენტიფიკაცია, კვლევის პერსპექტივები, თბ., 2006 (თანაავტორი); ტაო-კლარჯეთი, თბ., 2007 (თანაავტორი); ტაო-კლარჯეთის ძეგლები, თბ., 2008).

გატაცებულია ფოტოხელოვნებით. 2003 წ. მუზეუმ „ქარვასლაში“ მოეწყო მისი ფოტოგამოფენა – „ტაო-კლარჯეთის ძეგლები“.

მშობლიურის გარდა ფლობს ინგლისურ, რუსულ, ფრანგულ და თურქულ ენებს. ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

ISBN - 978-9941-404-18-4

